

ВАНИ II

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ
РАСКОПКИ

VANI
ARCHAEOLOGICAL
EXCAVATIONS

II

«МЕЦНИЕРЕБА» «METSNIEREBA»
ТБИЛИСИ - TBILISI
1976

ჰანი

II

არქეოლოგიური
გათხრები

«მეცნიერება» _

თბილისი

1976

კრებულში შეტანილ სტატიებში წარმოდგენილია ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე 1970—1971 წლებში წარმოებული საეელე-არქეოლოგიური კვლევების, სოფელ ციხესულორში ფეოდალური ხანის ციხის არქეოლოგიური შესწავლისა და დაბლაგომში 1970—71 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები. ცალკე სტატიები ეძღვნება ვანის ნაქალაქარზე წლების განმავლობაში მოპოვებულ სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მასალას — ბრძოლისა და შრომის იარაღს, შემოტანილსა და ადგილობრივ კერამიკას, გლაპტიკურ ძეგლებს, ტერაკოტულ ქანდაკებებს. მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე არის მსჯელობა ძვ. წ. V—I საუკუნეებში ამ ქალაქის სამეურნეო-ეკონომიურ მდგომარეობაზე, კულტურულ დონეზე. ცალკე სტატია შეისწავლის ვანში ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საკითხებს.

რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე
Редактор О. Д. Лордкипанидзе
Ed. Othar D. Lordkipanidze

წინასიტყვაობა

„ვანი II“ ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომების მორიგი ტომია“ და მიზნად ისახავს ერთი მხრივ — 1970—1971 წლებში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიშების, ხოლო მეორე მხრივ — ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ მეცნიერული გამოკვლევების პუბლიკაციას.

კრებულში წარმოდგენილია ვანის ნაქალაქარზე 1970—1971 წლებში ჩატარებული საველე მუშაობის მეცნიერული ანგარიში. ამ წლებში ვანის ნაქალაქარზე აღმოჩნდა კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოსავლეთი ნაწილისა და ძველი ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი სასიმაგრო სისტემის მეტად საყურადღებო კომპონენტები (გალავნის კედლების ორი რიგი, კოშკები, ყაზარმა და სხვ.), ცენტრალურ ტერასაზე — ძვ. წ. III—I სს. ორ იარუსად განლაგებული საზოგადოებრივი და საკულტო დანიშნულების ნაგებობანი, კიბეები, აგრეთვე V—IV სს.-ის ქვისა და ხის შენობები, ნაქალაქარის ცალკეულ უბნებზე აღმოჩნდა ახალი, საკმაოდ გრანდიოზული ნაგებობანი, რომელთა შესწავლა ამჟამადაც მიმდინარეობს.

ნაქალაქარის პარალელურად ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია შეუდგა დაბა ვანის ირგვლივ მდებარე სასოფლო თემების ე. წ. გაურბანიზებული ტერიტორიის შესწავლას. წინამდებარე კრებულში იბეჭდება ციხესულორზე და დაბლაგომში ჩატარებული საველე სამუშაოების მეცნიერული ანგარიშები, ხოლო დაფნარში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ცალკე წიგნად.

წლების მანძილზე ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი მდიდარი და მეტად მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა კრებულში წარმოდგენილია მეცნიერული გამოკვლევებით კერამიკის (ამფორები, წითელლაქიანი ჭურჭელი), საბრძოლო და საპეურანეთ იარაღების, გლიტიკური ძეგლების, ტერაკოტული პლასტიკისა და ოქრომჭედლობის შესახებ.

უკვე მზადაა და გადაცემულია გამოსაცემად კრებული „ვანი III“, სადაც წარმოდგენილი იქნება 1972—1974 წლებში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეცნიერული შედეგები, აგრეთვე გამოკვლევები ცალკეული ძეგლების შესახებ.

ოთარ ლორთქიფანიძე
ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი

† კრებული „ვანი I“, რომელშიც წარმოდგენილი იყო 1947—1969 წლებში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები, გამოვიდა 1972 წელს. „ვანი I“ (არქეოლოგიური გათხრები 1947—1969 წწ.), თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972, ობ. რეცენზიები: ი. ბ. ბ რ ა შ ი ნ ს კ ი მ, ვანი, I. Археологические раскопки 1947—1969, под редакцией проф. О. Д. Шордкипяндзе, Тбилиси, 1972. „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1974, № 3, გვ. 13. А. Н. Щеглов, Вани I, Тб. 1972, ВДИ, 2, 1975, გვ. 143—147; პროფ. ე. მუყესკისა პოლონურ ჟურნალში „Archeologia“, № 23, 1972, გვ. 106—107

ПРЕДИСЛОВИЕ

«Вани II» — очередной том Трудов Ванской археологической экспедиции¹. В нем публикуются научно-документальные отчеты о полевых археологических изысканиях, проведенных экспедицией в 1970—1971 гг. в Вани и его окрестностях, а также специальные исследования, посвященные отдельным археологическим памятникам.

В отчетном периоде на городище выявлены новые важнейшие компоненты архитектурного комплекса городских ворот и северо-восточной оборонительной системы древнего города (два ряда крепостных стен, башни и др.). На центральной террасе обнаружены здания общественного и культурного назначения III в. до н. э., расположенные в два яруса, а также деревянные и каменные постройки, относящиеся к V—IV вв. до н. э. На отдельных участках городища открыты грандиозные архитектурные комплексы, изучение которых продолжается.

Наряду с городищем, Ванская археологическая экспедиция приступила также к изучению сопредельных с древним городом сельскохозяйственных (т.н. урбанизированных) территорий. В настоящем сборнике публикуются отчеты о полевых исследованиях в Цихесулори и Даблагоми. Результаты же археологического изучения Далиари будут опубликованы отдельной книгой.

Богатому и разнообразному археологическому материалу, выявленному в Вани на протяжении ряда лет, посвящаются публикуемые в сборнике специальные исследования о керамике (амфоры и краснолаковая керамика), оружии и орудиях хозяйственного назначения, памятниках глиптики, терракотовой пластики, златокузнецства и др.

Уже подготовлен к печати и сборник «Вани III», в котором будут опубликованы результаты археологических исследований в 1972—1974 гг., а также исследования, об отдельных археологических памятниках.

Отар Лордкипанидзе
Руководитель Ванской археологической экспедиции

¹ Сб. «Вани I» (Археологические раскопки 1947—1969 гг.), Тбилиси, издательство «Мешинереба». 1972 г. См. рецензию: И. Б. Брашинский, Вани I, Археологические раскопки 1947—1969: «Мацне» (Вестник), Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1974, № 3, стр. 166, 171; А. Н. Шеглов, Вани I, Тб., 1972, ВДИ, 2, 1975, стр. 143—147; проф. К. Маевского в „Archeologia“ (Rocznik Inst. historii kultury materialnej Polś, Akad. nauk), 23, 1972, Wrocław, 1973, стр. 106—107.

რბ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ბ. ლაჭაბა,
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მათიაშვილი, ა. ზყონია, ბ. მჟღელიშვილი

1970—1971 წლებში ვანში ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევების შედეგები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია 1970—1971 წლებში გათხრებს განაგრძობდა ნაქალაქარის რამდენიმე უბანზე¹.

1. კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოსავლეთით, 70-ე ნაკვეთზე (იხ. გენ. გეგმა) გრძელდებოდა ძველი ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი სასიმაგრო სისტემის შემდგომი შესწავლა (გ. ლორთქიფანიძე).

ნაკვეთის შესწავლა ჭერ კიდევ 1966 წელს დაიწყო. გამოვლინდა გალავნის ნაწილი და მასთან დაკავშირებული ნახევარწრიული კოშკი. კარიბჭესთან ერთად ისინი ქმნიან თავდაცვის ერთიან, საკმაოდ მძლავრ სისტემას, რომელიც სტრატეგრაფიული მონაცემებით ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს, თუ III ს. დასაწყისში უნდა იყოს აშენებული².

1968—1970 წწ. შესასწავლად გამოიზნული იყო ის ფართობი, რომელიც უშუალოდ გალავანს ეკვროდა სამხრეთიდან (სურ. 1).

თხროლის დასავლეთ მიჯნას გზა წარმოადგენს, რომელიც აღნიშნული ნაკვეთის დედაქანის დონეზე ერთი მეტრით დაბლაა განლაგებული.

შესასწავლი ნაკვეთისათვის დამახასიათებელი იყო კორდოვანი ფენის შემდეგ ალაგ-ალაგ სამეურნეო ორმოებით დარღვეული, ალიზის კედლების ნგრევის შედეგად წარმოშობილი, მძლავრი—2 მ სისქის მოწითალო ფერის ფენა. ნათლად ჩანს იგი 70-ე ნაკვეთის სამხრეთ კრილში. ეს ფენა შეიცავდა კრამიტების უამრავ ფრაგმენტს; როგორც წესი, ყველგან გვხვდებოდა კოლბური ამფორების, ქვევრებისა და ე. წ. თეთრანგობიანი იმპორტული ამფორების ნატეხები. ალიზის ფენის სხვადასხვა დონეზე, ზოგჯერ ზედაპირთან ახლოს გვხვდებოდა ფილაკეანის (ბალისტას) ქვის სფერული ქურვები. აღნიშ-

¹ გარდა სტატიის ავტორებისა, საანგარიშო წლებში ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობდნენ: ყ. სტეფანაძე — ხელმძღვანელის მოადგილე სამეურნეო დარგში (1970 წელს), ზ. ჩალაღანია — ხელმძღვანელის მოადგილე სამეურნეო დარგში (1971 წელს), რაზმაი უფროსი მ. შიწიშვილი, უმცრ. მეცნ. თანამშრომლები: ნ. კილერაძე, ე. გიგოლაშვილი. ლაზორანტები: ი. ცუხიშვილი, ე. ჩიხლაძე, ასპირანტები: დ. კაპრაძე, ო. ლანჩავა, მ. ფირცხალავა, მხატვარი-რესტავრატორი თ. ჯავახიშვილი. ფოტოსაშუალებს ასრულებდნენ მ. ავალიანი (1970 წელს) და გ. ბაკრაძე (1971 წელს). ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტ-პრაქტიკანტები, ხოლო 1971 წელს იენის უნივერსიტეტის ლექტორი ერნსტ კლუგე.

² ვ ა ნ ი I, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947—1969 წწ., თბილისი, 1972, გვ. 67.

ნული ფენა ქალაქის არსებობის უკანასკნელ პერიოდს უკავშირდება და ალბ-
ზის კედლების დანგრევის შედეგადაა წარმოშობილი (სურ. 2).

გალავნის კედლის სამხრეთით, ძვ-7 კვადრატებში, ალიზის ნაშალი ფე-
ნის ქვეშ გაითხარა 1,60 მ სიგანისა და 3,50 მ სიგრძის კვადრული წყობა, რო-
მელთა კონსტრუქციულად მასთან ჩანს დაკავშირებული. სამწუხაროდ, გა-
ლავანთან მისი შეერთების კენძი თითქმის მთლიანად განადგურებულია. სა-
ძირკველად გამოყენებულია თირის ქვის ბალიშები, რომელზედაც იდო ზეძირ-
კვლის ქვიშაქვის კვადრები. როგორც ჩანს, მშენებლებს ეს არ მიუჩნევიათ
საკმარისად და გალავანი ბურჯითაც გაუმაგრებიათ, რათა იგი დაჯდომისაგან
დაეცვათ. ბურჯს ქვის კვადრების ზეძირკველი და ალიზის კედლები ჰქონია.
ქვის ზეძირკველი (ცოკოლი) პერანგული წყობითაა ამოყვანილი — პერან-
გებს შორის სივრცე, თიხის ხსნარის გამოყენებით, ამოშენებულია თირის
ნაგლეჯი ქვების წესიერი წყობით. პერანგები შედგება კვადრების ორი რიგი-
საგან, რომელთა ზომებია 55×20×35 სმ. ისევე როგორც გალავნის სასაძირკ-
ველ ბალიშები, ბურჯი ძვ. წ. V—IV სს. ნახვინარავე მოყვითალო ფერის
თიხნარ კულტურულ ფენაზეა ამოყვანილი. ამგვარად ოსინი ერთ დონეზე არიან
განლაგებულნი და ქრონოლოგიურადაც თანადროულნი უნდა იყვნენ. ყოველ
შემთხვევაში არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ
ბურჯი სხვა, მომდევნო საშენებლო პერიოდს უკავშირდება (ერთი შეხედვით
იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მისი აგების დროს დაუზიანებიათ ყაზარ-
მის აღმოსავლეთი კედლის ჩრდილო ნაწილი და თირის საძირკველიანი გა-
ლავნის პარალელური მეორე კედელიც).

„ბურჯის“ სამხრეთით, ასევე ალიზისა და კრამიტყრილის მძლავრი კულ-
ტურული ფენის ქვეშ, გაითხარა ქვის ზეძირკვლის მქონე, ალიზისკედლებიანი
მოზრდილი ნაგებობის ნაშთები (სურ. 4). მისი დასავლეთი ნაწილი, სამ-
ხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხე თანამედროვე გზის გაფარ-
თობისას დანგრეულა. თავის დროზე მას მართკუთხედის ფორმა უნდა ჰქო-
ნოდა. როგორც ჩანს, ნაგებობის ჩრდილოეთ კედელს გალავანი შეადგენდა,
მისი აღმოსავლეთი კედლის სიგრძე ბურჯიანად დაახლოებით 10 მ უნდა ყო-
ფილიყო. სამხრეთის კედლის შერჩენილი სიგრძე 3,20 მ-ია (სურ. 3). კარიბ-
პესთან დაკავშირებული მსგავსი დაგეგმარების ნაგებობა გათხრილია ქერსო-
ნესში და მიჩნეულია ელინისტური ხანის ყაზარმად². კარიბჟის დამკველი
რაზმის საგანგებო სადგომი შენობა გამოვლენილია ილურატშიც³.

„ყაზარმას“ ჰქონდა ქვის საფუძველზე ამოყვანილი ალიზის კედლები,
კრამიტით გადახურული, როგორც ჩანს, ორფერდა სახურავი და თიხატკეპნი-
ლი იატაკი. შესასვლელი კარების ადგილსამყოფელის გარკვევა არ მოხერხ-
და. ქვის ზეძირკველი (ცოკოლი) კვადრული წყობითაა ამოყვანილი. სამხ-
რეთ კედელს, რომლის სიმაღლე 0,52—მ-ია, სიგანე 0,90 მ, ქვათლილების
ორი რიგი ჰქონია. მათი საფასადო მხარე რუსტირებულია. წყობა ორი სარ-
ტყლისაგან შედგება, ვარეთა მხარე ამოყვანილია ბიოტიტიანი ტუფის კვად-
რებით, შიდაში კი უმეტესად თირის ქვებია გამოყენებული. ყაზარმის სამ-
ხრეთ ნაწილში კვადრები სასაძირკველ თირის ქვის ბალიშებს ეყრდნობა, აღ-

² В. Д. Блаватский, Очерки военного дела в античных государствах Северного Причерноморья, Москва, 1954, стр. 97.

³ В. Ф. Гайдукевич, Боспорские города, МИА, 85, М.—Л., 1958, стр. 109, рис. 104.

მოსავლეთი კედელი კი პირდაპირ კულტურულ ფენაზე დევს. ამიტომ აქ, კედლის სიძიძის ვაჟო ზეძირკელის წყობას დეფორმაცია განუვლია. ალაგ-ალაგ ზეძირკელის კვადრებში ამოჭრილია 6X6 სმ ზომისა და 7 სმ სიღრმის ფოსოები, რომლებიც, საყარაუდოა, ხის კონსტრუქციების ბუდეებს წარმოადგენდნენ (სურ. 3). ხის ჩარჩოებით ალიზის კედლებში გაშვების ხერხი გაერთელებული იყო ელინისტური ხანის სამშენებლო საქმეში, მას იყენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, მცხეთაში, არმაზის I ტიპის ძეგლებში⁵. ყაზარმის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შედარებით კარგად შემონახვა გადმონგრეული ალიზის კედლის ნაშთი. ალიზის აგურები ბუნებრივია, ყალიბში მოჭრილი და მზეზე გამშრალი. მათი საყარაუდო ზომებია 47X25X9 სმ, გვხვდება 6—8 სმ სისქის აგურებიც. ყაზარმა ხანძარს უმსხვერპლია, შემდეგ კი ალიზის კედლის ნაშალს მთლიანად გადაუფარავს ჩამოქცეული სახურავი და ნაგებობა. ძლიერი ცეცხლის მოქმედების კვალი ამხნევი არა მარტო ალიზის კედლებსა და კრამიტს, არამედ „ყაზარმის“ იატაკსა და ზეძირკელის კვადრებსაც. ცეცხლოვებული სახურავის ნაწილი ნაგებობის შიგნით ჩამონგრეულა, ყაზარმის თიხატყეპნილი იატაკი დაფარული იყო კრამიტყრილის სამი ფენით. საყურადღებოა, რომ აქ ღარიანი კრამიტი ძალზე იშვიათად გვხვდება და, როგორც ჩანს, მხოლოდ გვერდითი ნაწილების გადასახურავად იყო გამოყენებული. კრამიტყრილში გვხვდებოდა დანახშირებული ძელების კვალი. იატაკის დონეზე, კრამიტყრილის ქვეშ რკინის საშუალო ზომის ნაქედი ლურსმნებიც აღმოჩნდა. ყაზარმის სახურავი მასიური ხის კონსტრუქციას წარმოადგენდა, მას მძიმე კრამიტის სახურავისთვის უნდა გაეძლო. „ყაზარმის“ კრამიტის ზომებია: 60X50 სმ, წონა კი 17 კილოგრამს აღწევს. კრამიტებზე გამოწვამდე დატანილია ნიშნები, რომლებიც რვა ჯგუფს ქმნიან. ისინი რვა სხვადასხვა სახელოსნოში როდია დამზადებული, არამედ ერთად მომუშავე 8 სხვადასხვა ხელოსნის ნიშნებს წარმოადგენენ. ეს კი უდავოდ ადგილობრივი დიდი სახელოსნოების არსებობაზე მიუთითებს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ყაზარმის“ კრამიტყრილში არ ერია იმპორტული კრამიტის არც ერთი ფრაგმენტი. „ყაზარმაში“ იატაკის დონეზე აღმოჩნდა ფილაკავანის რამდენიმე ჭურვი, შუბისპირების ფრაგმენტები, მოზრდილი, სამკედლო მარწუხი, კოლხური ამფორების ფრაგმენტები და სხვა.

ყაზარმა, ვალაენისა და ბურჯისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა მშენებლობის მაღალი დონით. კედლები არაა ორიენტირებული ქვეყნის მხარეების მიხედვით. მართალია, ამ მხრივ ნაქალაქარის ნაგებობების უმრავლესობა არ გამოირჩევა სიზუსტით, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ცდომილება შედარებით საგრძნობია—20° გრადუსს აღწევს.

„ყაზარმა“ ქალაქის არსებობის უკანასკნელ პერიოდში—ძვ.წ. II—I სს. ჩანს აგებული. როგორც აღენიშნება, იგი ვალაენ-ბურჯისთვის მიუშენებიათ. კარგად ჩანს განსხვავება სამშენებლო ტექნიკაში, პროპორციებში და სხვა. გარდა ამისა, ყაზარმის კედლების დონე 25 სმ-ით უფრო მაღალია.

ყაზარმის მშენებლებს, როგორც ჩანს, საამშენებლო მოედანი, გარკვეული დონე მოუსწორებიათ, რომლის დროსაც განადგურებულა ადრეელინისტური ხანის ფენა. ყაზარმის კედლის ჩრდილოეთი ნაწილი უშუალოდ

⁵ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 80.

ნახშირნარევე, მოყვითალო, ძვ. წ. V—IV სს კულტურულ ფენაზე დევს, ისევე როგორც კომპ-გალავნის ცალკეული მონაკვეთები.

ყაზარმასთან დაკავშირებული კულტურული ფენა და უპირველეს ყოვლისა მძლავრი კრამიტყრილი გაითხარა მისგან აღმოსავლეთით d₁₀-8, f₁₀-7, e₁₀-8 კვადრატებში. გ და f კვადრატების მიჯნაზე დედაქანი — თირი კედლით ერთ არის ამოსული ზედაპირზე და ბუნებრივ უბეს ქმნის, ჩრდილოეთიდან კი ამ უბეს“ გალავნის პარალელური კედელი კრავს (სურ. 1). ამგვარად, ყაზარმის აღმოსავლეთ კედელთან თავისებური ჩიხი არსებულა, რომელიც ძვ. წ. I საუკუნეში სამეურნეო მიზნებისთვის გამოუყენებიათ. ყაზარმის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, ჭერ კიდევ 1968 წელს, გაითხარა წითელ-ზედაპირიანი კოლხური ქვევრის ფრაგმენტები; ქვევრის ძირი ჩადგმული იყო თირის ქვაფენილში საგანგებოდ ამოჭრილ ორმოში. ეს ქვევრი ყაზარმასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულ ფართობზე გაიწმინდა კრამიტყრილის სამი ფენა, რომელშიც რიყის ქვებთან ერთად დანახშირებული ხის ძელების კვალი შეიქმნეოდა; კრამიტყრილი იმდენად მძლავრი იყო, რომ იგი არა მარტო ყაზარმის სახურავის ნაწილის ჩამოქცევის შედეგია, არამედ აქვე ჩამოწოლილა რალც სხვა იდი ნაგებობის გადახურვაც. აქაც ძირითადად ბრტყელი, გვერდებზეკილი კრამიტების ფრაგმენტებია, ღარისებური კვლავ იშვიათია. კრამიტყრილში ვხვდებით შედარებით სქელკედლიან, უხეშად დამზადებულ, ცუდად დუყალიბებულ, უსწორმასწოროძირიან კრამიტებსაც. ზოგჯერ ასეთ ცალებზე კარგად ჩანს სველი, ჭერ კიდევ გამოუმწვარი ზედაპირის ხელით მოსწორების კვალი (ზოგჯერ კრამიტებზე ცხოველის, კერძოდ, კატის თათების ანაბეჭდიც გვხვდება). კრამიტების უმრავლესობას ჩხირით გამოყვანილი ხელოსნის ნიშანი აზის. აქაც მ სხვადასხვა ნიშნიანი კრამიტას ირე-ზობა დადასტურდა, რაც მათი აგების თანადროულობის მაჩვენებლადაც შეიძლება გამოდგეს. კრამიტყრილში გვხვდებოდა საშუალო სიდადის, განივი-კუთხედი ოთხკუთხაქედანი, ნაკედი რკინის ლურსმნები.

კრამიტყრილის ქვედა ფენაში, ყაზარმის აღმოსავლეთი კედლიდან 2 მ დაშორებით ძვ კვადრატში გაიწმინდა თეთრი კირქვის 26 სმ დიამეტრის ბაზა, რომელსაც ცენტრში ხის სვეტის დასამაგრებელი ფოსო აქვს. ხანძარს ბაზა (3—70/264) საგრძნობლად დაუზიანებია. ბაზა in situ არ ყოფილა, მის ქვეშ მიწის (ფენა-ში იყო წითელლაკიანი კერამიკის (3—70/232—242), კრამიტების და შინაური ცხოველის ძვლების ფრაგმენტები. კრამიტყრილის აღების შემდეგ გამოირკვა, რომ იგი ეგდო რიყისქვის საძირკველიანი სათავსოს შიგნით. ამ სათავსოს აგებისათვის ყაზარმისა და გალავნის პარალელური კედლის შეერთების კუთხე გამოუყენებიათ, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მიუშენებიათ თიხის ხანაზე ამოყვანილი რიყის ქვის კედლები. სწორედ მისი ნგრევის შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი იმ რიყის ქვების გროვა, რომელიც კრამიტყრილთან ერთად გვხვდებოდა. ამ კედლებისგან მხოლოდ ქვედა; სასა-ძირკვე წყობადა შემონახა, რომელშიც თიხის ოთხკუთხა ქვებიც დაუტანებიათ. ის იმდენად ვიწროა, რომ ალიზის კედლის საფუძვლისთვის არ გამოუყვებოდა. სათავსო სახელდახელოდაა აგებული, რაზედაც მისი კედლების დარღვეული პროპორციები მეტყველებენ. სათავსოს ხის ნაწილებიც ჰქონია. იტაკის დონეზე, რომელსაც აქ წვრილი რიყის ქვების ფენილი წარ-სადგენა, აღმოჩნდა დანახშირებული ხის ძელების ნაშთები და ერთ შემთხვევაში თითქოს 20 სმ სიგანის მქონე ფიტარიც კი. იტაკის დონეზე აღმოჩ-

საფილაკეანის ქვის ხუთი ქურვი, ერთი მათგანი ორად იყო გატეხილი. მისი ორივე ნაწილი ცალ-ცალკე იღო. დანგრევის წინ სათავსოში ძირების მიხედვით ათზე მეტი კოლხური ამფორა ინახებოდა (3—70/275—285). გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა აღგიღებ დაჩენილი, ორი საშუალო ტევადობის, წელშენეჭილი კოლხური ამფორის აღდგენა. ამ, შედარებით ვიწრო ფარობზე აღმოჩნდა სხვა თიხის ქურკლის მრავალფეროვანი ნატეხები, მათ შორის იმპორტული. აქ მოპოვებული კერამიკიდან აღსანიშნავია: პატარა, პირგადმოშლილი ორყურა კოკობის ფრაგმენტები (3—70/274, 207), მრგვალქუსლიანი ჯამის ძირ-გვერდი (3—70/279), მომცრო ღოქის პირ-ყური (3—70/273), № კვადრატში „სათავსო“ კედლის საძირკველთან მოზრდილი ნაცრისფერკეციანი იმპორტული ლანგრის ფრაგმენტები, რომლის ცენტრი შემკულია ხშირი ჭდეებისგან შედგენილი კონცენტრული წრეებით, ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი გრეხილყურებიანი ქურკლის ნატეხები, ტრაკოტის ორი ნატეხი, შესაძლოა შუბლისა და თმების ნაწილი (3—70/243). წითელლაკიანი კერამიკა წარმოდგენილია: თასების (3—70/232—35, 237, 238), ლანგრების (3—70/236), ჯამისა (3—70/242) და სხვა ნატეხებით. ერთი მათგანია შექველი ყოფილა კანელიურებათ (3—70/229), ისინი ეყოფნენ მცირე აზის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებს, რადგან კეციტ ხშირად მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვხვდება კარგად განლექილი, ღია თეთრში გააღმავალა ყვითელი, მოვარდისფრო და ყაეისფერკეციანი ქურკლის ნატეხები. უკვე ფერკეციანი, წითელლაკიანი ქურკელი შეიძლება პერგამონის ცნობილ საწარმოო ცენტრს დაუკავშირდეს. ამ „სათავსოში“, № კვადრატში აღმოჩნდა პერგამონული თასის კიდევ ერთი ფრაგმენტი, სუროს ფოთლისა და ნაყოფის რელიეფური გამოსახულებით (3—70/226). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ძე. წ. II—I სს დათარიღებული წითელლაკიანი კერამიკა, მათ შორის პერგამონული რელიეფური თასები, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ძე. წ. II—I სს ვანის ნაქალაქარის სხვა უბნებზე. „სათავსოში“ მოგვეცა ბრინჯაოს რამდენიმე უბრალო სამკაულიც. № კვადრატის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს 7,8 სმ სიგრძის. საკინძი, მისი შესქელებული თავი დრაკონის სტილიზებული გამოსახულებით ბოლოვდება. ანალოგიური ქინძისთაეები ვანში წინათაც იყო ნაპოენი (იხ. 3—66/483). კრამიტყრილში, ძე კვადრატში აღმოჩნდა შედგენილი სასაფეთქლე რგოლი. რკინის რგოლში გაყრილია ბრინჯაოს თავგახსნილი, ერთმანეთზე გადასულბოლოებიანი ორი რგოლი, ძე კვადრატში იყო ბრინჯაოს წვრილი მავთულის საყურე რგოლი ერთმანეთზე ოდნავ გადასული თავებით (3—70/209) იატაკის დონემ № კვადრატში მოგვეცა ბრინჯაოს მონეტაც (3—70/209), ტეტრაბალკი (ავერსზე—არესის თავი, კორინთულ მუზარადში, მარჯენივ, რვეერსზე—დაშნა ქარქაშში, წარწერა AMI (σν)). ამ ტიპის უმონოგრამო მონეტები იჭრებოდა ძე. წ. 105—90 წწ პონტოს სამეფოს ქალაქ ამისოში, მითრიდატე VI ევპატორის დროს. გარდა აღნიშნულისა, ანალოგიური მონეტის ვანში აღმოჩენის კიდევ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული (3—67/222; 3—68/261).

კრამიტყრილის ქვეშ, ძე კვადრატში აღმოჩნდა წითელლაკიანი კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი. ყურადღებას იპყრობს მოზრდილი ლანგრის რგო-

* Fr. J. mhoof—Blumer. Die Kupfurgang des mithridatischen Reiches und andere Münzen des Pontus und Paphlagoniens. Nz. 1912, ტაბ. 1.25.

ლისებრქუსლიანი ძირი. ფსკერის შიდა მხარე შემკულია კონცენტრული წრე-
ებითა და ხშირი ფრჩხილისებური ქდეებით. კეცი ღია მოყვითალო-მოვარ-
დისფრა. ასევე ძალზე საინტერესოა წითელწერნაქიანი ამფორისკის ფრაგ-
მენტები (3—70/244—245), რომლებიც C₉-C₁₀ კვადრატებში, ყაზარმის
ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან იყო ნაპოვნი. აღნიშნულ ფართობზე, ჩუ-
ც₉ კვადრატებში გვხვდებოდა წითელლაქიანი ლანგრების (3—70/200; 3—
70/267), თასების (3—70/230; 3—70/269) და კოლხური ამფორების ფრაგ-
მენტები. 1₉ კვადრატში კრამიტყრილისა და რიყის ქვების ქვეშ აღმოჩნდა
თხელკედლიანი პერგამონური თასის ფრაგმენტი, რომლის გარეთა ნაწილი
შავი ლაკითაა დაფარული, შიგნითა კი წითელით (3—70/230). გარდა კერამი-
კისა, ამ ფენამ მოგვცა ორიოდე მძივი (3—70/221, 206) და ცხოველის ფალან-
გისაგან დამზადებული თავგახვრეტილი ავგაროზი. ასეთი სახის ავგაროზები
ვანში წინათაც აღმოჩენილა. ცნობილია ისინი დაფნარიდან, სოხუმის მთიდან
და სხვ., რაც ამ ტიპის სამკაულის საკმაო გავრცელების მაჩვენებელია.

70-ე ნაკვეთის d₁₀-l₁₀-f₁₀ კვადრატებში კრამიტყრილისა და ქვაყრილის
შემდეგ, თიხნარი მიწის 5—10 სმ სისქის ფენის ქვეშ გაიწმინდათირის უსწო-
რ-მასწორო, ბრტყელი ქვების ფენილი (სურ. 4,4ა), რომელიც ძვ. წ. V—IV
სს. კულტურულ ფენაზე ჩანს დაგებული. ქვაფენილი გრძელდება 88 ნაკვეთ-
ში, საანგარიშო წელს გამოვავლინეთ მისი მხოლოდ ჩრდილოეთი კიდე. ქვა-
ფენილი იწყება თირის, კედელივით ჩამოსწორებული კლდის ძირიდან და
გრძელდება დასავლეთისაკენ 6,50 მ-ის სიგრძეზე. როგორც აღვნიშნეთ, ის
შედის ყაზარმის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის ქვეშ. თირის ქვების ფენილი
რელიეფის ზღდაპირის მოსასწორებლად დაუგიათ, ალაგ-ალაგ კი ამ მიზანს
თირის ზედპირი ემსახურებოდა. ქვაფენილი მიემართება საპნრეთისაკენ,
სადაც, როგორც ჩანს, რალაც მნიშვნელოვანი ნაგებობა იღვა. ქვაფენილის
ზედპირზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა ძვ. წ. III—II სს. როდო-
სული, მრგვალგანივიკვეთიანი ამფორის ყური (3—70/222), რომელსაც ორ-
სტრიქონიანი ოთხკუთხა დამლა აქვს, ეპონიმის სახელი ნაწილობრივ იკი-
თხება:

ΕΠΙ ΜΟ ΛΕΥΣΦΕ

1₉ კვადრატში ამ ქვაფენილის თავზე იღო შავლაქიანი, შედარებით მომ-
ცრო, მცირეაზიული წარმოების კანთაროსის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (3—
70/268). იგი ორივე მხრიდან დაფარულია საკმაოდ კარგი ზარქისხის, სქელი
ლაკით, რომელიც არ შეიძლება ძვ. წ. III ს-ზე მოგვიანო იყოს. კეცი ვარ-
დისფერია, წმინდად განლექილი, ოდნავ შეიმჩნევა ქარსის ნამკეცები. ყუ-
რადლებას იპყრობს 70-ე ნაკვეთის ძ₉ კვადრატში ნაპოვნი რელიეფურგამო-
სახულებიანი ე. წ. მეგარული თასის ფრაგმენტი (3—70/223), რომელიც და-
კავშირებულია თირის ქვაფენილზე მდებარე მონაცრისფრო მიწის ფენასთან
და გვაპლევს საშუალებას იგი ძვ. წ. III—II სს. დაეთარილოთ. „მეგარულა“
თასი ნაცრისფერკეციანია, შემკული ყოფილა აკანთის ფოთლებსა და ვარ-
დულენის რელიეფური გამოსახულებებით. მეგარული თასის ფრაგმენტები
იშვიათა როდია ვანის ნაქალაქარისათვის. ანალოგიური, ძვ. წ. III—II სს

„მეგარული“ თასების ფრაგმენტები ცნობილია ათენის აგორიდან⁷ და ანტიკური საზღვარის სხვა ცენტრებიდან.

ამგვარად ჩვენს მიერ ზოგადად აღწერილი კერამიკული მასალაც ადასტურებს თორის ქვაფენილის „ყაზარმის“ აშენებამდე დაგების ფაქტს. ქვაფენილი ყაზარმის დროსაც ასრულებდა თავის დანიშნულებას, თუმცა თორის ქვეში ამ დროისათვის ნაწილობრივ მიწის თხელი ფენით იყო დაფარული. თვით ყაზარმამ ქვაფენილის მხოლოდ უმნიშვნელო ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიკავა.

ეს კვადრატში, ბურჯიდან აღმოსავლეთით, 1969 წელს გაითხარა 1,25 მ სიგანის ალიზის კედლის ქვის ზეპირკველი (ცოკოლი), რომელიც პარალელურად უნდა გასდევდეს გალაენის ძირითად კედელს, გადადის 71-ე ნაკვეთში. ამ კედლის სიგრძე 13,70 მ-ია. იგი შედგება კვადრების ორი პარალელური სარტყელისაგან; „სარტყლები“ ერთნაირია, ისინი ალიზის კედლის საფუძველს წარმოადგენდნენ (სურ. 1). მათზე ალიზის კედელი ადგა, თუმცა *In situ* არსად შემოინახა; ალიზის კედლის ნაშალით და კრამიტიკულით მთლიანად იყო დაფარული აღწერილი ქვის ზეპირკველი. ზოგიერთი კვადრში (კვ. C8-9) კვადრები ამოჭრეულია. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი კვადრი მიწშივე დაშლილა, ჭარბი ნესტის მოქმედების გამო. თირში კარგად ჩანს საძირკვლის ქვებისთვის ამოჭრილი ბუდეები. მშენებლებს კედლის საძირკველი საფეხურისებურად განულაგებიათ. ზოგჯერ ამ კედლის საძირკვლის დონეებს შორის განსხვავება 1 მ-ს აღწევს. აღნიშნული კედელი გალაენისაგან სამი მეტრით არის დაშორებული და შესაძლოა თავდაცვითი ნაგებობის ე. წ. მეორე რიგს შეადგენს, რომლის მსგავსი, როგორც ვარაუდობენ, ოლბიასაც ჰქონდა⁸. თავისუფალი სივრცე გალაენისა და მეორე კედელს შორის მშენებლებს სამეურნეო მიზნებისთვის გამოუყენებიათ, სამიშრობის დროს კი, როგორც ეს ცნობილია ანტიკური ფორტიფიკაციის საფუძვლებიდან, შეიძლებოდა მისი მიწით ამოკლება და მასინ გალაენის სისქე 6 მეტრს მიაღწევდა. ბურჯიდან № 2 კომპლექსს მოწყობილი იყო დაახლოებით ერთნაირი ფართობის სამი სათავსო (სურ. 1). 70-ე ნაკვეთის C7-17 კვადრატებში ნაწილობრივ შემოინახა გალაენისა და მეორე რიგის კედლის შემაერთებელი ტიხარის ქვის ზეპირკვლის ნაშთები. № 1 სათავსო მოთავსებული იყო აღნიშნულ „ტიხარას“ და ბურჯს შორის. იატაკის დონე აქ ვერ დადგინდა. შესწავლილი იქნა სათავსოში დადასტურებული მძლავრი კულტურული ფენა, რომლის სისქე 1,60 მ-ს აღწევდა. ნახშირნარევი თიხნარის ამ ფენაშია გადგმული თავდაცვითი ნაგებობის მეორე რიგის კედელიც. ამ ფენამ მოგვცა ტიპური წინაელისნისტური ხანის კოლხური კერამიკა, რომელსაც ახლო პარალელები ეძებნება არა მარტო ნაქალაქარის, არამედ მთელი კოლხეთის ძვ. წ. VI—IV სს ნივთიერი კულტურის ძეგლებში.

ამ ფენისათვის ტიპურია: რელიეფურქედნიანი, შავზედაპირიანი ჭურჭლის (3—68/205) ფრაგმენტები, ნაპრიალებორნამენტნიანი შავად ან ღიანაცურისფრად გამომწვარი, ბრტყელოძირა, შედარებით მოზრდილი ჭურჭლის ნატყებები (3—70/207, 219, 250). ასეთი ჭურჭლის გვერდები ძირისაკენ მკვეთ-

⁷ H. Thompson, Two centuries of Hellenistic Pottery, Hesperia, 1934, III, გვ. 409.

⁸ А. Н. Карасев, Планы Ольвии XIX века как источники для исторической топографии города, МИА, 50, М.—Л., 1956, стр. 12.

რად ეწევიან, მათ ფართო მუცელი და ძირისკენ მკვეთრად დაშვებული კალთები ახასიათებთ, ნაპრიალები ზოლები ზედაპირზე ირიბად აქვთ განლაგებული. ანალოგური შემკულობა გვხვდება ამავე ფენის შედარებით მოპყრო ზომის ქოთნის ტიპის ჭურჭელზეც (3—70/248). სამზარეულო ჭურჭლიდან ხშირია ოვალურგანცვეთიანი ქოთნის ყურები, რომლებსაც ზემოდან ან პატარა მრგვალი კაბი აქვს გამოყვანილი, ან მოკლე ირიბი ქედები (3—68/200, 203). ყურადღებას იპყრობს შედარებით მომცრო, ბრტყელძირა, გადაშლილპირიანი ლანგრების ფრაგმენტები (3—68/199), ყურმილიანი დოქის მოზრდილი ყური (3—68/218), კოლხური კონუსურ- და ცილინდრულძირიანი სასმისების ნატეხები (3—70/253, 254, 202). კერამიკასთან ერთად მოპოვებული იქნა საშუალო ზომის საღესი ქვები (3—68/201, 206). ამ ფენის კერამიკა ძირითადად ჩარხზეა დამზადებული, კეცი რუხი ან მონაცრისფერია, მინარევებიანი.

აღწერილ კვადრატებში, ზედაპირიდან 1,70—1,80 მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა ცეცხლში მოხვედრილი, გადამწვარი ბაქაშების ფენა, რომელიც ხის წნულკედლებიანი ნაგებობის შელესილობას უკავშირდება. ზოგიერთ მათგანზე ხის წნელების გარდა ფოთლების ანაბეჭდებით შერჩენილა (3—70/257). ამ ნაგებობასთან ჩანს დაკავშირებული აღწერილი კულტურული ფენა, რომელიც შინაური ცხოველების ძვლების ფრაგმენტებსაც შეიცავდა. ამავე ხანისა და ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები ვანის ნაქალაქარის სხვა ნაკვეთებშიც არის დადასტურებული⁹. ისინი დამახასიათებელი ჩანს ანტიკური ხანის კოლხეთის მატერიალური კულტურისათვის როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე კოლხეთის მთა-ბარში.

№ 1 სათავსოსაგან 4 მეტრის აღმოსავლეთით, იხ-ი კვადრატებში გამოვლინდა გალავნისა და მეორე რიგის კედლის შემაერთებელი კედლე ერთი „ტიხარის“ ქვის ზეძირკველი. მართალია, აქ გალავნის კედელი არ შეინახა, მაგრამ ტიხარის სიგრძე 3 მ ზუსტად გვიჩვენებს, თუ სად გადიოდა გალავნის ხაზი. „ტიხარის“ სიგანის დადგენა არ ხერხდება, მისი აღმოსავლეთი ნაწილი მთელ სიგრძეზე მორღვეულია. იგი აგებული ყოფილა პერანგული წყობის თაღისებური, გალავნისაგან განსხვავებული სახეობით. პერანგებად კვადრების ნაცვლად გამოყენებულია თირის შედარებით მომცრო ქვათილილები, ხოლო ე. წ. „ხურდა ქვა“ — უმეტესად რიყნარი. ასეთი სახის ქვის ზეძირკველზე ამოყვანილი იყო ალიზის კედელი, რომლის ნაშალს მთლიანად დაუფარავს აღნიშნული მონაკვეთი. № 2 სათავსოში იატაკის დონედ თირის კლდოვანი ფენა ყოფილა გამოყენებული; მის ზედაპირზე გაიწმინდა რიყის წვრილი ქვების წყობა და კრამიტის ფრაგმენტები. ჩანს, რომ სათავსოები კრამიტით იყო გადახურული. № 2 სათავსოში აღმოჩნდა 12 სმ დიამეტრის მქონე ფლაკიანის ქვის ხუთი სფერული ჭურვი და კოლხური ამფორების ფრაგმენტები. № 3 სათავსო ვანლაგებული იყო აღწერილ „ტიხარსა“ და № 2 კოშკის დასავლეთ კედელს შორის. აქ იატაკი 40 სმ სისქის თიხანარე-რიყნარით იყო მომზადებული, რომლის ზედაპირზე თირის ქვების ფენილი იყო მოწყობილი. იატაკის დონე ნაწილობრივ დაზიანებულია სამეურნეო დანიშნულების მქონე ორმოებითა და სამშენებლო ქვების ამოკრეფის გამო. იატაკის გაღარჩენილ ნაწილში კრამიტების ნატეხების გარდა აღმოჩნდა ქვის ასე-

⁹ ვ ა ნ ი 1, არქეოლოგიური გათხრები ვანში, 1947—1969 წწ., თბილისი, 1971, გვ. 139

ვე 12 სმ დიამეტრის შქონე ჭურვი, სალესი ქვა და სამი კოლხური ამფორის ქუსლი. როგორც ჩანს, აღნიშნული სათავსოები საწყობების დანიშნულებას ასრულებდნენ. გალავანსა და მეორე თავდაცვითი ხაზის კედელს შორის გადახურვა ხისა იყო. კრამიტით დაფარული სახურავი ცალფერადქანებული ყოფილა. ამ ნაგებობების გვემა ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ეს დადასტურებულია ზოგიერთ რომაულ ციხესიმაგრეში¹⁰.

როგორც აღვნიშნეთ, თავდაცვითი ნაგებობების მეორე ხაზის კედელი მშენებლობის ტექნიკით განსხვავდება გალავნისაგან. ის უფრო ყაზარმის ქვის საფუძვლის წყობას ჩამოგავს, რომელიც ასევე ორი სარტყლისაგან შედგება და ძვ. წ. II—I სს თარიღდება.

ენის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის თავდაცვითი ნაგებობების შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს 89-ე ნაკვეთში გამოვლენილ კოშკს, რომელიც კარიბჭის ნახევარწრიული კოშკისაგან 16 მ-ით არის დაშორებული (სურ. 1). საანგარიშო წელს გაითხარა № 2 კოშკის მხოლოდ დასავლეთი სექტორი. კოშკი გრძელდება 71-ე ნაკვეთშიც. აქ მისი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც გალავნის ხაზს საგრძნობლად სცილდებოდა და გორის ფერდზე წინწაწეული იდგა, მთლიანად მონგრეულია. კოშკი, როგორც ამას მოითხოვდა ანტიკური ფორტიფიკაციის საფუძვლები, გალავნისგან დამოუკიდებლად არის აგებული. აღმოჩენილი კოშკის სამხრეთი ნაწილის მიმართულების მიხედვით იგი გვეგმაში პოლიგონური უნდა ყოფილიყო. იგი გალავნის კედლებს შორის თავსდება და მათგან დამოუკიდებლად არის აგებული. ისევე, როგორც გალავანი, № 2 კოშკის ქვის საფუძველი — ზეძირკველი პერანგული წყობით არის ნაგები. მისი დასავლეთი კედლის სიგანე ასევე 2,80 მ-ია. პერანგებად გამოყენებულია მოზრდილი 75×45 სმ და 65×40 სმ ზომის კვადრები. კოშკის გამოვლენილი სექტორის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც კოშკის შიდა საფასადო მხარეს წარმოადგენს, პერანგი მთელ სიმაღლეზეა შერჩენილი და კვადრების სამი რიგისაგან შედგება (სურ. 5, 6). მისი სიმაღლე 1,10 მ-ია. საძირკველი თირშია გადგმული. პერანგებს შორის სივრცე მარტო თირის ქვებით როდია ამოყვანილი. გარკვეული ინტერვალის შემდეგ აქ ჰორიზონტულადაა განლაგებული კვადრების წყობები, რომლებიც პერანგებს აერთებენ და განსაკუთრებულ სიმტკიცეს ანიჭებენ კოშკის ქვის საფუძველს. კოშკის ახლადგამოვლენილ ნაწილში შეიმჩნევა ერთი მეტად საყურადღებო დეტალი, ქვის საფუძვლის ზედაპირზე, პერანგებს შორის ჩანს 30—50 სმ სიგანის და 10 სმ სიღრმის ქვით ამოუვსებელი ზოლები. არაა გამორიცხული, რომ მათ გარკვეული დანიშნულება ჰქონდათ და ალიზის კედლის ხის კონსტრუქციების ჩასადგმელ ბუდეებს წარმოადგენდნენ¹¹. სულ შემორჩენილია სამი ასეთი სიგრიფი „ბუდე“. ნაქალაქარის სხვა ნაგებობებში მშენებლობის ასეთი ხერხის გამოყენების კვალი არ ჩანს. მეტად საყურადღებოა შემდეგი გარემოება: კოშკის და ამ სექტორის აღმოსავლეთი პერანგის

¹⁰ შეად. D. Tudor, *Olenia Romana*, Bucur., 1968, გვ. 436, სურ. 136. ალიზის გალავნის კედლის კრამიტით დახურვას, გალავანთან დაქანებულსახურავიანი ღერეფის არსებობას ვარაუდობენ ელინისტური ხანის ათენისთვის. Z. Caskey, *The roofed gallery of the walls of Athens*, AJA, ტ. XIV, 1910, №3, ტაბ. VI

¹¹ შეადარე Н. И. Соколовский, *Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья*, М., 1971, стр. 59—60.

კვადრების ზედა ნაწილში, ერთმანეთისაგან 1,10—1,20 მმ დაშორებით ამოკრილია 6X6 სმ ზომის ფოსოები (სურ. 7,7ა). როგორც აღნიშნული გვექონდა, ასეთი ფოსოები დადასტურდა ყაზარმის სამხრეთ კედელშიც. მათ ანალოგიური დანიშნულება ჰქონდათ, მათში ჩადგმული იყო ხის კონსტრუქციები, რომლებიც ალიზის კედლის დასამაგრებელ კარკასებს წარმოადგენდნენ. კოშკის ქვის საფუძვლის თავზეც არ შემოინახა ალიზის კედლები, თუმცა აქ ერთი მეტად საყურადღებო გარემოება დადასტურდა. თხრილის სამხრეთ კრილში (სურ. 5) ნათლად ჩანს გამოუწვავი ალიზის კედლის 1 მ სისქის ამორფულ თიხნარად ქცეული ნაშალი ფენა, რომელზედაც გალადის ნახშიროვანი შრე და კრამიტყრილი. ეს ფენა კოშკის არსებობის ბოლო პერიოდს უკავშირდება.

კრამიტის სახურავის ჩამოქცევის მომენტისათვის კოშკის ალიზის კედლები 1 მ სიმაღლეზე იყო შემორჩენილი. იმ ადგილამდე, სანამდე ხანძარის მოქმედების არე ვრცელდებოდა, ალიზი გამოწვარია, გაწითლებული, დანარჩენი ნაწილი კი გამოუწვავია. ამგვარად, კარგად მტკიცდება, რომ № 2 კოშკს გამოუწვავი ალიზის კედლები ჰქონია. 1971 წელს კოშკის დასავლეთი სექტორი მხოლოდ 5,5 მ-ის სიგრძეზე იქნა გამოვლენილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია დასრულებული სახით წარმოვიდგინოთ ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის თავდაცვითი ნაგებობების რთული სისტემა, რომელიც ორ კოშკს შორის იყო მოთავსებული. გალენის კედელი გამოვლენილია 25 მეტრის სიგრძეზე. იგი მისდევს რელიეფის კიდეს და საქვაბიას ლელისკენ უხვევს. ორი კოშკის ერთმანეთთან ასე ახლოს განლაგება ამ სექტორისადმი მშენებლების განსაკუთრებული ყურადღების მანიშნებელია, რაც, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული ფაქტორებით იყო ნაკარნახევი. № 2 კოშკის შესწავლა არ დამთავრებულა, მაგრამ კედლების გაწმენდისას შესაძლებელი გახდა მისი დასავლეთი კონტურის (სურ. 1) დადგენა. იგი ანალოგიური ჩანს ელინისტური ხანის მანტინეისა და არგოსის ე. წ. ჰექსაგონალური (ექვსწახნაგა) კოშკებისა.

1968—1970 წლების გათხრებმა დაადასტურა, რომ ვანის ნაქალაქარს ერთკა ქვის საფუძველზე ამოყვანილი ალიზისკედლებიანი გალავანი. მისი საძირკველი დედაქანში, თირში იყო გადგმული, ხოლო იქ, სადაც თირი ღრმად იყო განლაგებული, საგანგებოდ ამზადებდნენ თირის ქვის ბალიშებს—საძირკველს, რომელზედაც იდებოდა საფასადო მხრიდან რუსტირებული დიდი კვადრების ორი რიგი. გალენის ქვეშ საფუძვლის სიმაღლე საშუალოდ 1,10 მეტრი იყო. თავდაცვითი ნაგებობის ორივე რიგი ერთდროულად ჩანს დანგრეული ძვ. წ. I საუკუნეში და შემდეგ აღარ აღუდგენიათ.

2. 1970 წელს განახლდა სამუშაოები კარიბჭის სამხრეთით ასიოდ მეტრის დაცილებით, ქვედა ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, საქვაბიას ლელეს თავზე (ნ. მათაიშვილი). მუშაობა წარმოებდა 167, 168, 186 და 187 ნაკვეთების მიჯნაზე მოზომილ თხრილში, მისი მიზანი იყო 1961 წლის თხრილის ჩრდილო და დასავლეთი კრილების შემოწმება (ნაკვეთი 187, კვადრატები მ₃, ხ₃, ც₃).

აღნიშნულ კრილებში ნაშალი თირის თავზე იდო ალიზის, დამტვრეული კრამიტისა და სხვა კერამიკის შემცველი მძლავრი ფენა. კერამიკის შემცველი შრის მაქსიმალური სისქე 0,50 მ-ს აღწევდა და დაფარული იყო დაშლილი ალიზის 0,20—0,30 მ სისქის მქონე ფენით.

თავდაპირველად გაიწმინდა ქრილის ჩრდილოეთით მდებარე ფართობი. თხელი მცენარეული საფარის აღების შემდეგ გამოჩნდა თლილი ქვები და ალიზი. დაახლოებით 0,20—0,30 მ სისქის ნაშალი ალიზის აღების შემდეგ ახლად გაწმენდილ ფართობზე თლილი ქვების ჩრდილო-დასავლეთით გამოიკვეთა ალიზის აგურები, ისინი თითქმის ვერტიკალურად ეწყო და ადგილებში გარკვეული წყობის სახეს ატარებდა. ერთ ნაწილში შემორჩენილი იყო ალიზის აგურების 9 მწკრივი (მათი სისქეა 0,09 მ. იხ. გეგმა, სურ. 8).

ალიზისა და თლილი ქვების ფენა აღმოსავლეთიდან ჩაქრილი აღმოჩნდა გვიანდელი ორმოთი. ეს უკანასკნელი ამოვსებული იყო თანამედროვე გადაწყარით. აღნიშნული ორმოს დასავლეთი კედლის გაწმენდამ დაგვანახცა, რომ ალიზისა და ქვის კვადრები ღვეს დამტკრებული კერამიკისა და კრამიტის სქელ ფენაზე. ამდენად კვადრები ზემოდან გადმოვარდნილის შთაბეჭდილებას ქმნიან, მაკრამ ვინაიდან თავდაპირველი წყობა შენარჩუნებული ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მახლობელი ტერიტორიიდანაა გადმოვარდნილი.

ალიზის ფენა გრძელდება ჩრდილოეთით და დასავლეთითაც. ალიზის დასავლეთი საზღვრის დადგენის მიზნით მოიზომა ზემოთ აღნიშნული თხრილი (16 X 8 მ). თხრილს არა აქვს სწორკუთხა ფორმა, ეს გარემოება განაპირობა 1961 წლის თხრილმა და ზემოთ აღნიშნული გვიანდელი ორმოს არსებობამ.

დაახლოებით 0,20 მ სისქის ჰუმუსის აღების შემდეგ თხრილის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილში გამოჩნდა ქვყარილი, მის დანარჩენ ნაწილში კი შავი ფენა იქნა დამოწმებული. ქვყარილის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ლილისებური მოყვანილობის მქონე „წაბლისფერკეციანი“ ამფორების ქუსლები.

ქვყარილის სისქე 0,20—0,25 მ აღწევდა. მის ქვემოთ გაგრძელდა თხრილის დანარჩენ ნაწილში დამოწმებული შავი ფენა. ამ უკანასკნელის სისქე 0,60 მ იყო. იგი თითქმის სტერილური აღმოჩნდა.

შავი ფენის ქვემოთ, მიწის ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზე დაიწყო მონაცრისფრო-თიხნარი ფენა. ეს უკანასკნელი 0,20—0,30 მ სისქეზე სტერილური იყო. უფრო ქვემოთ, მიწის ზედაპირიდან 1,25—1,35 მ სიღრმეზე თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო ალიზის მკვრივი ფენა. იგი დაუკავშირდა ზემოთ აღწერილ ალიზის აგურებით ნაშენ გადმოქცეულ კედელს. ალიზის ეს ფენა თხრილის სიღრმეში 2 მეტრამდე შემოდის და წყდება 167 და 186 ნაკვეთების მიჯნასთან. თხრილის ამ ნაწილში ალიზის თავზე დამოწმებულ იქნა კრამიტის, ჰიდრავლიკური ხსნარისა და წყალსადენის მილის ნატეხები. ამგვარად, თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში მონაცრისფრო თიხნარის ფენა შეწყდა მიწის ზედაპირიდან 1,30—1,40 მ სიღრმეზე და დაიწყო ალიზის ფენა, დასავლეთ ნაწილში კი იგი 1,80 მ სიღრმეზე გაგრძელდა. თხრილის ამ ნაწილში ჩნდებოდა დაშლილი ალიზი და კრამიტების ნატეხები (სურ. 9, 9ა).

ზედაპირიდან 1,88 მ ქვემოთ დაიწყო შავი კულტურული ფენა, რომელიც გაგრძელდა 2—2,20 მ-მდე, მასში აღმოჩნდა შველაკიანი ლანგრისა და ადგილობრივი კერამიკის რამდენიმე ნიმუში. ამ ფენის ქვეშ იდო თხელი ნაცრისფერი ფენა, მისი სისქე 0,10—0,15 მ-მდებოდა. ამ ფენის აღების შემდეგ აღმოჩნდა დამტკრებული კრამიტის ფენა.

კრამიტის ფენა შედიოდა თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ალიზის ფენის ქვეშ. ალიზის ფენის ალების შემდეგ, რომლის სისქე ადგილზე 0.70 მ-ს აღემატებოდა, მთელ თბილისში გამოიკვეთა კრამიტის ფენა, მაგრამ განსხვავებით თბილისის ჩრდილო ნაწილში დამოწმებული წერილად დანტრეული კრამიტისაგან, სამხრეთ ნაწილში შედარებით დიდი ზომის ნატეხებია, ამავე დროს ნაკლებად კომპაქტურადაა განლაგებული. ამიტომ ჩრდილო ნაწილში არსებული წერილად დამტრეული კრამიტის ფენა მოკირწყელის იერს ატარებს. ამგვარ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ წერილი კრამიტის ფენა თბილისის ცენტრალურ ნაწილში წყდება თირის დონეზე. ამასთანავე ზოგიერთი მოზრდილი კრამიტის ქვეშ ისევ წერილი კრამიტები ჩნდება. აღსანიშნავია ის მომენტი, რომ წერილი კრამიტის ფენის პრეპარაციის დროს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამფორის კედლის აღმოჩენის ერთადერთ შემთხვევას, არავითარი მასალა არ ჩნდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც რამდენადმე განსხვავებული სურათი შეინიშნება. აღნიშნული ნატეხი დეკა წერილი კრამიტების თავზე. ჩვეულებრივ კი კერამიკა თუ სხვა სახის მასალა ჩნდება კრამიტის ფენის ქვეშ, ან უშუალოდ მის დონეზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თბილისის სამხრეთ ნაწილში დანახშირებული ძელები შედის კრამიტის ფენის ქვეშ, თბილისის ჩრდილო ნაწილში კი დანახშირებული ძელი კრამიტის ფენის თავზეა დაყარდნილი.

თბილისის სამხრეთ ნაწილში არსებული კრამიტის ფენის პრეპარაციის დროს საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა აღმოჩნდა. მათგან აღსანიშნავია შავადგამომწვარი ქვევრების კედლების ნატეხები, „წაბლისფერკეციანი“ ამფორების რამდენიმე ქუსლი, როდოსული მცირე ზომის ამფორის ორსვეტა ყურისა და შავლაიანი სუფრის ჭურჭლის ნატეხები. ამ უკანასკნელთაგან საყურადღებოა თეფშის ძირის ნატეხი, რომელსაც ფსკერი შემკული აქვს ოთხი დატვიფრული პალმეტითა და ამოღარული კონცენტრული წრეხაზებით. აქვეა აღმოჩენილი მინის ცილინდრული მძივი და ბრინჯაოს ნივთების მცირე ნატეხები.

თბილისის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებული კრამიტის ფენა, როგორც ჩანს, უკავშირდება 1961 წლის თბილისის კრამიტის ფენას, იგი გრძელდება დასავლეთითაც და უერთდება 1961 წელს დაუმთავრებელი კვადრატის ჭრალში გამოჩენილ კრამიტის ფენას (ამ უკანასკნელის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს სასმისის ნატეხები).

კრამიტის ფენის საზღვრების დადგენა აღნიშნულ თბილისში ვერ მოხერხდა. ამიტომ თბილისისა და სტრატეგოგრაფიის განსაზღვრის მიზნით, კრამიტყრილი ავიღეთ მხოლოდ თბილისის მცირე მონაკვეთზე, კერძოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში (ნაკვ. 187, კვ. ხ₁ც₁—ხ₂ც₂).

კრამიტყრილის ქვეშ, რომელიც განსაკუთრებით სქელი აღმოჩნდა ხ₂ და ც₂ კვადრატებში, დიდი რაოდენობით იყო კერამიკა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ამფორების ნატეხები. აღნიშნულ ნაკვეთზე აღმოჩნდა 36 ამფორის ქუსლი. მათგან ერთი როდოსულია (ორსვეტა ყურებიანი, ძვ. წ. I ს), დანარჩენი „წაბლისფერკეციანი“. წაბლისფერკეციანი ამფორების უმეტესობას დილისებური ქუსლი აქვს, მხოლოდ რამდენიმე ნიმუში, რომელიც ზომების მიხედვით მცირე ტევადობის ამფორებს უნდა მიეკუთვნოს, განსხვავებული, ცილინდრული მოყვანილობისა.

გარდა ამფორებისა, აღნიშნულ ფენაში დიდი რაოდენობით გვხვდება დოქების ნატეხები, პირების, ძირების, ყურებისა და კედლების ნიმუშები. ძირებიდან აღსანიშნავია ერთი წითელი ლაკით დაფარული და ერთი წითლად შეღებილი ნიმუში. პირ-ყელის ნატეხებიდან აღსანიშნავია ერთი შედარებით უკეთ დატული ნიმუში. მას აქვს მაღალი ცილინდრული ყელი, გარეთ გადაშლილი, ოდნავ პროფილირებული კიდე და ბრტყელი ყური. ყელი თანაბრად უერთდება მხრებს. გადასვლის ადგილი შემკული აქვს რელიეფური ქედითა და წითელი სარტყლებით.

ჭურჭლის ყურები მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. გვხვდება გრებილი, ორსვეტა უნაგირისებური დანაძერწებით შემკული. ბრტყელგანივკეთიანი ყურებიც ხშირად შემკულია უნაგირისებური დანაძერწით. აღნიშნული ყურები უმთავრესად დოქებს უკავშირდება, მაგრამ ნაწილი შესაძლებელია დეკორატიულ ამფორებს მიეკუთვნოს.

თიხის ჭურჭლის კედლების უმეტესობაზე შემორჩენილია წითელი მონატულობის კვალი. მათი უმრავლესობა ადგილობრივი უნდა იყოს. მხოლოდ ორი ნიმუში შეიძლება დაუეკავშიროთ გარე სამყაროს. მათგან ერთი მოწაბლისფრადაა გამომწვარი, შემკულია წაბლისფერი ლაკით შესრულებული სარტყლებითა და მძივსაყიდებით. მეორეს აქვს წაბლისფრად გამომწვარი, სუფთადგანლექილი კეცი და შემკულია წაბლისფერი ლაკით შესრულებული სარტყლებით.

საღვინე ჭურჭლის სხვა სახეობიდან აღსანიშნავია კანთაროსების ნატეხები. უმეტესობა იმპორტულია. მათგან ერთი (კედლის მცირე ნატეხი) შავლაკიანია, შემკულია სიგრძივი ღარებით. მეორე აგრეთვე კედლის ნატეხია, დაფარულია წაბლისფერი ლაკით. მესამე პირის ნატეხია, წითელკეციანია, ლაკგადატული. გარდა ამისა, გვხვდება კანთაროსისებური ჭურჭლის ადგილობრივი სახეობა. ეს უკანასკნელი შავადაა გამომწვარი და გაპრიალებული.

სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია შავლაკიანი და წითელლაკიანი კერამიკის მცირე ნატეხებით. ესენია ნახევარაფერული თასები, თეფშები, სათევეზე ლანგრები. გარდა ამისა, აღმოჩენილია იმპორტული სუფრის ჭურჭლის მიბაძვით დამზადებული კერამიკის ნიმუშებიც.

კერამიკის სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია ქოთნების, ხუფებისა და ნიშნიანი კრამიტების ნატეხები.

წარმოდგენილი კერამიკა ზოგადად გვიანელინისტური ხანით თარიღდება.

გარდა კერამიკისა, აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს რამდენიმე ნატეხი და მონეტა (?).

კრამიტყრილის ქვეშ აღმოჩენილი კულტურული ფენა დევს ქვაყრილზე. ქვაყრილი ავიდეთ მხოლოდ ხ₁ და ხ₂ კვადრატებში. ქვაყრილის აღების შემდეგ დაიწყო თირნარევი ფენა, რომელიც 0,10 მ-ის სიღრმეზე სტერილური აღმოჩნდა. უფრო ქვემოთ აღმოჩნდა კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი. მათგან აღსანიშნავია ქიოსური ამფორის ქუსლას, სოლოხა I ტიპის ამფორის პირის, წაბლისფერკეციანი ამფორის ყელ-პირისა და ღარიანი ორნამენტით შემკული დერგის პირის ნატეხები.

აღნიშნული ნიმუშები წინაელინისტური ხანას მიეკუთვნება.

ამგვარად, განხილულ თხრილში დამოწმებული იქნა გვიანელინისტური და წინაელინისტური ხანის ფენები.

წინაელინისტური ხანის ფენის დაკავშირება რაიმე ნაგებობასთან დღეს-დღეობით არ ხერხდება. გვიანელინისტური ხანის ფენა უკავშირდება ნაგებობას, რომელსაც თლილი ქვების ცოკოლზე დაშენებული ალიზის კედლები ჰქონია.

განხილული მასალის საფუძველზე ეს ნაგებობა გვიანელინისტურ ხანაში უნდა იყოს განადგურებული. ნაგებობის ხასიათისა და დანიშნულების განსაზღვრა ამგვარად არ ხერხდება.

3. სამეშაოები ჩატარდა მოზაიკურიატაკიან ტაძარშიც და მის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით (ნაკვეთები 181, 182, 199 და 200, სურ. 10—21). ნაგებობის გაწმენდის შემდეგ გაითხარა მისი აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის შესწავლაც წინა წლებში (1966—1969) არ ყოფილა ბოლომდე მიყვანილი. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დავედით თირამდე. აქ თირი დაქანებულია სამხრეთისაკენ და მისი შემადგენელი ნაწილი გაცილებით უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე მოზაიკურიატაკიანი ნაგებობის ქვეშ გამოვლენილი (1966 წლის გათხრებით) ხსნარიანი იატაკი¹². ეს ფართობი ტაძრის შიდა ტერიტორიაზეა, ასე, რომ სასოფლო გზის პირას გადარჩენილი კედელი, ე. ი. ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კედლები, რომელთა კუთხეც მონგრეულია გზის გაფართოების დროს, არ უნდა იყოს ქვედა იატაკის ნაგებობისა. იგი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ხსნარიანი იატაკიანი ნაგებობა, ვრცელდებოდა აღმოსავლეთით.

ტაძრის ფართობის ერთიანად გაშიშვლებამ ცხადი გახადა, რომ ნაშალი ალიზის ფენა ფარავს ტაძრის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებს. აღმოსავლეთ კედელზე იგი შიგნითაც გადმოდის, დანარჩენებზე კი გარეთ არის გადაქცეული. ტაძრის აღმოსავლეთი კედელი, თუ მას თირში ქვების ჩასაწყობად საგანგებოდ ჩაჭრილ ფართობსაც მივათვლით, სივანით თეთქმის ოთხი მეტრია (სურ. 10, 12, 13).

ბოლომდე გაიწმინდა გათლილი თირისა და ქვიშაქვებისაგან შემდგარი ყრილი, რომელიც აღმოსავლეთ კედელს გასდევს მთელ სიგრძეზე. მის ჩრდილო ნაწილში გაიწმინდა კრამიტყრილი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს დაშლილი ალიზი და კრამიტყრილი დეეს დანგრეულ კედელზე და ზევიდან ცოტაოდენი მოსწორების შემდეგ კვლავ დაუშენებიათ კედელი, რომლის პატარა ნაწილია გადარჩენილი შუა ადგილას — აქ ორი კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრი და რამდენიმე თირის ქვა დეეს პორიზონტულად (სურ. 14), მათ შორის კი კრამიტების ნატეხებია საგანგებოდ ჩაწყობილი ფართობის ამოკლებაზე. კედლის ჩრდილო კიდედან განსაკუთრებით მაღალი გროვია გათლილი ქვიშაქვებისა, შიგადაშიგ თირის ქვებით ურევია. ქვები მაინცაღამათნიც კარგად გათლილი არ არის, არაწესიერი ფორმის კვადრებია, მაგრამ გათლის ყვანი მაინც ამკარად ატყვია. ისინი უმთავრესად საშუალო ზომისაა (30×20 სმ, 25×35 სმ). გროვის ქვეშ და ქვებსა და ქვებს შორისაც მოხანს ალიზის ნაშალი და მცირე რაოდენობით კრამიტების ნატეხებიც. ყურადღებას იქცევს ამ გროვის ალაგების დროს აღმოჩენილი დამლიანი კრამიტის ნატეხი (სავ. № 3—70/6). სწორკუთხა ნაქვედში კარგად გაირჩევა ორი

¹² ვ ა ნ ი, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947—1969 წწ., თბილისი, 1972, გვ. 173.

ასო HP, შემდეგი ასო თითქოს A უნდა იყოს, მეტი კი მთლიანად გადაშლილია. კრამიტის თხა მსვილ-პარკლოვანია, მინარეუბიანი, მუქქითლად გამოშვარი, ზედაპირი მოსწორებული აქვს. იგი შესაძლოა სინოპური იყოს და ფაბრიკანტის სახელს — ჰერაკლიდეს შეიცავდეს. ეს სახელი გვხვდება სინოპური კრამიტების დამლებზე, რომლებიც ასე ხშირია ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ჰერაკლიდეს სახელის შემცველი დამლა სინოპურ კრამიტზე გამოქვეყნებული აქვს ე. პრიდეს თავის ცნობილ ნაშრომში — ერმიტაჟში დაცული დამლების კატალოგი¹³.

ვანში სინოპური კრამიტის დამლიანი ნატეხებისხვა დროსაც არის აღმოჩენილი, ერთ-ერთი მათგანი შემთხვევით არის ნაპოვნი ნაქალაქარის ტერიტორიაზე და ამჟამად ვანის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში ინახება, მისი წაკითხვა მოცემული აქვს გ. ლორთქიფანიძეს თავის საკანდიდატო დისერტაციაში¹⁴. ახლად ნაპოვნი დამლიანი კრამიტი მისგან რამდენადმე განსხვავდება თიხითა და გამოწვით, დამლა კი საესებით ისეთია, როგორც ერმიტაჟის კოლექციისა.

1971 წელს არქეოლოგიური თხრა გაგრძელდა 182-ე ნაკვეთში ტაძრის სავარაუდებელი ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ და მის აღმოსავლეთით. ძლიერ მეკრივი კორდოვანი და ჰუმუსური ფენის ალების შემდეგ გამოჩნდა ტაძრის კედლებიდან გადმოცვენილი თლილი ქვები, რომელიც შორის იყო რკინის პირობებით ერთმანეთზე გადაბმული კარგად გათლილი ხუთი კვადრი (სურ. 16, 17). მაგრამ ჩანდა, რომ ამგვარად გადაბმული კვადრების რაოდენობა მეტი იყო, რადგანაც განაპირა კვადრებს თავშიც და ბოლოშიც ჰქონდა შემდეგ კვადრზე გადასაბმელი პაზი და რკინის პირობი. თხრილის მთელ სიგრძეზე ჩნდებოდა სხვადასხვა ზომის კარგად გათლილი ქვები, რომლებიც, როგორც ჩანს, კედლის დანგრევის შედეგად მოსველდა აქ (სურ. 16, 17). ქვების ქვეშ ალიზის კედლის ხანგრძლივითა, მის ქვეშ დამტყვევული კრამიტები (სურ. 17), შემდეგ კი ხის ძელების ნაშთები. საბოლოოდ გაწმენდის შემდეგ მოზაიკურიატაკიანი ტაძრის ჩრდილო კედლის გასწვრივ, მის ნანგრევებზე გაკეთებული ჭრილი ასეთ სურათს იძლევა: ალიზის ნაშალი, მას კრამიტების ნატეხებით ურევი, ქვის ანათალის შრე, გადმოცვენილი, შედარებით მცირე ზომის ქვები, გათლილი ქვების ნატეხები, თიხნარი ფენა, რომლის ქვეშაც ისევე ანათალის შრე გამოსკვივის, თირის ქვების კედლის წყობა, რომელიც თიხშივე ამოჭრულ ბუდეებშია ჩაწყობილი. ეს კედელი ტაძრის აღმოსავლეთი კედლის გაგრძელებაა სიგანეში, მაგრამ ცოტა იჩინად მიემართება, ალბათ თირის დონის გასასწორებლად იგი ნაგები (იხ. გეგმა, სურ. 10). ტაძრის ჩრდილო კედლიდან ჩრდილოეთით, მისგან დაახლოებით 1 მეტრის დაცილებით, გამოჩნდა მის პერპენდიკულარულად მიმართული კედლის ნანგრევები (სურ. 10). წყობა თლილი ქვიშაქვებისაგანაა შედგენილი. მისგან ორი მეტრის დაცილებით, დასავლეთით, მისი პარალელური მსგავსივე კედელი აღმოჩნდა. ეს ორივე კედელი შედის ჩრდილოეთით გაუთხრელ ნაწილში. მათი ბოლომდე გამოვლენა საანგარიშო წელს ვერ

¹³ Е. Е. Придик. Инвентарный каталог клейм на амфорных ручках и горлышках и на черепицах эрмитажного собрания, Петроград, 1917. стр. 127.

¹⁴ Г. А. Лордкипанидзе, Колхида в II—I вв. до н. э.

მოხერხდა. ამ კედლების აღმოსავლეთით, ორ მეტრზე მეტ სიგრძეზე ალიზის ფენის ქვეშ იწყება შავი, დამწვარი ფენა, რომელშიც არც დამწვარი ხის ნახშირები გაირჩევა და არც სხვა რამ ნაშთები. მასთან ახლოს განსაკუთრებით ძლიერი ხანძრის კვალი ჩანს — წიდად ქცეული ალიზ-კრამიტი. მას განსაკუთრებით ბევრი ურევია მრგვალი რიყის ქვები. ხშირად გვხვდება ლურსმნები. ერთი მათგანი ძალიან დიდია — 22 სმ სიგრძისა (3—71/425). მისი კვადრატული თავის ზომებია 3×3 სმ. ეს შავი, დამწვარი ფენა მიწის ზედაპირიდან 1,5 მ სიღრმეზეა, $2 \times 2,35$ მ ფართობზე. მისი ალების შემდეგ რიყის დიდი ქვები და თირის ნაგლეჯი ქვები გამოჩნდა, აგრეთვე გათლილი ქვიშაქვების ნატეხებიც. აქა-იქ რკინის მოზრდილი ლურსმნები გვხვდება, თითო-ოროლა კერამიკის ფრაგმენტები ღია ფერის თიხისა, ანგობიანი ამფორის ლალვაკიანი პირის ნატეხი (სავ. № 3—71/426). კოლხური ამფორის ყელის ნატეხები (3—71/427) წითელაკიანი (ცეცხლში გაშავებული) ჭამის ქუსლის ნატეხი (3—71/428) და სხვა მასალა, რომელიც დამახასიათებელია ქალაქის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდისათვის.

ამ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და ნაგებობის ხანძარში დაღუპვის სურათი იმაზე მიუთითებს, რომ მოზაიკურიატაკიანი ნაგებობაც, მსგავსად ვანის ნაქალაქარის სხვა ნაგებობებისა, ძვ. წ. 1 საუკუნის შუა ხანებში დაღუპულა და შემდეგ ამ მონაკვეთზე დიდხანს აღარ განახლებულა ცხოვრება, ვიდრე შუაფეოდალურ ხანამდე. აქ ზედა ფენებში, წინა წლებში, ამ ხანის რამდენიმე კერამიკული ნატეხი შეგვხვდა (მოკიქული მცირე ზომის ნატეხები).

მეტად საინტერესო გამოდგა მოზაიკურიატაკიანი ტაძრის აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შესწავლილი ფართობი. ტაძრის აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთით, ჯერ კიდევ წინა წლებში, გვხვდებოდა თეთრი კირქვის არქიტექტურული დეტალების ძლიერ დაზიანებული ნატეხები (სურ. 14, 15), რომელიც ჩვენ ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის არქიტექტურული გაფორმების ნაშთებად მივიჩნიეთ¹⁵. 1971 წელს კი ამ თითო-ოროლა ასეთი ნატეხის ევარიტო აღმოჩნდა თეთრი კირქვისავე კორინთული სვეტისთავი (სურ. 18, 19, 20, 21). მისი ორი მხარე ძალზე დაზიანებულია, ორი კი შეღარებულია კარგადაა ვადარჩენილი (ის მხარეები, რომლითაც სვეტისთავი მიწაზე ეჯდო) და შესაძლებლობას იძლევა მისი სრულად რეკონსტრუქციისა (ნახ. 18—19, აზომა და ადადგინა გ. ლეჟავამ). სვეტისთავი, რომლის სიმაღლე 47 სმ-ია, ფუძის დიამეტრი — 40 სმ, შემკულია აკანთის ფოთლების ორი წყებითა და მაღალი რელიეფით შესრულებული ქალის ბიუსტით, რომელიც, როგორც ჩანს, ოთხივე მხარეს ამშვენებდა სვეტისთავს, ამჟამად მხოლოდ ორ მხარეს არის შემორჩენილი (სურ. 19).

მოზაიკურიატაკიანი ტაძრის აღმოსავლეთით, მისგან 0,80 მ-ის დაცილებით, როგორც ეს წინა წლების ანგარიშებშიც იყო აღნიშნული, გამოჩნდა თირში ჩაპრილი საპირკველი ნაგებობისა, მისი დასავლეთი კედლის გაკრძელება 1971 წელს გათხრილმა მონაკვეთმა გამოავლინა. აქვე, საფუძველიდან 50 სმ-ის დაცილებით, ორი ორმო აღმოჩნდა თირში ჩაპრილი. ამ ნაგებობის

15 ით. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. თოლორაძე, ა. ქუთნია. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბილისი, 1971, გვ. 61 და შემდ.

კედლების საფუძვლის ბოლომდე გამოკვლევა ვერც საანგარიშო წელს მოხერხდა. მისი შესწავლა შემდეგნაირად გადაიდო.

4. ძირითადი და უმთავრესი სამუშაოები ისევე, როგორც წინა წლებში. გრძელდებოდა ცენტრალურ ტერასაზე (სურ. 22). პირველ რიგში დასრულდა 68 და 50-ე ნაკვეთებზე დარჩენილი უღლებისა და სტრატиграფიული ჭრილების შესწავლა. გაგრძელდა კულტურული ფენების შესწავლა ე. წ. 17-მეტრიანი კედლის გაყოფებით. სიღრმეში, წარჩინებული კოლბი მეომრის სამარხის (სამარხი № 9) ჩრდილოეთით 1,5 მ-ის სიღრმეზე კედლის წყობის უკანასკნელი რიგიდან აქ აღჩვენდა შეიმჩნეოდა თირში ჩაჭრილი ორმო, რომლის გასუფთავებისას აღმოჩნდა ცეცხლისაგან გაღამწეარი თირის ქვები, რიყის ქვები, საქონლის ძვლები და საკმაოდ დიდი რაოდენობით კერამიკული ფრაგმენტები. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კერამიკას სრულებით არ ურევია იმპორტული ქურქლისა და ამფორების ნატეხები. გვხვდება დიდი რაოდენობით კოლხური პითოსების, დერგების, ზომორფულყურაინი ქოთნებისა და სასმისების ნატეხები. ქურქელი ორნამენტირებულია, გვხვდება სპირალური ორნამენტი, ანტიკური ხაზებისაგან შედგენილი სარტყლები, ირიბი ნაკვეთებისაგან შედგენილი სარტყლები, წინებით გამოყოფილი ორმბული ბაღე და სხვ.

ცენტრალურ ტერასაზე 1970 წელს გაითხარა დიდი ფართობი (30 X 20 მ): ნაკვეთები 85, 86, 67. აქ ორმეტრიანი კორდოვანი და ჰემუსოვანი ფენების ქვეშ აღმოჩნდა ახალი წყება ნაგებობებისა და ცალკეული კედლებისა (სურ. 22—24), რომელნიც თარიღდებიან ძვ. წ. IV, III, II და I საუკუნეებით. ეს ნაგებობანი აქ ორ იარუსადაა განლაგებული. აღმოჩნდა ზედა იარუსისაგან ასასვლელი 18-საფეხურიანი კიბე, რომელიც უსწორო გათლილი ქვებითაა ამოყვანილი (სურ. 23—24, 26). განსაკუთრებით საინტერესოა ძვ. წ. III-II სს. ერთი კედელი, რომელიც 85-ე ნაკვეთის I და K ხაზებს შორის გამოვლინდა და 1971 წელს მთლიანად გაიწმინდა. იგი თირის ქვითაა ნაგები (კედელი № 17). მისი სიგრძე 22 მეტრია (სურ. 29). შემორჩენილია საშუალოდ 4—5 რიგი. კარგადაა შემონახული ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე (სურ. 23, 26). ამ კედლის ფასადის ნაწილი მთლიანად თირის ქვათილებითაა ამოყვანილი (მხოლოდ აქა-იქ გამოერევა თეთრი კირქვის ფრაგმენტები). თირის ქვათილები, როგორც წესი, ბრტყელია და წაგრძელებული. საშუალო ზომებია: სიგრძე 50—70 სმ, სიმაღლე 10—15 სმ. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში კარგად გათლილი ქვა გამოყენებული (სურ. 23, 26). მისი სიგრძე 45 სმ-ია, სიმაღლე 30 სმ, სიგანე 55 სმ. ქვათილები ერთმანეთთან ოხის ხსნართაა დაკავშირებული. აღწერილი წყობა № 17 კედლის საფასადო მხარეა — მისი გარე პერანგი, შიდა სივრცე კი ამოვსებულია სხვადასხვა ზომის ქვათილებითა და რიყის ქვებით. კედლის საერთო სიგანე 5,60 მ-ია. ის, როგორც ჩანს, წარმოადგენდა საპირველს კრამიტით გადახურული ღია ტიპის შენობისათვის.

1971 წელს გაგრძელდა 67-ე ნაკვეთის 8—10 და 68-ე ნაკვეთის 8—10 კვადრატებში წინა წელს გამოვლენილი კედლის ფრაგმენტებისა და მათ ქვეშ მდებარე კულტურული ფენების შესწავლა (სურ. 23, 24).

ჰემუსური ფენის ქვეშ გამოვლინდა თირის ქვებით ნაგები კედლის ფრაგმენტები. აქ თითქოს ორი კედელია ერთმანეთზე დაშენებული. ზედა წყობის მხოლოდ ერთი რიგია შემორჩენილი. თირის ქვათილებთან ერთად

წყობაში რიყის ქვებიკა გამოყენებული. მის ქვემოთ აგრეთვე ძალზე ფრაგმენტული წყობა: შემორჩენილია მცირე ზომის ქვათილებით შედგენილი 2—3 რიგი. წყობა პირდაპირ ყვითელ თიხნარზეა დაშენებული და, როგორც ჩანს, განეკუთვნება ქალაქის ცხოვრების სულ უკანასკნელ ეტაპს — ძვ. წ. I საუკუნეს.

ამ წყობის ქვეშ 0,8—1 მ სიმაღლის ყვითელი თიხნარი ფენაა, რომელიც ალაგ-ალაგ ცეცხლისგანაა ძლიერ გაწითლებული და მისგან გაშავებულიც. ამ ფენაში გვხვდებოდა კრამიტისა და კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. საგანგებოდაა აღსანიშნავი შავლაქიანი ჭურჭლის ფრაგმენტი (საე. № 3—71/54), მისი ძირი შემკულია კონცენტრულად განლაგებული ფრჩხილისებური ირიბი ორნამენტით, კალთამომრგვალებულია. აქვეა ბრინჯაოს გვერდშუქრილი ზარაკი (3—71/57) და ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი (3—71/56), რომლის ბოლოები ცხოველის სტილიზებული გამოსახლებითაა შემკული.

ყვითელი თიხნარი ფენა გადადის მონაცრისფრო-ყვითელ თიხნარში. კერამიკული ფრაგმენტები ამ ფენაში შედარებით მცირერიცხოვანია. აღსანიშნავია მხოლოდ: კალიბტერის ფრაგმენტები (3—71/132), რელიეფური ქედებით შემკული, შავად გამომწვარი ქვევრის კედლის ფრაგმენტი (3—71/130), შავად გამომწვარი თიხის პირგადაშლილი ქვევრის ნატეხი, შემკული გრებილი ორნამენტით (3—71/129), პარალელური და ირიბი ღარებით შემკული ქვევრის პირის ფრაგმენტი (3—71/128), ტალისებური ორნამენტითა და ორი პარალელური ღარით შემკული ღოჭის კედლის ფრაგმენტი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა (3—71/127) და წითელკეციანი ამფორის ძირი (3—71/127).

„მონაცრისფრო-ყვითელ“ თიხნარს ენაცვლება ხანძრისაგან ძლიერ გაშავებული ფენა, რომელიც ნახშირის ნატეხებსაც შეიცავდა. 67, № 10 და 68, № 10 კვადრატებში თითქმის მთელ ფართობზე გვხვდებოდა უწყისრიგოდ გაფანტული რიყისა და თირის ქვები, რომელთა ერთი ნაწილი ცეცხლისაგანაა გაშავებული. საკუთარ მრავლად იყო საქონლის ძვლებიც.

ეს ფართობი საგანგებოდ იქნა პრეპარიებული და შემდეგ ქვებისაგან განთავისუფლებული. ქვების აღებისას კვლავ ჩნდებოდა საქონლის ძვლები¹⁶ და აგრეთვე კრამიტის ნატეხები (როგორც წესი, ადგილობრივი ბრტყელი კრამიტებისა). საგანგებოდაა აღსანიშნავი ქვების გროვაში ნაპოვნი ნატეხი შავლაქიანი ჭურჭლისა, რომელიც ზეთისხილის ფერის ლაკით კარგად თარიღდება ძვ. წ. II საუკუნით. ამ ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა თიხატყეპნილი მოედანი, რომელიც ფარავდა თირის ქვით ნაგებ კედლებს. ცხადი იყო, რომ ეს კედლები უნდა ეკუთვნოდნენ ძვ. წ. II საუკუნეზე უფრო ადრეულ ხანას.

თიხატყეპნილის სისქე დაახლოებით 10—15 სმ-ია. მის ქვეშ გამოვლინდა მეტად საინტერესო ნაგებობის საძირკველი. ეს ნაგებობა წარმოადგენს აბსიდიან შენობას, რომლის საძირკველი თირის ქვათილებითაა ამოყვანილი (სურ. 25, 27, 28).

¹⁶ ძვლები განსაზღვრა ა. ციციშვილმა. აღმოჩნდა პატ.რა ტანის ძროხის, ღორისა და თხის ძვლები.

ნაგებობის საძირკველი ორი ნაწილისაგან შედგება: სწორკუთხა სათაყ-სოს სამხრეთი მხრიდან ედგმის ნახევარწრიული მიწაშენი, რომელიც, როგორც ჩანს, თავის დროზე აბსიდას წარმოადგენდა. ამ ნაგებობის ჩრდილო და სამხრეთი კედლები კიბიანებურადაა ამოყვანილი. კარგად ჩანს, რომ მისთვის საგანგებო საძირკველი არ გაუჭრიათ და იგი პირდაპირ კულტურულ ფენაზეა ამოყვანილი. თავსებით აშკარაა, რომ ჯერ სამხრეთი კედელია ამოყვანილი და მერეა „აბსიდა“ მიშენებული, რომლის ზემოთ იატაკი იქნებოდა დაგებული.

„აბსიდიან“ ნაგებობას ჩაუჭრია ადრეანტიკური ხანის კულტურულ ფენა, რომელიც ინტენსიურად იჩენს თავს კედლების გარეშ.

ამ ფენაში მრავლად გვხვდება ხის წნულის ანაბეჭდიანი წიოლად გამოშვარი ბათქაშის ნატეხები და ძვ. წ. VI—IV საუკუნეებისათვის ტიპური კოლხური კერამიკის ფრაგმენტები (ქელიანი დერგები, ირიბკალთიანი, ბრტყელძირა ჭამები და ა. შ.). აღსანიშნავია: ჭურჭლის (ქოთნის?) ფრაგმენტი (№ 3—71/87), მუქ ყავისფრად გაპირალებული, ბადისებური ორნამენტით შემკული; ზოომორფული დანაძერწით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტი (3—71/48); შავად გამოშვარი თიხის ჭამის ნატეხი, ძლიერ პირვადშლელი, ბრტყელძირა, შეველგვერდიანი, სიმაღლე 6 სმ-ია (№ 3—71/46); მონაცრისფროდ გამოშვარი თიხის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი, შემკული რელიეფური ბურცობით და მის გასწვრივ კონცენტრული წრეებით, ტანზე შეყოყვება პარალელური ღარები (3—71/45); ამფორის ფრაგმენტები, ვარდისფერი თიხისა, ოდნავ ანგობიანი, კეცი თანაბრად გამოშვარია, ქარსნარეკია (3—71/86); შავლაკიანი ჭურჭლის ორი ფრაგმენტი (3—71/77); ღია ტიპის ჭურჭლის ქუსლის ფრაგმენტი, შავლაკიანი; ძირი შემკულია პალმეტები-ბითა და ირიბი ქდეული ორნამენტით (3—71/11); წითლადმოხატული დოქის ფრაგმენტი (3—71/44).

„აბსიდიანი“ შენობის დათარიღებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კედელთან ახლოს, იმ ფენაში, რომელზედაც კიბისებური წყობაა ამოყვანილი, ნაპოვნია ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის ძირი, რომელიც ირიბი ქდეებით შედგენილ წრეში ჩასმული ნატევიფრი პალმეტებიანაა შემკული (№ 3—71/257) და კარგად თარიღდება ძვ. წ. IV ს შუა ხანებით და შესაძლოა მეოთხედით. იქვეა მასთან ერთად ნაპოვნი წითლადმოხატული დოქის ფრაგმენტი: ყვითლად ანგობიანებული ზედაპირი წითელი საღებავით გამოყვანილი დაშტრიხული სამკუთხედებითაა მორთული (№ 3—71/44). ეს ფრაგმენტი ეკუთვნის იმ დოქების ტიპს, რომლებიც ვანის ნაქალაქარზე 1969 წელს აღმოჩენილი წარჩინებული მეომრისა და ბავშვის სამარხებშია ნაპოვნი¹⁷.

ამრიგად, სტრატეგრაფიული მონაცემებით „აბსიდიანი შენობა“ საკმაოდ კარგად თარიღდება: იგი აგებულია ძვ. წ. IV ს მიწურულს ან III საუკუნეში და დანგრეულია II ს დასაწყისში ძლიერი ხანძრისაგან.

აღსანიშნავია, რომ ამ ხანძრის კვალი კარგად ჩანს მთელს მივლებარე ფართობზეც. კერძოდ 86, ა1 კვადრატშიც. აქ პრეპარირებულია რიყის ქვების საკმაოდ მოზრდილი გროვა, რომელშიც აუქულია ცეცხლისაგან გაწითლებული თირის ქვები, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. № 17 კედ-

17 ეანი 1, თბილისი, 1972, გვ. 208, 212, სურ. 176.

ლპს აღნიშნავს ალმონდა კრამიტის ჩაქცეული სახურავი, რომლის ნაშთებს დაახლოებით 100 მ² ფართობი ეკავათ (სურ. 29—30). კრამიტებთან ერთად ფიქსირებულია დამწვარი ხის კოქისა და ძელების ნაშთები (სურ. 31—33). კრამიტები, როგორც წესი, ადგილობრივია (მხოლოდ თითო-ორილა ფრაგმენტია სინოპური და ჰერაკლეს კრამიტისა), წითლად გამოშვარი. უმეტესი ნაწილი ბრტყელი და გვერდებზეა კრამიტისა. ძირითადად 38×50 სმ ზომისა. თუმცა გვხვდება უფრო დიდი ზომის კრამიტებიც (64×52 სმ). შესაძლებელი ვახდა აღდგენა სახურავის კონსტრუქციისა, რაც საკმაოდ ორიგინალურია და რამდენადაც ცნობილია, ჯერ სხვაგან (მეზობელ ქვეყნებსა და საერთოდ ანტიკურ სამყაროში) დადასტურებული არაა. სახურავად ძირითადად ბრტყელი კრამიტი ყოფილა გამოყენებული: ბრტყელი, გვერდებზეა კრამიტი ზემოდანაც ასეთივე ბრტყელი კრამიტით ყოფილა დახურული, ხოლო გადმობრუნებული ღარისებური კრამიტი (კალიპტრი) ნაპირებზეა წვიმის წყლის სადინარად გამოყენებული (სურ. 34).

კრამიტურილი პრეპარაციის დროს ჩნდებოდა ძვ. წ. II—I სს კოლხური ქვეყნისა და ამფორების, სათევზე ლანგრების, კალთამომრგვალებული ჯამების, აგრეთვე სინოპური და როდოსული ამფორების, წითელაკიანი ლანგრის ფრაგმენტები. საგანგებოდაა აღსანიშნავი ადგილობრივი თიხისაგან გამოქრჩილი და წითლად გამოშვარი ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახლება, რომელიც, როგორც ჩანს, ხუფის შემკულობაა (სურ. 49). აქვეა ნაპოვნი საკმაოდ ნატიფი ბრინჯაოს ფეხის ტერფი, რომელიც დაახლოებით 18—20 სმ სიმაღლის ქალის ქანდაკების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს (სურ. 51).

კრამიტსახურავიანი შენობა აღმოსავლეთი მხრიდან 2 მეტრი სიგანის გასაველელითა გამოყოფილი კიდეც ერთი საკმაოდ მოზრდილი ნაგებობისაგან (სურ. 30, 39), რომელიც ძვ. წ. II—I სს მდგარა ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე. ამ ნაგებობის სიგრძე 14 მეტრია (აღმოსავლეთი კედელი მორღვეულია და ამიტომ ძნელია შენობის სიგანის ზუსტად აღდგენა). მისი ალიზის კედლები ქვის საძირკველზე იყო ამოყვანილი და კრამიტით გადახურული. დანგრეული ალიზის კედლები ამორფულ მასად იყო ქცეული და ფარავდა ჩაქცეულ სახურავს. ეს შენობა ალიზისავე ტიხარით ორ ნაწილადაა გაყოფილი. სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული 40 კოლხური ამფორა (სურ. 35—36), რომელთაგან რამდენიმე დამწვარი ხორბლითა და ფეტვის მარცვლებით იყო სავსე. ამავე შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ისახება ქვით შემორჩეული ზღურბლი, ზედ ზღურბლზე აღმოჩნდა დანახშირებული ძელი — თავზე. საგანგებოდაა აღსანიშნავი გვიანდელი კედლის წყობაში ნაპოვნი შესანიშნავად დამუშავებული არქიტექტურული დეტალი, რომელიც უთუოდ რაღაც გრანდიოზული შენობის ნაშთს წარმოადგენს (სურ. 52).

ალიზის კედლებიანი შენობის საძირკვლის დონეზე დაბლა კიდეც ერთი უფრო ძველი, თეთრი ქვის ნაგებობა აღმოჩნდა (სურ. 41—44). 1970 წელს გამოვლინდა ამ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე და მთლიანად კი მხოლოდ ზედა კონტური. ალიზის კედლის საძირკველი ზოგან უშუალოდ ამ ნაგებობის კედელზეა დაშენებული, ან კიდეც თიხარზე, რომლის ქვეშ თავს იკრებს თეთრი ქვის წყობა. სტრატოგრაფიული მონაცემებით ეს ნაგებობა წინარეელინისტურ ხანას ეკუთვნის და ამიტომ მისი აღმოჩენა სრულიად განსა-

კუთრებული მნიშვნელობისა; ესაა ვანის ნაქალაქარზე ჭრჭერობით უძველესი ქვის ნაგებობა. 1971 წელს გაგრძელდა მისი შესწავლა. გამოიკვია, რომ იგი ამოყვანილია რიყის ქვებით შედგენილ საძირკველზე. ამასთან დადგინდა, რომ საძირკვლის წყობა უშუალოდ კლდოვან თიხზეა ნაშენი. მაშასადამე, კულტურული ფენა, რომელიც რიყის ქვით ნაგები საძირკვლის ღონეზეა ფიქსირებული, წარმოადგენს მშენებლობისას წარმოქმნილ ფენას (სურ. 45). ეს ფენა წარმოდგენილია დიდი ზომის რიყის ქვებით (საძირკველში რომაა გამოყენებული), თეთრი კირქვის ქვათილებით (კედლის წყობაში რომაა წარმოდგენილი), ცეცხლისაგან გაწითლებული თირის ქვებითა და კერამიკული ფრაგმენტებით. აქვე ფენის კუთვნილია და მშენებლობის ხანას განეკუთვნება თეთრი შენობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ნაპოვნი „კერიის“ ნაშთები (სურ. 45). ისინი თირის ქვებითაა შედგენილი და შიგნიდან ეტყობათ ცეცხლის კვალი.

„სამშენებლო ხანის“ კულტურული ფენა, რომელიც რიყის ქვის წყობის ღონეზეა ფიქსირებული, შეიცავს ადრეანტიკური ხანის კოლხურ კერამიკას (ქედიანი ქვევრები, კონუსურიბირიანი სასმისები, ბრტყელძირა, ირიბკალთიანი ჭამები და სხვ.), V—IV სს ატიკური შავლაკიანი კურკლის ფრაგმენტებსა და ლითონის ნეთებს.

„სამშენებლო ხანის“ კულტურული ფენის მონაპოვარი უფლებას გვაძლევს თეთრი ქვით ნაგები შენობის აგება ძვ. წ. V—IV საუკუნეებში ვივარაუდოთ და იგი მდიდრული სამარხების თანადროულად მივიჩნიოთ.

თეთრი ქვით ნაგები შენობა გეგმაში სწორკუთხაა. მისი სიგრძე დაახლოებით 14 მეტრია (სურ. 41). სამწუხაროდ ვერაფერს ვიტყვით სივანის შესახებ, რადგან მისი აღმოსავლეთი კედელი შემორჩენილი არაა.

ამ ნაგებობის დასავლეთი კედლის საძირკველი უშუალოდ კლდოვან დედაქანზეა ამოყვანილი (სურ. 44). აქ ზოგიერთ ადგილას თირიც კია ჩაქრილი და აითქოს ამოყვანილია პლდები რიყის; ქვების ჩასაწყობად. საძირკველში ცირითადად დიდი ზომის რიყის ქვებია გამოყენებული (ზოგჯერ გამორეულია თირის ქვაც), რომლებიც ერთმანეთთან თიხამწითაა შევსებული. წყობა საკმაოდ კარგია.

დასავლეთი კედლისაგან განსხვავებით, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების საძირკველი კულტურულ ფენაზეა დაშენებული, მაგრამ კარგად ჩანს, რომ ბათქაშების ფენაზე კიდევ საგანგებოდ მკვრივი თიხა დაუყრიათ, გამოუწვიათ და ასე მყარ ნიადაგზე ამოუყვანიათ საძირკველი, რომელშიც დიდი ზომის რიყის ქვებთან ერთად თეთრი კირქვის ფილები და თირის ქვებიც გამოუყენებიათ. საძირკვლის კუთხეში უხეშად გათლილი დიდი ზომის მაგარი ჭიმის ორი ქვათილიცაა გამოყენებული.

ნაგებობის შიგნით კულტურული ფენების სტრატეგრაფიის დადგენის მიზნით გაკეთდა კირილი მნ, 1ა და 1ბ კვადრატებში.

იატაკი წარმოადგენს თიხატყეხილ მოედანს (ადრინდელ კულტურულ ფენაზე საგანგებოდა დაყრილი თიხნარი მიწა), რომლის ზედაპირი ცეცხლისგან ძლიერ გაშვეებულია. ამასთან ერთად ჩამოქცეული სახურავის სიმძიმეს იატაკიც ჩაუტეგრევიდა. ნაგებობის შიგნით კულტურული ფენების შედგენილობა შემდეგნაირია:

I. იატაკსა და მის ნანგრევებში ნაპოვნი კერამიკული ფრაგმენტები ალიზიანი ნაგებობის ცხოვრების უკანასკნელ ეტაპს განეკუთვნება. აქ ნაპოვნი:

ბიზნესის პარტყელი ნივთი, რომელსაც სამანქლოს ნახვეტი აქვს შემორჩენილი, რკინის მრგვალგანიკვეთიანი ლურსმანი, კოლხური ამფორის ქუსლები (3 ცალი), კოლხური ამფორის ყელის ფრაგმენტი, დოქის ყელი, პირამიდული საწაფები (3—71/399—403). შეუღლებიანი, წითლეკეიანი ლანგრის ნატეხები.

II. კულტურულ ფენაში „თეთრი ნაგებობის“ იატაკის თავზე ნაპოვნი ა წითლეკეიანი სასმისის კედლის ნატეხები და შვად გამომწვარი ქურჭლის ნატეხები.

III. ყვითელი თიხანარევი ფენა, რომელშიც აღმოჩენილია კოლხური სასმისის წითლად გამომწვარი ქუსლის ნატეხები, ფრჩხილისებური ქდეებით შვკველი და შვადგამომწვარი ირიბკალთიანი ჯამის ნატეხები.

IV. ნაცრისფერი ფენა, რომელიც ტიპური აღრეანტიკური ხანის კერამიკითაა წარმოდგენილი: ქვევრის პირები, დოქის ნატეხები, ზომორფული ყური.

„თეთრი ნაგებობის“ იატაკის ქვეშ აღმოჩნდა კოლხური ქვევრი, თითქმის მთლიანი. ქვევრის გაწმენდისას მიწას მოყვებოდა ბათქაშისა და ქურჭლის ნატეხები. ქურჭელი აღრეანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი. ესაა: ორყურა, პირფართე ქურჭლის ნატეხები, მსგავსი წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში აღმოჩენილისა. ერთ-ერთ მათგანს, ნაცრისფრად გამომწვარს, ყურზე აქვს სამი ფრჩხილისებური ნიშანი, მეორეს — „გამრავლების“ ნიშანი, ხოლო მესამეს — ორჩიგად განლაგებული ნატეხები. რამდენიმე ნატეხი შემყულია წნეხვით გამოყვანილი ზოლებით და რომბული ბადით. ზოგიერთ ნატეხს ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. აღსანიშნავია აგრეთვე წითლად გამომწვარი ქურჭლის ნატეხები, რომლებიც ცხევია შემყული, როგორც აღრეანტიკური ხანის ქვევრი. ქურჭელი საკმაოდ სქელკედლიანი ყოფილა.

№5-ე ნაკვეთზე 1971 წელს თხრა გაგრძელდა ნაკვეთის თითქმის მთელ ფართობზე. ვახტანგ დარწყო ნაკვეთების ჩადილო ნაწილში (კვადრატები C-d-1-გ-11-ა) უღელი დატოვებულ იქნა მე-5 და მე-6 კვადრატებს შორის გ-გ საზზე. ამ მონაკვეთზე 25-ე კედლის დასაყლეთით, ზედაპირიდან 30—50 სმ სიღრმეზე გამოჩნდა დამწვარი ბათქაშები, რომლებიც მკვრივად ჩყვნენ მიწაში ჩამჯდარი და, ალბათ, თიხით შეღესილი ნაგებობის ხანძარში დაღუპვის შედეგად არის მიღებული. ეს ფენა თავს იჩენდა № 25 კედლის აღმოსავლეთითაც ძვ კვადრატში.

№ 25 კედლის აღმოსავლეთით დასახელებულ კვადრატებში თხრა თირამდე იქნა მიყვანილი. A-G ხაზზე მე-5 და მე-6 კვადრატებს შორის დატოვებული უღელი ასეთ სტრატეგრაფიულ ჭრილს იძლევა: I ფენა 25 სმ სიღრმისა ჰენესურია, მე-2 ფენა ჭრილის აღმოსავლეთ ნაწილში 75 სმ-ს აღწევს, უსაყლეობი კი 50 სმ-მდე მტირდება, იგი წარმოადგენს ნაშალი თირისა და ნახშიროვანი წარების შემყველ მრწას, რომელსაც კედლის მახლობლად თავზე კრამიტების ნატეხებიანი ფენა ადევს. მეორე ფენის ქვეშ ზოგან განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ნახშიროვანი შრე და ამ შრის ქვეშ იწყება ნაცრისფერი ფენა, რომელიც ბათქაშების ნატეხებს შეიცავს. ეს მე-3 ფენა თირამდე გრძელდება და თითქმის 1,5 მ სისქისაა. № 25 კედელი 80 სმ-მდე სიმაღლისაა, მის ქვეშ შედის ბათქაშებიანი ფენა და დამწვარი შრეები. თხრილის ფსკერზე თირი ოდნავ შემადლებულია დასაყლეთისაკენ. ჳს,

გა კვადრატებში აღმოჩნდა თირში ჩაქრილი მრგვალი ორმო, რომლის სიღრმე 60 სმ-ია თირის ზედაპირიდან, დიამეტრი კი 75 სმ. ზემოაღწერილ მონაცემებში თირი მიწის ზედაპირიდან 2,5 მ სიღრმეზეა.

არქეოლოგიური მასალა ამ მონაცემებში საკრძოხლოდ მცირერიცხოვანია. 25-ე კედლისა და ქრილის კუთხეში, როგორც აღნიშნული იყო, ჩნდებოდა კრამიტების ნატეხები, რომლის მძლავრი ფენა ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა კედლის გასწვრივ. აღსანიშნავია კედლის ქვეშ შემავალ ფენაში ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე წითლად მოხატული ქურჭლის კედლის ნატეხის აღმოჩენა. ესაა კარგად განლექილი, ღიავარდისფრად გამოშფავარი, ზედაპირზე ანჯაბაგადავლებული და წითელი საღებავით მოხატული ქურჭელი, რომლის მსგავსი მთელი დოქი 1969 წელს აღმოჩნდა წარჩინებული კოლხი მეომრის საპარსიკა და ზაფხულის სამარხშიც. ამიტომ საინგარიშა წელს აღმოჩენილი

ნატეხიც მათ მსგავსად ძვ. წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით უნდა დათარიღდეს. ეს ნატეხი (3—71/25) № 25 კედლის აგების ქვედა თარიღს იძლევა.

№ 25 კედელი ამ მონაცემებში თირის ქვების 6 წყებისგანაა ნაგები, დაახლოებით 75—80 სმ სიმაღლეზეა გადარჩენილი. უშუალოდ მის ქვეშ ასეთი ფენებია — ბათქაშების შემცველი ფენა, თიხანარევი ფენა, დამწვარი ხის ნახშირი, შავი მიწა, რომელსაც თირის ქვები ურევია. კედლის ძირთან C₄, C₃ კვადრატებში აღმოჩნდა თლილი ქვიშაქვის ორი ნატეხი, რომელთაგანაც ერთი კვადრია, ხოლო მეორე თალისებურადაა გათლილი.

შეღარებით სხვაგვარი სურათი გვექონდა 85-ე ნაკვეთის სამხრეთი ნაწილის გათხრისას (კვადრატები ხ₅-10). აქ კედლის ძირში აღარჩენილი კრამიტურაუო ჩაღწევილი და იგი კედელს ბოლომდე გასდევდა. 1971 წელს № 25 კედელი 15 მ სიგრძეზე გამოვლანდა. მისი სიგანე 1,50 მ-ია. კედლის დასაწყისი და დასასრული ჩვენთვის ჭრატეობით ცნობილი არაა და არც მისი დაწინაურებაა გასაგები.

ზედა ფენაში, კედლის ძირის დონეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაქანებით მიემართებოდა კრამიტებისაგან შედგენილი სადინარი, მის ქვეშ კი თირის ქვებისაგან შედგენილი სწორკუთხა ნაგებობის ნაშთი იყო შემორჩენილი (სურ. 46—47). აქვე ახლოს (კვ. ხ₅-10-11) გაითხარა მცირე ზონის ნაჯებობის ნაშთები, რომელიც ხისა უნდა ყოფილიყო, ბათქაშით შელესილი კედლებით: შემორჩენილია მეტნაკლებად სრული სახით ორივე კედლის ხის ძელების თითო ზოგი (სურ. 46—47). ძელებს შიგნით მთელს ფართობზე დაფასტურდა ბათქაშების სქელი ფენა. ბათქაშების აყრის შედეგთავე იჩინა აღრეანტოლოგი ხანის კოლხურმა კვარამიამ. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბრტყელძირა, მომრგვალებულტანიანი, დაბალყელიანი ქოთნების ფრაგმენტები. მათი კედლები ჩვეულებრივ შემკულია წნეხვით გამოყვანილი პრილა, შვეული ხაზებით (ასეთივე პრილა ხაზები გვხვდება ერთ-ერთი ქოთნის ძირზეც), ხოლო ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილი — წვრილი ღარებით. აქვე აღმოჩნდა ზოომორფული ყუბები, კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, რომელთა შორის გვხვდება როგორც წითელკეციანი, ისე შავად გამომწვარი ნიმუშებიც. ქვევრების პირის გვირგვინები შემკულია სავარცხლისებრი იარაღით გამოყვანილი ბადისებური რომბული ორნამენტით; კედლები კი — ვერტიკალური რელიეფური ქედებით, პორიზონტალური (ზოგჯერ

პორიზონტალურთან ერთად შეეული ღარებიც გვხვდება) ღარებით, ზოგჯერ ნაქდევეებითაც; დანარჩენ ფრაგმენტებს შორის ყურადღებას იქცევს ჭურჭლის მილსებური საღინარი (3—71/321).

ბათქაშებიანი ნაგებობის აღმოსავლეთით ხ₇—ხ₈—ხ₉—ხ₁₀ კვადრატებში თირა თავი იჩინა № 25 კედლის ზედაპირიდან 1,70—1,90 მ დონეზე, c₇—c₈—c₉—c₁₀, d₇—d₁₀ კვადრატებში კი 2 მ დონეზე (ბათქაშებიანი ნაგებობის ხის ძელებიდან 1 მ დონეზე). ამ კვადრატებშიც იჩინა თავი ადრენტიკური ხანის კოლხურმა კერამიკამ (ქოთნები, ქვევრები, ზომორფული ყურები და სხვ.), მათთან ერთად აღმოჩნდა ქვის სალესი (3—71/364), კოლხური ტულის მოყვანილობისა.

C₉ კვადრატში დადასტურდა თიხის ჭურჭლების გროვა, რომელიც დასავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდან შემოსაზღვრული იყო ვერტიკალურად ჩადგმული თირის ქვების თითო რიგით (სურ. 48). ჭურჭელი უშუალოდ თირზე იდო, მის აღმოსავლეთით თიხის სქელი ფენა ჩანდა. ქვებიცა და თიხაც ალაგ-ალაგ გაწითლებული იყო ცეცხლისაგან. ქვებით შემოსაზღვრულ არეზე აღმოჩენილი ჭურჭლის ყველაში მხოლოდ ერთი მთელი ჭურჭელი აღმოჩნდა — ბრტყილიძირა, დაბალყელიანი, ქოთანი, მცირე ზომისა, შექველი მანარაან კოპზეით (3—71/326). ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი კოლხური ირიბკალთიანი ჯამი (3—71/360), ზომორფულყურიათი ქოთანი (3—71/346), დაბალყელიანი ქოთანი (3—71/366). ჭურჭლის გროვასთან ერთად აღმოჩნდა თიხის მრგვალი სარქველი, რომელიც მცირე ზომის კოპებიან ქოთანს უნდა ეკუთვნოდეს, აქვე იყო ჯამისებური ჭურჭელი, რომელსაც ფსკერზე ამონაშერი აქვს (3—71/384ა).

ბათქაშებიანი ნაგებობის სამხრეთით e₁₀, f₁₀, g₁₀ კვადრატებში თირი აღმოჩნდა ნაგებობის ხის ძელებიდან 1,15 მ სიღრმეზე. ამ კვადრატებში აღმოჩნდა შავზედაპირიანი ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი — პირის გვირგვინს თითქმის ოთხკუთხა ფორმა აქვს, ორნამენტირებულია სავარცხლისებური იარაღით გამოყვანილი გრძელი, ირიბი ნაქდევეებით, ცილინდრული ყელი შემკულია პორიზონტალური ქედებით. აქვე აღმოჩნდა ბრტყელიძირა, პრილა ზოლებით შემკული ქოთნების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნატეხები, ბრტყელიძირა ჯამი და სხვ.

ბათქაშებიანი ნაგებობის აღმოსავლეთით თირი ჩნდება 1,30 მ სიღრმეზე. აქაც, დანარჩენი კვადრატების მსგავსად, თავს იჩენს ადრენტიკური ხანის ქოთნების, ქვევრების, დერაგებისა და ზომორფული ყურების ფრაგმენტები.

85-ე ნაკვეთის უშუალო გაგრძელებაზე სამხრეთით გაითხარა 104-ე ნაკვეთის მოზრდილი მონაკვეთი (კვადრატები a₁-s, b₁-s, c₁-s, d₃-s). მთელ ამ მონაკვეთზე რაიმე მნიშვნელოვანი ნაგებობის ნაშთები არ შეგვხვდებოდა, თუ არ ჩავთვლით თეთრი კირქვის მცირე ზომის ქვებისაგან შედგენილ მწკრივს, ზედაპირიდან 0,80 მ სიღრმეზე, რომლის დანიშნულება ჭერჭერობით გაუგებარია. გარდა ჰექსაგონი ფენისა, რომელსაც აქა-იქ ელინისტური ხანის კრამიტების ნატეხები ურევია, 104-ე ნაკვეთის 1971 წელს გათხრილ მონაკვეთში მხოლოდ ერთი კულტურული ფენა გვაქვს და იგი მხოლოდ ადრე-

ანტიკური ხანის კოლხური კერამიკით არის დაყურსული. მისი სიღრმე ზოგან 2—3 მეტრს აღწევს.

ამრიგად, არსებითად დასრულდა ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთი ფერდობის შესწავლა და გამოიკვეთა ძველი ქალაქის ამ ნაწილის გარეგნული სახე (სურ. 22). ორ იარუსად განლაგებული ნაგებობანი, რომელთაგან აღსანიშნავია მრგვალი ტაძარი. 17 მეტრიანი და 22 მეტრიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, კრამიტისსახურაეიანი ხის შენობა და ალიზის-აედლებიანი ამფორებიანი ნაგებობა („ხატის ბეღელი“?).

ციხესულორის ნაციხარზე წარმოებულ არქეოლოგიური თხრის შედეგები

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი 1968 წლიდან გათხრებს აწარმოებს სოფელ ციხესულორის ნაციხარზე.

დაბა ვანის ჩრდილო დასავლეთით, მისგან 3—4 კმ-ის მანძილზე, სოფელ ციხესულორის ერთ-ერთ ბორცვზე, მდებარეობს ნაციხარი. ბორცვის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 180 მ-ია: ამ მხარეს იგი თითქმის ყველაზე მაღალი პუნქტია და ზევიდან დაჰყურებს მთელ გარემოს.

ნაციხარის უახლოესი სოფლებია: აღმოსავლეთით ქვედა ვანი, დასავლეთით სოფელი ციხესულორი, სამხრეთით სოფელი მუქეთი. ისინი ნაციხარის ქვევით, მის ძირზე მდებარეობენ. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მათ გარშემოუყვება მესხეთ-ჭავჭავეთის მთები. ხოლო ნაციხარის ჩრდილოეთით იშლება რიონის დაბლობი.

გორაკი, რომელზედაც განლაგებულია ნაციხარი, სამი მხრიდან (დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით) ბუნებრივად არის დაცული — ციცაბო კლდეებია, მეოთხე — სამხრეთის მხარე კი ფერდია, საიდანაც იკრ დაბა ვანს უკავშირდება.

ნაციხარის გათხრა-გაწმენდა 1968 (იენის-იელისში) და 1970 წლებში (იელისი, აგვისტო, სექტემბერი) წარმოებდა.

1968 წელს გაითხარა ციხის აღმოსავლეთი ნაწილი და გაიჭრა ორი საცდელი თხრილი: ერთი ციხის ტერიტორიაზე და მეორე — გალავნის გაღალმა.

1970 წელს გაითხარა ციხის ჩრდილო, ჩრდილო-დასავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი; გარდა ამისა აღმოსავლეთით — მცირე ნაგებობის ნაშთი; ციხის ტერიტორიაზე გაიჭრა კიდევ ერთი საცდელი თხრილი, რათა დაგვედგინა აქ არსებულ ფენათა თანამიმდევრობა.

ციხეზე შემორჩენილი იყო მხოლოდ დასავლეთი კედლის ნაწილი ($h = 195 - 2$ მ), მისი პერანგი გაძარცვულია და ქვის პირები ჩამოტეხილია (სურ. 54).

დასავლეთი კედლის წყობა ასეთია:

გარე-და შიდაპირი შედგენილია დაუმუშავებელი კვადრებისაგან, მათ შორის მანძილი შევსებულია დიდი ზომის თირის ქვებით (იშვიათია რიყის ქვა, რომელზეც შეერთებულია კირხსნარით.

დასავლეთის კედელი მოპირკეთებულია ოთხკუთხა (52×38 სმ, 20×32 სმ, 18×12 სმ, 27×23 სმ, 32×20 სმ, 46×10 სმ) და ვაწრო კვადრებით (46×8 სმ, 44×4 სმ, 4×3 სმ, 57×9 სმ, 72×13 სმ, 62×10 სმ, 52×10 სმ), ცარიელი ადგილები კი შევსებულია პატარა ნატეხებით.

დასავლეთი კედლის წყობაში მკვეთრად გამოიყოფა აქა-იქ ჩართული ქვიშაქვის დამუშავებული კვადრები (26×30 სმ, 30×26 სმ, 20×20 სმ, 26×26 სმ, 44×45 სმ).

ნაციხარის დასავლეთი კედლის გასწვრივ მდებარე ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 70—80 სმ სიღრმეზე, აღმოჩნდა კედლის ნაშთი, რომელიც ალბათ დასავლეთი კედლის გაგრძელება უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია კედლის შუა ნაწილი (ჩიყისა და თირის ქვა კირხსნარზე): აქვე (ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში) აღმოჩნდა ექვსი ქვევრი, რომელთაგან ორი მიწაშია ჩადგმული და ჩადუღაბებულია (დუღაბი სუფთაა, ურევია მონაცრისფრო წერტილები), სიმპარისათვის ამოშენებულია სხვადასხვა ზომის ქვებით, დანარჩენი ქვევრები კლდეშია ჩაჭრილი და ჩადუღაბებულია. ქვები არა აქვს შიშენებული, ალბათ მათ შავიერაზას იმ შემთხვევაში თირი ასრულებდა. ქვევრები ჩალეწილია.

აღნიშნული ქვევრებიანი კუთხე ციხის ჩრდილოეთი ნაწილისაგან გამოყოფილია კედლის ნაშთით. იგი შედგენილია ჩიყისა და თირის ქვებისაგან. ჩანს დამწვარი თირის ქვაც. კედელი შელესილია. შესაძლებელია ციხის ეს ნაწილი სამეურნეო დანიშნულებას ასრულებდა (სურ. 54).

ციხის ჩრდილო ნაწილში კედლის ნაშთი აღმოჩნდა მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ისიც კედლის გადაღმა. როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, გალავნის ეს ნაწილი მთლიანად ბორცვის ძირზეა ჩაქცეული. ქვის მასალა მოსახლეობას გამოუყენებია, ზოგი კი დღესაც გდია ყა-ნაში.

ნაციხარის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი ირიბად მიემართება აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ, კიდევ ერთხელ უხვევს აღმოსავლეთისაკენ და უერთდება სამხრეთის კედელს.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლიდან შემორჩენილია საძირკველი (h=25 სმ), ცოკოლი და წყობის ერთი რიგი (h=25 სმ), დარჩენილი კედელი შედგენილია ოთხკუთხა კვადრებისაგან, მათ შორის ჩანს ქვიშაქვის დამუშავებული კვადრებიც. კედლის შიდა (33—35 სმ) და გარეპირის (33 სმ) შორის (10 სმ) მანძილი შეესბამება ჩიყისა და თირის დამწვარი ქვებით.

აღნიშნული კედლის ცოკოლი სხვადასხვა ზომისაა (11, 12, 52, 53, 73 სმ), ბოლოებისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეს ამთავრებს აბაზანა; როგორც ჩანს, კედელი და აბაზანა ერთდროულად შენდებოდა, ვინაიდან იგი წინასწარ განსაზღვრულ ცოკოლის შევიწროებულ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშია ჩადგმული (სურ. 56).

გაშენების შემდეგ გამოიკვია, რომ ციხის სამხრეთი კედელი სწორი არ ყოფილა: აღმოსავლეთისაკენ იგი შეზნეპილია, ხოლო დასავლეთისაკენ — ამოზნეპილი (ტალღისებურად). სამხრეთი კედელი, როგორც ჩანს, აერთებდა გალავნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს (სურ. 57).

სამხრეთი კედლის საძირკველი ყველაზე მაღალია მის აღმოსავლეთ ნაწილში, იგი დასავლეთისაკენ თანდათან კლებულობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კედლის თარის დროს აღმოჩნდა კლდეში წინასწარ საძირკველისათვის ამოჭრილი მოედანი (ანალოგიური შემთხვევა დამოწმებულია ვანში, ნოქალაქეში). საძირკველი შედგენილია ჩიყის ქვებისაგან და შელესილია. აქა-იქ შემორჩენილია ცოკოლიც (გარეპირთან მისი სიგანე 14 სმ, ხოლო შიდა-

პირისა 16 სმ). შემდეგ ამოყვანილია კედელი, რომლის გარე და შიდაპირის, ე. ი. პერანგის უმეტესი ნაწილი მორღვეულია.

სამხრეთი კედლის წყობა ასეთია: პერანგი დაუმუშავებელი კვადრებით, რომელთა შორის მანძილი შევსებულია დიდი ზომის რიყის ქვებით, შეერთებულია კიბხნარით (იშვიათია თირის ქვა); გამოყენებულია ქვიშაქვის დამუშავებული კვადრებიც.

განსაკუთრებით დიდი კვადრებით არის მოპირკეთებული (61×40) სამხრეთი კედლის გარეპირის ის ნაწილი, რომელიც ოთხკუთხა კოშკს ებჯინება.

სამხრეთი კედლის შიდაპირის წყობა კარგად ჩანს აგრეთვე № 1 თხრილში (რომელიც 1968 წელს გაითხარა). იგი შედგენილია ოთხკუთხა (16×28 სმ) და გრძელი (48×30 სმ) კვადრებისაგან. დარჩენილი კედლის სიმაღლე — 120 სმ, ცოკოლამდე — 35 სმ, საძირკველის სიმაღლე 10 სმ-ია.

ამრიგად, მოიხაზა რა ციხის კონტურები, გაირკვა, რომ მას რომბისებური ფორმა ჰქონია და იგი შემოზღუდული ყოფილა გალავნით, დასავლეთი, ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლები ბორცვის ბუნებრივ რელიეფს მიყვება, ხოლო სამხრეთი კედელი ბორცვის მხოლოდ ნაწილს იერთებს (სამხრეთის ფერს), ნაწილი კი გალავნის გარეთ რჩება (სურ. 58).

ციხეს მხოლოდ ერთი კოშკი აქვს. იგი მიშენებულია გალავნის კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. კოშკი სწორკუთხაა, კედლები შედგენილია მცირე კვადრებისაგან, ხოლო შუაში რიყის ქვებთან ერთად ჩაჭრილია დამწვარი თირის ქვებიც (უმრავლესობა თირის ქვებია), მისი შიდა ნაწილი შელესილია (აღნიშნული კოშკი გაითხარა 1968 წელს).

ციხის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ სადაც გალავნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლები ერთმანეთს უერთდება (მათ შორის მანძილი 4,50 სმ), ჩაშენებულია მცირე ნაგებობა, რომელსაც შემორჩენია სამი კედლის ნაშთი (ჩრდილოეთის, დასავლეთის და სამხრეთისა). ჩრდილოეთი დარჩენილი კედლის სიმაღლე — 40 სმ, დასავლეთის — 9 სმ და სამხრეთისა — 9 სმ. კედლები შიგნიდან შელესილია (ნალესობა სქელია, ქვიშიანი), ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლები გალავანზეა მიშენებული, აღმოსავლეთი ნაწილი მორღვეულია: ჩრდილოეთის კედელი აღმოსავლეთისაკენ უხვევს და თითქოს ახსიღისებურად მრგვალდება. ჩრდილოეთ კედელში პატარა ნიშაა — სიგრძე 10 სმ, სიგანე — 48 სმ.

საფიქრებელია, რომ ეს მცირე ნაგებობა ციხის საშლოცველო, ეკლესია იყო. მისი შიდა ფართობი — 6 მ². ეს ნაგებობა გალავნის სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების ცოკოლიდან 68 სმ სიმაღლეზეა აშენებული.

ციხეს ფართო და მტკიცე კედლები აქვს. სამხრეთის კედლის სიგანე 250 სმ, დასავლეთისა — 180 სმ, ჩრდილო აღმოსავლეთის უდიდესი სიფართოე — 0,2 მ, დანარჩენი — 130 სმ.

ანტიკური საშენებლო ნორმების მიხედვით კედლის სიგანე უნდა უდრიდეს 2,2—2,4 მ, ვიტრუვიუსის მიხედვით — 2 მ.

დასავლეთ საქართველოს ციხესიმაგრეთა კედლების სიფართოე ასეთია: ნოქალაქე-აჩქეოპოლისის უძველესი კედლის — 2,5—3,5 მ, ვარდციხის — 285—3 მ, გონიოს — 1,6 მ, ვაშნარისა — 1 მ.

გვიანფეოდალური ხანის ციხეთა გალავნის კედლები პრინციპულად განსხვავებულია ადრეული ეპოქის ციხეებისაგან, იცვლება მათი ფორმა და კონ-

სტრუქტურა. კედლები თანდათან ვიწროვდება და ეს დაკავშირებულია ახალი ხანის იარაღის გაჩენასთან¹.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ციხის გალავანი გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო ნორმების მიხედვითაა აშენებული.

ზემოთაღ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ციხის წყობაში გამოყენებულია კირხსნარი, დაუშუშავებელი კვადრები და სხვ.

როგორც ცნობილია, მშენებლობაში კირხსნარის ფართო გამოყენება რომაული ხანიდან იწყება. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში იგი ვრცელდება I—III საუკუნეებში², აღმოსავლეთ საქართველოში II—III საუკ. (მცხეთა)³, დასავლეთ საქართველოში III—IV საუკ. (ვარდციხე III—V საუკ. სკანდა IV—V საუკ., შორაპანი IV—V საუკ.)⁴.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე (ნოქალაქევი, სკანდა, შორაპანი, ვარდციხე, ანაკოფია და სხვ.) მეცნიერები გამოყოფენ ორ, ხოლო ზოგან (გონიოში) სამ სააშენებლო ფენას. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია აგურ-კვადრული, შერეული წყობა, რომელიც გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანისათვისაა დამახასიათებელი⁵. უნდა აღინიშნოს, რომ შერეულ-კვადრული წყობის პარალელურად არსებობს სადა წყობა, აგურის გარეშე, ე. ი. მხოლოდ დაუშუშავებელი კვადრები და კირხსნარი. ციხის გალავანიც სწორედ ასეთი წყობით არის აშენებული.

ციხეს ერთადერთი კოშკი აქვს, როგორც ითქვა, იგი სწორკუთხა არის, მისი კედლები შედგენილია უფრო მცირე კვადრებისაგან (ვიდრე გალავნისა) კირხსნარზე. კოშკი გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეზე, უფრო სწორად კი მის ერთ სამხრეთ კედელზეა მიშენებული.

კოშკების შთლიანად გალავნის გარეთ გამოტანა და განლაგება კუთხის ერთ მხარეს დამახასიათებელი ყოფილა უძველესი სიმაგრეებისათვის (კერძოდ, ნოქალაქევი — არქეოპოლისისათვის)⁶.

სწორკუთხა. ევრტიკალურკედლებიანი კოშკები გავრცელებულია გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში; სწორკუთხა კოშკები არის შუაფეოდალურ ხანაში, მაგრამ ამ დროს კოშკებს კედლები შევიწროებულია, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში — კიდევ უფრო მეტად ვიწროვდება⁷.

გვიანანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში ციხის კოშკებს შორის ერთი ყველაზე დიდი და შალალი უნდა ყოფილიყო, იგი სათვალთვალ კოშკად

1 П. Закарая, Древние крепости Грузии. Тб., 1969, стр. 202.

2 Л. Н. Карасева, Архитектура, краткий очерк, Античные города Северного Причерноморья, I, М., 1955, гл. 193.

3 И. Н. Цицишвили, Истоки грузинского зодчества, I, 1955, гл. 25; მისივე, ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955, გვ. 37.

4 В. А. Лексинадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, Вестник государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа, XXII-B, 1961, стр. 150.

5 ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ეპოქის ციხისმაგრეები ლაზეთში, 83-306.

6 В. А. Лексинадзе, О древнейших оборонительных сооружениях Архсополиса—Нокалакети, СА, 1959, № 3, 143.

7 П. Закарая, Древние крепости Грузии. Тб., 1969, гл. 207.

(„დონეონი“) ითვლებოდა^ა. საფიქრებელია, რომ ციხის კოშკიც სწორედ ამ მოვალეობას ასრულებდა.

როგორც ჩანს, აღნიშნულ კოშკსაც ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს.

მაგრამ საცდელმა თხრილმა გვიჩვენა, რომ ციხეზე ცხოვრება ელინისტური ხანიდან იწყება. აღნიშნული თხრილი გაიჭრა ციხის შიდა ტერიტორიაზე. იგი მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (სურ. 57), თხრის შედეგად დადგინდა ფენათა შემდეგი თანამიმდევრობა:

1. შავი ფენა (ზედაპირული),
2. დაწვარი ფენა I,
3. დაწვარი ფენა II,
4. კირქვის ანატკეცების შემცველი ფენა,
5. დაწვარი თიხის ქვების შემცველი ფენა,
6. ღედაქანი.

როგორც ვხედავთ, ციხეზე, უშუალოდ ქანზე, აღმოჩნდა თირის ქვების მშრალი წყობის ნაშთი, რომელიც თხრილის სამხრეთითა და დასავლეთით იჭრება. ქვების შტი ნაწილი ტეცხლშია ნაყოფი. წყობაში მოხვედრილია სატუორსნი ბირთვიც ($d=15-16$ სმ).

აღნიშნული კედლის ნაშთი ელინისტური ხანისაა.

ნაცხარზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის კუთვნილი ამ კედლის ნაშთები, არქიტექტურული დეტალები და კერამიკა ცხადყოფს, რომ იქ სამოსახლო ჭერ კიდევ აღნიშნულ ხანაში არსებობდა.

რა ხასიათისა იყო ეს სამოსახლო ანაბი თქმა, რასაკვირველია, ძნელია. იგი ალბათ ვანის ანტიკური ხანის ქალაქთან იყო დაკავშირებული და მის რაღაც ნაწილს წარმოადგენდა. ბორცვზე არსებული სამოსახლო, როგორც ჩანს, ვანის ციხე-ქალაქთან ერთად ინგრევა და კარგავს თავის მნიშვნელობას.

ელინისტურ ხანაში მომხდარი ნგრევის შემდეგ ამ ბორცვზე ცხოვრება, როგორც ჩანს, გარკვეული დროით წყდება. ხოლო ახალი მშენებლობის, ახალი ცხოვრების წინ ყველაფერი მიწას გაუსწორდა. ციხის ტერიტორიაზე მოაყარეს კირქვის ანატკეცები, ე. ი. სამშენებლო მასალის გადანაყარი, რათა შემდგომი ნაგებობისათვის მყარი საფუძველი შეექმნათ. მის შემდეგ (ფეოდალურ ხანაში) იწყება ციხის მშენებლობა. ვალავნის სამხრეთი კედელი უშუალოდ კირქვის ანატკეცების სქელ ფენაზეა აშენებული: თხრილიც, თირის ქვაალილებიც, ე. ი. ელინისტური ხანის წყობა დაფარულია კირქვის ანატკეცების სქელი ფენით.

ნაცხარზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებული იქნა მცირერიცხოვანი მასალა, რომლის ძირითად ნაწილს თიხის ჭურჭელი შეადგენს. ის ძალზე ფრაგმენტულია და ამიტომ ჰირს კიდევაც ჭურჭლის რაობის გარკვევა. აღნიშნული მასალის შესწავლისა და ანალოგიურ მასალასთან შეჭერების შედეგად ირკვევა, რომ იგი ეკუთვნის ანტიკურ, ადრე, შუა და გვიანფეოდალური ხანის ძეგლებს.

ანტიკური ხანის მასალა წარმოდგენილია შემდეგი სახეებით: აფორა, ქვევრები, არქიტექტურული დეტალები და სხვ. (სურ. 59, 60).

^ა П. П. Закарая, Древние крепости Грузии, Т., 1969, გვ. 202.

კოლხური ამფორის ძირის⁹, პირისა¹⁰ და ყურის ნატეხები, მოწითალო თიხისა, ძირი ღილისებური მოყვანილობისაა და შიგამხარეს ზვია აქვს; პირის ერთ ნატეხზე შერჩენილია ყურის ფოსო.

კოლხური ამფორები დიდი რაოდენობით გვხვდება ეანის ნაქალაქარზე ელინისტური ხანის ფენაში. ციხესულორზე აღმოჩენილი ამფორის ნატეხებიც ამ ხანას უნდა მიეკუთვნოთ.

ანტიკური ხანის ქვევრები სქელკედლიანია. მათი ზედაპირი დაფარულია მკაფიოდ გამოყვანილი, ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ღრმა და თანაბარი ლარებით. შემყულობის სახეებია — დაბალი რელიეფური სარტყელი, კოხტად გამოყვანილი ჰდელი ორნამენტი და სხვა.

ქვევრი, მოყავისფრო თიხისა, მინარევებიანი, სქელკედლიანი (2,5 სმ), ზედაპირი დაფარულია ორნამენტული სარტყელით (ჰდებისაგან შედგენილ ბაწრისებურ რელიეფურ ხაზსა და ჭიმს შორის ამოკაწერით გამოყვანილია მოკლე, ირიბი ხაზები), შიგამხარე დაფარულია ლარებით¹¹. ასეთი ქვევრი ჭერჭერობით მხოლოდ ერთია ნაპოვნი. ისინი დამახასიათებელია ელინისტური ხანისათვის.

ქვევრის ნატეხები¹² შუად გამომწვარი თიხისა, მინარევებიანი, სქელკედლიანი (2,5 სმ), ჭრილში რუხი, ვარდისფერსარჩულიანი, ზედაპირზე მკაფიოდ გამოყვანილი ერთმანეთთან მკიდროდ მიჯრილი ღრმა და თანაბარი ლარები. ერთზე (4/68) შერჩენილია ფრჩხილისებური ორნამენტი.

ანალოგიური ქვევრები მრავლადაა აღმოჩენილი ეანის ნაქალაქარზე და დაბლაგომში, ისინი თარიღდება ელინისტური ხანით. ციხესულორზე აღმოჩენილი ქვევრიც ამ ხანას უნდა მიეკუთვნოთ.

ქვევრი¹³, მონაცრისფრო თიხისა, მინარევებიანი, სქელკედლიანი (2 სმ), შერჩენილი აქვს ორი ჭიმი. ისინი ქვევრს დაუყვება ვერტიკალურად და ქვევითყენ იშლება.

ანალოგიური ქვევრი აღმოჩენილია დაბლაგომში და ანტიკური ხანით თარიღდება. ციხესულორზე აღმოჩენილი ქვევრიც ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოთ.

ქვევრი, არათანაბრად (მოყვითალო-მონაცრისფროდ) გამომწვარი, სქელკედლიანი (2 სმ), შერჩენილია ჭიმი და მის ორივე მხარეს ღრმად ამოჭრილი, ირიბი ლარები. შიგამხარე დაფარულია ლარებით¹⁴.

ქვევრის ნატეხი, მოყავისფრო თიხისა, მინარევებიანი, სქელკედლიანი (2—2,3 სმ), ჭრილში მონაცრისფრო. ზედაპირი დაფარულია მოყავისფრო საღებავით და გაპრიალებულია, სარჩულიც ყავისფერი აქვს¹⁵. ანალოგიური ქვევრები გვხვდება დაბლაგომში.

ქვევრის პირი, მოვარდისფრო თიხისა, სქელკედლიანი (2,5 სმ), მინარევებიანი, სწორპირიანი. პირს გარსშემოუყვება ჭიმი, რომელიც ორმხრივ შემკულია წერტილებისაგან შედგენილი მოკლე ირიბი ხაზებით¹⁶.

⁹ საინე. № 138/70

¹⁰ საინე. № 38/68.

¹¹ საინე. № 18/68.

¹² საინე. № 110/18, 110/68, 110/68, 117/68, 36/68 ა. შ.

¹³ საინე. № 5/68.

¹⁴ საინე. № 48/68.

¹⁵ საინე. № 135/70.

¹⁶ საინე. № 159/70.

ანალოგიური ქვევრი აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე და დაბლაგომში¹⁷. ისინი ანტიკური ხანით თარიღდება, რაც საშუალებას გვაძლევს აღწერილი პირ-ყელიც ამ ხანას მივაკუთვნოთ.

ჭურჭლის პირ-ყელის ნატეხები.

ყელ-პირი, სუფთადგანლექილი, მოყვითალო თიხისა, სწორპირიანი, შესქელებულ ტუჩს გარეშემოუყვება რელიეფური სარტყელი¹⁸.

ჭურჭლის პირ-გვერდი, სწორპირიანი, შესქელებული ტუჩითა და რელიეფური სარტყლით¹⁹.

აღნიშნული პირები ვიწროყელიანი ჭურჭლისაა, ისინი გვიანანტიკური ხანით თარიღდება.

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ უ ლ ი დ ე ტ ა ლ ე ბ ი .

ციხესულორზე წარმოებული თბრის დროს თითქმის ყველგან ამოდიოდა კირქვის დამუშავებული და უფორმო ნატეხები. აღსანიშნავია კარნიზის ნატეხი²⁰, დამუშავებული დეტალი შემკული ოვეებითა²¹ და სხვა.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის თანაშრომლის არქიტექტორ გიორგი ლუჯავას აზრით, აღნიშნული ნიმუშები ანტიკური, კერძოდ ელინისტური ხანის არქიტექტურისა და მცირე ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ (სურ. 61, 62, 63).

ა დ რ ე ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ხ ა ნ ი ს მ ა ს ა ლ ა . ციხესულორზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი. ჩაეატარეთ ამ მასალის კლასიფიკაცია, რასაც საფუძვლად დაედო მათ შორის არსებული განსხვავებული ნიმუშები ფორმაში, ჭურჭლის ნაწილებს შორის და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თიხის ჭურჭლის გარკვეული ნაწილი (ქვევრები, დერგები, ქოთნები, ქილები და სხვ.) დაფარულია წვრილი, ოდნავ შესამჩნევი, ზოგჯერ დაუდევრად გამოყვანილი ღარებით. მათ შორის ნაწილი შემკულია ტალღური ორნამენტით, ისინი ზოგჯერ გაშლილია, ზოგჯერ მიჯრილი.

მკრთალი ღარებით დაფარული ჭურჭელი აღმოჩენილია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ — წებულდაში, სოფელ ოლგინსკოეს სამაროვანზე²², აფხაზეთში (აპუტიშტინის სამაროვანზე)²³, ურბნისში²⁴, მცხეთის ადრეფეოდალური ხანის მასალაში²⁵; გარდა ამისა, ბოსფორის ქალაქებში — მირმეკონში, ფანაგორიაში, სარკლემში, ილურატ-

17 Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды II, Тб., 1950.

18 სიჩვ. № 138/70.

19 სიჩვ. № 90/68.

20 სიჩვ. № 108/70, 148/70.

21 სიჩვ. № 153/70.

22 ქ. ბერძენიშვილი, წებულის გვიანანტიკური ხანის კერამიკა, მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, 1959, გვ. 95—107.

23 Ю. И. Воронов, А. С. Вознюк, В. А. Юмни, Апуштинский могильник IV—V вв. н. э. в Абхазии, СА 1970, გვ. 190.

24 ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, გვ. 90—100, ტაბ. XV, ტაბ. XVII, 2, 3, 4; მ. სინაურძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, 1967, გვ. 80.

25 მცხეთის 1959—62 წლების განთხარა, სვეტიცხოველის სამხრეთი გალავანი. დაეულია მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ში²⁶, აზერბაიჯანში (ორენ-ყალა)²⁷; ანალოგიური ღარებით დაფარული ჭურჭელი აღმოჩენილია ბულგარეთში შუა საუკუნეების თითქმის ყველა ძეგლზე²⁸.

დასაბუნებოდ ადგილებში ღარებით დაფარული ჭურჭელი თარიღდება IV—IX საუკუნეებით, ამდენად ციხესულორზე აღმოჩენილი ჭურჭელი დაფარული ღარებითა ჭერჭერობით ზოგადად IV—IX საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

საფიქრებელია, რომ ადრეფეოდალურ ხანაში გავრცელებული თიხის ჭურჭლის ოდნავ შესამჩნევი და დაუდევრად (ხ-გჭერ ბალახით) გამოყვანილი ღარებით დაფარვა ანტიკური ხანის კარგი ტრადიციის მდარე გავრცელებაა.

ქვევრის პირ-ყელი, მოყვითალო-მონაცრისფრო თიხისა, მინარევებიანი, ბრტყელი ბაკო (4 სმ) შემკულია მკრთალად ამოკაწრული წყლისებური ორნამენტით. შიგაპირზე შეიმჩნევა ირიბად გამოყვანილი ოდნავ შესამჩნევი თანაბარი ღარები²⁹.

ქვევრის პირ-ყელი, მოყავისფრო თიხისა, მინარევებიანი, კრილში რუხი, ფართო ბაკოზე (4 სმ) შერჩენილია მკრთალად გამოყვანილი ტალღები. შიგაპირი მოყავისფროა, გარეპირზე შერჩენილია ირიბი ხაზები³⁰.

ქვევრის პირ-ყელი, არათანაბრად გამომწვარი (მოყვითალო-მონაცრისფრო), თიხისა, მინარევებიანი, კრილში რუხი, სწორპირიანი, ბაკო (3 სმ) შემკულია მკრთალი კლაკნილი ხაზებით (ბალახით უნდა იყოს გამოყვანილი). ბაკოს კიდე არათანაბარია. გარე-და შიგაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი ღარებით³¹.

სამივე ნატეხი ერთნაირი თიხისაგანაა დამზადებული, მაგრამ მათ სხვადასხვა ელფერი დაპკრავთ (ალბათ გამოწვის გამო).

წყლისებური ორნამენტით შემკული ჭურჭელი აღმოჩენილია ბიჰვინტაში³² (ლანგარი), ურბნისში (ხელადა³³), რუსთავში (ხელადა და ქვევრის პირი)³⁴, ყველა ისინი ადრეფეოდალური ხანით თარიღდება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ციხესულორზე აღმოჩენილ ქვევრის პირებს შერჩენილი აქვთ ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი დაუდევრად გამოყვანილი მკრთალი ღარები, მაშინ საფიქრებელია, რომ ახ. წ. IV საუკუნეში მომხდარა ამ ორნამენტის (წყლისებურის)

26 А. А. Якобсон. Раннесредневековые поселения восточного Крыма, Боспорские города, II, МИА, 85, гв. 474, 478, სურ. 4, სურ. 5.

27 Г. М. Ахмедов. Неполнивая керамика Орен-Кала IX—XIII в.в., МИА, 67, გვ. 187—225.

28 Ж. И. Выжарова, Славянии и пробытгары в светчината на археологическое днни. Археология, София, к. I, 1971, гв. 31, სურ. 1, 5, 14.

29 საინე. № 47/68.

30 საინე. № 47/68.

31 საინე. № 47/68.

32 თ. ლორთქიფანიძე, ბიჰვინტის წითელაკიანი კერამიკა, გვ. 249.

33 ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, გვ. სურ. 13; მ. სინაუ-რიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

34 მ. ბიწიშვილი, ე. ჭანდიერი და სხვ. რუსთავის ციხეზე წარმოებული თხრის ანგარიში, სიველ არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს, თბ. 1973, გვ. 95—98.

ხელახალი აღორძინება, რომელმაც განაგრძო არსებობა ადრეფეოდალურ ხანაში.

ქვევრის ნატეხი, მოწითალო თიხის, სქელკედლიანი, გარშემოუყვება ქლებით შემკული რელიეფური საატყელი, ზედაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი, დაუღვევრად გამოყვანილი ლარებით³⁵.

ქვევრის ნატეხი, მოწითალო თიხისა, სქელკედლიანი (კრილში ზოგი შავია), ზედაპირი დაფარულია მკრთალი, დაუღვევრად გამოყვანილი ლარებით, შემორჩენილია კიმი³⁶.

ქვევრის ნატეხი, მოწითალო თიხის, სქელკედლიანი, ზედაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი ლარებით³⁷.

ქვევრის ნატეხი, წითლად გამომწვარი თიხისა, ზედაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი, არათანაბარი ლარებით. შერჩენილია ნიშანი³⁸.

აღნიშნულ ქვევრთა ზედაპირი დაფარულია მკრთალი და დაუღვევრად გამოყვანილი ლარებით. ისინი ზოგჯერ მოკლეა, ერთმანეთს ჰკვეთენ და სხვ. მაგრამ მათ ის სიმყარე არა აქვთ, რაც ანტიკური ხანის ქვევრებს ახასიათებს.

სადღებლის ნატეხები, სხვადასხვა ელფერის მოყვითალო თიხისა, სქელკედლიანი (კრილში რუხი ან ნაცრისფერი). ოთხ ნატეხზე შერჩენილია კოხტად გამოყვანილი ნახვრეტი, ერთზე შერჩენილია ცრუ ნახვრეტი³⁹. ჭურჭლის აღდგენა შეუძლებელია. მათ პირობით სადღებლებს ვაკუთვნებთ.

აღნიშნული ნატეხების მიხედვით ჭურჭელი სწორკედლიანი და პირფართო ჩანს. პირს გარშემოუყვება ერთმანეთის პარალელური ხაზი. ხოლო ტანი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი ლარებით. ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს „სადღებელი“ ადრეფეოდალური ხანის ნაწარმად მივიჩნიოთ.

ქოთნის პირ-ყელის ნატეხები, შავად და რუხად გამომწვარი. მათ დაბალი ყელი და ფართოდ გაშლილი პირი აქვთ. უმრავლესობის ტანი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი ლარებით, ყელთან ამოკაწრულია ტალღური ორნამენტი.

ასეთი ქოთნები აღმოჩენილია მცხეთასა⁴⁰ და ურბნისში. ურბნისში აღმოჩენილებს VIII—IX საუკუნეებით ათარიღებენ⁴¹. ამდენად, ციხესულორზე აღმოჩენილი ადრეფეოდალურ ხანას (VIII—IX ს. ს.) უნდა მიეკუთვნოთ.

კათხა, არათანაბრად (მოყვითალო-მონაცრისფროდ) გამომწვარი, მინარევებიანი, კრილში რუხი. სქელკედლიანი, ხელით ნამეწი, სწორპირიანი, ნრგვალმეტელიანი; მხარზე შებმული აქვს მარყუჟისებური, ზეაწეული ყური⁴². ფორმის მიხედვით კათხას ეუწოდებთ (სურ. 64).

ანალოგიური ჭურჭელი (კათხა) აღმოჩნდა მცხეთის ადრეფეოდალური

35 სიივ. № 99/70, 101/70.

36 4/68, 117/70, 4/68.

37 4/68, 117/70, 4/68.

38 32/68.

39 48/68, 46/68, 118/70, 46/68, 139/70, 93/70, 46/68, 46/68, 139/70, 46/68, 57/68, 57/68.

40 98/46 მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 22887 მმ. უნომრო, 1965 წ. მცხეთის გალენის სამხრეთ კედელი, სვეტიცხოვლის უბანი.

41 მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53, ტაბ. VIII.

42 სიივ. № 38/68.

ხანის მასალაში⁴³, ურბნისში⁴⁴ (ადრეფეოდალური ხანის ფენაში): ურბნისსა და მცხეთაში აღმოჩენილი კათხები ტლანქია, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჩარხზეა გამოყვანილი.

ანალოგიური ქურქელი გავრცელებულია აგრეთვე შუა აზიის ქალაქებში (პენჯიკენტი, კაფორ-კალა, აფრასიაბი, ტალი-ბარზუ და სხვ.), სადაც ისინი VII საუკუნის მეორე ნახევრითა და VIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება⁴⁵.

ბ. მარშაკის აზრით, ეს ფორმა (კათხისებური) ამავე ხანის ლითონის ქურქულიდან გავრცელდა⁴⁶.

როგორც ჩანს, ადრეფეოდალურ ხანაში გავრცელებულია ქურქლის ეს სახე — ზეაწეული ყურიანი კათხები.

ზედაპირგაპრიალეებული თიხის ქურქელი. ციხესულორის ნაციხარზე აღმოჩენილ ადრეფეოდალური ხანის თიხის ქურქლის ერთ წგუფს შეადგენს სუფთად განლექილი, მოყვითალო და მოწითალო ზედაპირგაპრიალეებული ქურქლის ნატეხები. მათზე შერჩენილია პრიალა (წნეხვით გამოყვანილი), პორიზონტალური ხაზები, ხაზებისაგან შედგენილი ბადეები და სხვა.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, თიხის ქურქლის გაპრიალეება გვიანანტიკურიდან ფეოდალურ ხანაზე გარდამავალ პერიოდში (IV—VI სს.) არსებობს⁴⁷. ამ ტექნიკას იყენებენ VIII საუკუნეშიც⁴⁸, ამდენად, ციხესულორზე აღმოჩენილი, ზედაპირგაპრიალეებული თიხის ქურქლის ნატეხებიც ამ ხანას (IV—VIII სს.) უნდა მიეკუთვნონ.

ჯამის ძირ-გვერდი, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, ოდნავ გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვს. შიგაპირი დაფარულია პრიალა ხაზებით, ისინი ჯამის გულიდან ზევით სხივებად იშლება⁴⁹.

ქურქლის ძირ-გვერდი, მოყვითალო თიხისა, ოდნავ გამოყვანილი ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვს. შიგაპირი დაფარულია პრიალა, კონცენტრული ხაზებით, გარეპირი გაპრიალეებულია⁵⁰.

ქურქლის ნატეხები⁵¹, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, თხელკედლიანები, ზედაპირზე შეიმჩნევა პრიალა ხაზები, ისინი ერთმანეთს გადაჭკვეთენ და ქმნიან უჭრედებს; არის სადა გაპრიალეებულებიც.

ქურქლის ნატეხი, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, ზედაპირგაპრიალეებული, შერჩენილია კოპის ნაწილი⁵² (ანალოგიური აღმოჩნდა რუსთავში).

ქურქლის (სასმისი, დაბალი, მრგვალმუცლიანი) პირისა და გვერდის ნა-

43 საინე. № 2015/2016, მცხეთა, სვეტიცხოვლის უბანი, 1960 წელი.

44 ექსპონირებულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის გამოფენაზე. მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54, ტაბ. XIV, 4.

45 Б. И. Маршак, Влияние торевтики на согдийскую керамику VII—VIII вв. ИГУ, 1961, т. V, стр. 194.

46 Б. И. Маршак, დასახ. ნაშრ., გვ. 199, 200.

47 მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

48 იქვე, გვ. 65.

49 112/70.

50 8/68.

51 2/68, 12/68, 134/70, 12/68.

52 12/68.

ტები, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, თხელკედლიანი, შერჩენილია ერთი კანელური, ზედაპირი გაპრიალებული აქვს⁵³.

პაწია ყური, სუფთად განლექილი მოყვითალო თიხისა, ბრტყელგანიეკვეთიანი, ზედაპირგაპრიალებული⁵⁴, ასეთი ყურები მცირე ზომის მრგვალმუცლიან და ფართოპირიან სასმისებს აქვთ.

თეთრი ანგობით მოხატული კურკელი. ციხესულორზე აღმოჩნდა კურკლის, კერძოდ, ხელადის ნატეხები (ძირ-გვერდები, გვერდები, პირ-ყელი, ყურები), სუფთად განლექილი მოყვითალო, მოწითალო, მოყავისფრო და მონაცრისფრო თიხისა, მინარევებიანი, კეცი განმტკიცებულა; ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ ხელადებს მაღალი ყელი, სწორი პირი, ზოგს შექველებული ტუჩი აქვს. ისინი ბრტყელპირიანებია. ყურები მრგვალგანიეკვეთიანი აქვთ; მათ შორის ზოგი ოდნავ გრეხილია, ზოგი კი სადაა და შექველია პაწია დილაკებით ან „ზომომორფული“ შვერილებით.

ხელადის ზედაპირზე ანგობის თხელი ფენით (კეცის ფერიც კი ჩანს) გამოყვანილია სხვადასხვა სახის ორნამენტი — რგოლები, რკალები, ხაზები და სხვა (სურ. 65).

ანგობის თხელი ფენით დაფარული და მოხატული კურკელი აღმოჩენილია ილურატში, ისინი ახ. წ. III საუკუნით თარიღდება⁵⁵.

ანგობის თხელი ფენით დაუდევრად მოხატული ან დაფარული კურკელი აღმოჩენილია შუა აზიის ფეოდალური ხანის ნაქალაქარებში. აღსანიშნავია, რომ პენჯიკენტის ზედა ფენაში (VII—VIII სს.) გავრცელებულია კურკლის ღია ფერის ანგობით მოხატვა და იშვიათად იყენებენ წითელ ანგობს, ხოლო ქვედა ფენაში (V—VII სს.) გავრცელებულია წითელი ანგობი⁵⁶. ანალოგიური ეთარება დადასტურებულია სხვა ქალაქებშიც (ყაფირ-კალაზე, ხორეზში⁵⁷ და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ დროის ამა თუ იმ მონაკვეთში ანგობის ფერების — წითელს ან თეთრს გავრცელებას განაპირობებდა საზოგადოების სურვილი, მოდა (რასაც თვით გამთხრელებიც აღნიშნავენ).

როგორც ჩანს, ანგობით კურკლის მოათვის ეს ტექნიკა არსებობს ადრეფეოდალურ (V—VIII სს.) ხანაშიც. ამიტომ ციხესულორზე აღმოჩენილი ანგობის თხელი ფენით დაფარული ან მოხატული კურკელი ანალოგიური მასალის მიხედვით ადრეფეოდალური ხანის ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

შუაფეოდალური ხანის თიხის კურკელი წარმოდგენილია შემდეგი სახეებით: ქვევრებით, მოჭიქული კურკლითა და სხვ.

ციხესულორზე თერთმეტი ქვევრია აღმოჩენილი, ისინი ციხის სხვადასხვა ადგილებშია ჩადგმული (ჭერ არ ამოგვიღია), ყველა ჩადუღაბებულია. როგორც აღ. ბოხოჩაივ აღნიშნავს, ქვევრების ჩადუღაბება XI საუკუნის 80-

53 სანვ. № 134.

54 სანვ. № 134.

55 Б. Ф. Гайдукевич, Беспорские города, II, МИА, 85, 1958, გვ. 52, სურ. 40.

56 И. Бентович, Керамика верхнего слоя Пенджикента (VII—VIII вв.)

23. 265, 272, 276.

57 Б. И. Маршак, Отчет о работах на объекте XII, МИА, 124, 1964, გვ. 228, 231, სურ. 21, სურ. 22.

იანი წლებიდან იწყება⁵⁸. თუ ამ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, მაშინ აღნიშნული ქვევრები შუაფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ციხეზე აღმოჩენილი ქვევრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კეცი, ზომით, ფორმით, შემკულობით, დუღაბით, რაც მათ არათანადროულობაზე უნდა მიუთითებდეს.

მოკიქული ჭურჭელი. ციხეზე აღმოჩნდა მოკიქული ჭურჭლის მცირე ნატეხებიც. არის ერთფერად (მწვანედ, ყვითლად, ცისფრად, ღვიძლისფერად) და მრავალფერად მოკიქული.

მწვანედ მოკიქული ყველაზე მეტია (17 ერთეული). ისინი სხვადასხვა ელფერისაა (მუქი, ღია, მოყვითალო და სხვ.). მათზე შემორჩენილია ამოკაწვრით გამოყვანილი ორნამენტი (ხაზები, კონცენტრული წრეხაზები და სხვ.). უმრავლესობა ჯამთა ნატეხებია.

აღსანიშნავია ერთი ჯამის ძირ-ქუსლი, სუფთად განლექილი წითელი თიხისა, თეთრი ანგობით დაფარულ შიგაპირზე მკვეთრად ამოკაწრული ერთმანეთის გადაწყვეთი ხაზები ჯამს ოთხ ნაწილად ყოფს. თითოეულ ნაწილში მარყუჟიანი რგოლებია. ჯამი დაფარულია მუქი მწვანე კიქურით⁵⁹.

აღნიშნული ჯამისაგან მკვეთრად განსხვავებულია ოთხი ნატეხი⁶⁰. კეცი, ორნამენტით, ორნამენტის გამოყვანით, კიქურითა და ქუსლით. ეს ნატეხები უფრო მოყვითალო თიხისაა. შემკულია კონცენტრული წრეხაზებით, დაფარულია კრიალა მწვანე (ღია და მუქი) კიქურით. საფიქრებელია, რომ პირველი ჯამი ადგილობრივია, ხოლო დანარჩენი შემოტანილი (ბიზანტიური) უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოში მწვანედ მოკიქული ჯამები აღმოჩნდა: სოხუმში — ბაგრატის ციხეზე (8 ერთეული), ბათუმის ციხეზე (16 ერთეული), გონიოში (10 ერთეული), ციხისძირში (4 ერთეული), ოჩამჩირაში (10 ერთეული), უქიმერაონის ციხეზე (12 ერთეული), და სხვ. ყველგან პატარა-პატარა ნატეხებია, მაგრამ ჩანს, რომ თეთრი ანგობით დაფარულ ჯამთა შიგაპირი იმკონოდა ამოკაწრით გამოყვანილი ხაზოვანი ორნამენტით (სპირალური, პარალელური ხაზები, მარყუჟები და სხვ.).

ყვითლად მოკიქული ჭურჭელი. ციხეზე სულ ოთხი ერთეულია, ოთხივე სუფთად განლექილი მოწითალო (3 ერთეული) და მოვარდისფერი თიხისაა. მათ კოხტად გამოყვანილი პოზბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ (ქ. ჩ. = 12 მმ., ქ = 8,5 მმ). ერთზე შერჩენილია კონცენტრული წრეხაზები, დანარჩენებზე — ხაზები. ისინი დაფარულია სხვადასხვა ელფერის ყვითელი კიქურით⁶¹.

დასავლეთ საქართველოში ყვითლად მოკიქული ჯამები აღმოჩენილია სოხუმის ძველ ციხეზე (8 ერთეული), სოხუმში, ბაგრატის ციხეზე (18 ერთეული), ბათუმის (28 ერთეული), გონიოს (1 ერთეული), უქიმერაონის (7 ერთეული) ციხეებზე, ციხისძირში (9 ერთეული), ფოთის მიდამოებში ჭერჭერობით არა ჩანს. საერთოდ დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცე-

⁵⁸ აღ. ბოხოჩაძე, მკვლევარობა-მედიუნობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, 1963, გვ. 144.

⁵⁹ 30/68.

⁶⁰ 63/68, 2/68.

⁶¹ 126/70, 129/70, 8/70, 30/68.

ლებულია წამების ყვითლად მოკიქვა. მათზე ამოკაწერისა და კომბინირებულნი (ამოხეცა და ამოკაწრვა) ხერხით მრავალნაირი ორნამენტია გამოსახული.

ცისფრად მოკიქვულ წამის ხეტი⁶² პაწია ნატეხი. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში ისინი ჭერჯერობით მხოლოდ ციხეზეა აღმოჩენილი. წამების ცისფრად მოკიქვა დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის.

ლვილისფრად მოკიქვული წამის პაწია ნატეხი, თეთრი ანგობით დაფარულ შიგაპირზე ამოკაწრულია მარყუტეები, მოკიქვულია ლვილისფრად⁶³.

ლვილისფრად მოკიქვული წამის ნატეხი⁶⁴ აღმოჩნდა ვანში, ანტიკური ხანის ნაქალაქარის აკროპოლისზე, მოზაიკური იატაკიანი ნაგებობის გვერდზე. ბემესურ ფენაში.

ამოკაწრული და ერთფერად მოკიქვული წამები ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში⁶⁵, აზერბაიჯანში, ძველ რუსულ ნაქალაქარ ტმუტარაკანში⁶⁶, შუა აზიაში (მუნჩაქ-თეფე)⁶⁷, ყირიმში (ქერსონესი)⁶⁸, საბაქანეთში და სხვ. ისინი ყველგან XI-XII საუკუნეებით თარიღდება.

დასავლეთ საქართველოს ამოკაწრული და ერთფერად მოკიქვული წამე-XI—XII საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

ციხეზე მრავალფერად მოკიქვული წამის ექვსი მცირე ნატეხია⁶⁹. ორნამენტი ცნელად გასარჩევია. მხოლოდ ერთზეა შერჩენილი ფრინველის მკერდი და ფრთა.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს მოკიქვულ ჭურჭელს შორის ყველაზე მცირე რაოდენობით მრავალფერად მოკიქვული წამები გვხვდება. ასეთ წამთა ნატეხები აღმოჩნდა სოხუმის (20 ერთეული), უქიმერიონის (2 ერთეული) ციხეებზე, ციხისძიძსა (12 ერთეული) და ოჩამჩირეში (8 ერთეული). მათზე შერჩენილია ფრინველის გამოსახულება, ყვავილოვანი და გემეტრიული სახეები.

დასავლეთ საქართველოში მოკიქვული წამები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, XII—XIII საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ.

ფიანსის წამის ძირ-გვერდი, ცისფრად მოკიქვული, XII—XIII საუკუნეებისა.

პაწია ნატეხი ფიანსის წამისა. მწვანე საღებავით მოხატული, XIII—XVI საუკუნისა, შესადლებელია ბაზანტურისა.

გვიან ფოღალური ხანის მასალა. ციხეზე აღმოჩნდა მოწითალო თიხის სხვადასხვაგვარი ჭურჭლის ნატეხები (ხელადის ყელი, ძირ-ვერძე, ყუბები და სხვ.). ისინი შემკულია კლდეული (მოკლე ლაზებით) ორ-

62 ს. ანკ. № 39/68, 2/68, 2/68.

63 30/68.

64 361, IV, II, 2, 1967 წ. ვანი.

65 მ. მიწიშვილი, მოკიქვული ჭურჭელი საქართველოში (IX—XIII ს.), თბ., 1959, გვ. 23—30.

66 Т. И. Макарова, Полливая керамика Ташанского городища, керамика и стекло в древней Тмутаракани, М., 1963, гв. 22—23.

67 В. Ф. Гайдукевич, Работы Фархадской арх. экс. в Узбекистане 1947—1948 гг., КСИИМК, 1947, вып. 9, гв. 167—198.

68 А. А. Яковсон, МИА 17, гв. 17.

69 189/70, 75/70, 129/70, 74/70, 41/68.

ნამენტით. ანალოგიური ორნამენტით შემკული კურკელი აღმოჩენილია თბილისის ციხეზე. კედლებით შემკულია ლანგარის პირები⁷⁰. კედლებისაგან შედგენილია სხვადასხვაგვარი ორნამენტი (წიწვიანი, ხე და სხვ.), რომლითაც შემკულია ხელალები⁷¹, დიდი კოკები⁷² და სხვ.

ანალოგიური ორნამენტით შემკულია მეცხათის გვიანფეოდალური ხანის ხელალები, ლანგარები და სხვ.

როგორც ჩანს, აღნიშნული ორნამენტით კურკლის შემკობა გავრცელებულია გვიანფეოდალური ხანის საქართველოში, ამიტომ ციხეზე აღმოჩენილი წითელი თიხის კურკლის ნატეხები, შემკული ორნამენტით, გვიანფეოდალური ხანისა უნდა იყოს.

თ ე ფ შ ე ბ ი — ციხეზე აღმოჩნდა რამდენიმე თეფშის ნატეხი, მოწითალო თიხისა, ბრტყელძირიანი, ოდნავ გამოყვანილი ქუსლით⁷³. ყველა საშუალო ზომისა ჩანს. ანალოგიური თეფშები აღმოჩენილია თბილისის ციხეზე⁷⁴ და მცხეთის გვიანფეოდალური ხანის მასალაში.

ციხეზე აღმოჩენილი თეფშებიც გვიანფეოდალურ ხანას უნდა მივაკუთვნოთ.

ჩ ი ბ უ ხ ე ბ ი — რამდენიმეა, თეთრი თიხისა⁷⁵. ანალოგიური ჩიბუხები აღმოჩენილია უქიმურიონის ციხეზე, თბილისის ციხეზე, თელავში, ჭავჭავთის ახალქალაქში და სხვ. ყველგან ისინი გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

მ ო კ ი ქ ე ლ ი ჭ ა მ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი. ციხეზე გვაქვს აგრეთვე გვიანფეოდალური ხანის მოკიქული კურკლის ნატეხები. თეთრი ანგობით დაფარულ ზედაპირზე ლურჯი საღებავით გამოყვანილია ხაზები, სხივები და ასე.⁷⁶ ანალოგიური კურკელი აღმოჩენილია ბათუმისა და თბილისის ციხეებზე.

დასავლეთ საქართველოში ლურჯი საღებავით მოხატული კურკელი ზოგადად XV—XVII საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. ე. ი. იმ დროს, როდესაც გავრცელებული იყო კურკლის მოხატვა ლურჯი საღებავით.

ციხეზე აღმოჩენილი მასალის ერთ-ერთ მცირე, მაკრამ საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს გვიანფეოდალური ხანის ფაიანსი. არის თეთრი ლურჯით მოხატული. თეთრზე მწვანითა და წითლით, ცისფრითა და წითლით მოხატულები და სხვ. მათ შორის არის სპარსული — ლურჯად⁷⁷ მოკიქული, XVII საუკუნისა, თუჩქელი — თეთრზე ლურჯით მოხატული⁷⁸ XIV—XVI საუკუნისა, თუჩქელი — თეთრზე მწვანეთი და წითლით მოხატული⁷⁹, ეს კურკელი 1555—1700 წწ. უნდა დათარიღდეს. ე. ი. იმ ხანით, როცა თუჩქულ ფაიანსში ჩნდება მწვანე და წითელი ფერები. ისინი როდოსის სტილით არის

70 საიხ. № 128/70.

71 749/66 თბილისის ციხე.

72 1662/67, თბილისის ციხე.

73 93/70, 103/70.

74 1917/67, 2174/67, 1855/67, თბილისის ციხე.

75 133/70, 133/70, 137/70.

76 107, 70, 129/70, 11/70, 129/70.

77 130/70, ც. ს.

78 128/81, 70, 70, 70/70, ც. ს.

79 143/70.

ცნობილი. კუბაჩური, რომელიც გავრცელებულია XVII საუკუნის 30-იან წლებამდე⁸⁰.

ამრიგად, ციხეზე წარმოებული არქეოლოგიურა თხრის შედეგად მოპოვებულ მასალაში გამოიყო ანტიკური, ადრე, შუა და გვიანფეოდალური ხანის მასალა. რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ციხეზე ანტიკური ხანიდან ვიდრე გვიანფეოდალურ ხანამდე ცხოვრება უწყვეტლვ მიმდინარეობდა.

საინტერესოა რა ხასიათის ციხე უნდა ყოფილიყო ციხესულორის ნაციხარი. რასაკვირველია, რაიმეს გადაჭრით თქმა ჭეჩქერობით ძნელია, ვინაიდან ციხე მთლიანად არ არის გათხრილი და არც მის გარშემო არსებული ტერიტორია არის მოსინჯული.

ამა თუ იმ ადგილზე ციხესიმაგრის აშენებას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა (პოლიტიკური, ეკონომიური, სტრატეგიული და სხვ.). ერთ-ერთ ფაქტორს ცხადია რელიეფიც წარმოადგენდა. მშენებლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მდებარეობას, რათა ციხესიმაგრეები რაც შეიძლება მიუწვდომელი აეგოთ. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ მათ გეგმას ნაწილობრივ რელიეფიც განსაზღვრავდა.

დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის ციხესიმაგრეები უმრავლეს შემთხვევაში განლაგებულია ძნელად მისაწვდომ ადგილებზე. ისინი მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდნენ, იცავდნენ და კონტროლს უწყევდნენ გზებს. ასეთი იყო: სკანდა, შორაპანი, გონიო, ვარდციხე, სოხუმი, შხეფი და სხვ.

სკანდა, შორაპანი ორივე გამაგრებული პუნქტია, განლაგებულია ძნელად მისადგომ ადგილას. სკანდა და შორაპანი იცავდნენ გზას, რომელიც აერთებდა დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთთან. მათი ხელში ჩაგდებათ უზრუნველყოფილი იყო ლაზეთის თითქმის მთელი აღმოსავლეთი ნახევარი⁸¹.

გონიო კონტროლს უწყევდა დასავლეთ საქართველოში მიმავალ ერთადერთ გზას, აგრეთვე იცავდა ზღვაზე გამავალ ორ ხეობას, კოროხსა და აპარის ყუალს, საიდანაც უძველეს დროშიც გადიოდა გზები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აერთებდა შავ ზღვასთან⁸².

ვარდციხე ლაზიკის მნიშვნელოვანი ქალაქია. მის წარმოშობას ეკონომიური ფაქტორი განსაზღვრავდა (მდებარეობა ნაყოფიერ მოხერისში). იგი წარმოადგენდა გზაჯვარედინს, სადაც თავს იყრიდნენ ქვეყნის მნიშვნელოვანი გზები; იბერიიდან კოლხეთში მიმავალი, ხოლო მის მოპირდაპირე ზეკარის გადასასვლელი აერთებდა ლაზიკას სამხრეთის ქვეყნებთან.

შენუის ციხისათვის შერჩეულია ისეთი გორა, საიდანაც მოჩანს მთელი კოლხეთის დაბლობი. იგი კონტროლს უწყევდა ბორცვის ძირზე გამავალ გზას⁸³.

80 ს.-ჯ. № 130/70, 20/70 ცახესულორზე აღმოჩენილი ფიანისის ნაწარმი განსაზღვრა ნ. მაიაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ.

81 ს. ყაუხჩიოშვილი, დას. ნაშ.

82 В. А. Леквинадзе, Материалы по истории и архитектуре Аспирской крепости. ВВ. т. XX, გვ. 230.

83 П. И. Закарая. д.с. ნაშ., გვ. 316—317.

დასავლეთ საქართველოს ზემოთ დასახლებული ძეგლები სხვადასხვა ხასიათისაა. მათ ხასიათს განსაზღვრავს — ადგილმდებარეობა, საფორტიფიკაციო სისტემა, ფართობი და სხვ. ციხე-ქალაქები (ნოქალაქევი, გონიო, ვარდციხე), ციხესიმაგრეები (სკანდა, შორაპანი და სხვ.), ციხეები (შხეფი, ჭაჭვიწყა და სხვ.).

ციხესულორის ნაციხარი თავისი ხასიათით უფრო ახლოს დგას საკუთრივ ციხეებთან. თუ გავითვალისწინებთ მის მდებარეობას და სახელდობრ იმას, რომ მართლაც ხელისგულზე ჩანს მთელი რიონის დაბლობი, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იგი თვალყურს ადევნებდა რიონის დაბლობზე მომხდარ ყოველგვარ გადაადგილებას თუ მოძრაობას, ე. ი. მას ევალებოდა ამ დაბლობის მეთვალყურეობა და ამდენად მას უფრო მეტად სამხედრო-სტრატეგიული ხასიათი უნდა ჰქონოდა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის ციხესიმაგრეთა ერთიან სათავდაცვო სისტემაში ციხესულორის ნაციხარსაც, როგორც ჩანს, თავისი გარკვეული ადგილი უნდა ჰქონოდა. საფიქრებელია აგრეთვე, რომ ეს თავდაცვა-სტრატეგიული ხასიათი მას გვიანფეოდალურ ხანაშიც შეერჩა, ოღონდ უფრო ნაკლები მნიშვნელობით.

3. თოლორდავა

არქეოლოგიური ბათხრები დაბლაგომში 1970—71 წლებში

ვანის ნაქალაქარის შესწავლასთან დაკავშირებით აუცილებელი შეიქმნა მისი მიმდებარე ტერიტორიის ე. წ. „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური შესწავლაც. სწორედ ამ თვალთახედვით განაახლა ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კვლევა-ძიება სოფელ დაბლაგომის მიდამოებში.

დაბლაგომის არქეოლოგიურმა ძეგლებმა მკვლევართა ყურადღება აღრიღანვე მიიპყრო (ნ. ბერძენიშვილი, ს. მაკალათია, ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია). ჯერ კიდევ 1929 წელს აქ დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩაატარა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელმაც საკმაოდ საინტერესო მასალები შესძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებს¹. ამ მასალებმა შექმნეს საფუძველი დაბლაგომის სიძველეთა შემდგომი შესწავლისათვის: ბ. კუფტინმა, რომელმაც გაიცნო ნ. ბერძენიშვილის მიერ მოპოვებული მასალები, სწორად შეაფასა მათი მნიშვნელობა ძველი კოლხეთის ისტორიისა და არქეოლოგიისთვის და დაბლაგომში არქეოლოგიურ ძიებათა განხორციელება გადაუდებელ ამოცანად დასახა. მართლაც, 1936 წელს მან ნ. ბერძენიშვილთან და ნ. ხოშტარიასთან ერთად განახორციელა შედარებით ფართო მასშტაბის არქეოლოგიური ძიებანი სოფ. დაბლაგომში და მის მიდამოებში. ამ გათხრების შედეგად მოპოვებული მეტად მნიშვნელოვანი და თავის დროისათვის უნიკალური ძეგლები მათივე ნაშრომების წყალობით კარგა ხანია ფართოდაა შესული სამეცნიერო მიმოქცევაში². ფაქტიურად ამ ნაშრომებმა დაუდევს სათავე შიდა კოლხეთის არქეოლოგიურ შესწავლას.

არქეოლოგიურ ძიებათა განახლება დაბლაგომში რამდენიმე მომენტითაა გაპირობებული: ჯერ ერთი დაბლაგომის ტერიტორია ისტორიულ-გეოგრაფიულად და ფიზიკურ-გეოგრაფიულადაც „ვანის ქვეყნის“ ორგანული ნაწილია და თავისთავად ექცევა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევის სფეროში. მეორეც, დაბლაგომის არქეოლოგიური ძეგლების გათვალისწინება სრულიად აუცილებელია ვანის ნაქალაქარის შესწავლისას, მისი თავისებურებების, მეზობელ რაიონებთან მისი ურთიერთკავშირების და სხვათა დასახაიათებლად, მეორეს მხრივ კი ვანის ახალ აღმოჩენათა სინათლეზე ახლებურად ისმის დაბლაგომის ნაშრომებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა, როგორცაა ძეგლების ქრონოლოგია, დასახლების ტიპი, ურთიერთობა გარე სამყაროსთან და სხვ.

1 ამ მასალების შესახებ იხ. Б. А. Купфин, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, გვ. 1 და შემდ.

2 Б. А. Купфин, დასახ. ნაშრომი; Н. В. Хоштария, Древнее поселение в Даблагоми, სიღისერტ ციო ნაშრომი, თბ., 1940.

სოფელი დაბლაგომი განლაგებულია რიონისპირა გორაკებზე, ვანიდან 10 —12 კმ-ის დაცილებით, მისგან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით³.

ღვევანდელი სოფელი შედარებით გვიანაა აღმოცენებული, დაახლოებით გასული საუკუნის მიწურულში. როგორც ბ. კუფტინი აღნიშნავდა, ახალი ცხოვრების წესები პროცენტულად მინიმალურია არქეოლოგიურ ნაშთებთან შედარებით⁴. თუმც სადღეისოდ ვითარება შეცვლილია. მას შემდეგ, რაც აქ ბ. კუფტინი მუშაობდა ოთხი ათეული წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სოფელი მეტად გაიზარდა და ახალი ცხოვრების კვალიც საკმაოდ გარმავდა. სოფლის შიდა ტერიტორიაზე ნიადაგი თითქმის მთლიანად ნაბრუნე-ბია და კულტურული ფენები დანგრეულია და არეული. მიუხედავად ამისა, ეს ტერიტორია არქეოლოგიურად მაინც მეტად საინტერესო ჩანს. ამის მოწმობაა აქედან მომდინარე უამრავი შემთხვევითი აღმოჩენა, მრავალფეროვანი ანაკრეფი მასალა და გზის ქრილებში ფიქსირებული კულტურული ფენები, რომელთა სისქე ხშირად 1,5—2 მ-ს აღემატება.

ჩვენმა ექსპედიციამ ძირითადად სამუშაოები სოფლის გარეთ, ნაციხვარასა და ნასაკირევის ბორცვებზე გაშალა. შიგ სოფელში გათხრების ჩატარება მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, აქ მეტად მჭიდრო მოსახლეობის გამო.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილია ნაციხვარას დასავლეთი, ნასაკირევის აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ფერდები. კულტურული ფენების შესწავლის მიზნით, საცდელი თხრილები გაუკეთეთ ნაციხვარას თხემზე და ნასაკირევის სულ ქვედა ტერასაზე. პირველმა თხრილმა თითქმის არ მოგვცა კულტურული ნაშთები, ხოლო მეორემ გამოავლინა ბათქაშებიანი ფენა—10×5 მ ფართობს გაუკეთეთ პრეპარაცია. აღმოჩნდა, რომ ეს ფენა საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავს და, როგორც ჩანს, საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთებს წარმოადგენს, ბათქაშებს აშკარად ემჩნევათ ხის წნულის ანაბეჭდები. მაგრამ ამ ფენის ზუსტი დათარიღება ძალიან ჭირს მასალის სიმცირისა და აღრევის გამო (ფერდი მუდმივ ეროზიას განიცდის). ბათქაშების ფენა ორ ადგილას ქვევრსამარხებს აქვს ჩაჭრილი, რომლებიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თარიღდება. ცხადია ეს ფენა სამარხებზე ადრეულია, მაგრამ როგორია მათ შორის ქრონოლოგიური ხარვეზი ძნელი დასადგენია. ნასაკირევის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ფერდები, რომლებიც ადრე არ ყოფილა შესწავლილი, როგორც გაირკვა. მთლიანად ქვევრსამარხებს ეკავა. ფერდის მთელი ტერიტორია ქვევრსამარხების ნაშთებითაა მოფენილი, მაგრამ სულ ახლახან აქ ვენახი ყოფილა გაშენებული და, როგორც ჩანს, მიწის ბრუნებისას კულტურული ფენები მთლიანად არეულია.

ძირითადი ყურადღება ჩვენმა ექსპედიციამ აშკარად სამაროვანის შესწავლას დაუთმო. საანგარიშო პერიოდში გათხრილია 25 მეტნაკლებად კარგად დაცული ქვევრსამარხი — 19 ნასაკირევის ბორცვზე, ხოლო 6 — ნაციხვარაზე.

შედარებით უკეთაა დაცული ნასაკირევის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდებზე გათხრილი სამარხები. აქ ნიადაგი ღორღინია, ნაკლებად ნესტიანი და ჩონჩხიც უკეთ ინახება. ნაციხვარას ბორცვზე გათხრილ სა-

³ დაწვრილებით დაბლაგომის მდებარეობის შესახებ იხ. Б. А. Куптин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 11.

⁴ Б. А. Куптин, *Материалы к Археологии Колхиды*, II, გვ. 11.

მარხებში ადამიანის ძელები თითქმის არ აღმოჩენილა. იშვიათად სამარხში თითო-ორი კბილი იყო შემორჩენილი.

დადგენილია დაკრძალვის რამდენიმე ვარიანტი, ზოგი მათგანი აღრე არ ყოფილა ფიქსირებული დაბლაგომში: 1. სამარხი ქვევრი ვერტიკალურადაა მიწაში ჩადგმული — თავდაყირა, ეს ძირითადი წესია დაკრძალვისა; 2. სამარხი ქვევრი ვერტიკალურადაა ჩადგმული, მაგრამ ყელით მაღლა; 3. სამარხი ქვევრი ჰორიზონტალურადაა ჩადგმული; 4. ორ შემთხვევაში მიცვალებული უშუალოდ მიწაში იყო დაკრძალული ქვევრსამარხის გვერდით; 5. მიცვალებული ბრტყელ კრამიტზე იყო დაკრძალული, რომელიც ქვევრს ყელზე ჰქონდა დაფარებული (ქვევრის გვერდის ნატეხის მაგივრად).

როგორც აღნიშნული იყო, სამარხი ქვევრების უმრავლესობა ორმოში ჩადგმულია ვერტიკალურად, პირით ქვემოთ (თავდაყირა), ქვევრები გადახრჩილია (თუ გადატეხილი?) შუა ხაზზე, ქვევრის ზედა ნაწილი გამოყენებულია სამარხად, ხოლო ქვედა — სარქველად, ქვევრს ყელზე აფარებენ ქვევრისავე მოზრდილ ნატეხს, რომელზედაც ასვენებდნენ მიცვალებულს ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. სამარხეული ინვენტარის განლაგების შემდეგ ქვევრის ძირის ნაწილს ზემოწინ დაახურავდნენ (სურ. 66).

სამარხად გამოიყენებოდა ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების კოლხური ქვევრები, რუხად გამოშვარი, შავზედაპირიანი. ქვევრების პირი საკმაოდ ფართოა და პროფილირებული, მუცელი თითქმის სფერულია. ყველა ქვევრი ორნამენტირებულია რელიეფური სარტყლებით და მერიდიანული ქედებით:

ნ ა ს ა კ ი რ ე ვ ი ს ბ ო რ ც ე ვ ი

ქვევრსამარხი № 1 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,70—75 მ სიღრმეზე. ჩადგმულია ვერტიკალურად. ქვევრი ჩვეულებრივ შუა ხაზზეა გადატეხილი, თუ გადახერხილი. სამარხი კარგად არის დატული, მასში მიწა თითქმის არ იყო ჩაყრილი, მშენიერად ჩანდა ჩონჩხისა და ინვენტარის განლაგებაც. მიცვალებული ესვენა მკვეთრად ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთისაკენ. მის ფეხებთან იდგა ერთი მოზრდილი დოქი, დოქს გვერდზე მოდგმული ჰქონდა ჯამი, ხოლო ძირთან — კოქობი და ჯამი. მაქაზე ეკეთა ერთი ბრინჯაოს სამაჭური. თავის ქალას მიდამოებში აღმოჩნდა სსსაფეთქლე რგოლი და პასტის წერილი მძივები, პირის ღრუში ვერცხლის მონეტა. (სურ. 66, 67).

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. დოქი, ნაცრისფრად გამოშვარი თიხისა, ცალყურა, პირი ძაბრისებურად აქვს გაშლილი, პირი სწორეა, მხრებში განზოდული, მუცელი მრგვალი, ძირისკენ დაქანებული, ძირი ბრტყელი, მრგვალგანიკვეთიანი ყური პირს ქვემოთ იწყება და მხარს უერთდება. ყელის გარშემო, მოკლე, სოლისებური ნაკლევების ოთხი რიგისაგან შემდგარი სარტყელი შემოუყვება. ყურს საგრძნევ წიწვისებური ორნამენტი ჩამოსდევს (სურ. 72,4).

სიმაღლე — 22 სმ; ყელის სიმაღლე — 6 სმ; პირის დმ. — 10 სმ; ძირის დმ — 9,5 სმ (სავ. № 1).

6 კოლხური ქვევრების დეტალური აღწერილობა იხ. Б. А. Кухтин. დისაბ. ნაშრომი, გვ. 68—72.

2. ჭამი, რუხად გამომწვარი თიხისა, შვეულგვერდებიანი, ნაპირი ვერტიკალურად აქვს აკეცილი, პირი სწორება, ძირი ბრტყელი (სურ. 72,2).

სიმაღლე—4 სმ; პირის დმ—12 სმ; ძირის დმ—5 სმ (სავ. № 2).

3. კოჭობი, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა; მრგვალმუცლიანი, ასიმეტრიული, ჩარხზეა ნაკეთები, მაგრამ შემდეგ ხელითაა ნასწორები. ძირი ბრტყელი აქვს, უქუსლო, პირი მომრგვალებული. (სურ. 72,1).

სიმაღლე—6,5 სმ, ძირის დმ—7 სმ, პირის დმ—5,5 სმ (სავ. № 3).

4. ჭამი, რუხად გამომწვარი თიხისა. ეს კურჭელიც ასიმეტრიულია. ძირი და გვერდები ხელით აქვს გამოყვანილი. ძირი ბრტყელია, პირი ოდნავაა გადაშლილი. საერთოდ უხეშადაა ნაკეთები (სურ. 72,3).

სიმაღლე—3,5 სმ, ძირის დმ—7 სმ, პირის დმ—9,5 სმ (სავ. № 4).

5. სამაჭური ბრინჯაოსი, ზურგსწორი, გრებილრკალიანი, ბოლოებში ცხველის თავის სტილიზებული გამოსახულებებით (სურ. 83,5).

დმ—5,5 სმ (სავ. № 5).

6. სსაფეთქლე რგოლები ბრინჯაოსი, თავშეკრულები (სურ. 53, 1).

დმ. - 1,5—2 სმ (სავ. № 6).

7. მძივები პასტის, წვრილი, ლურჯი და ყვითელი (სავ. № 7).

8. მონეტა ვერცხლისა—კოლხური თეთრი (სავ. № 8).

დმ—1,3 სმ.

ქვევრსამარხი № 2 აღმოჩნდა № 1 სამარხიდან 1,5—1,7 მ-ის დაშორებით, ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე, ჩადგმულია ვერტიკალურად. სამარხი ცუდად იყო დაცული, მაინც ეტყობოდა, რომ ბავშვისაა. მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისკენაა დამხრობილი.

სამაჯახელი ინვენტარი:

1. მათარა რუხად გამომწვარი თიხის, უყურო, ზედაპირი შავად აქვს გაპირილებული, მრგვალ-ბრტყელია, წიბო მკვეთრადაა გამოყვანილი, ყელი ვიწროა, ძირი ელიფსური.

მათარა ორნამენტირებული ორივე მხარეს, წიბოების გასწვრივ ექვს-ექვსი დაშტრიხული შევრონი შემოუყვება, მუცლის ცენტრში ორივე მხარეს პატარა ბურცობებია, რომელთაც გარშემო ირიბი ნაჭდეებისა და გაპირილებული ზოლების წრეხაზები შემოსდევს (სურ. 73,1).

სიმაღლე—25 სმ, ყელის სიმაღლე—4 სმ, ყელის დმ—4,5 სმ, მუცლის დმ—26-27 სმ, ძირის სიგრძე—13 სმ, ძირის სიგანე—7,5 სმ (სავ. № 9).

2. კოჭობანა, რუხად გამომწვარი თიხისა, ხელით ნაძერწი, ასიმეტრიული უსწორმასწორო ზედაპირიანი, ცალყურა, ყური მოტეხილი აქვს.

სიმაღლე—6 სმ, ძირის დმ—3,5 სმ (სავ. № 10).

3. რგოლი, სსაფეთქლე, ვერცხლისა, ბოლოებდაკეპნილი.

დმ—3 სმ (სავ. № 11).

4. სამაჭური ვერცხლისა (?), რკალშედრეკილი, სადა, ბოლოები ოდნავ შესქელებულია (სურ. 83, 7).

დმ—5,5 სმ (სავ. № 12).

5. მონეტა ვერცხლისა—კოლხური თეთრი (სავ. № 13).

ქვევრსამარხი № 3 აღმოჩნდა ნასაკირევის ბორცვისკენ მიმავალ გზაზე. ჩადგმულია ვერტიკალურად.

სამარხი ძალიან ცუდად იყო დაცული, მაგრამ მიცვალბულის პოზის

დადგენა მაინც მოხერხდა. იგი ესვენა ხელ-ფეხმოკეცილი, თავით სამხრეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა ერთი ღოჭი და სამაჭური.

სამარხეული ინვენტარი:

1. ღოჭი, მონაცრისფროდ გამოშწვარი თიხისა, ცალყურა, უხეშზედაპირიანი, პირი ძაბრისებურადაა გაფართოებული, მუცელი მრგვალია, ძირი ფართო და ბრტყელი, ყური. -ოვალურგანიეკეთიანია და ზემოდან პატარა, მრგვალი კოპი აზის. ყელს ღარებისა და ნაქლებების სარტყელი შემოუყვება (სურ. 73, 2).

სიმაღლე — 24 სმ, პირის დმ — 10 სმ, ძირის დმ — 12 სმ (სავ. № 14).

ქვევრსამარხი № 4 აღმოჩნდა ნასაკირევის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზედაპირიდან დაახლოებით 0,6—0,7 მ-ის სიღრმეზე, ჩადგმულია ვერტიკალურად. მისი ზედა ნაწილი ძლიერ დაზიანებულია, სამარხი ქვებით იყო დასული. მიუხედავად ამისა ჩონჩხი და ინვენტარიც საკმაოდ კარგად იყო დაცული. ჩონჩხი ორიენტირებული იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თავით ჩრდილოეთისაკენ, როგორც ყოველთვის ხელ-ფეხმოკეცილ მდგომარეობაში. ამ სამარხის ინვენტარი უჩვეულოდ მდიდარია სხვა ქვევრსამარხებთან შედარებით. მასში აღმოჩნდა 9 თიხის ჭურჭელი (მათ შორის ერთი იმპორტული), ბრინჯაოს სამაჭურები, სასაფეთქლე რგოლები, მძივები, საკისრე რგოლი, რაც საკმაოდ იშვიათია ქვევრსამარხისათვის, და სამი ვერცხლის მონეტა (კოლხური თეთრი).

სამარხეული ინვენტარი:

1. ორყურა ჭურჭელი (ბრტყელძირა ამფორის ტიპის), რუხად გამოშწვარი თიხისა, პირი პროფილირებულია, ყელი ვიწრო და დაბალი, პირს ქვემოთ რელიეფური ქედი შემოსდევს, რომელიც ყურებში გადადის. ჭურჭელი მხრებში დაქანებულია, ძირი ბრტყელი აქვს. მუცელს გარშემო ორ ღარს შუა მოქცეული, ოდნავ შესამჩნევი ტალღოვანი ორნამენტის საკმაოდ ფართო სარტყელი შემოუყვება, რომელიც თანაბარი ინტერვალით დაშორებული ვერტიკალურად განლაგებული გაპრიალებული ზოლებითაა გადაკვეთილი (სურ. № 74).

სიმაღლე — 30 სმ, ყელის სიმაღლე — 8 სმ, პირის დმ — 8 სმ, ძირის დმ — 13 სმ. ორნამენტირებული სარტყლის სიგანე — 16 სმ (სავ. № 15).

2. ორყურა ჭურჭელი, № 1-ის ანალოგიური. მისგან განსხვავებით მხრებში დაქანებული არაა, პირიქით მხრებში განზიდულია. ანალოგიურია მისი შემკულობაც: ტალღოვანი ორნამენტის სარტყელი გადაკვეთილია გაპრიალებული ხაზებით (სავ. № 16).

ეს ჭურჭლები ყურადღებას იპყრობენ თავისი ანტიკური იერით (რაც განსაკუთრებულ ჭურჭლის ყელ-პირის გაფორმებაში შეიმჩნევა) და, როგორც ჩანს. ბერძნული კერამიკის მინაბამების ერთ-ერთ უაღრეს ნიმუშებს წარმოადგენენ (სურ. 72გ).

სრატერსოა, რომ მაშინ, როდესაც ჭურჭლის ფორმას ემჩნევა ტენდენცია ანტიკური-ბერძნული კერამიკის მიბაძვისა, მისი ორნამენტაცია საცხებით ავგილობრავია. იგი შექმნილია ტალღოვანი ორნამენტისა და გაპრიალებული ხაზების კომბინაციით. თიხის ჭურჭლის შემკობის ასეთი ხერხი საკმაოდ გავრცელებულია ელინისტური ხანის დასავლეთ საქართველოში: ოჩამჩირე,

ემერი⁶, ფარცხანაყანევი⁷, ვანი⁸. ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში გაპრიალებული ხაზებით რომბული ბაღეა შექმნილი, ჩვენს ქუთუბლებზე კი გაპრიალებული ხაზები მხოლოდ ევრტაკალურადაა განლაგებული. ეს ორნამენტი გარკვეულ სიახლოვეს ამელავენებს წინაზე ხანას კოლხურ კერამიკასთან: ტალღოვანი ორნამენტი შექმული ქურკელი მრავალადაა აღმოჩენილი ფოთის მიდამოებში. ძვ. წ. VI—IV საუკუნეთა ფენებში⁹, ხოლო გაპრიალებული ხაზებით ქურკელის შემკობა (ტალღოვანი ორნამენტის გარეშე) ვაწში ძვ. წ. V საუკუნეშია დამოწმებული¹⁰.

3. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, თათქმის პორიზონტალურად გადაშლილირიანი, მხრებში ძლიერ დაქანებული, ძირბრტყელი. ყელი და მხარის ზედა ნაწილი შემკულაა ღარებს შუა მოქცეული ტეხილი ხაზების სარტყლებით (სულ 9 ასეთი სარტყელია), ხოლო მუცელი მთლიანად სავარცხლისებური ორნამენტითაა დაფარული. მშვილდისებური, მრგვალგანიევკეთიანი ყური უშუალოდ პირთან იწყება და მხარს უერთდება (სურ. 75, 4).

სიმაღლე — 18 სმ, ყელის სიმაღლე — 5 სმ, ყურის სიმაღლე — 8 სმ; პირის დმ — 8 სმ, ძირის დმ — 8,5 სმ (სავ. № 17).

4. დოქი, მონაპრისფროდ გამომწვარი თიხისა, პირი ძაბრისებურადაა გაფართოებული, მხრებში დაქანებულია, მრგვალგანიევკეთიანი ყური პირს ქვემოთ იწყება და მხარს უერთდება.

ყელს გარშემო ხუთი ღარისაგან შემდგარი სარტყელი შემოსდევს, ხოლო ღარებს ქვემოთ ირიბი ნაქდეების ერთი სარტყელი (სურ. 75, 7).

სიმაღლე — 24 სმ, ყელის სიმაღლე — 7 სმ, პირის დმ — 10 სმ, ძირის დმ — 8 სმ (სავ. № 18).

5. დოქი, მონაპრისფროდ გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირი თითქმის პორიზონტალურად აქვს გადაშლილი, მუცელი მრგვალია, ძირი ბრტყელი. მრგვალგანიევკეთიანი ყური უშუალოდ პირთან იწყება. ოდნავ ზეახიდილია და მხარს უერთდება. უჩეშადაა ნაკეთები (სურ. 75, 6).

სიმაღლე — 10,5 სმ, ყელის სიმაღლე — 3 სმ, პირის დმ — 5,5 სმ, ძირის დმ — 5 სმ (სავ. № 19).

6. ქოთანი, რუხად გამომწვარი თიხისა, ყელიწრო, მრგვალმუცლიანი და ბრტყელიძირა. ქოთნის პირი პროფილირებულია, შემკულია ერთრიგად განლაგებული კონცენტრული წრეებისაგან შედგენილი სარტყლით, ხოლო ყელი მთლიანად დაფარულია ტალღოვანი ორნამენტით (სურ. 76, 9).

სიმაღლე — 19 სმ, ყელის სიმაღლე — 4 სმ, პირის დმ — 11 სმ, ძირის დმ — 9 სმ. (სავ. № 20).

7. კოკობი, რუხად გამომწვარი თიხისა, ზედაპირგაპრიალებული. კოკობის კორპუსი მთლიანად მრგვალია, პირი გადმოშლილი აქვს, ძირი ბრტყელი (სურ. 75, 5).

⁶ Б. А. Куфтин, Материалы... II табл. 73, 5; его же, Материалы..., I, стр. 48, табл. IV рис. 12.

⁷ М. М. Цвасенко, Кувшины из могильник Западной Грузии, СА, XIII, 1953.

⁸ Б. Мათიაშვილი, ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან, შსკ, V, გვ. 53, ტაბ. II, 17.

⁹ თ. შიქელაძე, ძვ. ხანის კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, ტაბ. IX, XII, XIV.

¹⁰ ვანი I, გვ. 237, სურ. 221, 222.

და III-ის დასაწყისით¹⁶. ძვ. წ. III საუკუნიდან გვხვდება მსგავსი ამფორის-
კები აპოლონიაშიც¹⁷. აბსოლუტურად ანალოგიური ამფორისკი აღმოჩენი-
ლია ფიქვნარშიც, აგრეთვე აღრეელინისტური ხანის სამარხში¹⁸.

ამ ამფორისკზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ ვცანით, რადგან მის
აღმოჩენას დაბლაგომის ქვევრსამარხების შესასწავლად საგანგებო მნიშვნე-
ლობა აქვს. ეს ჭრჭერობით ერთადერთი იმპორტული ნივთია დაბლაგომის
ქვევრსამარხების ინვენტარში და იგი საშუალებას გვაძლევს მისი შემცველი
სამარხი მეტ-ნაკლები სიზუსტით დაეთარილოთ. აღსანიშნავია აგრეთვე ის
გარემოებაც, რომ სამარხში, რომელშიც ეს ნივთია ნაპოვნი, ცხრა აღ-
გილობრივი ჭურჭელი აღმოჩნდა. ამ სახელსაცხებლის მეშვეობით ეს ჭურჭ-
ლებიც შედარებით ზუსტ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება და თვითო-
ნაც იღებენ დამატარილებელ მნიშვნელობას.

ამრიგად, ქვევრსამარხი № 4 ამ ჭურჭლის მეოხებით საკმაოდ ზუსტად
თარიღდება ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით.

12. სამაჯური ბრინჯაოსი, ბოლოებში და შუაში ორ-ორი დრაკონის
თავის გამოსახულებითაა შემკული. ჩამოსხმულია ყალიბში (სურ. 85,1) დმ—
6,5 სმ (სავ. № 26).

13. სამაჯური რკინისა, ზურგსწორი, ძლიერ დაჯანგული (სურ. 83,4)
დმ—6 სმ (სავ. № 27).

14. საკისრე რგოლი ბრინჯაოსი. შეკრული კაუჭებით (სურ. 83,9). დმ—
13—15 სმ (სავ. № 28).

15. მონეტა—კოლხური თეთრი (სავ. № 29, 29ა).

16. მონეტა—კოლხური თეთრი (სავ. № 30).

17. მძივები მწვანე მინისა, ბიკონუსური და მრგვალი (სავ. № 31).

18. მძივები სარდიონისა, მრგვალი (სავ. № 32).

ქვევრსამარხი № 5 აღმოჩნდა ნასაკირევის აღმოსავლეთ ფერდზე, ზედა-
პირიდან 0,6—0,7 მ სიღრმეზე, გზის გადმოღმა. სამარხი ქვევრი, როგორც
ყველა ზემოაღწერილი, ორმოში იდგა ვერტიკალურად, თავდაყირა, ძლიერ
იყო დაზიანებული, მისი ზედა ნაწილი შიგ სამარხში იყო ჩაფარდნილი და
ამოვსებული იყო მიწით და ღორღით, რის გამოც არეული იყო ჩონჩხიცა
და სამარხეული ინვენტარიც, რომელიც მხოლოდ მოწითალოდ გამომწვარი
თიხის დოქის ნატეხებით არის წარმოდგენილი (სავ. № 33).

ქვევრსამარხი № 6—7. აღმოჩნდა ნასაკირევის ბორცვის ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთ ფერდობზე ძლიერ ჩამორეციხილ ადგილას. ნიადაგის სისქე
აქ 0,4—0,5 მ არ აღემატება. სამარხების ზედა ნაწილი მთლიანად გადანგრე-
ული იყო. შემორჩენილია მხოლოდ სამარხის ქვედა ნაწილი, ისიც ძალიან და-
ზიანებული. ინვენტარი თითქმის არ შემონახულა. აღმოჩნდა მხოლოდ თი-
ხის ჭურჭლის უფორმო ნატეხები და მინის წვრილი მძივები.

ქვევრსამარხი № 8 აღმოჩნდა ნასაკირევის აღმოსავლეთ ფერდზე,
შედარებით სწორ ადგილას ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. სამარხი ვერტიკა-
ლურად იყო ჩადგმული, ყელით ქვემოთ. ყელზე დაფარებული ჰქონდა ქვევ-

¹⁶ H. A. Thompson, დასახ. ნაშრომი, გვ. 472, სურ. 117.

¹⁷ Г. Иванов, Античная керамика из некрополя Аполлонии «Аполлония», გვ. 150.

¹⁸ ცნობა მოგვაწოდა ა. რამიშვილმა, რომელიც თხრიდა ხეხებულ სამარხვანს.

რის გვერდის ნატეხი, რომელზეც ესვენა მიცვალებული. ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია, ორიენტაციისა და პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. ინვენტარი ერთი დოქითაა წარმოდგენილი (სურ. 68).

1. დოქი რუხად გამომწვარი თიხისა, შავზედაპირიანი, ცალყურა, მხრებში ძლიერ განზიდული, ყელი პირისკენ ძაბრისებურადაა გაფართოებული, პირი სწორია, მუცელი ძირისკენ მკვეთრად დაქანებულია. ბრტყელი ყური პირს ქვემოთ იწყება და მუცლის ზედა ნაწილს უერთდება. ყელი პარალელური ღარებითაა შემკული (სურ. 78,1).

სიმაღლე—25 სმ; ყელის სიმაღლე—7 სმ; პირის ღმ—11 სმ; ძირის ღმ—10 სმ; ყურის სიგანე—3,5 სმ (სავ. № 34).

ქვევრსამარხი № 9 აღმოჩნდა ნასაკირევის ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, მიწის ზედაპირიდან 0,5—0,6 მ სიღრმეზე. სამარხი ქვევრი გვერდზე იყო დაწვენილი, ძირით აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულიც თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იყო ორიენტირებული. სამარხი ძლიერ დაზიანებულია. მისი ნატეხები თითქმის 2,5 მ ფართობზეა მიმობნეული.

სამარხეული ინვენტარი:

1. სამაჯური ბრინჯაოსი, ზურგსწორი, მრგვალგანიკვეთიანი, ზურგი და ბოლოები რელიეფური ნაკვდევებით აქვს შემკული (სურ. 83,6).

ღმ—6,3 სმ (სავ. № 35).

2. ყურმილიანი დოქის ნატეხები, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ყური შემკულია წერტილოვანი ნაკვდევებით (სავ. № 36).

3. მონეტა ვერცხლის — კოლხური თეთრი (სავ. № 37).

ქვევრსამარხი № 10 აღმოჩნდა ნასაკირევის ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, მიწის ზედაპირიდან 0,8—1 მ სიღრმეზე, № 1 სამარხის ქვემოთ. სამარხი ქვევრი აქაც პორიზონტალურადაა ჩადგმული, ძირით აღმოსავლეთისაკენ, შესაბამისად მიცვალებულიც თავით აღმოსავლეთისაკენაა დამხრებული.

სამარხეული ინვენტარი:

1. მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ქოთანის ნატეხები, ქოთანი ცალყურაა, ბრტყელგანიკვეთიანი, ყური უშუალოდ პირთან იწყება, პირის ზევითაა აზიდული და მხრის ზედა ნაწილს უერთდება. ქოთანს სამტუჩა პირი უნდა ჰქონოდა. ყელის გარშემო და ყურის სიგრძეზე ირიბი ნაკვდევების სარტყლები გასდევს (სავ. № 38).

ქვევრსამარხი № 11 აღმოჩნდა ნასაკირევის ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზედაპირიდან 0,61—0,7 მ სიღრმეზე. სამარხი ძლიერ დაზიანებულია, ძირით, ისევე როგორც ზემოაღწერილები, აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული. ჩონჩხი ძალიან დაზიანებულია. პოზის დადგენა ვერ მოხერხდა.

სამარხეული ინვენტარი:

1. სასმისი, რუხად გამომწვარი თიხისა, კონუსური, პირი ძაბრისებურადაა გაშლილი. პირს ქვემოთ რელიეფური, გრეხილი სარტყელი შემოსდევს. სასმისს ქუსლი მოტეხილი აქვს (სურ. 78,4).

სიმაღლე—9 სმ, პირის ღმ—9,5 სმ (სავ. № 39).

ქვევრსამარხი № 12 სოფლის განაპირას, სამანქანო გზის მახლობლად აღმოჩნდა. სამარხის ქვევრის კედლები ზედაპირზევე ჩანდა, იგი ვერტკალურად იყო ჩადგმული მიწაში, თავდაყირა. სამარხი საკმაოდ საინტე-

რესო აღმოჩნდა, მას ყელზე ბრტყელი კრამიტი ეფარა, რომელზეც მიცვალუბული იყო დაბეჭედილი ინვენტარიანად. ამ დანიშნულებისათვის ჩვეულებრივ ქვევრის მოზრდილ ნატეხს იყენებდნენ ხოლმე, ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევაა კრამიტის ამ დანიშნულებით გამოყენებისა. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი კრამიტის დათარიღებისათვისაც: ქვევრსამარხი ძვ. წ. III საუკუნისაა, შესაბამისად კრამიტიც ამავე პერიოდით თარიღდება. ასე ნიშანდობლავად დათარიღებული კრამიტი სხვაგან ფიქსირებული არ გვაქვს (დაბლაგომის განათხარავი კრამიტი საერთოდ იშვიათად გვხვდება).

კრამიტის ზომა—65×53 სმ.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ინ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულის რკალშედრეკილი სამაჭური, ბოლოები გაბრტყელებულია და ზედ გველის თავის სქემატური გამოსახულებაა მოცემული.

ღმ—5,5 სმ (სავ. № 40).

2. ბეჭედი, ბრინჯაოს ბრტყელგანივკვეთიანი მავთულისა, ბოლოებგახსნილი, ზედ ლომია გამოხატული, ადგილობრივია. თარიღდება ძვ. წ. III საუკუნით (განსაზღვრა ეკუთვნის მ. ლორთქიფანიძეს. სავ. № 41).

3. წითლად გამოწყვარი თიხის დოქის ნატეხები. დოქი ცალყურაა, კორპუსი სფეროსებურია, ძირი ბრტყელი, ყელი მაღალი, პირი გადაშლილია და ქობა შესქელებული. მხარს გარშემო ორ ღარს შუა მოქცეული ირიბი ნაქდევების სარტყელი შემოსდევს. ყური ორლულიანია (სავ. № 42).

ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ი № 13 გაითხარა ნასაიკრევის ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე. სამარხი ქვევრი გვერდზეა დაწეული. მიწის ზედაპირიდან 0,4—4,5 მ სიღრმეზე, ძირით აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. თავით მიცვალუბულიც აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი.

სამარხეული ინვენტარი:

1. სამაჭური ბრინჯაოსი, მასიური, ბოლოებში და შუაში ორ-ორი დრაკონის თავის გამოსახულებითაა შემეული (სურ. 85,2).

ღმ—6 სმ (სავ. № 43).

2. სამაჭური ბრინჯაოსი, ისეთივე როგორც № 1.

ღმ—6 სმ (სავ. № 44).

3. სამაჭური ბრინჯაოსი, გატეხილი ორად, ძლიერ დაქანებული (სავ. № 45).

4. ზარაკები ბრინჯაოსი, ცილინდრული, გვერდშეკრილი. ერთ მათგანს ბრინჯაოს ენა აქვს შერჩენილი, 11 ცალი (სავ. № 46).

ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ე ბ ი № 14—15 გაითხარა ნასაიკრევის ფერდის სამხრეთ-დასავლეთით. ნიადავი აქ ძლიერ ჩამორეცხილია, მისი სისქე, 0,4—0,5 მ არ აღემატება. სამარხების ზედა ნაწილი მთლიანად გადანგრეული და გადარეცხილი იყო. შემორჩენილია მხოლოდ სამარხის ქვედა ნაწილები, ისიც ძალიან დაზიანებული. ამ სამარხებს, როგორც აღრევე გვქონდა აღნიშნული, ბათქაშიანი ფენა აქვთ ჩაქრილი (სურ. 6).

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ინ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. თიხის ჭურჭლის უსახური ნატეხები (სავ. № 47).

2. პასტის წვრილა მძივები (იოტები) (სავ. № 48).

ქ ვ ე ვ რ ს ა მ ა რ ხ ი № 16 გაითხარა ნასაიკრევის აღმოსავლეთ ფერდ-

ზე, ზედაპირიდან 0.7—0.9 სმ სიღრმეზე. სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, ოღონდ ვანსხევეებით სხვა სამარხებისგან ძირითადად ქვევრით. მასში აღმოჩნდა ცუდად დაცული ჩონჩხის ნაწილები, ინვენტარი არ ახლდა.

აქვე, ქვევრსამარხის ვერტიკალურად, გასუფთავდა კიდევ ერთი ჩონჩხი, რომელიც პირდაპირ მიწაში იყო დაკრძალული, ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. თავთან ედგა დოქი. კისრის არეში წერილი პასტის მკეპები ჰქონდა ჩაბნეული (სურ. 84).

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. დოქი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ცალყურა, ყურზე კოპი აზის, მკეცილი მარჯვლი აქვს, ძირი ბრტყელი, ყელი პირისკენ ძაბრისებურად გადაართებული. ყელს გარშემო ღარებისა და წერტილოვანი ნაკვდევების სარტყლები შემოსდევს (სურ. 78,5).

სიმაღლე—22 სმ, ძირის დმ—15 სმ, პირის დმ—7 სმ (სავ. № 49).

2. ლურჯი და ყვითელი პასტის წერილი მძივები (სავ. № 50).

ქვევრსამარხი № 17 შემთხვევით აღმოჩნდა ნოშრევეან იობაძის ეზოში, სახლის მშენებლობისას. სამარხის შესახებ ვერაფერს ვიტყვით იმის გარდა, რომ ქვევრი მიწაში ვერტიკალურად, პირით ქვემოთ იყო ჩადგმული. ინვენტარი გადმოკვცა ნ. იობაძემ.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. დოქი ხელით ნაქერწი. ცალყურა, მონაცრისფრო თიხისა. მასზე რამდენიმეწილი ნიშანია ამოკარული: თევზიფხური, სვასტიკა, ჭვარი და სამთითა (სურ. 78,3).

2. ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები, სადა მავთულისა (სავ. № 51).

3. ვერცხლის მონეტა—კოლხური თეთრი

დმ—1,4 სმ (სავ. № 52).

ქვევრსამარხი № 18 აღმოჩნდა ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე, 0,4 მ-ის სიღრმეზე, სამარხი ძალიან დაზიანებული იყო. მხოლოდ ქვევრის მდგომარეობის დადგენა მოხერხდა—იგი ვერტიკალურად, თავდაყირა ყოფილა ჩადგმული.

ქვევრსამარხი № 19 აღმოჩნდა № 18 ქვევრსამარხიდან დაახლოებით 2 მ-ის დაცილებით. ქვევრი აქაც ვერტიკალურად, პირით მიწაში იყო ჩადგმული. ჩონჩხი ესვენა ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ (სურ. 69).

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. საწიპი, რუხად გამომწვარი თიხისა, მაღალფეხიანი, პირფართო, ფეხის ზედა ნაწილი შემკულია წრიული ხაზებით (სურ. 79,4).

სიმაღლე—12 სმ, ფეხის სიმაღლე—8 სმ, პირის დმ—12,5 სმ, ძირის დმ—5,3 სმ (სავ. № 53).

2. ჭპი, რუხად გამომწვარი თიხისა, უხეშად ნაქერწი (თითქოს ქუსლის გამოყვანას ცდილა ხელოსანი; სურ. 79,6).

სიმაღლე—5 სმ, პირის დმ—10 სმ, ძირის დმ—6 სმ (სავ. № 54).

3. დოქი, მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირი ძაბრისებურადაა გაუართობებული. ყელი შემკულია ტეხილი ხაზებით შედგენილი სარტყელით.

სიმაღლე—24,5 სმ, პირის დმ—9,5 სმ, ძირის დმ—13 სმ (სავ. № 55).

4. სამაჭური, ბრინჯაოსი, ზურგსწორი, შემკული პრიზმული შევერილებით (სურ. 83).

დმ—7 სმ (სავ. № 56).

5. რგოლი ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიან მავთელისა ((სურ. 83, 10).

დმ—4 სმ (სავ. № 57).

6. მონეტა ვერცხლისა—კოლხური თეთრი (სავ. № 58).

ნ ა ც ი ხ ვ ა რ ა ს ბ ო რ ც ვ ი

ქვევრსამარხი № 20 აღმოჩნდა ნაციხვარას დასავლეთ ფერდზე გამავალი გზის კრილში, ზედაპირიდან დაახლოებით 0,5—0,6 მ სიღრმეზე. სამარხი ქვევრი ორმოში ვერტიკალურად იყო ჩადგმული, თავდაყირა, ძლიერ დაზიანებული. მასში ჩონჩხი არ აღმოჩენილა. ინვენტარი ძალიან ღარიბულია.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. დოქი, რუხმოწითალო თიხისა, ცალყურა (ყური მოტეხილი აქვს), პირფართო, დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ძირბრტყელი, ყელის გარშემო სწორ ხაზებს შორის მოქცეული ტეხილი ხაზების სარტყელი შემოყვება, მხრის გარშემო—ირიბი ნაკღევების სარტყელი (სურ. 79,1).

სიმაღლე—13 სმ, პირის დმ—6,5, ძირის დმ—6,5 სმ (სავ. № 59).

2. ბრინჯაოს საყისრე რგოლის ნატეხები. რკალი მრგვალგანიკვეთიანია (სავ. № 60).

ქვევრსამარხი № 21 აღმოჩნდა № 20 სამარხის გვერდით, ორმოში ვერტიკალურად იყო ჩადგმული. დანგრეულია (არც ჩონჩხი იყო, არც ინვენტარი).

ქვევრსამარხი № 22 აღმოჩნდა № 20 ქვევრსამარხიდან 1 მ-ის დაშორებით, ზედაპირიდან 0,7 მ-ის სიღრმეზე. სამარხი ქვევრი ორმოში იდგა ვერტიკალურად, თავდაყირა. ძლიერ დაზიანებულია. ჩონჩხი თითქმის არ შენახულა, აღმოჩნდა მხოლოდ კბილის გვირგვინი.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი :

1. დოქი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, შავად გაპრიალებული, ცალყურა, მხრებში დაქანებული, მუცლის შუა ნაწილი გაფართოებულია და ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული (ტენდენცია ბიკონუსურობისაკენ).

მუცლის გარშემო ორ ღარს შორის მოქცეული ტალღოვანი ორნამენტის სარტყელი შემოუყვება. ყური მრგვალგანიკვეთიანია, პირს ქვემოთ იწყება და მზარს უერთდება, პირი გადატეხილია (სურ. 79,2)²⁰.

სიმაღლე—23 სმ, ყელის დმ—5,5 სმ, ყურის სიმაღლე—8,5 სმ, ძირის დმ—8 სმ (სავ. № 61).

2. ბრინჯაოს საყურე—რგოლი.

დმ—2 სმ (სავ. № 62).

3. მძივები ლურჯი მინისა, მრგვალი (სავ. № 63).

ქვევრსამარხი № 23 დანგრეულია გზის გაყვანის დროს. მასში არ აღმოჩნდა არც ჩონჩხი და არც ინვენტარი.

²⁰ კურკელი ანალოგიურია 1969 წელს ვანში აღმოჩენილი ბავშვის სამარხის დოქისა, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნის II ნახევრით თარიღდება.

ქვევრსამარხი № 24 აღმოჩნდა ზედაპირიდან 0,7 მ-ის სიღრმეზე. ქვევრი ორმოში იღვავა ვერტიკალურად. თავდაყირა, მიცვალებული ესვენა თავით სამხრეთსაკენ. ძვლები ძლიერ დაზიანებულია (სურ. 70).

სამარხეული ინვენტარი:

1. საკიდი ლურჯი გამჟვირვალე მინისა, დელფინის ფორმისა (სურ. 85.1)²¹, საკიდის სიგრძე — 3,5 სმ (სავ. № 64).
2. ვერცხლის რგოლის ნატეხები. მრგვალგანივკვეთიანი (სავ. № 68₁).
3. შიჩვი სარდიონისა, დაწახნაგებული (სავ. № 65).
4. შიჩვები მინისა, სამი ლურჯი, ორი ქარვისფერი, ერთი ბაცი ყვითელი (სავ. № 66).
5. ლურჯი და ყვითელი მინის წვრილი მძივები (იოტები) (სავ. № 67).
6. მონეტა — კოლხური თეთრი (სავ. № 68).

ქვევრსამარხი № 25 აღმოჩნდა ზედ გზაზე. გზის ზედაპირზევე ჩანდა ქვევრის გადახატვები. ქვევრი აქაც ვერტიკალურად იყო ჩადგმული, თავდაყირა. სამარხი უზარმაზარი ქვებით იყო ამოვსებული, რომელთაც ძვლები ძლიერ დაუზიანებიათ.

სამარხეული ინვენტარი:

1. სასპისი, მონეტისფეროდ გამომწვარი თიხისა, კონუსური ფორმისა, ქუსლი მოტეხილი აქვს (სურ. 79,3).

სიმაღლე — 10,5 სმ, პირის დმ — 10 სმ (სავ. № 69).

2. სამაჭური, ბრინჯაოსი, ზურგსწორი ბოლოებში გაფართოებული.

დმ — 6,5 სმ (სავ. № 70).

3. სამაჭური, ბრინჯაოსი, ზედაპირდაკეპნილი, ბოლოებში გველის თავების სქემატური გამოსახულებით (სურ. 83,2).

დმ — 7 სმ (სავ. № 71).

როგორც ვხედავთ, სამარხეული ნივთების ასორტიმენტი ღარიბული და შეზღუდულია: თითო-ორიღა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამკაულები და მონეტები (კოლხური თეთრი). სამაგიეროდ საქმოდ მრ. ქალღეროვანია ამ სამარხებშიღა მომდინარე კერამიკული ჭურჭელი. ვერ დავეთანხმებით ბ. კუფტინს იმაში, რომ თითქოს ქვევრსამარხებიღან მომდინარე თიხის ჭურჭელი მღარედ ნაკეთები და ერთფეროვანი იყოს²². მიუხედავდ იმისა, რომ ჩვენს ნიერ გათბრილი ქვევრსამარხებიღან მხოლოდ 15-ია თიხის ჭურჭლის შემცველი, მათ მაინც საქმოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ფორმები მოგვეცა. ზოგიერთი მათგანი ჭერჭერობით უნიკალურიც კია.

თიხის ჭურჭელში გამოვეყავით შემდეგი ჭრუფები: 1. დოქები, რომლებიც თავისთავად 4 ქვეტიპს შეიცავს: ა) ცალყურა, მრგვალმუცლიანი, ბრტყელბრა დოქები. მათთვის დამახასიათებელია ძაბრისებურად გაფართოებული ყელი. ეს დოქები შეღარებით დიდი ზომისაა, ბ) პირგადმოშლილი, ვარცოყლიანი დოქები, მსხლისებური, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მუცლოდ და მატარა ბრტყელი ძირით. ეს ჭურჭლები განსხვავდებიან ადრეული კოლხური კერამიკისაგან და პარალელებს უფრო აღმოსავლურ ფორმებთან პოელოსენ, გ) მრგვალმუცლიანი, მაღალყელიანი დოქები. ეს დოქები ვან-

²¹ ზღატად ანთი საკიდი გამოქვეყნებული აქვს ბ. კუფტინს. (Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, გვ. 52—53, ტაბ. 9а).

²² Б. А. Куфтин, დასახ. ნ.წილი, გვ. 63.

ში აღმოჩენილი ძვ. წ. IV საუკუნის ბავშვის სამარხიდან მომდინარე დოქის ანალოგიურია, დ) დაბალი, ფართობირიანი, სამტუჩა დოქი; 2. ორყურა ამფორისებური ჭურჭლები; 3. ქოთნები; 4. სხვადასხვა ფორმის ჯამები; 5. კოჭები; 6. მათარა (სურ. 80, 81, 82). ჭურჭელი ძირითადად ლეგადა გამოიწვია, ზედაპირი ხშირად გაპრიალებული და ორნამენტირებულია (წიწკოვანი, სავარცხლისმიერი, ტალოვანი, ირიბი ნაჭდეუებისგან და ტეხილი ხაზებისგან შედგენილი სარტყლები. ამოღებული კონცენტრული წრეები, დაშტრიხული შევრონები და სხვა (სურ. 89,3).

დაბლაგომის სამარხეულ ინვენტარში სამაქულაგან ყველაზე გავრცელებულია ბრინჯაოს სამაჭურები. ყველა სამაჭური ძირითადად ერთი მობაზულობისაა: რკალგახსნილი, ზურგსწორი, ან ოდნავ ზურგმდრეკილი. შემკულობის მხრივ გამოიყოფა რამდენიმე ნაირსახეობა: ა) სხული მრგვალგანივკეთიან ღეროს სამაჭურები, რომლებსაც რკალი შემკული აქვთ სამსამი პრიზმული წანაზარდებით, ხოლო ბოლოები ცხოველის თავის (გველის?) სტილიზებული გამოსახულებით; ბ) სამაჭურები, რომლებსაც რკალის შუა ნაწილი და ბოლოები შემკული აქვთ დრაკონის თავის სკულპტურული გამოსახულებებით²³; გ) გრეხილრკალიანი სამაჭური, რომელსაც ბოლოები შემკული აქვს ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებებით; დ) სადა რკალიანი სამაჭურები, რომლებსაც ბოლოები დაეკნული აქვთ და მრგვალი თავებით ბოლოვდება (სურ. 83-7, 85)²⁴.

იშვითად, მაგრამ მინც გვხვდება რკინის სამაჭურები, რომელთაც, მიუხედავად დეფორმაციისა, ემჩნევათ რომ ბრინჯაოს სამაჭურების კონტურს იმეორებენ (სურ 83).

ბრინჯაოს სამაქულთაგან აღსანიშნავია აგრეთვე სასაფეთქლე რგოლები (სადა, მრგვალგანივკეთიან მათულისა), საკისრე რკალები (სულ ორი ცალია აღმოჩენილი) და ერთი ბრინჯაოს ბრტყელგანივკეთიანი ღეროს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულება ამოტეფრული.

ქვევრსამარხთა ინვენტარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ აგრეთვე მძივებს. რომელთა უმრავლესობა მინისაა. ესაა ყვითელი და ლურჯი (საფირონის ფერი) სხვადასხვა ზომისა და ფორმის მძივები. ზოგიერთ სამარხში მხოლოდ რამდენიმე მძივია აღმოჩენილი, ზოგიერთში მთელი ანხმა. უფრო ხშირია წყრილი მძივები, ე. წ. იოტები. ყურადღებას იქცევს ლურჯი ფერის დელფინისებური საკიდი. გვხვდება სარდიონის მძივებიც, მაგრამ მცირე რაოდენობით (სურ. 86). მძივები და საკიდები სრულიად ანალოგიურია ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებულ მძივებისა.

სამარხეული ინვენტარის აუცილებელი ატრიბუტია მონეტა, რომელიც თითქმის ყველა ინვენტარიან ქვევრსამარხშია აღმოჩენილი, ერთში სამი (სა-

²³ ამ ტიპის სამაჭური აღმოჩენილია ბ. კუფტინის მიერ გათხრილ № 26 ქვევრსამარხში, რომელსაც იგი ამ სამაჭურის საფურცელზე სამარხთა ადრეულ ჩვენებაში აერთიანებს და ძვ. წ. VI—V სს. ათარიღებს (Б. А. Куптин, Материалы к археологии Колхиды. II, стр. 88) ზევს ასეთი სამაჭური დამოწმებული გვაქვს. ჯერ ერთი, № 4 ქვევრსამარხში, რომელიც იმპორტული ამფორისის შემეგობით კარგად თარიღდება ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით და აგრეთვე № 13 პორიზონტალურად დაწვენილ ქვევრსამარხში, რომლებსაც ჩვეულებრივ სამარხთა ამ ტიპის გვიანდელ ვარიანტად მიიხსენვენ.

²⁴ სამაჭურების დეტალური აღსანიშნავია იხ. Б. А. Куптин, დასახ. ნაშრომი, გვ. 28 და შემდეგ.

მარხი № 4), ერთში ორი (სამარხი № 2), დანარჩენებში თითო-თითო, სულ 15 მონეტა აღმოჩენილი. ყველა მონეტა ერთი ტიპისაა — ესაა კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები, ნახევარდრაქმები, შუბლზე ადამიანის თავის პროფილია გამოსახული, ხოლო ზურგზე ხარისა. ყველა მონეტა ანეპიგრაფულია. მათი დამზადების 1,3-დან 1 სმ-მდე, ხოლო წონა 1,8მმ-დან 0,65 გრამამდე (ეს შესაძლოა მონეტების მეტ-ნაკლები გამოფიტულობითაც იყოს შეპირობებული).

საპარხეული ინვენტარის შედარებითი-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, რომელსაც სადღეისოდ მრავალი პარალელი მოეძებნება დასავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან, განსაკუთრებით კი ვანის ნაქალაქარის საკმაოდ კარგად დათარიღებულ კომპლექსებთან, ჩვენ მიერ გათხრილი სამარხები ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს და ძვ. წ. III საუკუნის მიწურულს უნდა ეკუთვნოდეს. მათი ასაკის განსაზღვრისათვის საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე № 4 ქვევრსამარხში აღმოჩენილ ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ იმპორტულ ამფორისკს, რომლის მეშვეობითაც დაბლაგომის სამარხებიდან მომდინარე მასალათა საკმაოდ დიდი ჯგუფი სრულიად განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა²⁵. რამდენადაც დაბლაგომის ცალკეულ ქვევრსამარხებს შორის დიდი ქრონოლოგიური სხვაობა არ შეიმჩნევა (ამის მოწმობაა დამარხვის წესების და სამარხეული ინვენტარის მეტ-ნაკლები ერთგვაროვნება), ეს თარიღი შეიძლება მივიღოთ, როგორ ამოსავალი ქვევრსამარხთა პერიოდიზაციისათვის და დაბლაგომში ქვევრსამარხების არსებობა ზოგადად ძვ. წ. IV—III საუკუნეებით, ე. ი. ადრე ელინისტური ხანით განესაზღვროთ. თუმცა რიგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ამ შედარებით ზოგადი თარიღის კონკრეტიზაცია²⁶.

გარდა პირდაპირი დამათარიღებელი ფაქტორებისა, შეიძლება მივუთითოთ მთელ რიგ მოვლენებზე, რომლებიც დაბლაგომში ქვევრსამარხების გაჩენას სწორედ ადრეელისტიურ ხანას უკავშირებენ. ასეთ მოვლენათა რაგს განეკუთვნება მიცვალებულისათვის მონეტის ჩატანების ჩვეულების გავრცელება, სამარხებში ბერძნული კერამიკის მინაბაძი ფორმების გაჩენა, ბერძნული ასოებიანი კოლხური თეთრების აღმოჩენა²⁷ (ამ უკანასკნელთ, როგორც ცნობილია, ნუმიზმატები კოლხური მონეტების გვიანდელ ვარიანტად მიიჩნევენ)²⁸ და სხვ.

კულტურული ფენების შესწავლის მიზნით, როგორც ადრე გვემონდა აღნიშნული, საცდელი თხრილები გავაკეთეთ ნაციხვარას თხემზე — მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ფერღებზე. ნასაკირევის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და

25 სანტერესოა, რომ ბერძნული იმპორტი დაფარის ქვევრსამარხებშიც ძვ. წ. III საუკუნიდან ჩნდება (იხ. ნ. კლუბაძე, ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის ანტიკურ ხანაში, სიღისერტიციო ნაშრომი).

26 მაგ. ნაციხვარის დასავლეთ ფერღზე გათხრილ ქვევრსამარხთა ჯგუფი აქ აღმოჩენილი კერამიკის მიხედვით ძვ. წ. IV ს. საუკუნის მიწურულს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო სამარხი № 12 ძვ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარს.

27 ასეთი მონეტები ჩვენს მიერ გათხრილ ქვევრსამარხებში არ აღმოჩენილა, სამაგიეროდ შრკლად იქნეს აღმოჩენილი ასეთი შემთხვევები ბ. კუფტინს (Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 54).

28 К. Б. Годенко, Д. Г. Канавадзе, Четыре клады Колхидок, НЭ, VI, 1968, стр. 31 и сл.

ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე. რამდენიმე თბილისი სოფლის შიდა ტერიტორიაზეც იქნა გავლებული.

კულტურულ ფენებს თვისობრივად განსხვავებული მასალა ადრეულ განთხართან შედარებით არ მოუცია. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ეს მასალა ძირითადად კერამიკული ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ესაა: კოლხური ქვევრების ნატეხები, სასმისის ძარები, ქურჭლის ყურები, ხშირად ზოომორფული შეერილებით შემკული, ამფორის ძირები — ალჯალობრივი და იმპორტული (სინოპე, თასოსი, ქიოსი); ატიკური შველაციანი კერამიკის მცირე ფრაგმენტები და სხე. (სურ. 88, 89).

განსაკუთრებით აღსანიშნავია თიხის პატარა სამუფხა ფიგურები²⁹, ასტრალური ნაკვდევებით, რომლებსაც ხარის სქემატურ გამოსახულებად მიიჩნევენ და საკულტო დანიშნულებას ანიჭებენ³⁰ (სურ. 87).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობდით კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალების ზუსტ ფიქსაციას, მათი საშუალებით ფენების დათარიღება მაინც ვერ მოხერხდა: ბორცვები, სადაც მიმდინარეობს ძირითადი სამუშაოები, მუდმივ ეროზიას განიცდის, ნიადაგი ირეცხება, ხდება ფენების გადაადგილება, ხშირად ადრეული მასალები ზედა ფენებშია მოქცეული, გვიანდელი კი პირიქით ქვედაში.

კულტურულმა ფენებმა ორი პერიოდის მასალა მოგვცა — ძვ. წ. VI—IV სს. და ძვ. წ. IV—III სს. უფრო ადრეული მასალები ჩვენს მიერ ფიქსირებული არაა. მასალა ანალოგიურია მთელს ანტიკურ კოლხეთში გავრცელებული მასალებისა (სავ. № 71—117).

ჩვენს მიერ შესწავლილი სამარხეული კომპლექსების შედარებამ დაბლაგომში ადრე აღმოჩენილ მასალებთან, რომელსაც, როგორც ცნობილია, ძვ. წ. VI—III საუკუნეებით ათარიღებენ³¹, გვიჩვენა მათი სრული იდენტურობა, რაც, ცხადია, მათი სინქრონულობის მაჩვენებელია. აშენად ლიტერატურაში შემოთავაზებული ქვედა თარიღი (ძვ. წ. VI—V სს) დაბლაგომში ქვევრსამარხების გავრცელებისა ერთვევარ დაზუსტებას მოითხოვს.

მაშინ, როდესაც პირველად იქნა აღმოჩენილი ქვევრსამარხები დაბლაგომში, ე. ი. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, დასავლეთ საქართველო არქეოლოგიურად ძალიან სუსტად იყო შესწავლილი. არ არსებობდა არავითარი შესადარებელი მასალა, სრულიად შეუსწავლელი იყო დასავლურქართული კერამიკა, რის გამოც იგი სრულიად გამოთიშული იყო, როგორც დათარიღების საფუძველი. როგორც პროფ. ბ. კუფტინი აღნიშნავდა: «Полная неизученность и даже неизвестность западно-грузинской керамики вообще и отсутствие каких-либо сравнительных образцов ея. не позволяет делать каких-либо непосредственных заключений о возрасте нашей керамики»³².

ბ. კუფტინის მიერ შემოთავაზებული თარიღი ძირითადად დაფუძნებულია ბრინჯაოს სამაჯურების შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზზე, რომლის

29 ბ. კუფტინი მათ თიხის ქურჭლის გამოწვისათვის გამოსაყენებელ სდგარებად მიიჩნევს (Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 109), რაც არ მიგვაჩნია დამაჯერებლად.

30 В. В. Бардавелидзе Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 202, 259.

31 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 75; Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

32 Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

საფუძველზე იგი დაბლაგომის ქვევრსამარხებს ზოგადად აქემენიდური და აღრეელინისტური ხანით ათარილებს. ამ სამარხების ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად იგი თითქოს ძვ. წ. V საუკუნეს მიიჩნევს, რომელსაც აკუთვნებს № 26 ქვევრსამარხს, მაგრამ იქვე დასქენს, რომ: «С эллинизацией восточного Черноморья совпадает время нижнегомских кувшинных погребений. . . МЫ их находим здесь в промежутке от VI до III века до нашей эры»³³. დაახლოებით ასეთივე თარიღი აქვს მოცემული ნ. ხოშტარისაც, რომლის ქრონოლოგიური მონაცემები ასევე ბრინჯაოს სამაჯურების კლასიფიკაციაზეა დაფუძნებული³⁴.

სადღესოდ ვითარება შეცვლილია. უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დიდძალი მასალა დაგროვილა, რომელიც იძლევა საფუძველს დაბლაგომის ქვევრსამარხების ასაკის შედარებით დაზუსტებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვანის ნაქალაქარი, რომელმაც მოგვცა მტკიცე ქრონოლოგიური საყრდენები, როგორც კერამიკაში, ასევე ლითონის ნაწარმში. ამ მასალათა გათვალისწინების საფუძველზე დაბლაგომში ქვევრში დამარხვის წესის გაჩენა ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდანაა საეარაულებელი.

დაახლოებით ამავე დროიდანაა საეარაულებელი ქვევრში დამარხვის წესის გაჩენა საერთოდ დასავლეთ საქართველოში, რომელმაც, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰპოვა და მცირე გამოხატვის გარდა, შეიძლება ითქვას, ერთდერით წესით დაკრძალვისა ელინისტური ხანის შიდა კოლხეთისათვის (დაბლაგომი, დაფნარი³⁵, სუფსა-ნატანების აუზი³⁶, ქუთაისის მიდამოები³⁷, ცხაკაიას მიდამოები³⁸ და სხვ.).

ქვევრსამარხების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მათი წარმომავლობის ასახსნელადაც (რამდენადაც ყოველი ისტორიული მოვლენა კონკრეტულ ვითარებათა ფონზეა განსახილველი): მაგალითად, ბ. კუფტინის ვარაუდი, რომ ქვევრში დამარხვის წესი მის მიერვე ეშერში აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ოსუარიების ბუნებრივი ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს⁴⁰, კვლევის დღევანდელ ეტაპზე კარგავს დანაჯერებლობას. ჯერ ერთი, ამ ძეგლებს შორის ქრონოლოგიური ხარვეზი კიდევ უფრო გაზრდილია, მეორეც, სადღესოდ ასე თუ ისე მოხაზულია ქვევრსამარხების გავრცელების არეალი და მათ და ე. წ. ოსუარიებს

³³ Б. А. Куптин. *დას. ხ. ნაშრომი*, გვ. 75.

³⁴ Н. В. Хоштариа, *Древнее поселение в Даблагоми*. სადისერტაციო ნაშრომი 94.

³⁵ Б. კ. ლ. რ. ა. ძ. ე., *ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის ანტიკურ სანაში*, სადისერტაციო ნაშრომი.

³⁶ Б. ვ. ა. ძ. ე., *სუფსა-ნატანების აუზის არქეოლოგიური ძეგლები*, სადისერტაციო ნაშრომი.

³⁷ М. М. Иващенко, *Кувшинный могильник в Западной Грузии*, СА, XIII, 1930, стр. 320.

³⁸ ლ. კ. ი. ძ. ე., *ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში, ქუთაისის ისტორიულ-ცნობიერებულ მუზეუმის შრომები*, 1971, გვ. 22;

³⁹ გ. პ. რ. გ. ლ. ა. ძ. ე., *გ. ფ. ხ. ა. ძ. ე., მ. ბ. ა. ძ. ე., გ. ლ. ო. თ. ი. ფ. ა. ნ. ძ. ე.*, *დასავლეთ საქართველოს სპილენძის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები*, შსსპ, V, 1973, გვ. 32.

⁴⁰ Б. А. Куптин. *დას. ხ. ნაშრომი*, გვ.

შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგრძნობი ტერიტორიული ხარვეზიც გაჩნდა. ქვევრში დამარხვის წესი გვიანბრინჯაოს ხანის ოსუარების ტრანსფორმაციის შედეგი რომ იყოს, ბუნებრივია იგი გაჩენილიყო იქ, სადაც ოსუარებია აღმოჩენილი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ქვევრში დამარხვის წესი ზღვისპირა ზოლში ჭერჭერობით არაა დამოწმებული, მაშინ როდესაც შიდა კოლხეთისათვის ეს დაკრძალვის თითქმის ერთადერთი წესია.

სამაგიეროდ, ახალ ვითარებათა გათვალისწინებით იხსლება ახალი მოსაზრება — ქვევრში დამარხვის წესის გაჩენა კოლხეთში ქრონოლოგიურად ემთხვევა აღმოსავლურ-ქართული ტომების ე. წ. „დიდ ექსპანსიას“ დასავლეთისაკენ. ქვევრსამარხების გავრცელების არეალი და ინვენტარის ზოგიერთი თავისებურება საფუძველს იძლევა დაკრძალვის ამ წესის გაჩენა კოლხეთში აღმოსავლურ-ქართული ტომების მიერ (ყერძოდ მესხების) კოლხეთის დაბლობის კოლონიზაციას დაუკავშირდეს⁴¹. ეს ჭერჭერობით ვარაუდია, რომლის მტკიცება ან უარყოფა დღესდღეობით ალბათ თანაბარი წარმატებით შეიძლება, მაგრამ გარკვეული საცდური ასეთი ვარაუდისათვის ამკარად არსებობს (ერთი ცხადია, როგორი ახსნაც არ უნდა მიეცეს ქვევრში დამარხვის წესის გაჩენას — ეთნო-კულტურულ ძვრებს დაუკავშირებთ მას, თუ ადგილობრივ აღმოცენებულ ჩვეულებად მივიჩნევთ, იგი ყველა შემთხვევაში კოლხეთში შევენახებოდა-მეღვინეობის მალეი განვითარების მაჩვენებელია)⁴².

ქვევრსამარხის ინვენტარის განხილვისას ბ. კუფტინი ხაზს უსვამს სამარხებში კოლხური მონეტების აღმოჩენის მნიშვნელობას ამ მონეტების დათარიღების თვალსაზრისით⁴³, თვით ჩვეულებას კი იგი ბერძნული დაკრძალვის წესისათვის დამახასიათებელ რიტუალად თვლის⁴⁴ და მის გაჩენას კოლხეთში ბერძნულ ზნე-ჩვეულებათა ფართო გავრცელებით ხსნის, იგი წერს:

41 ოთ. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი, ვანი I, გვ. 41.

42 ა. აფეიძე შესაძლებლად მიიჩნევს ქვევრსამარხების გაჩენა, საერთოდ საქართველოში, მესხთა (მეშქების) ტომების მიგრაციას დაუკავშირდეს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 693).

43 Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

44 ეს ჩვეულება, მართლაც, ბერძნული წარმოშობისაა. ბერძნების წარმოდგენით გარდაცვლილ სული ქარონს უნდა გადაეყვანა აილის ქვეყანაში, რისთვისაც იგი გარკვეულ ვასამრჩელოს თხოულობდა (დაწერ. იხ. Е. Г. К а с т а н а я н, Г р у з и н с к и е н е к р о პ о л и с б о с п о р с к и х г о р о д о в, МИА, 63, стр. 234 და იქ დასახ. ლიტ.) ეს ჩვეულება საბერძნეთში ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს ჩნდება (Д. Robinson, Excavations at Olynthus, XI გვ. 204). აღრე-ელნისტური ხანიდან კი ეს ჩვეულება ზოგჯერ სამყაროში იქნეს თავს: ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებში (Е. Г. К а с т а н а я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 278; Д. Б. Ш е л о в, Монетное дело Боспора, стр. 130), დასავლეთ შავიზღუასპირეთში (Аполлония, стр. 331) და სხვ. ამავე დროიდანაა დამოწმებული ეს ჩვეულება კოლხეთშიც: ფარცხანაყანე (М. Н. И в а ш е н к о, К у в ш и н н ы й х о г и л и з м в З а п а д н о й Г р у з и и, СА, XIII, 1950, стр. 328), დაფნარი (ნ. კ ი ლ რ ა ძ ე, ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის ანტიკურ ხანაში, სადისერტაციო ნაშრომი), სუფსა-ნატანების აუზი (ნ. ვაშაყიძე, შემოხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები მდინარე სუფსის აუზში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III, 1973, გვ. 74), გუად-იხე (М. М. Т р а п и з, Т р у д ы, II, 1969, стр. 222) ურეკლესი მონეტაანი სამარხი კოლხეთის ტერიტორიაზე ვანში გათხრილი მე-მრას სამარხია, რომელშიც ფალონე 11 მაკედონელის ოქროს სტატერია აღმოჩენილი (ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურაძე, ვ. თოლორაძე, ა. კვიციანი, არქეოლოგიური გათხრები ვანში, 1969 წელს, ვანი I, გვ. 208).

«Явно в зависимости от древнегреческих обычаев в рот покойнику вкладывалась серебряная монета (колхидка). Это свидетельствует... о глубоком проникновении греческих представлений в верования и похоронные обряды населения Колхиды...»⁴⁵.

ლაპარაკია კოლხეთის ურთიერთობაზე ანტიკურ სამყაროსთან ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში.

მოგვიანებით ასეთივე აზრი გამოთქვა მ. ინაძემ, რომელმაც ამავე დროს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს ბერძნული წარმოშობის ჩვეულება კოლხეთში (როგორც მის ზღვისპირა ზოლში — ფიქვენარი⁴⁶, ასევე შიდა ოლქებში — დაბლაგომი) თითქმის საბერძნეთის პარალელურად ჩნდება და რომ, ამ მხრივ იგი წინ უსწრებს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებს. იგი ამ მოვლენას კოლხეთის ანტიკურ სამყაროსთან მკიდრო საეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გამოხატულებად მიიჩნევს⁴⁷ (სხვაგვარი აზრია ამ ფაქტს არც მოქეძენება). მაგრამ ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური მონაცემები ასეთი ვარაუდისათვის საფუძველს არ იძლევა⁴⁸. ამ პერიოდის კოლხეთის მატერიალური კულტურა, რომელიც გენეტურ კავშირშია წინარეხანის კოლხურ კულტურასთან, საეხებით ადგილობრივია და სრულიად თავისუფალი ყოველგვარი გავლენებისაგან⁴⁹, მით უმეტეს ისეთი ძლიერი გავლენისაგან, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა ცვლილებები იდეოლოგიის ისეთ კონსერვატიულ სფეროში, როგორიც დამარბვის წესია.

სულ სხვა ვითარებაა ამ მხრივ ძვ. წ. IV საუკუნის მომდევნო, ე. წ. ელინისტურ ხანაში, როდესაც კოლხეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მეშვეობით აქტიურად ებმება საერთაშორისო ვაქრობაში, რომელიც ამ დროს მანამდე არნახულ მასშტაბებს ღებულობს. სწორედ ამ დროიდან ექცევა კოლხეთი ელინისტური კულტურის გავლენის არეში, რაც თავის გამოხატულებას საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში პოუ-

⁴⁵ Б. А. Куптун, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 76.

⁴⁶ ფიქვენარი ამ მხრე გამოჩალისია, აქ მონეტები მართლაც გვხვდება ძვ. წ. V ს. საშარებში. ეს ფაქტი ფიქვენარში ბერძნული და ადგილობრივი სამოსახლოების და სამაროვნების უშუალო მეზობლობით უნდა აიხსნას.

⁴⁷ М. П. Инадзе, *Причерноморские города древней Колхиды*, Тб., 1968, стр. 189.

⁴⁸ ხ. ხოშტარია ამ ჩვეულებას ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულ წესად მიიჩნევს, რადგან სრულიად სამართლიანად თვლის, რომ ძვ. წ. VI—V საუკუნეებში კოლხეთს არ ჰქონია ისეთი ინტენსიური ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა რაიმე ხელშეწყობები გავლენა იდეოლოგიის სფეროში (Н. В. Хоштария, *Древнее население в Даблагоми*, გვ. 221). უკანასკნელ ხანებში ასეთივე აზრი გამოსთქვა ნ. კილერაძემ (*ნ. კილერაძე, მონეტები დაფნარის სამაროვნიდან, ძველს მეგობარი*, 23, გვ. 16).

⁴⁹ ძვ. წ. VI—IV საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ იხ. ოთ. ღორთქიფანიძე, *ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი*, თბ., 1966, მისივე, *ძველი კოლხეთის კულტურა*, თბ., 1972; თ. შიქელაძე, *ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან*, თბ., 1974 წ.

ლობს⁵⁰. ელინისტური ტრადიციები ინერგება ხელოსნობაში, ვაქრობაში, იგი გზას იკვლევს მოსახლეობის ფართო ფენების ყოფაში, იდეოლოგიაში და სხვ.

განსაკუთრებით მკაფიოდ ეს მოვლენები ვანის ნაქალაქარის მასალებში იჩენს თავს, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენდა იმ ცენტრს, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა ელინისტურ სამყაროსთან, უშუალოდ განიცდიდა ელინისტური კულტურის გავლენას და თავის მხრივ ავრცელებდა მას ირგვლივ განლაგებულ დაბა-სოფლებზე. ერთ-ერთი ასეთი დასახლება-თაგანია დაბლაგომი.

დაბლაგომიდან და მისი მიდამოებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალები დაბლაგომს წარმოგვიდგენს, როგორც ერთ-ერთ საქმოდ მსხვილ, ქალაქური ტიპის დასახლებას, რომლებიც ძირითადად რიონ-ფასისის მაგისტრალზე იყვნენ განლაგებულნი და მნიშვნელოვან საეპრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. კერძოდ დაბლაგომი კერამიკული წარმოების საქმოდ მსხვილი ცენტრი ჩანს, რომლის პროდუქციასაც ალბათ სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. იგი აქტიურად მონაწილეობს სასაქონლო-ფულად ურთიერთობაშიც, რისი მოწმობაცაა ადგილობრივი მონეტის — კოლხური თეთრის აღმოჩენის უამრავი შემთხვევა. საძარხებში, კულტურულ ფენებში, განძებში.

საკმაოდ მკაფიოდაა ასახული დაბლაგომის მატერიალურ კულტურაში ქონებრივი და სოციალური დიფერენციაცია. ამის აშკარა მაგალითია აქ აღმოჩენილი, კრამიტით გადახურული მდიდრული სამარხი⁵².

ანტიკური ხანის დაბლაგომი, როგორც დასახლებული პუნქტი, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ძვ. წ. III საუკუნის მიწურულისთვის წყვეტს არსებობას. ეს და ამ ძეგლთან დაკავშირებული მრავალი სხვა საკითხი შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

⁵⁰ ამის შესახებ იხ. О. Д. Лордкипანიძე, Античные традиции в материальной культуре и искусстве Грузии; В. А. Толордава, Эллинистические традиции в бытовых и материальной культуре древней Колхиды (Античность и античные традиции в культуре и искусстве народов Советского Востока, тезисы докладов III Всесоюзной конференции, Москва, 1974);

⁵¹ მათიაშვილი, ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკა ვანიდან, მსპა, V.

⁵² ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში (ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი, მოხსენებების თეზისები, 1972, გვ. 23—25).

⁵³ ამ სამარხის შესახებ იხ. ვ. თოლორდავა, მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან (ამავე კრებულში, გვ. 60).

3. თოლორდავა

მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან

დაბლაგომის არქეოლოგიურ მონაპოვარში განსაკუთრებული ადგილი უკირავენ ნაციხვარას ბორცვზე 1972 წელს აღმოჩენილ კრამიტით გადახურულ სამარხს. სამარხი გაითხარა ბორცვის დასავლეთ ფერდზე, ზედაპირიდან 0,6—0,8 მ-ის სიღრმეზე, იქ, სადაც წინა წლებში ჩვენს მიერ ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულის ქვევრსამარხები იქნა შესწავლილი¹.

სამარხი, როგორც სავლელ დაკვირვებამ გვიჩვენა, წარმოდგენდა სწორკუთხა ხის ნაგებობას (სამარხის კიდეებში ფიქსირებულია ხის ძელების ნაშთები და რკინის დიდი ლურსმნები), რომელიც კრამიტით იყო გადახურული. სახურავი შედგებოდა ექვს რიგად დაწყობილ ბრტყელი კრამიტებსაგან — სამ-სამი კრამიტით თითო რიგში. კრამიტების შეერთების ადგილები ღარიანი კრამიტებით ყოფილა გადახურული (სურ. 90).

სახურავად გამოყენებული ყველა კრამიტი სინოპური წარმოებისაა, ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია დამლა.

სამარხი ორმო კლდეშია ამოკვეთილი. იგი ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სამარხი კრამიტით გადახურული ნაგებობის გარეთაც ვრცელდება, კერძოდ მის სამხრეთი კედლის გარეთ აღმოჩნდა ერთი სინოპური ამფორა, დიდი ზომის ორყურა ჭურჭელი და ერთი რკინის შუბისპირი.

სამარხის საერთო ფართობია 3,5×1,6 მ-ზე, ზოლო კრამიტით გადახურული ნაგებობის ფართობი კი 3×1,6 მ-ზე. სამარხში ჩონჩხის ნაშთები სრულიად არ აღმოჩენილა (ნაციხვარას ბორცვის ნიადაგში ძელები, როგორც წესი, არ ინახება).

სამარხში აღმოჩენილი ნივთიერი მასალა საკმაოდ მდიდრული და მრავალფეროვანია. იგი წარმოდგენილია ოქროს სამკაულებით, ბრინჯაოს და ვერცხლის ჭურჭლით, რკინის იარაღით, შემოტანილი და ადგილობრივი თიხის ჭურჭლით, მინის, პასტის, ქვის მძივებით და მძივსაკიდებით და სხვ.

სამარხეული ინვენტარი განლაგებულია სამარხის კიდეებთან, ისე რომ შუაში იქმნება სივრთელი, რომელიც როგორც ჩანს თავის დროზე მიცვალბულს ეკავა (სურ. 91, 92).

სამარხის ჩრდილოეთ კედესთან, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდგა სინოპური ამფორა, უკლით ჩრდილოეთისაკენ, მის ძირთან აღმოჩნდა მოზრდილი დერგის ნაქეხები (სურ. 93ა). ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდგა ბრინჯაოს სიტულა და ჯამი (ორივე ძლიერ დაზიანებული) და რკინის შუბის-

¹ იხ. ამავე კრებულში, ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970—1971 წლებში.

პირები (სურ. 923,4). სამარხის დასავლეთ კიდის გაყოლებით ელაგა ბრინჯაოს ენოხოია და პატერა, რკინის შუბისპირები და სატევარი (სურ. 93ა), ადგილობრივი და იმპორტული თახის ქურჭელი (სურ. 91): დოქები, ქოთნები; სანელსაცხებლები და სხვა. სამარხის სამხრეთ კედესთან ორი კოლხური ამფორა, წვრილი თიხის ქურჭელი — ადგილობრივი და შემოტანილი, რკინის შუბისპირები, ბრინჯაოს ზარაკი და ორწილადი ოქროს კილიტები (ძეწკვით გადაბმული მრგვალი ფირფიტები). ერთერთი ამფორის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს სარკე, რომელსაც ხის ჩარჩოს ნაშთები აქვს შერჩენილი (სურ. 931,2) სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, აღმოსავლეთი კიდის გაყოლებით იდგა ერთი კოლხური ამფორა ყელით ჩრდილოეთისაკენ (სურ. 931): ამფორის ქვეშ აღმოჩნდა ვერცხლის ბალთები — ცხენის აჯახულობის ნაწილები (საყბეურები, საშუბლე და სხვა) (სურ. 932). სამარხის ცენტრში, უფრო მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ოქროს სამკაულები (სამაჭურები, საყურები, საბეჭდავი-ბეჭედი, მძივები). სამკაულების განლაგება ჩონჩხის ბუნებრივ მდგომარეობას არ შეესატყვისებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს სამკაულები კი არ ეკეთა მიცვალებულს, არამედ ისე ჰქონდა ჩატანებული. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ სამკაულის გარშემო პატარა რკინის ლუქსნებია აღმოჩენილი, რომლებიც შეაძლოა ხის ყუთის შესაკრავად იყო განკუთვნილი, რომელშიც ეს სამკაული ელაგა. სამარხის ცენტრში აღმოჩნდა, ვერცხლის კილიკი, რომელიც მიწაში პირით იყო დამხობილი (სურ. 936). სამარხი ნაგებობის გარეთ, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, აღმოჩნდა ერთი სინოპური ამფორა, ორყურადერგის ნატეხები და რკინის შუბისპირი (სურ. 93ა, 9217, 18).

სამარხეული ინვენტარის განლაგებით ეს სამარხი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ვანში აღმოჩენილ წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხთან (სამარხის იარაღით შემორავა, ამფორების განლაგება და სხვ.).

სამარხეული ინვენტარის აღწერილობა:

1. სავ. № 1. კილიტები ოქროსი, გაორმაგებული ლოტოსის ფორმისა, მეორე მხარეს, ოთხივე კუთხეში პატარა ყუნწები აქვს მიჩილული (სურ. 95).

კილიტის სიგრძე — 1,8 სმ;

2. სავ. № 2. საკიდები ოქროსი, ორწილადი — ორი მრგვალი ფირფიტა ერთმანეთზე ძეწკვითაა გადაბმული. ერთი ფირფიტა სადაა, ხოლო მეორე შუაში ამობურცულია და მეორე მხარეს პატარა ყუნწი აქვს დარჩილული (სურ. 96).

საკიდის სიგრძე — 2 სმ;

3. სავ. № 3. სამაჭურები ოქროსი, წყვილი. ზურგმდრეკილი, ბოლოებგახსნილი. ბოლოები კონუსური შევრილით მთავრდება და ირგვლივ ნაკედებითაა შემკული (სურ. 98).

ღმ — 2,8 სმ;

ანალოგიური მოხაზულობის სამაჭურები აღმოჩენილია ვანში № 10 სამარხში (ბავშვის სამარხი), რომელიც ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულთ თარიღდება.

2 ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, ქ ე ო ნ ი ა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ეანი 1, გვ. 211.

4. საე. № 12. სამაჯური ოქროსი, ზურგსწორი, ბოლოები უბრალოდ აქვს ჩამოჭრილი. შესაძლოა ნამზადი იყოს (სურ. 98).

დმ—6,3 სმ.

5. საე. № 4. ვარდულა ოქროსი, შეიდფურცლიანი, მეორე მხარეს პატარა ყუნწი აქვს დარჩილული (სურ. 97).

დმ—1,5 სმ.

6. საე. № 5. ღილაკები ოქროსი, კვადრატული (სურ. 97).

1 სმ×1 სმ.

7. საე. № 7. კილიტები ოქროსი, მრგვალი, შუაში ამობურცული. მეორე მხარეს პატარა ყუნწი აქვს დარჩილული (სურ. 96).

დმ—0,6 სმ.

8. საე. № 6, 10, 15. მძივები ოქროსი, მრგვალი, ფუყე, სხვადასხვა ზომის (სურ. 100).

9. საე. № 8. საყურეები ოქროსი, წყვილი. მრგვალგანიევკეთიან მავთულის რგოლზე შეკიდულია ბიკონუსური ბურთულა, რომელიც ცვარათი შედგენილი კონუსით ბოლოვდება (სურ. 99).

რგოლის დმ—1,7 სმ, საკიდის სიგრძე—1,6 სმ. ანალოგიური საყურეები აღმოჩენილია ვანში, ბეშვის სამარხში, რომელსაც ნ. ხოშტარია ძე. წ. IV საუკუნით ათარიღებს³. ჩვენი საყურისაგან განსხვავებით ვანის საყურეს მარგალიტის ბურთულა აქვს შეკიდული.

10. საე. № 9. რგოლი, ოქროს მრგვალგანიევკეთიან მავთულისა, გახსნილი. (სურ. 97).

დმ—2 სმ.

11. საე. № 11. საბეჭდავი ბეჭედი ოქროსი, მრგვალფარაქიანი. საბეჭდავზე ამოკვეთილია გამოსახულება—კურდღელზე (?) არწივია ბრტყალებით ჩაფრენილი⁴ (სურ. 94).

რგოლის დმ—2 სმ, ფარაქის დმ—1,5 სმ.

12. საე. № 13. მძივსაკიდი მინისებური პასტისა, ცილინდრული, პოლიქრომული—ლურჯ ფონზე ორ მხრივ თეთრი და ყვითელი ფერებით ადამიანის სახის რელიეფური გამოსახულებაა მოცემული.

საკიდის სიგრძე—3,3 სმ (სურ. 86გ).

13. საე. № 17. ვერცხლის მრგვალი ბალთები—ცხენის აკაზმულობის ნაწილები, ექვსი ბალთა შუაში კონუსურადაა შემადლებული და მეორე მხარეს ბრტყელი ყუნწი აქვს დარჩილული, ხოლო ორი ბალთა ბრტყელია და შუაში გაბურტყილი (სურ. 101).

კონუსური ბალთის დმ—4 სმ, ნახვრეტის ბალთის დმ—6,7 სმ.

14. საე. № 18. საშუბლე მორთულობა ცხენისა, ვერცხლის. წარმოადგენს ენიანი აბზინდის იმიტაციას, რომელიც ხარისთავის გამოსახულებით ბოლოვდება (სურ. 102).

სიგრძე—12,3 სმ.

15. საე. № 19. საშუბლე მორთულობა ცხენისა, ვერცხლის ფირფიტისაგან დამზადებული, ოვალური, ბოლოსკენ შევიწროებული, ორნამენტირე-

³ ნ. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. ვანი I, გვ. 90, სურ. 9.

⁴ მ. ლორთქიფანიძე. რომელიც სპეციალურად სწავლობს ამ ბეჭედს, მას ბერძნულ სხელსწინში დამზადებულად თვლის და ძე. წ. IV ს. მეორე ნახევრით ათარიღებს.

ბული. მეორე მხარეს პორიზონტალურად ბრტყელი მარყუვი აქვს დარჩილული (სურ. 101).

სიგრძე—9,5 სმ.

16. სავ. № 20. ეერცხლის ფირფიტის ნატეხები. შესაძლოა ქარქაშის გარსაკრავის ნაწილები იყოს.

17. სავ. № 21. ბრინჯაოს დაფანჯრული ზარაკი, კონუსური, რკინისენიანი. სიმაღლე—4 სმ, ფუძის დმ—2,8 სმ.

18. სავ. № 27. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, მრგვალმუცლიანი. პირი კიდისკენ ფართოვდება. ტანი შემკული აქვს ტალღისებური ორნამენტით, ყელი კი ირიბი ნაკდევებისა და ტალღოვანი ხაზების მონაცელებით (სურ. 103).

სიმაღლე—20,5 სმ, ძირის დმ—10 სმ.

19. სავ. № 28. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირფართო, მრგვალმუცლიანი. ქვედა ნაწილი შემკული აქვს ტალღოვანი (სავარცხლისმიერი) ორნამენტით, ყელი ირიბი ნაკდევებისაგან და ტალღოვანი ხაზებისგან შედგენილი სარტყლებით (სურ. 103).

სიმაღლე—17,7 სმ, პირის დმ—8 სმ, ძირის დმ—8,5 სმ.

20. სავ. № 29. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, მრგვალმუცლიანი. ქვედა ნაწილი შემკული აქვს ტალღოვანი ორნამენტით, ყელი კი ირიბი ნაკდევებისგან და ტალღოვანი ხაზებისგან შედგენილი სარტყლებით (სურ. 104).

სიმაღლე—17,8 სმ, პირის დმ—8,5 სმ, ძირის დმ—8,9 სმ.

21. სავ. № 30. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, მაღალყელიანი, პირისკენ გაფართოებული, კორპუსი მხრებში დაქანებულია და ძირისკენ გაბერილი. ტანის შუა ნაწილი ტალღოვანი ხაზებითაა შემკული, რომელზეც დატანილია წნეხებით გამოყვანილი რომბული ბადე (სურ. 109).

სიმაღლე—15 სმ, პირის დმ—5,7 სმ, ძირის დმ—7 სმ.

21ა. სავ. № 56. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა. ყურზე ამოღარული აქვს ჯვრისებური ნიშანი (სურ. 105).

სიმაღლე—24 სმ, პირის დმ—9 სმ, ძირის დმ—13 სმ.

21ბ. სავ. № 57. დოქი, რუხად გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირგადაშლილი. ყელი მთლიანად დაფარულია ორ ღარს შუა მოქცეული ტეხილი ხაზების სარტყლებით, ხოლო ყელის ძირი ირიბნაკდევების სამი სარტყლით (სურ. 104).

სიმაღლე—18 სმ; პირის დმ—8 სმ; ძირის დმ—9,5 სმ.

21გ. სავ. № 59. დოქი, რუხ-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ცალყურა. მუცლის გარშემო სავარცხლისებური შტამპით შესრულებული სარტყელი შემოსდევს, რომელიც ვერტიკალურად განლაგებული ხაზებითაა დასერილი (სურ. 106).

სიმაღლე—19 სმ, პირის დმ—7,5 სმ, ძირის დმ—6,5 სმ.

22. სავ. № 31. ქოთანი, მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ორყურა, მრგვალმუცლიანი (სურ. 107).

სიმაღლე—9,2 სმ, პირის დმ—7,2 სმ, ძირის დმ—5,4 სმ.

23. სავ. № 32. ქოთათური, მოყარდისფროდ გამომწვარი თიხისა (სურ. 108);

სიმაღლე—6,7 სმ, პირის დმ—4,2 სმ, ძირის დმ—2 სმ.

24. სავ. № 42. მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ორყურა დერგის ნატეხები.

25. სავ. № 43. სანელსაცებლე (ამფორისკი), რუხად გამომწვარი თიხისა, ყელმალაღი, მუცელი ძირისკენ მკვეთრად შევიწროებული აქვს, ქუსლი და პირი პროფილირებული (სურ. 114).

სიმაღლე—11 სმ, ქუსლის დმ—1,5 სმ.

ქურჭული წარმოადგენს ბერძნული კერამიკის მინაბაძს.

26. სავ. № 44. მონაცრისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხის დოქის ნატეხები.

27. სავ. № 38. ამფორა, კოლხური, კვერცხისებური მოყვანილობის, ცილინდრული ყელი, ლილვაკიანი პირი და ოვალურგანვიკვეთიანი ყურები აქვს. თიხა ყავისფერია, მსხვილმარცვლიანი, ურევია შავი ავგიტის ნამცეცები.

სიმაღლე—69 სმ, ყელის სიმაღლე—18 სმ, პირის დმ—11 სმ.

28. სავ. № 99. ამფორა, კოლხური, მწრებდაქანებული, ძირისკენ შევიწროებული, ცილინდრულყელიანი, პირი ლილვაკიანი აქვს. თიხა მსხვილმარცვლოვანია, მოყავისფროდ გამომწვარი, ურევია შავი ავგიტის ნამცეცები.

სიმაღლე—68 სმ, ყელის სიმაღლე 15 სმ, პირის დმ—10 სმ.

29. სავ. № 41. რუხად გამომწვარი თიხის დოქის ნატეხები.

30. სავ. № 40. რუხად გამომწვარი თიხის ქურჭლის ნატეხები.

31. სავ. № 36. ამფორა, სინოპური, მწრებში გაშლილი, კორპუსი კონუსური მოყვანილობის, ყელი ცილინდრული, პირთან ახლოს ოდნავ შებერილი, ყურები ოვალურ განვიკვეთიანი, ქუსლი ცილინდრული, ძირმომრგვალებული.

თიხა მსხვილმარცვლოვანია, ურევია შავი ავგიტის ნამცეცები, გამომწვარია ვარდისფრად, დაჰკრავს სინოპური თიხისათვის დამახასიათებელი იასამნის ფერი.

სიმაღლე—74 სმ, ყელის სიმაღლე—17 სმ, პირის დმ—8 სმ.

32. სავ. № 37. ამფორა, სინოპური, მწრებში გაშლილი, ტანი კვერცხისებური მოყვანილობის, ყელი ცილინდრული, პირისკენ ოდნავ შებერილი, ყურები ოვალურ განვიკვეთიანი, ქუსლი ცილინდრული, ძირმომრგვალებული.

თიხა მსხვილმარცვლოვანია, ურევია შავი ავგიტის ნამცეცები, გამომწვარია ვარდისფრად, დაჰკრავს სინოპური თიხისათვის დამახასიათებელი იასამნისფერი.

სიმაღლე—74 სმ, უდიდესი სიგანე მწრებში—34 სმ, ყელის სიმაღლე—15 სმ, პირის დმ—8 სმ.

33. სავ. № 34. სამარხლე, შევლაკიანი, პირმოყრილი, ნაპირი სწორია, კალთა ძირისკენ მკვეთრად დაქანებული, ქუსლი ბორბლისებურია (სურ. 115).

სიმაღლე—2,8 სმ, პირის დმ—6 სმ, ქუსლის დმ—4 სმ.

34. სავ. № 35. თასი შევლაკიანი, დაბალი, პირფართე, პროფილირებული, ნაპირი გარეთაა გადმოკეცილი. კალთა ოდნავ დაქანებულია და მკვეთ-

ნ შეველის სამარხი, რომელშიაც კოლხური ამფორებია აღმოჩენილი, ჭერჭერობით განში გათხრილი მეომრის სამარხია (ვანი I, 210).

დან. რომელსაც ზოგადად ძვ. წ. IV—III საუკუნეებით ათარილებენ¹².

38. სავ. № 16. კილიკი ვერცხლის, ატიკური, პირგადაშლილი, კალთა-
შომრგვალებული, დაბალქუსლიანი, ქუსლი პროფილირებულია. დამახასია-
თებელი დეტალია სხმული ღეროსგან დამზადებული მარყუჟისებური ყურე-
ბი, რომლებიც მირჩილვის ადგილას ფოთლისებური შევარილებით ბოლოვ-
დება (სურ. 93გ)

ქუსლის დმ 4 სმ; პირის დმ—11 სმ.

ანალოგიური ვერცხლის კილიკი აღმოჩენილია ვანში 1948 წ. გათხრილ
ბავშვის სამარხში, რომელსაც ნ. ხოშტარია ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულთ
ათარილებს¹³.

ასეთი კილიკები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (ქერჩი, ზე-
ლნისკის ყორღანი). საინტერესოა, რომ მსგავსი ყურები ამ პერიოდში თიხის
კილიკებზეც ჩნდება, რომლებიც, როგორც ჩანს, ლითონის ფორმებს იმეო-
რებენ¹⁴ (მაგ., გნაფიის სტილით მზობატული კილიკი ფანაგორიის ძვ. წ. III
საუკუნით დათარილებული ყორღანიდან)¹⁵.

39. სავ. № 24. ბრინჯაოს სარკე, წარმოადგენს ბრინჯაოს დისკოს, რომ-
ლის ერთი მხარე გაპრიალებულია და შექველია წვრილი რელიეფური წრეხა-
ზებით. მეორე მხარეს ემჩნევა ხის ჩარჩოს ნაშთები (სურ. 116). დმ — 19 სმ.

სარკე ჩვეულებრივ მიცვალებულს ფეხებთან უდევს ხოლმე¹⁶. დაბლაგომ-
შიც, სარკე სამარხის სამხრეთ ნაწილშია აღმოჩენილი, იქ, სადაც ინვენტა-
რის განლაგების მიხედვით დაკრძალულს ფეხები უნდა ჰქონოდა.

ანალოგების მიხედვით დაბლაგომის სარკე ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხა-
ნებზე მიეკუთვნება¹⁷.

ელნისტური ხანის სამარხებში სარკის ჩატანება საქმაოდ იშვიათია ან-
ტიკურ სამყაროშიც კი¹⁸.

12 Н. А. О н а н к о, Античный импорт на территории Среднего Приднепровья, стр. 70; е е ж е. Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV—II вв. до н. э. стр. 114, рис. 727, табл. IX, В. Г. П е т р е н к о, Правобережье Среднего Приднепровья в V—III вв до н. э. стр. 97, табл. 21,2; А. А. Б о б р и н с к и й. Отчет о раскопках в Чигиринском уезде Киевской губернии, стр. 61; М. И. Р о с т о в ц е в, Скифия и Боспор, 1925 г. стр. 491; С. Ф. С т р е ж е л е ц к и й, Раскопки 1939 г. у Карантина, вблизи Херсонеса Таврического, ХС, вып. XV, 1948, стр. 56—60; Г. Д. Б е л о в, Отчет о раскопках в Херсонесе за 1935—1936 гг., ХС, стр. 46.

13 ნ. ხოშტარია, ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, ვანი I, გვ. 90, სურ.

14 В. Д. Б з а в а т с к и й, История античной расписной керамики, стр. 47, 248.

15 М. М. К о б ы л и н а, Культура Фанагории досарматского периода, «Античный город», М., 1953, стр. 92.

16 Е. Г. К з с т а н а я н, Грунтовые некрополи Боспорских городов, МИА, 69, стр. 278.

17 იბ. С. И. К а п о ш и н а, Некрополь в районе поселка им. Волкова, МИА, 69, стр. 130, рис. 30. 1, 2. Н. С. V а n G u l i k, Catalogue of the Bronzes in the Allard Pierson Museum, Amsterdam, 1940, таб. XXXII, 14.

18 წინააღმდეგობის ხანის ბრინჯაოს სარკე აღმოჩენილია ვანში 1961 წელს გათხრილ წარჩინებულ კოლხი ქალის სამარხში ი. ვ. ხოშტარია, Археологические раскопки в Ване, ваян-სიერ-ასლო აღმოსავლური კრებული, II, გვ. 65), აგრეთვე ახალგორის ვანში (Я. И. С м и р н о в, Ахалгорийский клад, Тб., стр. 63), რომელსაც ასევე სამარხულ ინვენტარად მიიჩნევენ.

40. სავ. № 22. ბრინჯაოს ოინოხოია, ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მისი ზედა ნაწილი, მასიური ყური და ძირი. პირი სამტუჩაა, მკვეთრად პროფილირებული, მხრებში განზიდულია, ძირი შედარებით მომცროა, კურკელი ძირისკენ მკვეთრად ყოფილა დაქანებული. ძირი ოდნავ ქუსლაგამოყვანილია.

ქურჭელი ჩამოსხმულია (ძირზე ემჩნევა ჩარხზე კეთების კვალიც). ყური ცალკეა ჩამოსხმული, სიგრძე დაწახნაგებულია, შუაში გასდევს ორი წიბო, რომელიც საკმაოდ მაღალ ქედს ქმნის (სურ. 118). ყურის ზედა ნაწილი შემკულია ქალის თავის სკულპტურული გამოსახულებით. გამოსახულება გამოირჩევა ნატიფი ნაკეთებით და შესრულების მაღალი ტექნიკით. თმები ბადით (ე. წ. (αεαερααααε)) აქვს შეკრული, რომელიც რომბული ნაქდევეებით არის გადმოცემული (სურ. 118₂).

ყურის ქვედა ნაწილი შემკულია სილენის თავის რელიეფური გამოსახულებით, რომელსაც შუბლი მისთვის დამახასიათებელი სუროს გვირგვინით აქვს შემკული. გვირგვინი თავის გარშემო ბაბითთაა დამაგრებული, რომლის წემოთ და ქვემოთ სუროს ფოთლებია დაფენილი. სილენის ხშირი წვერულევაში მსხვილი, პარალელური ხვეულებითაა გადმოცემული (სურ. 118₃).

ყურის სიმაღლე—13,5 სმ, ძირის დმ—6,3 სმ.

41. სავ. № 23. ბრინჯაოს პატერა, ძლიერ დაზიანებული. მისი ნაწილები — ჯამი და ტარი ცალცალკეა დამზადებული. ჯამი დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან, ტარი ჩამოსხმულია. პირს გარშემო წყვილი რელიეფური ზოლი შემოუყვება, ასეთივე წყვილ-წყვილი რელიეფური ზოლები ამკობს პატერის ძირსაც. ეს ზოლები ჩარხზეა გამოყვანილი.

პატერის ტარი, რომლის სიგრძე 17—სმ-ია. ჩამოსხმის წესითაა დამზადებული. იგი ღრუა, წინა ნაწილი ტყვიითაა ამოვსებული. ტარი ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით ბოლოვდება. გამოსახულება რეალისტური მანერითაა შესრულებული. მომრგვალებული რქები ყურებზე აქვს გადახვეული. რქები მოკლე, ირიბი ღარებითაა მოდელირებული. მატყლი კეფაზე ურთიერთადადმკვეთი პატარა წრეხაზებითაა გადმოცემული (სურ. 119₂).

ტარის მეორე ბოლოც, ე. ი. ჯამთან დამაკავშირებელი ფირფიტაც, ორნამენტირებულია. იგი ოვალური ფორმისაა, გარშემო შემოუყვება სადამორღოვი, რომელიც ყურის ძირში ვოლუტებითაა გაფორმებული. ვოლუტები ბაფთითაა გადაქერილი და შუა ნაწილიდან რელიეფური მცენარეული ორნამენტი იშლება (სურ. 119₃). საინტერესოა ტარის ძირითადი, შუა ნაწილი, რომელიც შემკულია არა კანელურებით, რაც გვიანი ხანის პატერებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ განდაგან პლასტიკურად დამუშავებული რკალებით. ეს არის არსებითი დეტალი, რომელიც ამ პატერის აღრეულობაზე მიგვითითებს (სურ. 119₁).

როგორც ცნობილია, პატერა და ოინოხოია ხელების რიტუალურ განბანვისთვის არის განკუთვნილი. დაბლაგომის სამარხში ამ ნივთების აღმოჩენას უთუოდ საყურადღებო მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი იგი ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის ზედა ფენებში ბერძნულ ზნე-ჩვეულებათა გავრცელებას, ხოლო მეორე მხრივ ავსებს ასეთი ქურჭლების არც თუ ისე მრავალფეროვან ჯგუფს. თუ რომელი ხანისათვის პატერების და ოინოხოიების ჩატანება სამარხებში ჩვეულებრივი მოვლენაა, ელინისტური ხანისათვის საკმაოდ იშვიათია, ასეთ შემთხვევათა ჩამოთვლა თითებზე შეიძლება.

დალაგომის პატერას და ოინოხოიას ანალოგები ძირითადად ძველი თრაკიის (ბულგარეთის) ტერიტორიაზე ეძებნება, კერძოდ ვარბიცას და ფერინი-ნანდოკოს სამარხებში, რომლებიც სწორედ ძვ. წ. IV—III საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. ჭერჯერობით ამ პუნქტებშია დამოწმებული ამ ორი, ერთმანეთთან ფუნქციონალურად დაკავშირებული კურკლის ერთობლივი აღმოჩენა (მესამეა დაბლაგომის მონაპოვარი). შედარებით ხშირად გვხვდება ისინი ცალცალკე, თუმცა, აგრეთვე საკმაოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე (შავეზღვისპირეთის პამხრეთ-დასავლეთ ნაწილში)²⁰. მათი დამზადების ცენტრი ალბათ წაიი გავრცელების არეშია საქიებელი. კონკრეტულ ლოკალიზაციას ართულვას პატერის ყურის შემაერთებელი ფირფიტის მეტად თავისებური ორნამენტაცია, რომელსაც ჭერჯერობით ვერავეთარი ანალოგი ვერ მოეძებნა (სურ. 119ა).

ზაინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთ კურკლებს სრულებით არ იცნობს ელინისტური ხანის ჩრდილოეთ შავეზღვისპირეთი.

42. სავ. № 25. ბრინჯაოს სიტულა, ძლიერ დაზიანებული. დამზადებული ბრინჯაოს რამდენიმე ფურცლისაგან, რომლებიც მანქვლებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შემორჩენილია სიტულის მასიური, ჩამოსხმის წესით დამზადებული სახელურები, რომლებიც ცხოველის დატყვებილი ყურების მსგავსი შეერილებითაა შემკული.

სიტულა ფორმით თითქმის არ განსხვავდება ადრეული სიტულებისაგან, რომლებიც ვანის წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში იქნა აღმოჩენილი. როგორც ჩანს, კურკლის ფორმას საგრძნობი ცვლილებები არ განუცდია. ცვლილებები არც კურკლის დამზადების ტექნოლოგიაში შეიმჩნევა.

43. სავ. № 26. ბრინჯაოს ჯანი, ძირმომრგვალებული, ძლიერ დაზიანებული. პირის დმ—20 სმ, სიმაღლე—3—4 სმ.

44. სავ. № 53, 54, 55. შუბისპირები რკინისა, ნაწილი ორფრთიანია, ნაწილი ფოთლიანებურპირიანი. შუბისპირები მსგავსია ეანში აღმოჩენილი წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში და № 3 სამარხში აღმოჩენილ შუბისპირებისა. პირველი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება²¹, ხოლო მეორე — ძვ. წ. III საუკუნით²² (სურ. 117).

45. სავ. № 55. რკინის ლურსმნები ოთხწახნაგა, სამარხი ნაგებობის შესაკრავად გამოყენებული.

სიგრძე — 22—25 სმ.

46. სავ. № 56. რკინის ლურსმნები, პატარა ზომისა, სოკოსებური თავებით.

სამარხეული ინვენტარის შესწავლის საფუძველზე სამარხი, საკმაოდ კარგად თარიღდება ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისით. დათარიღების საფუძველია, პირველ რიგში შემოტანილი, ბერძნული წარმოშობის ნივთები (სინოპური ამფორები, ნაერისფერი თიხის უნგვენტარიუმები, ვარდისფერი თიხის ანფორისკი, შელაკიანი კურკელი, ბრინჯაოს პატერა და ოინოხოია, ვერცხლის კილიცი, ბრინჯაოს სარკე და სხვ.) და აგრეთვე ადგილობრივი ნაწარმიც, კერძოდ კერამიკა, რომლის შესწავლილობის დღევანდელი დონე შესაძლებლობას იძლევა მის ქრონოლოგიურ საყრდენად გამოყენებისა.

¹⁹ ამის შესახებ იხ. H. U. Nuber, Kanne und Griffschale, Berlin, 1973.

²⁰ H. U. Nuber, დასახ. ნაშრომზე დართული რუკა.

²¹ ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურისძე... ვანი I, გვ. 203.

²² ნ. ხოშტარია, ვანი I, გვ. 89.

სამარხის ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს, აგრეთვე სახურავად გამოყენებულ ზოგიერთ კრამიტზე შემორჩენილი დამლა (სახურავი შედგება 18 ზრტყელი და 15 ღარიანი კრამიტისაგან. კრამიტების უმეტესობა დაზიანებულია). სულ ხუთი დამლიანი კრამიტი გვაქვს, მაგრამ ორი არ იკითხება ცუდი დაცულობის გამო. დანარჩენი სამი დამლაც დაზიანებულია, მაგრამ მათი წაიკითხვა მაინც მოხერხდა.

სამივე დამლაზე ლეგენდის ფორმულა გრაკოვისეული კლასიფიკაციის მეორე ვარიანტითაა გადმოცემული, ე. ი. მაგისტრატურის დასახელება — ასტინომოსი საკუთარ სახელებს შუაა მოქცეული²³. პირველ დამლაზე იკითხება ასტინომოს ეირენაიოსის და ფაბრიკანტ ხაბრიასის სახელები. ეირენაიოსი საკმაოდ იშვიათი ასტინომია. მისი სახელი სულ რამდენიმე დამლაზეა შემორჩენილი²⁴. ბ. გრაკოვის ქრონოლოგიური კლასიფიკაციით იგი I ჯგუფის მეორე ქვეჯგუფის ასტინომებს მიეკუთვნება²⁵. მეორე დამლაზე მოხსენიებული ასტინომი მიკოსი მეორე ჯგუფის ასტინომია, მასთან მოხსენიებული ფაბრიკანტი ნუმენიოსიც სწორედ ამ ასტინომთანაა რამდენიმეჯერ ფიქსირებული. ორივე დამლა სადღეისოდ გაზიარებული ქრონოლოგიური სკალის მიხედვით ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს და ძვ. წ. III ს. დასაწყისს (ძვ. წ. 320—270 წწ.) მიეკუთვნება²⁶. მესამე დამლაზე იკითხება მხოლოდ ასტინომოს დიონისიოსის სახელი. ეს მეტად გავრცელებული ასტინომია და მისი მიხედვით დაჰლეს დათარიღება ძნელია. მაგრამ საბედნიეროდ მასზე კარგად ჩანს ემბლემა — მარჯვენა პროფილში მოცემული წვეროსანი მამაკაცის (სილენის?) თავი. ასეთი ემბლემა ბ. გრაკოვის კლასიფიკაციით II ქრონოლოგიური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი²⁷.

თუ ამ თარიღებს სახურავად გამოყენებულ ყველა კრამიტზე გავავრცელებთ (ამის საწინააღმდეგო მონაცემები კი არ არსებობს), გამოდის, რომ ეს კრამიტები სპეციალურად ამ სამარხის გადასახურავად არის შექმნილი. სამარხეული ინვენტარის და კრამიტების თანადროულობა გამორიცხავს ამ კრამიტების გამოყენების შესაძლებლობას ადრე, რაიმე სხვა დანიშნულებისათვის (დაბლაგომში ჭერჭერობით არც ჩანს კრამიტით გადახურულ ნაგებობათა არსებობის რაიმე ნიშნები).

სამარხების კრამიტით გადახურვა ელინისტური ხანისათვის საქართველოს ფარგლებში ცნობილი არ არის. ამ მხრივ ეს სამარხი ჭერჭერობით უნიკალური ჩანს.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ელინისტური ხანიდან იყენებენ კრამიტებს სამარხების ასაგებად და გადასახურავად, მაგრამ თვით სამარხი ნაგებობათა კონსტრუქციები განსხვავდებიან ჩვენი სამარხისაგან (ესაა ჩვეულებ-

²³ Б. И. Граков, Древнегреческие керамические клейма с именами астинов, М., 1929, стр. 121.

²⁴ Е. М. Придик, Инвентарный каталог клейм на амфорных ручках, горшках и на черепицах эрмитажного собрания, Л., 1917, стр. 100, № 804.

²⁵ Б. И. Граков, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

²⁶ И. Б. Брашницкий, Экономические условия Синопя в IV—II вв. до н. э. Сб. «Античный город», М., 1963, стр. 33.

²⁷ Б. И. Граков, დასახ. ნაშრომი, გვ. 100; Е. М. Придик, დასახ. ნაშრომი გვ. 91, № 599, 600.

რივი კრამიტით ნაგები სამარხები. ანდა კრამიტით გადახურული ორმოსამარხები²⁹. იგივე ითქმის საყუთრივ საბერძნეთზეც, სადაც კრამიტების გამოყენებას სამარხების გადასახურავად ჯერ კიდევ წინარეველინისტურ ხანაში იწყებენ (მაგ. როდოსზე³⁰, ოლინთოსში³¹, ათენში³¹, სამოსზე³² და სხვ.).

ამ სამარხს დაბლაგომის ანტიკური ხანის ნამოსახლარის შესწავლისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, მასში აღმოჩენილი ნივთების ერთი ნაწილი იმპორტულია და ამდენად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კოლხეთის ანტიკურ სამყაროსთან (ატიკა, სინოპე, ხმელთაშუაზღვისპირეთი) სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა შესწავლისათვის, რამდენადაც სავაჭრო ურთიერთობა ორმხრივი პროცესია, მის შესწავლას გარკვეული ღირებულება თვით ანტიკურ სამყაროს ისტორიისთვისაც ენიჭება. მეორეც, ეს იმპორტული ნივთები, რომელთა დათარიღება, როგორც ცნობილია, ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია შესაძლებელი, მყარ საყრდენს წარმოადგენენ ადგილობრივი მასალების პერიოდიზაციისათვის. ამას კი დაბლაგომის ნამოსახლარისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ამ სამარხის მეცნიერული ღირებულება ზემოთქმულთ არ ამოიწურება. მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ მასში აშკარად ადგილობრივი ზედაფენის წარმომადგენელია დაკრძალული. ეს სამარხი, როგორც აგებულებით, ისე ინვენტარის შემადგენლობით სრულიად განზე დგას დაბლაგომიდან დღემდე ცნობილ ყველა ძეგლისგან (დაბლაგომში დღემდე აღმოჩენილი ყველა სამარხი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების რიგითი წევრების ყოფას ასახავს. გარკვეული ქონებრივი დიფერენციაცია ამ სამარხებშიც შეიმჩნევა, მაგრამ ეს დიფერენციაცია იმდენად სუსტია, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიგვივითებებს ამ ფენის შიგნით რაიმე სოციალურ დიფერენციაციას), იგი თვისობრივად ახალ მასალას იძლევა, არა მარტო დაბლაგომის ნამოსახლარის ხასიათის გასარკვევად, არამედ აგრეთვე ელინისტური ხანის კოლხეთის სახელმწიფოს სოციალური სურათის აღსადგენადაც. ამ სამარხში დაკრძალული სოციალურად დაწინაურებული პირი ამავე დროს შესაძლოა ხელისუფლების მტარებელიც ყოფილიყო. ასე, რომ ამ სამარხს, რომელიც აშკარად ეხმარება ვანში აღმოჩენილ წარჩინებულ კოლხი მეომრის სამარხს, შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურის შესწავლისათვის. მართალია, კოლხი მეომრის სამარხი ჩვენ სამარხზე რამდენადმე ადრეულია, მაგრამ ქრონოლოგიური ხარვეზი მათ შორის იმდენად მცირეა, რომ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ისინი შესაძლოა ერთ სიბრტყეში განვიხილოთ, მათ შორის გარკვეული ურთიერთკავშირი დაკვირვებით, რომელიც ფაქტობრივ მასალას მოგვცემდა კოლხეთის სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურის შესახებ მსჯელობისათვის.

28 E. G. Kastanayn, Грунтовые некрополи боспорских городов, МИА, 6), стр. 279.

29 Clara Rhodos, I. III, 1927, 23. 10.

30 Excavations at Olynthus, XI, გვ. 1, და შიგ.

31 A. Brueckner und E. Pernice, Einattischer Friedhof, AM. Bd. XVIII, 1893,

85: 162

32 J. Boehlau, Aus ionischen und italischen Necropolen, Leipzig, 1898, გვ. 18.

6. ფოთურიძე

ნიმორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან

(ძვ. წ. V—IV სს).

ანტიკური ხანის არქეოლოგიურ შესწავლაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კერამიკულ ტარას ამფორებს, რომლებიც ანტიკური სამყაროს მრავალ სხვადასხვა ცენტრში მხაღვლებოდა და რომლებითაც ღვინო, ზეთი და სხვა პროდუქტები გადაიზიდებოდა. ამფორათა ნატეხები თუ მთელი ეგზემპლიარები მრავალთ ვეხვდება ძველი საქალაქების კულტურულ ფენებში და სამარხებში. მათ შორის ვანის ნაქალაქარზეც.

ვანის ნაქალაქარზე ამფორები მხოლოდ ძვ. წ. V საუკუნიდან გვხვდება, ამაზე ადრეული აქ ჭერჭერობით არ ჩანს.

ძვ. წ. V საუკუნე ვანის ნაქალაქარზე ცნობილია ჩამოღებულ მთავარად სამარხთა და კულტურული ფენებით, რომელთა შესწავლა განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გაიშალა. ამ დროის სამარხებში, თუნცა ზოგიერთ მათგანში კერამიკა უხვად იყო წარმოდგენილი, ამფორის კომპლექსის ძიებით შეგებოდა არ მოგვცა. ის ჩამოღებულ ნატეხი, ძვ. წ. V საუკუნის ამფორებს რომ ეკუთვნის, ვანის ნაქალაქარის ოთხი სხვადასხვა მონაკვეთიდან მომდინარეობს და ადრეანტიკური ხანის მეტეკლეებსა მხოლოდებულ ფენებშია ნაპოვნი, ხოლო ერთი ძვ. წ. V ს. ქიოსური ამფორის ძირი აღმოჩნდა ვანის სამარხთმცოდნეო მუზეუმის ფონდებში, იგი შემთხვევითაა ნაპოვნი ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

ვანის ნაქალაქარისათვის ყველაზე ადრეული მართა ამფორები ჩამოღების შემდეგ ნატეხი ქიოსური ყვლეკომპლექსი ამფორისაა მათ შორისაა ჯოჯოხეთი ძვ. წ. V ს-ის პირველი ნახევრისათვის დამამართებელი, ისე შეიძლება ნატეხის ნიმუში. მხოლოდ ორი ნატეხი ამფორისა ისეთი, რომელიც აღმოჩენის პირობების მიხედვით ძვ. წ. V საუკუნისაა, მანამ ნატეხებსა ამფორის ვანო მათი დამზადების ცენტრის განსაზღვრა უნდა და მხოლოდ ვანისათვის გამოთქმა თუ შეიძლება.

უფრო მრავალდეროვნაა წარმოდგენილი ძვ. წ. IV საუკუნე. თუნცა არც ამ ხანების ამფორები გვაქვს დიდი რაოდენობით, მინუსდგავს ამისა, აქ იმ დროს გავრცელებული ჩამოღებულ ცენტრის ნატეხის ვეხვდება — ქიოსი, თასოსი, პერაკლეა, სინოპა. ე. წ. სოლომა I ტომისა და სხვა.

ქიოსური ამფორები: კოლხეთში ქიოსური ამფორები უკვე ძვ. წ. VII საუკუნიდან შემოღის, ამ ამფორათა ნატეხები გამოარჩია ამოიან კახიძემ ბა

თუმში მოპოვებულ მასალებში². ეს უძველესი ნიმუშია ქიოსური ამფორისა. შემდეგი ხანების (ძვ. წ. VI-V სს) ქიოსური ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ქობულეთ-ფიქვენარში³, არის ისინი ფოთის მიდამოებშიც⁴. ვანში, როგორც აღენიშნეთ, ქიოსური ამფორები მხოლოდ ძვ. წ. V საუკუნიდან გვხვდება.

ძვ. წ. V საუკუნის ქიოსური ამფორები საერთოდ კარგად არაა ცნობილი, აღმოჩენილია მათი მთელი ვეზემპლიარებიც. ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარში ქიოსური ამფორები ორი სხვადასხვა ზომისა მზადდებოდა — 21,5 ლიტრი რომ ჩადიოდა და მისი ნახევარი — დაახლოებით — 10,75 ლიტრიანი. ერთ-ერთი ამფორის საერთო სიმაღლე 68 სმ-ია, მისი ტანი კვერცხისებურია, უდიდესი დიამეტრი 30 სმ-ია. ყელი დაბალი აქვს, ძლიერ გამობერილი, უშუალოდ დაქანებულ მხრებზეა დაძერწილი, ყურების მხარეს შევიწროებულია, რის გამოც პირს ელიფსის მოყვანილობა აქვს. ყურები მცირე ზომისაა, ოვალურია ქრილში, მიძერწილია უშუალოდ პირს ქვემოთ და მოსაბრუნში მომრგვალებულია. ამფორის ქვედა ნაწილი მთავრდება დაბალი, მასიური ქუსლით, იგი ცილინდრულია, ოღნავ გაგანიერებულია ქვევით, ძირზე ღრმა ფოსო აქვს, რომელიც შიგნით ფართოვდება, რაც მხოლოდ ქიოსური ამფორებისათვის არის დამახასიათებელი⁵. ამ ნიშნის მიხედვით გამოიყენება ქიოსური ამფორის ძირი ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან, ხოლო გამობერილი ყელითა და ლილვაკიანი ნაპირით — ორი სხვა ნატეხი, რომლებიც ადრეანტიკური ხანის ფენებშია აღმოჩენილი.

ყელგამობერილი ქიოსური ამფორების თხა ღია ყავისფერია, კარგი ხარისხისა, თუმცა შედარებით მსხვილმარცვლოვანი. დამახასიათებელი ჩანართია თუთია, არამბრწყინავი ნამცეცები, ალბათ კირქვეული წარმოშობისა, მცირე რაოდენობით შეიმჩნევა აგრეთვე ქარსის წვრილი ნამცეცები⁶. ყველა ეს ნიშანი ახასიათებს ვანში აღმოჩენილ ქიოსური ამფორების ნატეხებს (სავ. №№ 646 ვ—66/10, 07:1—73/424) (სურ. 120₁).

1973 წელს ვანში აღმოჩნდა ქიოსური ამფორის ნატეხები, რომლებიც ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ამფორას ეკუთვნის. ამ ხანისათვის ქიოსური ამფორის მოყვანილობა რამდენადმე იცლება და ეს ცვლილება განსაკუთრებით ამფორის ყელ-პირს ეტყობა — ყელის გამობერილი ნაწილი ამ ხანებში პირდაპირ მხრებს კი არ ებჯინება, არამედ მას ვიწრო ყელით უერთდება⁷. სწორედ ასეთია ვანის ამფორის ყელი (სავ. №07:1—13/110). (სურ. 120₂). რადგანაც ამფორის ეს ნიმუში თავისი ფორმით ასე საიმედოდ თარიღდება, მისი აღმოჩენით დათარიღდა ვანის ნაქალაქარის 211 და 193 ნაკვეთების საზღვარზე (ყოფილი 1 უბანი) გამოვლენილი ხის დიდი ნაგებობის დანგრევა,

2 ა. ვახიძე. კერამიკულ ტარა ფიქვენარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები II, თბილისი, 1971, გვ. 30.

3 იქვე, გვ. 29 და შემდეგ. 1956 წ. ქობულეთის არქ. ექსპედიციამ (ნ. ხომბარაძის გათხრები) აღმოაჩინა თათქმის მთელი ამფორა, რომელიც ძვ. წ. VI—V სს მიჯნის ამ ცენტრის ამფორების უძველეს ნიშანს ატარებს. ამფორა გამოფენილია საქ. სახ. მუზეუმში.

4 თ. მიქელაძე. ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წლის სავსე მუშაობის შედეგები, არქეოლოგია XV საუკუნეობა სესია, მიძღვნილი 1965 წ. სავსე-არქ. ექსპედიციის შედეგებისადმი, თბილისი, 1966, გვ. 22.

⁵ И. Б. Зеест, Керамическая тара Босфора. МИА, 83, М., 1960, стр. 74

⁶ იქვე, გვ. 75.

⁷ იქვე.

რომლის გადმოქცეულ ბათქაშებშიც აღმოჩნდა იგი. ნანგრევებში აღმოჩენილმა სხვა იმპორტულმა კერამიკამაც (წითელფიგურული ქურჭლის ფრაგმენტების და კოლხური ქვევრების ნატეხები) დაეჭირა ამ თარიღს მხარი.

სავ. № 07:1 — 73/588. ამფორის ძირი ქიოსურია თიხითა და მოყვანილობით. იგი ძვ. წ. V—IV საუკუნეებით დათარიღებული ფენიდან მომდინარეობს, მაგრამ რადგანაც მას ქუსლის ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს, მხოლოდ ვარაუდით შეიძლება მისი ძვ. წ. V ს-ის მიწურულის ამფორისათვის მიეუთვნება.

სავ. № 07:1 — 73/356 და 419 ამფორების ნატეხები ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ზემოთ ნახსენები ხის ნაგებობის ნანგრევებშია აღმოჩენილი და ამიტომ არის ასე დათარიღებული, თუმცა მათი დამზადების ცენტრის განსაზღვრა ჩვენ ჭრჭერობით ვერ მოვახერხეთ.

ქიოსური ამფორები მზადდება და ვრცელდება ძვ. წ. IV საუკუნეშიც, ისინი ფორმით მკვეთრად განსხვავდებიან წინა საუკუნის ამფორებისაგან⁸. ამ ხანის ქიოსური ამფორების რამდენიმე ქუსლის ნატეხი გვაქვს (სავ. №№ 3—72/401, 3—52/2, 3—59/72, 3—57,2545) (სურ. 120ა), ისინი ლიტერატურაში ჩაჩისებურძირიანებად იწოდებიან მათი ქუსლის ჩაჩისმაგვარი მოყვანილობის გამო⁹. ვანის ამგვარი ამფორების ძირების უმრავლესობა ძალზე დაზიანებულია. მათი თიხა უფრო წმინდადაა განლეჟილი, ვიდრე ადრეული ქიოსური ამფორებისა, შემადგენლობით კი ისეთივეა. მაგრამ ჩვენს მასალაშიც არის მსგავსი მოყვანილობის სხვაგვარი თიხის ნაწარმი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამგვარი ამფორები სხვა ცენტრებშიც უმზადებიათ ქიოსის მიზაძვით, როგორც ეს აღნიშნულიცაა ლიტერატურაში¹⁰.

ეს ამფორები გამოირჩევიან ძალიან დიდი ზომით, ჩვეულებრივ მათი სემალღე ერთ მეტრს აღწევს. ყელის სიმაღლე ყურის ძირიდან 35 სმ-ია. ბოსფორის ქალაქებში ამგვარი მთელი ამფორებიც არის ცნობილი და მათი ნატეხებიც დიდი რაოდენობით ჩნდება ძვ. წ. IV—III საუკუნეების ფენებში, ვანში კი მათი ნატეხების გამოჩენვა, გარდა დასახელებული ქუსლებისა, ვერ მოხერხდა.

ძვ. წ. IV საუკუნე კერამიკული ტარის განვითარებაში მნიშვნელოვანი ხანაა — ამ დროიდან იწყება ამფორების დადამღვა, რამაც გაუადვილა მკვლევარებს მათი დამზადების ცენტრების განსაზღვრა და დათარიღება, თუმცა ამ მხრივ ჭრ კიდევ ბევრი რამაა დასახუსტებელი და შესასწავლი.

დამლიანი ამფორების შესწავლის საფუძველზე მათი დათარიღების რამდენიმე მეთოდი არსებობს. ისინი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა ბ. გრაკოვმა თავის ცნობილ ნაშრომში სინოპური ამფორების შესახებ¹¹. ესენია: 1. სტრატეგრაფიული მეთოდი, 2. მორფოლოგიური მეთოდი, 3. პალეოგრაფიული მეთოდი, 4. გრამატიკული მეთოდი, 5. ნემიზმატიკური მეთოდი, 6. სინქრონული მეთოდი და 7. ისტორიული მეთოდი. თითოეულ ამ მეთოდს

⁸ J. K. Anderson, Excavations on the Kofina Ridge. Chios, BSA, XLIX, 1951, გვ. 169—170.

⁹ И. Б. Зеест, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 78.

¹⁰ იქვე.

¹¹ Б. Н. Граков, *Древнегреческие керамические клейма с именами астиномов*, Москва, 1929.

თავისი ძლიერი და სუსტი მხარე გააჩნია და თითოეული მოითხოვს ახალი აღმორჩენებით განმტკიცებას.

ვანში აღმოჩენილი ამფორების შესწავლა საჭირო და მნიშვნელოვანია თვით ვანის ნაქალაქაჩის შესასწავლად, მაგრამ მათი აღმოჩენის პირობები შესაძლებლობას გვაძლევს საერთოდ ამფორების შესწავლაშიც გამოვიყენოთ იგი. განსაკუთრებით სტრატოგრაფიული, მორფოლოგიური და ისტორიული მეთოდების დასუსტებაში გვეხმარება ჩვენი მონაპოვარი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1969 წელს წარჩინებული კოლხი მეომარის სამარხში აღმოჩენილ ექვს ამფორას (სურ. 121, 122).

როგორც ცნობილია, ეს სამარხი საიმედოდ თარიღდება მასში აღმოჩენილი ფილაზე II მაკედონელის ოქროს მონეტით (ძვ. წ. 359—336 წწ), შავლაკიანი კანთაროსისებური კილიკით და სინოპური ამფორის დამლით¹². ეს უკანასკნელი ადრევე დადგენილი თარიღის გამაგრებას პოულობს ამ კომპლექსში.

კარგად დათარიღებულ კერამიკას კომპლექსის თარიღისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი თავისი თვისებების გამო დიდხანს ვერა წლებს; ეს განსაკუთრებით ითქმის ამფორებზე, რომლებიც ტარას წარმოადგენენ და გადაზიდვის დროს ხშირად იმტვრევიან, დიდი-დიდი 20 წელს გაძლონ, ამიტომ კომპლექსში ისინი ყველაზე ახალგაზრდად უნდა მივიჩნიოთ. ეს გარემოებაც ზრდის მათ მნიშვნელობას დათარიღების საქმეში. რაც შეეხება კულტურულ ფენებში აღმოჩენილ ამფორათა ნატეხებს, მათი დათარიღება გვიადება უკვე ცნობილი ნიმუშების მიხედვით და ხშირად მათ ვიყენებთ კულტურული ფენის დასათარიღებლად.

როგორც აღვნიშნეთ, ვანის ძვ. წ. IV საუკუნის ამფორებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1969 წელს წარჩინებული კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩენილი ამფორები, სულ ექვსი ცალია და ყველა მათგანი მთლიანადაა აღდგენილი. ამ ხანის მთელი ამფორები პირველად გვხვდება ვანის მასალაში, აქამდე მხოლოდ მათ ნატეხებთან გვქონდა ხოლმე საქმე.

სამარხში აღმოჩენილ ამფორათა შორის სამი სხვადასხვა ცენტრის ამფორები გვხვდება. ესენია — ერთი სინოპური ამფორა (სავ. № 3—69/307), სამი ე. წ. სოლხა I ტიპის ამფორა (სავ. № № 3—69/308; 3—69/309 და 3—69/310) და ორიც კოლხური ამფორა (სავ. № № 3—69/311 და 3—69/312). მათგან ერთი ამფორა, სოლხა I ტიპისა, აღმოჩნდა მეომრის სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ხოლო დანარჩენი ხუთი ერთად ეწყო სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (სურ. 120).

სამარხში აღმოჩენილი სინოპური ამფორა ერთ-ერთ ძალზე საინტერესო ეგზეპლარს წარმოადგენს ამ მეტად მნიშვნელოვანი ცენტრის ამფორებს შორის. როგორც ცნობილია, სინოპური ექსპორტი ფართოდ ვრცელდება შავიზღვისპირეთში და ძალიან ნაკლებად ხმელთაშუაზღვისპირეთში. ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ სინოპურ დამლიანი ამფორების ყურებს ათასობით იოვლიან, ხმელთაშუაზღვისპირეთში კი ერთი ასეული თუ მოიპოვება, ამიტომაც ამ ცენტრის გამოყოფისა და განსაზღვრის დამსახურება რუს მეცნიერებს ეკუთვნის, განსაკუთრებით ბ. გრაკოვს, რომელმაც ამ ამფორათა ექვსი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოჰყო, მას შემდეგ, რაც საფუძვლიანად და-

¹² იო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთუჩაძე, ვ. თოლოღაძე, ა. ქუონიძე, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, კრებულში — ვანი 1, თბილისი, 1972, გვ. 198 და შემდეგ.

ამტკიცა, რომ ისინი სინოპურია¹². სინოპა თავისი ამფორების დადამლვას ძვ. წ. IV საუკუნეში იწყებს, I ქრონოლოგიური ჯგუფი სინოპური ამფორების დამლებისა ანუ აქვს ძვ. წ. 360—320 წლების მახლობელი ხანებით თარიღდება, ამ ჯგუფის დანაწილები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში 1182 ცალია. აღმოჩენილი 14. მაგრამ ამფორების მთელი ეგზემპლარები ძალიან ცოტაა, ამიტომ მეოპრის სამარხში აღმოჩენილ ამფორას საერთოდ სინოპური ამფორების შესწავლისათვისაცა აქვს მნიშვნელობა. ამ ამფორას კოპრესი კონუსური აქვს, მხრები გაშლილი, ყელი ოდნავ შებერილი, პირზე დაბალი ლილეაკი შემოუყვება, მასიური ქუსლი კოხტადაა გამოყვანილი და ძირი ოდნავ მომრგვალებული აქვს, ოვალურგანივკვეთიანი ყურები პირს ქვემოთა და მხრებზე აქვს მიძერწილი. მხრებზე ყურის ძირში თითო ნაქდევი აქვს გამოწეაღდე გამოყვანილი. ცალ ყურზე აქვს დამლა ემბლემით — დელფინზე დაფრენილი არწივი, დამლა სწორკუთხაა, წარწერა სამსტრიქონიანია და ასე იკითხება:

ΙΣΤΙΕΙΟΥ	ε στ:ε:ίου
ΕΠΙΚΥΡΟΥ	ἐπ: Κύρου
ΛΕΥΤΥΝΟΜΟΥ	λετυνόμεου

ასოები მკვეთრად არის რელიეფურად გამოსახული და კარგად იკითხება, რაც არც ისე ხშირია სინოპურ დამლებზე.

როგორც ბ. გრაკოვმა დაადგინა, ემბლემა — დელფინზე დაფრენილი არწივი, გვხვდება მის მიერ გამოყოფილი I ქრონოლოგიური ჯგუფის დამლებზე (ძვ. წ. 360—320 წწ). სწორედ ამ ემბლემის მიხედვით შემოიფარგლა ამ ჯგუფის ქრონოლოგიური საზღვრები — ასეთივე გამოსახულება გვხვდება სინოპურ მონეტებზე ამ წლებში და ამფორის დამლაც მას იმეორებს. რაც შეეხება ლეგენდას, იგი შეიცავს ჭერ კერამიკული სახელოსნოს პატრონის — ფაბრიკანტ პისტიაიოსის სახელს, შემდეგ ნაწილად $\epsilon \pi \tau$, მერე თანამდებობის პირის — ასტინომის სახელს — კიროსს და ბოლოს მაგისტრატურის დასახელებას — ასტინომი.

სახელი პისტიაიოსი გვხვდება სინოპური ამფორების დამლებზე როგორც ფაბრიკანტების, ისე ასტინომების სახელებს შორის და ისიც ყოველთვის დელფინზე დაფრენილი არწივის ემბლემასთან ერთად, ე. ი. მხოლოდ I ქრონოლოგიური ჯგუფის დამლებზე. ვანის ამფორაც ამ ჯგუფს ეკუთვნის, მხოლოდ მის გვიან ვარიანტს — ბ. ჯგუფს, რადგან მასში მოხსენიებული ასტინომი კიროსი მხოლოდ I ქრონოლოგიური ჯგუფის გვიანდელი ქვეჯგუფის დამლებში მოხსენიება¹³.

სახელი კიროსი არაბერძნულია, ბ. გრაკოვის გამოთქმით — ადგილობრივი კოლორიტისაა. პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფში მოხსენიებულ ორას სახელში ბ. გრაკოვს ადგილობრივი კოლორიტისა მხოლოდ 7 აქვს დასახელებული და მათ შორისაა კიროსიც. როგორც ბ. გრაკოვი აღნიშნავს, სინოპელები ატარებდნენ ან სუფთა ბერძნულ, ან იშვიათად ადგილობრივ სა-

¹² Б. Н. Граков, *დასახ. ნაშრომი*.

¹³ И. Б. Брашницкий, *Экономические связи Синопы в IV—II вв. до н. э.*, Сборник «Античный город», Москва, 1963, გვ. 132—145.

¹⁴ Б. Н. Граков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 56, გვ. 115.

ხელს. მაგრამ იმ დროისათვის არისტოკრატულ სახელებს. არაბერძნული სახელები შეტყეებასა და განთავისუფლებულ მონებს უნდა მიეკუთვნებოთ.

სახელი ჰისტიაიოსი გვხვდება დამლებში ყოველთვის ასეთი ფორმით — Ἱστιαῖοι — ჩვენთან — Ἱστιαῖοι, ბ. გრაკოვის თქმით იგი ერთფეროვან დამლებშია. სადაც მის სახელს პირველი ადგილი უჭირავს, მეორე სტრიქონში არის შემოკლება $\mu\alpha\tau\varsigma$, ან $\alpha\tau\alpha\varsigma\iota$, ხოლო ფაბრიკანტის სახელი მესამე ადგილას. ემბლემა ყოველთვის არის — არწივი თევზზე, რომელიც მარჯვნივაა მოთავსებული დამლის გარდღეარდმო. ჩვენს დამლაზე ჰისტიაიოსი ფაბრიკანტია და არა ასტინომი და მაინც პირველ სტრიქონშია. გრაკოვისა და ე. პრიდიკის მიერ მრავალი სინოპური დამლაა გამოქვეყნებული, რომელიც ამ სახელის შემცველია, როგორც ასტინომისა, ისე ფაბრიკანტის¹⁶, მაგრამ ფაბრიკანტი ჰისტიაიოსი ასტინომ კირილთან არასოდეს არ გვხვდება. ამ მხრივ ჩვენი დამლა ორიგინალურია.

ნაწილაკი $\xi\pi\iota$ ასტინომის სახელის წინ დაისმის. ამ დროს სიტყვა ასტინომი ან მაგისტრატის სახელის შემდეგ ზის, ან ეს ტერმინი ზრულიად გამოტოვებულია და მაგისტრატურა მხოლოდ $\epsilon\pi\iota$ — ნაწილაკით გამოიხატება. $\epsilon\pi\iota$: ნაწილაკით ძალიან ცოტა ასტინომი მოიხსენიება, ერთიდაიგივე სახელები ამ ასტინომებისა ფაბრიკანტის წინაც არიან დასახელებული და მის შემდეგაც. ჩვენ დამლაზე ნაწილაკი $\epsilon\pi\iota$ -ც არის და კიროსის სახელის შემდეგ მაგისტრატურაც — ასტინომი, თანაც შემოკლების გარეშე, მთლიანად. როგორც ბ. გრაკოვი აღნიშნავს, სახელი კიროსი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც მცირეაზიული. ჰისტიაიოსი კი სპეციფიური იონიურია, იგი ცნობილია ჰერაკლეს დამლებშიც და იშვიათად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც.

კიროსის სახელის შესახებ ბ. გრაკოვი წერს, რომ იგი ყოველთვის ასეთი ფორმით გვხვდება $\chi\iota\rho\sigma\varsigma$ ხან $\xi\pi\iota$ ნაწილაკით, ხან მის გარეშე, და ყოველთვის წარწერის დასაწყისში, მის შემდეგ მაგისტრატურაა ფორმით $\alpha\tau\alpha\varsigma\iota\sigma\iota\omega\varsigma$ (ჩვენთან იგი მეორე სტრიქონშია), მასთან ერთად მოხსენიებული ფაბრიკანტის სახელი ყოველთვის ბლოკდება $\sigma\alpha$ -თი და საფიქრებელია გვიანდელ ჯგუფს ეკუთვნისო. ემბლემაა ყოველთვის არწივი დელფინზე¹⁷.

როგორც ვხედავთ, ჩვენი დამლა ზოგი დეტალით ორიგინალურია, ზოგით კი ჰგავს აღწერილ დამლებს. იშვიათია აგრეთვე სიტყვა ასტინომის ბოლოში მოთავსება, ეს III ვარიანტი ქრონოლოგიურ სიაში ბ. გრაკოვთან არაა აღნიშნული, რადგან იშვიათი და არადამახასიათებელი შეცვლაა II ვარიანტია — ასტინომი შუაში.

ვ. ცეხმისტრენკო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სინოპური დამლების დათარიღების დაზუსტების საქმეში¹⁸, თვლიდა, რომ ემბლემა — არწივი დელფინზე არ შეიძლება ასტინომის ემბლემად ჩაითვალოს, რადგან იგი I ქრონოლოგიური ჯგუფის ყველა ასტინომთან გვხვდება და სხვადასხვა მეთენებთან. ეს ემბლემა არც ასტინომს ეკუთვნის და არც მეთენეს, იგი სი-

¹⁶ ჩ. მაგალითად. E. M. П р ъ д н и к, Инвентарный каталог клейм на амфорных ручках и горлышках и на черепицах эрмитажного собрания, Петроград, 1917, №№ 614, (გვ. 91), 615, 616, 617, 618; (გვ. 92), №№ 619—631 და სხვა.

¹⁷ B. H. Граков, დ.ს.ს. ნაშრომი, გვ. 115.

¹⁸ В. И. Цехмистренко. К вопросу о периодизации синопских керамических клейм, СА, 1956. № 1, стр. 56—70.

ნოპის საქალაქო ნიშანია და არსებობს მხოლოდ ძვ. წ. IV საუკუნის შუა ხანებამდე¹⁹. ჩვენმა აღმოჩენამ დაამტკიცა, რომ ეს ემბლემა უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე ეს ვ. ცეხისტრენკოს მიაჩნდა, და ალბათ არც ქალაქი სინოპის დაპყრობა მომხდარა „რომელიმე ადგილობრივი მეფის მიერ“ ამ ხანებში, როგორც ამ ემბლემაზე გაქრობას ხსნიდა იგი.

ფორმით ჩვენნი სინოპური ამფორა ჰგავს ი. ბრაშინსკის მიერ აღწერილ ელიზავეტოვსკის სამაროვანზე 1959 წელს აღმოჩენილ სინოპურ ამფორებს²⁰. აქ № 8 ყორღანში აღმოჩენილ ხუთ სინოპურ ამფორიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა დამლა და ისიც I ქრონოლოგიური ჯგუფის გვიანდელი ქვეჯგუფისა, ი. ბრაშინსკის აზრით ისინი ძვ. წ. IV ს მიწურულს უნდა მიეკუთვნონ. ამ ამფორებს ვანის ამფორასთან აახლოვებს გაშლილი მხრები, კონუსისებური მოყვანილობა და ქუსლის ფორმა, ყელ-პირი მას რამდენადმე განსხვავებული აქვს. ასაკითაც ელიზავეტოვსკის ამფორები ცოტა უმცროსია ვანისაზე და ზომითაც მომცრო — მათი სიმაღლე მერყეობს 56,5 სმ-დან 62 სმ-მდე, კორპუსის უდიდესი დიამეტრი — 27,5—29,5 სმ-ია, ტევადობა მერყეობს 9,100-დან 10,750 ლიტრამდე.

ვანში აღმოჩენილი სინოპური ამფორის ზომები ასეთია: საერთო სიმაღლე — 68 სმ, ტევადობა 16 ლიტრი (გაზომილია მარცვლით), პირის დმ — 7,5 სმ, ყელის სიმაღლე 19 სმ, მხრების დმ 34 სმ, ქუსლის სიმაღლე 5 სმ, დამლის სიგრძე 7 სმ, სივანე 2 სმ.

მეომრის სამარხშივე აღმოჩნდა, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, სამი ამფორა ე. წ. სოლოხა I ტიპისა. ასეთი სახელი ეწოდა ამ უცნობი ცენტრის თავისებური მოყვანილობის ამფორებს იმის გამო, რომ ისინი პირველად სოლოხას ყორღანში აღმოჩნდა 1913 წელს (ზაპოროჟეცის ოლქი). ნ. კესელოვსკიმ ეს ამფორები ზერსონის მუზეუმს გადასცა, სადაც ინახებოდა ოთხადღე. აქ ამ ტიპის ამფორა სამი იყო. ერთერთს ყელზე, ყურთან ახლოს, ჰქონდა გრაფიტო ოქსა რომელიც სპეციალისტების მიერ შევსებულია როგორც ოქსაზე; ცენტრალურ სამარხში აღმოჩენილი კილიკის წარწერის მიხედვით. ა. მანციევიჩმა, რომელმაც აღწერა ეს ამფორები, შეაღწა ისინი ჩერტომლიკის ვერცხლის ვახას და მიაშვავესა ქალაქ ტერონას ტეტრადრაქმებზე გამოხატულ ჰურპელს²¹. ტერონას ტეტრადრაქმებზე ჰურპელის ცალი ყური ჩანს მხოლოდ, ამიტომ ზოგი მათ ენოხიად უვლის, ა. მანციევიჩი კი ამტკიცებს — ამფორაა და მოჰყავს დ. რობინზონის შტკიცება — ენოხია მხოლოდ ტეტრობოლებზე გამოისახებოდა, მაშინ, როდესაც ტეტრადრაქმებზე ამფორებს გამოისახებდნენ²², ტერონა ლენინის წარმოების ფართოდ ცნობილი ცენტრი

¹⁹ В. И. Сехмистренко, Клейма как источник для изучения производства в Синопе в IV—II вв. до н. э., Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Москва, 1963, стр. 16.

²⁰ И. Б. Брашинский, Амфоры из раскопок Елизаветовского могильника в 1959 г. (К вопросу о датировке погребения в кургане № 8 группы «Пять братьев»), СА, 1961, № 3, гв. 178—185, სურ. 4, 5. ავტორი აღნიშნავს ამ ტიპის ამფორებს განსხვავებას ლიტერატურაში აღწერილ სინოპური ამფორების ტიპებისაგან. ასევე განსხვავებულია ვანში აღმოჩენილი ამფორაც.

²¹ Л. Манциевич, Амфоры кургана Солоха, Сообщения Гос. Эрмитажа, IV, Ленинград, 1947, стр. 3—4.

²² Excavations of Olynthus, VIII, гв. 27 და იქვე, გვ. 12.

იყო და მას მიაწერდნენ სამკურნალო თვისებებს. ლენის გამოკვების პრიორიტეტზეც ჰქონდა ამ ქალაქს პრეტენზია. ეს შეხედულება, რომ სოლოხა I ტიპის ამფორები შეიძლება. ქალაქ ტერონადან იყოს, არ გაიზიარეს მკვლევარებმა. ი. ზეესტის აზრით, ამ ამფორების დამზადების ცენტრი შეიძლება ევროპის ევროპის ზღვის რომელიმე კუნძულზე, რომელიც საევაქრო სისტემაშია — როდოსი — კოსი, დელოსი. ქალაქი ტერონა კი, როგორც ცნობილია, ხალკიდის რაიონშია, ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში. ი. ბრაშინსკი მსგავსებას ხედავს სოლოხა I ტიპის ამფორებსა და კოსის ტარაში, ამის დამამტიციებელ ილუსტრაციად მიაჩნია მას მის მიერ ოლბიაში აღმოჩენილი ამფორა, რომელიც ძალიან ჰგავს პირის მოყვანილობით სოლოხა I ტიპის ამფორებს და თან ყური ორსვეტა აქვს და დამლაც კოსისა, თიხაც ტიპიურად კოსური²². ა. მანცევიჩს ეს გარემოება არ მიაჩნია დამარწმუნებლად, რადგან სოლოხას მასალებში არც ერთ ამფორას ორსვეტა ყური არა აქვს²³. ჩვენი მასალების მიხედვით ვერ ვადაწყდება ეს დაეა, მაგრამ რომ კოსის ამფორებს არაფრით არა ჰგავს ვაწში აღმოჩენილი სოლოხა I ტიპის ამფორები, ეს ჩვენთვის ცხადია, ისინი თიხით, ფორმით, გამოწვეთ, ზუსტად ერთნაირია, ზომით ორი მათგანი ტოლია, მესამე კი მათზე მონრდილია. ამ ამფორათა გარეგნობაში ყველაზე დამახასიათებელია ფართო პირი, რომელიც პორიზონტალურადაა გაშლილი, ცილინდრული ყელი, გაშლილი მხრები, რომელიც მომარგვალბულად გადადის კონუსურ კორპუსში, ძირზე პროფილირებული ქუსლი აქვს, შიგნით შედრევილი; ოვალურგანეკვეთიანი, ბრტყელი ყურები მიძერწილია პირს ქვემოთ და მხარის დასაწყისში ყელთან. ძალზე დამახასიათებელია თიხაც — ღია ვარდისფერი. წმინდად განლექილი, ურგვია აუარებელი ძალზე წერილი, მზნანავი ქაასის ნამცეცხბი. ყველაფერი ამით იგი მკვეთრად განსხვავდება კოსის თიხისაგან. არც ფორმაში შეიმჩნევა რაიმე მსგავსება, ამიტომ ვფიქრობთ ძნელია კოსის და ეუკავშიროთ მათი დამზადება. თუმცა ტერონას მონეტებზე გამოსახული კერპელი ზოგადად ჰგავს ამ ტიპის ამფორებს (ზოგ მონეტაზე აშკარად ჩანს ორი ყური, ასე რომ, მისი ენობრიად ჩათვლა გამორიცხულია²⁴), მაგრამ იქ განსახლება საკმარის ბუნდოვანია, ამიტომ ამ ამფორების დამზადების ცენტრის საკითხი დღესაც ღიად რჩება.

სოლოხა I ტიპის ამფორებზე, როგორც ი. ზეესტიც შენიშნავს, დამლები მეტად იშვიათია. ის იცნობს მხოლოდ ერთ დამლას — მონოგრამას²⁵, ეს დამლა სწორკუთხაა. ასოები ამობურცულია ჩადრმავებულ ზედაპირზე. ამფორა ინახება ევატორიის მუზეუმში. მეორე ამფორა ამგვარი ტიპისა აღმოჩენილია კუნძულ როდოსზე სამარხებულ კომპლექსში, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოთი და მესამე საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ამფორის ყურზე, აგრეთვე სწორკუთხა ნაქდეში, მოთავსებულია დამლა EK. შემ-

²² И. Б. Брашинский, Новые материалы к датировке курганов скифской плеченой знати Северного Причерноморья, 1965, стр. 94—96.

²⁴ А. П. Манцеевич, Об амфорах из кургана Солоха, Сообщения Гос. Эрмитажа, ХХІХ, Ленинград, 1968, зб. 48—53.

²⁵ იქვე, зб. 51, სურ. 8.

²⁶ И. Б. Зеест, დასახ. ნაშრომი, зб. 92. ი. ზეესტი აქვე ასახელებს როდოსის ამფორას და მითითებს Ciara Rhodos, ტ. II, 1932, La necropolis di Pontano, p. 120, fig. 2.

დებ წერტილია, ისევე, როგორც ევპატორიის ამფორის დამლაზე ოთხი წერტილი.

მეომრის სამარხში აღმოჩენილი სამი სოლოხა I ტიპის ამფორიდან ორსა აქვს დამლა, მაგრამ სხვა სასიათისა, ვიდრე ზემოთ მოტანილი დამლეზია — ჩვენი დამლები მრგვალია, მოთავსებულია ცალ ყურზე, დიამეტრი 2 სმ. გაშოსახულება დამლაზე რელიეფურია, მაგრამ ძნელია ზედ რაიმეს გარჩევა. მეორე დამლა აგრეთვე მრგვალია, უფრო მოზრდილია პირველზე, გაირჩევა ორი ასო EY და აქვს ემბლემა — ხელიკი? საინტერესოა, რომ ორივე დამლა აქვს შედარებით მცირე ზომის ტოლ ამფორებს, მესამეს კი, რომელიც უფრო დიდია ამ ორზე, დამლა არა აქვს.

ტოლი და დამლიანი სოლოხა I ტიპის ამფორების ზომებია (საე. №№ 3—69/308; 3—69/309): სიმაღლე—56 სმ, ტევადობა 14 ლიტრი (გაზომილია პირამდე, მარცვლით), პირის დიამეტრი გადაშლილი ნაპირის კიდეებიანად—16 სმ, პირის შიდა დმ—11 სმ, ყელის სიმაღლე 14 სმ, უდიდესი სიგანე (მხრებთან) 29 სმ, ქუსლის სიმაღლე—5 სმ, ქუსლის უდ. დმ—7 სმ.

სოლოხა I ტიპის მოზრდილი ამფორის (საე. № 3—69/310) ზომები: სიმაღლე—60,5 სმ, ტევადობა 17 ლიტრი (გაზომილია პირამდე მარცვლით), პირის შიდა დმ—13 სმ, ყელის სიმაღლე—14,5 სმ, უდიდესი სიგანე მხრებთან—32 სმ, ქუსლის სიმაღლე—5 სმ, უდიდესი სიგანე ქუსლისა—6 სმ.

ამფორები თუ საწყაოს როლსაც ასრულებდნენ, ეს ჩვენი მასალებით თითქოს არ დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ სოლოხა I ტიპის სამი ამფორიდან მოცულობით ორი ზუსტად ერთნაირია, მესამე, იმავე ცენტრისა და მათი თანამედროვე ამფორა, მათზე სამი ლიტრით უფრო მეტი ტევადობისაა, ეს ციფრი კი მათ ტევადობაში რაიმე კანონზომიერებაზე არ მიუთითებს (ორი ამფორა ხომ 14 ლიტრის ტევადობისაა). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თიხის ქურქლის ზუსტად ერთნაირი ზომით გამოყვანა მისი დამზადების სპეციფიკის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება (თუმცა მეომრის სამარხში აღმოჩენილი ორი ზუსტად ერთნაირი ამფორა ამის შესაძლებლობაზეც მეტყველებს), ხელოსანი ქურქლის ჩარხზე გამოყვანის დროს ყოველთვის ზუსტად ვერ გამოზომავს მის მოცულობას, ამიტომ საწყაოდ ალბათ უფრო სხვა მასალის ქურქული უნდა იხმარებოდეს, თუმცა გამორიცხული არ არის ამფორების გამოყენება სათვალავად და ეს დადასტურებულია კიდევ წერილობითი წყაროებით²⁷.

რაც შეეხება თარიღს, ჩვენმა კომპლექსმა სოლოხა I ტიპის ამფორების ასაკი დაზუსტა. ეხლა დადასტურებულია მათი არსებობა ძვ. წ. IV საუკუ-

27 ამის შესახებ დაწერილებით იხ. Б. Н. Гр аков а, Клейменная керамическая тара эпохи эллинизма как источник для истории производства и торговли с центрами Причерноморья.

ნაშრომი სამწუხაროდ არაა გამოქვეყნებული, ხელნაბეჭდი ინახება მოსკოვში, არქეოლოგიის ინსტიტუტის არქივში (№ 538). როგორც ი. ბრაშინსკი აღნიშნავს, ბევრი უცხოელი მეკლევარი ეხლა მიღის იმ თეორიულ დასკვნებამდე, რომლებიც უკვე გამოთქმული აქვს ბ. გრაკოვს ამ ნაშრომში, ქვრ კიდევ ომის წინა ხანებში რომ არის დაწერილი. И. Б. Брашинский, Успехи керамической эмиграфии, СА, 1961, № 2, стр. 304.

მსგავს საკითხებზე საუბარია აგრეთვე ბ. გრაკოვის უფრო ადრე დაწერილ ნაშრომში — Б. Н. Гр аков а, Тара и хранение сельскохозяйственных продуктов в классической Греции VI—IV веков до н. э. Известия ГАИМК, вып. 108.

ნის მესამე მეოთხედში, აქამდე კი მათზე საუბარი იყო ზოგადად როგორც
ძვ. წ. IV—III საუკუნეების ამფორებზე.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. V საუკუნიდან ვითარდება სავაჭრო ურთიერ-
ობა ათენთან, ეს კი ხელს უწყობს თასოსის პროდუქციის შემოსვლას, თა-
სოსი სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და განთქმული იყო თავისი ღვინით.
ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში თასოსური ამფორები შეადგენენ შემოტანილი
ტარას ერთერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს ძვ. წ. IV—II საუკუნეებში. შედა-
რებით ბევრი გვხვდება ისინი ჩვენს შავი ზღვისპირეთშიც, ვანში კი ისინი
საკმაოდ ღარიბულადაა წარმოდგენილი. აქედან ძვ. წ. IV საუკუნეს რომ
უნდა ეკუთვნოდეს, ისეთი ჭერჭერობით ორი ძირია (საველე №№ 3—67/96
და 3—67/458), ერთი კი ე. წ. ორთომელისებური ძირი, ძვ. წ. III საუკუ-
ნეში გადმოდის. თასოსური ამფორის დამლიანი ყური ვანში ერთად-
ერთია აღმოჩენილი, მაგრამ იგი გვიანდელი უნდა იყოს.

ორთომელისებურძირიან ამფორებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გა-
მოაქმეულია მოსახრება, რომ ისინი თასოსის რაიონში უნდა იყოს დამზადე-
ბული, რადგან ტაპოლოგიურად ჰგვანან თასოსურ ამფორებს. ეს
ცენტრი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი იყო ამფორების დამზა-
დებისა. მისი პროდუქცია ფართოდ იყო გავრცელებული ხმელთაშუაზღვის-
პირეთში და შავი ზღვისპირეთში. იგი, ისევე, როგორც ნამდვილი თასოსის
ამფორები, გვხვდება ფიჭვნარის მასალებშიც²⁸.

ორთომელისებურ ძირიან ამფორებშიც გვხვდება განსხვავებული სახე-
ბანი, ისინი ზოგჯერ თიხიზაყ მკვეთრად გასხვავდებიან ერთმანეთისაგან,
ზოგს ნაკლები ურვეია კვარცის ნაწილაკები. ამის გამო, საფიქრებელია, მათ
სხვადასხვა ადგილას აწვადებდნენ, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ერთმანეთთან
დაკავშირებულ ცენტრებში. ვანში ისინი ჭერჭერობით მცირე რაოდენობითა
ჩანს, 1972 წლის მასალებმა ორიოდე ცალით შეაფსო მათი რიცხვი.

თასოსურ ამფორებს, რომლებიც შედარებით ხშირად ჩნდება ჩრდილო-
ეთ შავი ზღვისპირეთის სამარხებში, ძალიან ხშირად თან ახლავს ხოლმე ჰე-
რაკლეს ამფორები. ჩვენს მასალაში კი აქამდე ვერ ვხედავდით მათ. ეს გა-
რჩელება უცნაურად გვეჩვენებოდა. მიმდინარე წელს ვანში მოპოვებული მა-
სალის კვლავ გადათვალთვლებამ დაგვანახა, რომ ჰერაკლეს ამფორების არ-
სებობა ევანში გამორიცხული არ არის. სახელდობრ, ჰერაკლეს ამფორას
უნდა ეკუთვნოდეს ამფორის ქუსლი, სავ. № 3—70/182, მასიური, შიგნით ძაბ-
რისებურად შეღრმავებული, პროფილირებული, შუა ადგილას ოდნავ შევიწრო-
ებული, ცეცხლში მოხვედრისაგან რუხად გაღამწვარი და ოდნავ დეფორმირებუ-
ლი. ქუსლის დამეტრი 8 სმ-ს უდრის, ძაბრისებური შეღრმავების დიამეტრი — 4
სმ-ს, ქუსლის გადარჩენილი სიმაღლე — 6 სმ. ქუსლი 86 ნაკვეთზე შედაპირზე აკ-
რეფულ მასალაშია ნაპოვნი, ამიტომ ატრატეგრაფიით მისი თარიღის დაზუსტე-
ბა ვერ ხერხდებოდა. როგორც საერთოდ, ჰერაკლეს ამფორები, ესეც ზოგა-
დად ძვ. წ. IV—III საუკუნეებზე უნდა დათარიღდეს²⁹. მაგრამ მოყვანილო-
ბის მიხედვით იგი ო. ზეესტის მიერ გამოყოფილ პირველ ტიპს უნდა ეკუთვ-

²⁸ ა. კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—47.

²⁹ Б. Н. Граков, Этнофизические клипы на гор.тах некоторых эллинистических остродонных амфор. Труды Государственного Исторического Музея, вып. 1, М., 1926.

ნოდეს³⁰ და შესაბამისად შესაძლოა ძვ. წ. IV საუკუნისა იყოს. ბოლო წლებში ვანში ჰერაკლეს ამფორის ორი დამლიანი ყელის ნატეხი აღმოჩნდა.

№ 07:1—73/415 ჰერაკლეს ამფორის ყელ-პირის ნატეხი, ნაპოვნია №6 ნაკვეთში, ე. წ. თეთრი ნაგებობის ქვეშ, ყვითელ თიხნარ ფენაში, სადაც ძვ. წ. IV საუკუნეზე ახალი მასალა არ გვხვდება. გადანატეხში თიხა მოავერისფროდ არის გამომწვარი, ზედაპირზე მოყვითალო ფერი დასცეპს, თიხას მრავლად ურევია შავი მბზწყინავი და თეთრი კვარცის ნამცეცები. პირი ოდნავ გადმოშლილია და სუსტად პროფილირებული, პირის ძირში ირგვლივ დაბო შემოუყვება. ყელი ცილინდრულია, პირს ქვემოთ, 2 სმ-ით დაცილებით, მოთავსებულია ენგლიფური დამლა, ორ სტრიქონად, იკითხება ქვემოდან ზევით, სტრიქონებს შუა და ზევიდან თითო ნაქდები ხაზი აქვს. დამლაზე ერთი სიტყვაა, ორად განაწილებული, თითო სტრიქონში სამი ასოა. ეს უნდა იყოს მეთუნე კალიასის სახელი.

ამ სახელის შემცველი ჰერაკლეს დამლები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, მათ შორის პანტიკაპონში³¹. პირ-ყელის გადარჩენილი სიმაღლე 8 სმ-ია, პირის საეარაუდო დმ—10 სმ. პირის ქობის მოყვანილობით ჰგავს ი. ზეესტის მიერ გამოყოფილ პირველ ტიპს და ესეც წინა ნატეხის მსგავსად IV საუკუნით უნდა დათარიღდეს, ასე თარიღდება კალიასის სახელის შემცველი სხვა დამლებიც³².

№ 3—72/556 ჰერაკლეს ამფორის ყელ-პირის ნატეხი. ნაპოვნია 119-ე ნაკვეთში, სულ ქვედა, მონაცრისფრო ფენაში. აგურისფერი, მსხვილპარცლოვანი თიხისა, ურევია შავი და თეთრი ნამცეცები. პირი მრგვლად აქვს გადმოკეცილი და ყელისაგან ღრმა ღარით გამოყოფილი, ყელი ცილინდრული. ყელს ქვემოთ 3,5 სმ-ის დაცილებით ენგლიფური დამლა აქვს. ღრმად არის ამოკვეთილი ორი ასო NI, როგორც ჩანს, ფაბრიკანტის სახელის შემოკლებული ფორმაა, ერთი სანტიმეტრის შემდეგ ყელი ჩამოტეხილია, მაგრამ წარწერას არაფერი უნდა აკლდეს, ადგილი საკმარისია იმისათვის, რომ შემდეგი ასოს დააწიყოს მაინც დატეულიყო. ასე შემოკლებული სახელები გვხვდება სხვადასხვა ამფორების ყურბზეც და კრამიტზეც³³. იგი შესაძლოა ნიკანორის, ან სხვა სახელის (მაგ. ნიკავის, ნიკარხოს, ნიკასაგორას, ნიკასიბულოს, ნიკასიონ, ნიკეას, ნიკომედეს, ნიკოსთენეს, ნიკოსტრატოს და სხვა მსგავსის) შემოკლება იყოს, მაგრამ, რადგან ჰერაკლეს დამლებზე ჭერჭეროზით არ ვიცნობთ მსგავს შემოკლებას, დამლაც ჭაუკითხავი რჩება. ი. ზეესტის მიერ გამოყოფილ ჰერაკლეს ამფორების ხუთ ტიპში ზუსტად ასეთი მოყვანილობის პირიანი ამფორები არ გვხვდება, მაგრამ თავისი ხასიათით იგი უფრო უახლოვდება პირველ ტიპს და ძვ. წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს. ასეთივე თარიღს იძლევა მისი აღმოჩენის ადგილი, ამ ფენაში ამ მო-

³⁰ И. Б. Зеест, О типах гераклейских амфор, КСИИМК, XXII, М.—Л., гв. 48 და შემდეგ.

³¹ Д. В. Шелов, Клейма на амфорах и черепицах, найденных при раскопках Пантаклея в 1945—1949 гг., МИА, № 56, М., 1957, гв. 208.

³² Б. Н. Граков, დასახ. ნაშრომი, გვ. 175 და შემდეგ.

³³ Е. М. Придик, Иллюстрированный каталог клейм на амфорных ручках и горлышках и черепицах Эрмитажного собрания, Петроград, 1917, гв. 113, № 289, 290, гв. 131, № 95. ეს უკანასკნელი კრამიტის დამლაა, ამფორები უცნობი ცენტრებისაა, ე. პრიციკ არ იძლევა სახელის აღდგენის ცდას, რადგან ძალიან ბევრი სახელი იწყება ამ ორ ასოზე.

ნაკვეთზე ძვ. წ. IV საუკუნეზე უფრო გვიანდელი მასალა არ გვხვდება, ფენა კარგად არის იზოლირებული შემდეგი ხანის დანაშრებისაგან (იხ. ა. ჭყონიას 1972 წლის დღიური).

თიხითა და მოყვანილობით გამოირჩევა ჰერაკლეს ამფორების ყურებიც. № 3—61/385 ჰერაკლეს ამფორის ყურის ნატეხი. ნაპოვნია 1961 წელს, VI უბანზე, მე-4 კვადრატის მეხუთე ბარისპირზე. აგურისფრად გამომწვარი თიხისა, მსხვილმარცვლოვანი, ურეგულარული შავი მბრწყინავი და აუთარი არამბრწყინავი ნამკეცები, ჭრილში ოვალურგანივეკვითიანი, თითქმის ბრტყელი, მოსაბრუნებო მოკლე, მომრგვალებულად ეშვება ძირს, სიმაღლე 18 სმ აქვს, ღრწი ნაქვევი ჰქონია, ეხლა მისი ნაწილია გადაჩენილი. ეს ნატეხი ჰერაკლეს ამფორას მიეკუთვნება მხოლოდ ზემოთ აღწერილი დამლიანი ამფორების ყელ-პირის აღმოჩენის შემდეგ მათი თიხის მსგავსების გამო, ყურის ფორმაც მოგვაგონებს ი. ზეესტის მიერ აღწერილ ჰერაკლეს ამფორების II ტიპს³⁴. რაც შეეხება მის თარიღს, იგი აღნიშნული მსგავსების გამო შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. IV საუკუნით, აღმოჩენის პირობები კი ამის საშუალებას არ იძლევა.

№ 3—60/208 ჰერაკლეს ამფორის ყურის ნატეხი, ისეთივე თიხისაა, როგორაცაა წინა ნატეხი, იგი ყურის პატარა ნატეხია, განივეკვითი წინა ნომრის მსგავსი აქვს, ნაპოვნია 1960 წელს IV უბანზე II თბრილის I კვადრატში, გადაწვარ ფენაში და თიხის მიხედვით მიეკუთვნება ჰერაკლეს ამფორას, თარიღზედაც იგივე უნდა ითქვას, რაც წინა ნატეხთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნული ფენა ძვ. წ. II საუკუნეში უნდა იყოს დამწვარი, მასში უფრო ადრეული ნატეხების მოხვედრაც არ არის გამორიცხული³⁵.

ჰერაკლეს ამფორების აღმოჩენები ვანში ჩერაქრობით ზემოთ აღწერილი ხუთი ნიმუშით ამოიწურება, მაგრამ მათი აქ შემოტანის ფაქტი დადასტურებულია და თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ეს ფაქტი ჩვენთვის ამ ორი წლის წინათ სრულიად უცნობი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ნოპეალში მათი რიცხვი კვლავ გაიზარდება.

ძვ. წ. III—I საუკუნეებში ვანში იმპორტული ამფორების რაოდენობა იზრდება, შენობაზეთ როდოსის, სინოპის, თასოსის, კნიდის, კოსის და სხვ. ამფორები, ქალაქის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე ჩნდება იტალიური ამფორებიც. მათი გამოქვეყნება მომავლისათვის გვაქვს განზრახული.

³⁴ И. В. Зеест. Керамическая тара Босфора, ტ.ბ. XXII, 43. ჰერაკლეს ამფორის ყურის ჭრილს ი. ზეესტი ამ გამოცემაში იძლევა, სპეციალურად ჰერაკლეს ამფორების ტიპებისადმი მიძღვნილ ზემოთ დასახელებულ წერილში კი არა.

³⁵ თ. შიბეღაძე. ოთ. ლორთქიფანიძე. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მეორე უბანზე 1960 წ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. საქართველოში სატარებული არქ. კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 1961 წ. გვ. 43—45.

მათიამზილი

წითელლაკიანი კერამიკა

ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წითელლაკიან კერამიკას უჭირავს. დღემდე იგი საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. გათხრების ანგარიშებში მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობები გვხვდება მისი აღმოჩენების შესახებ.

ამ კერამიკის შესწავლას კი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ვანისა და საერთოდ კოლხეთის ვარესამყაროსთან ურთიერთობისა და დამოკიდებულების გარკვევის საკითხში; ვინაიდან იგი ფართოდ გავრცელებული ჩანს მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე. ვანს გარდა იგი აღმოჩენილია სოხუმში, ოჩამჩირეში, გონიოში². განსახილველი კერამიკის მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე უფლისციხეში მისი აღმოჩენის ფაქტიც³.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის შესწავლა-კლასიფიკაცია, დახასიათება, შიდა ქრონოლოგიისა და წარმომავლობის დადგენა.

წითელლაკიანი კერამიკა (terra sigillata) წითელი საფარველით დაფარული ანტიკური სუფრის ჭურჭლის თანამედროვე სახელია⁴. ამ კერამიკას

1 ვანი I, თბ., 1971.

2 რ. ფუთურაძე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, 1965, გვ. 37, სურ. 1. ოჩამჩირეში აღმოჩენილი ნიმუში (ნომერი გადაცლილი აქვს) ინახება სოხუმის სახ. მუზეუმში. მართალია, მითითებულ პუნქტებში აღნიშნული კერამიკა თითო-ორიოჯი ნიმუშითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს გარემოება ამ ძეგლებზე ელინისტური ხანის ფენების სუსტი შესწავილობით უნდა აიხსნას.

3 დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, თბილისი, 1967, გვ. 57.

4 წითელი ლაკის მიღების საიდუმლოება კარგა ხანს შეუცნობელი იყო. ფიქრობდნენ, რომ მისი შემადგენლობა შავი ლაკის მსგავსი უნდა ყოფილყო. განსხვავება შეფერილობაში გამოწეის საიდუმლოებით იყო ახსნილი. ქიმიურმა ანალიზებმა დადასტურა ამ მოსაზრების სისწორე. აღმოჩნდა, რომ ორივე ლაკი რკინის ეანგის შემცველ მაღალხარისხოვან თიხას (კალინს) წარმოადგენს. თუ ამ საფარველით დაფარული ჭურჭელი გამოიწეება ქურაში, სადაც პაერის თავისუფალი მოძრაობა შეზღუდულია, იგი შავ ფერს იღებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქურაში რეგულარულად ხდება ეანგბადის მიწოდება, წითელი ჭურჭელი გამოიწეება. ეს პროცესი შემდეგი ქიმიური რეაქციით აიხსნება.

იმ დროს, როდესაც ქურაში პაერი თავისუფლად არ მოძრაობს, წეის დროს გამოყოფილი ნახშირბადი პაერიდან მხოლოდ. ერთ ეანგბადს შეიერთებს და წარმოიქმნება ნახშირბადი გაზი (CO). იგი არამდგრადია და ამასთანავე აქტიური. ნაკლებ ეანგბადს ამ შემთხვევაში იგი რკინის ეანგიდან მიიერთებს და მას რკინის ქვეყანად აღადგენს. ეს უკანასკნელი კი შავი ფერისაა. სწორედ ამ ნიეთიერების გამო იღებს საფარველი შავ

იტალიაში შემთხვევითი აღმოჩენების წყალობით აღორძინების ხანიდან იცნობდნენ. მისი მეცნიერული შესწავლაკი მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. იმის გამო, რომ იმ ხანად წითელლაკიანი კერამიკა მხოლოდ იტალიაში იყო აღმოჩენილი და მკვეთრად განსხვავდებოდა ბერძნული შელაკიანი კერამიკისაგან, წითელი ლაკი რომაელ მეჭოთნეთა მიერ შემოტანილ სიახლედ და მხოლოდ ამ ქვეყნის ნაწარმისათვის დამახასიათებელ თავისებურებად იყო მიჩნეული. მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულში გამოჩენილმა გერმანელმა არქეოლოგმა ჰ. დრაგენდორფმა გამოთქვა მოსაზრება წითელლაკიანი კერამიკის არაერთგვაროვნობის შესახებ. მან ბერძნული დამღების საფუძველზე გამოყო ჯგუფი, რომელსაც უწოდა არაიტალიკური და აღმოსავლურ ბერძნული საწარმოთ ცენტრების ნაწარმად გამოაცხადა.

მომდევნო ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალის შესწავლამ მკვლევარები წითელლაკიანი კერამიკის აღმოსავლეთში წარმოების საყოველთაო აღიარებამდე მიიყვანა.

პირველი ცდები ამ მიმართებით რ. ცანის სახელთანაა დაკავშირებული. მან 1904 წ. პრიენაში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა ბერძნული სამყაროს აღმოსავლურ ცენტრებს დაუკავშირა. კერძოდ, ქარსიანი კერამიკის საწარმოთ ცენტრად სამოსი მიიჩნია, ღია წაბლისფერკეციანი უქარსო კერამიკისათვის კი — პერგამონი. გარდა ამისა, ცალკე გამოყო ჩალისფერკეციანი კერამიკა, რომლის პერგამონთან დაკავშირება გამორიცხა, მაგრამ შესაძლებლად მიიჩნია მისი კამპანიიდან მომდინარეობა. ამასთანავე, აღმოსავლეთში წითელლაკიანი კერამიკის ხმარებაში შემოსვლა მან იტალიკურის გავლენით ახსნა და, აქედან გამომდინარე, იგი ამ უკანასკნელის მომდევნო ხანით დაათარიღა.

1906 წ. ეფესოში აღმოჩენილ წითელლაკიან კერამიკაში ჰედერდემ იგივე ჯგუფები გამოყო და ამით საფუძველი გაუმაგრა სამოსისა და პერგამონის საწარმოთ ცენტრებად აღიარების თეორიას.

აღმოსავლეთში წითელლაკიანი კერამიკის წარმოების თეორიის გამაგრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბ. ლოშკეს მიერ ჩანდარლიში (პერგამონთან ახლოს) გათხრილსა და გამოქვეყნებულ კერამიკულ ქურებს⁶. ამ აღმოჩენის შემდეგ რ. ცანის მიერ შემოთავაზებულმა კლასიფიკაციამ და თარიღმა გარკვეული აღიარება მოიპოვა, მაგრამ ახალმა აღმოჩენებმა ახლებურად დააყენა წითელლაკიანი კერამიკის დათარიღებისა და საწარმოთ ცენტრების ლოკალიზაციის საკითხები.

1913 წ. პერგამონის გათხრების დროს წითელლაკიანი კერამიკა ელინისტური ხანის ფენებში აღმოჩნდა, რის საფუძველზეც ალ. გონზემ იგი ზოგადად ატალიდების ხანით დაათარიღა და შავი ლაკის წითელი ლაკით შეცვ-

ფერს. ენგბლის რეველარული მიწოდებისას კი წარმოიქმნება ნახშირორჯანა გაზი. ამ შემთხვევაში აღარ ხდება რკინის ქანვის აღდგენის რეაქცია, რის გამოც საფარველი წითელი ღებვა. *ib. Lane, Greek pottery, London, 1948, გვ. 3—7.*

⁶ H. Wiegand und Schrader, Priene: Zahn, Thongeschier, 1904, გვ. 441—447.

⁷ S. Loeschke, Topferein in Tschandarli, Mitteilungen des Kaiserlich deutschen Archäologischen Instituts (Athenische Abt.), XXXVII, 1912.

ლა ბერძნულსა და რომაულს შორის გარდამავალი აღმოსავლური ხელოსნობის დამახასიათებელ ნიშნად გამოაცხადა⁷.

1908 წ. ალექსანდრიაში წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე 1913 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში რ. პაგენსტეხერმა ამ ქალაქში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის ერთი ნაწილი პრიენაში და ეფესოში აღმოჩენილი ჩალსფერაკეციან კერამიკას დაუკავშირა, იგი რომაული ხანის Sigillata-ს წინამორბედი ხანით დაათარიღა და ალექსანდრიულ ნაწარმად გამოაცხადა. ამ კერამიკის ალექსანდრიული წარმოების დასამტკიცებელ საბუთად მან მიიჩნია მისი მრავალრიცხოვანი აღმოჩენები ამ ქალაქში, აშკარად ადგილობრივ ნაწარმთან კეციით მსგავსება და იზიდას თავსამკაულის ფორმის დამღების არსებობა ზოგიერთ ნიმუშზე⁸.

სამარიაში (1912 წ.⁹), ათენის აგორაზე (1927 წ.¹⁰) სამოსის პერიონზე (1929 წ.) წარმოებული გათხრების შემდგომ საყოველთაოდ იქნა აღიარებული აღმოსავლეთის პერიორიტი წითელლაკიანი კერამიკის წარმოებაში, მაგრამ საკითხი ამ კერამიკის თავდაპირველი საწარმოო ცენტრის შესახებ გადაწყვეტილი არ იყო.

თომასონი და ვააგე თავის ადრეულ ნაშრომებში ამ კერამიკას პერგამონის ნაწარმად მიიჩნევდნენ¹¹. კომფორტი ახალი საბუთებით შეეცადა მისი ალექსანდრიული წარმომავლობის დამტკიცებას. 30-იან წლებში ქ. სოლში წარმოებული გათხრების შემდგომ ამ კერამიკის კვიპროსზე წარმოების შესაძლებლობის მტკიცებაც დაიწყო. 30-იან წლებშივე (1936 წ.) გამოქვეყნებულ აილიფის ნაშრომში კი საექვოდ იქნა გამოცხადებული საწარმოო ცენტრების ლოკალიზაცია ადგილებზე ქურების გათხრამდე და მასალის სამოსურ და პერგამულ ჯგუფებად კლასიფიკაცია უარყოფილ იქნა¹².

ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკის საწარმოო ცენტრის შესახებ მოსაზრებათა სხვადასხვაობის გამო, 1940 წ. ამერიკაში არქეოლოგთა საერთაშორისო სესიაზე გადაწყდა ამ კერამიკისათვის დაეტოვებინათ ტრადიციული სახელწოდება პერგამონული. მხოლოდ პირობითი და არა წარმომავლობის აღმნიშვნელი მნიშვნელობით.

ამის შემდეგ სპეციალურ ლიტერატურაში ელინისტური ხანის აღმოსავლური წითელლაკიანი კერამიკა პირობით იწოდება პერგამონულად¹³.

წითელლაკიანი კერამიკის წარმომავლობისა და დათარიღების საკითხებში გარკვეული დაზუსტებები შეიტანა ო. ვააგემ 1954 წ. გამოქვეყნებულ ჩრდილო სირიის სუფრის ქურკლისადმი მიძღვნილ ნაშრომში¹⁴. მან, უპირველეს ყოვლისა, ერაზმანეთისაგან განასხვავა ელინისტური და რომაული ხა-

⁷ A. Conze, *Thongeläßen, Alterthumer von Pergamon*, 23, 10.

⁸ R. Pagenstecher, *Die Gefäßen in Stein und Thon, Expedition Ernst von Sieglin, Ausgrabungen in Alexandria, 1913, 11, 33, 108—110.*

⁹ G. Reisner, *Archaeological material, Harvard Excavation at Samaria, 1908—1910 1924, 1.*

¹⁰ A. Oxe, *Terra Sigillata aus dem Keramaikos, AM, LIX, 1927, 23, 211—224.*

¹¹ O. Waage, *The Roman and Byzantine Pottery, Hesperia, 11, №2, 1933.*

¹² I. H. Iliffe, *Hellenistic and Sigillata wares in the Near East, JHS, LVI, 1936.*

¹³ O. Waage, *Hellenistic and Roman Tableware of North Syria, Antiochos-on-Oro-ntos, IV, 1954, 23, 24.*

¹⁴ O. Waage, *დასახ. ნაშრ.; 23, 22.*

ნის წითელლაკიანი კერამიკა. უკანასკნელის აღორძინება იტალიკური Sigillata-ს გაღვნიით ახსნა: ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკის წყაროდ კი შევსჯიანი კერამიკა აღიარა და მისი საწარმოო ცენტრების პერგამონთან და სავროდ ეგვიპტის ზღვის აუზთან დაკავშირება გამორიცხა. მისი აზრით, ეს ვარაუდები, რომ ეს კერამიკა ხმელთაშუაზღვისპირეთის ჩრდილოეთით ნაკლებადაა გავრცელებული¹⁵, სრულიად არაა იტალიაში, სამაგიეროდ, ეგვიპტეში, ლიბიაში, სირიასა და პალესტინაში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი, იმაზე მიუთითებს, რომ ამ კერამიკის საწარმოო ცენტრი ხმელთაშუაზღვისპირეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კირინეიკასა და ლიკიას შორის, ანტიოქიიდან დაშორებულ საზღვაო ქალაქთანაა საძებელი.

ამის გამო ვააგვმ არ გამორიცხა ალექსანდრიასთან ან კვიპროსთან მისი დაკავშირება, მაგრამ საბოლოო ლოკალიზაციამდე მიზანშეწონილად მიიჩნია ამ კერამიკისათვის პირობითი სახელის „პერგამონული“ დატოვება. ამასთანავე, იმის გამო, რომ ეს კერამიკა სამოსის, ანტიოქიის, ბეთშანის, პერგამონისა და სხვა გათხრების მონაცემებით ძვ. წ. II ს-ის შუახანებასა და ახ. წ. დასაწყისს შორის პერიოდით დაათარიდა, შემოიტანა სახელწოდება გვიანელინისტური „პერგამონული“ წითელი კერამიკა.

აღმოსავლური წითელლაკიანი კერამიკის წარმომავლობისა და თარიღის შესახებ მოსაზრებანი გაზიარებულია ჩარლსტონის¹⁶, რობინზონისა¹⁷ და შეფერის¹⁸ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

ამგვარად, წითელლაკიანი კერამიკა მოყვანილობის საფუძველზე იყოფა ელინისტური და რომაული ხანის ქრონოლოგიურ ჯგუფებად. ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა მხოლოდ აღმოსავლური პროვინციებისთვისაა დამახასიათებელი. იგი ფორმებითა და შემკულობით სრულიად განსხვავდება მომდევნო ხანის წითელლაკიანი კერამიკისაგან. სამაგიეროდ, დიდ სიბასლოვეს ავლენს წინამორბედი ხანის შუალაკიანი კერამიკასთან. ეს კერამიკა ჩნდება ძვ. წ. II ს-ის შუა ხანებში და ხმარებაში რჩება იტალიკური Sigillata-ს აღმოსავლეთში გავრცელებამდე, ე. ი. ახ. წ. დასაწყისამდე. მისი საწარმოო ცენტრი დადგენილი არაა, ამიტომ პირობითად იწოდება „პერგამონულად“¹⁹.

¹⁵ ი. ვაჯეს ეს მოსაზრება ემყარება ტ. კნიპოვიჩის 1929 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომს. რომელშიც ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა არ შესულა.

¹⁶ A. Charlison, Roman Pottery, Loncon, 1969.

¹⁷ A. Robinson, Pottery of the Roman period, the Athenian Agora, 1959, V.

¹⁸ Schefer, Terra sigillata aus Pergamon, AA, 1962, 4.

¹⁹ საბჭოთა არქეოლოგიაში გვიანელინისტური წითელლაკიანი კერამიკა სპეციალურად ნესქ-ვლილი არაა. ტ. კნიპოვიჩის, დ. სელატუევას, ოთ. ლორთქიფანიძის, რ. ფუფურიძის, ქ. ბერძენიშვილის ნაშრომებში მხოლოდ რომაული ხანის წითელლაკიანი კერამიკაა შესწავლილი (იხ. Т. Кнпорович, Untersuchungen zur Keramik römischer Zeit aus den Grähenstädten an der Nordküste des schwarzen Meer, I, Die Keramik römischer Zeit aus Olbia in der Samburg der Ermitage, Materialien zur eömisch-germanischen Keramik, (IV, 1929, მ. სიუე, Краснoлаковая керамика первых веков н. э. из раскопок Боспорской экспедиции 1935 — 1940 гг., МИА, 25 П. Ф. Силаптьева, Краснoлаковая керамика из раскопок Итурата, МИА, 85, ოთ. ლორთქიფანიძე, ბიკინტის წითელლაკიანი კერამიკა, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1, 1962; რ. ფუფურიძე, დასახ. ნაშრ., ქ. ბერძენიშვილი, ბიკინტის წითელლაკიანი თიხის კერამიკის ნესქ-ვლისათვის, 1952—1953 წწ. გათხრების მიხედვით, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, 1963.

ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა ტექნოლოგიური თვალსაზრისით ერთგვაროვანი არაა. კეცისა და ლაკის თავისებურების საფუძველზე ორი ჯგუფი გამოიყოფა.

პირველი ჯგუფის კეცი წმინდადაა განლეკილი (ჩვეულებრივი თვალთ მინარევები არ შეინიშნება), გავიწვარია ჩალისფრად, იშვიათად მოვარდისფრად, ლაკი ლუქის ფერია, მბრწყინავი, სქელი. ზოგჯერ ლაკს ეს ფენა ჭურჭლის მთელ ზედაპირზე დადებული, უმეტესად კი ზოლებად დაღვენილი მოვარდისფრო, მჭრქალ სფარქელის ფონზე. აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წითელლაკიანი კერამიკის ეს ჯგუფი ლაკის ორი ფენით იფარებოდა.

მეორე ჯგუფის კეცი კარგადაა განლეკილი, მაგრამ შეინიშნება კირქვისა და ქარსის მინარევები. გამომწვარია წაბლისფრად, ზოგჯერ უთანაბროდ (გადანატეხში ნაცრისფერი შავ მოჩანს).

ლაკი მოწითალო-ავურის ფერია, დადებულია თანაბრად, მჭრქალია. ზოგიერთ ნიმუშზე შეინიშნება მბრწყინავი ლაქები, რაც უფერული ქიქურის კვალი უნდა იყოს (?). როგორც ჩანს, წითელლაკიანი კერამიკის ეს ჯგუფიც საფარქელის ორი ფენით იფარებოდა.

განსხვავება კეცა და ლაკში ორონტოს — ანტიოქიის წითელლაკიან კერამიკაშიც შეინიშნება. ამ მოვლენას ო. ვააგე ჭურჭლის სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოწვით ხსნის და მთელ კერამიკას ერთ საწარმოო ცენტრს უკავშირებს²⁰, მაგრამ ვანში აღმოჩენილ წითელლაკიან კერამიკაში გამოყოფილი განსხვავებული ტექნოლოგიური ნიშნების მქონე ჯგუფები მოყვანილობითაც გარკვეულ თავისებურებებს ავლენენ. ამასთანავე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსხვავება შეინიშნება წარმოდგენილი ჯგუფების გავრცელების სფეროებშიც. აქედან გამომდინარე, მათი ერთი და იმავე საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობა საფუძველს მოკლებულად გვეჩვენება. მითუმეტეს, რომ ეიზულურად შენიშნული ტექნოლოგიური თავისებურებებიც ქიმიური ანალიზებითაც იქნა გამოვლენილი²¹.

ამის გამო ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა წარმოდგენილ თავისებურებათა მონაცემების მიხედვითაც დეაჯგუფეთ, განსხვავებული კეცისა და ლაკის მქონე ჭურჭელი ცალ-ცალკე განვიხილეთ და სხვადასხვა საწარმოო ცენტრებს მივაკუთვნეთ.

პირველი ჯგუფი (ჩალისფერქეციაანი კერამიკა) შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. წარმოდგენილია უპირატესად ლანგრებითა და ნახევარსფერული თასებით.

რაც შეეხება ჩრდ. შვიზღვისპირეთის ანტიურ ქალაქებში აღმოჩენილ გვიანდინისტური ხანის წითელლაკიან კერამიკას, მისი ერთი ნაწილი მოხვედრილია გათხრების პუბლიკაციაში, მაგრამ აღნიშნულ ნაშრომებში იგი ზოგადად ძვ. წ. II—I სს. დათარიღებული და ყოველგვარი პირობითობის გარეშე პერგამონულადაა გამოცხადებული (იხ. В. Ф. Гандукевич, Мирский, Варшава, 1959).

²⁰ O. Waage, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

²¹ განსხვავება გამოვლინდა ქიმიური ანალიზებითაც. იხ. ო. ფიცხელური, დ. ასათიანი, მასალები ანტიური პერიოდის თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიისათვის, ხელნაწერი, თბლისი, 1965, შეად. ნიმუშ. 34, 35, 37, 38.

წითელლაკიანი ლანგრების ორი ნაირსახეობაა ცნობილი. პიუელსათვის (ტიპი I) დამახასიათებელია მომრგვალებული, ქუსლიანი ძირი და ფართო ჰორიზონტალური კიდე. ეს ნაირსახეობა არაა ფართოდ გავრცელებული. ანტიოქიაში, მაგალითად, მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია აღმოჩენილი²². ვანში სულ ორი მცირე ნატეხია გამოვლენილი, ორივე ჭურჭლის პირისაა (სურ. 126₁). ეს ნიმუშები მოლიანადაა დაფარული ლუქისფერი ნზრწყინავი ლაკით. წითელლაკიანი ლანგრების ეს ნაირსახეობა ადრეელინისტური ხანის შველლაკიანი კერამიკიდან მომდინარეობს.

ლანგრების მეორე ნაირსახეობა (ტიპი II) უფრო ფართოდაა გავრცელებული. აღმოჩენილია პრიენაში, ეფესოში, პერგამონში, დურა-ევროპოსში, სამარიაში, სამოსის პერაიონზე, ათენის აგორაზე, სოლში, ალექსანდრიაში და სხვ. მსგავსი ლანგრები ჩრ. შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებშიც გვხვდება (მირმეიონი, ევატორია, პანტიკაპეონი). ჩვენში ვანს გარდა სოხუმში, ოჩამჩირესა და უფლისციხეშია ნაპოვნი.

ვანში ეს სახეობა უმთავრესად პირებისა და ძირების ნატეხებითაა წარმოდგენილი. მხოლოდ 1966 წ. აღმოჩნდა ასეთი ჭურჭლის დაახლოებით მესამედი. მას აქვს დაბალი, ზემოაკენ შეთხლებული შვეული გვერდები, თითქმის ბრტყელი ძირი და ტრაპეციის ფორმის ჭრილის ქუსლი. ფსკერი შემკული აქვს „ფრჩხილოვანი“ ორნამენტით შედგენილი კონცენტრული წრეხაზებით. ზოგჯერ მსგავსი თეფშების ფსკერის შემკულობაში ნატეფერი პალმეტები და ვარდულებიც გვხვდება. (სურ. 123₇, 125, 126₂, 4-7). (მდრ. ნიმუშები საინვენტ. №№-ით 3—59/9, 3—60/81, 3—47/434, 3—66/216, 3—66/326).

ლანგრების ეს სახეობა უმეტესად დაფარულია მოვარდისფრო ლაკის ფონზე ზოლებად დაღვენილი ლუქისფერი ლაკით.

ნახევარსფერული თასები (ტიპი III). გვიანელინისტური ხანის წითელლაკიან კერამიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ნახევარსფერულ თასებს უჭირავს.

სუფრის ჭურჭლის ეს სახეობა ვანში აღმოჩენილ კერამიკაშიც გვხვდება. ნალსფერკეციანი ნახევარსფერული თასები მცირერიცხოვანია. აღმოჩენილია პირისა და ძირის რამდენიმე ნატეხი, რომელთა საშუალებითაც დგინდება, რომ რვა ძირმომრგვალებული და ირიბადდახრილგვერდებიანი ჭურჭელია. ამ თასებს წინაღობრილი თეფშების ანალოგიური ქუსლები აქვს ე. ი. ქუსლის შიდა მხარე უფრო მაღალია გარეთაზე და ჭრილში ტრაპეციისებურია (სურ. 124₄, 9. 10. 126₂, 12). შეად. ნიმუშები საინვენტარო №№-ით: 3—48 (48, 3—58/74, 3—62/86).

რელიეფური კერამიკა. გვიანელინისტურ ხანაში ხმარებაში იყო რელიეფური კერამიკის ერთი სახეობა. კერძოდ, ყალიბში დამზადებულნი კერამიკა.

ვანში ამ კერამიკის ორი ნიმუშია აღმოჩენილი. ერთზე მხოლოდ რელიეფური ქედია შერჩენილი, ნეორზე — ლარი (სურ. 126₆).

თასების ამ ფრაგმენტებს ანალოგები ეძებნებათ ორონტოს—ანტიოქიის ნასალებში. ესენია კვერცხოსებური სადაპირიანი ღრმა თასები, რომლებიც შემცველია პირთან ახლოს ქედებს ან ღარებს ქვემოთ განლაგებული მცენარეული ორნამენტით²³. ვანურ ცალეზზე მხოლოდ ქედი და ლარია შერჩენილი.

²² O. Waage, *ქს. ხანა*, ტ. IV, 137.

²³ O. Waage, *ქს. ხანა*, ტ. IV, 14, გვ. 28—30.

ჩამოთვლილი ტიპებით ამოიწურება ვანში აღმოჩენილი „ჩალისფერკე-
ციანი“ კერამიკა.

განხილული კერამიკის წარმომავლობის დადგენა უშუალოდ უკავშირ-
დება გვიანელინისტური წითელლაკიანს, კერამიკის საწარმოო ცენტრის სა-
კითხს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეს ცენტრი ჭარჭერობით დადგენი-
ლი არაა, მაგრამ საუარაუდროა მისი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ-აღ-
მოსავლეთ ნაწილში ძიება. ამასთანავე ზოგიერთი საბუთი მკვლევრების ერთ
ნაწილს (პაგენშტეხერა, კომფორტი) ამ კერამიკის ალექსანდრიასთან დაკავ-
შირების საფუძველს აძლევს. ამ უკანასკნელი მოსაზრების ძირითადი არგუ-
მენტი, როგორც იყო აღნიშნული, წითელლაკიანი კერამიკის ალექსანდრიულ
ნაწარმთან კეციტ მსგავსება იყო. მართლაც. საყურადღებოა, რომ განხილუ-
ლი კერამიკის კეციტ დიდ მსგავსებას ავლენს ალექსანდრიული გნაფისა და
პადრას სტილის კერამიკის კეციტთან²⁴. იგივე თიხოვანი მასა შეინიშნება ეგვიპ-
ტური წარმომავლობის სხვა სახის ნაწარმშიც. კერძოდ, ისეთივე ჩალისფრად
გამომწვარი, სუფთა კეციტის მქონეა ვანშივე აღმოჩენილი წაბლისფერლაკიანი
ლეკითოსი, რომლის აღნიშნულ ცენტრთან დაკავშირების საფუძველს გვაძ-
ლევს ამგვარი ლეკითოსების მხოლოდ ეგვიპტეში გავრცელების ფაქტი²⁵.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ალექსანდრიის მახ-
ლობლად დამოწმებულია მერგელური წარმოშობის თიხის საბადოები, საი-
დანაც მოპოვებული თიხა ძალიან წმინდაა და გამოწვისას, ტემპერატურის
შესაბამისად, იღებს მოვარდისფრო, ყვითელ ან ჩალისფერ შეფერილობას²⁶.
ხოლო განხილული წითელლაკიანი კერამიკა, როგორც იყო აღნიშნული, დამ-
ზადებულია მერგელური წარმოშობის მოვარდისფროდ ან ჩალისფრად გა-
მომწვარი თიხოვანი მასისაგან²⁷.

მაგრამ ზემოთქმულის მიუხედავად, განხილული წითელლაკიანი კერამი-
კის ალექსანდრიასთან დაკავშირება მაინც ჭირს, ვინაიდან იგივე ნაწარმი კე-
ციტით დიდ მსგავსებას ავლენს კოსური წარმომავლობის ამფორების ერთი
ჯგუფის კეციტთან.

ამგვარად, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვანში აღმოჩენილი ჩალის-
ფერკეციანი კერამიკის ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნა-
წილთან დაკავშირება.

ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის დათარიღება ტიპოლოგი-
ურ მეთოდზეა დამყარებული. სტრატეგრაფიული მონაცემების გამოყენება
უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია, მხოლოდ 1966—1967 წწ. წარმოებუ-
ლი გათხრების დროს, ფენების ღრმად გავრცელების გამო მოხერხდა სტრა-
ტიგრაფიის დაქერა. გამოიჩვენა, რომ ელინისტური ხანით დათარიღებული
სამი ფენიდან ზედა — „ალიზიანი“, მონაცრისფრო თიხნარი, ქვედა — მო-
შავი ჩალისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკა აღმოჩნდა მხოლოდ მო-
ნაცრისფრო თიხნარ ფენაში. ზედა ალიზიან ფენაში, რომელიც ნაქალაქარის

²⁴ იხ. ა. ს. პეშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცული ვ. გოლენიშჩევის
კოლექცია.

²⁵ A. Andriani. Travaux dans les repion d' Abousiri. Annuaire du Greco-Romain,
II (1940—1950), Alexandria, 1952, სტრ. 70;

²⁶ И. Г. Шурга я, Керамическое производство Александрии Эгипетской эпохи
эллинизма. автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата ист. наук,
Ленинград, 1966.

²⁷ თ. ფიცხელაური, ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., № 33, 34.

არსებობის უკანასკნელ ეტაპს შეესატყვისება და ძვ. წ. I ს. თარიღდება, მსგავსი კერამიკა არ აღმოჩნდა. რაც შეეხება მონაცრისფრო თიხნარ ფენას, იგი წარმოქმნილია ძვ. წ. III—II სს. ნაგებობათა ნგრევის შედეგად, და ამდენად, ამ ნაგებობათა არსებობის უკანასკნელ ეტაპს ძვ. წ. II—I სს. მიჯნას შეესატყვისება.

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ განხილული კერამიკა ძვ. წ. II ს. დასასრულსა და ძვ. წ. I ს. დასაწყისს შორის პერიოდში შემოიტანებოდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ჩალისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკის გვიანდელი ფორმები ვანში ჭერჭერობით შენიშნული არაა²⁸.

ძვ. წ. I ს. დასაწყისიდან აღნიშნული კერამიკის იმპორტის შეწყვეტა იმ ხანად არსებული პოლიტიკური სიტუაციითაც შეიძლება აიხსნას. ცნობილია, რომ შავიზღვისპირეთის ქვეყნები სამხრ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან კავშირს კუნძულ როდოსის საშუალებით ამყარებდნენ²⁹. ძვ. წ. I სს. როდოსი მითრიდატესთან ბრძოლებშია ჩაბმული. ამის გამო მოსალოდნელი იყო შავიზღვისპირეთის სამხრეთისაგან მოწყვეტა და გასაგებია, რომ ჩალისფერკეციანი კერამიკა, რომელიც ალექსანდრიაში თუ არა სამხრეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის რომელიმე ცენტრში იწარმოებდა, ძვ. წ. I ს. დასაწყისიდან აღარ შემოდის.

ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის მეორე ჯგუფი (წაბლისფერკეციანი კერამიკა) მრავალრიცხოვანია და ფორმების თვალსაზრისითაც უფრო მრავალფეროვანი. ამ ჯგუფშიც წამყვანი ლანგრები და ნაწვეარსფერული თასებია.

წაბლისფერკეციან ლანგრებში მოყვანილობის მიხედვით რამდენიმე ნაირსახეობა გამოიყოფა.

პირველი (ტიპი IV) წარმოდგენილია პირებისა და ძირების ცალკეული ნატეხებით. ამ ნატეხების მიხედვით, მათ აქვთ დაბალი, ზემოთკენ შეთხლებული შეეული კედელი, შიგნით შედრეკილი ძირი და ტრაპეციისებური ჭრის მქონე ქუსლი, ფსკერი შემკული აქვთ „ფრჩხილოვანი“ ან ჩაჭრილი კონცენტრული წრეხაზებით. მთელი ზედაპირი, ქუსლის შიდა არის გამოკლებით, დაფარული აქვთ ლაკის თანაბარი ფენით (სურ. 126, 2. შდრ. ნიმუშები საინვენტარო №№-ით: 3—61/147, 3—62/325, 3—61/550...).

წაბლისფერკეციანი ლანგრების მეორე ნაირსახეობაც (ტიპი V) ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. ამის გამო ფორმის მხოლოდ გრაფიკული აღდგენა ხერხდება. ამ ლანგრების კედლები შედარებით მაღალია, ამასთან ზემოთკენ მკვეთრად შეთხლებული და შიგნითაა გადახრილი. ძირი ბრტყელია და თითქმის სწორი კუთხით უერთდება კედელს. ქუსლი წინაღწერილი ლანგრების ანალოგიურია (გარედან ძირისაგან ღარითაა გამოყოფილი და შიდა მხარე უფრო ღრმა აქვს). ფსკერის შემკულობაში „ფრჩხილოვანი“ და ჩაჭრილი კონცენტრული წრეხაზების გვერდით ზოგჯერ ნატეფერი პალმეტებიც გვხვდება (სურ. 123₃, 63, 127₃, 10). შდრ. ნიმუშები საინვენტარო №№-

²⁸ შედარეთ, O. Waage, დასახ. ნაშრ., ტაბ. III, 124, გვ. 26.

²⁹ ვ. ი. ა. ძე, სეკტორ ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-ღმისთვლური კრებული, II, 1962, გვ. 113.

ით: 3—47/77, 3—60/58, 3—57/2E9, 3—58/463, 3—51/146, 3—57/642 და სხვ...).

ლანგრების ეს ნაირსახეობა, ქუსლის შიდა არის გამოკლებით, დაფარულია მოწითალო ან შინდისფერი ლაკით (განსხვავება ლაკის შეფერილობაში ამ შემთხვევაში გამოწვევის თავისებურებით უნდა აიხსნას), გამოშწავალია ზოგჯერ უთანაბროდ, გადანატეხში ნაცრისფერი შრე შეინიშნება.

წაბლისფერკეციანი ლანგრების შემდეგი ნაირსახეობა (ტიპი VI) წინააღწერილისაგან ძირითადად ზომებითა და ქუსლის მოყვანილობით განსხვავდება.

ეს ლანგრები უფრო პატარებია, ამასთანავე, პირის კიდე ნაკლებადაა შიგნით გადახრილი. ქუსლი თხელია და ჭრილში სწორკუთხედის ფორმისაა. ფსკერის შემკვლობა ზოგჯერ სრულიად აღარ გვხვდება, ზოგჯერ კი „ფრჩხილოვანი“ ორნამენტის კვალი შეინიშნება მხოლოდ (სურ. 123, 2, 127, ა, ბ), აგრეთვე ნიმუშები საინვენტარო №№-ით: 3—47/203, 3—58/441, 3—61/341, 3—66/307, 3—66/300 და სხვ.

ლაკი მოწაბლისფეროდაა აქრელებული და ნაწილობრივ ფარავს ჭურჭელს (ქუსლი და ქუსლის ირგვლივ არე დაუფარავია ლაკით).

განხილული კერამიკა უმთავრესად ზედა ალიზიან ფენაშია აღმოჩენილი. აქედან გამოშვინარე იგი ძვ. წ. I ს. თარიღდება. რაც შეეხება წარმოდგენილი სახეობის შიდაქრონოლოგიის საკითხს, აღსანიშნავია, რომ ორონტოს-ანტიოქიაში, ფენაში, რომელიც მონეტებით ძვ. წ. I ს. უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება³⁰, მხოლოდ სწორკუთხა ჭრილის მქონე ქუსლიანი ლანგრები აღმოჩნდა. აღნიშნულ საფუძველზე ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტიპი VI ყველაზე გვიანდელად უნდა ჩაითვალოს და ზოგადად ძვ. წ. I ს. მეორე ნახევრით დათარიღდეს, ხოლო შესაბამისად ტიპი IV და ტიპი V შედარებით ადრეულ ხანას, კერძოდ ძვ. წ. I ს. პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. შათი შედარებით ადრეული ხანით დათარიღება ორონტოს-ანტიოქიის მონაცემებს გარდა მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ძირაშდარეკილი ლანგრები (ტიპი IV) მიგრეკიონში ძვ. წ. II ს. ფენაშია აღმოჩენილი³¹, ხოლო ათენის აგორაზე ძვ. წ. II—I სს. მიჯნით დათარიღებულ კომპლექსში³².

წაბლისფერკეციანი ნახევარსფერული თასების (ტიპი VII) უმეტესობას აქვს საკმაოდ ღრმა, მკვეთრად მომრგვალებულგვერდებიანი კორპუსი და გაზოყვანილი ან სადა კონუსური ქუსლი. პირის მოყვანილობა წაბლისფერკეციანი თეფშების ანალოგიურია (სურ. 123, 4, 6, 8, 127, 10).

ეს თასები უმეტესად პატარებია, მაგრამ გვხვდება საკმაოდ დიდი ცალეტი. ამ შემთხვევაში გვერდები უფრო თანაბრადაა მომრგვალებული.

გარდა ქუსლიანი თასებისა არის მრგვალიძირიანი თასებიც (ტიპი VIII). ასეთ თასებს თანაბრად მომრგვალებული გვერდები და შიგნით ჩაკეტილი კიდე აქვთ (სურ. 126).

წაბლისფერკეციანი თასების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის დროს გათვალისწინებულია ქუსლების მოყვანილობა. გამოყვანილქუსლიანი თასები ადრეულდებად უნდა იქნეს მიჩნეული, სადა კონუსურქუსლებიანები კი გვიან-

³⁰ O. Waage, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

³¹ B. Ф. Гагдუкевич, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

³² H. Thompson, დასახ. ნაშრ., გვ. 421, ტაბ. 152.

დელეზად. ამასთანავე აღრეული თასები მთლიანადაა დაფარული ლაკით, გვიანდელ ცალებზე კი ქუსლი ხშირად ლაკით დაუფარავია და ზემოდან ჩამოსული ლაკითაა დაღვენილი.

ორ ყურა ჭამებისათვის (ტიპი IX) დამახასიათებელია კონუსური, მრგვალქუსლიანი ძირი, მაღალი შევეული პირი და პორიზონტალურად მიქრწილი სწორი ან ჩადრეკილი ყურები (იხ. სურ. 124, 128₁₂). აგრეთვე ნიმუშები საინვენტარო № №-ით: 3—47/399, 3—58/489, 3—61/106 და სხვ.

წითელლაკიანი კერამიკის ეს სახეობა ნაკლებად გავრცელებული ჩანს, ყოველ შემთხვევაში ამგვარ ჭამებს ანტიოქიისა და ტარზუსის მასალებში არა ვხვდებით.

ათენის აგორაზე აღმოჩენილია მხოლოდ წაბლისფერლაკიანი. სწორყურებიანი ჭამები, რომლებიც ძვ. წ. 75 წ. ახლო ხანით თარიღდება³³. წითელლაკიანი ორყურა ჭამების წყაროს, როგორც ჩანს, ეს კერამიკა წარმოადგენდა, ამიტომ მათი ხმარებაში შემოსვლა ძვ. წ. I ს. მეორე მეოთხედშია საეარულო.

ორყურა ჭამები დაფარულია წაბლისფერად აპრელებული თხელი ლაკით. ამასთანავე, ქუსლი და ქუსლის ირგვლივ არე დაუფარავია ლაკით.

ამ ჭამების ქრონოლოგიური კლასიფიკაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძირების, ქუსლებისა და ყურების მოყვანილობას. აღრეულ ჭამებს აქვთ სწორი ყურები, თანაბრად მომრგვალებული ძირი და პროფილირებული ქუსლი. გვიანი ჭამების ყურები ჩადრეკილია, ძირი შემადლებული, ქუსლი თხელი, სწორკუთხოვანი.

ამ ძირითადი ფორმების გარდა კეცისა და ლაკის საფუძველზე ამავე ჯგუფში ექცევა რამდენიმე ამფორისისა (სურ. 128₃₋₅) და დოქის (სურ. 128₆₋₈) ნატეხი.

წაბლისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკის წარმომავლობის გარკვევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტექნოლოგიური თვისებებით იგი სრულიად განსხვავდება პერგამონული ნაწარმისაგან. ამასთანავე, თუმცა ამ კერამიკის თიხა ქარბად შეეცავს ქარსს და სამოსურ კერამიკაში დამოწმებული ლაკის ფენის უფერული ქიქურით დაფარვის ტრადიცია თითქოს ამ ჯგუფშიც შეინიშნება, საფუძველს არ გვაძლევს იგი ამ ცენტრის დავუთავსიროთ, ვინაიდან კეცის სტრუქტურით ძალიან განსხვავდება სამოსური ნაწარმისაგან.

მეორე მხრივ, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ კერამიკის თიხას ქიმიური და სტრუქტურულ-სპექტრული შემადგენლობა ახლოსა დგას ე. წ. წაბლისფერკეციანი ამფორების თიხის შემადგენლობასთან³⁴.

³³ H. Thompson. დასახ. ნაშრ., გვ. 428.

³⁴ წაბლისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკის 3 ნიმუშის ანალიზია ჩატარებული (ნიმუშები № 33, 35, 37). სპიუესათვის დამახასიათებელია კარგად განლეკილი კვარცის (კარბონატი), მინდრის შპატისა და ქარსის შემცველი, მცირე ფორიანობის მქონე კეცი. ერთ-ერთ მთავარს ქიმიური შედგენილობა პროცენტობით შემდეგნაირია: სინესტე — 0,52, ხ. დ. — 2,50, SiO₂ — 57,89, Al₂O₃ — 20,77, Fe₂O₃ — 6,72, CaO 2,20, MgO — 2,89, SO₃ — 1,07, TiO — 0,35, R₂O — 2,72.

ეს გარემოება ერთგვარ საფუძველს იძლევა განხილული კერამიკა ამ ამფორების საწარმოო ცენტრთან იქნეს დაკავშირებული³⁵. ამგვარი ვარაუდი. ცხადია, შემდგომ დასაბუთებას საჭიროებს, მაგრამ მისი უარყოფის შემთხვევაშიც აშკარაა, რომ წაბლისფერკეციანი წითელლაკიანი კერამიკა საკმაოდ ლოკალური მნიშვნელობის, როგორც ჩანს, სამხრეთ შავი ზღვისპირეთის ცენტრს უნდა დაუკავშირდეს. ამგვარი მოსაზრების საფუძველს იძლევა ანალოგიური კეცის მქონე წითელლაკიანი კერამიკის არარსებობა პანტიკაპონისა და ფანაგორიის ზეენს მიერ შესწავლილ მასალაში, აგრეთვე ის ფაქტი. რომ აღნიშნული კერამიკის შემოტანა კოლხეთში ძვ. წ. I ს-შიც, მითრიდატის ომიანობის დროსაც დასტურდება. ამ დროს კი, როგორც ცნობილია, შავი ზღვისპირეთი მოწყვეტილი იყო დანარჩენი ბერძნული სამყაროდან და შავი ზღვის აუზის გარეთ მდებარე ცენტრებიდან იმპორტი შეწყვეტილი იყო³⁶.

ზემოთ განხილული კერამიკის გარდა, ვანში აღმოჩენილია აგრეთვე ყავისფერი და წითელი ლაკით დაფარული კერამიკის სხვა ნიმუშებიც, რომლებიც ტიპოლოგიურად და პარალელური მასალებით ძვ. წ. II ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ეს ქურჭელი გვიანელინისტური წითელლაკიანი კერამიკის გაბატონებამდე, შეელაკიან კერამიკასთან ერთად იხმარებოდა. ეს კერამიკა ვანის მასალებში მკერერიცხოვანია. წარმოდგენილია რელიეფური კანთაროსების, თეფშებისა და თასების თითო-ოროლა ნიმუშით. ეს ქურჭელი ერთი თეფშის გამოკლებით, რომელიც შეიძლება ატიკიდან მომდინარეობდეს, კეცისა და ლაკის თვისებების საფუძველზე პერგამულ საწარმოო ცენტრს უკავშირდება³⁸ (სურ. 129).

ამას გარდა რამდენიმე ნიმუშს (სურ. 124^ა, 7, 8, 128^{ა-11}) პარალელი ეძებნება რომაული ხანის აღმოსავლურ წითელლაკიან³⁹ კერამიკაში, რის საფუძველზეც ეს ჭკუფი ძვ. წ. I ს. პირველი ნახევრით თარიღდება.

ამგვარად ვანში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკა ტიპოლოგიურად იყოფა ადრეელინისტური, გვიანელინისტური და ადრერომაული ხანის ჭკუფეზად.

ადრეელინისტური ხანის კერამიკა უმთავრესად პერგამონული ნაწარმითაა წარმოდგენილი.

კეცის დნობის ტემპერატურა 1200°, წყლის შთანქმის უნარი—15,2%, ფორიანობა 22,1%, მოცულობითი წონა—1,68. ქობულეთ-ფიქენარში აღმოჩენილი ამფორის (ნიმუში № 27) კეცი დისპერსულია, შეიცავს კარბად კვარცსა და პლაგიოკლაზს. მისი ქიმიური ანალიზის მონაცემებია: სინესტე—0,62; ხ. დ.—1,95; SiO₂—53; Al₂O₃—21; 49; Ee₂O₃—0,51; CaO—4,10; MgO—3,67; FeO—1,95; Fe₂O₃—0,52; R₂O—3,93.

კეცის დნობის ტემპერატურაა 1150°, წყლის შთანქმის უნარი—16,2%, ფორიანობა—28,2%, მოც. წონა 1,68. იხ. ო. ფიცხელაური, ლ. სათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29, 32—35.

³⁵ И. Б. Зеест. Керамическая амфора Боспора, МИА, 83, გვ. 180

³⁶ ა. კახიძე, მასალები აღმ. შავი ზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის (ქობულეთ-ფიქენარის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, IV, 1964; ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 138.

³⁸ ამ ჭკუფის შესახებ იხ. ნ. მათიაშვილი, იმპორტული კერამიკის ერთი ჭკუფი კანიდან, „მაცნე“, 6, 1964.

³⁹ დასახ. ნაშრ., ტაბ. V, გვ. 30.

გვიანელინისტურ ხანის წითელლაკიან კერამიკის ერთი ნაწილი სამხ.-აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს უკავშირდება, ნაწილი კი შედარებით ლოკალური მნიშვნელობის საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობს.

ახ. წ. დასაწყისით დათარიღებული ნიმუშები პერგამონული წარმომავლობისაა, ამ ჩგუფის არსებობა ვანის მასალაში საფუძველს გვაძლევს ახ. წ. დასაწყისშიც ვივარაუდოთ ვანის ქალაქის ურთიერთობა გარე სამყაროსთან და ძვ. წ. I ს. მომხდარი ნგრევის შემდეგ ამ ქალაქის მცირე ხნით აღორძინება დაეუშვათ.

წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავები № 6 სამარხიდან

იშვიათია რომ საქართველოში ძველი გაითხაროს და იქ გლიპტიკური მასალა — საბეჭდავები, კრილა ქვები ან საბეჭდავები-ბეჭდები არ ღმოჩნდეს. უმეტესად ყოველი ახალი ცალკეული ძეგლი (სამაროვანი, ნამოსახლარი, ნაქალაქარი და ა. შ.) თავისებურსა და განსხვავებულ ნივთიერ წყაროს გვაწვდის მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი ურთულესი დარგის განვითარების შესწავლისათვის. მონაპოვართა რიცხვი თანდათანობით იზრდება და საშუალება გვეძლევა გავარკვიოთ თუ სახელდობრ რა სახის საბეჭდავებსა და კრილა ქვებს ხმარობდა ძველი საქართველოს სხვადასხვა მხარისა თუ კუთხის მოსახლეობა. — ვისთან ჰქონდა მას კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა.

ამ მხრივ მეტად თვალსაჩინოდ განსხვავებულ „ცენტრად“ ვანი უნდა იქნეს მიჩნეული, სადაც სხვადასხვა დროს (ქრონოლოგიურად დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე)¹, შემთხვევით თუ არქეოლოგიური ძიებისას, არაერთი ბრწყინვალე ნიმუში — საბეჭდავი და გემა იქნა აღმოჩენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ვანში მოპოვებული მასალები არც თუ მიინცდამაინც მრავალრიცხოვანი² მათ შორის სხვადასხვა ტიპის გემა-ინტალიონებია წარმოდგენილი, სახელდობრ: ფრცხილის სკარაბეოიდი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ინტალიონ-ბეჭდები, ბეჭდის შესამკობ თვალად განკუთვნილი სარდიონის ინტალიონი, ოქროს ლერაკაზე წამოკმული ქარეის ორმხრივი საბეჭდავი და მრგვალი სკულპტურის სახის კამეა. ჩამოთვლილ ტიპებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ოქროს ინტალიონ-ბეჭდები შეადგენს, რომლებიც ადრეანტიკური ხანით თარიღდება.

1 1895 და 1917 წწ. შემდეგ: 1947, 1957 და 1961 წწ. 1947—61 წწ მასალები ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარსა და შექმნილ მასალებს წარმოადგენს. აღნიშნული მასალები დასამუშავებლად გადმოგვცა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ნინო ხოშტარიამ, რისთვისაც მადლობით ვიხსენიებთ.

2 ქარჭერობით აღნუსხული გვაქვს 15 ინტალიონი და გემა: ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის უფრ. მეცნ. თანამშრ. ნ. ხოშტარია ხელმძღვანელობდა, 15 ნივთია მოპოვებული (განათხარი და მოსახლეობაში შექმნილი); 1 ინტალიონ-ბეჭედი შემთხვევით აღმოჩენილი 1917 წელს ქართული ხელოვნების მუზეუმში ინახება, ხოლო მე-15 გემიანი ბეჭედი ჩვენთვის მხოლოდ 1872 წლის № 52 გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული წერილის მიხედვითაა ცნობილი — „ოქროში ჩამქდარი ლალი, რომელზედაც არის ამოქრილი ქალის სახე“.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კრილა ქვებსა და ინტალიო-ბექედებს გარდა, ვანში სამი ნაშაღი — საბექდავად მომზადებული ქვა არის აღმოჩენილი. ყველა ნივთი, ნაშაღია ეს თუ დაარულებული ნაწარმოები, განსაკუთრებულნი ოსტატობითა და დაწუშავეების სრულყოფილი ტექნიკით გამოირჩევა.

ვანში აღმოჩენილ ყველაზე ადრეულ გლიპტიკურ ძეგლებს იმპორტული ნახელავი წარმოადგენს, რომელთა ძირითადი ნაწილი VI უბანზე 1961 წელს გათხრილი წარჩინებული კოლხი ქალის № 6 სამარხიდან წარმოსდგება³.

სამარხში მრავლად წარმოდგენილ მალაღმხატვრული ღირებულების კეთილშობილი ლითონების ნივთებსა და სამკაულებს შორის⁴, რომლებიც ქედური ხელოვნებისა და ოქრომჭედლობის შედეგებს წარმოადგენს, ოქროს ოთხი საბექდავი-ბექედი და ქარვის ერთი ორმხრივი საბექდავია ნაპოვნი. ბექედებს ტიპური არქაული ფორმა აქვთ — ოვალური ბოლოებწაწვეტებული ფარავი ოდნავ განზიდული და ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალითურთ.

ბერძნული არქაიზმის დამახასიათებელი ნიშნები, გარდა ბექედის ფორმისა, თვით გამოხატულებების შესრულების მანერასა და სტილშიც აშკარად ჩანს, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ჩვენ არქაული გლიპტიკის ნიმუშებთან გვაქვს საქმე.

ძვ. წ. VI საუკუნე ბერძნული ნაციონალური ხელოვნების აღმავლობის ეპოქად ითვლება⁵. ხელოვანთა დიდი ნაწილი ცდილობს დაეუფლოს ფორმას, განუდგეს მკაცრ სქემატიზმსა და მეტი თავისუფლება შეიტანოს თავის ნახელავში, რასაც საფუძვლად უდევს ბუნების ღრმა ცოდნა და მისი არსის გაგება.

არქაული ხანის ოსტატები რეალისტები არიან. ამ პერიოდის ნახელავი უაღრესად ნატურალისტურია⁶. VI საუკუნის II ნახევრიდან ახალი პროგრესული მიმდინარეობა გაჩნდა — ოსტატები ახლებურად გამოხატავენ ბუნებას, რეალურად ასახავენ სანამდვილეს. ეს განსაკუთრებით ქანდაკებაში იგრძნობა. თვალში საცემია პოზის მოქნილობა-მოხდენილობა და პროპორციების სიზუსტე. კიდურების მდგომარეობა და მოძრაობა კარგად არის შეფარდებული ტორსის მდგომარეობასთან. ოსტატები ეუფლებიან სხეულის ანატომიას და აზერხებენ სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმას. ფორმა ხორცეშხმული და რბილია⁷. — არქაიკის ძირითადი დამახასიათებელი თვისება სამყაროს რეალური ასახვაა. იგი ერთი მხრივ ხასიათდება მისწრაფებით მკვიდროდ დაუახლოვდეს ბუნებას, მეორე მხრივ — ერთგვარი პირობითობით. ამ სტილის განსაკუთრებული ნიშნებია — მხატვრული აღქმის უშუალობა გარკვეულ სტილიზაციასთან ერთად.

ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე გლიპტიკაშიც. ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, თანადროულ სკულპტურასა და ვაზების მხატვრობაში აქაც იგივე ევოლუცია შეიმჩნევა: გამოხატულებებმა იგივე განვითა-

³ სამარხის აღწ. გ. ი. ა. და მისი მ. პოვევის ვითარების შესახებ იხ. Н. В. Хоштарна, Археологические раскопки в Ваши (предварительные сообщения). კავკასიურ — ახლომოსკლერო კრებული II, თბ., 1962, გვ. 65—80.

⁴ იხ. ნ. ს. შტარია, დასახ. ნაშრ.

⁵ A. Furtwängler, Die antiken Gemmen, Leipzig, 1900, III, გვ. 182.

⁶ M. Collignon, L'archéologie grecque, Paris, 1907, გვ. 144.

⁷ G. Perrot et Ch. Chipiez, Histoire de l'Art dans l'antiquité, VIII, La Grèce archaïque, Paris, 1903.

რების საფეხური განვლო სტილიზაციიდან ნატურალიზმამდე⁸. მკრელ-ხელოვანთა მთავარ აპოკანას ადამიანის სხეულის ანატომიის (ასევე ცხოველთა ფიგურების ანატომიის) დაუფლების საკითხი შეადგენდა.

არქაული ეპოქის ოსტატებს ახასიათებთ მისწრაფება შეავსონ გამოხატულებით საბექდავისა თუ გემის მთელი პირი⁹. ნახატი, როგორც წესი, კვალიფიციური და ზუსტია. გამოხატულების ირგვლივ დარჩენილ ცარიელ თუ თავისუფალ არეს მკრელები ორნამენტით ავსებენ და ხშირად ისეთ ფიგურებსაც ჩართავენ ხოლმე, რომლებიც თემასთან არც კი არიან უშუალოდ დაკავშირებული. როგორც წესი, გამოხატულება წმინდა ხაზებისაგან შედგენილ არშით ან წნული ჩარჩოთა შემოფარგლული, იშვიათად — წერტილოვანი წყებით, „გიოშებით“ (guilloches) ან მხოლოდ ხაზით¹⁰.

ამ დროს თემატიკა უფრო მრავალფეროვანი ხდება, ადამიანთა ფიგურების გვერდით¹¹, რომლებიც ხშირად მითოლოგიურ პერსონაჟებთან შეიძლება იყოს გაიგივებული, ფართოდ ვრცელდება ცხოველთა გამოხატულებები. ყველაზე საყვარელი ცხოველებია: ლომი, გარეული ტახი, ხარი, ირემი, ფურ-ირემი, ნიაშორი, ღერადი, ცხენი, ძაღლი; ფრინველთაგან — მაშალი და არწივი. ეს ცხოველები მარტო არიან გამოხატული; ზოგჯერ მათი შებრძოლების მომენტია ასახული, ხან კი ადამიანთა სახეებთან არიან დაკავშირებული.

ზემოსხენებული ტიპის ფარაკიანი საბექდავი-ბექდების გარდა, ბრტყელ-ზურგიანი სკარაბეოიდები და ლითონის რკალისებურ ღერაჯზე მბრუნავი საბექდავები და ზღვანი თვლებია მოდამი.

არქაულ ეპოქაში საბერძნეთში რამდენიმე სკოლა არსებობდა¹², ყოველ სკოლას თავისი ტრადიცია და გარკვეული მხატვრული მიმართულება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სკოლები გარკვეულ მხატვრულ მანერას ქმნიდნენ, მათ შორის საკმაოდ მკიდრო კავშირი არსებობდა.

ძვ. წ. VI საუკუნის საბექდავთა და გემების უმრავლესობა იონიელი ოსტატების ნახელავია. ამას სტრუს გარდა გემებზე გაკეთებული წარწერებიც ადასტურებს¹³.

VI საუკუნეში სამოსზე ბრწყინვალე ქვის საჭრელი სახელოსნო არსებობდა, სადაც გემებისა და საბექდავთა ცნობილ მკრელებს მენსარახოსსა (ფილო-

⁸ G. Richter, *Engraved Gems Greek, Etruscan and Roman*, Roma, 1926, გვ. 7.

⁹ შტრ. Richter, *დასახ. ნაშრ.*, ტ. 5. V—X.

¹⁰ იხ. Richter, *Gems, Roma*, 1926, ტ. 4. IV, 15—22; ტ. 5. V, 25—30; ტ. 6. VI, 35—39 და ა. შ.; —A. Furtwängler, *Gemmen*, ტ. 7. VII, 62—63.

¹¹ ლეოპოლდის გამოხატულებებს შედარებით იშვიათად ვხვდებით. გვირგვინიდან ყველაზე პოპულარული ჰერაკლეა. ხშირია, აგრეთვე, სატირების, სირენების, გორგონებისა და სფინქსების გამოხატულებები. არამითოლოგიურ პერსონაჟებთან — მეომრებთან, მშველდოსნებთან, ატლანტებთან, მონადირეებთან და ცხენოსნებთან.

¹² არქაულმა ხელოვნებამ საბერძნეთის სხვადასხვა ნაწილებში ანუ მის მხატვრულ ცენტრებში განვითარების სხვადასხვა გზა განვლო, რაც უპირველესად ყოვლისა იმით იყო გამოწვეული, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარება სხვადასხვაანაირად — განსხვავებული ფორმით მიმდინარეობდა. ხელოვნებაში სხვადასხვა მიმართულებები იქმნებოდა როგორც შორის წამყვანს იონიური მიმართულება წარმოადგენდა.

¹³ გემების მკრელთა და საბექდავის მულაბელთა სახელები იონიური ანბანით არის შესრულებული (იხ. M. И. Максимова, *Античные резные камни Эгейского моря*, Ленинград, 1926, стр. 36).

სოფლანა პითაგორას შიშას) და თეოდორეს უმოღვაწიათ (ცნობილი მოქანდაკე იყო, პოლიკრატეს საბუქდავის მკრელი).

იონიურ გლაპტიკურ სკოლას (ისევე როგორც ქანდაკებას) ახასიათებს ფორმის სირბილე და გამოსახულების ფაქიზი დამუშავება. ამ სკოლის ხელოვნება და მკრელთა უპირატეობა და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, პროგრესი იმაში მდგომარეობს, რომ მათ ფორმა გააცოცხლეს „ზორცი შესახეს“¹⁴. იონიური ოსტატები არ გაურბიან ადაშიანთა და ცხოველთა გამობატვას მოძრაობაში (რბოლის მომენტი, ფრენის მომენტი და ა. შ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა). ერთ-ერთ პროგრესად ამ ხელოვნებაში ისიც ითვლება, რომ იონიური ოსტატები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაცმულობისა და მასთან ერთად სამაულის გადმოცემის საშუალებათა ძიებას¹⁵ — მის გამოსახვის ფორმებს. იონიური გემოვნება ამ მხრივ განსაკუთრებულად ქალის ტანსაცმლის გადმოცემაში მკლავდება¹⁶. — ხელოვნების ძეგლებზე აისახა იონიური საზოგადოებისა და მისი ყოფის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება — ფუფუნებისადმი მისწრაფება¹⁷.

იონიური ნახელავი ფართოდ გადის ქვეყნის გარეთ; სხვადასხვა ქალაქება და ქვეყნებში მოღვაწეობენ იონიური ოსტატები, სადაც მათ ადგილობრივ სახელოსნოებში სამუშაოდ მმართველი წრეების წარმომადგენლები იწვევდნენ¹⁸.

ასეთია ზოგადად ის ძირითადი ნიშნები, რომელიც არქაულ ხელოვნებასა და, სახელდობრ, ამ ეპოქის გლაპტიკას ახასიათებს.

სამარბში აღმოჩენილი საბუქდავი-ბუქლები ერთი ფორმისა და სხვადასხვა ზომისაა. სამი მათგანი დიამეტრის მიხედვით, სხვადასხვა თითებზე სატარებლად უნდა ყოფილიყო გამოზნული; მეოთხე, რომელიც თავისი სიდიდით შესამჩნევად აღემატება სამ დანარჩენს, ჩვენი ვარაუდით მამაკაცი-სათვის განკუთვნილი საბუქდავისა თუ სამკაულს წარმოადგენდა. რაც შეეხება ქარვის ორმხრივ, „მბრუნავ“, საბუქდავს, იგი შესაკიდი საბუქდავია.

გადავდივართ ცალკეული ნივთების დახასიათებაზე:

1. საველე № 3—61/662₄₁. ბუქედი -ინტალიო, ფარაკიანი, ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული. მრგვალი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალი ფარაკის შიშართლებით შეუმჩნევლად წვრილდება და ოვალური მოყვანილობის წაწვეტებულბოლოებიან ფარაკში გადადის. ფარაკი ლითონის საკმაროდ სქელ ფირფიტას წარმოადგენს; ზურგი ძალიან უმნიშვნელოდ აქვს შედარებული. ბუქედი გვერდებისკენ განზიდულია. ამჟამად რკალი არათანაბრადა განზრლი. თავდაპირველად იყო ამგვარად გაკეთებული თუ შემდეგ დროინდელი ზადია ძნელი დასადგენია. ერთი კი აღსანიშნავია, რომ ბუქედს დეფორმირებული იერი აქვს და თვით ფარაკი რკალთან შეფარდებით ცერადა დგას. ბუქედი ჩამოსხმული უნდა იყოს, ამასთანავე ხაზგასასმელია ერ-

¹⁴ ახ. M. Collignon; L'Archéologie grecque, 1907, გვ. 347.

¹⁵ Perrot, დასახ. ნაშრ., გვ. 416.

¹⁶ ქალების თავსა და გულმკერდს სამკაულები აქობს: დიადემები, საყურეები, მანიანები. მამაკაცთა გამოხატულებრივ სიფაქიზით გამოირჩევა, თმა და წვერი განსაკუთრებული ოსტატითაა შესრულებული; ასევე მათი კუთვნილი ატრიბუტები — ლეთაბათა და ნუფეთა კურთხები, ფარები, მუზარადები; გემოართა იარაღი და ა. შ.

¹⁷ Perrot, დასახ. ნაშრ., გვ. 419.

¹⁸ Perrot, იქვე.

თი საყურადღებო დეტალი: რკალს შიდაპირზე (შიდა მხრიდან), უშუალოდ ფარაკიდან მოყოლებული ადგილ-ადგილ ნაკერავე ეტყობა — თითქოს გახსნილია (იხ. სურ. 131გ).

პირზე ჩვენთვის უცნობი კომპოზიციია გამოხატული. — პირველი შთაბეჭდილება ასეთია: წვეროსან ადამიანისებურ არსებასა თუ ღეთაებას, რომელიც მუცელზეა გარაზხული, თავს ესხმის მტაცებელი. არსებაცა და მტაცებელიც პროფილში მარცხნივ არიან მიმართული (იხ. სურ. 133კ).

გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ შესაძლებელი გახდა ზოგიერთი დეტალის დაზუსტება. წვეროსანი ფიგურა ისეთ მდგომარეობასა და პოზიციას გამოხატული, რომ მოცურავე ადამიანად ანდა წყლის ღეთაებად უნდა იქნეს მიჩნეული, იგი გულდაღმა წევს. წინა კიდური, რომელიც აღნაგობით ხელის მტევანს მოგვაგონებს (ხუთი თითით ბოლოვდება) ზევით აქვს აღმართული და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს წყალს მიაპობსო. ფეხები (თუ ქვედა კიდურები) მუხლებში ოდნავ მოუხრია და ტერფები ზევით აუქნევია; თავი უკან გადაუგდია — თითქოს წყლის ზედაპირზე უჭირავს. თვალი პირობითად, შეუმჩნეველი ჩაღრმავებით არის აღნიშნული. ნისკარტი-სებრა ცხვირი აქვს, მოკლე კისერი, თავზე თითქოს ჩაფხუტი ახურავს.

ღეთაების ზურგს ზემოთ ოთხფეხა ცხოველია (ორი ფეხი უჩანს) გამოხატული, რომელსაც გრძელი აცქვეტილი ყურები და მოკლე კუდი აქვს. ოდნავ გაბრტყელებული, სუმარულად გადმოცემული თავი. მოცურავეს დასცქერის. წვეროსან მოცურავესა და ცხოველს შორის მცირე, მაგრამ გარკვეული მანძილია დატოვებული, ისე რომ ცხოველი არაფერს არ ეყრდნობა, პაერში გამოკიდებულსა ჰგავს. ცხოველის ოჯახის დადგენა ჰირს, ერთი კი უდავოდ უნდა იყოს, რომ იგი მტაცებელია.

გამოხატულების ირგვლივ, პირის კიდესთან (1 მმ მანძილზე) ღარია ამოღარული, რომელიც ლურჯი ფერის მინისებრი პასტიტაა ამოვსებული, აღნიშნული საღტე გამოხატულების ჩარჩოს წარმოადგენს.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და საკმაოდ მკაფიოდ არის ნაკეთი. კვეთა სქემატისმიითა და სუმარულობით ხასიათდება, ამასთანავე ნახატში გარკვეული ოსტატობა ჩანს და გაბედული, ასე ეთქვათ პროფესიონალური ხელი. — მკრელს (გარდა კონტურის დასატანი ნემსისა) ორი სახის საჭრისი აქვს გამოყენებული: სწორკუთხოვანი წვერითა და მომრგვალებულ-პირიანი.

გამოხატულება, მთელი კომპოზიცია, თითქმის ერთ სიბრტყეშია ნაკვეთი. ოსტატი სილუეტის ჩაღრმავებით კმაყოფილდება და გამოხატულება შესარტლებული აქვს თითქმის ყოველგვარი მოდელირების გარეშე. ძირითადი პერსონაჟის ტორსი (ე. ი. მოცურავესი) ორ ძირითად მხალ არის გაყოფილი. ძალიან მკრთალად, თითქმის შეუმჩნეველადაა გამოყოფილი გულ-მკერდი და მხრები. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ თითქოს ამ შემოსხვევაში ოსტატს boulerolle-ისებრი საჭრისი აქვს გამოყენებული. მომრგვალებულ-წვერიანი საჭრისი ტორსისა და თავის ამოსაკვეთად არის ნახმარო. საჭრისი სწორკუთხოვანი წვერით — კიდურების თითების, კუდის, ყურების ამოსაკვეთად.

გამოხატულება მთლიანად ავსებს ფარაკის პირს. ანაბეჭდზე დაბალ, მაგრამ მკაფიო რელიეფს იძლევა.

ზ ი მ ე ბ ი: ბექდის სიმაღლე — 18 მმ, დიამ—14 მმ—16 მმ, რკალის დიამ—2 მმ, (ქვიდა ნ.წ). — 1 მმ (ფარაკთან), ფარაკის სიგრძე 15-მმ. ვანი-8 მმ, სისქე ფარაკისა 2-3 მმ ინტალიონ. სიგრძე-13 მმ. ვანი-5 მმ.

დაკულღობა: ოქრო აქა-იქ დაკაწრულია მცირედ, მინანქარი აქა-იქ ამოვარდნილია. ლერწი მაისი ზედაპირი ფოროვანია, როგორც ჩანს გამოიფიტა.

სიაუტეტის საბოლოო გარკვევისათვის ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ სრული მასალების შეკრება და ამ მიმართულებით კვლავ ვაგრძელებთ ნეცადინეობას. მიუხედავად ამისა, ვარაუდით რამდენიმე მოსაზრება შეიძლება პიოტიანო ბექედზე გამოხატული შინაარსის განსაზღვრისათვის, რაც ადვილი შესაძლებელია შეიკვალოს კიდევ.

I. შესაძლებელია, რომ მოცურავე წვეროსანის სახით, ჩვენ წყლის ან ზღვის რონელმე ღვთაებასთან გვეკონდეს საქმე. შესაძლოა გლავეკოსთან. გლავეკოსთან, რომელსაც მითი არგონავტების ლაშქრობას უკავშირებს (იგი აზკოსის ერთ-ერთი მშენებელია). მაგრამ ამ განსაზღვრას ერთგვარად ერთი გააუმჯობესება აუთილებს — ჩვენთვის ცნობილ ყველა ძეგლზე გლავეკოს თევზის ბოლო აქვს¹⁹, ხოლო ჩვენს ინტალიონზე, როგორც ზემოთაც გვეჩინდა აღნიშნული, აღამიანის ფეხები.

II. თუ ჩვენ მოცურავეს წვერს მკვეთრად გამოხატულ ნიკაბად მივიჩნევდით, მაშინ შეიძლებოდა მისი დაკავშირება „საზარელი ნიკაპიან მდინარის ღმერთთან“, რომელსაც ფილისტრატე უმცროსი — IV (ახ. წ. II—III სს.) იხსენიებს²⁰.

— „ორმოცდაათი [გმირის] წამყვანი „არგო“, რომელსაც ბოსფორი და სიპლუგადები გამოუვლია ფაზისში დგას ღუზაზე შენ ზედავ თვითონ მდინარის [ღმერთს] ლერწმნარის სიღრმეში მწოლაარეს, საშინელი (შესახედობისას: თმა მას ხშირი და ყალყზე შემდგარი აქვს, ხოლო ნიკაპი საზარელი, თვალები კი ბრწყინავი. [წყლის] ნაკადი თავისი სიმრავლით იღვრება არა თასიდან, როგორც ჩვეულებრივ (გამოსახვენ), არამედ მთლიანად (ღმერთისაგან) მოედინება, რაც საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ, თუ რა ძალით ეშვება პონტოში“²¹. ესეც მხოლოდ შორეული მსგავსებაა, იაიც არა სრული, ხოლო რაც შეეხება ანალოგიებს — ვერ მივაკვლიეთ.

რაც შეეხება კომპოზიციას²² ისმის საკითხი არის თუ არა უშუალოდ დაკავშირებული თემასთან ცხოველის ფიგურა, თუ იგი მხოლოდ ცარიელი არის შევსებულ ნიშნით გამოსახა ოსტატმა, რაც არქაული ხანის გლიპტიკისათვის ჩვეულებრივი მხატვრული ხერხია.

ამოქრის მანერისა და კომპოზიციის ხასიათის მიხედვით (ნახატით შეკრებულა ინტალიონს მთელი პირი, გამოხატულებას ნაცვლად ნაკვეთი „არ-შისსა“ ნიშნებში პასტის ჩაჩრა აქვს გარშემოვლებული; კვეთა ზუსტია) ინტალიონ არქაული ეპოქის ნახელავს წარმოადგენს²³. ამასვე ადასტურებს

¹⁹ ახ. P. Grimal, Dictionnaire de la mythologie grecque et romaine, Paris, 1951, § Glaucos.

²⁰ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი, თბილისი, 1964, გვ. 450—451.

²¹ ფილოტრატე უმცროსი (IV), სურათები, 8 „მოთამაშენი“, ა. უ რ უ შ ა ძ ე, იქვე, გვ. 450—451: В. Латышев, Scythica et Caucasia, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, I, СПб, 1883—1900, В. I, გვ. 348.

²² ფიგურის მდგომარეობა და სტილი შდრ. Furlwängler, Gemmen ტაბ. XV, № 37.

²³ შდრ. Richter, Gems, II გაცემბა, ტაბ. V, 29; ტაბ. VI, 35 და ა. შ.

ბეჭდის ფორმა, რომლის მიხედვით საბეჭდავი-ბეჭედი ძალიან კარგად თარიღდება ძვ. წ. ადრეული V საუკუნის დასაწყისით²⁴.

2. საველე № 3—61/662₂₉. ბეჭედი-ინტალიო, ფარაკიანი, ღია ყვითელი ოქროსაგან გაკეთებული. მრგვალი, ქვედა ნაწილში საგრძნობლად განსხვილებული რკალი ზევითაჲს (ფარაკის მიმართულებით) მკვეთრად წერილდება და ოვალური მოყვანილობის წაწვეტებულბოლოებიან ფარაკში გადადის. ფარაკი ბრტყელი და საკმაოდ სქელი ფირფიტისაა (3 მმ სისქისა). (იხ. სურ. 1317). ბეჭედი გვერდებისკენ განზიდულია, მაგრამ იმის გამო რომ რკალის ქვედა ნაწილი ძალზე გამსხვილებულია იგი ქვევით ჩამოგრძელებული ბეჭდის შთაბეჭდილებას ახდენს. ბეჭედი სხმული უნდა იყოს. ამჟამად ოდნავ დეფორმირებულია და ინტალიოს პირი ამის გამო თითქოს ცერად დგას რკალთან შეფარდებით.

პირზე მტაცებელი ცხოველია გამოხატული, პროფილში მარჯვნივ, კატის ოჯახისა უნდა იყოს. მტაცებელი პირაშემულია, ენა უჩანს; გრძელი, წაწვეტებული თითქოსდა ნისკარტისებურად მოკაუჭებული დრუნჩი აქვს. იგი წინა, გაშლილი თათებით დედაშიწას ებჯინება, უკანა სახსრებში ოდნავ მოუხრია და ნახტომის გაკეთებას აპირებს. კოხტა მოყვანილობის პატარა თავი აქვს, მოკლე და ფართო ყური; მრგვალი რელიეფურად გამოხატული თვალი. ღონიერი და სქელი კისერი თითქმის წელის სიგანისა (იხ. სურ. 1302).

გულჭკერდის გასწვრივ, წინა ფეხებს შორის, რალაც მორჩისებური ჩანს, რომლის გარკვევა ჩრჭერობით ვერ მოვახერხებთ. მტაცებელს გრძელი და მოქნილი სხეული აქვს, წელიწორა, მალალი ფეხები კოხტა თათებით ბოლოვდება; ბალანი, რომლითაც მთელი სხეულია დფარული, გულჭკერდიდან გავამდე, მორკალულ-რელიეფური და ამოღარული ერთიანი ზოლებითაა გადმოცემული. გრძელი და წვრილი კუდი ძირს დაშვებული აქვს. მკაფიოდ გამოხატული სახსრები (ისევე როგორც თითები) წმინდა buoterolle-ით არის აღნიშნული.

გამოხატულება თითქმის მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, იგი ორმაგ ჩარჩოშია მოთავსებული. — უშუალოდ გამოხატულების ირგვლივ სადა ზოლია ამოჭრილი, ხოლო ინტალიოს კიდეებთან — წერტილოვანი რკალი.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და ამასთანავე ზედმიწევნით მკაფიოდ და ფაქიზად არის ამოჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ერთ სიბრტყეშია ნაკვეთი შინაგანი ნახატი იმგვარადაა დამუშავებული, რომ სკულპტურულობას აღწევს. კვეთა უაღრესად ზუსტია და სუფთა; პროპორციები სრულყოფილი, პოზა — მოქნილი.

ოსტატს რამდენიმე სახის საჭრისი აქვს გამოყენებული — ბრინჯაოს ნემსი, საჭრისი მომრგვალებული წვერით (ტორსის, თავისა და კისერის ამოსაჭრელად), bouterolle-ისებრი საჭრისი (სახსრების, თვალის, დრუნჩის ზედა ნაწილისა და თათების ამოსაჭრელად) და პატარა ზომის bouterolle-ი (წერტილოვანი ჩარჩოს ამოსაჭრელად). საჭრისები გაბედულად არის ნახმარი.

დაცულობა: ბეჭედი ოდნავ დეფორმირებულია, თითქოს სიძიმის ქვეშ მოყოლილა. ზომები: სიმაღლე — 20 მმ, გარე დიამ. — 23 მმ, შიდა დიამ. — 15—18 მმ. რკალის დიამ. — 3—1 მმ; ფარაკის ზომა — 15—8 მმ, ინტალიოს სიგრძე — 12 მმ, ვანი — 7 მმ, სისქე — 2—3 მმ.

²⁴ შტრ. F. Marshall, Catalogue of the Finger Rings Greek, Etruscan and Roman, London, 1911, გვ. 8—28.

ბექედი, ისევე როგორც წინ განხილული ინტალიო, ტიპური არქაული ნიმუშია და ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით თარიღდება²⁵. ამასვე ადასტურებს კვეთის მანერა და სტილი²⁶. ხოლო რაც შეეხება სიუჟეტს ცხოველთა გამონახულებები ერთ-ერთი გავრცელებული თემათაგანია არქაულ ბერძნულ გლიპტიკაში²⁷.

3. — ასევე შესანიშნავს და უზადო ნახელავს წარმოადგენს ამავე სამარხში მოპოვებული მესამე საბეჭდავი-ბექედი (საე. № 3—6/6627) ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული.

ოვალური მოყვანილობის ბოლოებწაწვეტებული ფარაკი უშუალოდ გადაღის წრგვალ და საკმოდ მასიურ რკალში. რკალი ქვედა ნაწილში უფრო მსხვილია ვიდრე სამხრეთთან, ფარაკის მიმართულებით კი შეუმჩნევლად წრილდება. ბექედი გვერდებისკენ განზიდულია, მაგრამ ისევე როგორც ორი წინ განხილული ინტალიო-ბექედი, ამასაც წაგრძელებული ნივთის იერი აქვს. ფარაკის ზურგი ოვალური და ბრტყელია. ბექედი ჩამოსხმული უნდა იყოს, შემდეგ კი ქედვითაა დამუშავებული (იხ. სურ. 131ა).

პირზე წინა ფეხებზე წაჩოქილი ნიამორია გამონახული²⁸, პროფილში ნარკინე (იხ. სურ. 130ა).

ნიამორს კობტა მოყვანილობის მოხრილი და უკან გადაგდებული რქა აქვს: გრძელი და აცქვეტილი პაწია ყური, მოგრძო, სწორად „წაკვეთილი“ დრენჩი, მრგვალი თვალი მკრთალი რელიეფითაა გადმოცემული. მოყვანილი, მალალი ფეხები მკაფიოდ გამონახული ჩლიქებით ბოლოვდება. ნიამორს კელი ზევით აქვს აწეული.

მთელი ტორსი ერთ სიბრტყეშია მოცემული; გავა და გულმკერდი თანაბარი ზომისა აქვს, წელვიწროა.

გამონახულებას გარს ავლია წერტილოვანი რკალი, რომელსაც წაწვეტებული ოვალის ფორმის ჩარჩოს სახე აქვს მოცემული. ეს ჩარჩო გამოპყოფს ინტალიოს ფარაკისაგან, იგი რელიეფური წერტილების წყებისაგან არის შედგენილი.

ტექნიკა: გამონახულება არაღრმად და ძალიან მკაფიოდ არის ამოჭრილი. იგი ზუსტი და ზედმიწევნით ოსტატური კვეთით გამოირჩევა. ოსტატს რამდენიმე სახის საჭრისი აქვს გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი (ყურის, თვალის, რქის ამოსაჭრელად), საჭრისი მომრგვალებული წვერით (სხეულის ფართო მასების ამოსაკვეთად). გამოყენებულია აგრეთვე bouterolle-ისებრი საჭრისი წერტილოვანი ჩარჩოს ამოსაჭრელად.

დაცულია: ბექედი კარგად არის შენახული. ზომები: ბექედის სიმაღლე—21 მმ, ღამ—18 მმ, რკალის გან—4—3 მმ, ფარაკის სიგრძე—19 მმ, ფარაკის გან—8 მმ, ინტალიოს სიგრძე—16 მმ, გან—6 მმ, ფარაკის სისქე—2 მმ.

²⁵ ვლ. Marshall. დასხ. ნაშრ., გვ. 8, 9, გამ. 35, 43, 44, 45.

²⁶ ვლ. Furtwängler, Gemmen, ტაბ. V, 62, 63.

²⁷ Imhoof-Blümer und Otto Keller, Tier und Pflanzenbilder auf Münzen und Gemmen Leipzig, 1869, ტ. 1.—II; H. Walters, Catalogue of the Engraved Gems and Cameos, London, 1926, გვ. XXXII.

²⁸ თედორედელ ვიხე ღ მიუჩინეთ, ერთი პირობა ქერციკიადც ჩაეთვალეთ.

ნიამორისა და ვიხეს გამონახულებები იხ. Imhoof-Keller, დასხ. ნაშრ., ტაბ. XVII, 4.

განსაკუთრებული სიზუსტით დატული პროპორციები, სიცოცხლით აღსავსე სხეულის მოქნილობა, ფორმის პლასტიკურობა — ეს არის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც ჩვენ მიერ განხილული საბეჭდავობეჭდვი გამოირჩევა. სტილისტურად მსგავს ძეგლებთან შედარების შედეგად²⁹, სახელდობრ არქაული პერაოდის იონიურ გემებთან, აგრეთვე თვით ბეჭდის³⁰ ფორმის მიხედვით, ძვ. წ. V ს. დასაწყისით უნდა დაეთარიღოს.

4. — სამარხში მოპოვებული მეოთხე ინტალიოც ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭედი (№ 3—61/662-გ), ღია ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული. მრგვალი და საკმაოდ სქელი რკალი ფარაკის მიმართულებით შეუმჩნეველად წერილდება და ოვალური მოყვანილობის, წაწვეტებულ ბოლოებიან ფარაკში — ინტალიოში გადადის. რკალი ქვედა ნაწილში, ცენტრში, უფრო გამსხვილებულია ისე, რომ ორმხრივამოზრტული ღეროს შთაბეჭდილებას ახდენს (იხ. სურ. 131გ). ბეჭედი ვეერდებისკენ არის განზიდული, ამავე დროს თითქმის დაბრტყელებულიც არის. ფარაკს ოდნავ ჩაზნექილი ზურგი აქვს. რკალს შიდაპირზე „ნაქერავი“ ეტყობა.

პირზე გარეული თხა არის გამოხატული, პროფილში მარჯვნივ მიმავალი, თავდახრილია (იხ. სურ. 132ა). გრძელი, შუბლთან ამართული და დაბლა, ზურგის პარალელურად გახრილი რქა აქვს. საკმაოდ გრძელ წვერს პაწია მორკალური ხაზი გამოხატავს, დიდი ზომის თვალს — რელიეფური წერტილი.

თხას მაღალი ფეხები აქვს მკაფიოდ გამოხატული ჩლიქებით, კოხტა და აქვევტილი ყური, მოკლე კუდი. პროპორციები კარგად არის დატული, სხეულის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა რბილია; კუნთები მცირედ ამოღარული ზოლებითაა გადმოცემული. ტორსის წინა ნაწილი წინა მარჯვენა ფეხის ვასწერივ, მკაფიოდაა გამოყოფილი წელსა და სხეულის უკანა ნაწილისაგან. გამოხატულებას გარს აელა ორი წყებისაგან შედგენილი წერტილოვანი რკალი, რაც გამოყოფს ინტალიოს ფარაკისაგან.

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და ამასთანავე ზედმიწევნით მკაფიოდ არის ამოკრული. თავი საკმაოდ ბრტყელი კვეთითაა შესრულებული, ფაქიზად და ზუსტად. ოსტატს გამოყენებული აქვს რამდენიმე სახის საჭრისი, სახელდობრ: ბრინჯაოს ნემსი, საჭრისი სწორკუთხოვანი წვერით (ჩლიქების, დრუნის, კუდის ამოსაჭრელად), საჭრისი მომრგვალებული საჭრელი წვერით (ფართო მასების ამოსაჭრელად) და bouterolle-ი (თვალის ამოსაჭრელად).

რაც შეეხება წერტილებისაგან შედგენილ ორმაგ ჩარჩოს, იგი წმინდა bouterolle-ით ანდა bouterolle-ისებრი იარაღით უნდა იყოს გაკეთებული. დაულობა: ფარაკი ოდნავ დეფორმირებულია, ლიონის აქა-იქ ნაყაწრები აქვს, ზომები: ბეჭდის სიმაღლე—22 მმ, დიამ.—21—19 მმ.

ფარაკის სიგრძე—17 მმ, ვანი—9 მმ, სისქე—2 მმ, ინტალიოს სიგრძე 2—14 მმ, ვანი—8 მმ.

განხილულ ბეჭედს პირდაპირი ანალოგია ეძებნება ბრიტანეთის მუზეუმში დატულ კოლექციებს შორის, სახელდობრ, არქაული ხანის ოქროს საბეჭდავ-ბეჭდებს შორის³¹. — ანალოგიურია არა მარტო ფორმა ნივთისა, არა-

²⁹ სტილისტურად შტრ. H. Wallers, Catalogue of the Engraved Gems, გვ. 445, 446, 452 და ა შ., Furtwängler, Gemmen, ტაბ. IX, 17; G. Richter, Engraved Gems of the Greeks and the Etruscans, London, 1968, გვ. 72, გვ. 210.

³⁰ შტრ. Marshall, Finger Rings, გვ. 8, 38.

³¹ Marshall, Finger Rings, გვ. 8, 36.

მედ იმ ზომამდე ემთხვევა კომპოზიცია. სტილი და ამოჭრის მანერა ამ ორი ბეჭდისა, რომ ჩვენი ვარაუდით ისინი არა მარტო ერთი ცენტრიდან გამოსული ნახელავია არამედ მათი შემქმნელი ოსტატიც ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო.

საბეჭდავი-ბეჭედი კარგად თარიღდება ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებით³².

განსხვავებულ საბეჭდავს წარმოადგენს ამავე სამარხში აღმოჩენილი ქარვის ორმხრივი ინტალიო (საველე № 3—61/66244), რომლის მსგავსი ნივთი საქართველოში სხვა ჯერ არ აღმოჩენილა. იგი წარმოადგენს მოყავისფრო მოწითალო ქარვისაგან ამოჭრილ კუბური ფორმის ორმხრივ ინტალიოს სიგრაძივი ნახევრებით, რომელიც ოქროს წვრილ ლერაკზეა წამოცმული. ინტალიო თავისუფლად ტრიალებს ღერძის გარშემო და ე. წ. მბრუნავ (swivel) საბეჭდავთა რიგს მიეკუთვნება.

ღერაკი ოქროს წვრილი მავთულისაგან არის გაკეთებული. მავთული მრკვალია და ყუნწიანია (ღერაკი და ყუნწი ერთი სირმისაგანაა გაკეთებული. — მავთული იმგვარადაა მოლუნული ინტალიოს მოპირდაპირე მხარეს, რომ იგი ოვალურ ყუნწს ქმნის). გვერდებზე მავთულს, ინტალიოდან ყუნწამდე, დახვეული აქვს ზამბარისებურად უფრო წვრილი ოქროსავე მავთული. ნივთის ფორმის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი შესავიდ საბეჭდავს წარმოადგენდა (იხ. სურ. 130ჟ).

ინტალიოს საკმაოდ უწყესო ფორმა აქვს; მისი ორივე პირი (რომელსაც პირობითად AV-სა და RV-ს ვუწოდებთ) ბრტყელია, ხოლო სხვა წახნაგები (თუ გვერდები) სხვადასხვა მოყვანილობისაა, მეტნაკლებად გრძელი ან მოკლე მართკუთხედებია.

ერთ-ერთ პირზე, რომელსაც ჩვენ პირობითად AV-ს ვუწოდებთ, გამოხატულია ირემი სწრაფი რბენის პოზაში, პროფილში მარცხნივ. ირემს ქორბულდა რქები აქვს: გრძელი, მოხდენილად გახრილი სხეული, მაღალი ფეხები; მოკლე კუდი მყრთალი ხაზითაა აღნიშნული, თვალი — რელიეფურად წერტილით (იხ. სურ. 130ჟ). გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე დაბალ, მაგრამ მკაფიო რელიეფს იძლევა.

RV-სზე კერძოდელია გამოხატული, პროფილში მარცხნივ, რომელიც ნახტომის ვაკეთებს აპირებს. ნახელავი, საკმაოდ ოსტატური შესრულებით გამოირჩევა. მომრგვალებული, რბალი კონტური, ზომიერი პროპორციები და მოძრაობის დინამიკურობა ნატურალისტურ ელფერს აძლევს ერთგვარად სტილიზებულ ნახატს (იხ. სურ. 130ბ).

ტექნიკა: გამოხატულება არაღრმად და მკაფიოდ არის ამოჭრილი. ნახელავი გარკვეული სქემატიზმისა და პირობითობით ხასიათდება; ამასთანავე კარგად არის დაცული სხეულის პროპორციები. გამოხატულების ამოსაჭრელად ძირითადად ნახზარის სპირისი სწორკუთხოვანი წვერით და შეხაძლოა აღმასის ნეშციც. თვალის ამოსაჭრელად ძალიან წმინდა bouterolle-ი.

³² ნერეოდენი განსხვავება ამ ორი ინტალიოს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ბრიტანეთის მუზეუმის ბეჭედეზე დამტებით პაწია მცენარე და ნახევარმთვარეა გამოხატული.

³³ ნეიშენის სპიით: ხანჯასასმელია შემდეგი გარემოება — სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი-ბეჭედი სხვადასხვა ზომისაა, ამთაგან ყველას აღემატება თვის გამოხატულებიანი ბეჭედი (იხ. № 28). ზოგის მიხედვით იგი, უდავოდ, მამაკაცისათვის განკუთვნილ ნივთს წარმოადგენდა. და როგორც აღვნიშნეთ, დროითაც უფრო ადრეულია.

რაც შეეხება Rv-ს — იგი უფრო ღრმადაა ნაკვეთი და საკრისებიც სხვა სახისა ჩანს გამოყენებული. სახელდობრ — აღმასის ნემსისა და სწორკუთხოვანი საკრელი წვერიანი იარაღის გარდა, ნახმარია საკრისი მომრგვალებული წვეერი. ვფიქრობთ, რომ არც boulerolle-ისებრი საკრისი უნდა იყოს გამოირიცხული.

მართალია ქარვა ადვილად დასამუშაებელ მასალად არის მიჩნეული რადგან რბილია (თითქოსდა ამის გამო მისი ქრა ადვილია), მაგრამ იგი საკმაოდ მყიფეა და ჩვენის აზრით, მისგან მაღალმხატვრული გემების კვეთა არც თუ ისე იოლი უნდა იყოს. ამდენად ზემოთ განხილული ქარვის ინტალიოს მჭრელს, როგორც ნახელავის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, გარკვეულ ჩვევები ჰქონია ქრილა ქვებისა და საბეჭდავების კეთებაში.

დაცულობა: ქვას აქა-იქ პაჩია ანატკეცები აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე სახელურითურთ — 24 მმ, სახელურის სიმაღლე — 20 მმ, ღერაკის დიამ. — 2 მმ. ზამბარითურთ 3 მმ. ინტალიოს სიგრძე — 20 მმ, განი — 19 მმ, სიმაღლე — 6 მმ, ნახვრ. დიამ. 2—21/2 მმ.

ზემოთ აღწერილი გემა სტილისტური თავისებურებითა და შესრულების მანერით (რაც მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ მასალა სხვადასხვაა) განსხვავდება ჩვენს მიერ ადრე განხილულ ინტალიო-ბეჭდებისაგან.

შედარებითი ანალიზის შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ქარვის ორმხრივი ინტალიო ბერძნულ ორიენტალიზირებულ სტილის გემების ჯგუფს შივეუთენება და იგი ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი. სტილისტურად მსგავსი გემები კურიუმში, კვიპროსზე³⁴ მოპოვებული, რომლებიც ძვ. წ. V საუკ. თარიღდება. თვით „სახელურის“ ფორმა ანუ ყუნწიანი ღერაკისა, რომელზედაც ინტალიო ტრიალებს, კერძოდ კი ამგვარი ტიპის სხვადასხვა ვარიანტები³⁵, ადრეულ მასალებშიც გვხვდება, სახელდობრ, მიკენური პერიოდის ფინიკურ გემებს შორის³⁶. საბეჭდავის ხსენებული ფორმა — ე. წ. მბრუნავი ბეჭდები არაქულ ხანაში საკმაოდ გავრცელებული ჩანს, თუმცა უნდა ითქვას, რომ საბეჭდავთა სხვა ტიპებთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანია.

ხსენებული ბეჭდებისა და საბეჭდავის შესწავლისა და სტილისტური ანალიზის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია მათი კლასიფიცირება³⁷:

— ოქროს ინტალიო ბეჭდებს შორის სამი ბეჭედი: ნიამორის, თხისა და მტაცებელი ცხოველის გამოჩატულეებებით, ერთი წარმოშობისა და სკოლის ძეგლებს წარმოადგენს. ბეჭდების ფორმა, ნახელავის სტილი და ხასიათი — უაღრესად რეალისტურად შესრულებული ნახატი, ზედმიწევნით ფაქიზი მხატვრული კვეთის საშუალებითაა გადმოცემული: უზაღო პროპორციები,

³⁴ - A. Murray, A. Smith, H. Wallers, Excavation in Cyprus, 1900, სვ. 65, 82, შტ. აგრეთვე, Walters, Gems, ტაბ. V, 342 და ა. შ.

³⁵ ოვალურ-ამოზერტული ქვები ღერძზე წამოცმული ნარყუთისგანა ყენწით; ქვა ბედში ზას (იხ. Marshall, Finger Rings, ტაბ. III) სკარაბეოიდი ღერძზე წამოცმული; ოვალურ-ამოზერტული ინტალიო ღერძზე წამოცმული და ბეჭად გამოყენებული ე. წ. swivel rings, ა. შ. Marshall, დასახ. ნაშრ. გვ. 52—60

³⁶ იხ. Marshall, დასახ. ნაშრ. გვ. 52—60; აგრეთვე Furtwängler Beschreibung der Geschliffenen Steine im Antiquarium, Berlin, 1886, გვ. 9, გმ. 75.

³⁷ იხ. H. Walters, Catalogue of the Engraved Gems and Cameos, გვ. XXXIII; A. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. 7, 1—55

დინამიზმი და მოძრაობათა პლასტიკურობა, უფლებას გვაძლევს ეს ძეგლები იონიურ ცენტრებს დაუყუარებოთ, კერძოდ იონიური ოსტატების ნახელავად მივიჩნიოთ (სამივე ინტალიო-ბეჭედი ერთი ცენტრიდან წარმოდგება). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ იონიური სტილი გლობტიკურ ძეგლებს შორის ყველაზე უკეთ ინტალიო-ბეჭედებზე აისახა.

მეოთხე ბეჭედი, წვეროსანი მოცურაისა და მტაცებლის გამოხატულებით. ზემოხსენებულ ინტალიოებისაგან სტილისტურად, შესრულების მხრივ და შინაარსობრივადაც განსაკუთრებით დგას (იხ. გვ. 107, ტექნიკა). — ბერძნული ხელოვნების ძეგლებზე გავრცელებულ მრავალრიცხოვან ზღვისა და წყლის ღვიაებათა თუ უჩახულებს შორის (როგორც პირველხარისხოვან, ასევე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისა) ანალოგიური გამოხატულება არ ჩანს³⁸.

თავისებურად არის გადაწყვეტილი ბეჭდის ორნამენტული მხარეც — ჭრილა ჩარჩოს, გამოხატულების ირგვლივ, მინისებური პასტით ინკრუსტირებული „სალტე“ ცვილი³⁹.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების წამოყენება: მკრელის (რომელიც, როგორც ხელოვანი, ამავე სამარხში აღმოჩენილ ინტალიოთა მკრელებს ვერ გაუტოლდება) ნახელავის თავისებურება იმაზე მეტყველებს, რომ იგი სხვა სახელოსნოს წარმომადგენელია, არა იონიურისა და არც ბერძენი ოსტატის მიერაა შესრულებული (მღრ. ტექნიკა, გვ. 109, 110, 111).

რაც შეეხება საბეჭდავზე ამოკრილ გამოხატულებას — ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მისი წყლის ღვიაებად, ვარაუდით მდინარის ღმერთად განსაზღვრა⁴⁰. ფილოსტრატე უმტროსი რომ იხსენიებს: აქედან გამომდინარე ვასკენით, რომ ბეჭედი ავგილობრივ სახელოსნოშია ნაკვეთი.

ამრიგად, სამარხში აღმოჩენილი სამი ინტალიო იონიური წარმომოხი-საა, ერთი ინტალიო-ბეჭედი ადგილობრივი — არქაული ხანის გლობტიკის ნიმუშის წარმომადგენს, ხოლო ქარვის ოქმბრითი საბეჭდავი ბერძნულ ორიენტალიზირებული სტილის გემებს მიეკუთვნება.

ვასში. აღრნანტიკურ ხანაში, ორი ტიპის საბეჭდავი ყოფილა ხმარებაში — შესაკიდი და თითზე შესაკმელი. არსებული მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საბეჭდავთა მფლობელები, ისევე როგორც ანტიკური სამყაროს მმართველი წრეების წარმომადგენლები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გარეგნული ფორმის დახვეწილობასა და სიმსუბუქეს. საბეჭდავებად და გემებად ნატიფად ნაკვეთ ნივთებს ხმარობენ (ჭრილა ქვა

³⁸ მღრ. K. Shepard, The Fish-tailed Monster in Greek and Etruscan Art. New York 1940. შევნიშნავს ფართოდ აქვს შესწავლილი ხსენებული ტიპების წარმომავლობისა და ევოლუციის საკითხი (მგ. წ. 3000 — ეოდრე ახ. წ. IV საუკუნემდე). იხილავს არა მარტო ანტიკურ სემპარონო გავრცელებულ სხეებს, არამედ ძველ აღმოსავლურსა და სპირიტუალისტურ სტილებს.

³⁹ ლიტერატურაში არქაული ხანის ჭრილაგამოხატულებიანი ოქროს ბეჭდების მინანქრით ინკრუსტირების მხრივ ერთ შემთხვევას შევსწავლივთ, და ისიც არა ანალოგიურს. სხედლობა: ქ. რუბინისა და ქ. ბორდმანის მიერ გამოცემული, კვიპროსში მოპოვებული სემპარონო რელიეფურ-გამოხატულებიანი ოქროს ბეჭედი ივლისსხეება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მინანქარი გამოყენებულია ფილიგრანული ჩარჩოს „ენისებრი“ (როგორც მთა ქ. ბორდმანი უწოდებს) ბეჭდების შესაშვობად (იხ. G. Richter, Gems, ტაბ. 5.26, გვ.; J. Boardman, Archaic Finger Rings, Antike Kunst, 10 Jh., 1967, H. 1, გვ. 26, №1).

⁴⁰ მკრელს უფრო ახლოს ტიპი ორიგინალურად გაუზარებია.

ან ბეჭედი ერთსა და იმავე დროს საბეჭდავიც არის და სამკაულიც), რაც განსაზღვრავს საზოგადოების გემოვნებას, მის მხატვრულ მისწრაფებებსა და ერთგვარად, ეკონომიურ ღონესაც⁴³.

დამახასიათებელი ისიც არის, რომ აქ იონიური სკოლის — იონიის ბრწყინვალე სახელოსნოში შექმნილი საბეჭდავი-ბეჭდებია ნაპოვნი, რომლის ოსტატების ნახელავე მხოლოდ რჩეულთა და შემძლეათათვის უნდა ყოფილიყო მისაწოდოში. — იმ ოსტატებისა, რომლებიც ტონის მომცემნი იყვნენ, ახალ მეთოდებს იმუშავებდნენ და ახალ ტიპებს ქმნიდნენ, რომელთა გავლენის ქვეშ ანტიკური სამყაროს დიდი ნაწილი მოექცა. ოსტატებისა, რომელთა როლი განუსაზღვრელად დიდი იყო გლიპტიკის ხელოვნების განვითარებისა და მისი სწრაფი აღმავლობის საქმეში.

43. ვანის მდიდრულ სამარხს ნ. ხომტარია ზოგადად ძვ. წ. VI—V სს. ათარიღებს, რ. ფუ-
ფერიძე სამარხს ინვენტარის მიხედვით ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებსა და V საუკ. დასაწყისს
აკუთვნებს (იხ. მისი ხელნაბეჭდი «ვანი, 1961 წლის VI უბნის თხრის ანგარიში»).

არქაუული და „არქაიზირებული“ საბეჭდო-ბეჭდები ვანიდან

(1969 წელს მოპოვებული მასალები)

ვანში აღმოჩენილი გლიბტიკური მასალისა და ლითონის საბეჭდო-ბეჭდების შესწავლას ჩვენ სპეციალური გამოკვლევა დაეთმეთ (იხ. ვანის გლიბტიკური ძეგლები, 1967, ხელნაწერი), რომელშიც განხილული ვეჭვს არქეოლოგიური ძიებისას და შემთხვევით მოპოვებული ყველა ნივთი¹.

ჩვენი ყურადღება, იმთავითვე, მიიქცია შემდეგმა ვითარებამ: ყოველი ჰრილა ქვა თუ საბეჭდო, გარკვეული ინდივიდისათვის საგანგებოდ შესრულებულ საბეჭდავსა და სამკაულს წარმოადგენს. რომ იგი საერთო „ბაზრისათვის“ კი არ იყო გამიზნული, ანუ ფართო მომხმარებლისათვის განკუთვნილ „ბაზარზე“ კი არ არის შექმნილი, არამედ სპეციალური დაკვეთითაა შესრულებული. — შემოტანილი თუ ადგილობრივ სახელოსნოში დამზადებული. ამის დასასაბუთებლად თვით მასალა მეტყველებს: არც ერთი საბეჭდო-ბეჭდო ერთიმეორეს არ იმეორებს, თავისთავადი — უნიკალური ნაწარმოებია. ამ, რიცხობრივად მცირე, მასალაში საოცარი მრავალფეროვნებაა შინაარსობრივადაც და, მე ვიტყვოდი, სტილისტურადაც. ხოლო მისი მნიშვნელობა, როგორც ნივთიერი წყაროსი, განუზომლად დიდია: ძველი კოლხეთისა და ზოგადად საქართველოს, მხატვრული ხელოვნების დარგის — გლიბტიკის განვითარების საკითხების კვლევისას, კოლხეთის ადრეანტიკურ სამყაროსთან (სახელდობრ ძვ. წ. VI—IV სს) სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის; საბეჭდავთა გამოყენება-დანისწულების გარკვევისათვის და, აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესწავლისათვის.

ჩვენი კვლევის საგანს, ამჟამად, 1969 წლის არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში აღმოჩენილი ლითონის ფარაკიანი საბეჭდო-ბეჭდების ჩვეუთ

¹ ნ. შრომაში განხილულია 1947, 1957 და 1961 წწ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული და მოსახლეობაში შექმნილი მასალები (სულ 13 ნივთი), აგრეთვე ქართულ ხელოვნებას მუზეუმში დაცული 1917 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს საბეჭდო-ბეჭდო.

აქვე უნდა მადლობით მოვიხსენიოთ ვანის ექსპედიციის (1947—61 წწ. არქეოლოგიური კამპანიის) ხელმძღვანელი — განსვენებული ნინო ხოშტარია, რომელმაც შემოსწავლული მასალები გადმოგვცა დასამუშავებლად.

შეადგენს² (ყველა მათგანი სამარხებიდან წარმოსდგება — ორი მდიდრული სამარხისა: წარჩინებული კოლხი ქალისა—№ 11, წარჩინებული კოლხი მეომრისა № 9 და ბავშვის სამარხისა № 10. ჰუმუსნარეე თიხნარში ნაპოვნი ქრილა ბეჭედი გამოხაელების სახითაა წარმოდგენილი. იხ. გვ. 159—164)³.

ახლად გამოვლენილი მასალა კვლავ განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. საყურადღებოა იგი შინაარსობრივადაც და შესრულების თვალსაზრისითაც; სტილისტური თავისებურებებითაცა და თავისი მნიშვნელობითაც. ხსენებული ძეგლების მიხედვით, მათი მხატვრულ-ისტორიული ანალიზის შედეგად, შესაძლებელი იქნება დადგენა იმისა, თუ როდენ განსხვავებული იყო პერიოლიტიკური ფენის მატერიალური შესაძლებლობა. — რამდენად მაღალი იყო ეკონომიური დონე ადგილობრივი საზოგადოებისა, ვისთან ჰქონდა მას კულტურული ურთიერთობა. და ბოლოს — რა ტიპისა თუ სახის საბეჭდავს იყენებდნენ ისინი ყოფაში.

განსახილველი მასალა, მიუხედავად მისი მცირერიცხოვნებისა⁴, რთული განსასაზღვრავი აღმოჩნდა. რთულია იგი შინაარსობრივადაც და მხატვრულობის მხრივაც, განსხვავებული დამუშავების ტექნიკით. ახალმა ძიებამ კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ვანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრია: „ჯანია“, სადაც სხვადასხვა მიმდინარეობის სკოლებისა და საესებით თავისებური ნიმუშები „დაგროვილა“. აქ, საბეჭდავისათვის ანტიკურ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებული შინაარსის მქონე ინტალიოები კი არ შემოაქვთ, არამედ, როგორც დგინდება, ყოველი ცალკეული ქრილა ბეჭდისა და ქვისათვის სიუჟეტი წინასწარ გაუზარებიათ და შეურჩევიათ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ: ვანის საბეჭდავები განსაკუთრებული კატეგორიის ნივთებს წარმოადგენენ. — ჩვენი ვარაუდით, მათი ერთი ნაწილი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ინდივიდუალურ, ყოველდღიურად სახმარებელ, საბეჭდავებად. თავისი ხასიათის მიხედვით მათ ინსიგნიების მნიშვნელობა უნდა აქონოლათ.

ვიდრე ახლად აღმოჩენილი მასალების განხილვაზე გადავიდოდეთ, საკიროდ მიგვაჩნია მოკლედ დავახასიათოთ ძველი მონაპოვარი. სახელობრ, ძვ. წ. VI—V სს. დათარიღებული ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები და გემები⁵. არსებული ნივთიერი საბუთების მიხედვით, ვანის ტერიტორიაზე გავრცელებული საბეჭდავის ტიპი, ხსენებულ ხანაში, ძირითადად საბეჭდავი-ბეჭედი ანუ თითზე შესაცმელი საბეჭდავი (რომელიც ერთდროულად სამკაულსაც წარმოადგენდა, რაზედაც ნახელავის სინატიფე მტყუველებს) ყოფილა. თანაარსებობდა აგრეთვე ანტიკურ სამყაროში, ამ ხანაში ფართოდ გავრცელებული შესაცილი საბეჭდავიც. საბეჭდავის ეს ტიპი განსხვავებული ხასიათის ნიმუშე-

2 მასალა დასამუშავებლად გადმოგვცა ვანის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ოთ. ლორთქიფანიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვუხატებთ.

3 იხ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე დაეთარი.

4 ვანის ტერიტორიაზე, ერთხელად, დიდი რაოდენობით გლობტიური მასალა ვერ არ აღმოჩენილა.

5 ჩვენ ამ საკითხს ეხებით „ვანის გლობტიური ძეგლები“ (ხელნაბეჭდი, გვ. 1—3).

6 ჩვენ აქ არ შევუდგებით გვიანტიკური ხანის მასალების ვარჩევას, რადგან ისინი არ უკავშირდებიან ჩვენს თემას. ივლისსქება 1961 წელს გათხრილი სამარხის ინვენტარი, 1917 წელს შემოხვეული მოპოვებული ოქროს საბეჭდავი-ბეჭედი № 2363 და 1947 წლის შემოხვეული მონაპოვარი.

ბითა წარმოდგენილი: ერთი — ქალცედონის კრილა სკარაბეოიდი⁷, მეორე — ოქროს ღერაჯზე წამოკმული, კუბური ფორმის, ქარვის ორმხრივი ინტალო — ე. წ. მბრუნავი საბეჭდავიან⁸.

ბეჭდვებისათვის მასალად გამოყენებულია მაღალი ხარისხის ოქრო, რომლის შეფერილობა სხვადასხვაგვარია და, ჩვენის დაკვირვებით, „სიმთავრეტ“ განსხვავებული უნდა ჰქონდეს⁹.

ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეანშივეა მოპოვებული რამდენიმე ნაგზადი, — საბეჭდავის ამოსაქრელად გამიზნული სამი სკარაბეოიდი¹⁰ (სარდონისა, კვარცის ჭკუფის ქვისა და მოცისფრო-მწვანე „ფირუზისებრი“ ქვისა), რაც უფლებას გვაძლევს ვანში, ან მის ახლო მდებარე ტერიტორიაზე, ქვის აქრელი სახელოსნოს არსებობა ვივარაუდოთ¹¹. ზემოხსენებული მოსაზრების შტკიცებისათვის, საბუთად, ადგილობრივ სახელოსნოში ამოჭრილი, ქერაქუსს გამოხატულებიანი¹², ე. წ. VI საუკუნის მიწურულითა და V საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ქალცედონის სკარაბეოიდი გამოგვადგება.

ბეჭდების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საბეჭდავი-ბეჭდების ერთი ჭკუფი იონიური სახელოსნოებიდან გამოსული ნახელავია. მასალაში (ტრაქულენის სახით) არქაული, ორიენტალიზირებული და კლასიკური ხანის ბერძნული ხელოვნების (ატიკის უცნობ სახელოსნოში ამოჭრილი) შესანიშნავი ნიმუშებია წარმოდგენილი¹³. შესრულების ტექნიკის მხრივ — დახვეწილი და სრულყოფილი. ყველა ბეჭედს (სამარხეული ინვენტარი იგულისხმება)¹⁴ ტაბიტი არქაული ფორმა აქვს: ბოლოებწაწვეტილებული ოვალური ფარაკი, რომლის იღნავი გაწვივებული რკალი ქვედა ნაწილში გამსბელებულია (იხ. სურ. 131).

ამრიგად, ვანს იონიისა და ბერძნულ, პირველხარისხოვან, ქვისსაქრელ სახელოსნოებთან ჰქონია უშუალო კავშირი. ხოლო ხსენებულ სახელოსნოებში შექმნილი ნაწარმოებები, მხატვრული და მატერიალური ღირებულების თვალსაზრისით, როგორც ამას წინადაც აღვნიშნავდით, ხელმისაწვდომი იყო მაღალი ფენის, მხოლოდ დიდი შესაძლებლობების მქონე წარმომადგენლებსათვის.

⁷ სკარაბეოიდს, რომელზეც პერაქუსს მეცხრე გმირობა უნდა იყოს გამოხატული, ჩვენ ადგილობრივ ნახელავად მივიჩნევთ. იგი 1947 წლის შემთხვევითი მონაპოვარია. დაწვრილებით იხ. ჩვენი ხელნაბეჭდი ვანის გლიპტიკური ძეგლების შესახებ.

⁸ ნოთი 1961 წელს გათხრილი სამარხიდან მოპოვდა. ჩვენ მას ბერძნული „ორიენტალიზირებულ“ ჭკუფის გემებს ვაკუთვნებთ. იხ. ჩვენი, საბეჭდავები წარჩინებული კოლხ-ქალს მხ. სამარხიდან. ამავე კრებულში, გვ. 112—113.

⁹ სურ. ერთმანეთს მდიდრულ სამარხში მოპოვებული ბეჭდები და აგრეთვე № 2363 ბეჭედი.

¹⁰ მსგავსი აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია საქართველოს სხვი ცენტრებშიც: მესხეთა-არმაზისხევში, ურბნისში, ნოსირში (იხ. მარგ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბილისი, 1969, გვ. 56; მ. ლორთქიფანიძე, არმაზისხევისა და ზეინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1958, გვ. 21—22, 52—54).

¹¹ ამ სკოლთან დაკავშირებით იხ. ჩვენი შრომა ვანის გლიპტიკური ძეგლების შესახებ.

¹² მასალის განსაზღვრისას არსებითი მნიშვნელობა ამ ფაქტორსაც აქვს.

¹³ იგულისხმება 1917 წელს ნახელვდიანთ ეზოში ნაპოვნი ბეჭედი.

¹⁴ 1917 წელს აღმოჩენილი ბეჭედი ფართო ფარაკიანია.

1969 წლის მონაპოვარი გამოირჩევა იმით, რომ მასში დიამეტრალურად განსხვავებული ტიპისა და მასალის საბეჭდავი-ბეჭდები წარმოდგენილი. მდიდრული სამარხის — კოლხი წარჩინებული მეომრის ინვენტარში ოქროს საბეჭდავი-ბეჭდებთან ერთად მიცვალბულისათვის, თანაბარი რაოდენობის, ვერცხლის ანალოგიური ნივთები ჩაუყობებიათ. პირველად, აგრეთვე ნაპოვნი ვანში ბრინჯაოს კრილაფარაკიანი ბეჭდებიც.

წარჩინებული კოლხი ქალის სამარხისეული ოქროს ბეჭედს ტაპიურა : რ-ქაული ფორმა აქვს, მსუბუქი და დახვეწილი, ხელზე სატარებლად მოსახერხებელი¹⁵ (ოვალური, წაწვეტებული ფარაკი და მრგვალი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული რკალი. იხ. სურ. 133).

კოლხი მეომრის ყველა საბეჭდავი-ბეჭედი წარმოადგენს დიდ — ფართო ფარაკიან და დაწახნაგებულ რკალიან „დამძიმებულ“ ფორმის (მ. ლ.) მასიურ ბეჭდებს (იხ. აღწერილობა, გვ. 130, 133, 135, სურ. 133ა, ვ) მეტ-ნაკლებად განსხვავებული სისქისას. ხსენებული ფორმა ადრეანტიკური ხანისათვის არის დამახასიათებელი, სახელდობრ, ძვ. წ. V—IV სს (შუაწლებამდე): ხოლო ჩემი დაკვირვებით, მხოლოდ და მხოლოდ კრილაფარაკიანი ბეჭდებს შორისაა გავრცელებული¹⁶.

რაც შეეხება ბრინჯაოს საბეჭდავებს (ბავშვის სამარხსა და ჰუმუსნარევი ფენიდან) — ისინი რკალგახსნილი ბეჭდების ორი სახესხვაობითაა წარმოდგენილი: ერთი — ბრინჯაოს თხელი ერთიანი „ფურცლისაგან“ არის გაკეთებული, პირი პირზე გადასული ბეჭედია (იხ. აღწერილობა, გვ. 159, ტაბ. 133, 7); მეორე მრგვალფარაკიანია, პირი პირთან მისული განზიდულრკალიანი (იხ. აღწერილობა, გვ. 155—156, სურ. 5).

წარჩინებული კოლხი ქალის სამარხის ეთენილი ბეჭედი შესწავლილ ინტალითა შორის ყველაზე ადრეულია¹⁷, ამდენად მასალის განხილვასა და ანალიზს ამ ძეგლით ვიწყებთ. — იგი თავისი გარკვეული ფორმით იმეორებს № 6 მდიდრული სამარხის ბეჭდებს, იმავე ტიპისაა (შდრ. სურ. 131) სტილისტურად იმავე წრეში თავსდება, — შესრულების თაღისებურებითა და სტილით არქაულ ბერძნულ გლიპტიკეს უკავშირდება.

არქაულ ხანაში კრილა ქვების გარდა მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო ხმარებაში ლითონის ფარაკიანი ინტალიო-ბეჭდები. კლასიკური პერიოდის ლითონის კრილა-ბეჭდებისგან განსხვავებით, ხსენებულ ხანაში, ფორმათა შედარებით მეტი მრავალფეროვნება ჩანს¹⁸; ხოლო რაც შეეხება შინაარსს — მას სტილისტურად და სიუჟეტურად, თანადროული ვაზების მხატვრობასა და სკულპტურაში უკეთ ეძებნება ანალოგიები, ვიდრე იმავე ხანის ქვის სკარაბებში¹⁹.

¹⁵ ვფიქრობთ, რომ რკალდაწახნაგებული ბეჭდები მდმიად ძნელი სატარებელი უნდა ყოფილიყო. ამდენად მათ პრაქტიკული დანიშნულებისა და საგანგებო შემთხვევებისას მოსაზარებელ ბეჭდების რიგს ვაკეთებთ.

¹⁶ საიუველირო ხელოვნებისა და ოქრომკვდობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, როგორც საბჭოურში ასევე უცხოურში, ანალოგიური ფორმის ბეჭდებს შორის სადაფარაკიანი არ შეგახვდრია. როგორც წესი, ყველა ინტალიო ან, იშვიათად რელიეფურგამოსახულებიანია.

¹⁷ იგულისხმება სამარხეული საბეჭდავი-ბეჭდები.

¹⁸ იხ. J. Boardman, Archaic Finger Rings. Anlike Kunst, 10 Jahrgang. 1967, Heft. I, 23-3.

¹⁹ იხ. J. Boardman, დასახ. ნაშრ., იქვე.

არქაული ბერძნული გლობტიკა ძვ. წ. 600—480 წწ. ისაზღვრება. — პე-
როლით, რომელიც ბერძნული გლობტიკის აღმავლობის ეპოქად ითვლება²⁰,
ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში (ვაზების მხატვრობაში, სკულპ-
ტურაში) გლობტიკაზე განვითარების იგივე გზა განვლო — სტილიზაციიდან
ნატურალიზმამდე²¹.

არქაულ გლობტიკაში ზოგიერთი მკვლევარი ორ ძირითად ეპოქას გამო-
ყოფს: წმინდა არქაულს ძვ. წ. 600—500 წწ. და გარდამავალ ეპოქას ძვ. წ.
500—480 წწ. (ანუ ადრეული და გვიანდელი არქაული ხანა)²².

არქაული ჯგუფის კრილა ქვებისა და საბექდავების წარმოშობისა და მი-
სი განვითარების ისტორიას ადრე ფურტვენგლერმა, თავის ფუნდამენტა-
ლურ ნაშრომში *Die antiken Gemmen* გარკვეული ადგილი დაუთმო. ა. ფურ-
ტვენგლერს მიაჩნია, რომ ბერძნული არქაული გემების უდიდესი ნაწილი
იონიელი მკრელების შესრულებულია²³. სტილისა და კვეთის თავისებურების
გარდა ამას, გემებზე ამოჭრილი — იონიური ასოებით შესრულებული — წარ-
წერებიც ადასტურებს²⁴.

მკვლევარმა ცალკე გამოიყო გემების ის რიგი, რომლებშიც, მისი აზრით,
ძალიან თვალსაჩინოა, ზოგჯერ გაბატონებულიც, ფინიკური ხელოვნების ელე-
მენტები²⁵. მაგრამ, როგორც ამას ჯ. ბორდმანი აღნიშნავს. ვერ შეძლო (ჩე-
მი აზრით, სათანადო მასალების უქონლობის გამო) ზუსტად განესაზღვრა:
თუ — ბერძნული ქვეყნიებიდან სახელდობრ რომელში და რა დროს წარმო-
იშვა ანალი სტილები²⁶.

ამ მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდის მასალების მიმართ, მრავალ-
რიცხოვან გემების კატალოგებში²⁷, განმსაზღვრელ-განმასხვავებელ ტერმინე-
ბად გამოყენებულია „ბერძნულ-ფინიკური“ და „ფინიკური“. პრობლემის
შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ინგლისელ მკვლევარს ჯონ
ბორდმანს²⁸, რომელმაც ახლებურად და ძალიან ფართოდ წარმოგვიდგინა
არქაული გლობტიკის — გემა-საბექდავთა კლასიფიკაცია.

²⁰ *cf.* D. Osborne, *Engraved Gems*, New York, 1912, გვ. 36; — A. Furtwängler, *Die antiken Gemmen*, Leipzig, 1900, B. III, გვ. 182.

ძვ. წ. VI საუკ. ბერძნული ნაციონალური ხელოვნების ზოგად დახასიათებას, ისევე როგორც ამ ხანის გლობტიკას, ჩვენ დიდ ადგილს უეთმობთ ჩვენს შრომაში „ენის გლობტიკური ევლემები“. ამდენად ამ საკითხს აქ აღარ შევეხებით.

²¹ *cf.* G. Richter, *Catalogue of Engraved Gems. Greek, Etruscan and Roman*. Metropolitan Museum of Art, Roma, 1956, გვ. 7.

²² *cf.* D. Osborne, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 36; G. Richter, *დასახ. ნაშრ.*

²³ *cf.* A. Furtwängler, *Die antiken Gemmen*, III, გვ. 80—82. იგივე შეხედულებისა G. Richter-ის *დასახ. ნაშრ.*

²⁴ *cf.* D. Osborne, *Engraved Gems*, გვ. 43—44; M. Collignon, *L'archéologie grecque*, Paris, 1907, გვ. 247.

²⁵ J. Boardman, *Arcnaic Greek Gems. Schools and Artists in the Sixth and early Fifth centuries BC*, London, 1968, გვ. 9.

²⁶ *cf.* J. Boardman, *Arcnaic Greek Gems*, გვ. 9.

²⁷ უცხოური გამოცემები იგულისხმება.

²⁸ *cf.* J. Boardman, *Arcnaic Greek Gems: მსოფ. Archaic Finger Rings*, და *Etruscan and South Italian Finger Rings in Oxford*, Papers in the British School at Rome, v. XXXIV (New Series vol. XXI), 1966.

შედარებით და მხატვრული ანალიზის საფუძველზე იგი ცალკეულ სკოლებსა და მიმდინარეობებს გამოჰყოფს, რომელთა შორის მნიშვნელოვანს შემდეგი ჯგუფები შეადგენს: „აღმოსავლური“²⁹, „ეტრუსკული“, ანუ „ეტრურიაში“ შესრულებული ნახელავი, „პენიკური“ — დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებში მოპოვებული გემების ჯგუფია გაერთიანებული. ამათგან „ბერძნულ-პენიკური“ ჯგუფი იმ გემებს აერთიანებს, რომლებიც ბერძნულია შინაარსობრივადაც და კვეთის სტილითაც. „ფინიკურისა“ და „ბერძნულ-ფინიკურში“ ჯ. ბორდმანს გამოყოფილი აქვს აღმოსავლეთიდან წარმომდგარი ქრილა ქვები; „კვიპროსული“³⁰. თავის მხრივ ზემოთხამოთვლილ ჯგუფებში „განშტოებები“ გამოცალკევებული სტილისა და კვეთის მანერის გათვალისწინებისადა მიხედვით, რითაც, იგი, გარკვეული სკოლებისა და სახელოსნოების არსებობას ადგენს.

არქაული პერიოდის მთელ მანძილზე ბერძნული სამყაროს წამყვანი (უმთავრესი) ქვისსაქრელი სახელოსნოები კუნძულეზზე (სახელდობრ: მელოსზე, პაროსზე, დელოსზე, შესაძლოა ევბეაშიც), იონიასა და კვიპროსზე, არსებობდა³¹.

1. 1969 წლის არქეოლოგიური კამპანია, ნაკვეთი 104, წარჩინებული კაზის ქალის სამარხი № 11, საველე № 3—69/404. ფარაქიანი ბეჭედი-ინტალიო³², მუქი ყვირელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული³³.

მრგვალი, ქვედა ნაწილში გამსხვილებული³⁴, რკალი ფარაქის მიმართულებით წერილდება და წაწვეტებულობობიან ოვალური მოყვანილობის ქრილა ფარაქში გადადის. ბეჭედი გვერდებისკენ განზიდულია (სურ. 133).

ფარაქი შედარებით სქელი ფირფიტისაა (2 მმ სისქისა). პირი ცენტრში ბრტყელია, ხოლო წაწვეტებული ნაწილი (ფარაქისა) იგვეარადაა „მოღუნული“, რომ „მდინარა“ შეუმჩნეველი რელიეფით გადადის რკალში. ამიტომ ცენტრალური ნაწილი ფარაქისა უფრო (მართალია, მცირედ) მაღალია ვიდრე მისი თავი და ბოლო (ამის გამო ანაბეჭდზე, გამოხატულებიანი ნაწილი თითქოსდა ჩადრეკილია).

ბეჭედი ჩამოსხმულია თუ ნაჭედი ჭერჭერობით ამისი კატეგორიული მტიყება შესაძლებლად არ მიგვაჩნია³⁵. მაგრამ ერთის აღნიშვნა აქვამა-

²⁹ ეგვიპტური გემები ხსენებულ ჯგუფში არ შედის.

³⁰ ფინიკური და ბერძნულ-ფინიკური გემები არ იგულისხმება.

³¹ იხ. J. Boardman, *Archaic Greek Gems*, გვ. 171—172. ჯ. ბორდმანს შეესაღებლად მიაჩნია იმის დაშვება, რომ ასეთი სახელოსნოები არ იყო მატრიკულ საბერძნეთში. ანდა რომ გვიან VI საუკ. ათენში, განვითარებული ზელოსნობის სხვადასხვა დარგებს შორის — ეს სახე არ იყო წარმოდგენილი.

³² სამარხში ოთხი მიცალკეული იყო დასაფლავებული; ბეჭედი წარჩინებული ქალის ჩონჩხთან არის ნაოუნი. სამარხი წარმოადგენდა კლდეან დედაქანში ამოკეთებულ ორმოს, რომელშიც ხუთსაკოფავი უფილა ჩადგმული (ორმო 92 მეტრი სიღრმისაა. საკოფავი დიდი რკინის ლურსმნებით იყო შეკრული). საკოფავის გვერდით ნაოუნიც ცხენის ჩონჩხი (იხ. ვანის 1969 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში).

³³ ზომა: ბეჭდის დიამ.—14—19 მმ, ბეჭდის სიმაღლე—20 მმ, ფარაქის სიგრძე—17 მმ, განი—7 მმ, ინტალიოს სიგრძე—17 მმ; განი—6 მმ. რკალის სიკე—3—2—1 მმ. დაკუთვლა: ბეჭედი კარგი შენახულია.

³⁴ რკალი გარედან. თითქმის ცენტრში თვალსაჩინოდ ამოპერტულია, რაც მასიურობას მხატვრულ ბეჭდის ამ ნაწილს. — საგანგებოდ შერჩეული ფორმაა რკალისა.

³⁵ საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის სათანადო ანალიზური მასალები ფართო შესწავლას მოითხოვს.

დაც შესაძლებელია: აქა-იქ ფარაისა და რკალის შეერაობის ადგილას „ნაკრავი“ ჩანს. ასევე სანჯრების ადგილას.

ფარაის პირზე გამოხატულია ფანტასტიკური — სინკრეტული არსება, რომელიც ძველად ექვემდებარება ახსნას.—მასში შერწყმულია მტაცებელი ცხოველისა და ადამიანის სხეულის ნაწილები. სახელდობრ: იგი წარმოადგენს „გაწოლილი“ ადამიანის ფიგურას პირაშემული მტაცებლის თავითა და წინა კიდურებით. არსება კუხიანია. სხეულის წინა ნაწილის აგებულების მიხედვით (თავის ფორმისა, დრუნჩისა, წინა კიდურისა, რომელიც თავის წარმოადგენს. და, აგრეთვე ფეფარისა) ძუ ლომის პროტომა უნდა იყოს (იხ. სურ. 132j).

წინა კიდურებისა და ფეხების მდგომარეობის მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არსება მიტურავს. აქედან გამომდინარე შეიძლება გვეფიქროს, რომ ბეჭედზე წყლის ურჩხულის ერთ-ერთი თავისებური ტიპი უნდა იყოს ამოკრილი, რომელსაც ჩვენ პირობითად „ლომკაცს“ ვუწოდებთ³⁶.

„ლომკაცს“ დიდი თავი აქვს, სქელი კისერი, წინ გადმოგდებული ფართო ენა; ღონიერი და გრძელი ტორი. წელეიწროა. ფეხები მკვეთრად განსხვავებული სისქისა აქვს.—მარჯვენა ფეხი პროპორციულად საესებით შეესაბამება არსების მთელ ფიგურას. ხოლო რაც შეეხება მარცხენა ფეხს — იგი შეუსაბამოდ წერტილია³⁷. დაბალი ფაფარი მოკლე-მოკლე ხაზებითაა გადმოცემული, კისერზე — სქელი პორიზონტალური ხაზებითაა შესრულებული, ხოლო კეჩნოზე ყალზე დგას. თვალი პირობითადაც კი არ არის აღნიშნული.

კისერზე „ლომკაცს“, მკერდის გასწვრივ, რაღაც გაურკვეველი „სახიანი“ პაწია „რგოლი“ აქვს დამაგრებელი.

„ლომკაცის“ სხეული სამ ძირითად მასალ არის დაყოფილი, რომელიც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი. — გადასვლა ერთი ფორმიდან მეორეზე მკვეთრია და ტლანქი. გამოხატულება ორმაგ წერტილოვან ჩარჩოშია ჩანმელი. — იგი მთლიანად ავსებს ჩარჩოს შიგნით მოქცეულ წაწვეტილ ოვალურ პირს.

ტექნიკა:

ტლანქი, ერთიანად არაღრმად ნაკვეთი გამოხატულება სხვადასხვა სიღრმითაა შესრულებული — მაგრამ იმდენად მკაფიოდაა ამოკრილი, რომ ერთი შეხედვით ღრმად ნაკვეთი ნახელაის შთაბეჭდილებას ახდენს და შედარებით „მზალა“ რელიეფის ანაბეჭდს იძლევა.

ნაჯტი სტილზეხებულია. კეთა სქემატურობითა და ფორმათა სუმარული გადმოცემით ხასიათდება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფეხების სისქე-სიღრმის შესაბამობას, სხვა მხრივ პროპორციები, თვით ნახელავთან შედარებით, რამდენადაც შესწევდა ამის უნარი ინტალიოს მჭრელს, დაცულია.

³⁶ მაგრამ ისიც დასაშვებია, რომ აღწერილი სინკრეტული არსება გარდაქმნულ ადამიანს წარმოადგენს.

³⁷ დაეკრძების შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მჭრელს მარცხენა ფეხის აპირა თუფარბეულად განსაზღვრული ჰქონდა მარჯვენა ფეხის ზემოთ (იხ. ტორისი ქვედა ნაწილი). მაგრამ მან, როგორც ჩანს, ვერ მოახერხა ადგილის სიმცირის გამო ფეხის ისეთი მდგომარეობაში გამოხატვა როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. ამიტომაც იგი „ღის-პროპორციული“, მთელ ფიგურასთან შეფარდებით. — მჭრელი აქაც ვიწრო ზოლში უნდა ჩატეულიყო.

მკრელს რამდენიმე საკრისი აქვს გამოყენებული³⁸: ბრინჯაოს ნემსი, საკრისი სწორკუთხოვანი წვერით, საკრისი მომრგვალებული წვერით და შესაძლოა, — bronze-მსგავსი საკრისი. აგრეთვე პატარა boulerolle-ი ან boulerolle-ისებრი საკრისი.

მიუხედავად გარკვეული სუმარულობისა კვეთში — იგი გაბედულია და ნაინე მკაფიოა. როდესაც გამოხატულებას დედანზე ათვლიერებ ხედავ, რომ იგი შედგენილია ცალკეული ამოდრმავებული ნაწილებისაგან — მასებისაგან. ეს მასები ერთმანეთისაგან თითქოს და ძვიდებით არის გამოყოფილი. მკრელს არ უღლია მათი „მოპირკეთება“, რაც, როგორც ჩანს, მკრელის კვეთის მანერით უნდა იქნეს ახსნილი.

ანაბედულზე ეს მკვეთრი გადასვლები უფრო შერბილებულია და ნახატით ერთიანია, ხოლო კვეთის ხსენებული ხეარხი თვით ნახატს სკულპტურულობას კმატებს.

წარტილოვანი ჩარჩო სხვადასხვა იარალითაა ამოჭრილი. სახელდობრ: პაწია boulerolle-ით, ნემსისებრი საკრისით, პაწია სწორკუთხოვანი წვერითა და ბრინჯაოს წმინდა ნემსით.

აღწერილ საბედულზე-ბეჭედზე წარმოდგენილი სინკრეტული არსება, გარეგნულა იერით ძალიან განსხვავებული და თავიებუტრია. ჩვენ მას, ჭერჭერობით, ვერც პირდაპირი და ვერც შესაბამისი ანალოგია ვერ მოვუძებნეთ ურჩხულთა და სინკრეტულ არსებათა მრავალრიცხოვან გამოხატულებათა შორის³⁹.

ცხოველისთავიანი ადამიანის ფიგურები ბერძნული არქაულ გლოტიკაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი (ჭიქისთავიანი⁴⁰, ტახისთავიანი⁴¹, ხარისთავიანი⁴², ირმისთავიანი⁴³, ვირისთავიანი⁴⁴, ძაღლისთავიანი⁴⁵, კურდღლისთავიანი⁴⁶ და ა. შ.) გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხსენებულ ურჩხულთა გამოხატულებების გავრცელებას აღმოსავლურ-ბერძნულ ხელოვნებაში ხელი შეუწყო იმან, რომ ბერძნებისათვის ეგვიპტური ცხოველისთავებიანი ღვთა-

³⁸ აქვე გვინდა შენიშნოთ, რომ საკმაოდ რბილი ჩანს.

³⁹ ერთი პირობა ჩვენ დავეხადა ახრი, რომ შესაძლებელია ბეჭდის ფარაქზე ჰერაკლეა ამოჭრილი, რომელიც რომელიღაც გვირობის შესრულებას შეეღდა, ანდა მის შესარულულად ეშაღდა, და რომ ლოპის თვით, ამ შემთხვევაში, გპირის მუხარაღს წარმოადგენს. რომ მას სხვა რამ ატრიბუტე ჰქონოდა, შეიძლებოდა იგი, მართლაც, ჰერაკლედ მიგვეჩნია. მაგრამ ჩვენთვის ცნობილი არ არის მსგავსი შემთხვევა, ამდენად ამგვარი განსაზღვრისაგან თავს ვიკავებ.

⁴⁰ A. Furtwängler. Antiken Gemmen, ტაბ. VIII, 12: —ბი.იე, Beschreibung der Geschnittenen Steine im Ant. quar. um, Berlin. 1897, ტაბ. 4, გვ. 154.

⁴¹ იბ. J. Boardman, Archaic Greek Gems, ტაბ. XXXVII, 577.

⁴² იბ. J. Boardman, დ.ს.ბ. ნაშრ., XXXVII, 576; —A. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. VII, 41; —F. Lajard, Recherche sur le culte public et les mystères de Mithra en Orient et en Occident, Paris, MDCCCLXVII, ტაბ. 68, გვ. 11.

⁴³ იბ. P. Fossing, Catalogue of the Antique Engraved Gems and Cameos. The Thorvalsen Museum, Copenhagen, MCMXXIX, ტაბ. II, 83.

⁴⁴ იბ. J. Boardman, დ.ს.ბ. ნაშრ., 104, ტაბ. XX, 23.

⁴⁵ იბ. J. Boardman, დ.ს.ბ. ნაშრ., გვ. 155, ტაბ. XXXVII, 585; Lippold, Gemmen und Kameen des Altertums und der Neuzeit, Stuttgart, ტაბ. 80, გვ. 11; —A. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. 67, გვ. 7.

⁴⁶ იბ. J. Boardman, დ.ს.ბ. ნაშრ., გვ. 157.

ებები კარგად იყო ცნობილი⁴⁷. ცხოველები, რომლებიც ადამიანებისა და ღვთაებათა პაროდიას წარმოადგენენ ღამიანობისებური ეგვიპტური და ახლანდელი აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის⁴⁸; აგრეთვე, როგორც ჯ. ბორდმანი აღნიშნავს. ეზოპეს⁴⁹ სამყაროსათვის, რომელშიც „ცხოველები ადამიანებით იქცევიან“.

ზემოსხნებული გემების ერთი სერია ოდისევსა და მის გრძნებით შექმნილ თანამგზავრებს უკავშირდება⁵⁰; ზოგს მითოლოგიური შინაარსი აქვს ჩაქოვილი. რომლის წარმოქმნაში მონტავერის ტიპია გათვალისწინებული⁵¹. რივი გემებისა კი წარმოსახვით ამბებთან — ზღაპრულ სამყაროსთან არის დაკავშირებული, რომელიც აღმ. საბერძნეთისთვის იყო ცნობილი.

აქაულ ბერძნულ ხელოვნებაში ცნობილია სხვა, ისეთი, „არასრული“ ურჩხულები, რომლებსაც არა აქვთ აშკარა კავშირი კირკეს შესახებ ან სხვა რამ თქმულებებთან⁵². ამრიგად სინკრეტულ გამოხატულებათა რიგი წარმოსახვითი წარმოშობისაა. მზიდარი ფანტაზიის ნაყოფია⁵³.

ენის საბუთად-ბუქვებზე ამოჭრილ გამოხატულებას რომ რამდენადმე შეუი მოვინოთ-საუიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ძველი ბერძნული თქმულების მოტანა: კირკე (Κίρκη), მზის ასული, კოლხეთის მეფის აიეტის და, გრძნულ ქალადა ცნობილი⁵⁴. მას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი როგორც „ოდისეაში“⁵⁵, ასევე არგონაუტების შესახებ არსებულ თქმულებებში⁵⁶. იგი

47 იხ. J. Boardman, *Archaic Greek Gems*, გვ. 105.

48 ეგვიპტურ და ახლანდელსავე ხელოვნების ძეგლებზე ცხოველისთავიანი კაცები ღიჯი რაოდენობითაა გავრცელებული.

49 იხ. J. Boardman, *დასახ. ნაშრ.*, იქვე. საუბარია ფრიგიელ მონაზე, იგავთმზუველზე. იგავთმზურაზე, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნეში სამოსზე ცხოვრობდა. იგი არქაული პერიოდის ბერძნული ლატერატურის წარმომადგენლად ითვლება (П. М. Тронский, *История античной литературы*, Ленинград, 1943)

50 იხ. P. Fossing, *Thorvaldsen Museum Catalogue of the Engraved Gems*, გვ. 41, ტაბ. II, 8. A. Furtwängler, *Antiken Gemmen*, I, ტაბ. 18, გან. 44.

51 როგორც ჩანს. ძალისთავიანი მამაკაცის წარმოქმნაში ხსენებული ტიპი უნდა ვეიოთ (J. Boardman, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 157).

52 J. Boardman-ი (დასახ. ნაშრ., გვ. 156, 157) ამ ტიპის ურჩხულებად მიიჩნევს: ღმრის მძღის კედით (როდისულ შეფიფერიან ვაზზე გამოხატულს, გვ. 157), კურღალისთავიან მამაკაცს (ფიგურაში აღმოჩენილს), ქიქაცს, მელისში აღმოჩენილი სტატიკის სერაზე. (იხ. A. Furtwängler, *Antiken Gemmen*, ტაბ. 8, 12; — J. Boardman, *Archaic Gems*, გვ. 116, 157, აღწერაში 355) და ა. შ.

ქ. ბორდმანი დასაშვებად მიიჩნია, რომ მელისის სკარაბები ქიქაცის გამოხატულებით „რომელიც მზრღის სირიოსის ΣΥΡΙΒΣ—სურსებზე არის შესრულებული. ხოლო სტატიკის სერაზე, კურღალისთავიან მამაკაცს მიუხედავად იმისა, რომ იგი ეკუთვნის წარმოშობისაა.

53 ევ. წ. VII საუკუნეში ურჩხულთა კომპოზიციები თავისებურებით გამოირჩევა.

54 P. Grimal, *Dictionary de la Mythologie Grecque et Romaine*, Paris, 1951, სტ. 100 „Circé (Κίρκη)“, გვ. 94. a, b. — R. Ménard, *La Mythologie dans l'art ancien et moderne*, Paris, 1878, გვ. 765—766.

55 *Одиссея*, X, 133—571.

56 *Аполлобий Родосский*, *Аргонавтика*, IV, 559—754. (გრ. წერეთლის ბრძანებით, 1954 წლის გამოცემა).

ტირენის ზღვაში კუნძულ ვაზე (სიცილიის მახლობლად) ცხოვრობდა⁵⁷. საუცხოო ღია ხვეულთმიან⁵⁸ ჯადოქარს, სხვა თვისებების გარდა, უნარი ჰქონდა ადამიანები სხვადასხვა ცხოველებად გარდაექცია. ამ მიზნისათვის კირკე თავის მომზადებულ სამსალსა და ჯადოსნურ კვერთხს იყენებდა ხოლმე⁵⁹.

ზემონსენებულის საილესტრაციოდ, ჰომეროსის მიერ მოთხრობილ, ოდისეის ერთ-ერთ თავგადასავალს შევხებით: „ლესტრიგონები ქვეყანაში მომხდარი თავგადასავლის შემდეგ ულისი და მისი თანმხლებლები კუნძულ ეიას მიადგნენ⁶⁰. კენკისყრის შემდეგ ულისმა ოცდამდე თანმხლები ამხანაგი, ევრილოქეს ხელმძღვანელობით, კუნძულის დასაზვერად გაგზავნა — თუ ვის ეკუთვნოდა იგი. კუნძულის სიღრმეში ზღეოსნები თლილი ქვისაგან ნაგებ სასახლეს წააწყდნენ. სასახლის ირგვლივ მდებარე მიდამოში მათ მოშინაურებული მხეცები (ლომები, მგლები) ლაქუცით შემოეყარნენ. სასახლიდან შესანიშნავი სიპლერის ხმა მოისმოდა. — კირკე საქსოვ დაზვას უჭდა და გალობდა. მგზავრები შეეხშიანენ; სასახლის მფლობელმა გაიგონა რა მოსულთა ხმა — გამოუგება და შინ შეიპატოჯა. იქვით შეპყრობილი ევრილოქე გარეთ დარჩა, რათა თვალყური ედევნებინა თუ რა მოპყვებოდა ჰელიოსის ასულის გულლია შეხედრას. კირკე სტუმრებს გაუმასპინძლდა, ფილებით მირთმეულ ლინიოში კი ჯადოსნური სამსალა ჩაუყარა. — დაცალეს თუ არა სასმისები, გრძნეული ქალი ყოველ მათგანს კვერთხით შეეხო — ყველა ღორებად გარდაქცია, ხოლო გონება ადამიანისა შეუნაჩუნა⁶¹; ღორებად ქცეული ოდისეისის თანამგზავრები საღორეში შეაგდო.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მითის დაწერილებით თხრობას, რადგან მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი გვაინტერესებს, ამიტომ ჩვენთვის საყურადღებო ადგილს მოვიტანთ: მომხდარი უბედურება ოდისეეს გადარჩენილმა ევრილოქემ შეატყობინა, რომელიც მაშინვე კირკეს სასახლისაკენ გამოემართა: გზათ ჰერმესი შეხედა და ასწავლა თუ როგორ უნდა დაედგინა თავი

57 იხ. გრ. წერტილის კომენტარები (Примечания) დართული An. Poet., Argonautika, გვ. 227, IV, 559.

ხსენებული კუნძულის ადგილმდებარეობის შესახებ ავტორთა შორის განსხვავებული აზრი არსებობს: პ. გრიმალი კუნძულის „ასრებობას“ ლაციუმის სამხრეთით ვარაუდობს და დღევანდელ მონტე-ცირეოდ (Monte - Circeo) მიიჩნევს (P. Grimal, დასახ. ნაშრ., გვ. 94a, 4a). ბერძნების წარმოდგენაში „მითური კუნძული“ საღვთო დასაუბლოში ზღვის უკიდურეს ნაპირზე მდებარეობდა (Трипечни-Вальдифель Имре, Мифология Москва. 1959, გვ. 332).

ოდისეას ციკლის თქმულებაში ვიკილიაში მდებარეობდა (იხ. P. Grimal, დასახ. ნაშრ., იქვე).

58 ამ ეპითეტებით ჰყავთ შემოული კირკე ჰომეროსსა და აპოლონიოს როდესაც.

59 ოდისეა, XI, 234—240; П. Овидий Назон, Метаморфозы, XV, 263 — 285. (აკადემიური გამოცემა), Москва, 1937.

60 ოდისეა, X, 135—415.

61 ... «Чинном гостей посадивши на кресла и стулья, | Ширцея смесил из сыра и меду с ячменной мукой и с прашейским | Светлым вином подала им, подсыпав волшебного зелья | В чашу, чтобы память у них об отчизне пропала; когда же | Ею был подан, я ими отведен напиток, ударом | Быстрым жезла загнала чародейка в свиную пакуту | Всех: очутился там каждый с шетишстой кожей, с спиною Мордаи и с хрюканьем свиным, не утратив однако, рассудка». ოდისეა, X, 233—240. (კ. ევკლიას თარგმანი, 1959 წლის გამოცემა).

სებებით იყო გარშემორტყმული გრძნეული ქალი, როცა იგი პირველად იხილეს არგონავტებმა. სანახაობამ ყველას შიშის ზარი მოჰგვარა.

როგორც თქმულების მიხედვით დაეინახეთ, კირკე — „მბრძანებელი აიეტის და“ (ასე იხსენიებს მას აპოლონიოს როდოსელი)⁶⁷ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასთან უშუალოდაა დაკავშირებული. სახელდობრ, ოქროს საწმისის მოტაცების შემდგომ მომხდარ ამბებთან. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კირკეს (რომელსაც ყველა ბერძენი ავტორი, მითოგრაფოსი, თქმულება — ერთნაირად აღიარებს აიეტის დად) შესახებ არსებული მითები თუ ლეგენდები, ჩვენი აზრით, კოლხეთისა და კოლხებისათვის ისეთივე ნაცნობი და შეთვისებული უნდა ყოფილიყო როგორც თქმულებები მედეას და პრომეთეზე. კირკეს გარკვეული დამოკიდებულება აქვს კოლხურ გარემოსთან, სხვას გარდა — მკიდრო ნათესაური ურთიერთობა აკავშირებს მასთან⁶⁸, რაც საბაბს ვეძებთ ვივარაუდოთ, რომ მის ჯადოსნურ წრეში მოქცეული სახეები შეიძლება კოლხეთის (ანდა კოლხეთისათვის განკუთვნილი უტბო მხრიდან შემოტანილი) სახეთი ბელოვნების ძეგლებზედაც ასახულიყო. ამდენად, ჩვენ საკვებით დასაშვებად მიგვაჩნია — კოლხი წარჩინებული ქალის სამარხში ჩატანებული საბეჭდო-ბეჭედზე ამოჭრილი ლომკაცი კირკეს ჯადოქრობასა და მის გარემოსთან დამოკიდებული შინაარსის მქონე ციკლის გამოსატყულებებს დაეუყავიროთ. ამრიგად, ხსენებული მითური „პერსონაჟის“ არჩევანი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება სტილსა და ბექდის წარმომავლობას, ანალიზმა შემდეგ დასკვნებამდე მივიყვანა: საბეჭდო-ბეჭედი თავისი მოყვანილობით არჩაული ხანის ფარაკიანი ბექდების ერთ-ერთ ყველაზე ტიპიურ ფორმას წარმოადგენს, რომელიც ძვ. წ. VI ს. ბოლოსა და ძირითადად ძვ. წ. V ს. იყო გავრცელებული⁶⁹ მთელს ანტიკურ სამყაროში და იმ ქვეყნებში, რომელთაც მას ურთიერთობა ჰქონდა. გარდა ფორმისა საბეჭდო-ბეჭედს ბერძნული არჩაული ბელოვნების სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც გააჩნია:

ა. ოსტატის მისწრაფებაა გამოხატულებით შეავსოს ფარაკის მთელი პირი⁷⁰; ცდილობს წარმოსახვითი სამყაროც კი (შესაძლოა მისთვის ბუნებრივად

— «Эмпиодокл юварит, что первоначальные животные и растения не представляют собой чего-либо цельного, но было соединением несросшихся частей, второе поколение походило на фантастические образы из частей сросшихся; третьи состояли из частей, соединившихся в одно целое; существа четвертого поколения уже не образовались из элементов, как например из земли и гды. (იხ. Л. Теншер, Первые шаги древнегреческой науки, СПб, приложение, «Эмпиодокл», გვ. 50, Аэний, Дог. 430).

⁶⁷ იხ. Ап Род. IV, 686, — «Сестра владыки Аида».

⁶⁸ Ап. Род. IV 727—729. — «И услышать ей звук родной захотелось от деви,

Сразу как та подняла на нее от земли свои очи, |Гелия весь ведь род без труда различить было можно», 732—734 — «Тут обо всем, на вопросы давая ответ, рассказала. На языке говоря на Колхидском, Энта крутого |В речи ласковой дщерь».

⁶⁹ იხ. F. Marshall, Catalogue of the Finger Rings Greek, Etruscan and Roman. British Museum, London 1911, გვ. 8—28; — J. Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 4—25—27; აგრეთვე ჩვენი ვანის გლიტიკური ძეგლები, შტრ. №6 სამარხში აღმოჩენილ ბეჭედებს (იხ. სურ. 133).

⁷⁰ შტრ. G. Richter, Engraved Gems. II გამოცემა, ტაბ. V—X; — J. Boardman, Finger Rings. ტაბ. 7; — Boardman, Etruscan and South Italian Finger Rings. ტაბ. II.

მინწელი). გარკვეულ პირობითობასთან ერთად, რეალურად ასახოს. მას ნა-
ჩელავს მხატვრული აღქმის უშუალობასთან ერთად სტილიზაციაც ახსიათებს.

ბ. გამოხატულება შემოფარგლულია ორმაგი წერტილოვანი წყებისაგან
შედგენილი ჩარჩოთი⁷¹.

თავისთავად. ინტლიოზე ამოკრილი მოტივი — ცხოველისა და ადამი-
ანის შეწყვეტილი პროტომა არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულსა და უჩ-
ვეულოს ბერძნული ხელოვნებისათვის. საერთო იერით იგი, თითქოს, შეიძ-
ლება მინწელ იქნას ბერძენი მკრელის ნახელავად, მაკრამ ნახატისა და
კეთის ხასიათი რამდენადმე განსხვავებულია წმინდა ბერძნული არქაული
სტილისაგან, კერძოდ: ლომკაცის სხეული ანატომიური თვალსაზრისით არა-
სწორადაა გადმოცემული. უზესტობანი ამ მხრივ საკმაოდ მკვეთრია (მარ-
ცხენა ფეხი ზედმიწევნით დაწვრილებულია; „ტორი“, მხარში, მეტად გამსბვი-
ლებული და უხეიროდაა დაკავშირებული სხეულთან იხ. სურ. 6), გამოხატუ-
ლება შესრულებულია თითქმის ყოველგვარი მოდელირების გარეშე (იხ. აღ-
წერლობა გვ. 122—123). — არქაული ხანის ოსტატები შესანიშნავად არიან და-
უფლებლები სხეულის ანატომიას; მათ ნახელავში სხეულის სხვადასხვა ნა-
წილები ერთმანეთთან ჰარმონიულადაა შერწყმული, ფორმა რბილი და ხორც-
შესხმულია⁷².

სტილისტურად და კეთის თავისებურებით ზემოთ აღწერილი ინტალიო
ძალიან ახლო დგას, უკეთ რომ ვთქვათ — იმეორებს, № 6 სამარხში აღმოჩე-
ნილ „სახარელნიკაპიანი მდინარის ღმერთის“ გამოხატულებას (შდრ. სურ.
130)⁷³, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ენის მდინარის ღმერთის“ გამოხა-
ტულებას ანალოგიები (თუნდაც მიმსგავსებული პარალელები) არ ეძებნე-
ბა⁷⁴.

ორივე გამოხატულებაში ყურადღებას იპყრობს თუ როგორაა გადაწყ-
ვეტილი მისწრაფება მოძრაობისადმი. იგი ორივეგან ცოცხლადაა გადმოცე-
მული. ამასთანავე პირობითობით ხასიათდება: სწრაფ მოძრაობას, ორივე ინტა-
ლიოს მკრელი (რამდენი ხელია ჭერ დაღგენილი არ გვაქვს) ძალიან წინ გაშ-
ვერილი კიდურების საშუალებით გამოხატავს; მკვეთრად წაგრძელებული
ღრუნი თუ თავპირიკ ამავე აზრით უნდა იყოს ამ სახით ამოკრილი.

⁷¹ შდრ. G. Richter, Engraved Gems. II გამოცემა, ტაბ. IV. 15—22; V. 25—30; -A. Furtwängler, Antiken Gemmen, ტაბ. VII. 62—63; -J. Boardman, Archaic Greek Gems. ტაბ. XVIII, 269, XIX, 291; XX, 292; 313; —J. Boardman, Etruscan and South Italian Finger Rings. 14. I, 17. 10, 12, და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ წერტილოვანი ჩარჩო (ისევე როგორც „გიომები“ და სადა ხაზი) იწერება გვხვდება. ჩარჩოს გერტულულ სახეს წარმოადგენს წმინდა ხაზებისაგან შედ-
გენილი აშმა და წნულ.

⁷² იხ. G. Perrotel, Ch. Chipiez, Histoire de l'Art dans l'Antiquité, La Grèce Arch-
aïque, Paris. 1903. ტ. VIII, გვ. 298—301; -M. Collignon, L'Archéologie grecque, Paris,
1905. გვ. 141. მ. ლორთქიფანიძე, ენის გლატიკური ძეგლები, ხელნაბედი.

ხანგრძლივმეტო დოკუმტარე უმკროსი (IV) მიხედვით (სურათები 8, „მოთამა-
წყელი“ ან „სადა ღმერთის“ ბუნდობს (იხ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი, თბილისი,
1964. გვ. 477—483); B. Latyshev, Scythica et Sarmatica. Известия древних писателей
греческих и латинских о Скифии и Кавказе. I СПб, 1883—1900, В I, გვ. 348.

⁷³ უმკრელობა იხ. წვენი პრეკლე წმკრომი ენის მასალების შესახებ.
⁷⁴ უმკრელობა იხ. წვენი პრეკლე წმკრომი ენის მასალების შესახებ.

შესრულების ტექნიკაც საცვებით ანალოგიურია ამ ორი კრილა ბექდისა; ოქროც ერთი ხარისხისა ჩანს, — ერთნაირი ფერისაა და სიმაგრის (შეღარებით სხვა ბექდებთან რბილი).

ვანის შემოსხენებული საბექდავი-ბექდების გამოსახულებათა შეღარებითმა ანალიზმა სხვადასხვა სახელოსნოებიდან გამოსულ ნახელათან (კვეთის მანერა, სტილი, შინაარსი)⁷⁵, დაგვარწმუნა იმაში, რომ ისინი რომელიღაც სხვა ახალ, ანუ დღემდე ჩვენთვის უცნობ სახელოსნოდან მომდინარეობენ. სახელოსნოდან, რომელსაც უდავოდ ბერძენი მჭერელები ხელმძღვანელობდნენ, სახელდობრ, ისინი, ვინც მკვიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლურ-ბერძნულ სკოლებთან და მის ხელოვნებასთან.

ფორმის მიხედვით წარჩინებული კოლხი ქალის საბექდავი-ბექედი კარგად თარიღდება კვიპროსსა და მარიონში აღმოჩენილი ანალოგიური მასალებით ძვ. წ. V საუკ. დასაწყისით. სახელდობრ ძვ. წ. 500 წლით⁷⁶.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარჩინებული კოლხი მეომრისათვის საფლავში ოთხი საბექდავი-ბექედი ჩაუტანებიათ (ორი ვერცხლისა და ორი ოქროსი). ფარაყებზე ამოჭრილი გამოხატულებებისა და პექდებისათვის გამოყენებული ლითონის რაგვარობის მიხედვით, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ საბექდავთა მფლობელი მათ სხვადასხვა შემთხვევებისა და დანიშნულებით იყენებდა (ალბათ ბექდავთა ყველაფერს რაც კი დახურული, დამოწმებული და დაცული უნდა ყოფილიყო: საბუთებს, წერილებს — ოფიციალურსა თუ პირადს, საგანძურს თუ ქონებას, კარებს და ა. შ.). (Signum). ხოლო, თუ წარჩინებული მათ სამკაულის მნიშვნელობითაც ხმარობდა (მხოლოდ ბექდავ — მახასიცი) მაშინ, უნდა ვიფიქროთ, რომ ოქროს ბექდები „პარადული“ მოსართავი იყო, ვერცხლისას კი დღენიადავ ატარებდა⁷⁷. გადავდივართ საბექდავთა ანალიზზე:

71 უახლოეს უცხოურ გამოცემებშიც კი ვერ შევაკვლიეთ რაიმე შესავს არსებას.

75 შტრ. იონიუს ბერძნულ-ფინიკიურს, „აღმოსავლურს“, ეტრუსკულს, სამხრ. იტალიურსა და ა. შ. იხ. J. Boardman: Archaic Greek, Gems, Archaic Finger Rings და South Italian Finger Rings;—A. Furtwängler, Antiken Gemmen, (თავი-არქაული გლახტიკის შესახებ);—G. Richter, Gems, II გამოცემა (თავი არქაული გლახტიკის შესახებ) და ა. შ.

76 იხ. G. Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 25.

ძვ. წ. V საუკ. შეახანით ათარიღებს ოთ. ლორთქიფანიძე ამავე სამარხში მოპოვებულ ოქროს დიადემას (იხ. მისი მასალები ძვ. წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის ისტორიისათვის) ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, (138), 1971.

77 პლინიუსის აზრით, რამდენიმე ბექდის ტარების ჩვეულება საბერძნეთში ეტრუსკებმა შემოიტანეს (იხ. Plin. Sec., Hist. Nat., XXXIII). ამ მოდას მხოლოდ ცნობილი პაროფრეები მისდევდნენ, რომელთა შორის დასახელებულია დემოსთენე და არისტოტელე.

პლინიუსის მიხედვით, რომაელების ადრინდელი ბექდები ტყინისა იყო (Hist. Nat., XXXIII). ოქროს ბექედი დიდ წარჩინების ნიშნად თვლებოდა (Credo, quoniam Ita exterorum honoratissimielligebantur); მისი ზილება სახალხოდ ხდებოდა, მაგრამ მას გოველდღობად არ ატარებდნენ.

1. 1969 წლის არქეოლოგიური კაპანია, ნაკვეთი 68, წარჩინებული მეომრის სამარხი № 9, საველე № 3—69/29978.

საბეჭდავი-ბეჭედი, ვერცხლისა. — დიდი ზომის ბეჭედს წერილი, წახნაგებიანი რკალი აქვს, რომელიც მხრებთან ფართოდება. — იგი ოვალური მოყვანილობის ამობურცულზე რიგთან — დაწახნაგებულ ფარაქს უერთდება. ფარაქს ბრტყელპირიანია⁷⁸, „ბოლოებში ვიწროებული“ (სურ. 133კ).

პირზე გამოხატულია მტაცებლისა და ცხოველის ბრძოლა. სახელდობრ: ხაირბეშს, რომელიც მტაცებელს გაურბის მისგან თავი ვერ დაუღწევია — ჭიქი კბილებით ჩაჭრუნია ზურგში და გაგლეჯას უპირებს. მტაცებელი ზურვიდან დააცხრა მსხვერპლს — ზედ არის სამი ფეხით შემბტარი; კული კი ზევით აუწევია. ირემი წინა ჩლიქებზე აპირებს წამოჩოქებას, თავი ჭიქისკენ მიუბრუნება; მთელი სხეული დაძაბულ მდგომარეობაში აქვს. ორივე, ჭიქისა და ირემიც, პროფილში მარცხნივ არიან წარმოდგენილი. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს (იხ. სურ. 132კ).

ტექნიკა: გამოხატულება არათანაბარი სიღრმითაა ნაკვეთი და, პირველი შეხედვით, ბრტყელი კვეთით შესრულებული ნახელავის შთაბეჭდილებას ახდენს (იგულისხმება დედანი და არა მისი ანაბეჭდი). ეს განსაკუთრებით, წინა პლანზე წარმოდგენილ ირემის გადმოცემაში შეიმჩნევა. მაგარამ, მიუხედავად იმისა, რომ ჭიქის გამოხატულება მჭრელს უფრო ღრმად ამოუჭრია ფარაქზე — ირემიც საკმაოდ რელიეფურად აღიბეჭდება ანაბეჭდზე.

კვეთა სუმარულობითა და სქემატურობით ხასიათდება. ამავე დროს გარკვეული სითამამე და მოჭილი ხელი ჩანს მჭრელისა. სქემატურადაა შესრულებული ირემის ქორბუდა რქები; ჩლიქები, რომლებიც ორკაპა ჯიხებს უფრო წააგავს; ჭიქის თათები და კული გახევებულია. სუმარულადაა შესრულებული ჭიქის თავი; ასევე ირემისაც.

მჭრელს ძირითადად გამოყენებული აქვს: საჭრისი მომრგვალებული საჭრელი წვერი, დიფფე- მსგავსი საჭრისი და ბრინჯაოს ნემსი. შესაძლებელია, რომ ჭიქის თათების ამოსაჭრელად ნახმარია საჭრისი სწორკუთხეიანი

რომში ოქროს ბეჭდის ტარების უფლება წარჩინებული წოდებისა (nobilis) და მაღალი რანგის თანამდებობის პირებს ჰქონდათ. ელჩები (რესპუბლიკის დროს) ოქროს ბეჭდებს მხოლოდ დაქირებულ მისიის შესრულების დროს იცუთბდნენ, ისიც მხოლოდ უსიკეთში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი ვალდებული იყვნენ რკინის ბეჭედი ეტარებინათ (იხ. Daremberg et Saglio, Dictionnaire des antiquités grecques et romaines, Fas. II, ტ. 1-ა „Arcus“ გვ. 299).

მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ვერცხლის ბეჭდები მუდმივად იხმარებოდა; განსაკუთრებით იმ ადამიანთა შორის, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება ოქროს ბეჭდების ტარებისა (იხ. Marshall, Finger Rings).

რანდენიშე ბეჭდის ტარება აღმოსავლეთშიც არის მიღებული.

78 ანუ სამარხიდან არის საბეჭდავი-ბეჭდები №№ 2, 3, 4. სამარხი კლდოვან დედაქან-რა ამოკვეთილი. მიცელებული ხის სარკოფაგში ყოფილა დაკრძალული. სამარხი სამი მძრდან შექსპირებულია და ხელშეუბებით იყო გარშემორტყმული. მეომრის ფერხითი დასაფლავებულია ორი მიცელებული: კაცი და ქალი, ყველა ბეჭედი მეომრის ჩონჩხთანაა ნაპოვნი (იხ. ვანის 1969 წლის ექსპედიციის ანგარიში).

⁷⁹ ზომები ბეჭდის სიმაღლე — 26 მმ, დიამ. — 21—17 მმ, ფარაქის სიმაღლე — 5 მმ, სიგრძე — 22 მმ, განა — 15 მმ. დაკულობა: ბეჭედი კარგად არის შენახული, პირს თითქმის ოდნავ „ფორცვანიო“, როგორც ჩანს პატინის შედეგი უნდა იყოს.

წვერით (სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა თუ როგორ მოახერხა მკერელმა მათი „ეუთხოვანად“ დაბოლოება).

ორი ცხოველის ბრძოლის თემა, კერძოდ ლომისა და ირმისა, რომელიც წინააზიიდან მომდინარეობს⁸⁰, გლიპტიკაში უძველესი დროიდან ჩნდება და, სხვადასხვა წარმოშობისა და ეპოქების საბეჭდავზე წარმოდგენილი, ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი მოტივთაგანია⁸¹. სხენებული მოტივი დროთა ვითარებაში სახეცვლილებას განიცდიდა რაც, სახელდობრ მხოლოდ კომპოზიციასა და ნახელაყის სტილში შედგენდება. ამ თემას წინა აზიაში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა — სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლისა⁸². თანდათანობით, როგორც ჩანს, იგი კარგავს პირვანდელ სიმბოლურ აზრს და ოსტატების მიერ გამოყენებულია მხოლოდ მხატვრული თემის თვალსაზრისით.

ბერძნულ ხელოვნებასა და გლიპტიკაში მოტივი (ლომის თევდასხმა სხვა ცხოველებზე: ირემზე, ჭიჭიზე) ხელახლა ვრცელდება ძვ. წ. VIII საუკუნეში, სადაც იგი აღმოსავლეთიდან შემოვიდა⁸³ და, რომელსაც გემების კვეთის ხელოვნებაში — არქაული ბერძნულ გლიპტიკის ვანეითარებაში, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ძვ. წ. VIII ს. სახვითი ხელოვნების (ბერძნულ) ძეგლებზე — „ლომის თევდასხმა სხვა ცხოველებზე“ დროდადრო კვლავ იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ამ ძეგლების მიხედვით არ ჩანს — თუ რომელი სკოლა ან სტილი წამყვანია⁸⁴.

VI ს. მეორე მეოთხედიდან მოყოლებული აღნიშნული სცენები ბევრად უფრო ფართოდ ვრცელდება გლიპტიკაში; ზოლო მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში, V—IV სს, ბერძნულ-მცირეაზიულ ქრილა ქვებზე ხშირად წარმოდგენილი კომპოზიციათაგანია. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლური-იონიური საბეჭდავები⁸⁵.

⁸⁰ იხ. М. И. Максимова, *Стеклянные многогранные печати, найденные на территории Грузии*, „ენიქის შიამე“, X, 1941, გვ. 83.

⁸¹ შ. ვეგლითაიუსი იხ. O. Weber, *Altorientalische Siegelbilder („Alte Orient“ 17/18)*, Leipzig, 1920, გვ. 365—367; — Imhoof-Blümer und O. Keller, *Tier und Pflanzenbilder auf Gemmen und Münzen*, Leipzig, 1889, ტაბ. XIV, 30-32; — A. Furtwängler, *Antiken Gemmen*, გვ. 412, ტაბ. XI, 22; — Boardman, *Archaic Greek Gems*, ტაბ. XXVII—XXXI, E. Brandl, *Antiken Gemmen in Deutschen Sammlungen*, B. I, Teil I, München, 1968, გვ. 197, 200, 248; — E.-Z. Diehl, *Antiken Gemmen in Deutschen Sammlungen*, B. II, Berlin, München, 1965, გვ. 175; G. Richter, *Ancient Gems from the Evans and Beatty Collection*, New York MCMLXII, გვ. 5, 15.

⁸² შ. ლორთქიფანიძე, *საქართველოს მუზეუმის გემები*, III, თბილისი, 1961, ტაბ. I და ა. შ.

⁸³ იხ. М. И. Максимова, *დასახ. ნაშრ. იქვე*, შ. ლორთქიფანიძე, *გვიანაქემე-ნიდური ხანის მცირეაზიური საბეჭდავების იბერიული პირები — ლურჯი შინის შრავალწახანა საბეჭდავები, საზოგადოებათა მეცნიერების განყოფილების „შოამბე“*, 6, 1963, გვ. 143.

⁸⁴ იხ. J. Boardman, *Archaic Greek Gems*, გვ. 121

⁸⁵ J. Boardman, *დასახ. ნაშრ.* იქვე.

⁸⁶ იხ. A. Furtwängler, *Antiken Gemmen*, ტაბ. XI 22; — H. Walters, *Catalogue of the Engraved Gems and Cameos, Greek, Etruscan and Roman*, British Museum, ტაბ. IX, 540, გვ. 66; — Furtwängler, *E Beschreibung der Geschnittenen Steine*, 305; — E. Babelon, *Intailles et Camees de la Bibliothèque Nationale*, Paris, 1897, გვ. 59.

ზემოსხმებული კომპოზიციის მონუმენტურ ძეგლებზედაც აისახა. ამის შესანიშნავი ილუსტრაციას ქსერქესის სასახლის ერთ-ერთი რელიეფი წარმოადგენს (ძვ. წ. V საუკ.) პერსეპოლიდან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ლომის ნაცვლად ჭიქია⁸⁶ გამოხატული მტაცებლის როლი; მეტწილად ეს ორი მტაცებელი საბეჭდავებზე ძნელად განიჩნევიან ერთმანეთისაგან.

ორი ცხოველის ბრძოლის თემას ძველი საქართველოს გლიპტიკაშიც წყვიტლია. მაგრამ ხანგრძლივი ისტორია აქვს. უკეთ — ამ შინაარსის მქონე პირველი კრლა ქვები ჩვენში ძვ. წ. VIII ს. ბოლო წლებითა და VII ს. დასაწყისით დათარიღებული ქვიშაქვის დისკოსებრი საბეჭდავი — ამულტით არის წარმოდგენილი (ხოვლე-გორა, 1954 წლის მონაპოვარი), რომელიც ჩვენს მიერ ადგილობრივ ნახელავად არის მიჩნეული⁸⁷ (საბეჭდავი ორმხრივია, აზღენად მას ორი პირი აქვს: თემაში ოსტატს ყოველი „პირისათვის“ განსხვავებული შინაარსი ჩაუქსოვია და კომპოზიციაც სათანადოდ გაუზარებია)⁸⁸.

არსებული განათხარი მასალების მიხედვით ჩვენ ვასკენით, რომ მომდევნო საუკუნეებში, ეიღრე ძვ. წ. V ს. II ნახევარამდე, მტაცებლისა და ცხოველის ბრძოლის მოტივი საბეჭდავებზე აღარ გამეორებულა. ხოლო გვიანაქვემნიდურ ხანაში, სახელდობრ ძვ. წ. V—IV სს. მან მცირეაზიიდან შემოტანილი მასალების საშუალებით შემოაღწია იბერიაში (იგულისხმება: მცირეაზიელი საბეჭდავების ლურჯი მინის მრავალწახნაგა იბერიული პირების ერთი ჭკუფი. — კერძოდ ლომისა და ირმის ბრძოლის გამოხატულებით. აგრეთვე ძვ. წ. IV ს. ვერცხლის ბეჭედში ჩასმული სარდიონის ინტალიოკლავათიდან იგივე სიუჟეტი)⁸⁹.

ჯ. ბორდმანი თავის ახალ ნაშრომში — *Archaic Greek Gems*, ხსენებული თემის ანალიზის შედეგად, კომპოზიციაზე დაყრდნობით, რამდენიმე „სქემას“ გამოყოფს იმისდა მიხედვით, თუ რა სახით ხდება მტაცებლისა და ცხოველის შებრძოლება⁹⁰. ხშირად ლომისა და ჭიქის ტიპის მტაცებლის გამოხატულებიან გემებს აღმოსავლურ-ბერძნულად მიიჩნევს. ამრიგად — ჰკვლევარი ახლებურად წარმოგვიდგენს ორი ცხოველის ბრძოლის მოტივიან გლიპტიკური ძეგლების კლასიფიკაციას.

წარჩინებული მეომრის საბეჭდავი-ბეჭედი კომპოზიციისა და მტაცებლის ტიპის მიხედვით (იხ. სურ.) სწორედ იმ წრეში თავსდება, რომელიც აღ-

ბერანელ ოქრომწველობაშიც კივც ასახვა ლომისა და ირმის ბრძოლის სცენებში; აღწენელის სილესტრაციოდ David M. Robinson-ის -ის მიერ გამოცემული ოქროს სამაჯურების მოყვანა შეიძლება, რომლებიც პალმირას მახლობლად აღმოჩენილი (იხ. Unpublished Greek Gold Jewelry and Gems, AJA, 1953, v. 53, №1, გვ. 13, ტაბ. 15, 25—28, რომ სილესტრ შეთქმებულენა მეთერ აზიანა მის ნემზხატეური მასალეიც ადასტურებს (იხ. Head, Historia Numorum, ტაბ. 89, გვ. 48; Imhoof, —Keller, Tier und Pflanzenbilder auf Gemmen und Münzen, ტაბ. I, 16; II, 31.

⁸⁶ იხ. Richter, Gems, II, გამოცემა, ტაბ. XIX, III, გვ. 29.

⁸⁷ იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, თბილისი, 1969, გვ. 33—34, 77—78; ტაბ. III, 28, სურ. 25.

⁸⁸ საბეჭდავის „RV“-ზე ამოტრილი სცენა სიმბოლური ხასიათისაა; ჩვენ აქ არ შევედგებოთ მის გარჩევას, რადგან იგი უშუალოდ არ არის დაკავშირებული ეანის საბეჭდავი-ბეჭდის გამოხატულებასთან.

⁸⁹ იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 48—53; 104—118; ტაბ. VI, 91—95; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები III, თბილისი, 1961, გვ. 10—11, ტაბ. I, 1.

⁹⁰ იხ. J. Boardman, დასახ. ნაშრ., გვ. 122—124.

მოსავლურ-ბერძნულ გემებს უკავშირდება⁸¹. რაც შეეხება კვეთის თავიანთურებასა და სტილს — თვალსაჩინოდ განსხვავებული და, ხსენებულ ძეგლებთან შედარებით, პრიმიტიულია. ორივე ფიგურა (ორმისა და მტაცებლისა) შესრულებულია თითქმის ყოველგვარი რეალისტური დეტალების გარეშე, შინაგანი ნახატი დაუმუშავებელია; საერთოდ ფორმების მხატვრული გადმოცემა სუსტია, კუნთები სკულპტურულად დამუშავებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სცენა შედარებით ცოცხლად არის ასახული, ორივე ცხოველის პოზა უძრავი და გახევებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით უვალში საცემია კიდურების მდგომარეობა. — მკრეღმა ვერ მოახერხა შათი სახსრებში მოხრა და არათანაბარი სისქის გაღუნული ჭოხებივით წარმოგვიდგანა. ასეთივე გახევებულია კულიც⁸². დამახასიათებელია აგრეთვე ლომის ზედიწვევით წაგრძელებული თავ-პირი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება იმას მოწმობს, რომ აღწერილი ბექედი არაბერძენი ოსტატის მიერაა ნაკვეთი, ხოლო კვეთის მანერა და სტილი გამოხატულებისა საესებით იმეორებს ძველი საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვებული ადრეული ქრილაფარაკიანი ბექედებისა და საბექდაეების იმ ჯგუფს, რომელთაც ჩვენ ადგილობრივად მივიჩნევთ⁸³.

ბექედი თავისი ფორმით ბერძნული ბექედების იმ ტიპს წარმოადგენს, რომელიც ძვ. წ. V ს. ჩნდება და IV საუკუნისათვის, ოდნავ სახეშეცვლილი (ფარაკის ოვალი იცვლის გარე მოხაზულობას, მეტ-ნაკლებად მსხვილდება რკალი), საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. ხსენებული ბექდის ტიპი კარგადაა შესწავლილი და ამდენად მისი დათარიღება არც თუ ისე ძნელია. ჩვენ მიერ განხილული საბექდავი-ბექედი ანალოგიური მასალების საფუძველზე⁸⁴ ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრით თარიღდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეანის ბექედი ბერძნულ ბექედებისაგან განსხვავებით „დამძიმებული ფორმით“ გამოირჩევა. ეს შედარებით უმნიშვნელო „სახეცვლილება“ ბერძნული ბექდის ფორმისა იმას უნდა მოწმობდეს, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა ეს „ტიპი“ თავისი გემოვნების მიხედვით „გადაამუშავეს“. — ალბათ, ადგილობრივი მომხმარებლის გემოვნებებს შეუფარდეს.

8. გადავდივართ მეორე ვერცხლის საბექდავი-ბექდის განხილვაზე: 1969 წლის არქეოლოგიური კამპანია, ნაკვეთი 68, წარჩინებული მეომრის სამარხის № 9, საველე № 3—59/298⁸⁵.

საბექდავი-ბექედი ვერცხლისა, — დიდი ზომის ბექედს წვრილი, წახნაგებიანი რკალი აქვს, რომელიც მხრებთან ფართოვდება. — იგი ოვალური მო-

⁸¹ სუვეტი შტრ. H. Hoffmann, P.-F. Davidson, *Gold Jewelry from the Age of Alexander, West Germany, 1966*, გვ. 254 — 255, გ.მ. 113. იხ. სურ. 10 (ოქროს საბექდავი-ბექედ ძვ. წ. IV საუკ. დათარიღებული); A. De Ridder, *Catalogue Sommaire des bijoux antiques du Musée du Louvre, Paris, 1924*, გვ. 1085; H. Walters, *British Museum Catalogue of Gems*, გვ. 66, ტაბ. IX, 540; — E. Diehl, *Antiken Gemmen.*, Bd. II, ტაბ. 39, გვ. 175. იხ. სურ. 11.

⁸² შტრ. J. Boardman, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XXIX, 400. კულის ამ სახით გადმოცემას ეხედებით მხოლოდ კვიპროსში ნაპოვებულ სარდიონის სკარაბებიზე ლომების ბრძოლის სცენით.

⁸³ იხ. ჩვენი, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I.

⁸⁴ შტრ. M. -L. Vollenweider, *Catalogue Raisonné des Scarab. Cylindres et Intailles*, v. I, Genève, 1967, გვ. 159, ტაბ. 82, 215; Hoffmann—Davidson, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 250—255

⁸⁵ ამავე სამარხიდან არის საბექდავი-ბექედი №№ 292, 293, 299.

ყვანილობის ამობურცულზურგიან — დაწახნაგებულ ფარაკს უერთდება. ფარაკი ბრტყელპირიანია⁸⁶, „ბოლოებშივეიწროებული“ (იხ. სურ. 133კ).

პირზე გამოხატულია დედალი და მამალი, ერთიმეორის უკან მიმავალი, პროფილში მარცხნივ. ნახატი სუმარულია, ამდენად ცალკეული დეტალები არ არის დამუშავებული და ძირითადად პირობითადაა აღნიშნული. — სახელდობრ: ფრინველთა ნისკარტები, თვალი; მამალს ბიბილო მკრთალად აქვს გამოხატული, ასევე — ღეხები (იხ. სურ. 132კ).

ქათმის ფეხები იმდენად მკრთალადაა ამოჭრილი, რომ ანაბეჭდზე არ აღიბეჭდება. ეს ნაწილობრივ, მცირე დაზიანებითაც აიხსნება.

გამოხატულება მთლიანად აესებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე საკმაოდ მაღალ რელიეფს იძლევა. ნიადაგის ზოლი აღნიშნული არ არის.

ტექნიკა: გამოხატულება ღრმადაა ნაკვეთი, სუმარულობითა და სქემატურობით ხასიათდება. ცალკეული დეტალები დამუშავებული არ არის. ტლანქი ნახელავია.

მკრელს ძირითადად გამოყენებული აქვს ფიფი-ს მსგავსი საჭრისი ფართო მასების ამოსაქრელად, ბრინჯაოს ნემსი და, შესაძლოა, საჭრისი მომრგვალებული წვერით.

შინაური ფრინველები, კერძოდ: მამალი და ქათამი, სხვადასხვა კომპოზიციებში — ცალ-ცალკე, ერთად, თუ სხვა ცხოველებთან დამოკიდებულებაში საკმაოდ გავრცელებულ მოტივს წარმოადგენს ანტიკურ გლიპტიკაში⁸⁷. აგრეთვე, მას ზოგჯერ იმ აქემენიდურ საბეჭდავებზე ვხვდებით, რომლებიც ბერძნული ხელოვნებისა და გლიპტიკის უშუალო გავლენითაა შექმნილი⁸⁸.

სტილისტურად და შესრულების მანერის მიხედვით აღწერალი ინტალიოს ბუერი საერთო აქვს წინ განხილულ საბეჭდავთან. — სახელდობრ: სუმარული და ტლანქი კვეთა, დაუმუშავებელი ნახატი (იხ. სურ.), მოძრაობისა და „ბოზის“ უსიცოცხლობა და ა. შ. ამდენად, ჩვენ შესაძლებლად ვთვლით. ეს საბეჭდავი-ბეჭედიც იგივე სახელოსნოდან გამოსულ ნახელავად მივიჩნით.

ორივე ბეჭდის ტიპი ერთია. — განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ზომებით. № 299 საბეჭდავი-ბეჭედი, ცხოველების ბრძოლის გამოხატულებით, უფრო დიდია (საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხსენებული სამარხის ბეჭდები დიდი ზონით გამოირჩევა)⁸⁹. ჩვენი ბეჭდების მსგავსებისა და ანალოგიური მასალების საფუძველზე იგი ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევრით თარიღდება⁹⁰.

3. 1969 წლის არქეოლოგიური კამპანია, ნაკვეთი 68, სამარხი № 9, წარჩინებული მეომრისა, საველე № 292.

⁸⁶ ზომები: ბუქდის სიმაღლე — 25 მმ, დიამ. — 18—20 მმ, ფარაკის სიმაღლე — 4 მმ, სიგრძე — 19 მმ, ვანი — 12 მმ; და ცულობა: პირი ერთგან გახერტილია, სახელდობრ მამლის მუერლთან, პატინას დაუზიანებია. სხვაშირე ბეჭედი კარგადაა შენახული.

⁸⁷ იხ. J. Boardman, *Archaic Greek Gems*, 145. 372—373.4 4; —Fossing, *Thorvaldsen Museum Catalogue of Gems*, გაბ. 1483—1494; -Imhoof-Keller, *დასახ. ნაშრ. ტაბ. XXI, 38-40*; -Walters, *British Museum Catalogue*, გაბ. 555.

⁸⁸ ვლრ. H. Seyrig, *Cachets Achéménides*, *Archaeologica Orientalia in memoriam Ernest Herzfeld*, New York, 1952, ტაბ. XXXI; -Richter, *Gems*, II გაზოცვა. ტაბ. X, 64; და ა. შ.

⁸⁹ აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: როგორც ჩანს, ბეჭედი ქვედა ნაწილში გახსნილი ყოფილა — მოღუნული და შემდეგ შეაკვირებული.

⁹⁰ ანალოგიები იხ. გვ. 133.

საბეჭდავი-ბეჭედი, მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული¹⁰¹. დიდი ზომის ბეჭედს წახნაგებიაჩი რკალი აქვს (ოთხწახნაგა ისევე, როგორც მხედრის გამოხატულებიანი ბეჭედი)¹⁰². რკალის ზედაპირზე გამოყვანილი წახნაგი მომრგვალებულკონტურიანია, შიდაპირისა — მაღალია, ფერდებჯაღაწეული და „მკვეთრად მოხაზული“. რკალი, უშუალოდ ფარაკთან მსხვილდება და ოდნავ ფართოვდება. იგი იმგვარად უერთდება ფარაკს, რომ „მიდგმულსა“ ჰგავს¹⁰³ (იხ. სურ. 133კ).

ოვალური მოყვანილობის ფართო და დიდი ზომის ფარაკს ბრტყელი პირი და დაწახნაგებულ-ამობურკული ზურგი აქვს, ბოლოებშიეწროებული ცენტრალური ნაწილით¹⁰⁴. ფარაკის ზურგი, შუაგულიდან კიდის მიმართულებით მკვეთრად დაქანებული. სახელდობრ ფარაკისაგან იგი მკაფიო ღარივით არის გამოყოფილი. აღსანიშნავია, რომ ღარს იქით ნაპირი ზედმიწევნით ეიწრო (1 მმ) და ძალიან თხელია (1 მმ სისქისა):

ამგვარად ბეჭდის რკალი დეფორმირებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, თავდაპირველად იგი (მხოლოდ რკალი იგულისხმება) გვერდებისკენ განზიდული ყოფილა, სახელდობრ — მისი შიდა ნაწილი. აგრეთვე: რკალი, ქვედა ნაწილში, საგანგებოდ მოხრილი იყო, რის გამოც მკრთალ კუთხეებს ქმნიდა.

გრძელსახელოებიანი კვართითა და ჰიმატონით შემოსილი ხანშიშესული ქალი უზურგო ტახტზე ზის. მას, ჰიმატონში გახვეულ მარჯვენა ხელში, რომლის იდაყვით ოდნავ ეყრდნობა კალთას, ფიალა უქირავს; ძირს დაშვებულ და მუხლებზე დადებულ მარცხენა ხელში — გრძელი ტოტი¹⁰⁵. ზევით ავარცხნილი თმა კეფის ზემოთ შინიონისებურად აქვს გაკეთებული. მაღალ კისერს, უშუალოდ დაწვებს ქვემოთ, გრძელსაკიდებიანი ორმაგი მანიაკი უმკობს (—საკიდების წყება მანიაკის ქვედა ნაწილს აქვს ასხმული) ყურზე, მანიაკის ტიპის გრძელსაკიდიანი საყურე უკეთია. თმაზე ბაღურა თავსამკაულს აქვს დამაგრებული, რომელიც ძირითადად თხემს უფარავს და შუბლს ზემოთ, საფეთქელიდან მოყოლებული, ერთი წყება საკიდისებრი მოსართავით

101 წარჩინებული კოლხი ქალის საბეჭდავ-ბეჭედს ოქროს მოწითალო ელფერი გადაკრავს. — „ΔΚΔΑΤΟΣ“ -ისში ყვითელი ფერი ქარბობს და შედარებით ღია ფერისაა.

102 ზ რ მ ბ ე: ბეჭდის სიმაღლე—22 მმ. დიამ.—16—19 მმ. ფარაკის სიმაღლე—3 მმ, სიგრძე—10 მმ, განი—15 მმ, რკალის განი—3—2, მმ. და ც უ ლ ო ბ ა: ბეჭედი კარგადაა შენახული თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ რკალი ქვედა ნაწილში დეფორმირებულია. აგრეთვე — პირის კიდე მკირედ გადაკვეთილია. სახელდობრ ეს წარწერის უქანასენელ ასოებს „0“, „Σ“-ს ეხება, რაც საბეჭდავის სისტემატრად ხმარების შედეგი უნდა იყოს. შესაძლოა ამას, ერთგვარად ოქროს სირბილემაც შეუწყო ხელი.

103 ამჟამად ძნელი დასადგენია ბეჭედი ერთიანად არის ჩამოსხმული თუ ფარაკი და რკალი ერთმანეთთან მიჩილულია (მიჩილვის კვალი არ ეტყობა) ფარაკის ქვედა ნაწილში ორივე მხარეს, რკალთან „ნაქერაკი“ ემჩნევა. — აქა-იქ რკალი და ფარაკი ერთმანეთს მოცილებულსა ჰგავს თითქმის გახსნილია. ზედაპირი გლუვი აქვს — მოპირკეთებულია კარგად.

104 ცენტრალური ნაწილის განი—7 მმ, სიგრძე 15 მმ, წახნაგის განი—5 მმ, ნაპირთან—3 მმ.

105 თავდაპირველად ხის ტოტი წიწვიან შტოდ მივიჩნეოთ ანალოგიური მკენარე თუ ტოტი ვანში აღმოჩენილ (სხვა ქრილა ბეჭდებზედაც ვხვდებამ. სახელდობრ: № 10 ბავშვის სამარხულ ფარაკიან ბეჭედზე. იხ. ცვ. 156, ტახ. 132,6).

ბოლოვდება¹⁰⁶. წერილ ფეხებზე საწვივე რგოლები აქვს შეცმული¹⁰⁷. (იხ. სურ. 132₄).

ქალის ზურგს უკან, ისე რომ იგი უშუალოდ ეხება მას, აღმართულია ისეთივე ჭიშის მცენარე, როგორც ხელში უჭირავს. იგი მარაოს უნდა წარმოადგენდეს¹⁰⁸.

ქალის ფიგურა ძირითადად, სუფთა პროფილშია მოცემული (კამონაქლისს შეადგენს გულშეკრდის, უფრო ზუსტად მხარ-მეკრდის ზედა ნაწილი — 1/3-ით მარჯვნივ მოზარუნებული). ასევე მისი თავი. ამასთანავე იგი ფარაკზე იმგვარადაა მოთავსებული, რომ მის ზურგს უკან დიდი არეა (—ცენტრში ზურგი და ტახტის უკანა ფეხი ხვდება) დატოვებული¹⁰⁹. ხსენებულ არეზე (ფარაკზე მარჯვენა ნაწილში, ხოლო ანაბეჭდზე მარცხენაზე), ქალის ფიგურის უკან, ამოჭრილია მთავრული ასოებით შესრულებული ერთსტრიქონიანი ბერძნული წარწერა — ΔΕΔΑΤΟΣ — „დედატოს“. ასოები დიდი ზომისაა და ამდენად თვალში საცემია. წარწერა ტახტის უკანა ფეხის გასწვრივ იწყება და უშუალოდ თხემის ძვლის თავზე მთავრდება.

ზედმიწვევით აზაპრობორტიული აღნაგობის ქალის ფიგურა ტლანქია და მძიმე. — საოცრად უღამაზო მკვეთრი სახის ნაკეთები, დიდი თავი, ჩავარდნილი გულის ფიცარი, მსხვილი ძვლები, ასეთივე მხარი — მიმზიდველობას უკარგავს გამოხატულებას.

ქალი რომ ხანშია შესული ამას როგორც მისი ტანის აგებულება, ასევე სახის აღნაგობა თუ ნაკეთები მოწმობს. დაქანებული ფართო შუბლი გრძელ, მსხვილნესტოებიან ცხვირთან ერთად თითქმის სწორ ხაზს ქმნის. ჩავარდნილი პირი, მძიმე წინწამოწეული ნიკაბი, გადმოკარკლული თვალი, ღრმად ჩავარდნილი თვალის ფოსოებით, მკაცრ და უსიამოვნო იერს აძლევს სახის გამომეტყველებას. თვალის ფოსოები მკვეთრადაა შემოფარგლული გრძელბუნჯიანი სქელი წარბითა და მსხვილი ყვრიმალის ძვალით. რაც ზედმეტად უსვამს ხაზს გამოხატული პიროვნების ასაკს. ხოლო მის მზერას სისასტიკეს კმატებს.

ქალი ფიალას დასცქერის, რომელიც ნიკაბის დონეზე აქვს მიტანილი — თითქოს შიგთავს სითხის დაცლას აპირებსო. — ფიალა პირგადაშლილია, „წელისკენ“ მკვეთრად დაეწრობებული და მუცელგამობერილი. ჭურჭელი (მუცელი ცირაზე) რელიეფური ზოლებით და შესაძლოა — კანელურებითაც, არის შემკული¹¹⁰: მომრგვალებული ძირი აქვს.

¹⁰⁶ თავსამკაული შდრ. წარჩინებული ქალის სამარხში მოპოვებულ ოქროს მძივებსა და საკიდებს.

¹⁰⁷ ერთ პირობა სანდალიებად მივიჩნიეთ, რომლებიც წვივებზე თასებით იყვრება.

¹⁰⁸ ხეუბრ ცილნდრებზე, ზოგჯერ ღვათების ზურგს უკან პალმის ტრტის მარაო არის ხოლმე მოთავსებული. მაგ. იხ. H. H. von der Osten, Ancient Oriental Seals in the Collection of Mr. Ed. T. Newell, Chicago, 1934, ევ. 138. ტაბ. XXI, 295.

¹⁰⁹ ჩვეულებრივ ფეგურა, ანალოგიური კომპოზიციები იგულისხმება, ან ზუსტად ცენტრშია მოთავსებული და არც თანაპირია მის ირგვლივ. ანდა — წინ შეტია დატოვებული.

¹¹⁰ შდრ. ნიღდრულ სამარხში აღმოჩენილი ოქროს ფიალას, რომელიც ძვ. წ. V საუკუნით არის დათარიღებული (H. B. Хоштарниа, Археологические раскопки в Ване (предварительные сообщения) — ევანსტიტ-ახლოდმოსაუღეთის კრებული, II, თბ., 1962, ევ. 64—60; O. Lordkipanidze, Colchis in the Early Antique period and her Relations in the Greek World, გამ. 19.

სამოსი სქემატურადაა შესრულებული. — მრავალნაოქიანი კვართის ქსოვილი. რომელიც კისერზე აქვს მომდგარი, ისევე როგორც ჰიმატიონის ნაკეცები, წმინდა — სწორი ხაზებითა და ღარებითაა გადმოცემული. — მხოლოდ აქ-იქ არის ზაზები უმნიშვნელოდ გაზრდილი ან მცირედ ტალღოვანი. ამიტომაც: რომ სამოსი უბეში ქსოვილის შთაბეჭდილებას ახდენს.

ტახტი, რომელზედაც ქალი ზის, ცხოველის თათებით დაბოლოებულ წვირად და მალად, მრგვალ ფეხებზე დგას. ზედა ნაწილზე, ფეხებს, ჩამოცმული (თუ დამაგრებელი) აქვს დამუხლული „მოხარატებული“ დეტალები¹¹¹.

მარცხენა ნაწილში (უკანა მარჯვენა ფეხის ზემოთ) ბიროვისებრი დეტალი ჩანს, რაც ტახტის ზურგის სახეშეცვლილ „ნარჩენს“ წარმოადგენს. აღნიშნული ტიპის ტახტები მრავალ -ის სახელწოდებითაა ცნობილი¹¹². ვანის რეტალიოზე გამოხატული *σφύρας* -ი მის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს — უზურგო თრონოსია, რომელსაც არც იდაყუების დასადები აქვს. *σφύρας* -ია წინ (საკმაოდ პირობითად გამოხატული) დაბალი ტახტურეტი მოთავსებული, რაზედაც ქალს მარჯვენა ფეხი უსვენია.

წ ა რ წ ე რ ა :

მიუხედავად იმისა, რომ წარწერას პირის კიდესა და გამოხატულებას ზოლის როგორც აღენიშნეთ, დიდი არე აქვს დათმობილი (რაც საშუალებას აძლევდა მკრელს თავიდანვე შემოეფარგლა მისთვის საჭირო ადგილი, — განჯაზღვრა თუ რა სიგრძისა იქნებოდა იგი), ასოები არათანაბარი ზომისაა (იხ. სურ. 132). ეს იმას უნდა მოწმობდეს, რომ მკრელმა ზუსტად ვერ გაიანგარიშა ყოველი ცალკეული ასოს სიდიდე. ვერ მოზომა რა ნაწილი უნდა დაეთმო ფარაკისა მთლიანი სიტყვისათვის. ამიტომაც ბოლო ორი ასო ასიმეტრიულად განლაგებული — „ჩაპედილი“ კიდევს შორის.

მთლიანობაში წარწერა, რომელიც ფარაკის კიდეს ებჯინება უშუალოდ, არათანაბარი ასოებით არის შესრულებული და ამდენად, ერთი შეხედვით, დაუდევარ ნაწერსა ჰგავს. — ყველა ასო სხვადასხვა ზომისაა. სახელდობრ: არ ეფარდება ერთმანეთს პირველი „Δ“-სა და „Ε“-ს სიდიდე, „Ε“ და „Α“ — თანატოლებია. „Γ“ მეორე „Δ“ უთანაბრდება; „Σ“ და პირველი Δ ერთი ზომისაა. ხოლო „Ο“ — ყველაზე მცირეა. „Ο“ უშუალოდ პირის კიდეს ებჯინება ისე, რომ ასოს თავის შეკვრა ვეღარ მოხერხებულა. „Σ“ კი სტრიქონიდან ამოვარდნილია და ერთი შეხედვით შეიძლება ცალკე ამოჭრილ ასოდ იქნეს მიჩნეული. იგი ფარაკის კიდისა და მანდილოსნის თხემის ძვალს შორის არის მოთავსებული. ამას გარდა „Σ“ და „Ο“ ყველაზე არაღრმადანა ნაკვეთი — ამოკაწრულსა ჰგავს.

ტ ე ქ ნ ი კ ა : მკაფიოდ ნაკვეთი გამოხატულება სხვადასხვა სიღრმითაა ამოჭრილი. — თავი, ნაწილობრივ, მხარ-ბეჭი, მკლავი, შედარებით ღრმადანა ამოჭრილი; სახე, ტორსი, ქსოვილი, ფეხები, ხელები — არაღრმად.

კვეთა უაღრესი სქემატურაში ხასიათდება, რაც განსაკუთრებით ქსოვილისა და თმის შესრულებაში მკლავდება. — ქსოვილის ნაკეცები, და თვით

¹¹¹ შესაძლოა აქ საქმე გვაქვს ლითონით შემოკვედილ — „მოპირკეთებულ“ ფეხებიან სკამის ერთ-ერთ ტიპთან აღსანიშნავია, რომ ოთხი ფენიდან — მხოლოდ ორია გამოხატული.

¹¹² იხ. G. Richter. The Furniture of the Greeks, Etruscans and Romans. London, 1966, გვ. 13—23.

საქოსიც. ძირითადად ვერტიკალური და პორიზონტალური სქემატური ხაზებსა საშუალებითაა გადმოცემული.

მკრელს რამდენიმე სახის საკრისი აქვს გამოყენებული — საყმაოდ გაბე-
ულულად. ძირითადად ნახმარია ბრინჯაოს ნემსი (ორი სახისა; ერთი ძალიან
წმინდაწვერიანი ყოფილა) და საკრისი მომრგვალებული საკრელი წვერით. აგ-
რეთვე *bouterolle*-ისებრი და ფართობრიანი საკრისები — შესაძლებელია
მკრელს *gouge*-ს მსგავსი საკრისიც ჰქონდა გამოყენებული. სახის ამოსაქრე-
ლად ნახმარია: ბრინჯაოს ნემსი, ფართობრიანი საკრისი მომრგვალებული
წვერითა და *bouterolle*-ისებრი. სხეულის ფართო მასების ამოსაქრელად —
ფართობრიანი და *gouge*-ს მსგავსი საკრისები. *gouge*-ს მსგავსი საკრი-
სი უნდა იყოს გამოყენებული მკლავისა და მხარის ამოსაქრელადაც. ქსოვი-
ლის, თმის, მჟავის, თასის, ხის ტოტებისა და ზელის ამოსაქრელად
ბრინჯაოს ნემსია ნახმარი. წარწერაც ნემსითაა ამოკრილი.

ნახელავი არ გამოირჩევა ფაქიზი შესრულებით და მაღალი მხატვრულ-
ობით. უპირველეს ყოვლისა ამას „ნახატი“ მოწმობს — მკრელი არ ხატავს, იგი
მშრალი სქემის სახით წარმოგვიდგენს მთელ რიგ დეტალებს.

მკრომარე ქალის გამოხატულება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული
მოტივთაგანია კრილა ქეპზე. — განსაკუთრებით კი იგი ძვ. წ. V საუკუნის
მეწურულსა და IV საუკუნის ბერძნული ფარაკიანი ბეჭდებისათვის არის და-
მახასიათებელი¹¹². აღნიშნული რიგის ბეჭდებზე სხედასხვა საქმიან გართუ-
ლი ქალია ხოლმე წარმოდგენილი. სახელდობრ: იგი ან წერს¹¹⁴, ან უკრავს¹¹⁵,
ან საკრავი უქირავს¹¹⁶, ზოგჯერ — ყვავილები¹¹⁷, თითისტარი¹¹⁸, თუთიყუ-
ში¹¹⁹ ანდა ცხოველებს ეთამაშება¹²⁰.

ჩვენი ბეჭდის ფარაკზე ამოკრილი ქალის შედარებისას ზემოხსენებულ
ბეჭდებს გამოხატულებებთან (იხ. სქოლიო გვ. 137—138) ყურადღებას იპყ-
რობს შემდეგი: ΔΕΛΑΤΟΣ -ის ბეჭედზე გამოხატული ქალი განსხვავდე-
ბა ყველა ჩამოთვლილ ქალისაგან უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მი-
სი გარეგნობა მიშზიდველი არ არის და რომ თვით ნახატიც მნიშვნელობით
ნაკლები ოსტატობით არის შესრულებული¹²¹.

აქ აშკარად ჩანს მკრელის მისწრაფება ნატურალიზმისაკენ. — ოსტატი
ცდილობს (და აღწევს ამას) ნატურალისტურად ასახოს ყველა ფორმა და დე-
ტალი. იგი არ გაურბის არც გარეგნობის სიმახინჯის გადმოცემას, არც სი-
ბერის დამახასიათებელ ნიშნებს. იგი არ ალამაზებს მის მიერ შექმნილ სა-
ხეს, როგორც ეს ბერძნული წარმოშობის ბეჭდებზეა ხოლმე წარმოდგენი-

¹¹² იხ. M. -L. Vollenweider, Catalogue Raisonné des Sceaux, Cylindres et Intall-
les. v. I, გვ. 131.

¹¹³ იხ. H. Walters, British Museum Catalogue of Gems, გვ. 533; Genova, XII,
1964, ტაბ. II, 5, გვ. 62.

¹¹⁴ იხ. Genova, იქვე, ტაბ. II, 6.

¹¹⁵ იხ. G. Becalli, Oreficerie Antiche, Roma, 1955, ტაბ. LXXX, 324.

¹¹⁶ იხ. M. -L. Vollenweider, დასახ. ნაშრ. ტაბ. 84, 219; Becalli, დასახ. ნაშრ.,
ტაბ. LXXXI, 330, 332.

¹¹⁷ იხ. Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 84, 218;
— Marshall, Finger kings, გვ. 1036.

¹¹⁸ იხ. Becalli, დასახ. ნაშრ., XXX, 325; — Marshall, Finger Rings, 1050, 1055, 1062.

¹¹⁹ იხ. Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 17.

¹²⁰ იხ. Vollenweider, Becalli, Walters, Richter, დასახ. ნაშრ. -ბი.

ლი¹²². პირიქით — ხაზს უსვამს ყველა მის ინდივიდუალურ თვისებასა თუ თავისებურებას. მისთვის — ოსტატისათვის, მთავარია არა გარეგნული იერი ადამიანის სახისა (ბუნებრივია ინდივიდის მთელი ფიგურა იგულისხმება), არამედ მისი მნიშვნელობა და ღირსება. და (მიუხედავად იმისა, რომ ნახატს კარგად არ ფლობს — იგი არ ხატავს) აღწევს კიდევ დასახულ მიზანს. — მის ნახელაუში ერთბაშად და ნათლად ჩანს, რომ მან გარკვეული მნიშვნელობის გარკვეული სახე წარმოგვიდგინა. „სახე“ არა უბრალო „მიწიერისა“ — ქალისა, არამედ ან დიდგვაროვანისა, ან ღვთაებისა, ანდა შესაძლოა ქურუმისაც კი.

ჭერჭერობით მტკიცება იმისა თუ სახელდობრ ვინ არის გამოხატული ბეჭდის ფარაჯზე — ძნელია. მხოლოდ ერთია უდავო — საბეჭდავ-ბეჭედზე არაბერძენი ქალია წარმოდგენილი, რომლის არაბერძენულ წარმოშობაზე, შედარებითი ანალიზის შედეგად, ზემოთ აღნიშნული თვისებები მეტყველებს.

ბერძენი ქალები, ჩვეულებისამებრ, ინტალიოებზე წარმოდგენილი არიან როგორც განსაკუთრებული გარეგნობის მქონენი. — იგი უშუალოდ მიმზიდველი და დახვეწილი შესახედაობისაა ხოლმე. ხოლო რაც შეეხება ტექნიკას, როცა კი ის ბერძენი ოსტატის ნახელაურია, — კვთა უაღრესი სიფაქიზით გამოირჩევა. სახელდობრ ქსოვილისა და თმის გადმოცემაში მელანდებ¹²³ ოსტატობა მჭრელისა.

ΔΕΔΑΤΟΥ-ის ბეჭედზე ამოკრილი ქალის შედარებისას ბერძენებით დასახლებულ სამხრეთ იტალიის მცხოვრები ქალის ტიპთან¹²⁴ იკვეცვა, რომ არც ამ ორ ტიპს შორის არის საერთო — ისინი სხვადასხვა წარმოშობისანი არიან. ამაზე სამოსის მოხმარების — ჩაცმულობის ტარების მანერაც (თუ სტილი) მიუთითებს. — მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქალს (ვანის ბეჭედსა და ენევის მუზეუმის ინტალიოზე), ერთი და იგივე ტიპის სამოსი აცვია (კვართი, ჰიმატიონი), თითოეული მათგანის ჩაცმულობაში ინდივიდუალური თავისებურება ჩანს. სახელდობრ ჰიმატიონი სხვადასხვა ყადაზე აქვთ ჩაცმული.

ქსოვილიც სულ სხვაგვარად არის შესრულებული. ბერძენული წარმოშობის თანადროულ კრილა ბეჭედებსა თუ ქვებზე ქსოვილი განსაკუთრებული სიფაქიზითა და ოსტატობით არის ხოლმე ნაკვეთი. ბერძენი ოსტატი ყველა ნაკეცსა და ნაოქს რბილი ხაზებით გადმოგვეცმს. ვანის გემა კი ამ მხრივ, როგორც აღნიშნული გვექონდა, განსხვავებულ ნიმუშს წარმოადგენს — იგი ზედმიწევნით სქემატურადაა შესრულებული (მჭრელის სტილისტურ თავისებურებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამ მხრივ ყურადღების ღირსია თმის ვარცხნილობაც. — ენევის მუზეუმის ბეჭედზე გამოხატული სამხრეთ იტალიაში მცოვრები ქალის და ვანის ბეჭედზე ამოკრილი ქალის თმისვარცხნილობა თითქოს სავსებით ერთნაირია (ანალოგიური თმისვარცხნილობა ძვ. წ. V საუკუნის მიწურულის სირაკუ-

¹²² მოსწინაეულ ბეჭედებიდან იხ. Vollenweider, დასახ. ნაშრ., 218; —Walters, Gems, 533; —Richler, Gems, და ა. შ.

¹²³ შდრ. Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 218 (აეტროი სხენებულ ბრინჯაოს ფარაქან ბეჭედს დემსამენეს ტექნიკას ადარებს. ბეჭედი დატულია ენევის ხელოვნებისა და ისტორიულ მუზეუმში. ძვ. წ. V საუკ.).

¹²⁴ შდრ. Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 84, 4—219.

ზულ მონეტებზე გვხვდება)¹²⁵. მაგრამ შედარების შედეგად ირკვევა, რომ „ΑΕΛΑΤΩΝ“-ის ბექდის ქალის თმისვარცხნილობა ნაკლებად მოხდენილად და ფაქიზად არის გაკეთებულიცა და ოსტატის მიერ შესრულებულიც.

თვალში გვხვდება აგრეთვე მარცხენა მხარის გადმოცემის მანერა. — იგი ტანიანგან მკვეთრად გამოყოფილი „ბურცობით“ არის გადმოცემული, რომლის ზედაპირი ჰორიზონტალური ხაზების წყებით არის დაფარული (აღნიშნული ხაზები ქსოვილს მიეკუთვნება). მარცხენა მხარი არ არის ორგანულად დაკავშირებული, არც ტრასთან და არც მარცხენა ხელთან¹²⁶. ამდენად ერთი შეხედვით იგი შეიძლება რაიმე ატრიბუტადაც კი იქნეს მიჩნეული.

წარჩინებული კოლხი მეომრის საბექდაეი-ბექდის (ΑΕΛΑΤΩΝ-ის) ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევისათვის, აუცილებელია დადგინდეს — როგორი მნიშვნელობით იყო ამოჭრილი ბექდის ფარაზე წარწერა. — როგორც ცნობილია, საბექდაეებსა და გემებზე გამობატულბასთან ერთად ამოჭრილი წარწერები სხვადასხვა ხასიათისაა. — წარწერა ძირითადად ან ბექდის მფლობელის სახელის აღმნიშვნელია ანდა ოსტატის ხელმოწერაა; არის შემთხვევები, როდესაც წარწერას განმარტებითი ხასიათი აქვს — გამობატული მითოლოგიური პერსონაჟის ან გმირის სახელს წარმოადგენს (ამგვარი წარწერები ხანდახან უშუალოდ ინტალიოდან იკითხება)¹²⁷.

მკრელის ხელმოწერა გემა-საბექდაეებზე, ბექდის მფლობელის სახელსაგან განსხვავებით, კომპოზიციისათან არ არის ორგანულად დაკავშირებული იგი, როგორც წესი, პატარა ზომის, წმინდა ასოებით არის შესრულებული. — ოსტატი ცდილობს, რომ მისი ხელმოწერა ნაკლებად შესამჩნევი იყოს¹²⁸. მკრელის სახელი უფრო ხშირად ნომინატივში გვხვდება¹²⁹ (როცა ოსტატი ხელმოწერას გენეტივში იძლევა, ყოველთვის უმატებენ ἔργου-ს — „ნახელავია“.

¹²⁵ იხ. G. Richter, Unpublished Gems in various Collection, AJA, 1957, 61, №3, ტაბ. 80, გამ. 2—Ch. Sellman, Greek Coins, Lond. ტაბ. XXII, 11.

— მსგავსი თმისვარცხნილობა იხ. აგრეთვე ბერლინის მუზეუმში დაცული ძვ. წ. IV საუკ. დანაწესის მინის ინტალიოზე, რომელზედაც ქალის თავია გამობატული (იხ. A. Furtwängler, Beschreibung, გამ. 335).

¹²⁶ მხარ-მკერდი თითქოს და სამად არის დანაწევრებული (იხ. გვ. 146).

¹²⁷ მგ. ძვ. წ. 400—390 წ. დათარიღებულ ოქროს საბექდაე-ბექდაეზე კასანდრას გამობატულბით, ამოჭრილია ბერძნული წარწერა „Κασσαδρα“ „კასანდრა“ (იხ. G. Richter, Gems, II, გამოკემა, გვ. 22, ტაბ. XIV, 80); ერთ-ერთ არქელ გემაზე კასტორისა და პოლიდემესზე გამობატულბით კვთხულობთ — Διστοριου. — განმარტებითი წარწერებს შორის (უცხოურ ლიტერატურაში „აღწერილობით წარწერას“ უწოდებენ) იშვიათ მაგალითს წარმოადგენს (იხ. Osborne, Gems, გვ. 43, ტაბ. VIII, 2). განმარტებით წარწერებთან დაკავშირებით. იხ. J. Boardman, Archaic Greek Gems, გვ. 174, მსგავსი მაგალითები. იხ. აგრეთვე Osborne, დასახ. ნაშრ., გვ. 120, 127.

¹²⁸ იხ. G. Richter, Gems, II გამოკემა, გვ. XXXII. გეები ცნობილი ოსტატების ხელმოწერით იხ. A. Furtwängler, Studien über die Gemmen mit ἄνθρακισchriften, Kleine Schriften, II, Berlin, 1898—1899, გვ. 147—291.

¹²⁹ ნომინატივში მოკემულ სახულებს ზოგჯერ ახლავს ἔργου „გააკეთა იგი (იხ. Richter, Gems, I გამოკემა, London 1920, გვ. XXXVI); — ლორთქიფანიძე, ქვის მკრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე XVII—B, 1953, გვ. 246.

აღსანიშნავია, რომ გამონაკლისის სახით იონიელი ოსტატის მანდრონაქ-სისა — ΜΑΝΔΡΟΝΑΞ და მკრელი სტესიკრატეს ΣΤΗΣΙΚΡΑΤΗΣ სახელები გემებზე „გარკეული ხელით“ — ღრმად ნაკვეთი დიდი ასოებითაა მოწერილი¹³⁰.

ქ. წ. VII საუკუნიდან მოყოლებული ბერძნებმა, ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, გემებზე საბექდავის მფლობელის სახელის ამოჭრა დაიწყეს¹³¹. ბექდის მფლობელის სახელი ყოველთვის კომპოზიციის ნაწილს შეადგენს და, თავიდანვე, მკრელის მიერ ასეა გაზრებული, რომ ყურადღება მიიპყროს. — მულად თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული, ამასთანავე დიდი ზომის ასოებით შესრულებული და შედარებით „მკვეთრად“ მოხაზული — ღრმად ამოჭრილი¹³². თუ წარწერა მხოლოდ მფლობელის სახელს აღნიშნავს (მისი „ტიტულების“ გარეშე) მაშინ იგი ნომინატივშია ხოლმე მოცემული.

საბექდავის მფლობელის სახელის გაჩაღად, მკრელები იგივე წესს იცავენ კრილა ქვასა და საბექდავზე გამოხატული პიროვნების სახელის აღსანიშნავად. ორივე შემთხვევაში — მფლობელისა თუ გამოხატული პიროვნების — სახელი „ხაზგასმულია“. ზემოთაღნიშნულის საილუსტრაციოდ ჩვენში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის კრილა ქვების შოტანა შეიძლება, სახელდობრ: ასპარეჟ ერისთავის საბექდავი-ბექდისა, ასპარეჟ ერისთავის ბალთაში ჩასმული კარპაკისა და ზევახის გამოხატულებიანი, წარწერით დამოწმებული გემისა; სამთავროში მოპოვებული „კოვაკის“ საბექდავისა, დაბოლოს — ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტიანი გემისა, ოსტატი პლატონის ხელმოწერით¹³³.

ზემოსხენებულისა და გამოდინარე ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მივედით: სახელის — ΔΕΛΔΤΟΣ სტრუქტურის, უფრო სწორად — ბოლოკიდურის მიხედვით დასტურდება, რომ ჩვენ მამაკაცის საკუთარ სახელთან გვაქვს საქმე¹³⁴. ვინაიდან ინტალიოზე ქალის ფიგურაა გამოხატული, ამდენად წარწერა არ შეიძლება განმარტებული ხასიათისა იყოს. სახელი, ჩვენი ვარაუდით, არაბერძნული წარმოშობისაა — ჩვენს მიერ შესწავლილ ეპიგრაფიკულ მასალებში პირთა მრავალრიცხოვან ბერძნულ სახელებს შორის, ჟერჯერობით, დედ ა-

¹³⁰ იხ. Boardman, Archaic Greek Gems, გვ. 66, 69, 150, 152; ΜΑΝΔΡΟΝΑΞ -ის ხელმოწერა იხ. ტაბ. IX, 131 (პლაზის სკარაბეი ცხრის გამოხატულებით); ΣΤΗΣΙΚΡΑΤΗΣ ხელწერა ტაბ. XXXVI, 561. (კალკედონის სკარაბეი ცხრის გამოხატულებით კაპროსიდან).

¹³¹ იხ. E. Babelon, La Gravure en Pierres fines, Paris, 1854, გვ. 97—98; მ. ლოთქიფანიძე, ქვისჭრელის პლატონის ნახეაჟი, გვ. 245.

¹³² იხ. მ. ლოთქიფანიძე, ქვას მკრელის პლატონის ნახეაჟი, გვ. 246.

¹³³ იხ. მ. ლოთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები II, არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბილისი, 1958, გვ. 18, 56, 59—60, 52; — ჩვენზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები I, თბილისი, 1954, გვ. 30. ჩვენზე. ქვის მკრელის პლატონის ნახეაჟი, გვ. 243—250; — ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, I, გვ. 54, 128.

¹³⁴ შტრ. ΔΕΕΑΜΕΝΟΣ, ΝΙΚΑΝΔΡΟΙ, ΠΡΟΤΑΡΧΟΣ, ΔΑΙΔΑΛΟΣ, ΔΑΔΛ-ΚΟΣ, ΣΟΛΩΝΟΣ, ΟΝΕΣΙΜΟΣ, ὀνάσα(ν) ΤΟΣ, და ა. შ. (იხ. A. Furtwängler, Über die Gemmen mit Künstlerinschriften გვ. 192—230; -Köhlers, დასახ. ნაშრ. გვ. 365—368; -Osborne, დასახ. ნაშრ., გვ. 82; Boardman, Archaic Greek Gems, გვ. 104, 116; — I. Russu, Elemente. Traco-Getice in Scitia si Bosporul Cimmericum, Studii Cercetari di istorie veche, București, 1958, №2, გვ. 321.

ტოსი არ შეგვხვედრია. თავისი აღნაგობით იგი ყველაზე ახლო მსგავსებას მცირეაზიულ სახელთა შორის პოულობს, კერძოდ — კაადოკიურ სახელთან „*Ααδωτης Κααηαδωης*“¹³⁵.

ევეგარეშა, რომ „ღელატოსი“ არც მკრელის სახელია, რომელმაც კოლხი მეომრის საბეჭდავი-ბეჭედი გააქეთა; ამის დასასაბუთებლად ყველაზე უკეთ თვით წარწერის შესრულების მანერა მეტყველებს. — ოსტატები, როგორც აღვნიშნეთ, სხვა ყაიდაზე აწერენ ხელს თავიანთ ნახელავს — უფრო „მოკრა-იალებულად“.

ჩვენი საბეჭდავის წარწერა ძალიან თვალსაჩინოა; მას პირის, ანუ ფარა-კის, თითქმის 1/3 უჭირავს და ისეა გააზრებული, რომ კომპოზიციაში თანა-ბარი მნიშვნელობითაა“ შესული. — სახელი ΔΕΔΑΤΟΣ იმგვარადაა გა-მოხატულებასთან დაკავშირებული — კომპოზიციაში ჩართული, რომ თითქმის მას ფონსაც კი უქმნის. ამასთანავე მკვეთრად გამოირჩევა და ადვილად იცი-თხება ერთი შეხედვისთანავე. ყოველივე თქმული იმას მოწმობს, რომ ჩვენ ბეჭდის მფლობელის სახელთან გვაქვს საქმე.

ქრილა ქვებსა და საბეჭდავებს პრაქტიკული დანიშნულების გარდა, რო-გორც სამკაულს — მხატვრობისა და ხელოვნების თვალსაზრისით, დიდი ღირებულება ჰქონდა, ამიტომ ეს ნივთები, ხშირად თაობიდან თაობაზე გა-დადიოდა. — განძების სახით გროვდებოდა სახელმწიფო და კერძო ლაპიდა-რიებსა, ტაძრებსა, წარჩინებულ პირთა და იმპერატოართა საგანძურებში¹³⁶. მაგრამ თუ გემას საბეჭდავის ფუნქცია „ეკისრებოდა“, როცა იგი უფლება-მოსილი პიროვნების კუთვნილებას შეადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყო-ველთვის მფლობელის შეკვეთით სრულდებოდა. განსაკუთრებით უნდა ყო-ფილიყო დაცული ეს წესი, ჩვენი აზრით, როცა საქმე პირად სახელიან სა-ბეჭდავებს ეხებოდა — განურჩევლად იმისა უფლებრივი იყო იგი თუ პირა-დი¹³⁷.

ჩვენ მიერ განხილული ბეჭედი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისი „ღორსებითა“ და ტიპით არ ეკუთვნის იმ საბეჭდავი-ბეჭდების ტიპს, რომლე-ბიც სისტემატურად, ყველა პირობებში იხმარება. ჩვენ მას იმ საბეჭდავების კატეგორიას ვაკუთვნივთ. რომალებსაც საგანგებო შემთხვევებში იყენებდნენ. რაც შეეხება ΔΕΔΑΤΟΣ საბეჭდავის მფლობელის სახელად მივიჩნევთ. — წარწერა ისეა შესრულებული, რომ ანაბეჭდზე მკაფიოდ აღიბეჭდება და თვალსაჩინო ადგილზე ხვდება. კიდევ მეტიც — იგი ისეა ჩა-ფიქრებული, რომ პირველ რიგში მაყურებელს თვალში ΔΕΔΑΤΟΣ-ი ეცემა. რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ მფლობელის სახელს, ამ შემ-თხვევაში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. სახელისათვის ადგილის შერჩევას ანგვარი გადაწყვეტა, ზით უმეტეს როცა მის გვერდით უბრალო

¹³⁵ იხ. W. Pape, Wörterbuch der griechischen Eigennamen. Neu Bearbeitet von G. E. Bersler, Braunschweig, 1884; იხ. L. Zgusta, Kleinasiatische Personennamen, Prag, 1964, Nachtrag, გვ. 683, 8. C83. (Ig II³, 8544; Athen). „*Ααδωτης*“ ერთ-ერთი თენურ წარ-წერა იხ. იქვე. ლ. ზესტა „დადატეს“ ადგილობრივ კაადოკიურ სახელად მიიჩნევს.

„ღელატოსი“ რამდენადაც „ენათსაცება“ აგრეთვე Russu-ს ზიერ მოხსენებულ სახელ-ს. — „*Da'acos*“ (იხ. იხ. E. Leumann: *Travaux de la Société de la Science et de l'Étude de la Civilisation de la Cappadoce*, გვ. 32).

¹³⁶ იხ. Plin. Sec., Hist. Nat., XXXV, XXXVII.

¹³⁷ ჩვენი აღნიშვნა უფლებრივ საბეჭდავებზე ხშირად მფლობელის სახელთან ერთად მის ნაშის სახელი ხოლმე მოხსენიებული — „*ქე ამისადაამისა*“.

მომავლადეი კი არ არის გამოხატული, არამედ ზემიწიერი ანდა სათაყვანებლად ქცეული წარჩინებული პიროვნება, შემდეგი აუცილებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს: ყურადღების ცენტრში — „დასმულ ბეჭედზე“, ისევე როგორც ამ საბეჭდავით დამოწმებულ საბუთზე, მისი მფლობელის სახელი უნდა მოქცეულიყო.

ამრიგად, საბეჭდავის მფლობელი ვინმე დედატოსი ყოფილა. როგორც ჩანს, დიდად წარჩინებული და უფლებამოსილი პირი (ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ ვარაუდით გამოეთქვათ მოსაზრება, რომ სამარხში დაკრძალული კოლხი მეომარი დედატოსია. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნებოდა თუ რატომ მოხვდა სამარხში მფლობელის სახელიანი საბეჭდავი). ფარაჯზე მისი სახელის ამოკვეთა გარკვეული მოსაზრებით იყო გამოწვეული. — ხსენებული ბეჭედი მის ინსიგნიას წარმოადგენდა — ოფიციალური საპირობებისათვის განკუთვნილ უფლებრივ საბეჭდავს. დედატოსის უფლებებსა და წარჩინებულობაზე, სხვას გარდა, სამარხში ჩატანებული საბეჭდავი-ბეჭდების ჩაოდენობა მიუთითებს¹³⁸ (იხ. გვ. 129)¹³⁹.

ისმის საკითხი თუ ვინ უნდა იყოს გამოხატული წარჩინებული კოლხის უფლებრივ საბეჭდავზე. პირველ რიგში მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ქალი მძივჯ-ზე ზის, სეარძლის ისეთ ტიპზე. რომელზედაც მხოლოდ ღვთაებებსა და მაღალი წოდების წარჩინებულ პირებს შეეძლოთ ასე-ლა. მისი ჩაქმელობა და მოსართავი (საყურეები, მანიაკი, სამაჯურები, თავსამკაული, საწვივე რგოლები) იმაზე მეტყველებს, რომ იგი უბრალო მომავლადეი არ უნდა ყოფილიყო — იერი გოროზი და მედიდური აქვს. ანგარიშგასაწვევია ისიც, რომ მის ზურგს უკან აღმართული ხის ტოტი, ჩვენ მიერ მარაოდ მიჩნეული, იმ ატრიბუტთაგანია, რომელიც ასევე რჩეულთათვის იყო განკუთვნილი¹⁴⁰. ქალის ხელში გამოხატულ ფიალას, როგორც ჩანს — ამ შემთხვევაში, რიტუალური მნიშვნელობა აქვს¹⁴¹. საკულტო ანდა სიმბოლური მნიშვნელობისა უნდა იყოს პალმის ტოტიც. რომელიც მას მარცხენა ხელში უჭირავს (იხ. სურ. 130).

¹³⁸ კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ საბეჭდავებს მათი მფლობელს შეეძლოდა სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდა, რაც მისი პიროვნების მნიშვნელობაზე მიუთითებს.

¹³⁹ აქ ჩვენ არ შევედგებით იმის ჩამოთვლას თუ რაოდენ ძვირფასი და მაღალმხატვრული ღირებულების ნივთები ჩატანებიან მეომრისათვის სამარხში. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დაკრძალვის წესი. უკეთ — სამარხის „შემოფარგლა“ დიდი რაოდენობის იარაღით. მსგავსი შემთხვევა ჩვენში ცნობილი არ არის. ის ფაქტიც დაკრძალული პიროვნების მაღალ მდგომარეობაზე მეტყველებს.

¹⁴⁰ მარაოდ გამოყენებული ხის ტოტები ხეთურსა და ასირიულ ცილინდრებზე გვხვდება (იხ. H. H. von der Osten, Ancient Oriental Seals in the Collection of Mr. Ed. T. Newell, Chicago, 1934, გვ. 138—139), ამ მხრე ჩვენი საუკუნის პროტოტიპს ერთ-ერთი ხეთური ცილინდრი წარმოადგენს (იხ. Osten, von der Osten, ნაშრ., გვ. 136, ტაბ. XXI, 295).

¹⁴¹ ფიალის ეს ტიპი — ვ. „აქემენიდური ფიალები“ (ფორმა იგულისხმება) ფართოდაა გავრცელებული ძვ. წ. V—IV სს სამხრეთ ბულგარეთის სამარხებში (იხ. Б. Филипов, Надгробите могили при Дуванлии в Пловдивско. София, 1934, გვ. 160—185, ტაბ. 202, 203, 205 (ძვ. წ. V სკ.) И. Велков, Могили гробни находки от Дуванлии, Известия на Български археологически институт, VI, 1932, გვ. 12—19, გვ. 17, ტაბ. 1, 2. D. E. Strong, Greek and Roman Gold and Silver Plates, London, 1916, გვ. 77, ტაბ. 16A; აგრეთვე; Д. Дмитриев, Материалы культуры и искусство тракте през ранната еленис-

ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი გარემოება: უფლებრივ საბეჭდავზე, უეჭველად, ისეთი სიმბოლო უნდა შერჩეულიყო, რომელიც არამარტო მფლობელის თაყვანისცემის საგანს შეადგენდა, არამედ ჩვენი აზრით, იმ წრეშიც სათაყვანებელი უნდა ყოფილიყო, რომელშიც საბეჭდავი „ძალაში შედიოდა“.

ჩვენ საბოლოოდ გარკვეული არ გვაქვს ვისი სახე გამოხატა მკრელმა საბეჭდავზე (ამ მიმართულებით კვლავ ვაგრძელებთ მეცადინეობას). უდავოდ მხოლოდ ის მიგვაჩნია, რომ ტახტზე მჯდომარე ფიგურა ან მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაებაა (ამას ხის ტოტემი გვაგვარაულებინებს), რომელიც დედატოსს თავის მფარველად მიაჩნდა, ანდა (რაც ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს) დიდგვაროვანი მანდილოსანი, ღმერთქალთან გატოლებული.

რაც შეეხება ნივთის წლოვანებას, მას რამდენიმე კარგად დამათარილებელი ნიშანი გააჩნია:

გლობტიკურ ძეგლებზე, ისევე როგორც ყველა სხვა წარწერაში, სხვადასხვა ეპოქაში ასოების მონახულობა ცვლილებას განიცდის¹⁴². გემებზე სამხაზიანი სიგმა წინ უსწრებს „ოთხხაზიან X“-ს. ოთხხაზიანი „X“ გემებზე ძვ. წ. VI საუკ. მიწურულში ჩნდება. ძვ. წ. V საუკუნეში იგი უკვე ფართოდ გავრცელდა საკუთარ სახელიან წარწერებში¹⁴³. V საუკ. დასაწყისში ოთხხაზიანი X თითქოს ჭერ კიდევ არ არის მთლად „ჩამოყალიბებული“, ასე ვთქვათ — „მიღრეკილებას იჩენს“ სამხაზიანი სიგმას მიმართ, ძვ. წ. V საუკ. II ნახევრის დასაწყისიდან ოთხხაზიანი X-მა მკაფიო მონახულობას ღებულობს, ხოლო III საუკუნეში სრულ სახეცვლილებას განიცდის — მომრგვალებულია.

ჩვენს წარწერაში სხვაზე უკეთ დამათარილებელ ელემენტს „X“ წარმოადგენს, რომელიც მონახულობის მიხედვით ძვ. წ. IV საუკ. I ნახევრით დათარიღებულ წარწერებს მიეკუთვნება (იგულისხმება საკუთარსახელიანი გემები)¹⁴⁴.

საუფიქლიანად არის, აგრეთვე, შესწავლილი და კლასიფიცირებული ანტიკური ხანის ავეჯი; განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სახელდობრ საუარაქლების — ტახტებისა და სკამების ტიპოლოგიას¹⁴⁵. ამდენად, ჩვენ საბეჭდავი-ბეჭდის დათარიღებისათვის მნიშვნელოვნად მივიჩნით ტახტის ტიპის დადგენა. ანალოგიური ტიპის თრონოები — *θρόνοι* ანტიკურ

тическа епоха (Сб. Археологически открития в България, София, 1954, გვ. 64 და შემდ.) ანალოგიური ფაუნების აღმოჩენები თურქეთშიც არის დადასტურებული. კერძოდ საშუნის სამხრეთით *Ünye*-ში (იხ. E. Akurgal, Eine Silberschale aus dem Pontus, Antike Kunst, 10 Jahrgang, Berlin, 1967, Heft, I გვ. 32, გამ. Abb. 1). ძველი საქართველოს მონაპოვართა შორის ენის ოქროს ფალისა და ახალგორის ვერცხლის ანალოგიური თასის დასახელება შეიძლება.

¹⁴² იხ. Richter, *Gems*, II გამოცემა, გვ. XXXIII.

¹⁴³ მღრ. ძვ. წ. 500 წლით და შემდეგი ხანით დათარიღებულ წარწერიან გემებს (იხ. Boardman, *Archaic Greek Gems*, №№ 246, 249, 333, 427, 518 და ა. შ.

¹⁴⁴ მღრ. Furtwängler, *Studien über die Gemmen mit Künstlerschriften*, *Kleine Schrift.*, გვ. 190—196, 201, 201;

¹⁴⁵ იხ. G. Richter, *The Furniture of the Greeks, Etruscans and Romans*, London, 1966; პილიპე, *Ancient Furniture*, Oxford, 1926.

ძეგლებზე უკვე ძვ. წ. V საუკუნის 3/4-დან გვხვდება¹⁴⁶. ჩვენი ტახტი ყველაზე ახლო მსგავსებას მრგვალფეხებიან მრგვალ-ებთან პოულობს, კერძოდ, — იმეორებს ძვ. წ. IV საუკ. ფორმის ტახტებს¹⁴⁷.

დასასრულ შეევხებით თვით საბეჭდო-ბეჭდის ტიპს, რომელიც კარგად თარიღდება ძვ. წ. IV საუკ. I ნახევრით¹⁴⁸.

ამრიკად, ზეჰლის ფორმის, ტახტის ტიპისა და წარწერის მიხედვით ჩვენ საბეჭდოს ძვ. წ. IV საუკ. I ნახევრის ნახელავად მივიჩნევთ¹⁴⁹.

როგორც დაინახეთ, დედატოსის ბეჭედზე გამოხატული ქალის ფიგურა ანტიკურ სამყაროში გავრცელებული მოდის მიხედვით არის ჩაცმული: გრძელსახელოებიანი, მრავალნაოკიანი ქიტონითა და ჰიმატონით არის შემოსილი¹⁵⁰. თმისვარცხნილობაც ბერძენი და სირაკუზელი ქალების მსგავსად აქვს გაკეთებული¹⁵¹ (ამგვარი თმის ვარცხნილობა, როგორც ჩანს, მოდაში ძვ. წ. V საუკ. ბოლოდან შემოდის. სირაკუზელი მონეტების მიხედვით, იგი ძვ. წ. V—IV სს. (დასაწყისი) არის გავრცელებული)¹⁵². გამოხატულების საერთო იერი, კომპოზიცია, ქალის პოზა ბერძნულ და სამხრეთ იტალიის გლობტიკურ ძეგლებში პოულობს ანალოგიებს და, ერთი შეხედვით, შეიძლება ასედაც მივიჩნიოთ. მაგრამ შედარებითი ანალიზის შედეგად სინქრონულ და მსგავს პრილა ქებთან, ისევე, როგორც ლითონის საბეჭდო-ბეჭდებთან ირკვევა, რომ იგი არც ბერძნული წარმოშობისა და არც სამხრეთ იტალიური. ვანის საბეჭდო-ბეჭდებზე გამოხატული მჭდომარე ქალის ფიგურა, ანტიკური წარმოშობის ანალოგიურ გამოხატულებებისაგან რიგი თავისებურებით განსხვავდება.

მჭდომარე ქალის ფიგურა, როგორც აღნიშნული გვექონდა (გვ. 138), დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბერძნულ სახვით ხელოვნებაში (სკულპტურა, გლობტიკა, ვაზების მზატერობა). მჭდომარე ადამიანის გამოხატვის

¹⁴⁶ იხ. Richter. The Furniture, გამ. 69, 291, 294; ასეთვე ტიპის უზურგო თრონოს გამოხატულია ერთ-ერთ ელნისტურ გემზე აქოლეისის გამოხატულებით. იხ. Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 91, ტაბ. LI, 408.

¹⁴⁷ იხ. Richter. Furniture, გვ. 21—23, გამ. 77 (ნახატი ქერჩის ვაზზე, ათენიდან). ქ. რიხტერის მიერ გამოცემულ № 69 და № 77 თრონოსებს შორის შუალედი 40—50 წელია.

¹⁴⁸ იხ. Hoffmann—Davidson. Greek Gold Jewellery, გამ. 108, 109, III.

¹⁴⁹ სამარხში აღმოჩენილია ფილაზე II მაკედონელის მონეტა (ძვ. წ. 353—336 წწ) იხ. ექსპედიციის საველე დოკთარი.

¹⁵⁰ შტრ. M.-L. Vollenweiden, Catalogue Raisonné des Scaux, Cylindres et Intailles, I. გამ. 218. 219.

¹⁵¹ თმის ვარცხნილობა შტრ. Becall, Oreficerie Antiche. გვ. 187, №325— ძვ. წ. IV საუკუნით დათარიღებული ოქროს საბეჭდო-ბეჭდის ტარანტოდან; ძვ. წ. V საუკ. მიწურულითა და IV საუკ. დასაწყისით დათარიღებულ ვერცხლის საბეჭდო-ბეჭდს, — Vollenweider, დასახ.

ნაშრ., № 219. აგრეთვე ძვ. წ. V საუკ. ბოლოში და ძვ. წ. IV ს. დასაწყისით დათარიღებულ სირაკუზულ მონეტებს: — იხ. Ch. Sellman, Greek Coins, London, Methuen, 2, 1955. ტაბ. XXII, 11; — A. H. Зорграф, Античные монеты, МИА, №16, 1951: ტაბ. VI, 16; VII, 5, 7; G. Richter, Unpublished Gems in various Collection, AJA, 1957, 61, №3. ტაბ. 80, გამ. 2.

¹⁵² Sellman, Зорграф, დასახ. ნაშრ., იქვე. 10. ვანი. II

„პრობლემას“ სახვითი ხელოვნების ყველა დარგში ერთნაირად საგულისხმო მნიშვნელობა ენიჭება და ძვ. წ. V—IV სს-თვის ეს საკითხი ბრწყინვალედაა გადაწყვეტილი. მჯღომარე ფიგურები, მათ შორის ქალის გამონახატულებები, წარმოადგენილია თავისუფლად მსუბუქ და „ძალდაუტანებელ“ პოზებში. სხე-
ნებულის პერიოდის გლიბტიკურ ძეგლებზე (ისევე როგორც სკულპტურასა და ვახუბას მხატვრობაში, ასევე მაღალი მხატვრული ღირებულების მონეტებსა და რელიეფებზე) ქაოვილი ბერძენ ოსტატების მიერ ნაკვეთ გემებზე, უზა-
დო ოსტატობით არის შესრულებული, ხოლო იონიელი ოსტატები სამოსის სიშუბუქისა და ქსოვილის გამკვირვალობის გადმოცემასაც კი აღწევენ.

სხელებულ ხანაში ადამიანის სხეულის ანატომიას ქვის მკრელები კარგად იცნობენ, ამდენად, მათ მიერ შექმნილი გამონახატულებები პროპორციების თვალსაზრისით უნაკლოა.

დედატოსის ბეჭდის მკრელის ნახელები, მიუხედავად იმისა, რომ კარგად არის შესრულებული კეთას დაუფლებული ოსტატის მიერ, საერთო სტილით განირჩევა ანტიკური კანადროული გამონახატულებებისაგან ზოგიერთი პრიმი-
ტიული თვისებებით, რაც სხელებული პერიოდის — ძვ. წ. V—IV სს ანტიკური, კერძოდ, ბერძნული ხელოვნებისათვის უცხოა. ვიდრე ამ თვისებების გარ-
ჩეევას შეეუდგებოდეთ, გვინდა აქვე შევნიშნოთ: ღმერთქალი, როგორც ჩანს, ადგილობრივ ეთნიკურ ტიპს უნდა გამოხატავდეს. ამაზე მისი დამახასიათე-
ბელი — არასწორი, მკვეთრად მოხაზული სახის ნაკეთები შეტყვევებს — იხ. აღწერილობა, გვ. 136, (სურ. 132ა). ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდით გამოთქვათ მოსაზრება, რომ ინტალიოზე ამოკრილი ღმერთქალი, რომე-
ლიდაც მონუმენტალური ძეგლის — შესაძლოა საკულტო ქანდაკების — პირს უნდა წარმოადგენდეს¹⁵³.

ნახელავში ყურადღებას იპყრობს შემდეგი თვისებებები: განხილულ საბეჭდავზე, ბერძნული სახელოსნოებიდან გამოსული ნახელავისგან განსხ-
ვავებით, ტანსაცმელი უხეშად გამოიყურება. — მკრელი ვერ ახერხებს ქსო-
ვილის ნაკეცების რბილ ხაზებში გადმოცემას, იგი მკვეთრად და ერთგვარად სუმაჩული შესრულებით ხასიათდება. — ხშირი, ერთმანეთს შორის პარალე-
ლური ნაკეცები, ოდნავ გახრილი ხაზებით გამონახატული.

თვალში საცემია აგრეთვე ის ანატომიური შეუფარდებლობა, რომელ-
საც ღმერთქალის სხეულში — ფიგურაში ეხვდებით. პროპორციები ყოველ-
თვის დაცული არ არის, სახელდობრ თავი, ტანთან შედარებით, შეუსაბამოდ
დიდი აქვს. ძალიან სქელი მკლავი, იდაყვის ქვემოთ, მკვეთრად გადადის
წკრილ ხელსა და მარჯვნივ. გრაფიკულად შესრულებული თითები მეტად გრძე-
ლია. ფეხები სხვადასხვა სისქისაა; მარცხენა ფეხის ტერფი აღნიშნული არ
არის.

ამას გარდა — თითქმის ერთ სიბრტყეში მოთავსებული გულმკერდი და
მხრები (განსაკუთრებით მარცხენა) ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გამოყოფი-
ლი, თითქოსდა სამ დამოუკიდებელ ნაწილად¹⁵⁴. რელიეფურად გამონახატული

¹⁵³ ეიმერებთ — ეს მოსაზრება მხოლოდ წინასწარული ვარაუდია, რომლის მტკიცე-
ბისათვის აქამდე სხვა ხელშეწყობები მასალები არ გავაჩნია.

¹⁵⁴ გულმკერდისა და მხრების გამონახატვის მსგავსი გადაწყვეტა ჩვენთვის მხოლოდ
სკაოთველოში აღმოჩენილი ვეინანტიკური ხანის გლიბტიკური ძეგლების მიხედვითაა ცნო-
ბილი. კერძოდ ანაქრეკ ერისთავის გამონახატულებისა და არმანისხევის № 2 აკლამაში
და № 40 ქუალუში აღმოჩენილი წარჩინებულ პირების პორტრეტული გემების მიხედვით.

თვალი მეტად ახლო ზის ცხვირის ძვალთან; ხოლო თვალის უბის სამკუთხა მოხაზულობა, ჩაღრმავების სახით გადმოცემული, მკრელის თავისებურ ხერხად უნდა მივიჩნიოთ.

მხედველობაშია ზისალები ისიც, რომ მკდომარე ფიგურის პოზაში არ ჩანს ის ნიშნუბუქე და თავისუფლება, „პრობლემა“, რომლის გადაწყვეტა ზედმიწევნით შეითვისეს ბერძენმა მკრელეებმა (ჩვენი ღმერთქალი ჩამომჭდარს უფრო ჰგავს სავარძელზე, იგი ღრმად არ ზის ტახტზე).

ზოგადად მთელი გამოხატულება გარკვეული სქემატიზმით ხასიათდება. მასში, ერთგვარად, მკაცრი არქაული სტილის გლიპტიკის ნაწილობრივი გავლენა ჩანს (პოზის შებოჭილობა, ამასთანავე, ოსტატი ცდილობს გააცოცხლოს ფიგურა სამოსის საშუალებით — უკეთ, შეძლებისდაგვარად აქვს დამუშავებული ქსოვილი). და ბერძნულ ჭრილა ქვების იმ ჭკუფს უკავშირდება, რომელიც გარდამავალ ეპოქას — მკაცრი სტილიდან თავისუფალზე — მიეკუთვნება; მაგრამ ამასთანავე ინდივიდუალური თვისებებიც საკმარისად გააჩნია იმისათვის, რომ იგი არაბერძენი ოსტატის ნახელავად მივიჩნიოთ.

— ნახელავში ყურადღებას იპყრობს მხატვრის — მკრელის რეალისტური მიმართულება. ის უზუსტობანი, რომელიც ოსტატს „დაშვებული“ აქვს სახის ნაკვთების გადმოცემისას მისი ხელუმარჯვობით კი არ უნდა იყოს ახსნილი, არამედ მისწრაფებით — ინტალიოზე მის მიერ წარმოდგენილი სახე გააცოცხლოს და მეტი გამომეტყველება შეჰმატოს მას.

არც ასობის მსგავსი ასიმეტრიული განლაგება ბუნებრივი იმ პერიოდის წარმომავლობით ბერძენ და იონიელ მკრელებისათვის, რაც ზემოხსენებულ მისაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ ვასკენით, რომ დედატოსის საბეჭდავი ადგილობრივი სახელოსნოშია შექმნილი, მისი მკრელი არაბერძენი იყო, რომელიც კვეთის ხელოვნებას, ჩანს, იონიიდან გადმოსახლებულ ბერძენებთან ეუფლებოდა.

4. 1963 წლის არქეოლოგიური კამპანია, ნაკვეთი 69, სამარხი № 9, წარჩინებული მეომრისა, სველე № 3—69/293.

საბეჭდავი-ბეჭედი, მუქი ყვითელი ფერის ოქროსაგან გაკეთებული¹⁵⁵. — დიდი ზომის ფარაკიან ბეჭედს ვიწრო, წახნაგებიანი რკალი აქვს, რომელიც ფარაკის მიმართულებით მსხვილდება. რკალი უშუალოდ ფარაკთან ანუ სამხრებთან გაფართოებულა¹⁵⁶. რკალი ოთხწახნაგაინია (მდრ. № 3 ბეჭედს); მის ზედაპირზე გამოყვანილი წიბო მკვეთრონტურაინია, ამასთანავე იგი მხრებთან ქრება (ყალ მხარეს წახნაგი უფრო მეტად გასდევს მხარს). შიდაპირზე რკალი მკაფიო წახნაგი თავით ბოლომდე დაჰყვება (სურ. 133ჟ).

ხსენებულ ჭრილა ქვებზე სამივე პიროვნების გულმკერდი და მხრები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი სამი სიბრტყით არის გადმოცემული (იხ. მ. ლორთქიფანიძე, არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბილისი 1956, გვ. 59, 64. 71). ვანის საბეჭდავი-ბეჭდისაგან განსხვავებით არმაზისხევის გემებზე გულმკერდი და მხრები დაბალი რელიეფის „სიბრტყეებით“ არის დანაწევრებული.

¹⁵⁵ ოქროს ნარჩენისფერი დაქარავს.

¹⁵⁶ ზომები: რკალის სიგანე ქვედა ნაწილში 2 მმ, საზრებებთან — 6 მმ, ბეჭდის სიმაღლე — 24 მმ, დიამ. — 18—19 მმ, ფარაკის სიმაღლე — 3 მმ, სიგრძე — 21 მმ, ვანი — 18 მმ. და ცულობა: ბეჭედი კარგადაა შენახული. მხოლოდ რკალისა და ფარაკის შეერთების ადგილას „ნაქარავი“ გახსნილია.

ფარაჟი ოვალური¹⁵⁷ და ბრტყელია, ოდნავ შესამჩნევად დაქანებული კიდეებზე, უშუალოდ რკალთან¹⁵⁸. დაწახნაგებული ზურგი „ამობურცულ“-დაბრტყელებული აქვს, ბოლოებშივეწროებული ცენტრალური ნაწილითა და დაქანებული ფერდობით. ფერდები კიდის მიმართულებითაა დაქანებული. ბექედი ოდნავ ქვეით არის ჩამოგრძელებული¹⁵⁹.

საბჭოეთში-ბექედის პირზე გამოხატულია მხედარი, პროფილში მარჯვნივ, რომელსაც მარჯვენა ხელში შუბი მოუმარჯვებია სატყორცნელად. იგი რქოსან ცხენზე ზის, მარცხენა ხელი ავშარასთვის წაუვლია. ცხენი ოთხით მიდის, — ზედ ამხედრებული მხედარი კი თითქოს შეტევაზეა გადასული (სურ. 132კ).

ცხენი-მარტორქა¹⁶⁰ ტორსის აგებულებით ჯორს მეტად ენათესაება, ვიდრე ცხენს. ცხენის მძიმე ტორსი, ყოველგვარი მოდელირების გარეშე, ერთ სობრტყეშია ამოჭრილი, ერთი სიღრმითაა ანუ თანაბარი სიღრმითაა ნაკვეთი. მას ფართო გავა და ამობერილი გულ-მუცელი აქვს. მკერდი ყოველგვარი გრადაციის გარეშე, უშუალოდ გადადის ღონიერსა და დაბალ კისერში, რომელიც სისქით ცხენის ტანს უტოლდება. პატარა თავი კისრისაგან მკაფიოდაა ავშარით გამოყოფილი. დიდი დრუნ-ცხვირი და სწორი ზნებებით გადმოცემული აცქვეტილი გრძელი ყურები აქვს; მაღალი, ოდნავ უკან გადახრილი რქა. თვალს ოვალური მოყვანილობის რელიეფური წერტილი გამოხატავს. თავი, ასიმეტრიულად განლაგებული, რელიეფური „ზოლების“ წყებით არის დასერილი (ხოლო თვით ფარაჯზე აღნიშნული ზოლები მოკლე-მოკლე მორკალულ ქდეებად გამოიყურება). ცხენ-მარტორქას ფაფარი არ აქვს. მკერდს იგი პირობითადაც კი არ აღუნიშნავს¹⁶¹. გრძელი ძვა (თუ კუდი) აწეული აქვს. ტანთან შეფარდებით წვრილი ფეხები საკმაოდ სქემატურად გამოიყურება. უკანა ფეხების ჩლიქები სოლისებრი მოყვანილობისაა, ხოლო წინა ფეხების ჩლიქები მკერდს მეტ-ნაკლები სიზუსტით (სტილიზაციისა თუ დამახინჯების გარეშე) გადმოუცია.

ცხენს კისერზე, ავშარას ქვემოთ, შებმული აქვს უცნაური ატრიბუტი, რომელიც პირველი შეხედვით შეიძლება მიჩნეული იქნეს დიდი ზომის ეყვანად. „ეყვანი“ ოთხი თასმითა (თუ ღვედით) უკავშირდება პირუტყვის სხეულს, იგი სწრაფი მოძრაობისაგან პაერში ფრიალებს — დრუნჩსა და მარცხენა ფეხს შორის (მუხლს ქვემოთ) არის მოთავსებული.

„ეყვანზე“ გულმოდგინე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო სამკაულთან ან ნივთთან, არამედ გარკვეულ ატრიბუტთან. სახელდობრ: იგი უნდა წარმოადგენდეს ფართომუხლიანი მელიოტი მამაკაცს, დიდი თავის ნიღაბს, პაქუა ცხვირითა და გრძელი ულვაშებით, დიდი,

¹⁵⁷ ფარაჟი უწესო ოვალს წარმოადგენს. ცენტრალური ნაწილის განი — 8 მმ, წახნაგის განი — 6 მმ, ნაპირთან — 3 მმ.

¹⁵⁸ ბექედი ნაქედი უნდა იყოს თუ ჩამოსხმულია — ქვარჯვრობით გადაწყვეტით ამის დადგენა პირს.

¹⁵⁹ ΔΕΛΑΤΟΣ-ის წარწერიან ბექედთან შედარებისას ირკვევა, რომ აღწერილი ბექედს რკალი ქედა ნაწილში მეტად არის „ჩამოგრძელებული“. რომ ΔΕΛΑΤΟΣ-ის სასელიანი ბექედის ზურგი უფრო მაღალი და მეტად ამობურცულია, ხოლო ფარაჟის ოვალი ნაპირი და თანაბარია ასევე „ამავე სამარხის ვერცხლის ბექედების ზურგიც ბევრად მაღალი და ამობურცულია.“

¹⁶⁰ ჩვენ ამ ტერმინს პირობითად ვთავაზობთ.

¹⁶¹ ეს ღერალის პირუტყვის ქორად განსაზღვრის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

წინწამოწეული წაწვეტებული ყურით, მძიმე ნიკაბითა და სქელი გადაბმული წარბებით. წარბებქვეშ ვიწრო თვალის ფოსოები ჩანს. ხოლო თანმებად მიჩნეული ხაზებიდან ორი ზედა „თასმა“ მოგზაო რქებს უნდა გამოხატავდეს!¹⁶² (იხ. სურ.)

ყურადღებას იპყრობს თავისებური შესრულებითა და ტიპით უნაგირი. — მას უზანგი არ ახლავს (— მხედრის ფეხის ტერფი ცხენის მუცლის ქვეშაა ამოღებული), ხოლო საძეუ გაეზუა დამაგრებული. ერთიანად კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხედარი უბელო ცხენზე ზის!¹⁶³

წელს ზემოთ მხედარი, სამი მეოთხედით, პირდაპირ არის შემოტრიალებული. მას ზონარივით ქამარი აქვს მკერდს ქვემოთ შემოკერილი!¹⁶⁴. სხვა რა სამოსი აცვია — გარკვევა თითქმის შეუძლებელია, რადგან ნახატის ამ მხარისათვის მკრეღს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. ვიარაღით მხოლოდ ერთის აღნიშვნაა შესაძლებელი: თუ ჩაეთვლით, რომ მხედარს „კაბა“ აცვია, მაშინ იგი ე. წ. მოკლე ტუნიკისა და ზედმიწევნით ვიწრო — „ფეხზე მორგებული“ (შემოკრული წვივზე) შარჯლისაგან შედგება. სამოსი იმ ტიპისა უნდა იყოს, რომელიც აქემენიდურ ცილინდრებსა და საბეჭდავებზე გამოხატულ სპარსელთა ტანსაცმელს წარმოადგენს!¹⁶⁵

მხედარს დიდი თავი აქვს; მოკლე, მხრებში ჩაეარდნილი, კისერი, დიდი ცხვირი და მძიმე ნიკაბი. სახე ზედმიწევნით სუშარულადაა შესრულებული. აღნიშნულია მხოლოდ გამობერილი ლოყა და მცირეოდენი, ასე ვთქვათ — უმნიშვნელო ჩაღრმავებით — თვალი. პირი ორი საცხებით შეუმჩნეველი, პაწია შტრიხითაა აღნიშნული. მხედარს კონუსური მოყვანილობის თავსაბურავი ახურავს, შესაძლებელია მუზარადი იყოს. აღსანიშნავია, რომ მხედარს ავშარა თითებზე აქვს ჩამოსმული (ხელის გული ზემოთაა ატრიალებული).

გამოხატულება შალიანად ავსებს ინტალიოს პირს ანუ ბეჭდის ფარაკს. ცხენის წინა ჩლიქები, უკანა მარჯვენა ჩლიქი და ძუის ბოლო პირის კიდეს ეხება უშუალოდ.

ტექნიკა: გამოხატულება ღრმად არის ნაკვეთი, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ტლანქი ნახელავია, ამასთანავე გულმოდგინე და გაბედული ხელი ჩანს ოსტატისა. კვეთა სქემატურობითა და სუშარულობით ხასიათდება. ნახატი ნაწილობრივ სტილიზებულია, სახელდობრ ეს რქოსანი ცხენის თავს, შეკიდულ ატრიბუტსა და ერთგვარად მხედრის თავს შეეხო.

162 თუ რას წარმოადგენს ატრიბუტი და რასთან არის იგი დაკავშირებული — გვედებით ძიების შედეგად ვაპარკვით.

163 მხედარი ტანის აგებულებისა — (საცე გულმკერდი, განიერი თუბები) და ცხენზე ქლომის მანერის მიხედვით (მუხლის მდგომარეობა იგულისხმება — იგი მაღლა მოთავსებული ისე, თითქოს ფეხი ფეხზე ჰქონოდეს მხედარს შემოდებული) ერთი შეხედვით ქალა შეიძლება მივიჩნიოთ.

164 ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება (როცა უშუალოდ ფარაკს ვისიწავთ), რომ მხედარს წელზე ფართო სარტყელი აქვს შემორტყმული (მღრ. ჩვენში აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყლებს), რომელიც მუცელსა და ნაწილობრივ ფარდებსაც უფარავს. სარტყლის ზედაპირი (მხოლოდ ფარაკზე) იმდენად წმინდა, შეველი ხაზებითაა დაღარული, რომ ანაბეჭდზე კვალსაც კი ვერ ტოვებს.

165 მღრ. ფენევის მუზეუმში დათულ ძვ. წ. VI საუკ. ცილინდრსა (№ 88) და ძვ. წ. VI — V სს კონუსზე (№ 89) ამოკრილ გამოხატულებებს. იხ. Vollenweider. Catalogue Raisonné des Sceaux. Cylindres, I, ტაბ. 40, გამ. 88, 89.

ფიგურები მოკლე და მძიმე პროპორციებით გამოირჩევა. მკრელი არც თუ შინცდამაინც კარგადაა დაუფლებული ადამიანის სხეულის ანატომიას. იგივე იაქმის პირუტყვის შესახებაც. თუმცა, თითქოს, პროპორციები ამ შემთხვევაში უკეთ არის დაცული. მხედრის კიდურები ტრისტან შეფარდებით შეუსაბამოდ წვრილია; განსაკუთრებით ხელები, — ჯოხებსა ჰგავს. ხოლო ხელის მტევანი — რამდენიმე წაწვეტებული მოკლე ხაზით არის გადმოცემული.

გამოხატულების ამოსაპრელად სხვადასხვა საჭრისებია გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი, ფიგურა- მსგავსი საჭრისი, „დანა“ მოპრვალეული წვერით (ანუ საჭრისი მომრგვალებული წვერით), საჭრისი სწორკუთხოვანი წვერითა და ძალიან წმინდა ბრინჯაოს ნემსი. ბრინჯაოს წმინდა ნემსი ნახმარია „სარტელზე“ ხაზების ამოსააწერად. ცხოველის ტრისტან, რომელიც სამ ძირითად მასადაა დანაწევრებული, ფიგურა- მსგავსი საჭრისითაა ნაკვეთი, ისევე როგორც მხედრის თავი და სხეული. ამოკვეთის დასრულების შემდეგ მკრელს თვით გამოხატულება აღარ „მოუპირკეთებია“ — იარაღების კვალი ჩანს. ოქრო კი საბეჭდავის პირითურთ გაუპრიალებია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კვეთის მანერითა და სტილით ზემოთ აღწერილი ინტალიო განსხვავდება ΔΕΛΤΑΤΟΣ-ის სახელიან ბექდისაგან. ამ ორი ბექდის შედარებისას ირკვევა, რომ ისინი სხვადასხვა ხელის — სხვადასხვა ოსტატის მიერაა შესრულებული. — მკრელი რომელმაც ღმერთქალიანი ბექდი შეასრულა, კვეთის ოსტატობას უკეთ არის დაუფლებული ვიდრე „მხედრის“ შემსრულებელი (შდრ. თავი, ხელები, ხელის მტევანი; თუნდაც პროპორციები). (იხ. სურ.).

სიუჟეტის საბოლოოდ განსაზღვრა გარკვეულ სიძნელესთან არის დაკავშირებული იმ ატრიბუტის მიხედვით, რომელიც „მარტორქა-ცხენს“ აქვს შებმული და, უდავოდ, უშუალოდ კავშირშია მხედრის გამოხატულებასთან. ამას გარდა — ჯერ კიდევ დასადგენია სახელდობრ რა პირუტყვი გამოხატა მკრელმა, წარმოსახვით ინტალიოზე. — რქოსანი ცხენია თუ რქოსანი ვირი, — კლავდეუს ელიანუსის ცნობით სკვითიის ქვეყანაში რომ ბინადრობს¹⁸⁶.

პირუტყვის კისერზე შებმული ატრიბუტი, როგორც აღნიშნული გვექონდა, მელოტი მამაკაცის (უფრო ზუსტად — ხანვერად მელოტი) ნიღაბს წარმოადგენს. გამოხატულების შედარების შედეგად სხვადასხვა ნიღბებთან (კოპიკურთან, ტრაგიკულთან, მცენარეულ წვერიანთან, რომელიც თავის მხრივ დიონისეს უკავშირდება; დიონისეს, სატირისა და სილენის ნიღბებთან)¹⁸⁷

¹⁸⁶ იხ. ΔΙ.Λαγός, Περὶ Ἑλλάδος, X, 40. — „სკვითიის ქვეყანაში არიან რქოსანი ვირები. ნათი რქოსანი ყანაში იხანავენ არკადიულ წყალს სტიქსისად წოდებულს“... „ამბობენ, რომ ერთი ამ ყანაზეა სობატროსმა მიართვა აღუქსანდრე მაკედონელს, (ხოლო როგორც) ნეერტყვე. მას ძალიან გაუვირდა და შეაწირა ეს ყანა დელფოში (აპოლონ) პითიელს და ზედ წააწერინა შემდეგი: „ჰეან, შენ შემოგწირა აღუქსანდრე მაკედონელმა ეს სკვითური ვირის რქა, რაღაცა საოცარი ნივთი“, ... (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II თბილისი, 1969, კლავდეუს ელიანუსი, ცხოველთა ბუნების შესახებ. გვ. 163).

¹⁸⁷ იხ. Daremberg—Saglio, Dictionnaire des Antiquités, O. Navarre-ის სტატია — „Persona—Πρόσωπον“ გვ. 5586—5594.

იტყვება, რომ ჩვენს ინტალიოზე წვერიანი სატირის ნილაბია ამოჭრილი¹⁶⁸. ნილაბი საერთო იერიო მსგავსებას პოულობს სილენის ნილაბთან¹⁶⁹.

სატირები (*Σατυροι*), ბერძნების მიერ ნაყოფიერების დემონებად აღიარებული ტყის ღვთაებები, დიონისეს ამაღლის ერთ-ერთი მხლებელთაგანნი იყვნენ (მათ ძალიან იშვიათად ჰქონდათ დამოუკიდებელი როლი მითებში — ღმერთების თანამგზავრებს წარმოადგენდნენ). დიონისეს დღესასწაულებში, კერძოდ — მცირე დიონისიების დღესასწაულებში (ანუ სოფლის დიონისიები, ზამთრის დასაწყისში ეწყობოდა) მონაწილეობას ღებულობდა ნილბოსანი პროცესია, რომელიც მეღვინეობის ღმერთს ადიდებდა¹⁷⁰.

დიონისეს წრესთან დაკავშირებულმა მითიურმა პერსონაჟებმა ფართო ასახვა ჰპოვეს გლიტიკაში; ფართოდ გავრცელდა აგრეთვე მათი ნილბებიც. ხშირად ხსენებული ნილბები, განსაკუთრებით თუ კი იგი ცალკე არის ხოლმე გამოხატული, სცენიურ ნილაბს წარმოადგენს¹⁷¹.

სილენები და სატირები ადრებერძნულ, ფინიკურსა და ეტრუსკულ ხელოვნებაში ზოგან ავგაროზის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ასევე, სილენის ნილბებს გემებზე, ხშირად, ამავე აზრით ამოკვეთავდნენ ხოლმე, რადგან ხალხის წარმოდგენაში მისი სიმახინჯე მზერას იზიდავდა, რითაც მფლრ-

¹⁶⁸ შტრ. სილიაში ამოჩენილ ძვ. წ. IV საუკ. დასავლურ-ბერძნული ოქროს ბეჭედს სატირის თავის რელიეფური გამოხატულებით (იხ. Hofmann—Davidson. *Greek Jewellery*, გვ. 246, გამ. 104);

შტრ. აგრეთვე ნილბების გამოხატულებებს კრილა ქვებზე: Fossing. *Thorvaldsen Museum Catalogue of Gems*. №№ 4, 288, 293, 1828, 682, 294, 297, 1251 — 125, 1988 — 1989, 1569, 18, 1248 — 1250, 1238 — 1247 და ა. შ. (ტრაგიკული, კომიკური, დიონაეს, პანის, სატირისა და სილენის ნილბები);

სატირის გამოხატულებები იხ: K. Zahn. *Ausstellung von Schmuckarbeiten aus Edelmetall aus den Staatlichen Museen zu Berlin*. Berlin, 1923, გვ. 38, გამ 14 (ძვ. წ. IV საუკ. მოპოვებულია სიცილიაში); Becalli, *Oreicerie Antiche*. №321; ტიპიათის იხ. Marsnall, *BMC Finger Rings*. №213.

¹⁶⁹ მითოგრაფიკების მიხედვით სილენი ძალიან მახინჯია, პაქუა ცხვირი აქვს, სქელი ტუჩი, ხარის გამოხედვა; ხშირად ცხოველის ყურებითა და ხანდახან პატარა რქებითაა წარმოდგენილი (იხ. P. Grimal, *Dictionnaire de la Mythologie Grecque et Romaine*, §*Σιλენ*, გვ. 422a; -Osborne, *Gems*, გვ. 225). სილენი მცირე აზიაში ტყისა და წყაროების პრიმიტიულ ღმერთადაა ცნობილი. საბერძნეთში სატირებს შორის უხუცესად ზიჩნეული, დიონისეს გამზრდელ-მასწავლებლად ითვლება (იხ. Osborne, *დასახ. ნაშრ. იქვე*).

¹⁷⁰ იხ. P. Grimal, *La Mythologie*, § *Dionysos* (Διονυσος) გვ. 127b—128a; -ო. ნაჯარი Daremberg—Saglio. *Dictionnaire*, სტატია „*Persona*“ — ში აღნიშნავს, რომ დემოსთენეს დროს წესად იყო მიღებული შემდეგი: დიონისეს ზემოთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეობა მხოლოდ ნილბოსნებს შეეძლოთ და, რომ ეს ჩვეულება პლუტარქეს დროსაც არსებობდაო.

¹⁷¹ სცენიური ნილაბი უძველესი დროიდან დიონისეს კულტანაა დაკავშირებული. დიონისიებმა ჩაუყარა საფუძველი თეატრალურ წარმოდგენას: კომედიას, ტრაგედიას და სატირულ დრამას (რომელიც უველაზე დიდხანს ინარჩუნებს თავისი წარმოშობის კვალს); „ჩაისახა“ ნილბიანი პერსონაჟი (Daremberg—Saglio, *დასახ. ნაშრ.*; იქვე—Grimal, *დასახ. ნაშრ.* გვ. 128).

კომიკური ნილაბი დიონისეს ერთ-ერთი ატრიბუტთაგანია, რადგან იგი პოეზიის, მუსიკისა და დრამის შთამაგონებელ ღვთაებად ითვლება. ნილაბი ზოგჯერ, დიონისეს სიმბოლურ გამოხატულებასაც კი წარმოადგენს (იხ. Osborne. *Gems*, გვ. 224).

ბელს „ავი თვალისაგან იცავდა“ — ადამიანი აპოტროპეულ ძალას მის სიმბინჯეს უკავშირებდა¹⁷².

გამორიცხულთა, რომ დედატოსის სამარხში აღმოჩენილ საბეჭდავზე გამოხატული სატირის ნიღაბი სცენიური იყოს (კომპოზიციის თვალსაზრისითაც არ იქნებოდა მართებული მისი ამგვარი განსაზღვრა). მას ვერც აპოტროპეული მნიშვნელობის მქონე ნიღაბი მივიჩნევდით, რადგან მაშინ იგი მთავარი პერსონაჟის — მხედრის ატრიბუტად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ჩვენი ვარაუდით მარტორქა — ცხენის კისერზე შებმული სატირის ნიღაბი, დიონისეს ამალის ერთ-ერთი „პერსონაჟის“ სახით, მეღვინეობის უზუნაეს ღვთაებას, გასაოცარი მისტერიების წინამძღოლს — დიონისეს უკავშირდება. შესაძლებელია თვით მას ანსახიერებდეს.

ჩვენ ჯერ ვერ მივაკვლიეთ სათანადო მასალებს შინაარსის გასახსენლად (ამ მიმართულებით ძიებას ეკლავ ვაგრძელებთ). რქოსანი ცხენი და შუბოსანი მხედარი უცხო არ არის საქართველოში აღმოჩენილ საბეჭდავ-ბეჭდების თემატიკაში (რქიანი ცხენები ცნობილია ორი საბეჭდავი-ბეჭდის მიხედვით: ქვიანას სამაროვნიდან. ცხინვალის ნაცარგორასთან¹⁷³ და ყანჩაეთიდან: შუბოსანი მხედარი რქოსან ცხენზე — ყანჩაეთიდან)¹⁷⁴. მაგრამ ხსენებული გამოხატულებების არსებობა არ არის საკმარისი იმ რთული კომპოზიციის გარკვევისათვის, რომელიც ოსტატმა წარმოგვიდგინა დედატოსის მეორე, ოქროს, საბეჭდავზე. ვფიქრობთ, ეს (მეორე) საბეჭდავიც, უფლებრივი ოფიციალური დანიშნულების იყო. მას ერთიანად (მასალა, გამოხატულება) „პარადული“ ხასიათი აქვს¹⁷⁵.

საკითხის გარკვევას ისიც ართულებს, რომ გლიბტიკურ ძეგლებსა და საბეჭდავებზე წარმოდგენილ შეიარაღებულ მხედართა, სახელდობრ შუბოსან მხედართა მრავალრიცხოვან გამოსახულებათა შორის (მეომრებისა, ბრძოლაში ჩაბმული თუ შეტევაზე გადასული მეფეებისა და წარჩინებული პირე-

172 იხ. Osborne, Gems გვ. 225. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სილენ-სატირებიან გამოხატულებებიან გემებს, როგორც აეგაროზებს რომაულ ხანაში (იხ. Osborne, დ.სახ. ნაშრ., გვ. 225—236).

173 იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიბტიკური ძეგლების კორპუსი I, გვ. 85. ძე. წ. VI საუკ. ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი მოპოვებულია 1948 წ. № 7 სამარხში, იხ. ტაბ. IV, 41.

174 ყანჩაეთში 1960 წელს შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში მოპოვებულია ძე. წ. V საუკ. დათარიღებული ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდები; ერთ მათგანზე გამოხატულია შუბოსანი მხედარი რქოსან ცხენზე ამხედრებული. აღნიშნულ გამოხატულებას ი. გაგოშიძე მთავარი ლუთაბად („მებრძოლი მხედარი“) მიიჩნევს (იხ. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეივნიდან, გვ. 39, ტაბ. II, 8). რქოსანი ცხენის გამოხატულება იხ. ტაბ. II, 7.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებული გამოსახულებები სტილისტურად განსხვავებულია. ამას გარდა რქა ვანის გემაზე ბევრად უფრო მაღალი და ამართულია. ამ მხრივ „ცხენის“ თავი ქვიანას საბეჭდავ-ბეჭედზე ამოკრილ „რქოსანს“ უფრო უახლოვდება.

175 შენიშვნის სახით მოგვეყვას შემდეგი ცნობა: ძე. წ. IV საუკუნეში რომში ოქროს ბეჭდების ტარების პრივილეგიით სარგებლობდნენ ცხენოსანი მეომრები — equites, რომლებიც რომაული კავალერიის შემადგენლობაში შედიოდნენ (იხ. Vollenweider, Catalogue Raisonné, I გვ. 177).

ბისა, ცხენოსნებისა, მონადირეებისა და სხე)¹⁷⁶ მსგავს ან თუნდაც მიმსგავსებულ ატრიბუტიან ცხენს ვერსად ნივთსავე¹⁷⁷.

ბერძნულ გლიპტიკაში, კლასიკური ხანის ხელოვნების სხვადასხვა დარგების მსგავსად, ძვ. წ. V—IV სს. აყვავების ეპოქად ითვლება. დროის ეს შედარებით მცირე მონაკვეთი ანტიკურ ხელოვნებაში დიდ მიღწევათა პერიოდადაა აღიარებული¹⁷⁸. ეპოქის დაწვეწილი და ყოველმხრივ სრულყოფილი სტილი (მხატვრული სახის შესრულებისა თუ ნახატისა, კომპოზიციის, ტექნიკისა; ყვეთისა და მასალის შერჩევის თვალსაზრისით) ჭრილა ქვებსა და საბექტადებზეც აისახა.

აყვავების ხანის ქვისმჭრელთა შემოქმედებაში სიახლე ჩნდება. გაზოხატულების „მოჩარჩობა“, არქაული გლიპტიკის დამახასიათებელი ელემენტი, ნელ-ნელა ქრება. ჩარჩოს ადგილს გემის პირის, ანდა ფარაკის ბუნებრივი გარემოხაზულობა იკავებს. არქაული ხანის ძეგლებისაგან განსხვავებით, გაზოხატულება პირს აღარ ავსებს მთლიანად, იგი თავისუფლადაა მოთავსებული „სიერტეში“, მის გარშემო დიდი არეა დატოვებული. მხატვრებს გამორიცხული აქვთ კომპოზიციაში ყველა იმ დამატებითი ფიგურის ჩართვა, რომელიც უშუალოდ კავშირში არ არის ძირითად თემსთან¹⁷⁹. ხსენებული ეპოქის ნახელავი ყურადღებას იპყრობს კომპოზიციაში დაცული ზომიერებით; გამოსახულებათა ძალდაუტანებელი პოზებითა და მოძრაობით; ფორმათა კლასიკური სიზუსტით გადმოცემით, მკრელების გაწონასწორებული სითამამით.

ძვ. წ. V საუკუნიდან საბექდავის ხმარება საყოველთაოდ იქცა. ბერსონალური საბექდავების ქონების უფლება მხოლოდ მაღალი წრის — არისტოკრატის წარმომადგენლებით ისაზღვრებოდა. იმასთან დაკავშირებით, რომ გემამ ძირითადად საბექდავის მნიშვნელობა მიიღო, ჭრილა ქვებზე მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა. მაგრამ ვინაიდან მათი „წარმოების“ ისეთი დიდი მნიშვნელობის ბაზრები, როგორც ეს ბერძნული ვაზების საგარეო ვაჭრობისათვის იყო გამოჩნული, არ არსებობდა — ბერძნული გემები უმთავრესად ქვეყნის შიგნით საქირობის დასაკმაყოფილებლად კეთდებოდა¹⁸⁰.

176 იხ. აქემენიდურ ჭრილა ქვებზე გამოსახული შებრძოლებისა და ნადირობის სცენები (H. Seyrig, Cachets Achéménides. ტაბ. XXXI, 1, 2); ძვ. წ. IV საუკ. ებრუსკულ სკარაბეიზე — შუბოს ნი მხედრის Al-L. Vollenweider. დასახ. ნაშრ. ტაბ. 91, გამ. 242; -Fossing, Thorvaldsen Museum Catalogue. ტაბ. I. 68); ძვ. წ. V—IV სს მცირეზოხილ სკარაბეიზე და ბერძნულ-სპარსულ გემებზე — მხედარი — მონადირე (მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს მუზეუმის გემები IV, თბილისი, 1967, ტაბ. I, 1; Furtwängler. Antiken Gemmen, 4. 6. 8), ძვ. წ. 450—400 წ. ბერძნულ-სპარსულ სკარაბეიზე — ბერძენი ჭარისკაცისა და სპარსელის შებრძოლება (G. Richter, Ancient Gems. №30); ძვ. წ. V—IV საუკ. იბერიული ლერჯი შინის მრავალწახნავე საბექდავი — მხედარი — მონადირე (მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, ტაბ. VI, 90) და ა. შ.

177 ერთადერთი ნიღაბი, რომლის მოხსენიებაც შეგვიძლია ცხენოსან ფიგურასთან დაკავშირებით — ეს არის პანტერას ნიღაბი სამოსში აღმოჩენილ სარდიონის სკარაბეიზე წარმოდგენილი; იგი გემის თავისუფალ არეზე, მხედარს ქვემოთ არის მოთავსებული (ნიეთი დაღულია ლონდონში იხ. J. Boardman. Archaic Greek Gems, ტაბ. XIII, 200; გვ. 80, აღწერილობა 203). ზ. ბორდმანი აღნიშნავს, რომ ნიღაბების ემბლემების სხვაზე მეტად ფინიკიურ გემებს უკავშირდება (J. Boardman. დასახ. ნაშრ. გვ. 80).

178 იხ. Richter, Gems, II გამოცემა, გვ. 17.

179 იხ. Richter, იქვე.

180 იხ. Richter, Gems, II გამოცემა, იქვე.

ფართოდ ვრცელდება ამ დროს ლითონის საბეჭდავი-ბეჭდებიც, რომელია წორის უმრავლესობას ოქროს კრილაფარაკიანი ბეჭდები შეადგენს¹⁸¹.

ჩვენში ამ დროს ძირითადი ტიპი საბეჭდავისა ფარაკიანი საბეჭდავი-ბეჭდია¹⁸². ნიშანდობლივია, რომ ყველაზე თვალსაჩინო რაოდენობით ოქროს საბეჭდავი-ბეჭდების არსებობა დადასტურებულია ვანის მასალების მიხედვით¹⁸³. (ვარდა ვანისა ოქროს საბეჭდავები მხოლოდ საქეგრის მდიდრულ სამარხში („ახალგორის განძი“) გვხვდება¹⁸⁴). მათი ფორმის შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარი, ამდენად მხოლოდ მათ სტილისტურ მხარეს შეეხებოთ.

როგორც ჩანს, ვანის ინტალიოს მჭრელის მიერ წარმოდგენილი კომპოზიცია ანტიკური ნიმუშის მიხედვითაა შესრულებული. ამასთანავე მის ნახევარში ადგილობრივი სტილის დამახასიათებელი თავისებურებები ქარბობს (ის თავისებურებანი, რომელიც განსაკუთრებული თვალსაჩინოებით, ჩვენ მიერ, III ჯგუფში გამოყოფილ საბეჭდავებში შეიმჩნევა)¹⁸⁵. ცხენოსნის ფიგურა საკმაოდ არაპროპორციული და კუთხოვანია (ამ მხრივ ოსტატი სრულებით ვერ იცავს ანტიკურ კანონს). მჭრელისათვის ძნელი დასაძლევია ჩანს ფიგურის სუფთა პროფილში გამოხატვა; ამით აიხსნება ის, რომ ტორსის ნაწილი წელსზევით პირდაპირაა მოცემული და ისიც ერთი შეხედვით ძნელი გასარჩევია მყურებლისკენ ზურგით ზის თუ მკერდმომბრუნებულია (თავი, ფეხები, წელს ქვევით ტორსი სუფთაა პროფილშია).

შუბოსანი ცხენზე მოუხერხებლად ზის, მისი ჯდომის პოზა ამაზონურ მანერას წაგავს¹⁸⁶. ამის გარდა ხელების მოძრაობა მკვეთრი და მოუქნელია. გამოხატულება ყოველგვარი მოდელირების გარეშეა შესრულებული; დეტალები ძალიან პირობითად (ზოგჯერ მხოლოდ მინიშნებით) არის გადმოცემული. ამ მანერის თვალსაჩინო მაგალითს მხედრის თავი წარმოადგენს, რომელიც თავისი მოყვანილობით, უფრო ზუსტად მისი სახის ცალკეული ნაკეთები უბრალო გეომეტრიულ ფორმებს უფრო უახლოვდება, ვიდრე გარკვეულ სახეს. არც ადამიანის სხეულის ანატომიაში ჩანს მჭრელი კარგად გარკვეული, ამით უნდა იყოს გამოწვეული ის შეცდომები, რომელიც მას კვეთისას აქვს დაშვებული.

ძვ. წ. V—IV სს. ბერძენ მჭრელთა ნახელავისაგან განსხვავებით, ჩვენს საბეჭდავზე გამოხატული ცხენის სწრაფი რბოლა დამაჩერებელი არ არის

¹⁸¹ ფარაკები, როგორც აღნიშნული გვექონდა, ოვალური, შევიწროებული ოვალის ფორმისა და მრგვალი იყო; ფართო და უფრო ხშირად სქელი ფირფიტისაგან გაკეთებული.

¹⁸² იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლობტიკური ძეგლები I, გვ. 8, 39—48—104.

¹⁸³ ვაში სხვადასხვა დროს მოპოვებულია 10 ოქროს საბეჭდავი.

¹⁸⁴ ახალგორის განძში ორი ბეჭედი იყო დაკრული.

¹⁸⁵ იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 39—48.

¹⁸⁶ ცხენზე ჯდომის ამაზონური მანერა იხ. Vollenweider, დასახ. ნაშრ., ტაბ. 91, გამ. 242; —P. Za zoff, Gemmen in Kassel, Archäologischer Anzeiger, 1965, № 25; —Richter, Gems. II გამოცემა, №185.

(იგი უფრო გახვედბულსა ჰგავს)¹⁸⁷. მისი სწეულის „ზედაპირიც“ გლუვია და ზოღელრიგების გარეშეა შესრულებული. მკრელი არ „ხატავს“, მის მიერ გამოსახული კომპოზიცია უარესად სუმარული კვეთით გამოირჩევა.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, მკრელმა მინც შემლო მიღწეია იმისათვის, რომ მხედარი და ცხენი ერთ გამომსახველ მხატვრულ სახეში გაეერთინებინა. ამრიგად, ჩენი საბეჭდავის მკრელი მხოლოდ ადგილობრივი ოსტატი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ბერძნებთან უსწავლია, მათი გავლენა განუცდიდა და ამასთანავე საკუთარი (მხატვრული) დამოუკიდებლობა შეუნარჩუნებია. მის ნახელავში შეიმჩნევა, რომ მისთვის უცხო არ არის არქაულ გლიპტიკაში დამკვიდრებული ტრადიციები — მისი გამოხატულება, კიდიდან-კიდემდე, სრულად ავსებს საბეჭდავის პირს.

ბ რ ი ნ ჭ ა ო ს ბ ე კ დ ე ბ ი

ოქროსა და ვერცხლის საბეჭდავი-ბეჭდების გარდა, როგორც ვთქვით, ვანში 1969 წელს ბრინჯაოს ქრილაფარაკიანი ბეჭდები იქნა აღმოჩენილი; ერთი მათგანი — ღრმოსამარხში (№ 10), რომელშიც ბავშვი ყოფილა დაკრძალული. ბეჭედი ზომის მიხედვით (იგულისხმება მისი შიდა დიამეტრი) ბავშვისა არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ იგი რკალგახსნილია (იხ. აღწერილობა, სურ. 133გ) და მისი ნორგება თითზე სიძნელეს არ წარმოადგენდა — პირი პირთან აქვს მისული. რაც იმას მოწმობს, რომ მისი დაპატარავება არც კი უცდიათ (აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ბეჭედი თავისთავად რკალგახსნილ ბეჭდების იმ ტიპს მიეკუთვნება, რომელთაც პირი პირთან აქვთ მისული). როგორც ეტყობა, იგი თავდაპირველად დიდი ზომის ხელისათვის იყო სატარებლად განკუთვნილი. ადვილი დასაშვებია, რომ ფარაკზე ამოკრილ გამოხატულებას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და ბეჭედს ავგაროზის ძალასაც ანიჭებდნენ. ჩენი ვარაუდით ბეჭედი ასაკოვანი ადამიანის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ ბავშვისათვის სამარხში ჩაუყოლებათ.

გადავივართ ბეჭდის აღწერილობაზე:

1. 1969 წლის არქეოლოგიური კამპანია, ნაკვეთი 68, ბავშვის სამარხი № 10, საველე № 3—69/378.

ბეჭედი — ინტალიო, ბრინჯაოსი. გვერდებისკენ განზიდული ვიწრო და ბრტყელი რკალი მხრებთან შეუმჩნეველად ფართოვდება და მრგვალ ფარაკს უერთდება. ფარაკს, ამჟამად, ოდნავ ჩადრეკილი პირი აქვს, თანაბრად¹⁸⁸ (იხ. სურ. 133გ).

რკალი ქვედა ნაწილში გახსნილია; პირი პირთან მიტანილი ღეროები სწორადაა წარკვეთილი. საერთოდ ბეჭედი მთლიანად ასიმეტრიულია: ცალი

¹⁸⁷ ბერძენი ოსტატები შესანიშნავად-დაუფულენ ადამიანთა და ცხოველთა მოძრაობის სოველგარი მომენტების თვისუფლად გამოხატვას. განსაკუთრებული ზღოუნებოაა ხოლვე გამოცემული პირტყეების რხოლა. მათ შორის ცხენებისა (მდრ. Hoffmann-Davidson, დასახ. ნაშრ. გვ. 352, გა. 105^ა; — J. Beazley. The Lewes House Collection of Ancient Gems, Oxford, 1920, ტაპ. 4. გამ. 54.

¹⁸⁸ ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 21 მმ, დიამ. 20 მმ—16 მმ, ფარაკის დიამეტრი — 16 მმ, ფარაკის სისქე — 2 მმ. და ც უ ლ ო ბ ა : ბეჭედი შედარებით კარგად არის შენახული.

მხარი მკვეთრად დაქანებული და რკალის ეს ნაწილი მხარს ქვემოთ, განზე ძალიან განზიდულია. ამიტომ ბუკედი, ამ ნაწილის მიხედვით, ზევითკენ შევიწროებულ ბუკედების ტიპს მიემსგავსება. მეორე მხარი შედარებით მოკლე და მაღალი აქვს, ნაკლებად დაქანებული; რკალის ეს ნაწილიც მხარს ქვემოთ არის განზიდული, ე. ი. ბუკედი ზედა ნაწილშია გაგანიერებული. ჩვენის ვარაუდით ბუკედი თავიდანვე ასეთა გაკეთებული — დაუღებრად და ნაკედი და არა დეფორმაციის შედეგად აქვს მოყვანილობა შეცვლილი.

პირზე ძნელად ასახსნელი სცენაა გამოხატული. ასხნას ნახატის უაღრესი სქემატურობა და სუმარულობაც ართულებს. — შამაკაცს, რომელიც დაბალ უზურგო სკამზე აპირებს ჩამოჯდომას, ორივე ხელი გაშლილი აქვს. მისი ტორსი თითქმის პირდაპირ არას მოცემული, თავი და ფეხები — პროფილში მარცხნივ. მარჯვენა ხელში მას გრძელი, ხშირ და წვრილფოთლიანი ტოტი უჭირავს¹⁸⁹, წვერით მიწაზე დაბჯენილი, მარცხენა ხელში — დიდი ზომის რგოლი. ასეთივე მოყვანილობის სამი მომცრო ზომის რგოლი, მარცხენა ხელსა და მარცხენა მუხლს შორის არის გაბნეული: ორი მუხლის გასწვრივ, პირის კიდესთან, ერთი — უშუალოდ დიდ რგოლს ქვემოთ (სურ. 132a).

ზედმიწვევით პირობითად გადმოცემული თავი ნიღბოსან შამაკაცის თავს მოგვაგონებს. არაპროპორციული სხეული გახევებული და უსიციოცხლოა. შეუაპაპოდ მოკლე ხელები წვრილი შტოებივით აქვს მიბმული ტორსს. ასევე დისპროპორციულად გამოიყურება ქვედა კიდურები. ხოლო თვით ტორსი — მარჯვალელებუთხეებიანი სამკუთხედის მაგვარია. სკამი ისეთ გამოხატული, რომ ფერდობზე ან დაქანებულ ადგილზე მდგომი ნიეთის შთაბეჭდილება ახდენს. გამოხატულება მთლიანად აესებს ინტალიოს პირს ანაბუკეზე დაბალ და ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება ტლანქად და არაღრმად არის ნაკვეთი, მცირე ჩაღრმავებით ლითონში. კვეთა უაღრესად სუმარული და დაუღებარია. ცალკეული ფორმები და დეტალები დაუმუშავებელია. მჭრელი ფიგურების საერთო მოხაზულობით კმაყოფილდება. მთელი ტორსი ერთ სიბრტყეშია გაერთიანებული, ასევეა თავიც. კვეთისათვის გამოყენებულია: ბრინჯაოს, ნენაი, ფიფქი- მსგავსი საჭრისი ფართე მასების ამოსაღებად. ზედმიწვევით პრიმიტიული ნახელავია — მჭრელი კვეთის ელემენტარულ ნორმებსაც კი ცედავ ფლობს.

ბუკედი მოყვანილობის მიხედვით ლითონის რკალგახსნილ საბუქდავი-ბუკედების იმ ტიპის სახესხვაობას წარმოადგენს, რომელთაც ჩვენ ძვ. წ. V—IV სს. ვათარილებთ¹⁹⁰. რკალის მიხედვით იგი უფრო ძვ. წ. V საუკუნის ბუკედებთან პოულბს მსგავსებას, ხოლო საერთო გარემოხაზულობით საბუქდავი-ბუკედების ორ ტიპს ენათესავება: რკალგანზიდულსა და „მხრებდაქანებულ“ ბუკედებს, ჩვენში ძვ. წ. V—IV სს. გავრცელებულს.

ვინაიდან კომპოზიციას პირდაპირი ანალოგიები არ ეძებნება და მისი წინაარსი ბოლომდე გარკვეული არ გვაქვს, შევეცდებით გამოხატულების ცალკეული დეტალების ასხნას შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

¹⁸⁹ მსგავსი ტოტი უჭირავს ხელში ΔΕΛΑΤΟΕ -ის საბუქდავი-ბუკედზე გამოხატულ ლმერქალსაც.

¹⁹⁰ იბ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 39—48.

მკვეთრად მოხაზული და ზედმიწევნით სუბარულად შესრულებული ადამიანის ფიგურა, პირველი შეხედვით ნიღბოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს. ამ შთაბეჭდილებას ქმნის თავის თავისებური მოხაზულობა (იხ. სურ.), რომელსაც წაწვეტებული დრუნჩპირიანი ცხოველისა ან ფრინველის თავის-მაკვარი მოყვანილობა აქვს. გამონატულების სხეადასხვა ძეგლებთან დაიპირისპირების შედეგად დავრწმუნდით, რომ ჩვენს ბეჭედზე გამოხატულია უნიღბო ადამიანი. და, რომ ეს თავისებური „დეტალი“ გარკვეული სკოლისა და მისი წრის გავლენის ქვეშ მოქცეული მჭრელის კვეთის სტილია რაც მთელ მის ნახელავეში აშკარად ჩანს.

ვიღრე დეტალების გარჩევას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია დავახაზიანოთ ჩვენი ინტალიოს კვეთის მანერა და სტილი. მკაფიო ხაზით შემოფარგლული ადამიანის ფიგურა, რომელიც თითქოს გეომეტრიულად სწორად არის აგებული, საკმაოდ არაპროპორციულია. აქაც ისევე, როგორც შუბოსანი მხედრის გამოსახულებაზე¹⁹¹, მჭრელი ვერ ახერხებს ადამიანის სუფთა პროფილში გამოსატყვას. თავი და ფეხები პროფილში აქვს მოცემული, ხოლო სხეული თითქმის პირდაპირ არის მობრუნებული. სკამზე ჭდომის პოზა იმდენად მოუხერხებლად არის გადმოცემული, რომ ადამიანი მჯდომარე ფიგურის შთაბეჭდილებას არც კი ახდენს (იხ. აღწერა, გვ. 156) იგი უფრო ეს-ეს არის წამომდგარს ანდა ჩამოსაჯდომად მომზადებულს ჰგავს. სელ-ფეხის მოძრაობა მოუხეშავი და გახევებულია. ერთ (საცხებით დაუნაწვევებელი) სიბრტყეში გაერთიანებული სხეული ყოველგვარი მოდელირების გარეშე, ზედმიწევნით სუბარულადაა გადმოცემული. უაღრესად პირობითადაა შესრულებული, როგორც დაეინახეთ, თავიც. ზოგადად რომ ვთქვათ — ჩვენი ინტალიოს მჭრელის ნახელავეში მთავარი ადგილი უჭირავს „სქემას“ და არა ცოცხალ ფორმას. მისი სტილისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი — პრიმიტიული, სიბრტყობრივად შესრულებული ნახატი, მკვეთრად ანსხეავენს ბავშვის სამარხში აღმოჩენილ ინტალიოს ბერძენ ოსტატთა ხელოვნებისაგან.

ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ვითარება: გამოსახულებაში ხეთური ანალოგიური მოტივის თვალსაჩინო გავლენა ჩანს, სახელდობრ, სირო-ხეთური გლიბტიკის იმ ჯგუფის ძეგლებისა, რომლებიც არქაულ სტილშია ნაკვეთი და „ტლანქად შესრულებული ცილინდრების“ ქვეჯგუფშია გამოყოფილი¹⁹². ადამიანთა (თუ ცხოველთა) ფიგურები რამდენიმე ხაზითაა გამოსახული. ასევე ზედმიწევნით სქემატურია ყველა ატრიბუტი და სახე მის ირგვლივ. როგორც წესი, „ტლანქ ცილინდრებზე“ პროფილში გამოხატული ადამიანის თავისა და სხეულის გარემოხაზულობა ისეთივეა, როგორც ვანის ინტალიოზე¹⁹³.

¹⁹¹ ხსენებულ ბეჭედზე მხოლოდ სხეულის ზედა ნაწილია პირდაპირ მოცემული და სხვა მხრივაც კვეთის შესრულების თვალსაზრისით უფრო მაღალი დონით გამოირჩევა.

¹⁹² იხ. G. Contenau, *La glyptique syro-Hittite*. Paris, 1922. გვ. 119, 154.

¹⁹³ შტრ. G. Contenau, *დასახ. ნაშრ.*, ტაბ. XXVIII, 194; ტაბ. XXXIII, 222—224 (ვეტორი ცილინდრებს ძე. წ. II ათასწლეულის II ნახევრით ათარიღებს. შრომაში განხილული მსაპლა ძირითადად განათხარია — სამხ. მცირე აზიიდან, კაპადოკიიდან და ჩრდ. სირო-იდან წარმოსდგება).

ანალოგიური ფორმის სკამს, რომელიც ჩვენს საბეჭდოვან წარმოდგენილი კაპადოკიური ცილინდრების ანაბეჭდებზე ვხვდებით¹⁹⁴. ამ ტიპის „დასაჯდომელს“ ე. კონტენო ქალდეელ ლთაებმა ტახტს ადარებს და თვლის, რომ იგი წარმოშობით ქალდეურია (მკვლევარი ხსენებული მოყვანილობის ტახტები მერხს (ტაბურეტს) უწოდებს¹⁹⁵.

ხის ტოტი, რომელიც მკდომარე ფიგურას უჭირავს, საღმრთო ხის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს (შესაძლებელია საკუთრივ საღმრთო ხეა ამ სახით გამოხატული). ამ შემთხვევაშიც ხეთური გლიპტიკის გავლენა იგრძნობა. სირო-ხეთური გლიპტიკის დეკადანსის ხანის ცილინდრებზე ხის ანალოგიურ გამოსახულებებს ვხვდებით¹⁹⁶. ხის ამ ტიპს ე. კონტენო პალმის ხედ მიიჩნევს, საღმრთო ხის მნიშვნელობით¹⁹⁷.

ამრიგად ვანის ინტალიოზე პალმის ტოტი (ან თვით ხე) არის გამოხატული, რომელიც კომპოზიციაში, ვიმეორებთ, სიმბოლურ მნიშვნელობით უნდა იყოს შეტანილი¹⁹⁸.

რკალი, რომელიც მკდომარე ფიგურას მარჯვენა ხელში უჭირავს და მის წინ გაბნეული ანალოგიური მოყვანილობის, მომცრო ზომის რგოლები, სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს ახსნილი. ანტიკური ხანის სახეითი ხელოვნების ძეგლებზე ისეთ გამოსახულებებს ვხვდებით, რომლებშიც წარმოდგენილი პერსონაჟი ანალოგიური რკალებით ეონგლიორობს¹⁹⁹. არქაულ ცილინდრებზე დაახლოებით მსგავსი საგნები საკრავებად არის განსაზღვრული, კერძოდ, დოლად²⁰⁰. ამ შემთხვევაში ამგვარი ახსნა გამორიცხულია.

ანალოგიურ რგოლებს ჰ. ვონ დერ ოსტენი ძლიერების სიმბოლოდ მიიჩნევს. რკალი, რომელიც ვანის ბეჭედზე გამოხატულ ადამიანს უბყრია ხელთ, სამ დანარჩენისაგან, რომლებიც მის ქვემოთ, თავისუფალ არეზეა გაბნეული, ზომით თითქოს ორჯერ აღემატება და, როგორც ჩანს, განსხვავებული მნი-

¹⁹⁴ შტრ. G. Contenau, დასახ. ნაშრ., ტაბ. VI, 21 ფიგურაზე გამოხატული სკამ-ვანის ინტალიოს პროტოტიპს წარმოადგენს.

ე. კონტენო თავის ვრცელ ნაშრომში სირო-ხეთური გლიპტიკის შესახებ, აღნიშნავს, რომ კაპადოკიური ცილინდრებს ანაბეჭდები მოპოვებულია მეტწილად ძველი კესარია-კაპადოკიის მილამიოებში, არგეის მთის კალთებთან (იხ. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 63).

¹⁹⁵ იხ. G. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 33, მსგავსი ტაბურეტები უმნიშვნელო სახეცვლევებთან იხ. №№ 8, 11, 14, 15, 22 და ა. შ.

¹⁹⁶ შტრ. G. Contenau, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXXIII, 221, XLVIII, 361, 362.

¹⁹⁷ იხ. G. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 154; შტრ. ტაბ. XXXII, 214 ე. კონტენო ხაზს უსვამს, რომ ეს არის საღმრთო ხის გამოხატულების ერთ-ერთი ყველაზე გასადავებელი (თუ გაუზრაროვებული) ფორმა (Contenau, იქვე).

¹⁹⁸ საღმრთო ხის მნიშვნელობის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (უკანასკნელი ბეჭდის განხილვისას). ზნობად საბეჭდოებზე ძნელია დაიღოს ზღვარი საღმრთო ხისა და უბრტლო ხის გამოსახულებათა შორის; ამის განმარტებას მეტწილად კომპოზიციის ხასიათი განსაზღვრავს.

ახლი აღმოსავლეთის არქაულ ცილინდრებზე თაყვანისცემის სხვადასხვა მოტივებში, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პერსონაჟთაგან წარმოადგენს ადამიანი ხელში პალმის ტოტით (იხ. Osten, von der, Ancient Oriental Seals, გვ. 154, იხ. ხეთური ცილინდრები №325).

¹⁹⁹ იხ. A. П. Иванова, Художественные изделия из дерева и кости, Античные герода Северного причерноморья I, 1955, გვ. 430.

²⁰⁰ იხ. Osten, von der, დასახ. ნაშრ., გვ. 127, დოლად განაზღვრული „რგოლები“ ერთ-ერთი ანუ „გველ-მოხეობები“ და სფეროს უფრო ზედას.

შენელობითაა წარმოდგენილი. დასაშვებად მიგვაჩნია „რგოლის“ განსაზღვრაში ოსტენის აზრი ვაგიზიაროთ და იგი რომელიდაც გარკვეულ უფლებრივ სიმბოლოდ (რომლის მნიშვნელობა ჯერ კიდევ გასარკვევია) წარმოვიდგინოთ. რაც შეეხება დანარჩენ რგოლებს — ისინი, შესაძლოა, მნათობთა სიმბოლოებს დაეუკავშიროთ²⁰¹.

როგორც დავინახეთ, ჩვენი ინტალიოს მჭრელი ძირითადად ხეთური გლიპტიკის გავლენის ქვეშაა მოქცეული. ეს მის სტილის დამახასიათებელი — მთავარი თვისებაა²⁰². ამასთანავე კვეთის განსხვავებული და განსაკუთრებული ხასიათით, იგი უშუალოდა დაკავშირებული ძველი საქართველოს იმ ადგილობრივი მჭრელების შემოქმედებასთან, რომელთა ნახელავეში ასირიული გლიპტიკის ელემენტები ჭარბობს (ამის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს ყოლოთოში აღმოჩენილი ძვ. წ. IV ს. ბრინჯაოს საბეჭდავი-ბეჭედი. ხელში სამხვერპლო-კალათიანი მამაკაცის გამოხატულებით)²⁰³ და სტილისტურად ერთ ჩგუფში ერთიანდება.

2.—1969 წლის არქეოლოგიური კამპანია, ნაკვეთი 68, საეილე № $\frac{3-69}{117}$.

საბეჭდავი-ბეჭედი, ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან გაკეთებული. ზრტყელი და აკმაოდ გაცივრი რკალი, რომელიც მხრების მიპართულებით ოღნავ შესამჩნევად ფართოვდება (3—5 მმ), ოვალური მოყვანილობის ფარგლებში გადადის. ფარაკი რკალისაგან მკაფიო წახნაგითაა გამოყოფილი. ფარაკს მცირედ ამოზნექილი პირი აქვს, ჩადრეკილი ზურგი. რკალი ქვედა ნაწილში გახსნილია და პირიპირზეა გადასული, ლეროები სწორადაა წაკვეთილი²⁰⁴. (იხ. სურ. 1337).

პირზე, ცენტრში, გამოხატულია ხე, რომელსაც აქეთ-იქით არწივები უდგას. არწივები ერთმანეთის პირდაპირ დგანან, პროფილში. — საესებით ერთნაირ პოზაში და ერთნაირებიც არიან. ერთი არწივთაგანი, ინტალიოს მარცხენა არეზე მოთაკებული (ხიდან მარჯვნივ), ფორმათა უფრო ფაქიზი მოხაზულობით გამოიჩნევა. სახელდობრ ეს თავისა და ნისკარტის გაღმოცემას ეხება. მას თვალიც უფრო მკაფიოდ აქვს გამოხატული; იგი თითქოს შედარებით მომცრო ზომისაც უნდა იყოს (სურ. 1327).

201 იხ. Osten. von Cer, დასახ. ნაშრ., გვ. 144; რგოლის ემბლემის სახით იხ. გვ. 142. 26-220). 3. ოსტენს ასირიული ცილინდრები და „ბერძნულ-სპარსული“ გემები მოყავს მაგალითის სახით №№ 446, 460 და სხვ.

იგივე უფლებრივი მნიშვნელობით უნდა იყოს გამოხატული რგოლი კამარახევეში მოპოვებული (№ 6 გრუნტული სამარხი) ძვ. წ. V საუკ. II ნახევართ დათარიღებულ საბეჭდავი-ბეჭედზე „სპარსელი ქალის“ გამოსახულებით (იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 94—95, ტაბ. V, 56).

202 შდრ. G. Contenau, დასახ. ნაშრ., აღმნიანის ფიგურის გამოხატვის მანერას; ტაბ. XXIII, 221—227; ქლომის პოზა: 121, 153, 161; ავრეთვე 5, 24, 28, 31 და ა. შ.

203 იხ. მ. ლორთქიფანიძე, კორპუსი I, გვ. 42, 95—96; ტაბ. IV, 58.

204 ბეჭედი პუმუსნარევე თინარაშია ნაოენი, კრამიტურილის ქვეშ. 68-ე ნაკვეთზე ფიქსირებულია ელინისტური ხანის მშენებლობისა დაზიანებული ძვ. წ. V—IV სს სამარხები და კულტურული ფენები.

ზომები: ბეჭდის სიმაღლე — 19 მმ, დიამ. — 15 მმ, ფარაკის სიგრძე — 15 მმ, ვანი — 13 მმ. დაცულობა: ლითონი მწვანე ფერის კეთილშობილი პატინით არის დაფარული, რომელსაც ზოგან ნაცრისფერი ვადაკარავს. ლითონი მყიფეა. — ფარაკს ნაპირები, ორგან, ამოტეხილი აქვს. რკალი ვატეხილი და ზოგან ნაპირებზემყოფილია. პირი დაზიანებულია შუაგულში ისე, რომ შიგ გამოხატულებასაც მოკვავა.

ხის სიმაღლე მაღავრსა და დიდ ფრინველებს მცირედ აღემატება. ფრინველთა მეფის ოდნავ გაშლილ ფრთებს ცერად დახრილი რელიეფური ხაზების წყება გამოხატავს; გრძელი ბოლოები გაშლილი აქვთ. თითო ფეხი არწივებს წინ წაუდგამთ ისე, რომ ხის ძირს ებჯინებიან. მეორე, ჩვენის ვარაუდით (აბჯამად ხის შტამბი დაზიანებულია და არ ჩანს), ხის ღეროზე, შუა ადგილას, უნდა ჰქონდეთ მიყრდნობილი. ფრინველებს კუნთიანი სხეულა აქვთ, კოჭტა თავ-კისერი; ლამაზი მოყვანილობის მომრგვალებული და ძლიერა ნისკარტები; მაღალი, სწორი ხაზებით გადმოცემული ფეხები. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს, ანაბეჭდზე ზედმიწევნით ბრტყელ რელიეფს იძლევა.

ტექნიკა: გამოხატულება ბრტყელი კვეთით არის შესრულებული, მცირეოდენი ჩაღრმავებით ლითონში. კარგი ნახელავია. მიუხედავად გარკვეული სქემატიზმისა ერთიანად — ფორმათა პლასტიკურობა იპყრობს ყურადღებას. ფრინველების ფრთები იმგვარადაა გადმოცემული, რომ ერთი შეხედვით შემყვლობას უფრო ჰგავს, რითაც გამოხატულებას საზეიმო იერს აძლევს. ზომიერად დაცული პროპორციები, სუფთა კვეთა და თვით კომპოზიცია იმაზე მეტყველებს, რომ ინტალიოს მკრელი დახელოვნებული ოსტატი ყოფილა.

ფრინველებს შორის მოთავსებულია ხე, ვარჯის, ღეროსა და ფოთლების მოყვანილობის მიხედვით ნაძეს უნდა წარმოადგენდეს²⁰⁵. როდესაც ხე, საბუქდავსა და გემაზე ნატურალისტურადაა (და მათ უმეტეს „დამოუკიდებლად“) წარმოდგენილი, ზოგი მკვლევარის აზრით, ძნელია გარკვევა იმისა იგი საღმრთო ხეა თუ უბრალოდ მცენარე²⁰⁶.

მცენარეების გამოსახულებები გლიპტიკაში არქაულ ეპოქაში ჩნდება. ელამის ჰრილა ქვებზე ხის გამოსახულება ერთ-ერთი გავრცელებული მოტივთაგანია. ამ ხანაში ხეს ნატურალისტურად გამოხატავენ, უფრო ხშირად დიდი პალმის სახით²⁰⁷. ე. კონტენოს აზრით, ხსენებულ გამოსახულებას, იმავეთვე, საღმრთო ხის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. დროთა ვითარებაში

²⁰⁵ შტრ. არქაულ, ხეთურ (აბადოკიურ) და ასირიულ ცილინდრებზე გამოხატულ ნაძვის ხეებს (იხ. Osten, von der, დასახ. ნაშრ., გვ. 107, გამ. 3:413, 38, 279). ხშირად ნახატის სქემატიზმისა და პრიმიტიული კვეთის გამო ძნელი დასადგენია — სახელდობრ პალმა ამოკრილი ინტალიზე თუ ნაძვის ხე.

²⁰⁶ იხ. Osten, von der, გვ. 106. პ. კონ დერ ოსტენი ვარაუდობს იმ ხეებს, რომელსაც „ლანდშაფტის მოტივი“ ეხედებით, მითოლოგიური ანდა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ნაძვის უძველესი გამოხატულებები იხ. არქაულ-სუმერულ (NéN 27, 36, 37, 71), ხეთურ (აბადოკიური და კვიროსული NéN 274, 548, 549), ასირიულ (NéN 397—399) და ბაბილონურ (Né 253) ცილინდრებზე.

²⁰⁷ იხ. G. Contenau, La glyptique Syro-Hittite, გვ. 115.

პალმის ხე საბერძნეთში, მუდამ, გამარჯვების სიმბოლოდ იყო აღიარებული (შემდეგ რომშიც) — ომსა და შეჭიბვებში გამარჯვებათა სიმბოლოთ პალმა აპოლონისადმი „ხელდასახულ“ ხეთა რიცხვშია (ზეთის ხესა და დაუნასთან ერთად). იხ. Daremberg - Saglio, დასახ. ნაშრ., სტატია Arborea sacrae, გვ. 358b. აპოლონი ზეესისა და ლეტოს ვაჟი-შვილი კუნძულ დელოსზე დაიბადა. თქმულების მიხედვით იქ, ერთადერთი ხე — პალმა ხარობდა. სწორედ ამ პალმის ხის ძირთან გაჩნდა აპოლონი (იხ. P. Crimal, დასახ. ნაშრ., § Aπαλλας, გვ. 41a). ამ მოვლენითაა ახსნილი პალმის ხის ღმერთის კულტან ესოდენ მკიდრი დავაშიკუბ: (იხ. Daremberg—Saglio, დასახ. სტატია),

გამოსახულება სახეს იცვლის — საღმრთო ხის გვერდით ცხოველის გამოსახულებები ჩნდება (მცენარე თითქმის ყოველთვის ცენტრშია მოქცეული)²⁰⁸. ხეთურ, ასირიულ და აქემენიდურ ცილინდრებზე სიციოცხლის ხის გვერდით ფრთოსანი სფინქსები, ფრთოსანი გენიები და რქოსანი ცხოველებია ამოღებული.

ვანის საბეჭდავზე ნაძვი ორ ფრინველს შორისაა აღმართული. — ამ ნიშნის მიხედვით იგი საღმრთო ხეს — „სიციოცხლის ხის“ სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს.

ხის კულტი, ისევე როგორც ღმერთების კულტი, ყველა ხალხის პრიმიტიულ რელიგიაში (ძველ საბერძნეთსა და იტალიაში, დასავლეთ აზიასა და ევროპაში) ფართოდ იყო გავრცელებული²⁰⁹. ზოგიერთი ხე საყოველთაო თაყვანისცემის საგნად იქცა. რიგი მთავანი, ლუკიანეს ცნობით²¹⁰, ღმერთებისადმი ხელთდასხმული. მათ შორის: მუხა — ზევსისადმი, დაფნა — აპოლონისადმი, ზეთისხე — ათენასადმი, ტუთა — აფროდიტასადმი, ნაძვი — კიბელასადმი; ვაზი, ბზა, სურბო და ნაძვი — დიონისესადმი²¹¹.

არწივის გამოსახულება ძველი აღმოსავლეთის გლობალიკაში, რომელიც ყველგან სამეფო ფრინველად ითვლებოდა, ჩამოყალიბებული სახით არქაულსა და სუმერულ ცილინდრებზე გვევლინება, ერთ-ერთი ტიპი არწივის — ფრთავამლილი, მჭდომარე ღვთაების წინაშე წარმოადგენილი, მზის ფრინველს (—*Sonnenvogel*) ანსახიერებს²¹². „მზის ფრინველის“ მნიშვნელობით გამოსახული არწივის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებს იმ ცილინდრების კომპოზიციები წარმოადგენს, რომლებშიც ფრინველი მზის დისკოებს შორის

²⁰⁸ იხ. *Osten, von der*, დასახ. ნ.შ., გვ. 155; — *G. Contenau*, დასახ. ნ.შ., გვ. 155. ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ეპოქებისა და წარმოშობის ცილინდრებზე სიციოცხლის ხესთან, ზემოხსენებული გამოსახულებების გარდა, ღვთაებათა და გაღმერთებულ პერსონაჟებსაც ვხვდებით.

²⁰⁹ ჯერ კიდევ პლინიუსმა აღნიშნა, რომ „პირველ ტაძრებს“ („სამლოცველოებს“) ხეები წარმოადგენდნენ (იხ. *Plin. Sec. Hist. Nat.* XII. 2.) ასე მაგალითად: ნაძვი ხშირად „სალოცავს“ წარმოადგენდა. მასთან შეწირულება მიჰქონდათ. — კიბელასა და ატისის სამსხერპლოს ერთ ბარელზეზე გამოხატულია ნაძვის ხე (კიბელასა და ატისის ნაძვად წოდებული) სწორედ ამგვარი „სალოცავია“; მის ტოტებზე შეკრულმა ზანზალაკებმა, პატერა, ცისტრა, კასრა *Sirinx*-ი (პანის საღმრთო) — დედა ღმერთის საყუდრო ატრინტებია (იხ. *Daremberg-Saglio, Arbores sacrae*, გვ. 357a).

²¹⁰ ციტირებულია *E. Saglio*-ს სტტიის მიხედვით, იხ. *Arbores sacrae*, გვ. 356.

²¹¹ მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთაღნიშნულ ცნობას ჩვენს გამოხატულებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოტანა: ნაძვი დიონისეს კულტს უკავშირდება. მითის თანახმად პითაგორა იმეორებდა უბრალოდ რათა დიონისეს სადიდებლად მათ ნაძვის ხისთვის (*Ἰεῦμα*) თავიანთი ელავ რადგან ღმერთმა იგი იარაღად გამოიყენა. პენთესის (*Πενθεύς*) დასაღვებად (იხ. *Saglio*, იქვე, გვ. 359a). აგრეთვე: ანტიკურ სამყაროში ხშირად ნაძვი დაერქვა ღმერთის მნიშვნელობითაა გაგებული (იხ. *Saglio*, იქვე, გვ. 359). ნაძვი დიონისესა და კიბელას გარდა ზოგჯერ პოსეიდონის პანის, სელენის და ატისის ატრინტებულა წარმოასხულა. *Saglio*, იქვე).

²¹² იხ. *Osten, von der*, დასახ. ნ.შ., გვ. 123, 124, 128, 132, 140 (სუმერო-აკადური ცილინდრები).

არის გამოხატული²¹³. მ.-ლ. ვოლენვიედერი ფრთავაშლილ მონავარდე არწივის იმის გამო, რომ იგი ღვთაების თავს ზემოთა მოთავსებულე, საღმრთო ფრინველად საზღვრავს, ხოლო თემას ზევისის საღმრთო აწივის წინამავალ მოტივად თვლის²¹⁴.

ელამისა და სუმერიის გლიპტიკაში ფრთავაშლილი არწივია გამოხატული; სირო-ხეთურ ძეგლებზე იგი ეგეურ ყაიდაზეა წარმოდგენილი. ფრენის უკანასკნელ მომენტში, როცა ნიდავზე დაშვებას აპირებს (პროფილში, ოდნავ გაშლილი ფრთებით, ფეხი-ფეხზე მიდგმული და ნახევრად ტანქვეშ აქვს მოქცეული)²¹⁵.

ფრინველი ეგეურ სამყაროში, განსაკუთრებით მტრედი, მკიდროდ იყო დაკავშირებული მდებარებითი სქესის უზენაეს ღვთაებასთან²¹⁶. დედა ღმერთი ზოგჯერ მტრედის სახითაა გამოხატული²¹⁷. ამავე დროს, სირო-ხეთურ ძეგლებზე ფართოდაა წარმოდგენილი არწივი²¹⁸. ე. კონტენო გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხელოვნების ძეგლებზე სიმბოლური მნიშვნელობით გამოხატული არწივი, მამრობითი სქესის ღვთაების განსახიერებას წარმოადგენს, ციურ ღვთაების განსახიერებას. ამის დასახსიათებლად სხვას გარდა მკვლევარს სირო-ხეთური ცილინდრები მოჰყავს, რომლებზედაც არწივი მამრობითი სქესის ღვთაების გვერდითაა წარმოდგენილი, მდებარებითი სქესის ღვთაებასთან — მტრედ²¹⁹. სირიაში არწივი მზის სიმბოლოა²²⁰ (და როგორც ე. კონტენო ამბობს მისი ეკვივალენტია), ითვლება, რომ იგი ცაში მიაცილებს გარდაცვლილ უფლისწულთა სულებს²²¹.

ჩვენ მიერ განხილულ სინქრონულ მასალებს შორის ვანის ბექედზე ამოჭრილ მოტივს პირდაპირ ანალოგიები ვერ ეძებნება²²². ვერც მის უშუალო

²¹³ იხ. Oslon, von der, დასახ. ნაშრ., იქვე; შდრ. გამ. 185 (სუმერული ცილინდრი).

²¹⁴ იხ. M.-L. Vollenweide, Catalogue Raisonné I, გვ. 55 (ცილინდრი გვიანბინდონერია; ღვთაება ატორის აზრით მარდუტი უნდა იყოს. ტაბ. XXXVII, 5-1).

აღსანიშნავია, რომ სირო-ხეთურ გლიპტიკაში ცილინდრის პირზე ამოჭრილი ღვთაებათა სიმბოლოები, ზოგჯერ თვით ღმერთებს ანსახიერებენ, სახელდობრ — როცა არწივი ღმერთის სიმბოლოა, ხოლო მისი „ნადელი“ (რაც ბრქვალებში უპყრია) ღვთაების ატრიბუტი (იხ. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 39).

²¹⁵ იხ. Contenau, La glyplique Syro-Hittite, გვ. 141.

²¹⁶ იხ. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

²¹⁷ ე. კონტენოს მაგალითების სახით მოჰყავს მრავალი მინოსური ხანის ძეგლი, მიკენური, ენოსიდან, ძვ. წ. VIII ს მასალები ეფეოსოსა და სპარტიდან (სამაჩურები, ტერაკოტები, სპილოს ძეღის მცირე ზომის ქანდაკებები და ტყვიის ფიგურები. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 142).

²¹⁸ იასილი-კაიასა და ეიუის პარელიეფებზე გამოხატულია ფრთავაშლილი არწივი; ბოლაჩქოში „არწივის ტამართან“ ნაოვნია ფრთიჭა ანალოგიური გამოხატულებით, რომლის შიდაპირში ამ ფრინველის კულტი არსებობდა. ეგეოსის სამყაროში არწივის ჰავია ტრიადას სარკოფაგებზე ვხვდებით. სირიაში — იმპერატორების ამოთეოზის სცენებში იგი კვლავ ჩნდება (იხ. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 143). ფრიგიაში — გარკვეულ საფლავთა რიგები არწივითაა შემკული. ხოლო გვიანდელ ხანაში იგი მკიდროდა დაკავშირებული იქპიეტთან. (იხ. Contenau, გვ. 143).

²¹⁹ იხ. Contenau, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVII, 136; ტაბ. IX, 145, 146, გვ. 143.

²²⁰ მზის სიმბოლოსთან დაკავშირებით, არწივი, იხ. Contenau, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

²²¹ იხ. G. Contenau, დასახ. ნაშრ., იქვე; —F. Cumont, L'aigle funéraire des Syriens et l'apothéose des Empereurs.

²²² როგორც აღნიშნული გვექონდა, სიკოცხლის ხესთან ჰერალდიკურად გამოხატულ არსებათა შორის ვხვდებით: ფრთოსანი სფინქსები, რქოსანი პირტუყვები, სხვადასხვა ღვთაებები და ა. შ.

პროტოტიპს მივაკვლიეთ ჭერჭერობით აღრეულ ცილინდრებსა და ძეგლებზე. კომპოზიციის თვალსაზრისით იგი თითქოს სხვაზე მეტად ძვ. წ. VI საუკუნის ბოლო წლებით დათარიღებულ ბერძნულ საბეჭდავს უახლოვდება მამლუბის პერალიციური გამოსახულებით (ფრინველებს შორის მცენარეა)²²³.

კვეთის და გამოხატულებით ერთიანი სტილის ნახევრით ნახვალავს ეტყობა, რომ მისი მჭრელი იმ ადგილობრივი სკოლის ოსტატა რიგს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებაში ასირიული²²⁴ და ხეთური (კაპადოკიური) გლიპტიკის გარკვეული გავლენა ჩანს. აგრეთვე ბერძნული²²⁵, სახელობრ, იონიური სკოლისა²²⁶.

კვეთის თავისებურებით ჩვენს მასალებს შორის ყველაზე ახლო მსგავსებას დაბლაგომში აღმოჩენილ ძვ. წ. IV საუკ. პრილაფარაკიან ბრინჯაოს ბეჭდებთან (ფრინველების გამოხატულებით) ავლენს²²⁷. თვით ბეჭდების ტიპიც ერთია — პირი-პირზე გადასული, ლითონის ერთიანი ფირფიტისგან ნაკეთები. ვანის ინტალიოს დაბლაგომის საბეჭდავ-ბეჭდისაგან დახელოვნებული ოსტატის ხელი ანსხვავებს. სხვა მხრივ ისინი ერთი სკოლის მჭრელების შემოქმედებაზე მიუთითებენ. ამრიგად ინტალიო-ბეჭედი ძვ. წ. IV საუკუნის ადგილობრივად ნაკეთები ნივთია.

სიკოცხლის ხის შიტიანი გეშა, გამოხატული პირისპირ მდგომი ფიგურებს შორის, ძველი საქართველოს ტერიტორიაზე ვანს გარდა, აღმოჩენილია სამთავროსა (აღმაიანებს შორის № 269)²²⁸ და ურბნისში (ქიხვებს შორის № 946) ²²⁹, ანტიკური ხანის სამახებში (სამთავრო, გვიანელინისტური ხანა, ქვეერსამარხი № 82; ურბნისი, გვიანანტიკური ხანის ორ-მოსამარხი). სოფ. ლეანეთში შემოხვევით ნაპოვნ ქალცედონის საბეჭდავ (№ 930) ოკივე მოტივია წარმოდგენილი უფრო რთულა კომპოზიციის სახით (რიტუალურ სტენაში სხვა დამატებითი ელემენტებია ჩართული)²³⁰. არც ერთი მათგანი ანალოგიად ვანის ინტალიოსათვის ვერ ჩაითვლება — გარდა იმისა, რომ სხვადასხვა დროის გეშა-საბეჭდავებთან გვაქვს საქმე, შინაარსობრივადაც საკმაოდ განსხვავებული არიან²³¹.

ვანის ინტალიოზე ამოჭრილი არწივები ძლიერ ფრინველებად არიან წარმოსახული (მათ შორის თითქმის შეუძრნეველი განსხვავებაა: ერთი მათგანი ტანით უფრო დიდი და ფაქიზი აღნაგობისაა მას თითქოს ბოლოც უფრო გრძელი აქვს და მეტად გაშლილი. მაღალი მოხდენილი კისერი²³²) და უთუოდ

223 იხ. G. G. Richter, II გამოცემა, ტაბ. X, 64 (რეაზხანაგა ქალცედონის კონუსი).

224 არწივი შდრ. Osten, von der, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV, 185; ნაძვი შდრ. გვ. 107, გამ. № 413, 38.

225 ნაძვი შდრ. Osten, von der, დასახ. ნაშრ. გვ. 107, 279.

226 შდრ. J. Boardman, Archaic Greek Gems; Archaic Finger Rings.

227 იხ. შ. ლორთქიფანიძე, კორპუსი, I, გამ. 43, 45 (ბეჭდები აღმოჩენილია 1936 წელს ერთი მათგანი № 1 ქვეერსამარხში, მეორე № 24-ში, ნივთები საქართველოს მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში ინახება).

228 ინტალიო გამოცემული აქვს შ. მაქსიმოვას იხ. M. H. Максимова, Геммы из некрополя Мухсты-Самтавро (раскопки 1938/39 гг). საქართველოს მუზეუმის მოამბე, XVI - B, 1950, ტაბ. II, 63. ინტალიო ბრინჯაოს ფარაქს წარმოადგენს, შ. მაქსიმოვა მას ადგილობრივად თვლის (ინახება გლიპტიკის კაბინეტში).

229 ურბნისი, 1957 წლის არქეოლოგიური კამპანია. ორმოსამარხი № 20 მინის ინტალიო ბრინჯაოს ბეჭდში ჩასმული (ინტალიო შესულია ჩვენს შრომაში — ურბნისში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები. ხელნაბეჭდი). ინახება გლიპტიკის კაბინეტში.

230 საბეჭდავი შესულია -ქველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსში, II (ინახება გლიპტიკის კაბინეტში).

231 ზემოხსენებულის გამო ჩვენ აქ არ შეუდგებით მათ გარჩევას.

232 ადგილი შესაძლებელია, რომ აქ დედალი და მამალი არწივებია გამოხატული ამიტომ წარმოადგინა ისინი მჭრელმა ცოტა განსხვავებულად.

სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. ამ კოცნრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია იგი ორი აზრით იყო გამოხატული: საღმრთო ფრინველისა (თემა სიკოცხლის ხესთანაა გაშლილი) და უზენაესი ძალისა ანუ ძალაუფლებისა (იხ. ხომ სამეფო ფრინველად იყო ძველ სამყაროში აღიარებული, იხ. გვ. 161).

ბექედი მიწაყრილშია ნაპოვნი და ამიტომ ვისი სამარხიდან წარმოსდგება (ქალისა თუ მამაკაცის) ცნობილი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ძველ ხალხების წეს-ჩვეულებას სადაც არწივი მამრობითი სქესის უზენაეს ღმერთს განსახიერებდა (იხ. გვ. 162), შესაძლებლად ვთვლით „მეფე-ფრინველის“ მოტივიანი ბექედი მხოლოდ მამაკაცისათვის განკუთვნილ საბექდაცეხად მივიჩნიოთ. ხოლო ჩვენი ზემოთ მოყვანილი განსაზღვრის თანახმად საბექდავი-ბექედი გარკვეულ უფლებრივ სიმბოლოდ წარმოვიდგინოთ²³³.

დასკვნა: წინამდებარე ნაშრომში განხილული მასალის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ძველ ვანში ჰრილაფარია, იან ბექედებს, უპირველეს ყოვლისა, საბექდავის დანიშნულება ჰქონდათ. და, რომ (როგორც ამას წინადაც აღვნიშნავდით. იხ. ჩვენი პირველი შრომა ვანის გლიტიკური ძეგლების შესახებ) ისინი, უპირატესად, ზედა ფენის წარმომადგენლების კუთვნილებას შეადგენენ²³⁴. საბექდავის ფორმად შერჩეულია, ძირითადად, ბექედი — ადვილად მოსახმარი და სატარებლად მოსახერხებელი საბექდავი. ქალის საბექდავ-ბექედებისათვის მსუბუქი ფორმა შეურჩევიათ (წვრილი რკალი თხელი ფარაკით). მამაკაცთა ბექედები — მძიმეა (მსხვილი რკალი სქელი ფარაკით. ანდა ფართო ფარაკი, ფართო რკალითურთ). (იხ. სურ.) ძვ. წ. V საუკუნეში ვანში ბექედის ერთი ტიპია გავრცელებული რკალშეკრული ბექედი (ბერძნული არქაული ბექედების „იონიური ვარიანტი“ — მ. ლ.)²³⁵, ძვ. წ. IV საუკუნეში ორი ტიპი: რკალშეკრული და რკალგახსნილი ბექედები.

²³³ დასაშვებად მიგვაჩნია ვარაუდით გამოთქვით მოსაზრება, რომ საბექდავი-ბექედი შინაარსის მიხედვით ეულტის მსახური სკუთნილებას შეადგენდა.

იმ მცირე მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ გავაჩინა ძნელია იმის მტკიცება, თუ სახელობრ რომელ ეულტთან იყო დაკავშირებული საბექდავზე წარმოდგენილი სენა — მარადილი სიკოცხლის ხესთან თუ შიკელაუბლის ეულტთან (ნაძვის ხისა და ნიჟადაგზე დაშვებული არწივის თანახმად). მით უმეტეს, რომ სიკოცხლის ხის მოტივი ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჩვენში ორივე შემთხვევაში ერთნაირად საგულანსხორდა მიჩნეულა და მას ძალბან ძველ ტრადიცია აქვს (იხ. გ. ჩიტია, სიკოცხლის ხის მოტივი ლახურ ორნამენტში „ენიკის“ მოამბე X, 1941, გვ. 303—320; ვ. ბარდუელიძე, ხის ეულტისათვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 3, 1927, გვ. 164—178). აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ქართულ ეთნოგრაფიულ სწავლეულში ნაძვის ეულტი დადასტურებული არ ჩანს (შენიშვნის სახით: სამთავროში აღმოჩენილ გვიანელიონისტური ხანის ჰრილა ფარაკზე გამოხატული სიკოცხლის ხეს მ. შაქსიშვია ნაძვლ განსაზღვრავს).

ვანის № 6 მღიდურ სამარხში ოქროს თხელი ფირფიტისებან გაკეთებული არწივების „უენიანი“ გამოხატულებებია ჩატანებული. ნ. ზომბარია არწივს იეტირის სახელს უკავშირებს. (იხ. Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Ваши, Предварительные сообщения, საქართველო-სსრკ აღმოსავლეთის კრებული II, თბ., 1962, გვ. 74).

²³⁴ არსებული მასალის მიხედვით ვმსყვლობთ.

²³⁵ ძვ. წ. VI საუკუნე. ბოლოს და ძვ. წ. V ს. საბექდავი ვანში სამი სხვადასხვა ტიპით არის წარმოდგენილი: ლითონის საბექდავი-ბექედი, ქვის სკარაბეოიდი და ორმხრივი ინტალო — საბექდავი, ვ. წ. მზრუნავი საბექდავი ოქროს ღეროზე წამოკმული.

ჩვენ მიერ აღრევე გამოთქმულ მოსაზრებას — ვანში, ან მის ახლო მდებარე ტერიტორიაზე, სპეციალური სახელოსნოს არსებობის შესახებ, სადაც ადგილობრივ მომხმარებლისათვის საბეჭდაეები და გემები კეთდებოდა, კარგად აღასტურებს ახალი მასალები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ სახელოსნოში თავდაპირველად ბერძენი მკრელები მოღვაწეობდნენ²³⁶, შემდეგ მათი უშუალო ხელმძღვანელობით ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც ეუფლებიან ამ რთულ ხელოვნებას და გარკვეული წვლილი შეაქვთ ძველი ქართული გლიპტიკის განვითარების ზოგად ისტორიაში.

ჩვენ საესებით დასაშვებად მიგვაჩნია — ისეთი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაში, როგორც ხსენებულ ხანაში კოლხეთი იყო, ქვისსაქრელი სახელოსნო „ცენტრების“ დასაარსებლად იონიელი ბერძენები მოეწვიათ. ის ბერძენები, რომლებიც განთქმული იყვნენ ქვაზე ფაქიზად კვეთის ოსტატობით. ამ ფაქტით უნდა ავსხნათ, ნაწილობრივ, ის დაქვემდებარება ბერძენული არქაული სტილისადმი, რომელიც ადგილობრივ ნახელავში ესოდენ ნათელია²³⁷.

განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი ძეგლები იმ მხრივაც იმსახურებენ, რომ ადგილობრივ მკრელთა ნახელავში უკეთ — მათი მხატვრული სტილისა და კვეთის ხელოვნების განვითარებაზე გავლენას ახდენდა ხეთური (ყაადოკიური) და ასირიული გლიპტიკა²³⁸. ადგილობრივი ოსტატები იმგვარად ახერხებენ უცხო მხატვრული ელემენტების შერწყმას საკუთარ სტილთან, რომ მათ შემოქმედებაში „დამოუკიდებლობისადმი“ მისწრაფება — ახალის ძიება აშკარადაა გამოვლენილი.

ძველ საქართველოში ხელოსნობის ამ რთული დარგის განვითარების პროცესი, როგორც ირკვევა, თავისებურად მიმდინარეობდა — ადგილობრივი ოსტატები ახალ, თანადროულ სკოლებში გაბატონებულ ჩვევებს ითვისებენ და ამასთანავე ძველ — არქაულ ტრადიციებს ვერ გამოიჩენენ. ამიტომაც, რომ მათ ნახელავს ჩვენ „არქაიზირებული“ ვუწოდეთ. მიუხედავად ზემოხსენებულისა, ამ ეტაპზე, ერთიან ჩამოყალიბებულ სტილზე მსჯელობა (მასალის მცირერიცხოვნების გამო) ნაადრევია.

საბეჭდავთა ხასიათის მიხედვით შესაძლებელი ხდება დადგენა იმისა, რომ ძველ ვანში საბეჭდავის ფუნქციონალური დანიშ-

236 ძვ. წ. VI საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი ძვ. წ. 500 წლიდან ბერძენი ოსტატები საბერძენეთს გარეთ — სხვადასხვა ქვეყნებში მიდიან სამუშაოდ (იხ. Boardman, Archaic Finger Rings, გვ. 3).

237 აღრეანტიკური დროიდანვე, ძველ საქართველოში, გემთა კვეთის შემუშავებული ტრადიციების თანახმად, საფუძველი გააქვს ვიფიქროთ, რომ ბერძენი ოსტატები გვიანანტიკურ ხანაში ადგილობრივ სახელოსნოებში გამოწაყლისის სახით მუშაობდნენ. (ბერძენ ოსტატთა მოღვაწეობაზე საქართველოს ქვის საკრელ სახელოსნოებში გვიანანტიკურ ხანაში იხ. M. Максимов, Геммы из некрополя Мухеты-Самтавро. გვ. 240; მ. ლორთქიფანიძე, არმაზისხევისა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, გვ. 22—23, 28; ქვის მკრელის პლატონის ნახელავი ახ. წ. III საუკუნისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XV II — B, 1953, გვ. 244—250; გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, გვ. 54—55).

238 ნიშანდობლივია, რომ ძველი საქართველოს გლიპტიკის განვითარების პირველ „საფეხურებიდანვე“ ხეთური გლიპტიკის დიდი გავლენა ჩანს. ამის ნათელ ილუსტრაციას ძვ. წ. XIV—V სს თიხას, ქვისა და ლითონის საბეჭდაეება წარმოადგენს. ამასთანავე შემჩნეული გააქვს მესობოტამურ გლიპტიკასთან (ყრბოდ ასირიულთან) გარკვეული სიახლოვე (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, გვ. 8, 9, 34—38, 41—42, 64).

ნულება სხვადასხვა იყო: I. უფლებრივი საბეჭდავები, ამათში თავისი ნიშნადობით გამოყოფილი გვაქვს: ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის უფლებრივი საბეჭდავი — ინსიგნია (იხ. დედატოსის სახელიანი საბეჭდავი). ბ) ოფიციალური საბეჭდავი (ასევე უფლებრივი, მაგრამ მნიშვნელოვანობით ინსიგნიაზე მეტად). საკულისხმო, საერთო საზოგადოებრივ შემთხვევებისათვის განკუთვნილი (იხ. დედატოსის მეორე ოქროს საბეჭდავი). II. პერსონალური საბეჭდავები, რომელთაც მათი მფლობელი პირად, ყოველდღიურ, საქირიებისათვის იყენებდა (იგულისხმება დედატოსის ვერცხლის საბეჭდავები).

რომ დედატოსის უფლებრივ საბეჭდავზე „განყენებული“ თემა წარმოადგენლი (და არა თვით მფლობელი) სავსებით კანონზომიერია: — ძველ სამყაროში ცნობილ მმართველთა და წარჩინებულ პირთა საბეჭდავებს შორის, განსაკუთრებით ადრეულ ხანაში, პორტრეტული გემები იშვიათი გამოხაჯილია²³⁹.

ვანის საბეჭდავი-ბეჭდები და ადრეანტიკური გემები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში აღმოჩენილ ამ რიგის თანადროულ ძეგლებისაგან ნატიფი შესრულების ტექნიკით (შემოტანილი მასალები იგულისხმება)²⁴⁰ და თემატის თავისებურებით (ადგილობრივ საბეჭდავ-ბეჭდებს ვუთითებთ). იონისა და ატიკის სახელოსნო ცენტრებიდან შემოტანილი საბეჭდავი-ბეჭდების მხატვრულ ღირსებები იმის უტყუარი საბუთია, რომ ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიური და კულტურული დონე, ამ პერიოდში, მაღალია. ამას გარდა — ხსენებული ძეგლების საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვების ფაქტი ადასტურებს, ძველი კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობას იონისა და საბერძნეთის დიდ სახელოსნო ცენტრებთან (ძვ. წ. VI საუკ. ბოლო წლებიდან ვიდრე IV საუკ. უკანასკნელ მეოთხედამდე)²⁴¹.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი კოლხების განსხვავებულმა და თავისებურმა „სულიერმა სამყარომ“, ერთგვარად, ასახვა ჰპოვა ადგილობრივ ოსტატთა შემოქმედებაში.

239 საქიროდ მიგვაჩნია რამდენიმე მაგალითის მოტანა: პოლიკრატეს საბეჭდავზე ჩანს იყო ამოჭრილი (Herodolus, III, 41), კსერქსეს საბეჭდავზე — ტიტული თმაგაშლილი ქალი — ანაიტი? (Osborne, Gems, გვ. 287), კლავარხოსის (ციროსის ერთერთი სარდლის) საბეჭდავზე — მოცეკვავე ქალები (Osborne, Gems გვ. 287), ალექსანდრე მაკედონელის საბეჭდავს დარიოსის დამარცხების შემდეგ, დარიოსის გამოხატულებიანი ცილნდრი წარმოადგენდა. დამპყრობელი მეფის სიმბოლო (Osborne, დასახ. ნაშრ., იქ.ე.) პრინსისაზე (ეპისის მეუღის) — აპოლონი ჩანდია და ცხრა მება (Plin. Sec., Hist. Nat., XXXVII, 3) და ა. შ.

240 იგულისხმება ქალის მდიდრული სამარხის (№ 6) ბეჭდები და ხელოვნების მუზეუმ-ში დაცული საბეჭდავი (იხ. გვ. 117—118 აგრეთვე ჩვენი შრომა: ვანის გლიპტიკური ძეგლები).

241 ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა სხვა არქეოლოგიური მასალებითაც კარგად დასტურდება (იხ. Н. В. Хостария. Археологические раскопки в Вани გვ. 66; ოთ. ლორთქიფანიძე, ინტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1966, გვ. 68—71).

ბ. ლორთქიფანიძე

საბრძოლო და სამეურნეო იარაღი

ვანის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე წლებიან განწავლობაში ჩატარებულმა არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვდა საკმაოდ მრავალფეროვანი საბრძოლო¹ და სამეურნეო იარაღი. მათი ღრუული შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, თუნდაც მასალების სახით, აუცილებელია, რადგან ამ ძეგლების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველი კოლხეთის სოფლის მეურნეობის, სამხედრო საქმეა, ხელოსნობის მთელი რიგი დარგების განვითარების დონეზე. შესაბამისად ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში განხილულია საბრძოლო იარაღი: კედლის სანგრევი მანქანები, სასროლი მოწყობილობები, სატყორცნ-საძვერებელ-დასარტყმელი იარაღი და თავდაცვითი საქურველი. ხოლო მეორეში — სამეურნეო იარაღ-ხელსაწყოები; ესაა შედარებით მცირერიცხოვანი სასოფლო-სამეურნეო, სამკედლო და სადურგლო იარაღები².

1963 წელს ნაქალაქარის 199 მონაკვეთზე, ძვ. წ. II—I სს დათარიღებული ტანჯის იატაკის დონიდან 14 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა კარგად დაცული რკინის მონადირე იარაღი — კედლის სანგრევი მოწყობილობის ე. წ. ურნალის პირი³ (სურ. 134). საინტერესოა იარაღის ამ სახეობის ქართული სახელწოდების საკითხიც. ჩვენს წერილობით წყაროებში მის ზოგად სახელწოდებას ვხვდებით — „საომარი მანქანები“, რომლებიც არაბულიდან ან სპარსულიდან („მანქანიყ“) უნდა მომდინარეობდეს. ურნალი კი, როგორც ჩანს,

1 ნაშრომში არ არის განხილული 1569 წელს აღმოჩენილი დიდებული კოლხი მეომრის (ძვ. წ. IV ს., შესამე მეოთხედი) სამარხში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი იარაღი: ხელშეხისა და შეხისპირები, ისრისპირები, დაშნა-სატყორცები, ფარი და სხვა (იხ. ვანი I, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947—1969 წწ., თა., 1971).

2 ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგები დაწერილებით იხ. გ. ინანიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, კოლხური რკინის ზოგიერთი საბრძოლო იარაღის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლისათვის. კრ. საისტორიო შიამზე, IV, თბილისი, 1964 (იხ. ცხრილი 1). ანალიზები შესრულებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში გ. ინანიშვილის მიერ.

³ ვანი, I, გვ. 172, 173. Г. Л. ордкипанидзе, Наконечник тарана из Вани. СА, № 4, 1969.

ზეპირსიტყვაობამ შეჰოგვიანა. ეთნოგრაფ მ. ჩართოლანის ცნობით, სვანეთში კოშკების შესაღწე რკინისპირიან ძელებს „საქსარს“ უწოდებენ. ჩვენთვის ძნელია ამ სიტყვის ეტიმოლოგიაზე საუბარი, მაგრამ არ გვგონია, რომ ეს ტერმინი სპარსულ „საგ“-ძალი და „სარ“-თავს უკავშირდებოდეს. ძველი ბერძნები და რომაელები ამ იარაღს ვერძს (κρίος, aries) უწოდებდნენ, აქედან იღებს სათავეს ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი „ვერძიკი“. ბერძნულიდან თარგმნილ წყაროებში მათ შესატყვისად კი „კრიოს მანქანებს“ იყენებენ⁴. რატომღაც, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კედლის სანგრევი იარაღის აღსანიშნავად ნახმარია რუსული ენის გზით შემოსული უცხოური სიტყვა „ტარანი“. ურნალი მხოლოდ ზოგიერთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში თუ გვხვდება, ჩვენთვის მისაღები გაგებით.

წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ კედლის სანგრევი მოწყობილობებს საქართველოში უძველესი დროიდან იცნობდნენ, კერძოდ, ამ იარაღს იყენებდნენ ახ. წ. VI ს. სპარსეთ-ბიზანტიის ომების დროს. ასე მაგალითად, პროკოფი კესარიელის მიხედვით, რომაელების მიერ გამაგრებული პეტრას კარიბჭის შესაღწეად სპარსელებმა ურნალი გამოიყენეს (BP, II, 17). არქეოპოლისთან, სადაც რელიეფი არ იძლეოდა საშუალებას კედლის სანგრევი მანქანების მოძრაობისა, სპარსელებმა მხარზე გასადები ურნალები გააკეთეს. (BG. VIII, 14). რა დროიდან ვრცელდება ეს იარაღი ჩვენში არ არის ცნობილი. ანტიკური ტრადიციით კედლის სანგრევი მანქანები პირველად ტროას ომის დროს გამოიყენეს (Plin 7,56). ურნალების უძველეს გამოსახულებებს ძვ. წ. IX ს-დან, ასირიულ ბარელიეფზე ვხვდავთ⁵. სპეციალისტები ძველ ავტორთა (ვეგეციუსი, ვერგილიუსი, დიოდოროსი, ფლავიუს იოსები, ტიტუს ფლავიუსი და სხვ.) აღწერებითა და ჩვენამდე მოღწეული ურნალების გამოსახულებების ანალოზით კმაყოფილდებოდნენ⁶. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ვანური ურნალის პირის მსგავსად, ანტიკური ხანის ძეგლებში იარაღის ეს სახეობა არ აღმოჩენილა და ამდენად ჩვენი მონაპოვარის მეცნიერული ღირებულება კიდევ უფრო იზრდება.

ვანში აღმოჩენილი ურნალის პირი გამოქედილია მთლიანი რკინისაგან⁸, იგი ძალზე დიდ ისრისპირს ჩამოჰგავს (სურ. 134ჟ). მისი სიგრძე 1 მ და

⁴ იხ. მაგ. გეორგიკა, II. თბილისი, 1965, გვ. 84.

⁵ იარაღის ამ სახეობის განახლვრას არ ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის „სიტყვის კოგნეში“. გამორჩენილია იგი ლ. ცაგარელის „სამხედრო-ტექნიკურ ლექსიკონში“ (თბილისი, 1925) და „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (თბილისი, 1957).

⁶ R. D. Barnett, *Arryrishe Pa'astrellens*, Praha, 1959, ტბ. 35, 28 და სხვ. კრ. *Очерки по истории, техники древнего Востока*. М.—Л., 1940, გვ. 120, 121, სურ. 86—88.

⁷ DAGR-. გვ. 422—423, სურ. 513—516; А. В. Болдырев, И. Я. Боровский, *техника военного дела. Эллинистическая техника*. М.—Л.; 1948, გვ. 301—306. სურ. 109. Н. И. Соколовский, *Деревосаботы в древних государствах Северного Причерноморья*. М., 1971, გვ. 79, სურ. 25. ურნალები აღწერა იხ. Vit; X, 13, FII III, 215; Veg. IV, 14.

⁸ დარჩენარის და სალოს ლექსიკონში ნათქვამია, რომ ურნალის პირები ჩამოსხმული (ონდა) რკინისაგან მზადდებოდა (DAGR, I, გვ. 422.). ვანური ურნალის პირის მიხედვით ეს არ შეეფერება სინამდვილეს. იგი გამოქედილია მაღალნახშირბადის შემცველი რკინის მასალისაგან. საერთოდ ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში ძირითადი ბერძენი რკინის თერმული დამუშავებისა კედლა იყო. ჩამოსხმას, მთუ შემტეს ასეთი დიდი საგნისა, არ

ვანის ნაქალაქარზე ძვ. წ. II—I სს ფენებში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ზომის ქვის მრგვალი ბირთვები, რომელსაც სპეციალური მოწყობილობებით ისროდნენ. ქართულ წერილობით წყაროებში ბერძნულ-რომაული კატაპულტების, ევატოტონების და ონაგრების ნაირსახეობას ფილაკავამს უწოდებენ. სულხან-საბას მიხედვით, ფილაკავანი „ეამთა პირველთა ციხის მებრძოლნი სასხლეტსა რასმე მომართავდენ დიდის ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად“. ნ. ზოშტარიამ ჯერ კიდევ 1947 წელს მიაკვლია ამ ქვის ქურების მარაგის გადარჩენილ ნაწილს (60 ცალზე მეტი) ახვლედიანის გორის თავზე გამოვლენილ ქვის ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის გარეთა მხარეს⁹, რომელიც არსენალადაც შეიძლება მივიჩნიოთ; გარდა აასისა, ასზე მეტი ქურვი ნაოვნი იყო ალიზის კედლის ნაშალთან კოლმეურნე ა. ახვლედიანის ეზოში (სურ. 135 კ). 1966 წელს კარიბჭესთან, გალავნის კედლის ირში შიდაციხის ტერიტორიაზე გამოვლინდა (in situ) გამწვარიებული, ოთხი ერთნაირი ზომის ქურვი (სურ. 135კ). ვანში ქვის ქურვები გვხვდება აკროპოლისის სხვადასხვა მონაკვეთზე¹⁰. საერთოდ ქვის ქურვები არ მოითხოვდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, ხშირად მათ ღია ცისქვეშ აწყობდნენ, სატყორცნ მანქანებთან ახლოს. ასეთი სურათი იყო 1927 წელს აღმოჩენილ ძვ. წ. III ს. დათარიღებულ პერგამონის ცნობილ არსენალში. ეზოში პირამიდებად ეწყო 894 ქვის ქურვი სხვადასხვა კალიბრისა — დაწყებული 14 სმ (წონა 6,5 კგ)-დან დამთავრებული 40 სმ (წონა 76 კგ)¹¹. მსგავსი საკვები აღმოჩენილია ანტიკური სამყაროს სხვა პუნქტებშიც. ასე მაგალითად, კართავენში აღმოჩნდა ძვ. წ. II ს. 2500 კირქვის ქურვი. მათი წონა მერყეობდა 12 კგ-დან 29 კგ-მდე¹², რაც ვანის ქურვების წონას უახლოვდება. ვანურ ქურვებს კარგად ეტყობათ ვიწროპირიანი, წერაქვის მაგვარი იარაღით დამუშავების კვალი (სურ. 135კ). ქურვები დამზადებულია ადგილობრივი ბიოტურბი ტუფისაგან. მათი გეოლოგიური ასაკი შუა ეოცენია (P₃)¹³. ამ ჩივის ქვებისაგან ვანში ძვ. წ. III—II სს რამდენიმე ნაგებობაც აღმოჩენილია. როგორც დახვეწილად სამუშაოებმა ცხადყო, ამ სამშენებლო

⁹ ნ. ზოშტარია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947 წელს, მიმოხილველი, I, თბ., 1949, გვ. 307, სურ. 4.

¹⁰ ო. ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, რომ ვანში აღმოჩენილი ქურვები მტრის მიერ იყო წატყორცილები. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდა ის გარემოება, რომ IV უბანზე შენობის ნანგრევებს ქვეშ ორა ქვის ქურვი აღმოჩნდა. (ო. ლორთქიფანიძე, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1961 წ. ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები, საქართველოს 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მოხსენებათა ნო. 12 ნაწილი, თბ., 1962, გვ. 42). კარიბჭის კომპლექსის აღმოჩენა, რომელიც მტრის მიერ იყო შეღწეული, საკითხის ამგვარი დაყენება მოხსნა, რადგან ნანგრევებში არცერთი ქვის ქურვი არ აღმოჩნდა, გარდა ზემოაღნიშნული მარაგისა, რომელიც აშკარად ქალაქის დამცველებს ეკუთვნოდა.

¹¹ E. M. Marsden. Greek and Roman Artillery. Historical Development. Oxford, 1868, გვ. 81, 82.

¹² А. В. Болдырев, Я. М. Боровский, Техника военного дела. გვ. 291. E. W. Marsden, დაახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

¹³ მ. ძველია, ვანის რაიონისა და მისი მომიჯნავე ადგილების გეოლოგია, ვანის ესპელოლოგიის მუზეუმის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი, 1961, გვ. 15. გეოლოგიური რუკის მიხედვით შუა ეოცენის ფენები, კერძოდ კი აღნიშნული ტუფ-ბრექჩია ბიოტურბიანი ტუფის წარმონაქმნები, საკმაო სიმძლავრითაა წარმოდგენილი ამ რეგიონში.

ქვებისა და ქურევების კარიერი ვანისაგან საკმაოდ მოშორებით სოფ. მიქელე-
 ტონთან უნდა ყოფილიყო. ისინი მტრის მიერ რომ არ არის ნატყორცი, იმიტად
 მტკიცდება, რომ ქურევები ადგილობრივი მასალისაგან უმზადდებიათ; მტერს
 არ ექნებოდა იმის საშუალება — საეკლესიო პირობებში ჭერ დაეძებნა და მერე
 მოეწყო ქვის ქურვების დამამზადებელი კარიერი. ნიშნდობის კვირა, რომ პან-
 ტიკაპონში აღმოჩენილი ქურვები ასევე ადგილობრივი ჭიშის კირქვებისაგან
 ყოფილა გამოთლილი¹⁴. ასევეა პერგამონშიც, ქვის ქურვებიც იმ ადგილობ-
 რივი ჭიშის ვარდისფერი ტრაქიტისაგან დაუმზადდებიათ, რომლის ქანებ-
 ზე ოღიო ქალაქი იყო გაშენებული. ტრაქიტი მაგარია, კირქვა და ვანური ტუ-
 ფიკი შედარებით რბილი; ამგვარად, ცხადია, რომ ქურვისათვის სპეციალუ-
 რად არ არჩევდნენ ქვის ჭიშს და ჩვეულებრივ ხელმისაწვდომ მასალას აყუ-
 ნებდნენ. გარდა საგანგებოდ დამუშავებული ქურვებისა, ხშირად სატყორც-
 ნაუ რიყის მრგვალ ქვებსაც იყენებდნენ¹⁵. როგორც აღვნიშნეთ, მტერი საა-
 ლყო პირობებში ასე გულმოდგინედ არ დაამზადებდა სხვადასხვა კალიბრის
 ქურვებს, მით უმეტეს, რომ უფრო ადვილი იქნებოდა რიონის, სულარისა
 და ქიშურას პირზე საჭირო მრგვალი ლოდებისა და ქვების შეგროვება. ამას-
 თანავე უნდა აღინიშნოს, რომ ვანში აღმოჩენილი ყველა ქურვი გამოთლილი
 როლია. ნ. ხოშტარიას დაკვირვებით, ზოგჯერ ნაქალაქარზე გვხვდება რიყის
 ქვებიც ოღონდ „მარჯედ შერჩეული მომრგვალო ფორმისა“¹⁶. ვეგეციუსიც
 ურჩევდა მეომრებს ქურვებად რიყის ქვები გამოეყენებინათ მათი სიმძიმის
 გამო (Veget. De re militi, IV, 8). ჩანს, ეს გარემოება არ იყო უცნობი ვა-
 ნის დამცველებისათვისაც, რომლებიც ქურვების მარაგს ნაწილობრივ რიყის
 მრგვალი ქვებით ავსებდნენ. ვანის ნაქალაქარზე აღრიცხულია 200-მდე ქვის

¹⁴ Н. И. Соколовский, Каменные ядра из Пантикапея, МИА, 103, „Пантика-
 пей“, М., 1962, стр. 243.

¹⁵ ჩვეულებრივ მტერი ბრძოლისთვის ყოველგვარ ხელმისაწვდომ და გამოსადეგ საგნებს
 იყენებდა, ტყორცნიდნენ ხელსაფეკაეებსაც კი. F. N. Whitehorn, The Catapult and the
 Ballista. Greek and Rome, № 44, 1946, ზაისი, გვ. 53.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური ეპოქისათვის გვაქვს საინტერესო ცნო-
 ბა ქვის ქურვების ადგილზე, ციხე-სიმაგრის გარემოცვის დროს დამზადებისა, მაგრამ ქურ-
 ვებს ეტყობათ, რომ დამამზადებლები ძალზედ ჩქარობდნენ, ქურვები არააწორი ფორმისაა,
 ცუდად მომრგვალებული. იხ. А. Н. Кирпичников, Метательная артиллерия и оборон-
 ительные сооружения древней Руси, МИА, 77, М., 1958, გვ. 31.

მე-19 საუკუნეში ჩუღის ტბაში იპოვეს ჩამირღო ბარკასი, მოზრდილი ნაეი, პირამდე
 ავსებული სხვადასხვა ზომის ქვის ქურვებით. ისინი დამზადებულია კირქვისაგან, რომელთა
 ფენებიც იჭევა დადასტურებული მდ. ნარვის და პილესის ნაპირებზე. როგორც ვარაუ-
 დობენ, ნაეი ქურვები მოქონდათ ტბის ნაპირზე მდებარე ციხე-სიმაგრის დამცველებისათ-
 ვის რუსეთ-შვედეთის XIV—XV სს ომების ერთ-ერთი ეპიზოდის დროს. იხ. В. Н. Гла-
 зов, Ладья с каменными ядрами затонувшая в Чудском озере. Отдельный оттиск из
 „Записок разряда военной археологии и археграфии Императорского военно-историче-
 ского общества. ч. 1. СПб. 1819, გვ. 3, 6.

¹⁶ ნ. ხოშტარია, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947 წ. გვ. 308. სატყორცნი რი-
 ყის ქვების მარაგი, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბარკასში და ქერსონესში. იხ.
 В. Д. Блаватский, Осада и оборона в античном Причерноморье. КСИИМК, XVI,
 1947, გვ. 91. რომაულ ეპოქაში ქანაქურცს მანქანა საგანცხოველველად გამოიყენებოდა.
 მანქანებს და მათი ქურვების მარაგს ხარშებულ ფიჭუნებით ატარებდნენ (Veget. 11, 25; Amm.
 Marc. XVI, 25). კალიბრის მძიმეიანი მანქანებს სხვადასხვა რაოდენობის მებრძოლები (ე. წ. ball-
 estrii) ემსახურებოდა, ზოგჯერ მათი რიცხვი ათამდე აღიწერა.

ქურვი. ისინი ინახება თბილისის, ვანის, ქუთაისის მუზეუმებში. რამდენიმე ცალი დატულია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. მათი დაჭვავება ზომა-წონის მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

№№	ქურვის დიამეტრი, სმ	ქურვის წონა, კგ	პირობითი კალიბრი
1	30	25	I
2	27	20—21	I
3	26	18	I
4	23	13,500	II
5	22	11—9,500	II
6	21	8,600	II
7	18	4,500—5,00	III
8	16—15	4,100—3,803	III
9	12	2	IV
10	11	2,500—1,710	IV

თუ ეს ქანების გამოფიტვის ბრალი არ არის, მაშინ თითქოს ვანური ქურვების დამზადებისას პრაქტიკულად ყურადღება მათ დიამეტრს უფრო ექცეოდა და არა წონას (11 სმ დიამეტრის მქონე რამდენიმე ქვის ქურვის წონა სწვადასხვა აღმოჩნდა). შეიძლება დაეუშვათ ისიც, რომ ერთნაირი დიამეტრის ქურვებში 1—2 კგ ფარგლებში წონის მსგავსი მერყეობა დასაშვებია იყო. ჩრჭყრობით არ მოხერხდა იმის გამორკვევა, თუ რა საზომი სისტემით ხელმძღვანელობდნენ ხელოსნები ქურვების დამზადებისას, მიუხედავად იმისა, რომ ატიკურ-გებურთა სისტემის მიყენება (დაქტილი — 1,840 სმ) თითქოს იძლევა ერთგვარ იმედებს.

საყურადღებოა ზოგიერთი ანალოგია. ფანაგორიაში ძვ. წ. 1 ს. ფენაში აღმოჩენილია კირქვისაგან გამოთლილი ქურვი, რომლის დიამეტრია 15 სმ, ხოლო წონა 4 კგ. ფანაგორიული ქურვი ზუსტი ანალოგიაა ვანური IV კალიბრის ქურვებისა, განსხვავება მხოლოდ მასალაშია. მისი აღმოჩენა ვ. ბლაგატსკის აზრით, უკავშირდება მითრიდატეს წინააღმდეგ ფანაგორიელთა ძვ. წ. 63 წლის აჯანყებას¹⁷. ვანური ქურვების IV კალიბრთან ახლოს არის პანტიკაპეონში ძვ. წ. II ს. ბოლოთი დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი ქურვიც. მისი დიამეტრია 12 სმ, წონა კი 2 კგ-ზე მეტი¹⁸. ასეთივე დიამეტრი აქვს და 1,88 კგ იწონის აქვე, ახ. წ. I ს. ფენაში აღმოჩენილი ქურვი. ამასთანავე, სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფილაკავანთა საერთაშორისო სტანდარტები არ არსებობდა¹⁹, რაც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, რადგან ვანური ქურვების ზომა-წონა, მაგალითად, არ ემთხვევა ფილონის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს²⁰. როგორც აღვნიშნეთ, ვანში აღმოჩენილი ქურვების უმეტესობა ძვ. წ. I ს. ფენებშია მოპოვებული და ისევე როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მითრიდატე VI ევპატორის ხანას უკავშირდება. აქიანესთან შეშინახული ერთი ცნობის თანახმად, მითრიდატე ზოსფორში

¹⁷ В. Д. Блаватский. Каменное ядро из Фанагории, КСИИМК, XXXIX, 1951. გვ. 135 და შემდეგი, სურ. 42, მისევე, Очерки военного дела, გვ. 109.

¹⁸ Н. И. Сокозский. Каменные ядра из Пантикапея. გვ. 243.

¹⁹ E. V. Whitehorn. დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

²⁰ А. В. Болдырев, Я. М. Боровский და სხვ. ნაშრომი, გვ. 288. ქურვების სტანდარტებზე კალბრება ფარმაცა და სხვ. მასთან დაკავშირებული საკითხები იხ. E. W. Marsden, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—38.

უჟანდახევის დროს: დიდი რაოდენობით ამზადებულ იქნა, ისრები და სამხედრო მანქანებს, არ იშურებდა არც ხე-ტყეს, არც მუშა-ხარებს, რომელთა ძარღვეზოდან ლარებს ამზადებდა (App., XII, 107). თუ ვაწი აღმოჩენილი ქურევების რაოდენობით ვიმსჯელებთ, ანალოგიური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო კოლხეთშიც, რომელიც მის ერთ-ერთ ეკონომიურ ბაზას წარმოადგენდა²¹.

ამჯერად ჩვენ არ ვაპირებთ სატყორცნი მანქანა-მოწყობილობების განხილვა-დახასიათებას. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ვრცელი სპეციალური ლიტერატურა²². შევჩებებით მხოლოდ ფილაკავანთა მოქმედების ძირითად პრინციპებს, მათ ზოგიერთ ტექნიკურ-ტაქტიკურ მხარეს. ამ ტიპის სამხედრო მანქანების (ბალისტა, კატაპულტა, ეკატონი, ონაგრი, მონაკონი) დამზადება მოითხოვდა სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ოსტატების მაღალ კვალიფიკაციას, ტექნოლოგიურ სიზუსტეს; მისი ცალკეული, განსაკუთრებით ლითონის, დეტალების დამზადება არ იყო ადვილი საქმე. ვიტრუვიუსის მიხედვით, ფილაკავანი ხისგან დამზადებული ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირებულ სისტემას წარმოადგენდა, მისი დამზადება-გაანგარიშებანი რთული საინჟინრო ხელოვნება იყო და მისი აგება ყველას როდი შეეძლო (იხ. Vitr. IX, XI, 1). მატერიალური ბაზის გარდა საჭირო იყო სათანადოდ დაწვრთნილი ოსტატებისა და მსროლელების ყოლა. მათი აგება მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც შესწევდა რთული მათემატიკური გამოთვლების, მასშტაბების შეცვლის (გაზრდა ან შემცირება გეომეტრიული გაანგარიშების საფუძველზე) ძალა და უნარი. ბალისტა ხომ უნდა შეესაბამებოდეს იმ ქვის წონის გარკვეულ სიღაღეს, რომელიც სატყორცნად არის მომზადებული, გამიზნული (Vitr., IX, XI, 1). ამის გამო ეს იარაღი მხოლოდ ეკონომიურად დაწინაურებულ ქალაქებსა და სახელმწიფოებს ჰქონდათ. პოლიბიოსის მიხედვით, როდოსელებმა ძვ. წ. 220 წელს მითრიდატე III პონტოს მეფის გარემოცვისაგან შეწუხებულ სინოპელებს სხვა იარაღთან ერთად გაუგზავნეს: „300 ტალანტი თმა და დამუშავებული ძარღვები, ოთხი ბალისტა მსროლელებითა და ტექნიკოსებით“ (Polib., IV, 56). როგორც ვხედავთ, მარტო ბალისტის გაგზავნა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სპეციალურად მომზადებული ხალხის, მსროლელებისა და ტექნიკოსების, ყოლა. ამიტომ არ მიგვაჩნია სწორად ზოგიერთი ავტორის ის აზრი, რომ თითქოს ელინისტურ ხანაში აღნიშნული იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული და ყველა უმნიშვნელო ქალაქსაც კი ჰქონდა მათი მარაგი²³. ქვის სატყორცნი მანქანების ენერჯის წყაროს ცხოველის, განსაკუთრებით ხარის, კისრის დაგრეხილი ძარღვები შეადგენდა. ფილაკავანთა ზომები 4 მ×5 მ-ს აღწევდა და უკუქცევის საგრძნობი ძალა ჰქონ-

²¹ Г. Лордкипанидзе, К истории древней Колхиды, Тбилиси, 1970 г., 24.

²² D A G R. ტ. X, გვ. 365, 366; E. N. Whitehorn. დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 57. სურ. 1—48; Г. Дильс. Античная техника, М. 1934. გვ. 91—98. А. В. Болдырев, Я. М. Боровский, Техника военного дела, гв. 285—291. В. Д. Блаватский. Очерки военного дела гв. 55—58. E. W. Marsden, Greek and Roman Artillery, Oxford, 1969.

²³ А. В. Болдырев, А. М. Боровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 283. ამის საწინააღმდეგოდ გარდა მოყვანილი ფაქტისა, ლაპარაკობენ არქეოლოგიური მონაცემები. მაგალითად, ჩრდილო შავიზღვისპირეთში ჩრჭრეობით არ არის აღმოჩენილი ძვ. წ. II ს. უფრო ადრინდელი ქვის ქურები. იხ. Н. И. Соколовский, Каменные ядра из Пантикапея. МИА, 193. М., 1962, გვ. 242—247.

და იმის გამო. რომ დაბტყვა-შენჯღრევისას ვწყობრიდან არ გამოსულიყენენ. მათ სამაშორტიზაციოდ საგანგებო ალიზისა ან კორდოვანი ფენისაგან შედგენილ პლატფორმებს უმზადებდნენ. სატყორცნი მანქანები მოთავსებული იყო გალავანზე, კოშკზე ან მის ქვედა ნაწილში, ე. წ. კახმატში, საიდანაც სპეციალურად დატოვებული ღია სათოფურიდან შეიძლებოდა სროლა²⁴. ენეოს ტაქტიკოსი თავის რეკომენდაციებში ქალაქის დაცვასთან დაკავშირებია. აღნიშნავს, რომ მტრის მოახლოებისას სატყორცნი მექანიზმები გალავანზე უნდა განთავსდნენ და იქედან აწარმოონ ბრძოლა. ასეთნაირად იყო განლაგებული, როგორც ჩანს, რომელთა სამხედრო მანქანები ფასისში (ib. Fl. Arr., PPE, 12). ფილაკანთა საბრძოლოდ გამოზადება დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ ტყორცნის სისწრაფე დიდი არ იყო. ჩანს სროლის გახშირება მათი რაოდენობის გაზრდის ხარჯზე ხდებოდა. თუ ვაწში აღმოჩენილი ჰერკვების რაოდენობითა და მათი სხეულის სხვადასხვა ზომის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ სხეულის სხვადასხვა კალიბრის სატყორცნი მანქანები ძველი ეპოქის დამკველებსაც საკმაოდ ჰქონდათ.

ქვის სატყორცნი მანქანები გამოიყენებოდა როგორც მტრის ცოცხალი ძალის, ასევე მისი სააღყო მოწყობილობის წინააღმდეგ, მაგრამ სავსე პირობებში მას ფართოდ ვერ იყენებდნენ²⁵. ანტიკური ხანის სატყორცნი მანქანებს იყენებდნენ როგორც ქალაქის დამკველები, ასევე თავდასხმეულები;

მაგრამ ფეოდალური ეპოქისაგან განსხვავებით, ანტიკურ ხანაში ქვისსატყორცნი იარაღებს ძირითადად მეციხოვნენი იყენებდნენ. ეს გარემოება კარგად არის ასახული მთელ რიგ პოლიორკეტეოსთა (აპოლოდორე დამასკოელი, ფლავიუს ვეგეციუსი, ათენეოს მექანიკოსი, ენეოს ტაქტიკოსი და სხვ.) შრომებში. წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში არის ცნობები ქვისსატყორცნი მექანიზმების სროლის მანძილის შესახებაც. წყაროებში დაცული ცნობებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ნიმუში ჯერ კიდევ ათენეოს მექანიკოსმა გვიჩვენა. მისი აზრით, „ძნელი დასაყრებელია აგესისტრატოსზე მონათხრობი, თითქოს კატაპულტები და პალინტონები 620—710 მ-ის სიშორეზე ისროდნენ“ (Athen, 8). წერილობითი წყაროების უკრიტიკოდ გამოყენების შედეგი უნდა იყოს ა. სტროკოვის აზრი, რომ თითქოს ქვისსატყორცნი და ისარსატყორცნი მანქანები ისროდნენ 500—1000 მეტრამდე²⁶. მოდებების გამოცდის შედეგად მიღებულია, რომ მათი სროლის სიშორე არ აღემატებოდა 300—350 მეტრს²⁷. ვეგეციუსის თქმით: „სიმაღლიდან გასროლი-

²⁴ A. B. Болдырев, Я. М. Боровский. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 311, სურ. 110, E. W. Marsden, *Greek and Roman Artillery*, გვ. 116—126.

²⁵ В. Д. Блаватский. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 56, 58. W. Tarns. *Hellenistic Military and Naval Developments*, VI, V. 1966. გვ. 71. Г. Дельбрюк. *История военного искусства*. т. I. М. 1936, გვ. 209. т. II, გვ. 153.

²⁶ А. Строков. *История военного искусства*, т. I, М., 1955 გვ. 62; ასევე აზრი კატაპულტის კოეფიციენტის ნაშრომი—Е. А. Разин, И. Е. Крупченко, П. О. Сидельников. *История военного искусства*, т. I, М., 1956, გვ. 43. ატორების აზრით კატაპულტა 0,5 ტონის (I) სიძიმის ჰერკვებს ტყორცნიდა 500 მეტრამდე, პალისტა 800—1000 მეტრამდე, ოსტრა კი 2 კვ. ქვებს 300 მეტრზე. ეს რიცხვებიც აშკარად გადაჭარბებული უნდა იყოს. ვე. დ. E. W. Marsden, გვ. 86 და შედ.

²⁷ Г. Дильс, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 91, 92; А. Болдырев, Я. Боровский, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 283; Whitehorn, *დასახ. ნაშრომი*; В. Блаватский, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 55, E. W. Marsden, *დასახ. ნაშრომი*.

ლი ქურვები უფრო დიდი ძალით ეცემიან ქვემოთ მყოფთ. ისინი იმდენად უფრო შორს ვარდებიან, რამდენადაც უფრო მაღლაა ის ადგილი, საიდანაც ისერიანო“ (Veg., IV, 29). ეს გარემოება კარგად იცოდნენ ვანის დამცველებმაც. „არსენალი“ ხომ ახველდიანების გორას, აკროპოლისის ზედა ნაწილში იყო განლაგებული.

ძვ. წ. II ს აღრეული ქვის ქურვები კოლხეთში აღმოჩენილი არ არის და ამის გამო ძნელი ვადასაწყვეტია თუ რა დროიდან ვრცელდება აქ ფლავიანების²⁸. საერთოდ კი მიღებულია, რომ ფლავიანის ტიპის ქვის სატყორცნი იარაღები გამოგონებული იქნა ძვ. წ. IV ს ქალაქ სირაკუზში, დიონისიოს უფროსის მმართველობის დროს²⁹. ძველი აღმოსავლეთისათვის ეს იარაღი არ იყო ცნობილი³⁰. როგორც ჩანს აქაც ისინი ელინისტურ ხანაში გავრცელდნენ.

ვანის ნაქალაქრზე ძვ. წ. IV—I სს ფენებში გვხვდება 4—6 სმ დიამეტრის მრგვალი რიყის ქვები სპეციფიკური პრიალა ზედაპირით, რომლებსაც შურდულებით ტყორცნიდნენ. საშურდულე ქვები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდებოდა კარიბჭის კომპლექსის გათხრისას. როგორც ჩანს, ქვები მტრის მიერ იყო ნატყორცნი. ჩვენი დაკვირვებით ისინი რიონის პირზე უნდა იყოს შეგროვებული.

რამდენიმე ათეული მრგვალი კენჭი, დიამეტრით 5 სმ-მდე, აღმოჩნდა ძვ. წ. III ს. დათარიღებულ № 3 მეომრის სამარხთან გამოვლენილ საკრემაციო მოედანზე ბრინჯაოს საჯავშნე ფირფიტებთან ერთად (სურ. 135ა)³¹. ამ ხანის სამარხებში საშურდულე ქვების აღმოჩენის ფაქტები ცნობილია ანტიკურ სამყაროს სხვა პუნქტებიდანაც³².

²⁸ ქვის ერთი ქურვი აღმოჩნდა არქვეთში მიკლველ ანტიკური ხანის ნამოსახლარზე, შვებამ მისი ზუსტი თარიღი არ არის გარკვეული. არქეოლოგი რ. აბრამიშვილი ამ ქურვიზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ აქ ქალაქის ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო იხ. რ. აბრამიშვილი, ითხვისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის შეშაობის შედეგები. XII სამეცნიერო სესია მიმდინილი 1963 წ. არქეოლოგიური კვლევათების შედეგებისადმი. თბილისი, 1964, გვ. 34.

²⁹ E. W. Marsden. დასახ. ნაშრომი, გვ. 65. I. Whithorn, დასახ. ნაშრომი, გვ. 50. Г. Дильс, Античная техника, გვ. 87.

³⁰ ჩვენთვის არ არის ცნობილი რა მონაცემებს ეყრდნობა ს. ესაიანი, როდესაც აღნიშნავდა, რომ ურარტუში კატაპულტები ასურეთიდან გავრცელდა (!) იხ. С. А. Есаиан, Оружие и военное дело древней Ассирии. Ереван, 1966, გვ. 115, 118. არც ასურეთში, არც ეგვიპტეში, ხეთების სამეფოში და ურარტუში ამ ტიპის იარაღი არ იყო ცნობილი. მხოლოდ ლ. ველის ჰქონდა გამოთქმული მოსაზრება რომ ურში, ელ-ობეიდის ტაძარში (ძვ. წ. II ათასწლეული) აღმოჩენილი გამოშვარი თიხის ბირთვები შესაძლოა თავისებური კატაპულტების ქურვებს წარმოადგენდნენო. იხ. Leonard Wooley, Excavations at Ur. London, 1955, გვ. 107. Л. Вуллн, Ур Халдеев. М. 1931, გვ. 113. ქვის ქურვები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოში, ორივე შემთხვევაში ქვის ქურვებს მტრის სახედრო მოქმედებას უკავშირებენ. დ. ხაბუთაიშვილი, ივერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბილისი, 1966, გვ. 65; პ. ზაქარაია. ნაქალაქარ ურბნისის ზეოთმოდგერება. თბილისი 1965, გვ. 57; ტაბ. XVIII სურ. 2. ა. გაგოშიძის ცნობით, ერთი 19 სმ დიამეტრის მქონე ქურვი აღმოჩნდა სამადლოს ელინისტური ხანის ნამოსახლარზე.

³¹ ნ. ბოშტარია, არქეოლოგიური გათხრები ვანში, მიმოიხილველი, 1, თბ., 1949, გვ. 308. მისივე, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 236.

³² Н. И. Соколовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

რამდენიმე საშურდულე ქვა აღმოჩნდა ანაკოფიის ციხესიმაგრის თხრისას, ელინისტური ხანის ფენაში³³. როგორც ცნობილია, ადვილად ხელმისაწვდომი ეს უძველესი იარაღი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ანტიკურ სამყაროში³⁴. შერადული თავისი მნიშვნელობა არც შუა საუკუნეების საქართველოში დაუკარგავს³⁵.

1966 წელს ვანში კარიბჭის კომპლექსიდან 100 მ-ის სამხრეთით, გზის ნარჩვენი მხარეს (ნაკვეთი 121), ნაქალაქარის II ტერასის ძირში აღმოჩნდა ალიზის ჩამონგრეული კედლის ნაშთი. ერთმანეთზე მიჯრილ ალიზის ბლოკებს ცეცხლის ძლიერი მოქმედების კვალი ეტყობოდათ. ალიზის ქვეშ კრამიტის ნატეხები იყო. ერთ-ერთ ალიზში 15 სმ. სიღრმეზე შერკობილი იყო რკინის მასიური ისარი (სურ. 136გ), რომელიც უქველად მტრის კატაპულტით იყო ნატყორცნი³⁶. ისრის სიგრძეა 62 სმ. განივკვეთში მრგვალია, დიამ. — 1,8 სმ. შედგება მკვეთრად გამოყოფილი სამი ნაწილისაგან: 1. ქუსლაპოლადრული ყუნწი, 2. სტაბილიზატორი — ფრთები; 3. ისრისპირი. 4,5 სმ სიგრძის ყუნწი ბოლოში შედარებით ფართოა, განივკვეთში მრგვალია, 1,5 სმ. დიამეტრისა. ქუსლი ნახევარდმთვარისებურად (ნახევარწრედ) აქვს ამოღარული ლარზე მისაღებად. მისი d — 1,5 სმ-ია, რაც ლარის სისქეს უნდა შეესაბამებოდეს. ყუნწის შემდეგ სამი მმ-ის სისქის სამკუთხედის ფორმის (ჭრილში) ფრთები — სტაბილიზატორებია. ისინი ისრის ტანთან ერთად არიან გამოქედილი. ფრთების სიგრძე 6 სმ-ია, სიგანე 2,7 სმ. ისრის ტანი განივკვეთში მრგვალია. ნაქედი ისრის პირი 2 სმ სიგრძისაა, ოთხწახნაგა, მკვეთრად გამოყოფილია ისრის ტანისაგან; წვერისკენ მკვეთრად ვიწროვდება, განივკვეთში 1 სმ სისქისაა. წვერი მოტეხილი აქვს, როგორც ჩანს დარტყმის დროს.

³³ М. МТрапш, Археологические раскопки в Анакопии. აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXX, გვ. 136. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სვანურ კოშკებს ცეცხლსაროლი იარაღის გავრცელებამდე საბრძოლო სართულში უკეთდებოდა ქვემოდან ღია ყუთის ფორმის ჩარდახები. აქედან ქვებს ესროდნენ მტერს. ს. შაკალათია. საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში. თბილისი, 1945, გვ. 21.

³⁴ X. 1610 და შედ. А. И. Мелюкова. Вооруженные скифов. САИ. Д—4., 1964; ვ. Б. Н. Граков, Каменское городище на Днепре МИА. 36. М., 1954, გვ. 69; ე. ილინსკაია ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ შერდულთა მნიშვნელობა სკიფურ. შეიარაღებაში სათანადოდ არაა შეუახებელი.) იგივე შეიძლება ითქვას კოლხელებზე. В. А. Ильинская, Скифы днепровского лесостепного левобережья. Киев, 1968. 59.

³⁵ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, მასალები ქართველი ერის კულტურის ისტორიისათვის 111—IV, გვ. 243, ტბ. 6, 212, სურ. 1, 2, კ. ჩოლოყაშვილი, შერდული, ყურნ. აქვინერება და ტქნეია № 1, 1958, გვ. 37—38. ვეჯა-ფშაველას ამასთან დაკავშირებით აქვს ერთი სანტიტრესო დაკვირვება. ის აღნიშნავდა, რომ „სახალხო პოეზიაში ჩვენ ქვის სროლას ვერსად ვერა ვხვდებით, თუმცა რუსთველსაც კი აქვს თავის უკვდავ პოემაში ამის შესახებ ცნობა. ვგონებ ტაროელს პირით ამბობს „ქეთოც დაღუფენ წვივებო“. ვეჯა-ფშაველას ამ ცნობას კომენტარს და აღნიშნავს: „რუსთაველი, უნდა ვივლით სხვით, ქვის სროლას და მისი საშუალებით მტრისათვის წველების დაღუფას, ქვის მტყორცნული მანქანით ხელისხმობს და არა ხელით“. იხ. ვეჯა-ფშაველა. ძველებური ომი და სამომარი იარაღი სახ. ლ. პოეზიაში, თხზულებათა სრული კრებული. ტ. IX თბილისი. 1964, გვ. 371.

³⁶ ამ სახის იარაღების ტექნიკურ-ტაქტიკური დანახათება იხ. Дильс, დასახ. ნაშრომში, გვ. 94 E. W. Marsden, დასახ. ნაშრომში, გვ. 54—58, სურ. 1621. ვ. შრამის მონაცემებს ეყრდნობან ბოლდარევი და ბორცესკი, დასახ. ნაშრომში, გვ. 237—288, სურ. 104; E. Whitehorn, დასახ. ნაშრომში, გვ. 58—59, სურ. 8—10.

ა. კირპიჩნიკოვის ცნობით, რკინის ანალოგიური ისრისპირები შუა საუკუნეებშიც იყო გავრცელებული, რამდენიმე უპასპორტო ცალი მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში ინახება. როგორც აღნიშნულია, კატაპულტების ისრების სიგრძე არ იყო სტანდარტული. იგი მერყეობდა 44 სმ-დან 185 სმ-მდე. ყველაზე გავრცელებული იყო 66 სმ სიგრძის ისრები³⁷.

ვანში აღმოჩენილი ამ იარაღის საბრძოლო-ტექნიკური მაჩვენებელი ძალზე მაღალი უნდა ყოფილიყო; ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი ევტიტონი ისრის ტყორცინი და 370 მ-ზე და ატანდა 3 სმ სისქის რკინით მოჭრილ ფარში. ვანური მასიური რკინის ისარი ეფექტური უნდა ყოფილიყო ალიზისა და ხის მსუბუქი კონსტრუქციების დასანგრევად. იგი ეკუთვნის მძიმე ისარტყორცნელების კატეგორიას, რომლის ანალოგიები საქართველოში არ მოგვეპოვება.

1959 წელს ვანში, ნაქალაქარის 219 ნაკვეთში გავლებული თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე (ნ. ხოშტარას მიხედვით), გვიანელინისტური ხანის ფენაში, აღმოჩნდა ორი უჩვეულო სიდიდის ისრისპირი (სურ. 136გ), რომლებიც საველე დაჯთარში გატარებულია როგორც შუბისპირები (№ 3—59/112). ერთი მათგანის სიგრძე 14 სმ-ია, მეორესი—15 სმ. ორივე მასრიანი და უქულო მასრების დიამეტრი 1,5 სმ-ია. პირს ალის ფორმა აქვს, მაქსიმალური სიგანე 1,6 სმ. შუბისა და ბელშუბისათვის პატარა ზონისაა, ამავე დროს, ანტიკური ხანის ისრისპირებთან შედარებით უჩვეულოა დიდი. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ ტყორცინდენ გასტრაფეტის ანუ ე. წ. დაზვის მშვილდ-ისრის მსგავსი, სპეციალური მოწყობილობით³⁸. იმავე თხრილში გამოვლენილ ქვაყრილში, რომელიც თანამხლები მასალით ძვ. წ. II—I სს. არის დათარიღებული, აღმოჩნდა რკინის ხელშუბისპირი (№ 3—59/155). მისი სიგრძე 18 სმ-ია. მასრისა—12 სანტიმეტრამდე. ხელშუბისპირს ბოლო შედარებით ფართო აქვს, —1,6 სმ, პირთან კი (სურ. 136ი) ვიწროვდება 1 სმ-მდე; აქ აღმოჩენილი იარაღი, როგორც ჩანს, ქალაქში ძვ. წ. I ს. მიმდინარე ბრძოლებს უკავშირდება³⁹.

ასეთივე წარმომავლობისაა კარიბჭის წინ კრამიტყრილსა და ნახანძრალ ფენაში აღმოჩენილი მეტად თავისებური იარაღის (სურ 136გგ) პირის ნატეხი, რომელიც შესაძლოა რომაული პილუმის მსგავს სატყორცნ იარაღს და-

³⁷ А. Болдырев, Я. Боровский. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 203.

³⁸ მათი აღწერა იხ. Г. Дильс. *Античная техника*, გვ. 88—90; А. В. Болдырев, Я. М. Боровский. *Техника военного дела*, 279—281. E. W. Marsden. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 55. I. N. Whitehorn. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 60. სურ. 14.

³⁹ ამავე თხრილში, ალიზის კედლის ნაშალში, აღმოჩენილა კონუსური ფორმის იარაღის პირები, რომლებიც „მუყირა-ლაბაშა“-დ განსაზღვრეს. Н. В. Хоцтарня. *Археологические раскопки в Вані в 1959 году. Научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований ГССР 1959 года. Тбилиси, 1960, стр. 49.* აქ მუყირას ქვეშ სხვა არაფერი არ ვაგვლისწამთ თუ არა შუბის სათხარაი, რომელსაც ბერძნულად *σφαυραჭή* ან კიდევ ბერძნულად *ὑψιχό* უწოდებდნენ. მათ დამოუკიდებელი იარაღის ფუნქციები არ ჰქონდათ, მაგრამ თუ შუბის პირი ვადუტყვებოდათ, მაშინ ამ სათხარათაუ შეიძლებოდა ბრძოლას გაგრძელება. ასეთივე სათხარებთან ევაქვს საქვე სოხუმის მთაზე აღმოჩენილ ე. წ. №9 სანარხელ კოპლექსში. ამ კომპლექსში სამ შუბისპირთან ერთად სამი „მუყირაა“ (იხ. აღ. კალნაძე, სოხუმის მთის გათხრები, სოხუმი, 1959, გვ. 30, 34, ტაბ. IX, 1C—12) აღმოჩენილი. როგორც ჩანს, კოლხურ შუბისპირებზე რკინის სათხარები უკეთებოდა, ეს იცავდა შუბის ტარს დასკოვანისაგან და ამავე დროს საყრდენ საშუალებასაც წარმოადგენდა.

ვეჯეშირით⁴⁰. ესაა რკინის ღერო, რომელიც პირამიდული პირით ბოლოვდება. მისი შეჩენილი სიგრძე 32 სმ-ია, განივკვეთის $d=7$ მმ-ს, პირის სიგრძე 4,5 სმ. წვერი, რომლის სიგრძე 4 სმ უნდა ყოფილიყო, მოტეხილია, რელიეფურად გამოქედილი პირამიდალური პირი ქრილში ოთხკუთხაა, დასაწყისში მისი სისქე 1 სმ-ია, წვერისაკენ კი ვიწროვდება 0,5 სმ. ღეროს უნდა აკლდეს მასრიანი ბოლო ნაწილი; დაფარულია ძლიერ კოროზირებული, ცეცხლის მოქმედების გამო ალაგ-ალაგ დამსკდარი ქერქით; აღნიშნული კრამიტყრილი და დამწვარი, ნახშირნარევი ფენა დაკავშირებულია ქალაქის ნგრევასთან, ძვ. წ. 1 ს.

ვანში 1969 წ. სულ რამდენიმე ისრისპირი იყო აღმოჩენილი. ძნელია ეს გარემოება მხოლოდ ნაქალაქარის არასაკმარისი შესწავლით აიხსნას. მართალია, ბოლო წლებში იმატა მათ რიცხვმა, მაგრამ სხვა პუნქტებისაგან განსხვავებით ისრისპირები არ გვხვდება აქ დიდი რაოდენობით. როგორც ჩანს, ანტიკური ხანის კოლხეთში მშვილდ-ისარი მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებით არ იყო ისე ფართოდ გავრცელებული⁴¹.

მაგალითად ბრილოს სამაროვანზე ისრისპირები კანტიკუნტად იჩენს თავს, ისიც მხოლოდ ძვ. წ. VI—V სს სოკიერო სამარში⁴², არ გვხვდება ისრისპირები გუად-იხუს, სოხუმის მთის, წითელი შუქურის სამაროვნებზე⁴³, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის საშუალო ფენების წარმომადგენლებს უკავშირებენ.

ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები აღმოჩნდა ითხვისში (ძვ. წ. V ს)⁴⁴ და ვანში (ძვ. წ. IV ს)⁴⁵ გათხრილ წარჩინებული მეომრის სამარხებში. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მშვილდ-ისარი კოლხეთში პრივილეგირებული წრეების იარაღად მივიჩნიოთ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ისრისპირები საკმარის იშვიათია როგორც წინა ანტიკური, ასევე გვიანანტიკური ხანის კოლხეთის ნივთიერი კულტურის ძეგლებში⁴⁶. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ არც პეროლოტე და არც ქსენოფონტე კოლხთა და სხვა დასავლურ ქართველ ტომთა შეიარაღების აღწერისას მშვილდ-ისარს არ იხსენიებენ

⁴⁰ პილუმის შესახებ იხ. DAGR, IV, I, გვ. 481 და შემდეგი; M. Ebert. RE, X, „Pilum“; В. Д. Блаватский. История военного дела... 125.

⁴¹ А. М. Хазанов. Сложные луки европейских степей и Ирана в скифо-сарматскую эпоху. Сб. Материальная культура народов Средней Азии и Казахстана. М., 1966, № 5. Очерки военного дела сарматов. М. 1971, гв. 28, 29... А. И. Мелюкова. Вооружение скифов. САИ Д1—4. М. 1954; К. Ф. Смирнов, Вооружение сарматов. МИА. 101, М. 1961 гв. 31 და შემდეგ.

⁴² საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, 1959, გვ. 193, 194.

⁴³ М. М. Трапш. Труды. 2. Сухуми, 1939, აღ. კალანდაძე. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1956, გვ. 24—25.

⁴⁴ ი. გაგოშიძე. ითხვისის სამარხი. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. XXV—B, თბილისი, 1968, გვ. 35, ტაბ. 1, 4, 5.

⁴⁵ ვანი, I, თბილისი, 1972, გვ. 203, 211, სურ. 175.

⁴⁶ М. М. Ивашенко. Материалы к изучению культуры колхов. Мასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1941, გვ. 2. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 132, 150. რ. ფუტერძე. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 76.

ენის ნაქალაქარზე 1947—1969 წწ. აღმოჩენილია ანტიკური ხანის 20-მდე ისრისპირი. მათი უმეტესობა ცულად არის შემონახული. მიუხედავად ამისა ხერხდება ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირების რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა⁴⁷.

პირველ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ბრინჯაოს სამწახნაგა, მცირე-მასრიანი წვერგამახული ბრინჯაოს ისრისპირები. პირველად ასეთი ისრისპირი აღმოჩნდა ჯერ კიდევ 1947 წელს ახვლედიანების გორის თავზე გავლებული I თხრილის ქვედა კულტურულ ფენაში. (3—47/229). 1963 წელს ორი ასეთი ისრისპირი აღმოჩნდა ნაქალაქარის ქვედა, ძვ. წ. V—IV სს დათარიღებულ კულტურულ ფენაში (3—63/260). ისრისპირების სიგრძე 2,5 სმ—3 სმ შორის მერყეობს. მასრის სიგრძე 6 მმ (სურ. 136₁), ხოლო დიამეტრი საკმაოდ მცირეა, 3—4 მმ. როგორც ჩანს, მიზანში მოხვედრისას ისარი ტყდებოდა და ისრისპირი უკრილობაში ჩრებოდა. ეს კი ცნობილია, ძალიან სწრაფად იწვევდა სისხლის მოწამელას. ზუსტად ამ ტიპისა ითხვისში ძვ. წ. V ს. სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრისპირები, რომლებიც კოლხეთისთვის ესოდენ დამახასიათებლად მიაჩნია ი. გავოშიძეს⁴⁸. სპეციალისტები ამ ტიპის ისრისპირებს „pyramidal—პირამიდისებურებს“ უწოდებენ. ისინი დადასტურებულია როგორც ბერძნულ სამყაროში (ძვ. წ. V—IV სს), ასევე სკვითურ-სარმატულ ძეგლებში. საბერძნეთში მათ გავრცელებას სპარსეთთან ომს უკავშირებენ⁴⁹.

ასეთივე, ოღონდ უფრო მოზრდილი ისრისპირი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე, ძვ. წ. VI ს. დათარიღებული ორმოსამარხ № 293-ში⁵⁰.

სტრატეგრაფიული მონაცემებითა და ანალოგიებით ვანური ბრინჯაოს სამწახნაგა, მასრიანი ისრისპირები ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება.

II ჯგუფში შედის რკინის სამფრთიანი, ლერაკიანი ისრისპირები 3—57/553; 3—57/659 (სურ. 136₁₁, 2). მათი ზომებია: სიგრძე 4 სმ, ფრთებს შორის მანძილი 1,2 სმ, ყუნწის სიგრძე 1—1,5 სმ.

ანალოგიებს საერომატ-სარმატულ სამყაროში მიეყვართ. მსგავსი ტიპის ისრისპირები აღმოჩენილია სამხრეთ ურალისპირეთში ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხში. ისრისპირების ეს სახეობა ფართოდ ვრცელ-

47 სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „ისარი“ — ზოგადი სახელი „არს ყოველთა ისართაჲ“. ზომებისა და დანიშნულების მიხედვით იგი 12 სახეობას ჩამოთვლის. შვილდისრების შესახებ იხ. Д. Н. Анушкин. Лук и стрелы. Археолого-этнографический очерк. (отдельный оттиск) М. 1887. G. Rausing. Same notes on Its and Development. London, 1967. Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды. I. Тбилиси, 1950, გვ. 34, 35. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველ ერის კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ. 1962, გვ. 244.

48 ი. გავოშიძე. ითხვისის სამარხი, გვ. 85, უაბ. 1.4. მსგავსი ისრისპირი ცნობილია ქუთაისიდან. იხ. Коллекция Кавказского музея. т. V (археология). Тифлис, 1902, № 2492.

49 Anthony Snodgrass. Early Greek Armour and Weapons. Edinburgh, 1964, გვ. 153, 154, სურ. 10. D. M. Rainsford. Excavation at Olynthus, x, 1941, стр. 405. ტაბო G III, V. П. Д. Либеров. Памятники скифского времени на среднем Дону. САИ, д. 1—32. М., 1965, წახ. 2, 184. К. Ф. Смирнов. Вооружение скифов. МИА, 101, М., 1961, სურ. 16, 62.

50 რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. სახ. მეზემის მოამბე. ტ. XXII—B, 1964, ტაბ. XV III, 1.

ღება ძვ. წ. II ს. დასაწყისიდან⁵¹. ლერაკიანი სამფრთიანი ისრების ტრადიცია დასავლეთ საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში (ირანსა და სირიაში, სარმატებსა და შუა აზიაში და სხვ.), გვიანანტიკურ ხანამდე შემორჩენილა. მაგალითად. კლდეეთში ძვ. წ. II ს. დათარიღებულ სამარხში აღმოჩნდა ოცამდე ასეთი ისრისპირი⁵². მაგრამ ვანურებისაგან განსხვავებით, ისინი ორჯერ უფრო დიდები და მასიურები.

მესამე ჯგუფის ისრისპირები ორი ცალით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი (3—57/205) ნაპოვნი იქნა ახვლედიანების გორის თავზე ძვ. წ. I ს. დანჯრულ ნაგებობასთან. ისრისპირი გრძელლერაკიანია, პირი ფოთლისებური მოყვანილობისა აქვს, შუაში დაუყვება ქელი, სიგრძე 7 სმ-ია, აქედან ღერაკს თითქმის 4.5 სმ უჭირავს (სურ. 136₁₁, 4). მეორე ისრისპირი (3—57/217) გრძელლერაკიანია, ფოთლისებური ბრტყელი ქელიანი პირით. წვერი თითქოს მოტეხილი უნდა ჰქონდეს, რადგან ძალიან მომრგვალებული ჩლუნგი ბოლო აქვს. მისი სიგრძე 6,5 სმ-ია (სურ. 136₁₁, 5). სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბრტყელლერაკიან ისრისპირებს არ ხმარობდნენ არც სკეითები და არც სარმატები. ისინი უფრო წინა აზიისთვისაა დამახასიათებელი⁵³.

მსგავს ფორმებს ვპოულობთ გვიანელინისტური ხანის ბერძნულ და რომაულ ისრისპირებშიც⁵⁴. ასეთი ისრისპირები აღმოჩენილია სომხეთში (გარნი) ახ. წ. I—II სს. სამარხებსა და კულტურულ ფენებში⁵⁵. ჩვენში აღმოჩენილი ისრისპირებიდან ვანურთან ახლოს დგას ძევისა (ახ. წ. II ს)⁵⁶ და სარგვეშის (ახ. წ. III ს)⁵⁷ ისრისპირები.

ჩინის ისრისპირების IV ჯგუფი თავისებურია. ესაა 5—6 სმ სიგრძისა და 1 სმ სიგანის პირამიდალურწვერიანი, კარგად გამოქედილი დაბალმასრიანი ისრისპირი (სურ. 136₁₁, 3). ვანში აღმოჩენილია სულ სამი ასეთი ნივთი. აღწერილი ცალი აღმოჩნდა ნაქალაქარზე, ნაგებობა II-სთან ნახშიროვან ფენაში (3—57/80), ხოლო მესამე აღმოჩნდა 1968 წლის გათხრების დროს, კარიბჭის კომპლექსთან, წრიული კოშკის ნანგრევების გაწმენდისას. ეს ისრისპირები ვანში ძვ. წ. I ს. მიმდინარე სამხედრო მოქმედებას უკავშირდება.

სატყორცნ-საძვერებელი იარაღი ვანის ნაქალაქარზე ხელშუბებით და შუბებით არის წარმოდგენილი. მათ რაოდენობის მხრივ წამყვანი ადგილი უჭირავთ⁵⁸. (ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან გამოყოფა ხშირ შემთხვევაში ჭირს, რადგან ვანის ნაქალაქარზე ჯერჯერობით არ აღმოჩენილა დიდი ზომის მკვეთრად გამოხატული საძვერებელი შუბისპირები).

⁵¹ К. Ф. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 140, სურ. 38, 7; А. М. Хазанов. Очерки военного дела сарматов, გვ. 36, ტაბ. XXI.

⁵² გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, 1957, გვ. 124, სურ. 30.

⁵³ К. Ф. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

⁵⁴ British Museum. A Guide to the exhibition illustrating Greek and Roman Iff, London, 1928, სურ. 86, გვ. 100.

⁵⁵ Б. Н. Аракелян. Гарни. II. Ереван, 1957, გვ. 48, სურ. 13.

⁵⁶ რ. ფუტურაძე, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურა ძეგლები, გვ. 77.

⁵⁷ G. Tshubinashvili. Der Fund von Sargveshi. Известия Кавказского Историко-археологического института в Тифлисе, Тифлис, 1925, გვ. 85, ტაბ. 1.

⁵⁸ ან სხვას იარაღს აღწერა იხ. М. Ebert. Reallexikon, VII S. V. „Lanze“; DAGR, X. სიტყვა „Hasta“.

ექვის ხელშეშისა და შუბისპირი აღმოჩნდა ვანში 1947 წ. გათხრილ ე. წ. № 2 სამარხში, რომელიც ძვ. წ. III ს. არის დათარიღებული⁵⁹ (სურ. 137, 4). ხელშეშისპირები წაგრძელებულ დიდ ისარს მოგვაგონებენ. მათ აქვთ სამკუთხედის მაგვარად გამოყოფილი წვერი, ჩამოშვებული ფრთები, ბოლოები წვეტიანია. მასრა გრძელია, კონუსური ფორმისა. ხელშეშების სიგრძე 30 სმ-ია, ფრთებს შორის მანძილი — 5 სმ. ამ ტიპის ხელშეშები, როგორც ჩანს, სკვითურ სამყაროში ჩნდება⁶⁰ ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში და ფართოდ ვრცელდება V—III სს. მათ სავრომატ-სარმატებთან ვხვდებით, მაგრამ შედარებით იშვიათად⁶¹. ისინი ცხენოსნის სპეციფიკურ ხელით: სატყორცნ ხელშეშებს წარმოადგენენ. ამგვარი ხელშეშისპირები აღმოჩნდა ყუბანის-პირეთის ძვ. წ. IV—III სს. გორასამარხებში⁶². კოლხეთში ისინი საკმაოდ ადრე გავრცელებულან. ორი ასეთი ხელშეშისპირი აღმოჩნდა სოხუმის მთის სამარხეულ კომპლექსებში, რომლებიც ძვ. წ. V—IV სს არის დათარიღებულნი⁶³. საინტერესოა, რომ ვანის აღნიშნულ ისრისმაგვარ ხელშეშისპირებთან ერთად აღმოჩნდა რკინის ბექთარის ნაწილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ დაკრძალული მეომარი მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსან წარმოადგენდა. ანალოგიური ისრისმაგვარი ხელშეშისპირები აღმოჩნდა დაბლაგომის ძვ. წ. IV—III სს. დათარიღებულ კრამიტსამარხში⁶⁴. ვანის № 2 სამარხში აღმოჩნდა ხელშეშისპირების სხვა ტიპიც (სურ. 137, 5). მათ ვიწრო განიკვეთში ოვალური, ფოთლისებური პირები და შედარებით მოკლე მასრები აქვთ. სიგრძე 31 სმ-ია, შესაძლოა აქ უნივერსალურ იარაღთან გვაქვს საქმე, რომლის გამოყენება შეიძლებოდა შუბად და ხელშეშადაც. ახლო ანალოგიებს ვპოულობთ სკვითური შუბების II ჯგუფის II ტიპის ზოგიერთ სახეობასთან⁶⁵. ძვ. წ. V—III სს. დათარიღებული მსგავსი შუბისპირები გვხვდება სოხუმის მთის სამარხეულ კომპლექსებშიც⁶⁶.

შედარებით მდარე ხელოსნურ ნაწარმთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ 1957 წელს შემთხვევით აღმოჩენილი ხელშეშისა თუ შუბისპირი (სურ. 137, 6). მისი სიგრძეა 22 სმ. პირსა და მასრას დაახლოებით ერთი სიგრძე აქვთ. პირი ვიწროა, შუა ნაწილში 2 სმ აღწევს, განიკვეთში ოვალურია, უქულო. მასრა კონუსურია, გახსნილი, d—1,5 სმ. თითქმის ასეთივე იარაღი აღმოჩნდა 1966 წელს (სურ. 137, 6). პირველისგან განსხვავებით ეს უკანასკნელი უფრო ოსტატურად არის გამოქვილილი, პროპორციები კი ერთნაირია. საყურადღებოა, რომ ეს ხელშეშისპირი აღმოჩნდა კარიბჭის კომპლექსთან, წრიული კოშკის

⁵⁹ ნ. ს. ბ. ტ. ა. რ. ა., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1947 წელს, გვ. 308 (სამარხეული ინვენტარი გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

⁶⁰ А. И. Мелюкова, Вооружение скифов СAI, Д 1—4. М., 1964, П. Ф. Либера, Памятники скифского времени на Среднем Дону, гв. 75, таб. 18, 10—27, 6.б; 2, 156; Б. Н. Граков, Скифы, М., 1971, гв. 92.

⁶¹ К. Ф. Смирнов, Вооружение савроматов, гв. 74; А. М. Хазанов, Очерки военного дела сарматов, гв. 50.

⁶² ОАК за 1909—1910 гг., гв. 156.

⁶³ ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 29, 33, ტაბ. VIII, 8, 22.

⁶⁴ გათხრილია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის დაბლაგომის რაზმის მიერ. ხელმძღვანელი ვ. თოლორდავა.

⁶⁵ А. И. Мелюкова, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 14, 10.

⁶⁶ ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VIII, 4—6.

ლოხა). აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების აზრით ამ ტიპის ცულების სამშობლო კავკასიაა⁷¹.

შესაძლოა ამ ტიპის ცულებს „მეთაურის კვერთხის“ დანიშნულება უქონდა, რადგან მეტაჯუ თავისებური ფორმა აქვთ.

თავდაცვითი იარაღიდან ვანში აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკინის საჯავშნე ფირფიტები, რომლებიც ბეჭთარს უნდა ეკუთვნოდნენ. (სულხა-საბა ორბელიანის მიხედვით „ბეჭთარი — მორკინული საცმელია, საომარი“) მსგავსი ფირფიტებისაგან შედგენილი თავდაცვითი საქცელო სპეციალურ მიტერატურაში კარგადაა ცნობილი და მათ ქერცლისებურს, კრამიტისებურს ან ბუმბულისებურ ბეჭთარს უწოდებენ⁷² (ფირფიტების მოყვანილობისა და განლაგების გამო). ასევე დამაგრებული იყვნენ ტყაყის ან სელის სქელ ქსოვილზე და სიმედოდ იყავდნენ სხეულს.

60 მთელი და დაზიანებული რკინის საჯავშნე ფირფიტა აღმოჩნდა 1962 წელს I უბნის 90—91 კვადრატების საზღვარზე, ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებულ შავი ფერის კულტურულ ფენაში (სურ. 139). ფირფიტების ზედა ნაწილი სწორია, ქვემო კი მომრგვალებული. ქსოვილებზე ან ერთმანეთთან დასაკავშირებლად ფირფიტებს ორი, იშვიათად ერთი ან სამი ნახევრეტი აქვთ. მათი ზომებია 2 ან 2,4 სმ×1,1 სმ (3—62/456). სისქე 1 მმ ცოტა მეტია.

1947 წელს გათხრილ მეომრის, № 2 სამარხში აღმოჩენილი ასამდე ფირფიტა (3—47/443) შეიძლება სამ ქვეყად გაიყოს: 1. სიგრძე 2,8 სმ, სიგანე 1,3 სმ; 2. სიგრძე 3,1 სმ, სიგანე 2 სმ; 3. სიგრძე 3,1 სმ, სიგანე 2,5 სმ. ყოველი ფირფიტის სისქე 1 სმ-ზე ცოტა მეტია. ფირფიტების უმრავლესობას 2—3 ნახევრეტი აქვს, იშვიათაა ოთხ-ექვსნახევრეტიანი ფირფიტები. ჩვენ არ შეგვიძლია აღვადგინოთ ენური ბეჭთარი. არ ვიცით მოკლე იყო ის თუ გრძელი, მოკლე თუ გრძელსახელოიანი. საერთოდ კი იგი ე. წ. „შედგენილი ჯავშნის“ ტიპს განეკუთვნება. ჩვეულებრივ, ბეჭთარს მოსახლეობის ზედა ფენების წარმომადგენლები, წარჩინებული მეომრები, ძირითადად ცხენოსანები, ატარებდნენ⁷³. ცნობილია, რომ ამ სახის ბეჭთარი ამიერკავკასიაში ასურეთიდან და ურარტუდან გავრცელდა⁷⁴. სკვითებში ფირფიტებიანი ბეჭთარი ძვ. წ. VII ს. ჩნდება. სკვითები, კი მკვლევართა აზრით, თავდაცვის ამ სახეობას აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს გაეცნენ; მართლაც, უძველესი ბეჭთარი (ძვ. წ. XVI ს.) ცნობილია ეგვიპტიდან, სწორედ აქედან გავრცელდა იგი ასურეთსა და ურარტუში⁷⁵. ძვ. წ. IX—VIII სს. ასე-

⁷¹ В. А. Іллінська. დასახლებული ნაშრომი, გვ. 52.

⁷² DAGR, III, გვ. 1304. s. v. „Lorica“. A. Demmin. Die Kriegswaffen. Berlin, 1891, გვ. 564.

⁷³ А. И. Мелюкова. Вооружение скифов, стр. 70; К. Ф. Смирнов. Вооружение савроматов, стр. 75; В. Д. Блаватский. Очерки воинского дела..., стр. 83. С. А. Есаян. Оружие и военное дело..., стр. 103. В. Черненко. Скифский доспех, Киев, 1968, стр. 54. А. М. Хазанов. დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

⁷⁴ М. Н. Погребнова. Вооружение и войско израильтян Центрального и Восточного Закавказья эпохи поздней бронзы и раннего железа. Автореферат кандидатской диссертации. М., 1935, стр. 15. С. А. Есаян. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

⁷⁵ Е. В. Черненко. Плетиры скифского часу. Археология, XVII, Киев, 1965, გვ. 74 მისვე, Скифский доспех. Киев, 1968, გვ. 131 და შუკ. А. М. Хазанов. დასახ. ნაშრომი, გვ. 53—54.

თი ჯავშანი შედარებით ფართოდ ვრცელდება სკვითებში ძვ. წ. IV—III სს.⁷⁶, მაგალითად, კამენსკოეს ნაქალაქარზე აღმოჩნდა საჯავშნე ფირფიტების ნახევარფაბრიკატები—გაუხვრეტელი საჯავშნე ფირფიტები⁷⁷ ძვ. წ. V—IV სს. როგორც ჩანს სკვითები ჯავშანს თავიანთ სახელოსნოში ამზადებდნენ. მსგავს ბეგთარს ატარებდნენ წარჩინებული საერთოებში, მეოტი, სინდი მეომრებიც⁷⁸. ჰეროდოტე გვამცნობს, რომ ფირფიტებისაგან შედგენილი ჯავშანი ჰქონდათ წარჩინებულ სპარსელებსაც (Herod., VII, 61)⁷⁹. ურარტული სამეფო საჯავშნე ფირფიტები (ძვ. წ. VIII ს.) წაგრძელებული ფორმისაა, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის. ბ. პიოტროვსკის აზრით, ისინი ასირიულების ანალოგის წარმოდგენენ⁸⁰. თუ ნახვრეტების განლაგებისა და ფირფიტების ფორმების მიხედვით ვიმსჯელებთ, ვიანური ბეგთარი განსხვავდება ურარტულ-ასირიულისაგან და უფრო სპარსულ-სკვითურ ფირფიტებთან ჯავშანს უხლოედება. საბერძნეთში ანალოგიური ბეგთარი ძვ. წ. VI ს. ჩნდება, მაგრამ ფართოდ არ გავრცელებულა⁸¹.

ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი ფლ. პეტრი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ტრადიციულად საბრძოლო იარაღს, თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებებს, უფრო დიდი ყურადღება ეთმობა, ვიდრე სამეურნეო იარაღს. ათასობით მწერალმა აღწერა პართენონი, მაგრამ ის სამუშაო იარაღები, რომლებიც აქ იყო გამოყენებული, არავის შეუსწავლიათ⁸². ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ის გარემოება ჩავთვალოთ, რომ ანტიკური ხანის სამეურნეო იარაღებს (რომაულს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) თითქმის არ მოუღწევიათ ჩვენამდე⁸³. ასეთ ეთარებაში ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და სხვა ნივთებს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ საერთოდ ანტიკური ხანის ნივთიერი კულტურის ისტორიისათვის.

ვანის ნაქალაქარის I საბინო თხრილში 1961 წ. ელინისტური ხანის მასალებთან ერთად აღმოჩნდა რკინის სახნისის მსგავსი იარაღი (სურ. 140ა, ა). კოროზიას იგი საგრძნობლად დაეზიანებინა; აკლია პირისა და მასრის ნაწილი. ამის გამო მის თავდაპირველ ზომაზე მსჯელობა ძნელია. შერჩენილი სიგრძე 12 სმ-ია, აქედან 6 სმ გვერდებგახსნილ მასრას უჭირავს. მასრის d—2,5 სმ. იმ ადგილას, სადაც მასრა უერთდება, ყველაზე ვიწრო ადგილია. აქ მისი სი-

⁷⁶ Е. В. Черненко. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 23—137.

⁷⁷ Б. Н. Граков. *Каменское городище на Днепре*, МИА. 36, М., 1954, გვ. 57, 170.

⁷⁸ К. Ф. Смирнов. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 75; В. Д. Блаватский. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 83;

⁷⁹ А. И. Мелюкова. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 73; Е. В. Черненко. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 138—139.

⁸⁰ Б. Б. Пиотровский. *Кармир блур*, III, Ереван, 1955, стр. 30—36; Б. Б. Пиотровский. *Ваяские шпесты*, М., 1959, стр. 167.

⁸¹ A. Snodgrass. *Early Greek armour and weapons*, Ed' 1964, გვ. 89. DAGR, IV, 25, 1376, სურ. 45 24, 4529, 4530.

⁸² Flinders Petrie. *History In Tools*. (From the Smithsonian Repols for, 1918). Washington, 1920, გვ. 563.

⁸³ W. L. Goodman. *The History of Woodworking Tools*, London, 1964, გვ. 10.

განე 6,5 სმ-ია. ვანურის მსგავსი „სახნისისებური“ რკინის სამიწათმოქმედო იარაღები ცნობილია შუაყუბანისპირეთიდანაც (ახ. წ. I—II სს). მათ ზოგჯერ მეოტურ თოხებსაც უწოდებენ⁸⁴. ეს თოხები ბევრად დიდი, კონსტრუქციულად და სისქით კი ერთნაირი. მეტად საყურადღებოა, რომ ვანურის მსგავსი იარაღი — ბრინჯაოს სახნისი — აღმოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, კონსტ გელიდონიასთან ძვ. წ. XII ს. ჩაძირულ გემში⁸⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ვანურა სახნისის მსგავსმა იარაღმა, გარკვეული ინტერესი გამოიწვია ქართულ ეთნოგრაფთა წრეში. ნ. რეხვიანივილის, გ. ჭალაბაძისა და ქ. სონღულაშვილის აზრით, იგი უცილობლად სასოფლო-სამეურნეო იარაღია, მაგრამ არა სახნისის ტიპისა; იგი უფრო ქარჩების ან შალთის ჯგუფისა უნდა იყოს, რომლებიც ფესვების ამოსაძირკევედ ან ბალ-ბალჩაში სამუშაოდ გამოიყენებოდა. ვ. ბლაკატსკის დაკვირვებით, რომელიც ძველ ავტორთა ცნობებს ეყრდნობა (ფეოფრასტი, კოლუმელა, პესიოდე), მეოტური ტიპის ქარჩებს იყენებდნენ ხენის შემდეგ დაჩენილი დიდი ბელტების დასაპტერევად, ბალ-ვენანში სამუშაოდ, ხოლო ხშირად იქ, სადაც სახნისი არ უდგებოდა, მიწას მთლიანად ასეთი ქარჩებით ამუშავებდნენ⁸⁶. საინტერესოა, რომ ეს ფაქტი საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც პოულოსს დადასტურებას⁸⁷.

ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „რკინის ფონდში“ დატულია ე. წ. ქარჩების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ ვანურ იარაღთან (კოლ. № 21—45/3; 27—32/36; 28—45/3; 21—48/3 და სხვა). ის ასევე უახლოვდება ხევის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დატულ „ბართოხას“, განსხვავება კვლავ ზომებშია⁸⁸. აღსანიშნავია, რომ ერთი ასეთი „ბართოხა“ აღმოჩენილია ლეჩხუმში, სოფელ ორბელში და

⁸⁴ М. В. Покровский и Г. Городища и могильники Северного Прикубанья. Труды Краснодарского педагогического института, т. VI, вып. I, 1937, стр. 8. В. Д. Блаватский и Земледелие в античных государствах Северного Причерноморья, М., 1953, стр. 108—109. ჩვენს ანალოგიურ თოხები, ძვ. წ. II—I სს. დათარიღებული, ცნობილია აღბაი-საინიდან (ე. წ. ტაშიკტაშის კულტურა). გამოქვეყნდა ვარაუდით, რომ სწორედ ამ ტიპის თოხებისგან განვითარდა აქ სახნისები: Л. Р. Кизласов, Таштыкская эпоха, М., 1960, гл. 180, сур. 62,3.

⁸⁵ G. Bass. The Cape Gelidonia wreck... AGA, 1965, №3 გვ. 275, ტაბ. 89, 28 პატარა ზომის სახისები, ოღონდ პირის განსაკუთრებული ფორმით დადასტურებულია საქართველოს ძვირფასო რაიონებში (სეანეთში, ხესურეთში) ის. საქართველოს სახ. მუზეუმის ვინ. ექსპოზიცია, სტენდი 13, ფონდი 20—34/2 ძვ. წ. IV ს. ავტორი ფეოფრასტე გვაპყნობს, რომ ზოგიერთ ადგილებში, ცუდა ღრმად ხენი (გელანპოპის სირიას) და ასევე პატარა ზომის სახნისებს ხარობენ (Feobr, VIII, 6, 3), პატარა ზომის სახნისები ცნობილია ურარტუშიც; Б. Б. Пиотровский, Вавское царство, гл. 140, с. 9.

⁸⁶ В. Д. Блаватский. დასახ. ნაშრომი, გვ. 108. მსგავსი კონსტრუქციის თოხები თუ სხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო იარაღები გავრცელებული ყოფილა ეგვიპტეში ჭერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქედან გავრცელდა ისინი ევროპაში (საბერძნეთში არ ჩანს), მსგავსი იარაღი აღმოჩენილია პომპეიონშიც. სპეცილისტების აზრით, ამ იარაღის ერთი ჯგუფი შესაძლოა სახნისებსაც წარმოადგენს, Flinders Petrie. Tools and weapons. London, 1917, გვ. 18—19, ტაბ. 19—20. საინტერესოა, რომ ანალოგიური ფორმის ნივთი აღმოჩენილია ოლენთში, მაგრამ განსაზღვრულია როგორც რკინის ნაჭახი (Axe Head). იხ. D. M. Robinson. Olynthos. ტ. X, 1941, გვ. 341, 342, № 1629.

⁸⁷ ს. შაკალათია. მთიულეთი, ტფილისი, 1930, გვ. 46.

⁸⁸ შეად. გ. ჭალაბაძე, მიწათმოქმედება თერგის ხეობაში, საქართველოს სახ. მუზეუმის შიამბე, ტ. XXII—B, თბ., 1961, გვ. 206.

I ათასწლეულის შუა წლებით არის დათარიღებული⁸⁹ (ამ უკანასკნელს, ვანერისაგან განსხვავებით, ტანი მკვეთრად აქვს მოხრილი და ამასთანავე თითქმის ორჯერ უფრო დიდია). ჩვენი იარაღი გარკვეულ მსგავსებას იჩენს ზოგჯერ საღურგლო ხელსაწყოთაგან, კერძოდ ენოსთან და განსაკუთრებით მეგრულ „ჩვექპლასთან“ (სსმ. კი 30—08/3). ის მათგან განსხვავდება მხოლოდ მასიურობით, პირის სასქითა და ვერტიკალური ტანით. ეს კი მას გამოუსადეგარს ხდის საღურგლო სამუშაოებისათვის. ნ. რეხვიაშვილის დაკვირვებით ამა თუ იმ საკნის სატარე ხერხის აგებულების ხასიათი დაკავშირებულია აზა მარტო ტარის მქიდრო, მყარ დაგებასთან, არამედ სიმძიმისა და წონასწორობის პრინციპთანაც იარაღის მოქმედების პროცესში⁹⁰. აქედან განომდინარე, ვანურ იარაღს 90° მოხრილი და არაპირდაპირი ტანი უნდა ჰქონოდა, ე. ი. მისი გამოყენება სახნისის პირად შეიძლებოდა. გარდა ამისა, სატარე განხილობის ასეთი სახე სწორედ სახნისებისთვის არის დამახასიათებელი. მართალია, ზუსტად ასეთი კონსტრუქცია ბართოხებსაც აქვთ, მაგრამ ვანურებთან შედარებით ისინი საგრძობლად უფრო მოზრდილია. ანალოგიური ფორმის თოხები გვხვდება ალტაი-საიანის ე. წ. „ტემიკ-ტამის“ კულტურაში და ძვ. წ. II—I სს არის დათარიღებული. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სწორედ ამ ტიპის თოხებისგან მომდევნო ხანაში აქ სახნისებიც განითარდა⁹¹.

ვანის ნაქალაქარზე დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ზომის ქვევრებისა და ე. წ. საღვანე კერამიკის ნატეხები, რაც უდავოდ მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგთან დაკავშირებული იარაღმოწყობილობები ნაქალაქარზე ჭერჯერობით სუსტად არის გამოვლენილი. შესაძლოა ვენახის სასხლავს წარმოადგენს (3—59/111) ნაქალაქარის 219 ნაკვეთზე გავლებულ თხრილში, ელინისტური ხანის მასალებს შორის აღმოჩენილი რკინის იარაღი⁹². მისი სიგრძეა 9 სმ, სიგანე 2,5 სმ. სატარე ყუნწი თუ მასრა მოტეხილი აქვს, აგრეთვე აკლია წვერიც. იგი დიდ მსგავსებას ამქლავებს ქერსონესში, პანტიკაპეიში, ზირმეკონში აღმოჩენილ ე. წ. „მევენახის“ დანებთან⁹³. ანალოგიური იარაღი აღმოჩენილია ელინისტური ხანის პრიენაში⁹⁴ და სხვაგან.

ანტიკური ხანის ვანის ეკონომიკის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძვ. წ. I ს. ფენაში ზეთსახდელი მოწყობილობის, ზეთის გამოსახდელი

⁸⁹ რ. აბრაშიშვილი. რკინის ათვისების საკითხებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—V სს.). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX—B, 1961, ტბ. VI, 2, 1.

⁹⁰ ნ. რეხვიაშვილი. ქართული სამეურნეო იარაღი, საქართველოს სახ. მუზეუმის ნომბე. ტ. XVIII—B, 1954, გვ. 93. აღნიშნული ეთნოგრაფიული იარაღის აღწერა. იხ. ნ. რეხვიაშვილი, მკვლელობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 58., სურ. 35 ა, ბ. 38 ა.

⁹¹ Л. Р. Кизласов. Таштыкская эпоха. М., 1960, гв. 180, სურ. 62,3.

⁹² Н. В. Хоштарна. Археологические раскопки в Врни в 1959 г. სამეცნიერო სესია, ბედნილი 1959 წლის საეკონომიკური კულტურის შედეგებისა და მოხსენებთა მოკლე შეჯამება, თბ. 1960, გვ. 49.

⁹³ В. Д. Блаватский. Золотодобывание в античных государствах, гв. 112, სურ. 41. В. Ф. Гайдукевич, Раскопки Мирмекия в 1953-1938 гг., МИА, 25, М., 1952, гв. 184, სურ. 21.

⁹⁴ Th. Weigand, H. Schrader. Priene, Berlin, 1904, гв. 391. ამ სახის იარაღების შესახებ იხ. F. Petrie, დასახ. ნაშრომი, გვ. 47, 48, ტბ. LVI, LVII.

წისკვილის (სურ. 141) აღმოჩენას⁹⁵. იგი დამზადებულია ადგილობრივი ქრისის ე. წ. ტრაქიტული ტუფის მონოლითისაგან (ამ ქრისის ქვისაგან იყო დამზადებული ფილაკავანთა ქურვეებიც), რაც მის ადგილობრივ წარმოშობაზე მეტყველებს. ამასთანავე ცხადია, რომ იგი დამზადებულია ბერძნულ-რომაული საზეთე წისკვილის ე. წ. „ტრაქეტუმის“ მიხედვით⁹⁶. ეთნოგრაფი ლ. მოლოდინი „ტრაქეტუმის“ ტიპის მოწყობილობად თელის მას⁹⁷. ვანური „ტრაქეტუმი“ შედგება ცილინდრული ფორმის 44 სმ სიმაღლისა და 70 სმ სიგანის ტანისაგან, რომლის შიდა ნაწილი გეჩისებურად არის ამოღებული; ცენტრში მონოლითისაგანვე გამოკვეთილია, კრილში მრგვალი, 15 სმ სიმაღლეზე აზიდული ცილინდრული სვეტი. სვეტის თავზე ამოკრილია 6,5 სმ ფოსო ხის კონსტრუქციის ჩასადგმელად. გეჩაში წრიულად მოძრაობდა 55 სმ დიამეტრის მქონე, ოვალურ-ზურგაიანი და სწორპირიანი ნახევარსფერული დოლაბი⁹⁸ თელიან, რომ ამ ტრაქეტას აკლდა მეორე დოლაბი და ღერძის მთელა სისტემა⁹⁹. ნახევარმთვარისებური დოლაბის დანიშნულება იყო მარეგულირებელი ღერძების მეშვეობით ზეთისხილისათვის მოეცილებინა კურკა¹⁰⁰. ამ უქანასკნელის დამტვერვის შემთხვევაში ხომ ზეთისხილის ხარისხი მკვეთრად ეცემოდა. მხოლოდ კურკის გამოცლის შემდეგ შეიძლებოდა ზეთისხილიდან ზეთუნის ზეთის გამოხდა. ვანურ ტრაქეტას გეჩის პირთან აქვს 6 სმ სიგრძის სადინარი, რადგან კურკის გამოცლისას ნაყოფი იწურებოდა და თანდათან გროვდებოდა ზეთის გარკვეული რაოდენობა.

ვანურის მსგავსი ტრაქეტა აღმოჩენილია ოლინთოში და ძვ. წ. IV ს. თარიღდება. დ. რობინსონი, რომელიც ღრახმანის სპეციალურ გამოკვლევას ეყრდნობოდა, აღნიშნავდა, რომ ზეთუნის ზეთის მიღების ორი პროცესი იყო; ჯერ ტრაქეტით გამოაცილდნენ კურკას ზეთისხილს და მერე სპეციალური საწნებებით ხდიდნენ ზეთს¹⁰¹. ვანის, ისევე როგორც ოლინთოს ზეთსახდელი

95 რ. ფუთურაძე. ვანის 1961 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის VI უბნის თხრის ანგარიში. საქართველოს სსრ, მიძღვნილი 1961 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა მკვლევარების, თბ., 1962, გვ. 31. ვანი, I, გვ. 132, სურ. 33.

96 სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთი ელინისტურ ხანაში არ იცნობდა ტრაქეტუმის მსგავს მოწყობილობებს. პალესტინაში აღმოჩენილი ტრაქეტუმები რომაელების შეტანილად ითვლებოდა. იხ. R. Forber. Studien in ancient technology, Leiden, 1954, გვ. 94.

97 ლ. მოლოდინი. ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963, გვ. 90. აქვე მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფია.

98 ამ წისკვილის განზომილებათა ანალიზმა საინტერესო სურათი მოგვცა. როგორც ჩანს, ოსტატი მისი კეთების დროს იყენებდა ე. წ. ატლურ-ეხებურ საზომ სისტემას, რომელშიც გოჯი (დაქტილი) უდრის 1,84 სმ, ხოლო წურთა (პეხუსი) 44,2 სმ.

99 ლ. მოლოდინი. დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

100 A. Neuberger, Die Technik des Altertums. Leipzig, 1920, გვ. 114; ლ. მოლოდინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86;

101 D. Robinson, Olynthus, VII, 1938, გვ. 337, სურ. 33. ღრახმანის შრომა: Drachman. Ancient oil Mills and Presses, 1932, გვ. 129—131.

ლ. მოლოდინი ფიქრობს, რომ იმის გამო, რომ ოლინთოს წისკვილის ქვებს თითქმის არ ჰქონდათ მანძილის მარეგულირებელი საშუალება, ამიტომ ის მარცვლელად საზეთე ნედლეულის დასამუშავებელი ხელსაწყო უნდა იყოს.

წინაქეილი კონსტრუქციულად ტროპეტუმის ტიპისაა (რობინსონის აზრითაც იგი ზეთისხილის პირველადი დამუშავებისათვის გამოიყენებოდა), აღნიშნული ტიპის მოწყობილობა ფართოდ იყო გავრცელებული რომაულ სამყაროში. მას ხშირად იხსენიებენ ძველ რომაელ ავტორთა შრომებშიც. მაგალითად კატონი მის ფასებსაც კი გვაძლევს — ერთ ტრაპეტას 400 სესტერცია სჭირდებოდა. ცალკე შეიძლებოდა დოლაბის ყიდვა, მისი ფასი 180 სესტერცია იყო (Cato, 22,34).

თუ ვაწვრივ ტრაპეტის დანიშნულება ჩვენ მიერ სწორად არის განსაზღვრული. მაშინ თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ძველ ვანში მევენახეობასთან ერთად ზეთისხილის პლანტაციების გაშენებასაც მისდევდნენ; რადგან კარგად არის ცნობილი, რომ მწიფე ზეთისხილი ტრანსპორტირებას სულ ვერ უძლებს და შემოტანილი ზეთისხილისგან ზეთი არ გამოიხდებოდა. იმპორტის საგანს მხოლოდ ზეთუნის დამარილებული ზეთისხილი და ზეთუნის ზეთი შეადგენდა. დამარილებული ზეთისხილისგან ზეთი არ გამოიხდებოდა. ზეთის გამოხდა ხდებოდა ადგილზე, იქ სადაც ზეთისხილი მოჰყავდათ. გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად ზეთისხილი სინოპეს ჩრდილოეთით აღარ ხარობდა. როგორც ჩანს. ამ მოსაზრებას დაზუსტება სჭირდება, ვით უმეტეს, რომ ჩვენ ვაჩაუდს წერილობითი წყაროებიც უჭერენ მხარს. მაგალითად, ბიკვინთის იადგარში (1525—1550 წწ) აღნიშნულია, რომ მამია დადიანმა ბიკვინთის ტაძარს სხვა მამულებთან ერთად შესწირა „აგრეთვე აფხაზეთის ბიკვინტას გარემო სოფელი აითარნე... აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი“¹⁰³. ვახუშტი ბატონიშვილი ოდიშის აღწერისას აღნიშნავს, რომ იქ ნარინჯ-თურინჯთან ერთად ზეთისხილიც მოჰყავდათ. გარდა ამისა, მისი მონაცემების მიხედვით, გურიის ზღვისპირა ზოლში ლიმონსა თუ ნარინჯ-თურინჯთან ერთად ზეთისხალიც ხარობდა¹⁰⁴. XVIII ს. ცნობილ გერმანელ მეცნიერს, გიულდენშტედტს ბალდალთან (დღ. მაიაკოვსკი) მსმობიარე ზეთისხილის (Olbaume mit früchlen) ხეები უნახავს. მან საგანგებოდ აღნიშნა: „ჩანს თურქებს უნდა დაერგოთ, რადგან მათ ახალციხეში ბევრი მოჰყავთ“¹⁰⁵. საინტერესო ცნობები მოეპოვება ზეთისხილის კულტივირებასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილს. თავის „ბუნების კარში“ იგი წერს: „აფხაზეთის დასავლეთ ნაწილში ამ წინაზედ ზეთისხილის ხეები ნახეს ველურ მდგომარეობაში, სოხუმის ბაღში გადაარგეს და მათ აქ ნაყოფის მოსხმა დაიწყეს“¹⁰⁶.

არ არის გამორიცხული, რომ ზეთისხილის კულტურა ჩვენში ბერძენმა მოახალშენებმა შემოიტანეს. ასეთ ვითარებაში მისი ტრადიციები მართლაც

¹⁰² ლ. მ. ლ. ო. დ. ი. ნ., დასა. ნაშ. გვ. 88.

¹⁰³ ი. დ. ო. დ. ე. ქართული სამართლის ძეგლები. II, თბილისი, 1965, გვ. 179.

¹⁰⁴ ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1973, გვ. 782, 793.

¹⁰⁵ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი, 1962, გვ. 163.

¹⁰⁶ ი. გ. ო. გ. ე. შ. ვ. ი. ო. თბულებანი. ტ. VI, თბ. 1958, გვ. 214.

არ უნდა ყოფილიყო მყარი და დროთა განმავლობაში ზეთისხილი გადაშენდა კიდეც¹⁰⁷.

ვანში მასობრივ არქეოლოგიურ მონაპოვართა რიცხვს შეიძლება რკინის ლურსმნებიც მივაკუთვნოთ. სხვადასხვა ზომის, მოყვანილობის და, შესაბამისად, დანიშნულების რკინის ნაჭედი ლურსმნები (სურ. 142) დიდი რაოდენობით გვხვდება ძვ. წ. IV—I სს ფენებში და როგორც წესი, ხის კონსტრუქციებთან არიან დაკავშირებულნი. ჩანს ლურსმნებს ფართოდ იყენებდნენ მშენებლობაში და მათი დამზადება ძირითადად ადგილობრივ საშუქედლო-სახელოსნოებში უნდა მომხდარიყო. როგორც გ. ინანიშვილის მიერ ჩატარებულმა ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზების შედეგებმა გვიჩვენა, ისინი დამზადებულია ე. წ. მარტივი, თავისუფალი ჰედვით. სპეციალური დანიშნულების ლურსმნები გამოქედლია ფოლადისაგან, ნახშირბადის სხვადასხვა შემცველობით. მასობრივი ჩვეულებრივი ლურსმნები კი სუფთა რკინისაგან ან მცირე ნახშირბადიანი ფოლადისაგან (0,1%—C). ჯერ კიდევ პლინიუსი მიუთითებდა, რომ ლურსმნის გამოსაქედად უმჯობესია რბილი რკინაო (Plin., A.H. 34, 14, 41).

ძვ. წ. II—I სს ფენებში, კარიბჭის კომპლექსთან და სხვ. აღმოჩენილია კრამიტის სამაგრი რკინის კაეები (სურ. 143, გ). ისინი დამზადებულია საშუალო სისალის ფოლადისაგან. ჰედვით არის გამოყვანილი გრძელი და შედარებით ვიწრო თორფიტა, რომლის ბოლო იხრება სათანადო კუთხით და თავისებურ კრამიტის დასაქერ კავს წარმოადგენს. თავში კი სამანქლეუ ნახვრეტი აქვს დატანებული. როგორც ვხედავთ, ძველი ვანის სახელოსნოებში მრავალნაირი საამშენებლო-სამეურნეო დანიშნულების იარაღი უმზადდებოდა.

საშუქედლო იარაღებიდან ვანში აღმოჩენილია რკინის დიდი მარწუხი (სურ. 144, გ), რომელიც ნაპოვნი იქნა ძვ. წ. I საუკუნეში დანგრეული ე. წ. „ყაზარმის“ ალიზის კედლის ნაშალში, კარიბჭესთან. მისი სიგრძე 58 სმ-ია, შედგება ერთმანეთთან მანქვლით დაკავშირებული ორი ნაწილისაგან. პირი გამოყვანილი, ბრტყელი ტუჩით ბოლოვდება, რასაც ფუნქციონალური დანიშნულება ჰქონდა — მას მყარად უნდა დაეჭირა გრდემლზე დასამუშავებელი საგანი. როგორც ფიქრობენ, ანტიკურ სამყაროში ამ ტიპის მარწუხები გაჩნდა დაახლოებით ძვ. წ. VI ს¹⁰⁸. ელინისტური ხანის ასეთი მარწუხები აღმოჩენილია პრიენაში, ოლბიაში, პომპეიში და ანტიკური სამყაროს სხვა ცენტრებში¹⁰⁹. მქედლის ეს სპეციფიკური იარაღი გავრცელებული იყო სკვითებშიც¹¹⁰.

საყურადღებოა, რომ ვანში ამ მარწუხებთან ერთად აღმოჩნდა რკინის ორი ნახევარწრიული, მასიური სალტეც (სურ. 144), რომლებიც ეთნოგრაფ

¹⁰⁷ Б. К е т с о в е л и. К у л т у რ უ ლ მ ე ნ ა რ თ ა ზ ო ნ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ე ვ ლ ო შ ი. თბ., გვ. 311.

¹⁰⁸ Р. В. Ш м и д т. Очерки по истории горного дела и металлургического производства в античной Греции Известия ГАНМК. 109. М.—Л., 1935, გვ. 303. აგრეთვე მარწუხებს შესახებ იხ. კრ. Эллинистическая техника. М.—Л. 1948, გვ. 207.

¹⁰⁹ Th. Wiegand. Priene. გვ. 390, სურ. 511, А. Ф у р м и н ь с к а я. Бронзсвевливарне ремесло в Ольвии. Археология. XV. Киев, 1963, გვ. 61—62; Fl. Petrie, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, ტაბ. X V. 125.

¹¹⁰ А. Ш р а м к о. Орудия скифской эпохи для обработки железа, СА. № 3, 1969, გვ. 56.

ნ. რეხვიაშვილის აზრით, კურკლის ან სხვა რაიმე ლითონის საგნის პირის გამოსაყვანად იმპარებოდა.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია საღურგლო იარაღებიც, კერძოდ ეჩო და ცულო. ეჩო (ვ—66/144) აღმოჩნდა კარიბპის წინ 51 მონაკვეთზე, კრამიტყრილისა და ალიზნარეე დამწვარ-დანახშირებულ ფენაში, რომელიც ძვ. წ. I ს. თარიღდება. ეჩო შედგენილია ორი ნაწილისაგან (სურ. 143); სამუშაო პირისაგან და მასთან მოქლონებით დამაგრებული მოძრავი სატარე სალტისაგან. ისინი ცალ-ცალკეა გამოქვდილი მცირე ნახშირბადიანი ფოლადისაგან. ეჩოს სიგრძე 17 სმ-ია, შუა ნაწილში მისი სისქე 1,5 სმ აღწევს. სამუშაო პირის სიგრძე 6,5 სმ-ია. ბოლოსკენ სოლივით ვიწროვდება და აქ განიკვეთში ოთხკუთხა ყუით მთავრდება. შუა ნაწილში, პირიდან 10 სმ დაშორებით, სატარე სალტისათვის საგანგებო ბუდეა ამოჭრილი. სალტეს, რომელსაც ძირფართო წვეწარპირილი პირამიდის ფორმა აქვს, კიდევებსა და შუა ნაწილში ორ-ორი სამანქველ ნახვრეტი აქვს ტარზე დასამაგრებლად. ტარის ორი მხარე რკინის სალტეში ჩდება, ხოლო ბოლო ეჩოს ტანს ებჯინებოდა. ამ ტიპის საღურგლო იარაღმა ჩვენს დრომდე მოაღწია და მას ფეხ-ეჩოს უწოდებენ¹¹¹. საინტერესოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი არჩევდა ამ „ხის სათლელი“ იარაღის რამდენიმე სახეობას: ხელჩხოს, ფეხჩხოს და ეჩვთას.

ვანური ფეხ-ეჩოს ანალოგიური საღურგლო იარაღები აღმოჩენილია პრიენაში, აბიდოსში, ოლბიაში, შირმეკიონში, ნიმფეონში და სხვა პუნქტებში¹¹².

ცული შემთხვევით არის ნაპოვნი კეკინარაში (3—58/141); ეკუთვნის სოლისებური ცულების ჯგუფს, ვიწრო სპეციფიკური ოვალური პირი აქვს, სწორი, წაგრძელებული ტანი და ოთხკუთხა ყუა. იგი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ძვ. წ. VI—IV სს ყუაქვერიან ცულებთან, მაგრამ მთვან განსხვავებით ბევრად ვიწროა (სურ. 140ბ), ცულის სიგრძე 16 სმ-ია, სამუშაო პირის სიგანე 4 სმ. სატარე ნახვრეტი ოვალურია, დიამეტრი 2,5 სმ-ია. როგორც ცნობილია, რკინის ყუაქვერიანი ცულები, რომელთა სამშობლოდ კოლხეთი მიჩნეული, წარმოადგენდა როგორც სამეურნეო, ასევე საბრძოლო იარაღს¹¹³. ჩვენში არსებობს ამ ცულის საკმაოდ ზუსტი ეთნოგრაფიული პარალელები. ტიპოლოგიურად ის ძალიან ახლოს არის მთიულური ცულების ზოგიერთ ტიპთან (იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდი 26—55/1) და ე. წ. „კოდარა ცულებთან“. ასეთი ცულები, ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. რეხვიაშვილის ცნობით, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში იყო გავრცელებული. ასეთ ცულებს იყენებდნენ მორების თავების ამოცხვირვისათვის. ვანურ ცულსაც თითქოს სამუშაო პირი სპეციფიკურად აქვს მოღეულო, მომარგვალბული და დაჩლუნგბული.

¹¹¹ ჯ. ჩიტი, მასალები საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე. ტ. V, 1930, გვ. 271.

¹¹² Fl. Petle. Tools and Weapons. გვ. 18. ტაბ. XVIII, 132. Th. Wiegand H. Schirac'er. Priere. Berlin, 1904, გვ. 393, სურ. 458. დაწარღვბთ ეჩოს შესახებ იხ. Н. И. Соколовский, Древнебронзовое ружье в античных государствах Северного Причерноморья. М. 1971, გვ. 175—177. Эллинские ая техника, გვ. 196.

¹¹³ М. Н. Погребова, Железные топоры скифского типа в Закавказье. СА. №2, 1912. В. А. Ильинская, Скифские топоры, Археология, XII, Киев, 1961, გვ. 29—37, სურ. 2.

4. რამიზილი

ტერაკოტები ვანიდან

ვანის ნაქალაქარზე წლების განმავლობაში მოპოვებული მრავალფეროვანი მასალიდან ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს აქ აღმოჩენილი ტერაკოტული გამოსახულებანი.

გათხრების დროს ახვლედიანების გორაზე ჩნდებოდა ტერაკოტების ცალკეული ნატეხები. სამწუხაროდ, მათი რაოდენობა მცირეა და არც ერთი ტერაკოტა არ აღმოჩნდა მთელი, ან თუნდაც მცირედ დაზიანებული. ზოგიერთი ნატეხი იმდენად უსახოა, რომ ძნელდება კიდევაც მათი შინაარსის და ზომის გარკვევა, მაგრამ ამ ნატეხებს გარდა არის ისეთებიც, რომელთა სიუჟეტების დადგენა და აგრეთვე სტილისტური ანალიზი მეტნაკლებად ხერხდება.

პირველად ტერაკოტული ქანდაკების ნაწილი — ქალის თავი — აღმოჩნდა 1957 წელს, I უბნის კვადრატ № 36-ის აღმოსავლეთ ნაწილში, მონაცრისფრო ფენაში¹. ამ ადგილას, ნ. ხოშტარიას აზრით, დიდ საკულტო დანიშნულების შენობასთან არსებული, მცირე ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

ზემოსხენებული ტერაკოტა ორ ნაწილად იყო გატეხილი და მათი შეწყობების შედეგად მან მიიღო გარკვეული სახე. ეს არის ახალგაზრდა ქალის თავი: (სურ. 145) სახეს მოგრძო, ლამაზი ოვალი აქვს, მკაფიოდ გამოკვეთილი, ოდნავ მოღიმარი პირი და მომრგვალებული, მასიური ნიკაპი. თვალები დიდი, განზიდული აქვს და რელიეფურად ამოზურცული ქუთუთოები. პროფილში ოდნავ მკაცრ გამომეტყველებას აძლევს კეხიანი ცხვირი, რასაც en face ტუჩების გამომეტყველება არბილებს. თმა საკმაოდ სქემატურადაა აქვს წარმოდგენილი, შუაზე გაყოფილი და აქეთ-იქით გადავარცხნილი, განსაკუთრებით საინტერესოა ქალის თავზე მოთავსებული თავსაბურავი. იგი წარმოადგენს დაწახნაგებულ სვეტისებრ შემადლებას, რომელიც გვერდებზე გადავარცხნილი თმების უკან არის მოთავსებული. თავსაბურავის ზემოდან ქალს მოსასხამი აქვს მოხურული, რომლის კალთები თავს უკანა მხარეს ჩაუყვება. კეფის მხრიდან აქა-იქ ამ ქსოვილის ნაოპებზეც არის ასახული. ცალ მხარეს ეს მოსასხამი თმასთან ერთად ჩამოტეხილია, მეორე მხარეს კი ჩანს, როგორ ეშვება იგი მხრამდე. (სურ. 145). ქანდაკება სწორედ ყელის ძირშია გადატეხილი, ასე რომ იმასაც ვერ ვიტყვით, ქალი მჯდომარე იყო, თუ ფეხზე მდგომი.

¹ ზემოსხენებული ტერაკოტის — ქალის თავის ფიტოსურათი გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოში „საქართველოს არქეოლოგია“, თბ., 1959, ტაბ. XIXIII, სურ. 1.

ზემოთ აღწერილი თავსაბურავი და აგრეთვე ქანდაკების საერთო იერი გვაფიქრებინებს, რომ ეს ქალღმერთის ქანდაკების ნაწილი უნდა იყოს. ბზარია სწორედ გამოსახულების შუა ხაზილზეა. ე. ი. გასდევს თვალის, ცხვირისა და შეხლის შეერთების ადგილს, ქვემოთ. მიუხედავად ასეთი დაზიანებისა, კარგად ჩანს სახის ცოცხალი, ბუნებრივი გამომეტყველება, რასაც კიდევ უფრო ამწვენებს მალაღი, ოდნავ გვერდზე გადახრილი ყელი.

როგორც ცნობილია, მაღალთავსაბურავიანი ქალღმერთების გამოსახულებანი ძალზე გავრცელებული იყო ანტიკურ კოროპლასტიკაში. კერძოდ, დედაღმერთი. მიწის ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება დემეტრე ძირითადად სწორედ მაღალ თავსაბურავში გამოხატული გვხვდება (სტეფანასა ან მაღალ კალათისში). დემეტრესთან ახლოს მდგომი, ფრთიანი წარმოშობის ღვთაება კიბელა, აგრეთვე, გამოიხატებოდა ხოლმე მაღალ კოშკისებურ თავსაბურავში. ხოლო ქალღმერთი ტიხე — მოდიუმისებურ თავსაბურავში. ზოგ შემთხვევაში პერსეთონე (კორა) და აფროდიტეც გვხვდება მსგავს თავსაბურავებში². ტერაკოტულ გამოსახულებებზე ამ ტიპის ღვთაებათა ზუსტი განსაზღვრა ყოველთვის ვერ ხერხდება, რადგანაც მასალის სირბილის გამო ფორმათა სიმკვეთრე ხშირად დაკარგულია, ან კიდევ თავსაბურავი ხშირად, საკმაოდ სქემატურად არის ხოლმე მინიშნებული; რის გამოც თუ რაიმე დამატებითი ატრიბუტი (მაგ. ნაყოფი დემეტრეს ხელში, ან ტიხეანი კიბელას ხელში, ან ნტრედი — აფროდიტეს ხელში) ან დამახასიათებელი პოზა არა ჩანს, საკმაოდ ძნელდება დადგენა, თუ რომელი ღვთაებაა. ამის გამო ხშირად ზოგადად უწოდებენ — მაღალთავსაბურავიანი ქალღმერთი, ან უბრალოდ — ქალღმერთი. მაგრამ აშკარაა, რომ ყველა ეს ღვთაება ნაყოფიერებასა, დოვლათიანობასა და ბუნების აყვავებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც, რომ მიწათმოქმედების თანდათანობით განვითარებასთან ერთად, ქალღმერთი დემეტრე მეორეხარისხის ოფიციური ღმერთების რიცხვიდან ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, ათათყვანო საგნად იქცა³. მისი კულტი დაუკავშირდა დონისეს კულტს და V საუკუნიდან იგი თითქმის ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა.

ელინისტურ ხანაში ტერაკოტული გამოხატულებები უფრო ესთეტიკური მოთხოვნის მიხედვით დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდათ, ვიდრე რელიგიური მიზნებისათვის. ღმერთებს უფრო ადამიანურ იერს ანიჭებდნენ, ცდილობდნენ თავი დაედღწიათ პირობითობისა და არსებული სიმკაცრისათვის⁴. ხშირად ქალღმერთებს და მცირე ღვთაებებს უანრულ-ყოფით სცენებში გამოხატავდნენ. ასეთ შემთხვევაში ღვთაებას უკარგავდნენ განყენებულ, შეუვალ იერს და ჩვეულებრივ, ადამიანური სილამაზის, ცოცხალ, ახალგაზრდა სახეებს ქმნიდნენ. ჩვენის აზრით, ვანის ქალღმერთსაც უდარესად ცოცხალი, ინდივიდუალური ნიშნების მქონე სახე აქვს. ამ მხრივ მის ანალოგიად შეიძლება

² მსგავსი მაღალთავსაბურავიანი ქალღმერთების გამოხატულებანი მრავლად არის აღმოჩენილი ანტიკური საქარაა ყველა ცენტრში და კერძოდ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: ილიონში, ჭერსონესში, ფეოდოსიაში, ნაფეაში, მირმეციონში. იხ: Терракоты Северного Причерноморья: Свод археологических источников, вып. Г1—II. Москва, 1970. I сф. ტაბ. 8, 13, 14, 16, 17, 18, 21, 34, II სფ. ტაბ. 1, 8, 9, 12, 21, 42.

³ P. Grimal. Dictionnaire de la mythologie grecque et romaine. Paris, 1951, გვ. 119.

⁴ Н. Н. Брнтлова. Греческая терракота, Москва, 1969, გვ. 61.

დავსახელოთ ჰ. გოლდმანის მიერ გამოცემული ტერაკოტა ტარსუსიდან. აქ გამოხატულია ახალგაზრდა ქალის სახე კოშკისებურ გვირგვინში (რომელიც ზემოთ წატეხილია) და ზედ მოსხმულ თხელ მოსასხამში. მას აქვს შუაზე გაყოფილი, გვერდებზე გადავარცხნილი თმა; ვანის თავისაგან განსხვავებით, მისი თმები კარგად არის დამუშავებული რბილი, ტალივანი ხაზებით. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამ ქალღმერთის სახეს აქვს ძალიან აშკარა ინდივიდუალური ნიშნები, რაც ავტორს აფიქრებინებს რომ აქ რომელიმე წარჩინებული გვირგვინის წარმომადგენელი ქალის პორტრეტი გამოხატული ღმერთების სახით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვანის ქალღმერთის თავს ზოგადი ნიშნების მიხედვით მრავალი ანალოგია ეძებნება* (ეს არის თმის ვარცხნილი, თავსაბურავი და ზედმოხურული მოსასხამი, მალალი, ოდნავ გვერდზე გადახრილი ყელი და სხვ.), მაგრამ მისი სახის გამომეტყველება და ნაკვთები საკმაოდ თავისებურია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნის გამო, ვანის ტერაკოტას დემეტრეს წრის ქალღმერთების ჯგუფს ვაკუთვნებთ.

ამ გამოხატულების თიხა არათანაბრად გამომწვარი მოყავისფრო-მორჩხო ფერისაა, მიიშვება და მკერვივი. ქანდაკება შიგნით ღრუ ყოფილია, თუმცა საკმაოდ სქელკედლიანია; გამოხატულება ყალიბშია მიღებული, შემდეგ კი სტეკით არის განახლებული; ნატეხის სიმაღლე 9 სმ.

1957 წელსვე ვანში იმავე ადგილას, სადაც ქალის თავი იყო ნაპოვნი, აღმოჩნდა კიდევ ორი ტერაკოტული გამოსახულების ნატეხი. ერთი წარმოადგენს ყურძნის მტევნის ცალმხრივ გამოხატულებას (სურ. 146), რომელზედაც ყურძნის მარცვლები რელიეფური ბურცობებით არის მოცემული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დამოუკიდებელი გამოსახულება იყო, რომელსაც დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. დიონისეს კულტთან დაკავშირებით ამგვარი, ნაწილობრივ საკულტო და ნაწილობრივ დეკორატიული დანიშნულების მქონე ცალმხრივი გამოხატულებები საკმაოდ ხშირია ელინისტური ხანის კოროპლასტიკაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ნატეხი დიონისეს ნიღბის ჩამონატეხი ნაწილია. ცნობილია დიდი ზომის დიონისეს ნიღბები, სადაც მას თმა, წვერი და ულვაშები ყურძნის მტევნების და მარცვლების სახითა აქვს წარმოდგენილი. ასეთი დიონისეს ნიღბები ცნობილია მცირე აზიის ცენტრებიდან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან⁷.

მეორე ნატეხი მოზრდილი გამოსახულებისა უნდა ყოფილიყო; თმის ფრაგმენტს გამოხატავს (სურ. 147). თმა გამოსახულია რელიეფური, მკაფიო ხეივების სახით; თითოეული ხეივის ზოლო ზემოთ არის აწეული, რაც მთლიან-

* H. Goldman. The Terracotta Figurines. Tarsus. vol I. თავი VII, კ.ტ. № 42 გვ. 315.

⁶ ანალოგიური თავსაბურავებით შეკმული კბეღების ჯგუფი იხ. Fr. Winter. Die Typen der Figureichen Terrakotten, Berlin. 1953, გვ. 171 (№ 4), გვ. 175 (№ 9). ზოგადად ანალოგიური დემეტრე და კობელა იხ. რასხ. კრებულის (ტბ. 13, 2, დემეტრე), (ტბ. 37 ტბე რელიეფურად ანობრკული ქუთუთოვით და თვალის ფორმით ვაქს). ტბ. 42 კობელა ნიღბი ნიღბიდან-სახის ოვალთ. თქმ. ვარცხნილი ვაქს. II-I ს-ით თარგმანება. Терракоты Северного Причерноморья.

⁷ В. Ф. Гайдукович. Мирмекий, II, Визшава, 1955, გვ. 26. ანალოგიური თმის ვარცხნილი.

ნად ტალღოვანი თმის შთაბეჭდილებას სტოვებს. ასეთი თავისუფლად ტალღოვანი, არასიმეტრიულად დალაკებული თმის გამოსახვა დამახასიათებელია ელინისტური ხანის ტერაკოტებისათვის⁸. ამ მცირე ნატეხის მიხედვით შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იგი მამაკაცის ნიღბის ნაწილია.

ვანში აღმოჩენილი ტერაკოტებიდან საინტერესოა 1962 წელს იმავე მცირე ნაგებობაში აღმოჩენილი ორი ნატეხი. ამათგან ერთი წარმოადგენს ადამიანის სახის ცალმხრივ გამობატულებას—ცხვირისა და ზედა ტუჩის ნაწილს, ნატურალური ზომისა (სურ. 148). ზედა ტუჩი ქვევით მომრგვალებულია, რაც იმის ნიშანია, რომ გამოსახულებას პირი ღია ჰქონდა. ეს ძალზე ხშირია ტერაკოტულ ნიღბებზე. მოცემულ ნატეხზე ნაკეთები რეალისტურად არის გამოხატული: ცხვირი სწორია, მოზრდილი ზომისა, ნესტოები ღამაზადაა გამოკვეთილი, მკაფიოდ ჩანს ჩაღრმავება ცხვირსა და ტუჩს შორის. მამაკაცის ნიღბის ნაწილი უნდა იყოს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მსახიობის ნიღბია: მაგრამ კომიკურ და ტრაგიკულ აქტიორთა ნიღბებზე საბუდე ყოველთვის ძლიერ ემოციებს გამოხატავს, ხშირად გროტესკული იეროცა აქვს⁹. ამიტომ მსახიობის ნიღბის სულ მცირე ნატეხიდანაც კი შეიძლება ამ მკაფიოდ გამოხატული მიმიკის შენიშვნა: იქნება ეს ვალებული პირი თუ მოკმუქნული განიერნესტოებიანი ცხვირი, თუ შეკმუხნული შუბლი, ზემოთ აწეული წარბები, ფართოდ გახეილი თვალები თუ სხვა.

ვანის ტერაკოტაზე კი, მიუხედავად ნატეხის სიმცირისა, აშკარად ჩანს, რომ სახეს სრულიად მშვიდი, დაუძაბავი გამომეტყველება ჰქონდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნატეხი რომელიმე ღეთების დიდი ზომის ნიღბის ნაწილია. რადგანაც ვანში მრავლად აღმოჩნდა დიონისეს კულტთან დაკავშირებული გამობატულებანი, შეიძლება დავუშვათ, რომ ესეც დიონისეს წრის რომელიმე ღეთება იყო. (თხზა ამ ტერაკოტისა მოწითალო-ნარინჯისფერია, კირის მინარევებიანი, მკვრივია და წვრილმარცვლოვანი. ნატეხის სიმაღლე—11 სმ). ამავე წელს აღმოჩენილი მეორე ნატეხი წარმოადგენს სახის ცალმხრივ, რელიეფურ გამობატულებას (სურ. 149). შემორჩენილია გამობატულების ზედა ნაწილი: ტალღოვანი თმა, შუბლის ნაწილი, ზედ გადაქრილი ბაფთით, რომელიც თმის ხვეულებში იმალება. ბაფთის ზემოთ, ცალ მხარეს ყურადღებას იქცევს პატარა რქა, რომელიც ზემოთ წატეხილია. ჯანსაყუთრებით დახვეწილად არის დამუშავებული თვალი: ნუშისებრი ფორმისა, რელიეფურად გამოხატული ზედა ქუთუთოთი. წარბი ოდნავ შესამჩნევი ხაზით არის ნაჩვენებ. წარბსა და ქუთუთოს შორის შეინიშნება ოდნავი შუშუპება, რაც გამოსახულებას ბავშვურ იერს აძლევს. ამავე უსვამს ხაზს სახეზე შერჩენილი ლოყის ნაწილი, რომელიც გამობერილია და ფაფუკის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცხვირი, პირი და საერთოდ სახის ქვედა ნაწილი, საჩუქბაროდ, არ არის შერჩენილი. კარგად არის დამუშავებული პატარა ყური, რომელსაც გამობერილი ბიბილო და თხელი ნიჟარა აქვს. მთლიანად სახის წყნარი, თითქოს ჩაფქრებული გამომეტყველება კი აქვს. (თხზა მოწითალო ყავისფერია, მსხვილმინარევებიანი, საკმაოდ უხეშია და მძიმე. ნატე-

⁸ М. М. Кобылина. Терракотовые статуэтки Пантикапея и фапагорин. Москва, 1961, таб. XXII, 1, 2; Терракоты Северного Причерноморья. II часть. таб. XII, I.

⁹ მსახიობთა ტერაკოტული გამობატულებანი იხ. M. Bieber, The History of the Greek and Roman Theater, Princeton, 1939.

ხის ზომები: სიგრძე—15 სმ, სიგანე—11 სმ.). ამ გამოხატულების განსაზღვრისათვის ყურადღება უნდა მიექცეს რქასა და ბაფთს. როგორც ცნობილია, რქებით ჩვეულებრივ დიონისეს წრის პირებს გამოხატავდნენ. ახალგაზრდა კაცების, კაბუკების სახით, ჩვეულებრივ, გამოხატავდნენ სატირებს (რომაულ ხანაში ფაენებს), და მათ, როგორც ტყის ველური ძაღვების მფარველებს, ცხოველურ, უხეშ გამომეტყველებას აძლევდნენ ხოლმე. მაგრამ ელინისტურ ხანაში ან ტლანქი, ველური ნიშნების შერბილება დაიწყო.

ხშირია იყო, რომ ღამაზ, ახალგაზრდა კაბუკს გამოხატავდნენ; მის სახეს აღაჯგუფებდა ცხოველური და გამომეტყველებაც სრულიად მშვიდი, ოდნავ ჩაფიქრებული ჰქონდა. მხოლოდ, გამოსარჩევად, თმის ხეივებში პატარა რქებს ან სუროს ფოთლებს და ნაყოფს გაურევდნენ, ან პატარა ბაფთას გადაუჭრდნენ შუბლზე და სხვ. ამგვარი სატირების გამოხატულებანი ალიან ხშირია ელინისტურ კოროპლასტიკაში¹⁰.

ამავე დროს ასევე ხშირი იყო ახალგაზრდა დიონისეს გამოსახულებანი ისევე ბაფთით, სუროს ან ვაზის ფოთლების გვირგვინით შექმული. დროთი თომასონი თავის ვრცელ გამოკვლევაში „ელინისტური ტერაკოტების სამი საუკუნე“ აღწერს ათენის აგორადან ერთ ტერაკოტას—ახალგაზრდა სატირის თავს¹¹. ეს არის ახალგაზრდა კაცის სახე; მას ტალღოვან თმებში აქვს ორი რქა და თავზე ახურავს გვირგვინი. ავტორი ამბობს, რომ ტერაკოტას პარალელები უფრო დიონისეს გამოსახულებებში მოეძებნება და უმატებს, რომ ეს სატირი საერთოდ უნდა განეკუთვნოს ე. წ. დიონისური სატირების რიცხვს¹². ე. ი. სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი ტერმინით განსაზღვრავენ ელინისტური ხანის ისეთ სატირებს, რომლებსაც დიონისური, ღვთაებრივი ნიშნები აქვთ მიკუთვნებული და რომლებსაც ვერ მიგნავენ დიონისეს გამოსახულებებისაგან. შესაძლოა, სწორედ ასეთი სატირი იყო გამოხატული ვანის ნატეხზე. მხოლოდ ამ ნატეხის მიხედვით სახე უფრო მოზარდ ყმაწვილს ეკუთვნის, ვიდრე კაბუკს.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ელინისტურ ხანაში განსაკუთრებით განხორციელდა დიონისე-ბავშვების ქანდაკებები. საერთოდ ძალიან განხორციელდა ბუნებრივად, უდარდელ პოზებში გამოხატული ბავშვების პატარა ქანდაკებები: ბავშვები ცხოველებთან და ფრინველებთან ერთად, ერთმანეთთან მოთამაშენი, ბავშვები სხვადასხვა ნაყოფებით ხელში და სხვ.¹³

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე იყო—პატარა ბიჭი ყურძნით ხელში¹⁴. ხშირად ეს იყო ხოლმე პატარა დიონისე. ზოგჯერ ასეთ დიონისე-ბავშვებს რქებითა და ბაფთით შემკუთნებდაც გამოხატავდნენ ხოლმე. პ. გოლდმანს ტარსუსის ელინისტური ხანის ტერაკოტების აღწერის დროს გამოყოფილი აქვს ჭგუფი რქებიანი დიონისე-ბიჭისა (Dionisos tauros). ერთი მათ-

¹⁰ N. Breitenstein, Catalogue of Terracottas, Copenhagen, 1941, № 526, 510; W. Froehner, Terres Cuites de Tanagra et d'Asie Mineure, Paris, 1893, ტაბ. XXIX; Catalogue des figurines grecques de terre cuite, Constantinople, 1908, № 1978.

¹¹ D. B. Thompson, Three Centuries of Hellenistic Terracottas, Hesperia, №3, 1962 ტაბ. 87, 2

¹² იქვე, გვერდები 246—247.

¹³ Н. Н. Врштова, დასახ. ნაშრ., კატ. №84, 86, 101;

Терракоты Северного Причерноморья; დასახ. კატ. II ნაწ. ტაბ. 15,1; 16,1; 18,4.

¹⁴ Tarsus. H. Goldman, დასახ. ნაშრომი, გვ. 218—219, გვ №75—83.

განი შეიძლება დაეხსნა ხელოთ ვანის ტერაკოტის ანალოგიად¹⁵. ზედ გამოხატულია გამობერილლოყებიანი ციდეე უფრო პატარა ასაკის, ვიდრე ვანის, პრეკალნიკაპიანი ბიკი, რომელსაც შუბლზე ბაფთა აქვს გადაკიშული, და მის ზემოთ ორი პატარა რქა აქვს აშვერილი. თავზე სუროს გვირგვინი ახურავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვანის ტერაკოტზე გამოხატულ ყმაწვილსაც ეხებრა გვირგვინი და ისიც ყმაწვილი დიონისეს გამოსახულება იყო.

ვანში აღმოჩენილ ტერაკოტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1965 წლის მონაპოვარი. ეს არის დიდი ზომის ნიღბის ნაწილი. ხსენებული ტერაკოტის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარის კარიბჭის ჩრდილოეთით, ალიზის კედლის ნანგრევებს ქვეშარსებულ კულტურულ ფენაში¹⁶ (სურ. 150). აღმოჩენილი ნატეხების უმრავლესობა მიუდგა ერთმანეთს (შუბლის ნაწილი, თვალი, ლოყის ნაწილი, წვერით დაბოლოებული. ცხვირისა და ლოყის შეერთების ადგილი, შუბლი და გვირგვინი), რის შემდეგაც უფრო იოლი გასარკვევი გახდა, თუ კერძოდ რა შინაარსის გამოხატულებასთან გვქონდა საქმე. დარჩა რამდენიმე ნატეხი, რომლებიც უშუალოდ ამ ადგილზე ნაწილს არ მიუდგა, მაგრამ ექვეგარეშეა, რომ ამვე ტერაკოტას ეკუთვნოდა. გამოხატულება ნატურალურზე უფრო დიდი ზომისა ყოფილა (ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით ზომები ასეთია: სახის სიგანე — 32 სმ, თვალის სიგრძე — 5,5 სმ). გამოხატულება ცალნხრივია და, რა თქმა უნდა, ნიღბის ნაწილს წარმოადგენს. ეს არის მამაკაცის სახის ზედა ნაწილი: შემორჩენილია შუბლის ნაწილი, ორივე წარბი და თვალი, ცალ მხარეს ლოყა, ცხვირი, უღვაშის ნაწილი, აგრეთვე ცალცალკე გრძელი ხვეულებიანი წვერის ამსახველი ნატეხები. წვერის ნიშნები ნაწილობრივ ცალ გვერდზეც არის შემორჩენილი, ლოყის გაგრძელებაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახეს მთელ ქვედა ნაწილზე შემოუყვებოდა გრძელი წვერი, რომელიც რამდენიმე რიგად მოთავსებული ხეიების სახით ეშვებოდა ქვემოთ. განსაკუთრებით საინტერესოაა გამოხატული მამაკაცის თავზე მოთავსებული მასიური გვირგვინი, რომელიც საკმაოდ კარგად არის გადარჩენილი. იგი შედგება სუროს ფოთლების რამდენიმე რიგისაგან და სამ ადგალას სუროს ნაყოფის გამოხატულებანიც არის ზედ. აღსანიშნავია, რომ ეს ნაყოფი ორნაირი წესით არის შესრულებული. ერთგან იგი ფართოდ გავრცელებული სტილიზებული სუროს ნაყოფის სახით არის, ე. ი. მთლიანად ამოხერცული სფერული ზედაპირი დაფარულია პატარა-პატარა ბურცოებით. ამგვარი, ყალიბში მიღებული, სტილიზებული სუროს ნაყოფებით შემკული გვირგვინები ხშირად გვხვდება ტერაკოტებზე. ამ ტექნიკით შესრულებული სურო გვირგვინზე ორ ადგილას არის. მესამეგან კი ნაყოფი სრულიად რეალისტური თიხის პატარა, დამრგვალებული მარცვლების სახით არის წარმოდგენილი. ეს მარცვლები, ალბათ, ერთმანეთზე იყო შეწყებებული (რისი ადღგენაც მოხერხდა) და ამგვარად სუროს ნაყოფის პატარა მტევანს ქმნიდა. ფოთლები განლაგებულია ერთი მეორის შემდეგ, ისე, რომ წვეტიანი ბოლოები ცალ მხარეს არის მიმართული; თითოეული ფოთოლი შუაშია ოდნავ გაღუნული სიგრძივად, რის გამოც ყოველ რიგს ოდნავ ღარისებური მოყვა-

¹⁵ იქვე, გვ. 219 № 82.

¹⁶ იხ. 1965 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის ვანის ექსპედიციის ანგარიში (ნ. ზოშტარია, რ. ფუთურიძე, თბ. ლარსიფიკაციის), გვ. 54—55.

ნილობა აქვს. ასეთი ხერხი მთლიანად გვირგვინის ფორმას ძალზე პლასტიკურ იერს ანიჭებს. თვითონ ის ამბავი, რომ ნაყოფი ორნაირი ხერხით არის შესრულებული, ცოტა გაუგებარია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაზიანების შემდეგ იქნა ჩამატებული თიხის მარცვლებისგან მიღებული ნაყოფი. ანალოგიური გვირგვინები (სუროს ფოთლებისა და ნაყოფებისაგან შემდგარი) მრავლად გვხვდება დიონისეს წრის პირთა ტერაკოტულ გამოხატულებებში¹⁷. ზოგ შემთხვევაში ზუსტი გამეორებაც კი შეგვხვდა ამ ტექნიკისა: რამდენიმე რიგად გალუნული სუროს ფოთლები, აქეთ-იქით ნაყოფები და გვირგვინის ფოთლებს შორის ორი პატარა შვერილი;

ზემოთ აღნიშნული ტერაკოტის ძირითადი ნაწილი ყალიბში არის მიღებული — ეგრძოდ, სახე. ეს ჩანს მთლიანად გამოხატულების ზედაპირის მოდელირებიდან; მაგრამ ამავე დროს ეტყობა, რომ ოსტატს ყალიბში მიღების შემდეგ, სტეკით მისი ზედაპირის ერთგვარი განახლება, უფრო სწორედ, გაცოცხლება უცდია; ე. ი. ზოგიერთ ადგილას, ჯერ კიდევ გამოუმწვარ თიხაზე, გამოუყვეთია ესა თუ ის დეტალი, რომელსაც ყალიბი ჩვეულებრივ აუფერულებს. სტეკის კვალი ჩანს ლოყისა და თმის ამსახველ ფრაგმენტზე, წარბზე, ცხვირის ნესტოებთან და სხვ.

რაც შეეხება გვირგვინს, იგი ყალიბში მიღებული სახისათვის ოსტატს შემდეგ ხელით მიუძღვრია. აშკარად ჩანს, რომ სუროს ცალკეული ფოთოლი ხელით არის გამოძერწილი. ფოთლებზე თითების ანაბეჭდებით შეინიშნება. არც წვერი იყო ყალიბში დამზადებული. წვერის შემორჩენილი ფრაგმენტები, რომლებიც საკმაოდ უსწორმასწორო სპირალისებურ ხეულებს წარმოადგენს, აგრეთვე ხელით, სპეციალური საქრისით უნდა იყოს გამოყვანალი გამოუმწვარ თიხაზე.

ასეთი კომპლექსური ტექნიკა, ე. ი. როდესაც ძირითადი ნაწილი ყალიბში მზადდებოდა, ხოლო ზოგიერთი დეტალი ხელით, ძალიან გავრცელებული იყო ანტიკურ კორინთისაში¹⁸. ეს აიხსნება იმით, რომ ტერაკოტა, განსხვავებით სკულპტურული გამოსახულებისაგან, ყალიბში მიღების გამო შეიძლება რამდენიმე ცალად გადამრავლებულიყო. ხოლო ოსტატი შემდეგ ზოგიერთ დეტალს, მცირეოდენი ცვლილებით, ხელით მიაქვამდა და ამ ვარიანტების გზით თავიდან იცდენდა სტანდარტულობას. მაგ. გვირგვინს, თმის ვარცხნილობას, ან თავსაბურავს შეცვლიდა და სხვ. ხშირად ძირითად ნაწილს ერთსა და იმავე ყალიბში იღებდნენ, მაგრამ დეტალებს (ხელების მდგომარეობას, თავის მობრუნებას და სხვ.) იმდენაირად ცვლიდნენ, რომ სულ სხვადასხვანაირ გამოხატულებებს იღებდნენ¹⁹.

გამოსახულების ქვედა ნაწილმა სრულებით არ მოაღწია ჩვენამდე. აკლია პირი, ცალ მხარეს — მთლიანად ლოყა, ყბები, ნიკაპი. მიუხედავად ამ

¹⁷ J. Charbonneaux, Les terres cuites Grecques, Paris, 1936; ტაბულები;

V. Poulsen, Catalogue des Terres cuites Grecques et Romaines, Copenhagen, 1949, №96;

W. Froehner, Terres cuites d'Asie de la collection Julien Greau, Paris, 1886, ტაბ. XXIV;

მსგავსი ვარიანტებით შემკული გამოსახულებანი იხ. პუშკინის სახ. სახეობი ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცულ ტერაკოტებში. პანტიკაპეონის განთავსების მასალა: 1962, იან. № 1136—40.

¹⁸ M. M. Кобыллина. Терракотовые статуэтки Пантикапеи и Фанагории, 12.

¹⁹ F. Nickolson. Greek, Etruscan and Roman Pottery and Small Terracottas, London, 1965, გვ. 45.

დანაკლისისა, მაინც ჩანს, რომ ანტიკური კოროპლასტიკის შესანიშნავ ნიმუშაა გვაქვს საქმე. ნილაბზე გამოხატულ მამაკაცს აქვს განზოგადოებული, ლტაებრივი მშვიდი გამომეტყველება. შემადღებული ზედა ქუთუთოები ისეთ ჩრდილს ფენენ, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ოდნავ ქვემოთ იყურება. თუ გავითვალისწინებთ სურის ფოთლებისა და ნაყოფის, გრძელი წვერისა და რქების არსებობას, უდავო ხდება, რომ დიონისეს წრის გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. ასევე უდავოა, რომ ეს არის თვით დიონისე და არა მისი რომელიმე თანამგზავრთაგანი. სილენი, დიონისეს აღმზრდელი და უახლოესი პირი თანამგზავრთა შორის, კოროპლასტიკაში უმთავრესად გვევლინება მელოტი მოხუცის სახით, ოდნავ შეზარხოშებული, და ერთგვარად გროტესკული. დიონისეს ამალის სხვა წევრები — სატირები, პანი, როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა კაცების სახით გვევლინებიან და როგორც ტყის ბინადარი უფრო ხშირად ცხოველური ნიშნებით არიან აღქურვილი²⁰.

ვანის ტრაკოტაზე ყველა ეს ნიშანი (ცხოველურობა, ოდნავი სიმთვრალის კვალი, ან გროტესკზე რაიმე მინიშნება) სრულიად გამორიცხულია. აქ სახეს აქვს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლტაებრივი, განზოგადოებული იერი. დიონისე საერთოდ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვთაებაა ბერძნულ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთაც. მე-5 საუკუნიდან უკვე ჩნდება ღმერთებთან დაახლოების, მათთან აქტიური კონტაქტების დამყარების სურვილი, რის გამოც, ბუნებრივია, მისტერიულ კულტებს დაეთმო მთავარი ადგილი²¹. დიონისე კი მისტერიების ცენტრალური ფიგურა იყო და მისი თაყვანისცემა საოცრად სწრაფად მკვიდრდებოდა. მისი კულტი მისტერიებისა და ორგიასტიკების სახით მოედო მთელს საბერძნეთს, ხოლო ელინისტურ ხანაში მკითრე აზიას, აღმოსავლეთის ქვეყნებს; არსებობს ცნობილი თქმულება, თითქოს დიონისემ ინდოეთამდეც კი მიადგინა და გზადაგზა ასწავლიდა ხალხს ღვინის მიყვანას. აქედან არსებობს ხელოვნებაში ძალიან გავრცელებული დიონისე ინდოელის ტიპი, რომელზეც დიონისე გრძელი ხეული წვერითა და თმებით არის წარმოდგენილი²². ასეთი დიონისეს ქანდაკება და თიხის ყალიბი აღმოჩენილია ქერსონესში. ეს სახელწოდება პირობითია, დიონისე ინდოელის ტიპი ხელოვნებაში ბერძნული წარმოშობისაა და არქაულ სტილს უაპლოვდება. ვანის დიონისე ამ ნახსენები ტიპისაგან მკვეთრად განსხვავდება.

როგორც აღვნიშნეთ, დიონისესადმი დაახლოების ლტოლვა იმდენად დიდი იყო, რომ შეიქმნა კიდევ თქმულება, თითქოს დიონისე განსაკუთრებით მფარველობდა მათ, ვინც მას ემსგავსებოდა და თავის თავში მას ხედავდა²³. ანის გამო მისდამი ერთგვარად მახლობლურად განწყობილი ადამიანები ქმნიდნენ დიონისეს მრავალფეროვანი ინტიმური ცხოვრების ამსახველ სკენებს. ასეთ გამოსახულებებს მცირე ქანდაკების, თუ რელიეფების სახით იანინი ათავსებდნენ შენობებში, თუ იანინი საცხოვრებელი ბინების მოსართა-

²⁰ W. Froehner. *Terres cuites d'Asie*, Collection Camille Lecuyer, Paris, 1886, ტბ. № 24, 29.

²¹ Н. Н. Брито́ва. *Греческая терракота*, Москва, 1969, გვ. 49.

²² К. Н. Книпович. *Основные линии развития искусства городов Северного Причерноморья в античную эпоху; Античные города Северного Причерноморья*, Москва, 1955, გვ. 167.

²³ Вальдапфель Тренчени Имре, Олимп, გვ. 256, 283.

ვად. გამოხატავდნენ დიონისეს პატარა ბავშვის სახით²⁴. როგორც სილენის მორჩილ მოწაფეს (სილენის ხელში პატარა დიონისე)²⁵, როგორც სატირების ტოლსა და მეგობარს, როგორც ნიმფების ნებიერ აღზრდილს. ძალიან იყო გავრცელებული კიდევ ერთი სიუჟეტი — ნახევრად წამოწოლილი დიონისე (ჩვეულებრივ უკვე შუახნის წვერებიანი მამაკაცის სახით), სასპისით ხელში, განცხრომით ჯვინის მსმელი²⁶. ასეთ ტიპს ლიტერატურაში ხშირად მოქეიფე წვერასანის სახელით ვხვდებით (Bai. quelet r imbarbes.) ამ ხასიათის გამოსახულებებზე დიონისეს ღვთაებრივობა თითქმის სულ მიჩქმალულია და იგი გადაამიანურებული სახით არის წარმოდგენილი.

ზუსტი იკონოგრაფიული და სტილისტური ანალოგია ვანის დიონისეს ჯერ ვერ მოუნახეთ (ეს ცოტა ძნელდება დიდი დაზიანების გამო), მაგრამ ძირითადად ფორმით და შინაარსით მსგავსი ნიღბები საკმაოდ მრავლად არის ცნობილი: ასე მაგალითად, მირმეციონში აღმოჩენილი მოზრდილი დიონისეს ნიღბი²⁷. იგი ფრაგმენტულად აღმოჩნდა და შემდეგ არის აღდგენილი. ვანის დიონისეს მსგავსად მასაც გვირგვინი ახურავს. მხოლოდ ცუდი დატოვების გამო არ ჩანს, რისია. სახის ქვედა ნაწილი მასაც ხვეული გრძელი წვერითა აქვს დაფარული, ულვაშები დაშვებული აქვს. წვერის ხეიბი განსაკუთრებით ემსგავსება ვანის წვერის ფრაგმენტებს. მირმეციონსა და პორფიმიდან კიდევ არის ცნობილი დიონისეს ნიღბები, მხოლოდ ამათგან განსხვავებით მათზე დიონისეს თმა, წვერი და ულვაშები ყურანის მარცვლების სახითაა წარმოდგენილი. ეს ნიღბები II საუკუნით თარიღდება. ასევე ზოგადი ფორმებით ანალოგიურია ამისოს დიონისე, გრძელ, ხვეულწვერებიანი და ულვაშებიანი²⁸. მაგრამ აქ წვერის დაშუშავება განსხვავებულია; სახე, წვერებიანად, ყალბში უნდა იყოს მიღებული. მსგავსი ნიღბები ცნობილია კუნძულ დელოსიდან. დაახლოებით მსგავსია ქერსონესსა და პანტიკაპეიონში აღმოჩენილი დიონისეც (III საუკუნე).

საინტერესოა კიდევ ერთი დიონისეს თავი (ქანდაკების ნაწილია) სამხრეთ იტალიიდან (ტარენტტი). იგი უფრო ადრეულია, IV საუკუნისა ჩ. წ.-მდე, მაგრამ ვანის დიონისეს ემსგავსება თვით სახის ნაკეთების დამუშავებით. იქაც ლამაზი, ღვთაებრივი გარეგნობისა არის დიონისე, მკვეთრად გამოკვეთილი, თხელი სახე, ოდნავ შესამჩნევი ღაწვებით, შემადლებული ქუთუთოებით. მას ასეთავე ფორმის ულვაშები და გრძელი წვერი აქვს, თავზე დიადემა ახურავს²⁹.

უნდა აღენიშნოთ, რომ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით V—IV ს-ის დიონისეს ტერაკოტულ გამოხატულებებს ტარენტტიდან. ყველა გამოსახულება ზემოაღწერილს ემსგავსება და კლასიკური ხელოვნების ნორმებს მკაფიოდ ასახავს. მათზე გამოხატული დიონისე სწორედ ამ კლასიკური ნაკეთებით

²⁴ Tarsus, H. Goldman. დასახ. ნაშრ., გვ. 218—219, №75—85.

²⁵ H. H. Брнтова. დასახ. ნაშრ., კატ. №152.

²⁶ S. Mollard-Besques, Catalogue raisonné des figurines et reliefs en terre-cuite, Paris, 1954, №c290-c331.

²⁷ В. Ф. Гайдукевич. Мирмекий II, Варшава, 1959, გვ. 86.

²⁸ М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного причерноморья, Москва-Ленинград, 1956, გვ. 214.

²⁹ Eberhard Paul, Antike Welt in Ton, Griechische und Römische Terrakotten, Leipzig. ტაბ. №76.

განსხვავდება ჩრდ. შავიზღვისპირეთის ელინისტური ხანის დიონისეს ნიღბებისაგან.

ანალოგიად შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ერთი მოზრდილი ზომის ნიღაბი კამილ ლეკიუერის კოლექციიდან³⁰. აქაც დიონისე შემკულია თავისი მრავალრიცხოვანი ატრიბუტებით: ყურებთან ჰყილია ყურძნის მტევნები, თავზე ახურავს სუროს ფოთლებისა და ნაყოფებისაგან შემდგარი გვირგვინი. ნაყოფებს შორის მკვეთრად ჩანს ორი რქა. როგორც ავტორი აღწერს, ზემოხსენებულ დიონისეს აქვს ღვთაებრივი მშვიდი სახე, რომელზეც გროტესკი და ბაქციური ენთუზიაზმი არ არის მინიშნებული. ეს ნიღაბი ელინისტური ხანისაა. დამზადების ტექნიკის მხრივ იგი განსხვავდება ვანის ნიღბისაგან. მთელი გამოხატულება გვირგვინით, ყურძნის მტევნებითა და წვერებიანად ერთიან ყალიბშია მიღებული. შემდეგ ნაკეთები საგულდაგულოდ სტეკითაა აამკვეთრებული.

როგორც აღვნიშნეთ, დიონისეს კულტი, როგორც ყოვლისშემძლე ღმერთისა, განაგრძობს არსებობას; უკვე მე-5 საუკუნიდან განსაკუთრებით მკვიდრდება დიონისეს საკულტო გამოსახულებანი, სადაც ხაზგასმულია მისი მრავალმხრივი ძალა, რის გამოც მისი ატრიბუტები მაქსიმალურად არის წარმოდგენილი³¹. უძველესი ფორმა დიონისეს საკულტო გამოხატულებისა ძველ საბერძნეთში იყო ხის სვეტზე მისი სახის გამოსახვა, ან მასზე თიხის ნიღბის ჩამოკიდება³². უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად უფრო მოგვიანო ხანაშიც, როდესაც გამოხატულებას საკულტო დანიშნულება ჰქონდა, მას ოდნავ არქაული სახით გამოხატავდნენ; თუმცა ამით მისი მხატვრული ღირებულება არ მცირდებოდა (ასეთია მაგ. ხშირად ელინისტური ხანის დემეტრეს, კიბელას და დიონისეს ზოგიერთი გამოსახულება). დიონისეს ჰერმეტი ელინისტურ ხანაში ისევე ხშირია, როგორც ადრეულ საუკუნეებში, მხოლოდ ეს არის უკვე მცირე ზომის ტერაკოტის ჰერმეტი. ისინი ხშირად ფალიკურია, რადგან დიონისე ზოგადად ნაყოფიერების ღვთაებადაც ითვლებოდა³³.

ჩვენის აზრით, ვანის ტერაკოტაზეც გამოსახულია დიონისე — ღმერთი; ეს უნდა იყოს მისი საკულტო გამოხატულება. უპირველეს ყოვლისა დიონისე, რა თქმა უნდა, იყო ღვინისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება, იაქი ბერძნულად და ბაქუსი რომაულად, ამიტომ მისი უპირველესი ატრიბუტებია ყურძნის მტევანი, ვაზის ყლორტებით შემოხვეული კვერთხი — ტირსი, გირჩით დაბოლოებული, დაბოლოს ღვინით სავსე სასპისი. მაგრამ, გარდა ამისა, დიონისეს მრავალი სხვა ატრიბუტი ახლავს. იგი იყო საერთოდ მიწის დოვლათიანობის, ბუნების აყვავების მფარველი ძალა, ღვთაება, რომელიც ებრძოდა ბუნების ძალების თავისუფალი ზრდის ყველა შემფრცხვებელს³⁴. ამიტომ მისი ატრიბუტია აგრეთვე სურო. სუროს გრილი ფოთ-

³⁰ Collection Camille Lecuyer, Terres cuites antiques de la Grèce de Asie-Mineure, II, Paris, ტაბ. IX.

³¹ М. А. Наливкина, Терракоты Мирмекия и Тиритака, МИА. №25. 1952, гл. 334.

³² И. П. Кондаков, Греческие терракотовые статуэтки в их отношении к искусству и быту. 34004Д, т II, Одесса, 1879, гл. 101—103.

³³ М. М. Кобылина. Терракотовые статуэтки Пентикапея и Фанагории. ტაბ. XII, 4, 5.

³⁴ Тренчени Вальдапфель Имре. დასაბ, ნაშრ., გვ. 257—260.

ლები, რომლებიც ხელსაყრელი სინესტის დროს განსაკუთრებული სისწრაფით ფარავენ გარემოს, ძველი ბერძნების წარმოდგენით აგრეთვე ანსახიერებდნენ ბუნების ფარული ძალების და სიუხვის სიმბოლოს. სურო უშუალოდ უკავშირდება დიონისეს დაბადების მითსაც: როდესაც ზევსმა იგი ახალდაბადებული, სემელეს ფერფლიდან ამოიყვანა, იმით გადაარჩინა დაწვას, რომ სუროს გრილ ფოთლებში განეკარგა³⁵. ამდენად ბუნებრივია, რომ სუროს გვირგვინით დიონისეს გამოხატვა ისევე ხშირია, როგორც ყურძნის და ვაზის ფოთლების გვირგვინით.

რქებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოსახავდნენ სილენს, სატირს ხშირად ახალგაზრდა დიონისეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, როგორც სატირებთან გაიგივებულს, მათს მეგობარს. ვანის ტერაკოტაზე რომ დიონისე რქებით არის გამოხატული, აქ ამ უკანასკნელ შემთხვევასთან არ უნდა გვეჭონდეს საქმე. აქ რქები თვით დიონისეს მრავალფეროვანი ღვთაებრივი ძალის კიდევ ერთ სახეს უნდა გამოხატავდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ დიონისე, გარდა იმისა, რომ იყო მევენახეობის, ღვინის, ბუნების აყვავების მფარველი ძალა, იყო აგრეთვე საერთოდ ნაყოფიერების მფარველი ღვთაებაც. სწორედ ამის გამო მისი კულტა მკიდროდ იყო დაკავშირებული მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთის დემეტრეს კულტთან; სწორედ ამიტომაც, რომ დიონისეს მისტერიები (კერძოდ, დღესასწაული ალოი) და დემეტრეს ელეუსინური მისტერიები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს³⁶. მითოლოგია, რა თქმა უნდა, ამორი ღვთაების კავშირს თავისებურად ხსნის: დიონისეს დედა, სემელე, პერსეფონეს შვილად არის მიჩნეული. პერსეფონესთან და სემელესთან კავშირი დიონისეს ქტონიკურ ღვთაებათა რიცხვსაც მიაკუთვნებს. ქტონიკურობა კი (ამჟვეყნიურ და იმჟვეყნიურ ცხოვრებასთან კავშირი) ყველაზე არქაული ღვთაებების დამახასიათებელი ნიშანია (ოზირისი, ოზიდა, იშტარი, კორა და სხვ.). დიონისეს ქტონიკურ ღვთაებათა რიცხვისათვის მიკუთვნება მისი უძველესი წარმოშობის მაჩვენებელია. დიონისეს კულტის უძველეს წარმოშობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ზოგი მეცნიერის აზრით იგი უძველეს ხარის კულტსაც უკავშირდება. კონდაკოვი თვლის, რომ „თავდაპირველად დიონისე თავისი ცხოველური არსით, ხარის კულტთან იყო გაიგივებული და ამიტომაც მის უძველეს გამოსახულებებზე (სვეტებზე ჩამოკიდებულ ნიღბებზე) მას ხარის რქებით გამოხატავდნენ“³⁷. კონდაკოვისავე მიხედვით ასეთი დიონისე-ხარის თავები სამხრეთ იტალიაში არქაულ აკროტერიულ აგურებზე ხშირად იყო გამოხატული³⁸.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვანის დიონისეს ნიღბი საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს. ასეთ ნიღბებს ჰკიდებდნენ ღვთაებისადმი განკუთვნილ სამლოცველოში ან უბრალოდ წმინდა ადგილზე, სადაც მიჰქონდათ შესაწირავები და მიდიოდნენ თავყვანის საცემად. საკუთრივ დიონისეს დღესასწაულების დროს მასთან მიჰქონდათ შესაწირად ყვავილების გვირგვინები, ღვინო სასმისებით და საერთოდ ჰურპული, კერძოდ, ქოთნები. ამისთვის სპეციალური დღეც კი იყო გამოყოფილი — ქოთნების დღე (Khitros). ეს იყო ან-

³⁵ Тренчени Вальдапфель Имре. დასახ. ნაშრ. გვ. 255.

³⁶ Н. П. Кондаков. დასახ. ნაშრ. გვ. 257.

³⁷ Н. П. Кондаков. დასახ. ნაშრ. გვ. 142—143.

³⁸ იქვე, გვ. 143. დიონისე ტაურომორფის გამოხატულება იხ.: Camille Lecuyer, *Terres antiques*, ..., II, Paris, Dionysos Taumorphe-ის გამოხატულება.

თისტრეების (საგაზაფხულო დიონისიების) მესამე დღე, როდესაც დიონისეს მიატრეებს უკავშირებდნენ მკვდარ სულთა მოხსენიების დღეს. ამ დღეს დიონისეს დედას ტიონეს (სემელეს) სცემდნენ თაყვანს. მღეროდნენ ტიონეს მოსახსენიებელ ჰიმნებს, სწირავდნენ დიონისეს ტაძარს მკვდარ ყვავილებს და ავოეთვე ქოთნებს³⁹. ზემოთ აღწერილი წესიდან ჩვენთვის საინტერესოა ქოთნების შეწირვის რეულუბა. აღსანიშნავია, რომ იმავე ფენაში, სადაც აღმოჩნდა ტერაკოტა, და იმ ადგილიდან ძალიან ახლოს, აღმოჩენილი იქნა ორმოცამდე მცირე ზომის კოჭობი (სწორედ ქოთნის მოყვანილობის კურსული). ეს ქოთნები, როგორც ჩანს, ისევე როგორც ტერაკოტა, გადმოქცეულა კედლისა და კრამტის დაწოლისაგან არის ჩალეწილი. ეს კოჭობები სულ ერთა ზომისაა და სპულიად უხმარის შთაბეჭდილებას ტოვებს: ზოგი მათგანი მთელიც არის გადარჩენილი.

შეიძლება ვაფიქროთ, რომ აქ სწორედ ზემოთ ნახსენებ შეწირვის წესთაგაქვს საკმე.

დიონისეს მიატრეების დროს ნიღაბს კიდევ ერთგვარად იყენებდნენ ბრძნე. კერძოდ, დღესასწაულების დღეებში დიონისეს დიდ ნიღაბს ამარტებდნენ ხის სვეტზე და ასე ატარებდნენ პროცესიის წინ⁴⁰. ეს, რა თქმა უნდა, არის უძველესი წესის გადმონაშთი, როდესაც კერპებს სცემდნენ თაყვანს. ვანის ტერაკოტის აღმოჩენის პირობების მიხედვით ძნელდება გადაჭრით იმის თქმა, თუ კერძოდ სად უნდა ყოფილიყო იგი მოთავსებული, შენობას ამკობდა გარედან, შიდა სათავსოში იყო თუ სამლოცველოში ეკრდა, სადაც მას თაყვანს სცემდნენ, ან შეიძლება ხის სვეტზე იყო დამკვრებული. აღსანიშნავია, რომ ტერაკოტის აღმოჩენის ადგილას კოჭობის გარდა, ხის ძელების ფრაგმენტებიც იყო ნაპოვნი⁴¹.

როგორც დავინახეთ, ვანის ტერაკოტების უმრავლესობა შინაარსით დიონისეს წარეს უკავშირდება; თუ ანას დავუმატებთ, რომ მომდევნო წელს ვანში აღმოჩენილი ნივთების დიდი ჯგუფი აგრეთვე დიონისესთანაა დაკავშირებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ელინისტურ ხანაში გარკვეული წარმოდგენა ჰქონია დიონისეს კულტზე. ძნელია დადგენა, თუ სახელდობრ რა სახით და რა მასშტაბებით იყო იგი წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, მევენახეობა-მეღვინეობისა და მიწის ნაყოფიერების მუარველი ღვთაების კულტი გავრცელებული იყო მთელს ძველ სამყაროში (როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით), ყველგან, სადაც ბინადარი ცხოვრება და ნეტარობის ეს დარგები იყო განვითარებული. რა თქმა უნდა, იქ, სადაც ადგილობრივი რელიგიური რწმენები უკვე მტკიცედ იყო დამკვიდრებული, ამ ნეტარობა კულტმა მალე მიიღო სახესხვაობა ადგილობრივი რელიგიის გავლენით.

საქართველო ერთერთი უძველესი ქვეყანაა მევენახეობის განვითარებისა. არსებობს მრავალი მასალა როგორც ჩვენს ხელოვნებაში, ისე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვახისა და ღვინის კულტის არსებობის მაჩვენებელი⁴². ასევე ნაყოფიერების ღვთაების კულტზე მიუთითებს თანამედროვე

³⁹ Тренчени Вальдапфель Имре გვ. 258—260.

⁴⁰ იქვე, გვ. 260.

⁴¹ იხ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის ანგარიში.

⁴² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თავი II, ქართული

ყოფაში დამოწმებული ადათ-ჩვეულებანი, რომლებიც მეცნიერების აზრით თავისი წარმოდგენებით (თხის ტყავებში გახვევა, ნიღბების გაკეთება) ემსგავსება ღიონისეს მისტერიებს. ასევე დამოწმებულია მიწის მფარველი ქალღმერთის არსებობა ძველ საქართველოში.

ეს ყველაფერი კვლავ გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივ მოსახლეობას უდავოდ ჰქონდა წარმართობის ხანაში თავისი რელიგიური რწმენები და მათ შორის ღვინის მფარველ და ნაყოფიერების მფარველ ღვთაებას მნიშვნელოვანი ადგილი ექნებოდა დათმობილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ელინისტურ ხანაში ვანის საქალაქო ცხოვრებაში, მოსახლეობის ყოფაში, ხელოსნობის ცალკეულ დარგებში აშკარად იგრძნობა ბერძნული გავლენა. ეს მითუმეტეს გვაფიქრებინებს, რომ მოსახლეობის რელიგიურ შეხედულებებშიც შეიძლებოდა შექრილიყო ეს გავლენა.

რაც შეეხება ვანის ტრაკოტების წარმოშობას, აშკარაა, რომ ისინი არ არის ადგილობრივი. შინაარსით ბერძნულ რელიგიურ რწმენებს უკავშირდება, სტილით კი ანტიკური კოროპლასტიკის ნიმუშებს ემსგავსება.

ელინისტური ხანის ხელოვნებას, როგორც ცნობილია, მთელი რიგი სიახლენი ახლავს. ეს მკვეთრი ცვლილებანი ჩანს როგორც ფორმასა და შინაარსში, ისე შესრულების ტექნიკაში. ამ ხანაში განსაკუთრებით ჩნდება სურვილი შინაგანი სამყაროს გახსნისა ტრაკოტულ გამოსახულებებში, სწრაფვა ბუნებრიობისაკენ. ამასთან დაკავშირებით ჩანს ცვლილებები დეტალების გადმოცემაში⁴³: თავის შობრუნება ან გვერდზე გადახრა, სხეულის მოხდენილი მოძრაობა, სამოსის ნაოჭების უსწორმასწორო, ბუნებრივი დალაგება, თმის თავისუფალი ვარცხნილობა, ჩრდილების გამკვეთრება და მათი საშუალებით ნაკეთების გამოკვეთა და სხვა. მაგრამ, საკულტო დანიშნულების გამოსახულებებს, როგორც აღვნიშნეთ, ხანდახან ოდნავ არქაულ იერს უტოვებდნენ, რათა გამოერჩიათ ისინი ყოფიანი დანიშნულების გამოსახულებებისაგან.

ჩვენი აზრით, ერთგვარად არქაული იერი ვანის ტრაკოტასაც აქვს, მაგრამ დეტალების გამოსახვაში და დამუშავების ტექნიკაში მკაფიოდ ჩანს ელინისტური სიახლენი. მაგალითად ზედა ქუთუთოს განსაკუთრებული შემადგენლობა, რაც ქმნის ძლიერ ჩრდილს თვალზე. წარბის კუთხის გამოკვეთილობა, თმისა და წვერის ხეობის თავისუფალი, უსწორმასწორო დალაგება, ქალღმერთის ბუნებრივად გვერდზე გადახრილი თავი — ყველა ეს ნიშანი მიგვიბრუნებს, რომ ელინისტური ხანის ნახელოვებთან გვაქვს საქმე. უფრო ზუსტ დათარიღებაში გვეხმარება ამ ტრაკოტებთან ერთად ფენაში აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური მასალა. კერძოდ, პერგამული შავლაკიანი კერამიკის ნატეხები, რელიეფური სუროს ორნამენტით შემკული; წითელლაკიანი იმპორტული კერამიკა, შავად გაპრიალებული ადგილობრივი, ბერძნულის მი-

წარმართობა, 1920 წ. თბილისი. В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957, გვ. 65—70

1 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961 წ. გვ. 49; II დ. ქანელიძე, საგაზეთო წერილი — „ამბავი ბიჭვინტის ქანდაკებისა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ. 23 ივლისი.

⁴³ Н. Н. Бритова. დასახ. ნაშრ. გვ. 101—102.

ნაბაძი კერამიკა⁴⁴. ყველა ეს მასალა II—I საუკუნეებით თარიღდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დიონისეს ნიღბები აღმოჩენილია უმთავრესად ანტიკური სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, მცირე აზიაში, და ჩაძლილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილებიც მცირე აზიიდან შეტანილად არის მიჩნეული, შეიძლება ვივარუდოთ, რომ ვანის ტერაკოტებიც როგორცმე მცირეაზიული ცენტრიდან არის შემოსული.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვანის ნაქალაქარზე, გარდა ზემოთ აღწერილი ტერაკოტებისა, სხვადასხვა დროს ჩნდებოდა ცალკეული, შედარებით უფრო უმნიშვნელო ნატეხები: ეს იყო სამოსის ნაოჭებისა და კალთების ამსახველი ნატეხები, მცირე ქანდაკების ძირი, თმის ხეების ამსახველი ცალმხრივი გამოსახულებანი, ყურძნის მტეენის გამოსახულება და სხვა. ყველაფერი ეს შეტყველებს იმაზე, რომ ძველ ვანში ანტიკური ხელოვნების ამ თავისებური დარგის მხატვრული ნიმუშები საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. აქაც, ისევე როგორც მთელს ანტიკურ სამყაროში, მათ იყენებდნენ როგორც დეკორატიული მიზნისათვის, ისე საკულტო დანიშნულებით. ამდენად ვანის ტერაკოტული გამოსახულებანი საინტერესო წყაროს წარმოადგენენ ძველი კოლხეთის მოსახლეობის რელიგიური შეხედულებებისა და მხატვრული გემოვნების შესწავლის საქმეში.

44 1966 წლის საანგარიშო სესიის ვანის ექსპედიციის ანგარიში, გვ. 54—55.

ა. ზყონია

ოქროს მხატვრული დამუშავება ძველ ვანში

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ მონაპოვარში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ოქრომკვდლობის ძეგლები, რომლებსაც დიდი როლი ენიჭებათ კოლხური ოქრომკვდლობისა და, საერთოდ, კოლხური მხატვრული კულტურის კვლევისას.

ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ოქრომკვდლობის ძეგლთა შესწავლის საქმეში სამი საფეხური აღინიშნება: 1. XIX საუკუნის II ნახევარში მზარეთ-მკოდნეთა საქმიანობა. 2. ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევები. 3. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები.

ვანში ოქროს ნივთთა აღმოჩენის შემთხვევები ცნობილი გახდა XIX საუკუნის 70-იან წლებიდან. 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ ეკითხულობთ, რომ ვანში ახელედიანთა კარმიდამოში ნაწვიმარზე ჩნდება ოქროს ძეწეკები, ბეჭდები და სხვ. აქ უნახავთ „ბადესავით მოქსოვილი ცხრილებიანი ოქროს ლანგარი“, „ოქროში ჩამქდარი ლალი, რომელზედაც არის მოჭრილი ქალის სახე...“ წერილის ავტორი — სხვიტორელი გულისტყვივლით მიუთითებს, რომ ეს ნივთები მპოენელთა უცოდინარობის გამო უგზოუკვლოდ იკარგება — იყიდება ვაჭრებში¹.

1880 წელს მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის სამზადისის დროს წინასწარი კომიტეტის სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა საჩინოს ყორღანებში (ვანში)² ოქროს ნივთების აღმოჩენის შესახებ. მომხსენებელმა გიორგი წე-

¹ გაზეთი „დროება“, 1876 წლის № 52, 28 მაისი, გვ. 1, სხვიტორელის წერილი: „...ისე წემა არ მოვა, რომ ახელედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწეკი, ხან ბეჭდები, ხან რა და რა ნივთეულები. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, რადგანაც ის გორა ეკუთვნის ბევრს და საზიარო არის, ამისთვის რაც უნდა იპოვნონ, ერთი მეორეს უმაღლეს და ჩუმად ყიდის ვაჭრებში... ერთმა მათგანმა ოქროს ლანგარი გაყიდა იაფად ვაჭრებში ჩუმად... ბაღესავით მოქსოვილი ცხრილებიანი ოქროს ლანგარი გაყიდათ და რისი მოსახმარი იყო ვერავენ გაიგო. ერთმან თ. ა. ლ. იპოვნა მათგან ბეჭდები და ოქროში ჩამქდარი ლალი, რომელზედაც არის მოჭრილი ქალის სახე... როგორც ჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში, ვინ იცის რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობისაგან დაღუპულა და რამოდენა კიდევ იპოვება ამ გორაში“.

² გვიანფოდალურ ხანაში ვანის, უფრო ზუსტად, ვანის ქვეყნის აღმნიშვნელი სახელწოდებაა საჩინო. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 164; 150 (საჩინოს-ხევი).

რეთელმა ყუბადღემა გაამახვილა დაახლოებით 1865—1870 წლებში თავად ნიკოლოზ ჩიჯავაძის მეშვეობითა მამულში აზნაურ ახვლედიანის მიერ ნაპოვნ განაშენებულ ტაძარს. თუმცა მასალაზე დაწერილებით საუბარი არ ყოფილა (საინფორმაციო მოხსენება)³.

1869 წელს გაზეთ „Кавказ“-ში⁴ და „Кутаисские Губернские Ведомости“—ში⁵ აღნიშნულია, რომ ვანში ნაპოვნი ოქროს ნივთები მეცნიერულად მეტად საინტერესოა. აქ იგულისხმება 1889 წელს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დაჯილდოებით ქუთაისის (შემდეგ ბათუმის) გიმნაზიის დირექტორის, მხარეთმცოდნე ა. სტოიანოვის არქეოლოგიური გათხრები ვანში, რის შედეგად აღმოჩენილა „ძველი ბერძნული დროის საფლავები“. სამწუხაროდ, ა. სტოიანოვის გათხრების ანგარიში (თუ ასეთი ანგარიში არსებობდა) ჩვენამდე არ მოღწეულა. მასალის შესახებ კონკრეტულ მითითებას აქც პრესაში ვხვდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტად საგულისხმოა იმდროინდელი პრესის მიერ ვანში გამოვლენილ ოქროს ნივთთა მნიშვნელობის აღიარება.

ვანის სიძველეთა, კერძოდ, ოქრომპედლობის ძეგლების შესწავლაში პირველი რეალური ნაბიჯები გადადგმულია აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. 1896 წელს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დაჯილდოებით იგი გათხრებს აწარმოებდა ვანში. არქეოლოგიური კომისიის ანგარიშის მიხედვით, ექვთიმე თაყაიშვილს სოფლის მღინარისა თუ წყაროს — საქვაბიას ნაპირებზე, სხვა მასალასთან ერთად უნახავს ერთი „ლამაზად ნაკეთი ოქროს ვარდულა“⁶. ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაა ვანის შესახებ პირველი გამოკვლევების გამოქვეყნება ჭერ ქართულ⁷, შემდეგ — რუსულ ენებზე⁸. ამ ნაშრომებში ავტორი ეხება ვანის ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას, ეთნოგრაფიას და არქეოლოგიურ სიძველეებს. ექვთიმე თაყაიშვილი ახვლედიანთ გორაზე (ვანის ნაქალაქარი) წერს: „ეს პატარა გორაკი კერძის მითრიდატის ითან მოგვაგონებს“⁹. იგი კვლავ აღნიშნავს მიწის თხრის დროს და მეტად რე ავღრების შემდეგ ახვლედიანების კარმიდამოებში ოქროს ნივთების აღმოჩენის შემთხვევებს; მოიხსენიებს დაახლოებით 1880 წელს პროკოპი ახვლედიანის ეზოში ნაპოვნ, როგორც ჩანს, ერთი სამარხის (ქვის სარკოფაგის) მჟიდრულ ინვენტარს: ესაა: „ოქროს ჭოხი (კვერთხი) გველის მსგავსი თავით, ოქროს ბადე¹⁰, ოქროს სამაჯები, ოქროს საყურები, ბეჭდები, შვიდი

3 Г. Шеретели. Заметки о курганах и раскопках по Рионской долине. Протоколы Подготовительного комитета к V археологическому съезду в Тифлисе, М., 1882, 25-335, 337.

4 „Кавказ“, 1869, № 161. 21 იანვარი, გვ. 2. ნაწილი „Кавказская жизнь.“

5 „Кутаисские Губернские Ведомости“, 1869, № 24. 17 იანვარი, არაოფიციალური ნაწილი ავღღრების ქრონიკა.

6 ОАК за 1836, გვ. 109—110.

7 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფილისი, 1907, ნაწილი I.

8 Е. Такашвили. Церковь в Ване, в Имерии и ея древности, Известия Кавказского истерико-археологического института в Тифлисе, т. II, 1917—1925. Ленинград, 1937.

9 ანუ გიორგიველია, რა ნივთი იგულისხმება ოქროს ბადეში. დღეს ჩვენ ხელთ არსებულ მრავალრიცხოვან მასალაში მსგავსი აღმოჩენა არ დადასტურებულა. „ბადესაიფო მოქსოვილი ცხარე-უბრალო ოქროს ღანჯარი“ მოხსენებულა აგრეთვე სხვიტორაფის წერილ-

ოქროს ფელა“. რუსული ტექსტის მიხედვით, ამ სამარხეულ ინვენტარს ემატება ოქროს დიადემა და ცხენის ოქროს სამკაულები.

ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს აგრეთვე ვანიდან მომდინარე ერთ საინტერესო ოქროს ნივთს — „პატარა მასკას“, რომელიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწესთან ლ. გ. ლაპატინსკისთან ინახება. ავტორის აზრით, იგი ემსგავსება ძველი მისირის (ეგვიპტის) ძეგლებზე გამოჩნულ სახეებს.

ვანში ოქრომკვდლობის ძეგლების აღმოჩენის ამ საინტერესო ფაქტების ჩამოთვლის გარდა, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოთქმულია მეტად საყურადღებო მოსაზრება ვანის ოქროს ნივთების წარმომავლობის შესახებ. ექვთიმე თაყაიშვილმა ვანის ოქროს ნივთები ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნია და ვანშივე ივარაუდა საჭირო ნელელულის — ოქროს მოპოვებაც. შრომაში — „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ შემდეგს ვკითხულობთ: „ოქროს საყურეები, სამაჯეები, სარტყლების სამკაული და აგრეთვე სხვა ნივთებიც, ოქროისა, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით, უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილი არ არიან, არამედ აქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანილი. ძველი ვანის ნიდაგს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა. მეტადრე დღე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უელის გორაკს. ხშირად აქ კარგი მოზრდილი მარცვლებიც შეგვხვდებოთ ოქროსი. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ დღე საქვაბის ნაპირს აპყვებით, ავიღად დარწმუნდებით ქარხნების ნაშთებიდან, გვირახებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოვნ ტყვიის დაურჩაკებიდან¹⁰, რომ ამ დღეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ და აგრეთვე ქარხნებიც ჰქონიათ“¹¹.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ოქროს ნივთთა ადგილობრივობის შესახებ საკითხის დასმა განსაკუთრებულნი აღნიშვნის ღირსია. გ. ლომთათიძე, ახასიათებს რა ექვთიმე თაყაიშვილს, როგორც მთხრელ არქეოლოგს, რომელსაც არა ერთა მნიშვნელოვანი და გონებამახვილური მოსაზრება წამოუყენებია ცალკეული ძეგლისათუ ნივთიერი მასალის შესახებ, საგანგებოდ ჩერდება ამ ფაქტზე. გ. ლომთათიძის მიუთითებით, ეს იყო ფხიზელი, მანამდე უმაგალითოდებულების წამოყენება, პირველი გაბედეა იმდროინდელი რუსეთის არქეოლოგიაში, რომელსაც ჩვენში ამონათხარი ყოველი ნატიფი ნივთი უსათუოდ

შიც (1876 წ.). როგორც ვარაუდობენ, აქ ერთი და იგივე ნივთთან შეიძლება ეკონდეს საქმე. იხ.: ნ. ხოშტარია. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, ვანი I, გვ. 85. შენიშვნა 12.

¹⁰ „დაურჩავის“ დანიშნულების გარკვევა ეთნოგრაფიული მონაცემებით — ქართული ხალხური მეტალოგიის მდიდარი მასალების მიხედვით, ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა იყოს „დარჩავი“, რომელიც სულხან-საბა ორბელიანს ეალიბად აქვს განმარტებული (იხ.: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. 4, 1 თბ. 1965. გვ. 203). აღსანიშნავია, რომ თუშეთის ხალხურ ოქრომკვდლობაში დამოწმებულია ტერმინი „დარჩავი“. ლ. სოსელია, მასალები ხალხური ოქრომკვდლობის საკითხისათვის თუშეთში, კრებულში — თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 215. ტერმინ დარჩავი-დარჩავის გარკვევაში დიდი დახმარება გააქონა ეთნოგრაფმა ნ. რეხვიავილმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

¹¹ ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 5—6.

შეპოტანილად მიაჩნდა¹². გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებას ერთგვარად ვარდატეხა შექმონდა ვანის ნაქალაქარის ოქრომპედლონის ძეგლთა კვლევის საქმეში. ახლებურად დგებოდა საკითხი ქართული მხატვრული კულტურის, კერძოდ, ვანის ნაქალაქარის მხატვრული ხელოსნობის შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე ექვთიმე თაყაიშვილის მითითება ვანში ოქროს არსებობისა და მოპოვებაზე. მართალია, თანამედროვე გეოლოგიურმა კვლევებებმა გარკვეული კორექტივი შეიტანა ამ ცნობაში, მაგრამ თავისთავად საყურადღებოა საკითხის ამგვარი დაყენება, ე. ი. ვანში ოქრომპედლონის ცენტრის არსებობის აღიარებისას, საქირო ნედლეულის — ოქროს ადგილზევე ძიება. მეცნიერული კვლევის თანამედროვე დონეზე, სახელოსნო ცენტრების, კერძოდ, ოქრომპედლონის ცენტრების დადგენისას სწორედ ადგილობრივი ნედლეულის არსებობაა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანა.

დღეს ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდი ოქრომპედლონის ძეგლთა ადგილობრივი წარმოშობის შესახებ ახალი არქეოლოგიური მონაპოვრებით კარგად დასაბუთდა.

ვანის ოქრომპედლონის ძეგლების აღმოჩენისა თუ შესწავლისათვის საეტაპო იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბება, რომელიც 1947 წელს შეუდგა მუშაობას.

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრების დაწყებამდე 1929 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა ვანიდან მომდინარე ოქროს რამდენიმე საინტერესო ნივთი (ინვ. №№ 24—29/1, 1-4, 8—29), მათ შორის ბალოა, რომელზეც გამოსახულია ლომთან შეკიდებული ჰერაკლე¹³.

1940 წელს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სიძველეა დაცვის განყოფილების წარმომადგენლების დ. ლომაძის, მ. კალაშნიკოვის და სხვების დახმარებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სხვა ნივთებთან ერთად შემოვიდა ოქროს სამკაულებიც¹⁴.

ამჟამად, ვანის ნაქალაქარის სისტემატური და გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ოქრომპედლონის ძეგლების სახით მოპოვებულია უმდიდრესი და პირველხარისხოვანი მასალა საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიის, ხელოვნებისა და ისტორიისთვის.

ვანში აღმოჩენილი ოქრომპედლონის ძეგლთა მრავალრიცხოვნება და თავისებურებანი, მათი ტექნიკური და მხატვრულ-სტილისტური ერთიანობა მიუთითებს ადგილობრივ პროფესიონალ ოქრომპედელთა ძლიერი სკოლის არსებობაზე.

საერთოდ, ოქრომპედლონის სახელოსნო ცენტრის დადგენისას, გარდა საკუთრივ ოქრომპედლონის ძეგლთა შესწავლისა, მხედველობაშია მიღებული წერილობითი წყაროების ცნობები, ადგილობრივი ნედლეულის — ოქ-

¹² გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი, კრებულში: აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1966, გვ. 105—106.

¹³ Б. К у ф т и я, Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1959, გვ. 4—6, ტაბ. 1, 2.

¹⁴ ნ. ხოშტარიანი. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს, წინასწარი ანგარიში, მიწიშეკვლევა, I, თბ., 1949, გვ. 324—305, ობ. აგრეთვე Б. А. К у ф т и я, დასახ. ნაშრ., გვ. 9, შენიშვნა 2.

როს არსებობა, ეთნოგრაფიული მასალა, ლითონის მხატვრული დამუშავების ტრადიცია. ძველ კოლხეთთან დაკავშირებით ყოველ მხრივ მეტად საინტერესო მონაცემებია თავმოყრილი.

წერილობით წყაროებში დაცულია ცნობები, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებით, კოლხეთში ოქროს არსებობის შესახებ ან კონკრეტული მითითებაა მოცემული ოქროს მოპოვების ხერხებზე.

ანტიკურმა ლიტერატურულმა ტრადიციამ დაუმკვიდრა კოლხეთს „ოქროშრავალი“ (πιδύχρυσος) ქვეყნის სახელი. კოლხეთში დაკრძალული აიეტის ეპიტაფიაში, რომელიც არისტოტელეს მიეწერება, ნათქვამია: „ოქროთი მდიდარი კოლხების მეუფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სემე აქ გააპატიოსნა“¹⁵.

პოეტური გააზრებით, აიეტის ქალაქში (კოლხეთში) ჰელიოსის სხივებ: ოქროს დარბაზშია მოთავსებული¹⁶. შეიძლება შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ანტიკური ლიტერატურის მიხედვით კოლხი მედეა, აიეტის ასული, 5 ში-რად ოქროს ნივთების გარემოცვაშია (თუმცა ეს ხაზს უნდა უსვამდეს მის მეფის ოჯახიდან წარმომავლობასაც). მაგალითად, მედეა ოქროს ქვაბებში ხარშავს წამლებს¹⁷, ოქროს გვირგვინს უგზავნის კორინთელთა მეფის კრეონტის ასულს — გლავკეს¹⁸, ოქროს განიერ თასს მიართმევს საჩუქრად ნერეუსის ნაშიერ ტრიტონს¹⁹. პლინიუსის ცნობით, კოლხეთის მეფეს, აიეტის შთამომავალ სავლას სევანთა მიწაზე და საერთოდ ოქროს საწმისებით სახელგანთქმულ თავის ქვეყანაში დიდი რაოდენობით ოქრო და ვერცხლი მოუპოვებია²⁰. ხოლო სტრაბონი წერს (1, 2, 39): „მოგვითხრობენ... იმ ქვეყნის (კოლხეთის — ა. ქ.) სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა (სპილენძისაგან) შედგება, რაც იყო მიზეზი ლაშქრობისა...“²¹.

ძველ კოლხეთში ოქროს მოპოვებასთანა დაკავშირებული ერთ-ერთი მეტად პოპულარული მითი ოქროს საწმისის შესახებ. კოლხეთში ოქროს საწმისის არსებობის რეალურ განმარტებას უკვე აღრევე ჩაეყარა საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ამ თქმულებას თვით ბერძენი მწერლები ხსნიდნენ კოლხეთში ოქროს მოპოვების ხასიათით.

საერთოდ, ცნობილია, რომ ბუნებაში ოქრო გვხვდება ალუვიურ ქვიშნარში და კვარცულ ქანებში ძარღვების სახით. ძველადვე ოქროს ძიება ხდებოდა ორივე მიმართულებით და ჯერ კიდევ პლინიუსი (წიგნი 33,4; 21) მიუთითებდა ოქროს მოპოვების ამ გზებზე²². პლინიუსის აღწერის თანახმად, ოქრო მიიღება: 1. მდინარეებიდან უმცირესი ნაწილაკების სახით („ოქროს სი-

¹⁵ აკ. ურუშაძე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 293—294.

¹⁶ მიმწერამე (ძვ. წ. VII—VI სს.), ელეგიების კრებული „ნანო“, იბ. აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

¹⁷ ეერიპიდი, „მედეას“ ჰიპოთესისი. აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 237.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ლიკოტრონ ქალიკლედი (ძვ. წ. III ს.), „ალექსანდრა“, ტ. 886—890. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 301.

²⁰ В. В. Латышев, Известия древних писателей, греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. II, вып. I, СПб., 1901, гв. 197—198 (Nat. Hist, XXIII. 52).

²¹ თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957, გვ. 70—71.

²² Плиний Старший, Вопросы техники в Naturalis Historia, ВДИ 1946, №3, гв. 289, 290—291.

14. ვანი, II

ლა“). 2. შახტებიდან. 3. შტოლნებიდან (ამგვარად, ოქროს მოპოვების მეორე და მესამე ხერხები ერთმანეთთან ახლოს დგას და შესაძლებელია მათი გაერთიანება)²³. როგორც ჩანს, ალბათ სიმარტივის გამო, უფრო გავრცელებული იყო ოქროს მოპოვების პირველი წესი²⁴. პლინიუსის ცნობის მიხედვით, ამ გზით მოპოვებული ოქრო ყველაზე სრულყოფილია და დაწმენდილია²⁵. თუმცა, ახალი დროის მკვლევართა მიერ ეს აზრი უარყოფილია²⁶. აღსანიშნავია, რომ ოქროს ძიების ეს ხერხი კოლხეთშიც დასტურდება. სტრაბონის მითითებით (II, 2, 19), კოლხეთში „ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვერტილი ვარცლებით და ბანჯგვლიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროსსაწმისიან ვერძზე“²⁷. აზიანეს მიხედვით (მითრიდატეს ომების ისტორია, 103), „კავკასიონიდან (გამომდინარე) მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიან ცხვრის ტყავებს დებენ და ავარკვებენ ქვიშას, რომელიც (ამ ტყავებზე) რჩება. ალბათ ამგვარივე იყო აეტის ოქროს საწმისი“²⁸.

მეტად საყურადღებოა, რომ ბერძენ მწერალთა მიერ აღწერილი წესი ოქროს მოპოვებისა, ლ. ბოქორიშვილის მიერ დამოწმებულია სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (ისტორიული კოლხეთის მთიანი რაიონი). სვანი მთარბელების მიხედვით, ოქროს მოპოვება ცხვრის ტყავის (ცხვრის ტუფის) საშუალებით ხდებოდა. ფიცარზე გაკიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს წყალში ჩაჰფენდნენ და სათანადოდ დაამაგრებდნენ ისე, რომ ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ მოქცეულიყო. „ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი კი გადაივლიდა“, „სველი ტყავი ოქროს კენკვებს მიიწებებდა“, რადგანაც ოქრო უფრო მძიმეა. ამიტომ „ქვიშა ზეით რჩება და ოქრო ძირს ჩადის“. გარკვეული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ, გააშრობდნენ, შემდეგ გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და ოქროს კენკვებს გადმოჰყრიდნენ²⁹. ლ. ბო-

²³ ოქროს მოპოვების სხვადასხვა წესის შესახებ დაწერილებით იხ. H. Blümner, Technologie und Terminologie der Gewerbe und Künste bei Griechen und Römern, Band IV, Leipzig, 1887, გვ. 111 და შუბ. ოქროს მოპოვება მეორე ხერხით კარგადაა აღწერილი ბერძენი ეთნოგრაფის აეტარქიდის მიერ. (ქვ. III ს. დასასრული—ქვ. II ს. I ნახ.). რომლის ტექსტი, თითქმის სრულად, შეიძინა დიოდორე სცილიუსის „ისტორიულ ბიბლიოთეკაში“ (III, 12—14), იხ. Эллинистическая техника. Сборник статей под редакцией академика И. И. Толстого. М.—Л., 1948, გვ. 18—21.

²⁴ A. Lucas. Материалы и ремесленные производства древнего Египта, 1958, გვ. 351; E. Coche de la Ferté. Les bijoux antiques, Paris, 1956, გვ. 5, 7.

²⁵ Плиний Старший, ВДИ. № 3, გვ. 289.

²⁶ H. Blümner. დასახელ. ნაშრ., გვ. 111—112.

²⁷ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

²⁸ აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959, გვ. 199. ზოგიერთი ავტორის მიხედვით ოქროს საწმისი ტყავებზე საწერი წიგნია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა გაეკლეს ოქრო ქვიშის საშუალებით. ეს „წიგნი“ კოლხეთში ინახება. ანონიმური ავტორი, ხარაჟს პერგამონელი (ახ. წ. II—III სს). ანალოგიური განმარტება გვაქვს ორენკლას ახ. წ. VII საუკ. ისტორიკოსთან, „ქსოთელიო ქრონიკის“ ავტორ იოანე ანტიოქელთან და სვიდან სახელით ცნობილ X საუკ. ლექსიკონში სიტყვის ქვეშ „საწმისი“ (Δέφρα). იგივე ცნობები მოუქვლია XII საუკ. კომპილატორ-ინტერპრეტატორ ეესტათი თესალონიკელს მიერ დიონისიოს პერიეგეტის თხზულების 289-ე ტაეის განმარტებისას. იხ.: ა. ე. რ. ე. შ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 150—151, 439, 447, 479, 480.

²⁹ ცნობილი ინგლისელი მეცნიერ-მეტალურგის ლ. ეისონის თანხმად, ძველი დროის ოქროსმამულებში ცხვრის ტყავებს სწავდნენ, რათა ბეწვისაგან ჩამოეცილებინათ ოქროს

კორიშვილი ასკენის, რომ ოქროს მოპოვების ეს წესი შორეული წარსულის შემეკიდრობას წარმოადგენს³⁰. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ხალხში შემონახული გადმოცემების მიხედვით, ძველი ეპოქის სევანეთი ოქრომპედლობია განთქმული ქვეყანა ყოფილა³¹.

დასავლეთ საქართველოში ოქროს არსებობასა და მოპოვებას ადასტურებდნენ ახალი დროის ავტორებიც. კერძოდ, არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) ოქროს მოპოვებას მითითებდა ოდიშში (სამეგრელო)³². XVIII საუკუნის დასასრულისთვის, რეინგესის ცნობით, ოქროს ეძიებდნენ მდინარე ჰიპიუსის (ცხენისწყლის) კალაშში³³.

გამბას მიხედვით, ოქროს მოპოვება ხდებოდა სოხუმის მიდამოებშიც³⁴. დიუბუა დე მონპერე აღნიშნავს, რომ სევანეთის მდინარეები, ძირითადად, ცხენისწყალი და აბაშა, ოქროსშემცველნი არიან. XVIII საუკ. იმერეთის მეფეების ქვეშევრდომნი ეძიებდნენ ოქროს „სილის რეცხვით“³⁵.

კოლხეთში ოქროს მოპოვებას, აგრეთვე კოლხეთის ოქროსთან დაკავშირებით მითს არგონავტების შესახებ წარსული საუკუნის ბევრი მკვლევარი შეესწავლა. აღსანიშნავია, რომ ხშირად კოლხეთს ოქროს კლასიკურ ქვეყნადაც იხსენიებდნენ.

ოქროს მოპოვების ცენტრების განხილვისას კოლხეთის ოქრო და მისი ძიება მდინარეული ქვიშიდან მითითებელია უახლეს გამოკვლევებშიც³⁷.

დღეს გეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ადასტურებს კოლ-

ნაწილები. L. Aitchison, A History of Metals, London, 1960, ტ. I გვ. 168. ეს მოსაზრება საკამათოა.

³⁰ ლ. ბ. ზ. ო. რ. ი. შ. ვ. ი. ო. ოქრომპედლობა სევანეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე; ტ. VII, № 5, 1946, გვ. 285. ეთნოგრაფი და რეზიდავილი შესაძლებლად მიიჩნევს კოლხეთში ოქროს მოპოვების წესისა და მავნეტრის ქვიშიდან რკინის მოპოვების დაკავშირებას. მეკლევარის მითითებით, კოლხეთში გავრცელებულმა ოქროს ძიების ხერხმა ერთგვარი ბიჭვი მისცა მავნეტრის ქვიშიდან რკინის წარმოებას. ნ. რეზიდავილი, ქართული ხალხური მეტალურგია, რკინა-მკვლელობა, თბ., 1964, გვ. 11.

³¹ ლ. ბოქორიშვილის მიერ ჩაწერილია რამდენიმე საინტერესო გადმოცემა. შავალითად, ორსართლიანი ეკლესიის შესახებ, სადაც მიწის ქვეშ მოქცეულ ქვეშაო სართულში ოქროს განძეულობა ინახებოდა. აქვე იყო მიბმული „ოქვრა ნაქათი“ ოქროს ვერძი (ოქვრა გიცნარ). ხალხის წიგნი საქციელით გაჯერებულ ღვთაებას ოქროს ვერძის სამყოფელი დაუნგრევი... სევანეთში გავრცელებული ამირანთან დაკავშირებული თქმულების ზოგიერთი ვარიანტი დარჩენილი ოქრომპედელია. მის ცოლზე ვანრისხებულმა ღმერთქალმა დაიწყო კივილით სამკვდლო დაუნგრია... არსებობს თქმულებები ოქრომპედლობით (და საერთოდ მკვდლობით) სახელგანთქმულ ქალაქ ნაყდერას შესახებ, რომელიც ღვთაებას ყინულად უქცევიან... ლ. ბოქორიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 287—288.

³² არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. კუინიასი, თბ. 1938, გვ. 189.

³³ Reineggs, Allgemeine historisch — topographische Beschreibung des Kaukasus, 1796—1797 წწ., II, გვ. 138.

³⁴ Gamba. Voyage dans la Russie méridionale etc. fait 1820 a 1824. Paris, 1826, ტ. I, გვ. 85.

³⁵ F. Dubois de Montpéroux, Voyage autour du Caucase, v. II, Paris, 1839, გვ. 18.

³⁶ K. D. Hüllmann. Handelsgeschichte der Griechen, Bonn, 1839, გვ. 150. T. Lenormant, Les premières civilisations. Etudes d'histoire et d'archéologie, t. I, Paris, 1874, გვ. 117. L. de Ronchaud, Aulum. DAGR, T. I. p. I (A — B), Paris, 1877, გვ. 574. 575. H. Blümner დასახ. ნაშრ., გვ. 16. მისივე, Gold, RE. Band VII, Stuttgart, 1912, გვ. 1562. E. Babelon, Traité de monnaies grecques et romaines, T. I, Paris, 1901, გვ. 789—780.

³⁷ E. Coche de la Ferrière. დასახ. ნაშრ. გვ. და სხვ. R. A. Higgins. Greek and Roman jewellery. London, 1962, გვ. 3 და სხვ.

ხეთში ოქროს მოპოვებას მდინარეულ ქვიშებში³⁸. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში არსებობდა ადგილობრივი ნედლეული, რის საფუძველზეც ვითარდებოდა კოლხური ოქრომპედილობა³⁹. ამას გაკვეულ ბიძგს აკლავდა ლითონის მხატვრული დამუშავების ღრმა ტრადიციები. კოლხური ბრინჯაოს კულტურამ მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი მეგვეიდრობა დატოვა⁴⁰; რომლითაც საზრდოობდა შემდგომი დროის ოქრომპედილობაც.

ზემოთ განხილული მონაცემები შეეხება ვანის ნაქალაქარსაც, როგორც ძველი კოლხეთის ერთ-ერთ დაწინაურებულ ცენტრს⁴¹. გარდა ამისა, წლების მანძილზე ვანის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად დაგროვდა საინტერესო მასალა, რაც, ჩვენი აზრით, ოქროს მხატვრული დამუშავების, ე. ი. ოქრომპედილობის სახელსნაო ცენტრის არსებობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამაზე საგანგებოდ გავეამახვილებთ ყურადღებას.

1961 წელს გათხრილ მდიდარულ სამარხში (№ 6) წარჩინებულ კოლხ ქალს მრავალრიცხოვან ოქროს სამკაულსა და აგრეთვე ოქროს ფილასთან ერთად ოქროს ზოდიც უკვე ჩატანებული (სავ. № 3—61/662,43)⁴². ზოდი არაბუნებრივი წარმოშობისაა, ჩამოსხმულია; მოყვანილობით ოვალს უახლოვდება. ზედაპირი დაუმუშავებელია, სიგრძე—30 მმ, წონა—21,46 გ (სურ. 151). მეორე ზოდი აღმოჩნდა 1969 წელს გათხრილ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში (№ 11), კვლავ მრავალრიცხოვან ოქროს სამკაულებს შორის (სავ. № 3—69/408)⁴³. ოქროს ნატეხი ასევე არაბუნებრივი წარმოშო-

³⁸ А. А. Иессен и Т. С. Пассек. Золото Кавказа. ИГАИМК, вып. 110. М.—Л. 1935, გვ. 162 და შუდ. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ. 1966, გვ. 114—116. ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი და კოლხეთის მიერ რეკლავულ უცხო ატორის ნაშრომზე (დაბეჭდილია 1879 წ.), რომლის ერთ-ერთი შენაღდეწელი ნაწილია: „Условия местонахождения золота в долине р. р. Ингур и Риона“ (გვ. 115, შენიშვნა 1). ა. კ ო ლ ხ ა შ ი ლ ი ს ა ზ რ ი თ, ეს ნაშრომი აკავს წერეთლის მონაწილეობით უნდა იყოს დაწერილი. დაწერილებით თბ. ა. კ ო ლ ხ ა შ ი ლ ი ს, საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962, გვ. 258—260.

³⁹ ქ ა ნ ა შ ი ა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე. შრომები, ტ. II, თბ. 1952, გვ. 413.

⁴⁰ გ ო რ გ ი ძ ე, თქმულება არგონეტებზე და სვანეთის ოქრო. საბჭოთა ხელოვნება, 1962 თბ., 1962 გვ. 33—37.

⁴¹ ექვთიმე თაყაიშვილი ვარაუდობდა ლიზიმაქეს ოქროს მონეტების მინაბამების სვანეთში მოქრას სვანეთშივე ნაპოვნი და დამუშავებული ოქროთი. ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937, გვ. 436.

⁴² დ. ქ ო რ ი ძ ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, გვ. 66—74.

⁴³ აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც აღვნიშნავდით, ვანშივე მიუთითებდა საქირა ნელაუელს— ოქროს მოპოვებას. ბოლო ხანების გეოლოგიურმა ძიებამ არ დადასტურა ამ ცნობის სიზუსტე. (1972 წლის ოქტომბერში ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თხოვნით, ვანსა და მის მიდამოებში მუშაობდა საქართველოს საწარმოო გეოლოგური საპროექტოს პირველსადიებო პარტია). როგორც ჩანს, ექვთიმე თაყაიშვილი აქ შეცდომადი შეყვანა ადგილობრივი ნიადაგის თავისებურმა ბუნებარებამ, რაც ქარსის მიწარეუების არსებობით აიხსნება. „ქარსის ნაშთები გვიარბები, ქეები და ტყვიის დაურქაყევი“ (უნდა იყოს დარქაყი), რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილს ღლე საქვამბაში უნახავს, არამელოდ ოქროს მოპოვების პროცესთან იქნებოდა დაკავშირებული.

⁴⁴ რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ა. ქ ყ ო ნ ი ა. ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961—1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. ვანი I, გვ. 116, სურ. 54.

⁴⁵ ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, ა. ქ ყ ო ნ ი ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. ვანი I, გვ. 226.

ბისაა, ჩამოსხმულია. წარმოადგენს ოდნავ მორკალულ მსხვილი ღეროს ნაწილს, რომელსაც გვერდებზე ორ-ორი წიბო აქვს გამოყვანილი. განივიკვეთში ოვალს უახლოვდება. ზედაპირი მკრთალად გაპრიალებულია. სიგრძე — 15,5 მმ, წონა — 5 გ (სურ. 152).

ვანის ადრეანტიკური ხანის სამარხებში ოქროს ზოდების აღმოჩენის შემთხვევები მრავალმხრივ საყურადღებოა. სამარხში ზოდების არსებობა მანიშნებელი უნდა იყოს იმავე სამარხში ჩატანებული ოქროს ნივთთა ადგილობრივი წარმოშობისა⁴⁴ და ოქროს სიუხვეზეც მიუთითებს.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეკრებულ შემთხვევით აღმოჩენილ მასალებში რამდენიმე საინტერესო ფაქტი აღინიშნება. სახელდობრ: ერთი მცირე ზომის წვეთისებური (არაწესიერი) მოყვანილობის ოქროს ზოდი. მისი ზედაპირი დამუშავებულია (შეიმჩნევა ღრმულები) წონა — 1,37 გ. (საე. 3—61/658, ამ ნორმის ქვეშ რამდენიმე წერილმანი ნივთია გაერთიანებული). გარდა ამისა, ოქროს ადგილობრივი მხატვრული დამუშავების მაჩვენებელია ოქროს ნაღვენი — მცირე ზომის არაწესიერი ფორმის ორი ბურთულა, ერთმანეთთან შეერთებული (საე. № 3—61/658). წონა — 0,04 გ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ოქროს ფირფიტების ნაწილები (14 ფრაგმენტო), რომელზედაც კილიტებია უწესრიგოდ გამოტვიფრული (საე. № 3—59/16, აქაც ამ ნორმის ქვეშ რამდენიმე სხვა ნივთი ივლისხმება). კილიტებს თითქმის ნახევარსფერულად ამობურცული შუაგული აქვს. ხოლო კიდეებს ამოკლეული წერტილები შემოუყვება. რამდენიმე შემთხვევაში სადა კილიტებიცაა გამოსახული (სურ. 154). ფირფიტების ფრაგმენტულობის გამო გვიძნელდება გადაჭრით რაიმეს მტკიცება. საერთოდ, ცნობილია, რომ დატვიფრული ფირფიტები ხშირად სხედასხვა საგნების გარსაკრავებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ხომ არა გვაქვს ხელოსანის „ნარჩენებთან“. ვითვალისწინებთ რა ფირფიტებზე კილიტთა უწესრიგოდ გამოტვიფრას, აგრეთვე ერთ ნატეხზე კილიტის გამოჭრის შესაძლებლობას. იქნებ, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ვერ მოესწრო ფირფიტებზე დატვიფრული სამკაულის ბოლომდე გამოჭრა ან ფირფიტების სხვა მიზნებისათვის მოხმარება (ჩვეულებრივ, ოქრომჭედელთა სახელოსნოებში ასეთი ნარჩენები მთლიანად გამოიყენებოდა).

